

**ზედარებითი კრიმინოლოგია
და სამართალდამცავი სისტემა
ამერიკის შეერთებულ
შტატებში**

ფ. ადლერი ბ. ო. ვ. მიულერი ვ. ს. ლაუფერი



**კრიმინოლოგია და
სამართალდამცავი სისტემა
საქართველოში**

ავტორთა კოლექტივი



წიგნი მომზადებულია და გამოცემულია საქართველოში ამერიკის
შეერთებული შტატების საელჩოს დემოკრატიული კომისიის მცირე
გრანტების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

„თანამედროვე კრიმინოლოგია და სამართალდამცავი ორგანოების სისტემა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატებში“ შედგება ორი კარისა და ოთხი ნაწილისაგან. პირველ კარში „შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდამცავი ორგანოების სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში“ შევიდა თემატურად შერჩეული თავები ამერიკელი სახელმძღვანელოდან – ფ. ადლერი, გ. მიულერი, უ. ლოფერი, კრიმინოლოგია და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, მე-4 გამოცემა, 2001 წ. – სადაც ავტორები ხსნიან შედარებითი კრიმინოლოგიის არსს და წარმოგიდგენენ აშშ სამართალდამცავი ორგანოების რთულ სისტემას. მეორე კარი „კრიმინოლოგია და სამართალდამცავი ორგანოების სისტემა საქართველოში“ მოიცავს ქართველი მეცნიერების მიერ მომზადებულ მასალებს. კერძოდ, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საქართველოში კრიმინოლოგიური აზროვნების განვითარების შესახებ, ჩამოთვლილია ძირითადი კრიმინოლოგიური ცენტრები.

წიგნში ასევე განხილულია შემდეგი საკითხები:

- საქართველოსათვის დამახასიათებელი დანაშაულობის სხვადასხვა სახეები: ჯგუფური, ორგანიზებული, ტრანსნაციონალური, ქაღათა და სხვ.
- გაანალიზებულია დანაშაულობათა ცალკეული ჯგუფები: ნარკობიზნესი, კორუფცია, თრეფიწიწი, ადამიანის მოტაცება, ტერორიზმი და სხვ.
- შესწავლილია დამნაშავის პიროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ.

წიგნში თავმოყრილია დიდძალი ემპირიული მასალა, გრაფიკები, სქემები, მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები. სახელმძღვანელო განკუთვნილია სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაკების (თრისტების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების), პედაგოგების, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტების, ასევე აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველების ფართო წრისათვის

მთავარი რედაქტორი:

გ. ლლონტი, სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის დირექტორი

რეცენზენტები:

თ. გამყრელიძე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების უფროსი.

გ. ქარქაშაძე საქართველოს შსს აკადემიის რექტორი, პოლიციის გენერალ-მაიორი, მეცნიერებათა კანდიდატი.

რედაქტორი

მ. ხმალაძე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

Editor - in - chief:

Dr. G. Glonti, Director of the Institute of Legal Reform

Reviewers:

Professor O. Gamkrelidze, Chief of the Criminal Law Department of the Institute of State and Law, Georgian Academy of Science

Dr. G. Karkashadze, Rector of the Academy of Ministry of Internal Affairs, Major-General of Police

Editor:

Dr. M. Khmaladze

Contents in Brief

I. Criminology and Criminal Justice System in the United States of America

Part I

Comparative Criminology

Chapter 1.

What is Comparative Criminology ?

3

Part II

A Criminological Approach to the American Criminal Justice System

Chapter 2.

Process and Decisions

29

Chapter 3.

Enforcing the Law: Practice and Research

56

Chapter 4.

The Nature and Functioning of Courts

100

Chapter 5.

A Research Focus on Correction

135

II. Criminology and Criminal Justice System in Georgia

Part III

Main direction of Criminology Studies in Georgia

Chapter 6.

Criminology in Georgia

172

Chapter 7.

The personality of the criminal

202

Chapter 8.

Organized Crime in Georgia

233

Chapter 9.

Transnational Organized Crime

261

Chapter 10.

Some kinds of Criminal Activity of the Organized Criminal Groups in Georgia

282

Part 4

Criminal Justice System in Georgia

Chapter 11.

The Judiciary System in Georgia

366

Chapter 12.

The Prosecutor's office in Georgia

386

Chapter 13.

The Ministry of Justice of Georgia

395

Chapter 14.

The Ministry of Internal Affairs of Georgia

400

Chapter 15.

The Ministry of State Security

408

Chapter 16.

Other Organizations (The Ombudsman Office and the Bar)

412

პარი I

შედარებითი კრიმინოლოგია და სამართალდაცვითი სისტემის ანალიზის შეერთებულ შტაბებში

ნაწილი I

დანახულებული ბრძოლისადმი კრიმინოლოგიური მიდგომები

თავი 1

შედარებითი კრიმინოლოგია

	1
§1. რა არის შედარებითი კრიმინოლოგია	3
1. შედარებითი კრიმინოლოგიის არსი	
2. შედარებითი კრიმინოლოგიის ისტორია	
3. შედარებითი კვლევის მიზნები	
§2. შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წარმოება	7
1. მოსამზადებელი სამუშაო	
2. შედარებითი კვლევა	
3. შედარებითი კვლევის იარაღი და წყაროები	
4. ემპირიული კვლევის პრობლემები	
§3. თეორიათა შემოწმება	12
1. ძირითად თეორიათა ვარგისიანობის საყოველთაოდ აღიარება	
2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები	
§4. პრაქტიკული მიზნები	13
1. გამოცდილების გაზიარება	
2. საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება	
3. გლობალიზაცია ეთნიკური დეზინტეგრაციის წინააღმდეგ	

ნაწილი II

სამართალდაცხავი სისტემა აშერიიის შეართულ შტატებში

თავი 2

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესი და გადაწყვეტილებები 29

§1. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ფაზები 30

1. სისტემაში შესვლა
2. ბრალდების ჩამოყალიბება და სასამართლო პროცესის წინა მომსახურება
3. გადაწყვეტილების გამოტანა
4. განაჩენის გამოტანა
5. გამასწორებელი ღონისძიებები
6. სისტემისათვის დამახასიათებელი გადახრები

§2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 46

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი

§3. დაზარალებული და სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 56

1. დაზარალებულის უფლებები
2. დაზარალებულის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში

თავი 3

კანონიერების დაცვა - პრაქტიკა და კვლევა 62

§1. პოლიციის ისტორია 63

1. ინგლისიდან მიღებული მეშვეიდრეობა
2. შეერთებული შტატების პოლიციის ისტორია

§2. სამართალდამცავი ორგანოები 66

1. ფედერალური სამართალდამცავი ორგანოები
2. შტატის პოლიცია
3. საოლქო პოლიცია
4. მუნიციპალური პოლიცია
5. სპეციალური დანიშნულების პოლიცია

6. პირადი დაცვის პოლიცია

§3. მართვის სტრუქტურა	73
1. ოპერატიული სამსახურის ბიურო - პატრულირება	
2. ოპერატიული სამსახურის ბიურო - გამოძიება	
3. სპეციალიზებული ქვედანაყოფები	
4. არაპირდაპირი ფუნქციები	
§4. პოლიციის ფუნქციები	76
1. კანონიერების დაცვა	
2. წესრიგის დამყარება	
3. საზოგადოების სამსახურში	
§5. პოლიცია და საზოგადოება	78
1. საზოგადოების დაცვა	
2. პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის დამყარების პროგრამები	
§6. კანონის უზენაესობა	83
1. კონსტიტუციასთან შესაბამისობა	
2. სამოქალაქო უფლებები	
3. იარაღის გამოყენება და პოლიციის სისასტიკე	
4. სამსახურებრივი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება	
5. კორუფცია	
§7. პოლიციის ოფიცრები და მათი ცხოვრების წესი	90
1. კვალიფიკაცია და მომზადების დონე	
2. სამართალდამცავი ძალების შემადგენლობის შეცვლა	
3. პოლიციის სუბკულტურა	
<i>თავი 4</i>	
<i>სასამართლოების არსი და ფუნქციონირება</i>	100
§1. სასამართლოს წარმოშობის ისტორია	101
§2. შეერთებული შტატების სასამართლო სისტემა	102
1. შტატების სასამართლოები	
2. ფედერალური სასამართლოები	
3. ურთიერთმოქმედება შტატების სასამართლოებსა და ფედერალურ სასამართლოებს შორის	
4. მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე იურისტები	

§3. მოსამართლე	108
1. ბრალდების წაყენება	
2. წინასასამართლო შუამდგომლობები	
3. გადაწყვეტილებები სასამართლო პროცესამდე გათავისუფლების შესახებ	
4. სასარჩელო გარიგებები	
§4. სასამართლო პროცესი	113
1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა	
2. სასამართლო პროცესი	
3. ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების მიღება	
§5. განაჩენის გამოტანა – დღევანდელობა და მომავალი	117
1. მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევა	
2. დაშინება	
3. საზღაური	
4. რეაბილიტაცია	
5. სისხლის სამართლის კანონით გასამართლების მიზნები	
6. დაშინებულს დასჯელი სასჯელი	
7. გამასწორებელი მართლმსაჯულება	
8. შეზღუდვები და ინსტრუქციები განაჩენის გამოტანის დროს	
§6. სასჯელის უმაღლესი ზომა – სიკვდილით დასჯა	127
1. დაშინების არგუმენტი	
2. დისკრიმინაციის არგუმენტი	
3. სხვა არგუმენტები	
4. ძირითადი ტენდენციები სასჯელის უმაღლესი ზომის – სიკვდილით დასჯის – გამოყენების საკითხში	
<i>თავი 5</i>	
<i>გამასწორებელი სისტემის კვლევა</i>	135
§1. დასჯა და გასწორება – ისტორიული მიმოხილვა	135
1. ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე	
2. დასჯა ახალ საშუაროში	
3. რეფორმატორული მოძრაობა	
4. სამედიცინო შეკურნალობის მოდელი	
5. საზოგადოების მონაწილეობა	
6. პატიმრების უფლებების დაცვის მოძრაობა	

§2. გამასწორებელი ღონისძიებები დღევანდელ დღეს	142
1. პატიმრობის ტიპები	
2. გამასწორებელი დაწესებულების ზომა და ღირებულება	
3. საპყრობილეებში პატიმრების ჭარბი რაოდენობით თავმოყრის პრობლემა	
4. ციხის კულტურა და საზოგადოება	
5. ოფიცრები გამასწორებელ დაწესებულებებში	
6. პროგრამები სასჯელადსრულებით დაწესებულებებში	
7. რეაბილიტაციის შეფასება	
8. სამედიცინო პრობლემები: შიდსი, ტუბერკულოზი და ფსიქიური დაავადებები	
9. ხანდაზმული პატიმრები	
10. ქალები ციხეებში	
11. გამასწორებელი დაწესებულებების პრივატიზაცია	

§3. საზოგადოებრივი ალტერნატივები	158
1. პრობაცია	
2. პრობით ვადამდე გათავისუფლება	
3. რენტაბელური ალტერნატივების ძიება	

პირი II

კრიმინოლოგია და სპარტალდამსავი სისტემა საქართველოში

ნაწალი III

კრიმინოლოგიური მიდგომა

თავი 6	
კრიმინოლოგია საქართველოში	172
§1. კრიმინოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში	172

§2. კრიმინოლოგიური დაწესებულებები საქართველოში 191

თავი 7

დამნაშავეს პიროვნება 202

§1. დამნაშავეს პიროვნება და მისი სოციალიზაციის პრობლემა 202

1. დამნაშავეს პიროვნება და მისი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციური ფაქტორები
2. „სიცოცხლის საზრისის“ პრობლემა და დანაშაულებრივი ქცევა
3. პიროვნების სოციალიზაციის პრობლემა და დანაშაულებრივი ქცევა (საქართველოს მაგალითზე)

§2. ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური თავისებურებანი 220

თავი 8

ორგანიზებული დანაშაულობა 233

§1. ჯგუფური დანაშაულობა 233

§2. ორგანიზებული დანაშაულობა 238

1. ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციები
2. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემების შესახებ
3. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაცია საქართველოში

თავი 9

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა 261

§1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები 261

§2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა. მსოფლიოს ძირითადი კრიმინალური ორგანიზაციები 271

§3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალური ხელყოფის თბიექტები საქართველოში 274

თავი 10

ორგანიზებული დანაშაულობის მიერ კონტროლირებადი

<i>კრიმინალური საქმიანობის ზოგიერთი სახეობა საქართველოში</i>	282
§1. ნარკობიზნესი	282
§2. კორუფცია	284
1. ზოგადი დებულება	
2. კორუფციის ცნება	
§3. ადამიანის მოტაცება	293
§4. ადამიანების ორეფიქინგი	306
1. ცნება	
2. კლასიფიკაცია	
3. ადამიანის, როგორც დონორის ან კომერციული რეპროდუქციის მიზნით ექსპლუატაცია	
§5. ტერორიზმი	329
1. ტერორიზმის ცნება	
2. ტერორიზმის მიზეზები	
3. ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები	
4. ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული	
§6. ორგანიზებულ და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საკანონმდებლო საფუძვლები	342
§7. მოლაპარაკების გზით მძევლების გათავისუფლების პრობლემები	349

ნაწილი IV

სამართალდაცვაი სისტიმა საქართველოში

<i>ზოგადი ინფორმაცია</i>	366
<u>თავი 11</u>	
<i>სასამართლოს სისტემა</i>	369

§1. საქართველოს საერთო იურისდიქციის სასამართლოები	369
§2. სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება	369
§3. რაიონული (საქალაქო) სასამართლო	370
§4. საოლქო სასამართლო	371
§5. აფხაზეთის და აჭარის უმაღლესი სასამართლოები	372
§6. საქართველოს უზენაესი სასამართლო	372
§7. იუსტიციის საბჭო	376
§8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	382
<u>თავი 12</u>	
<i>საქართველოს პროკურატურის ორგანიზაცია და უფლებამოსილება</i>	386
§1. პროკურატურის დაარსება და განვითარება, საქმიანობა და პრინციპები	386
§2. პროკურატურის ორგანოთა სისტემა და სტრუქტურა	386
§3. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (დარგები) და კანონის დარღვევაზე პროკურორის რეაგირების ფორმები (აქტები)	391
§4. წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები	391
<u>თავი 13</u>	
<i>იუსტიციის სამინისტრო</i>	395
§1. იუსტიციის სამინისტროს სტატუსი, ამოცანები და კომპეტენცია	395
§2. იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურა	397

თავი 14

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 400

§1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაცია და უფლებამოსილება 400

§2. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა 401

§3. საქართველოს პოლიციის ორგანიზაცია და უფლებამოსილება 405

თავი 15

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური 408

§1. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ორგანიზაცია და უფლებამოსილება 408

§2. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სტატუსი და უფლებამოსილება 410

თავი 16

სხვა ორგანიზაციები 412

§1. საქართველოს სახალხო დამცველი 412

§2. ადვოკატურის ორგანიზაცია და ფუნქციები 414

პარიზი
შედარებითი კრიმინოლოგია
და სამართლდაცვაში სისტემა

**ფრედა ადლერი გერჰარდ ვ. მიულერი ვილიამი
ლაუფერი**

ნაწილი I
**დანაშაულთან ბრძოლისადმი კრიმინოლოგიური
მიდგომები**

თავი 1
შედარებითი კრიმინოლოგია

ავტორთა შესახებ

ზურაბ ალღერი - რადიკისის უნივერსიტეტის კრიმინალური სამართლის სპეციალური დანახარებელი პროფესორი. მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიაში. მამობის ხარისხი კრიმინოლოგიაში და დოქტორის ხარისხი სოციოლოგიაში უნივერსიტეტში. დოქტორი ალღერი პროფესორი დაიწყო 1968 წლიდან, იგი ასევე ღვაწილობდა დიპლომატიის კრიმინოლოგიაში, სტატისტიკაში, კვლევის მეთოდები, სპეციალიზაცია და უმჯობესობით კრიმინოლოგიაში. მუშაობდა კრიმინოლოგიაში მრავალჯერ განმარტებული პრობლემის ციტირებაში, აგრეთვე ავტორი და სტატისტიკური მეთოდებიდან თუ სხვა მკვლევარის მეთოდებიდან. იგი არის 8 გამოქვეყნებული წიგნის ავტორი ან თანაავტორი, 8 წიგნის რედაქტორი და 60-ზე მეტი სტატიის ავტორი. მუშაობდა უმჯობესი პერიოდული გამოცემების სარედაქციო კომიტეტებში: «დანავაშუსისა და სპეციალური დარღვევის კვლევის შურნალი», «კრიმინოლოგია», «სისხლის სამართლის შურნალი», აგრეთვე დოქტორი ალღერი არის «სისხლის სამართლისა» და «კრიმინოლოგიაში» შურნალის სარედაქციო კომიტეტის და შურნალის «კრიმინალი კრიმინოლოგიაში» თარგმანი თანარედაქტორი. იგი აირჩიეს აკადემიის კრიმინოლოგიის სახელმწიფოს პროფესორად (1994-1995 წწ.).

ბიკაძე ი. უ. ბიკაძე - რადიკისის უნივერსიტეტის კრიმინალური სამართლის სპეციალური დანახარებელი პროფესორი. სამართალი და სოციოლოგია უმჯობესი მკვლევარისა და აკადემიის. მიღებული აქვს I.D. ხარისხი ნიკაძის უნივერსიტეტში და L.L.M. (მამობის) ხარისხი კილუგის უნივერსიტეტში. მიღებული აქვს სამართლის დოქტორის ხარისხი უმაღლესი უნივერსიტეტში შიჩი. იგი ასევე დიპლომატიის კანდიდატი, კრიმინალური პროფესორი, კრიმინოლოგიაში, სისხლის სამართალს და უმჯობესობით კრიმინალური სამართალს 1953 წლიდან. იგი პროფესორი დაიწყო პროფესორად ნაშრომების უმჯობესი 1974-დან 1982 წლამდე, რიგგარეშე იგი მუშაობდა განმარტებული პრობლემის ციტირებაში დანავაშუსის თანადან ავტორებისა და სისხლის სამართლის განყოფილების უფროსად და უმაღლესი განმარტებული პრობლემის ციტირების მკვლევარი იგი პროფესორი, რედაქტორი სოციალურად დანავაშუსისა და სამართლის პროფესორებიდან მიღებული შიჩი მსოფლიოში, პროფესორი ბიკაძე მუშაობდა უმჯობესობით ციტირების, დანავაშუსის და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში და სამართლის პროფესორი კილუგის, აგრეთვე, ლინკის კითხვებზე მიმართული ლექციების სტატუსით აკადემიის, ალბერტსონის და დანავაშუსის მკვლევარის, აგრეთვე ახლოს და ავსტრალიის სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. პროფესორი ბიკაძე ნაშრომები გამოცემის მიღებული ავტორებით თუ რედაქტორებით გამოქვეყნულ 50-ზე მეტ წიგნსა და 250-ზე მეტ სამუშაო სტატიას.

ბიკაძე ხ. ლაუზი - უნივერსიტეტის უნივერსიტეტის პროფესორის სპეციალური დანახარებელი პროფესორი. ასევე სამართლის დოქტორი, დოქტორი ლაუზის მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიაში და დიპლომატიის კანდიდატი უნივერსიტეტში, I.D. ხარისხი ნიკაძის უნივერსიტეტის დიპლომატიის სპეციალური და დოქტორის ხარისხი რადიკისის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის სპეციალური, პროფესორი დაიწყო 1987 წლიდან, ასევე ღვაწილობდა დიპლომატიის, კრიმინოლოგიაში თარგმანი, კონსულტაციული და მეთოდური მსოფლიოში დანავაშუსი, ბიკაძის მეთოდები, დოქტორი ლაუზის გამოქვეყნებული დანავაშუსის კანდიდატი, პროფესორი და კრიმინალური სამართლისა და მეთოდების რიგ შურნალში, რედაქციის: «დანავაშუსისა და სპეციალური დარღვევის კვლევის შურნალი», «კანონი და დანახარების ქანა», «კრიმინოლოგია» და სოციალური მეთოდების შურნალი, იგი არის თანაავტორი გამოქვეყნების, «კრიმინოლოგია» და კანონის სპეციალური, «კრიმინალური პროფესორი დანახარებისა და კრიმინალური მკვლევარი» და «დანავაშუსი, ლინკის უნივერსიტეტი».

ნაწილი I

შავკარავითი კრიზისოლოგია

თავი 1

შედარებითი კრიზისოლოგია

1993 წლის ივნისში გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააბატონა რვა „თავგადაპარსული“, რომელთაც ლოს-ანჯელესში პირველი აფრიკული მეთოდისტური საეპისკოპოსო ეკლესიის აფეთქება და ეკლესიის მრევლის დახვრეტა ჰქონდათ განზრახული. ამერიკელი „თავგადაპარსულები“ თავს ესხმიან შავკანიანებს, ებრაელებს, ჰომოსექსუალებს, ემიგრანტებს, უმცირესობათა ჯგუფებს — ყველას, ვინც თავიანთგან განსხვავებულად მიიჩნიათ და ამის გამო ათვალწუნებით უყურებენ. ისინი თავყანს სცემენ ჰიტლერს და ფაშისტურ ტერორს, უსმენენ რასისტულ მუსიკას, საჯაროდ გამოაქვთ სვასტიკები და ნაცისტური დროშები და ბევრი რასისტული ორგანიზაციის დამრტყმელი გვარდიის ფუნქციას ასრულებენ მათი რიცხვი 40 შტატის მიხედვით 3.300- 3.500-ს უტოლდება და 160-მდე დაჯგუფებაშია თავმოყრილი. გაზრდილმა საზოგადოებრივმა საშიშროებამ გვბ იძულებული გახადა უკან გამოეწვია რამდენიმე ფარული აგენტ, რომლებმაც „თავგადაპარსულთა“ რიგებში შეაღწიეს.¹

1985 წლის მაისში დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, დანიისა და საფრანგეთის „თავგადაპარსულთა“ დაჯგუფებებმა ბელგიაში ფესბურთის მატჩზე არეულობა გამოიწვიეს, რის შედეგადაც 38 ფერადკანიანი დაიღუპა და 200 დაიჭრა. ეს მოვლენა საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა და აქედან მოყოლებული „თავგადაპარსულთა“ საქმიანობა მრავალი ქვეყნის საინფორმაციო გადაცემების განუყრელი თემა გახდა. 1990-1991 წლებში სპარსეთის ყურის ომის დროს „თავგადაპარსულებმა“ ლონდონის შემოგარენში 20 მერეთი გადაწვეს.

1995 წლისათვის ექვსი კონტინენტის 33 ქვეყანაში დაახლოებით 70.000-მდე ახალგაზრდა მიემხრო „თავგადაპარსულთა“ ნეონაციურ მოძრაობას. განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა გერმანიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, აშშ-ში, პოლონეთში, დიდ ბრიტანეთში, ბრაზილიაში, იტალიასა და შვედეთში ჩამოყალიბებული დაჯგუფებები.²

ყველაზე მძიმე დარტყმა გერმანიაში, ნაცისტების სამშობლოში მიიღო, ააფეთქეს და გაანადგურეს ებრაელთა სახლები, დაარბიეს და დახოცეს ასობით უცხოელი მუშა და თავშესაფრის მაძიებელი ძველი გერმანიის იმპერიული დროშა - მათი საყვარელი სიმბოლო და შეძახილი „ჰაილ ჰიტლერ“ „თავგადაპარსულთა“ გამოსვლების აუცილებელ ატრიბუტად იქცა.

მათი ე.წ. იდეოლოგია საკმაოდ პრიმიტიულია. ამ ახალგაზრდებმა არაფერი იციან არც ჰიტლერზე და არც ომზე გარდა იმისა, რომ ჰიტლერი სიბობდა „განსხვავებულ“ ხალხს. ეს სწორედ ისაა, რისი კეთებაც მათ ასე მოსწონთ. ისინი არ კითხულობენ გაზეთებს, წარმოდგენაც კი არ აქვთ ბოსნიაში მიმდინარე ეთნიკური წმენდის შესახებ. მათ მხოლოდ ქილერების კომიქსები აინტერესებთ, მუსიკაში კი უპირატესობას ანიჭებენ „ოი“-ს, ჰევი-მეტალის ერთ-ერთ მიმდინარეობას, როგორც

გენოციდით მიღებული სიამოვნების გამოხატველს.

1990-91 წლებში შორევი შეტევები განხორციელდა ლონდონის მეჩეთებზე. 1994-95 წლებისათვის ამერიკის საშრეთში ცეცხლის აღში გაეხეცა აფრიკულ-ამერიკული ეკლესიები ყველა ეს დანაშაული სიძულვილის ნიადაგზე იქნა ჩადენილი ბოლო დროს საფრანგეთში აგორდა სიძულვილის ახალი ტალღა. „მტერი“ ამჯერად გარეუბნების გეტოებიდან მოგვევლინა, ძირითადად, აფრიკული წარმოშობის ნაძირალების სუბ-კულტურული ჯგუფის სახით. მათი ენა არის „ჰიფ-ჰოფი“, ხოლო ფესვები სათავეს იღებს „ბრონქსა და კინგსტონში, იამაიკაზე; საშრეთ-ცენტრალურ ლოს-ანჯელესსა და ბრიქსტონში, ლონდონში; დაკარსა და ალჟირში; ისლამურ სარწმუნოებასა და ეროვნული კალათურთის ასოციაციაში“.¹ მათი დამახასიათებელი ნიშნებია: მძვინვარება, კედლების ლოზუნგებით აჭრელება, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ცეცხლსაძროლი იარაღის ტარება. აქამდე ამ მოძრაობას „პარტიზანულ რენესანსს“ უწოდებდნენ. საინტერესოა, რამ გავიწვია ნეონაციზმის აყვავება და „თავდადაპარსულთა“ ჯგუფების ფორმირება, რომელთა საქმიანობაც „პარტიზანული რენესანსის“ სახელით არის ცნობილი, თითქმის ერთდროულად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში? ვინ აყალიბებს ამ ჯგუფების ექსცენტრულ იდეოლოგიას? აქვთ თუ არა კავშირი უცხოელ მომხრეებთან?

ამ კითხვებს რომ პასუხი გაეცეს, კრიმინოლოგებმა შედარებითი კვლევის მეთოდს უნდა მიმართონ. ჯერჯერობით ამ სფეროში კიდევ ბევრია გასაკეთებელი „თავდადაპარსულთა“ პრობლემის კვლევა კრიმინოლოგმა მარკ ჰამმა დაიწყო ნაშრომით „ამერიკელი თავდადაპარსულები — კრიმინოლოგია და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის კონტროლი“, სადაც საკითხი საერთაშორისო ჭრილშია გაშუქებული მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამერიკაში დატრიალებული მოვლენების კვალს ინგლისში მომხდარ მსგავს შემთხვევებამდე და გერმანიაში ჩასახული ნაციტური იდეოლოგიის საწყისებამდე მივყავართ. თუმცა შედარებითი კვლევების კუთხით კიდევ უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოა ჩასატარებელი, რათა საბოლოოდ მოხერხდეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ერთდროულად მომხდარ იდენტურ დანაშაულთა პრობლემის მეტნაკლებად ამომწურავად გადაჭრა.

პირველ თავში შევეცდებით განვმარტოთ შედარებითი კრიმინოლოგიის არსი, თეაღი გადავაგლოთ მისი განვითარების ისტორიას, განვსაზღვროთ ამ საგნის მიზანი და ამოცანები. მიმოვიხილავთ აგრეთვე შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წინამძღვრებს, კვლევის პროცესსა და გლობალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

§1 რა არის შედარებითი კრიმინოლოგია

შედარება ისეთი მოქმედებაა, რომელსაც ყოველდღიურად მიმართავს თითოეული ჩვენგანი, მაგალითად, სახლის არჩევისას ერთმანეთს ვუდარებთ ოთახების რაოდენობასა და ფასს, შენობის ადგილმდებარეობას, ტრანსპორტთან, მაღაზიებთან, გასართობ დაწესებულებებთან სიახლოვეს, ნაგებობის სიძველეს, გარემოს სიღამაზეს და ა.შ. თუ ასეთ შედარებას სისტემური ხასიათი მიეცემა, ის შეიძლება მეცნიერებად იქცეს. მსგავსი მოვლენასთან გვაქვს საქმე შედარებითი კრიმინოლოგიის შემთხვევაშიც.⁴

1. შედარებითი კრიმინოლოგიის არსი

მარტივად რომ ჩამოვაყალიბოთ, შედარებითი კრიმინოლოგია არის კრიმინოლოგიის ერთ-ერთი დარგი, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას და მისი კონტროლის მექანიზმებს ეროვნებათშორისო მონაცემების საფუძვლებზე შედარებითი მეთოდების გამოყენებით.⁵ მრავალი კრიმინოლოგი მიმართავს შედარებას კვლევის პროცესში ერთ ჯგუფს ადარებენ მეორესთან, ე.წ. კონტროლის ჯგუფთან. მაგრამ ეს არ არის საკმარისი პირობა შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევების ჩასატარებლად. აუცილებელია, რომ შედარება მოხდეს კულტურათა და ეროვნებათაშორისო მონაცემთა ბაზაზე. მონტანასა და მისისიპის შტატებში არსებული ვიქტიმიზაციის დონეთა შედარებითი შეისწავლა არ არის შედარებითი კრიმინოლოგიის საგანი, ვინაიდან ეს ორი შტატი ერთი ერისა და ერთი წამყვანი კულტურის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ თუ ვიკვლევთ ალკოჰოლის გავლენას ძალადობის ესკალაციაზე და ამ ნიშნით ვუდარებთ მონტანასა და ვაიომინგში მოსახლე შეინის ტომის წარმომადგენლებს და დანარჩენი შტატების მცხოვრებლებს, მაშინ საქმე გვექნება კულტურათაშორის შედარებასთან, ვინაიდან შეინის ტომს საკუთარი განსხვავებული საკანონმდებლო სისტემა და კულტურა გააჩნია.

2. შედარებითი კრიმინოლოგიის ისტორია

შედარებითი კრიმინოლოგიის ხანგრძლივი ისტორია აქვს, როდესაც ძვ. წ. აღ. V საუკუნეში რომაელთა წინაშე დადგა დამნაშავეობის პრობლემა, მათ დახმარებისათვის უფრო დაწინაურებულ ქვეყანას - საბერძნეთს მიმართეს და საგანგებო დელეგაცია გაგზავნეს დანაშაულთან ბრძოლის უფრო დახვეწილი მეთოდების გასაცნობად, როგორც არის, მაგალითად, კანონების გამოქვეყნება. გვიანი შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანაში (XIV-XVI სს) მთელი კონტინენტური ევროპა ერთ დიდ შედარებით ლაბორატორიად იქცა, სადაც ხდებოდა სხვადასხვა ქალაქებსა თუ სამთავროებში შექმნილი კანონების შედარება ძველი რომის იმპერიის ახლად აღმოჩენილ კანონებთან.

ამ პერიოდიდან მოყოლებული დანაშაულის კონტროლის მეთოდები სულ უფრო უხეში ხდებოდა. მდგომარეობა არ შეცვლილა XVIII საუკუნემდე, სანამ შედარების, თანამშრომლობისა და აზრთა გაზიარების წყალობით კლასიკური სკოლის ნაშრომებით კვლავ არ დაიწყო ევროპასა და ამერიკაში დანაშაულის კონტროლის საკითხში რაციონალიზმისა და ჰუმანური პრინციპების დამკვიდრება. XIX საუკუნეში, როცა გაიზარდა კომუნიკაციის შესაძლებლობები, კრიმინოლოგიის სპეციალისტებმა დაიწყეს არსებული თვალსაზრისებისა და მიდგომების შედარება, სისტემების შეისწავლა, შერჩევა და დანერგვა. ისეთმა ცნებებმა, როგორებიც არის: არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო, პენიტენციური და პრობაციული სისტემები, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება, მსოფლიო აღიარება სწორედ შედარების წყალობით მოიხვია. და მაინც XIX საუკუნისა და ადრე XX ს-ის დასაწყისის შედარებითი კვლევებს აკლდა მეცნიერული სიზუსტე. მაგალითად, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო, რომელიც პირველად 1899 წელს დაარსდა ჩიკაგოში, იმდენად მისაღები აღმოჩნდა, რომ მალე სხვა ქვეყნებშიც ამოქმედდა, თუმცა როგორც შემდგომმა გამოცდილებამ დაგვანახა, ყველგან როდი გაამართლა.

კრიმინოლოგიის ფუძემდებლები, ამერიკელი კრიმინოლოგების ჩათვლით, უპირატესად, კომპარატივისტები იყვნენ. როგორც პირადი კონტაქტების, ასევე

საერთაშორისო უკუკავშირების დროს გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს უწყობდა კრიმინოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებას. მაგრამ ჭეშმარიტი შედეგებითი კვლევა ვერ განხორციელდებოდა მანამ, სანამ კრიმინოლოგია არ ჩამოყალიბდებოდა მეცნიერებად. XX საუკუნის I ნახევარში ინტერნაციონალიზმის წინ აღუდგა იზოლაციონიზმი. კომპარატივისტიკები მეოცნებებად მიიჩნეოდა, ხოლო შედეგებითი მდგომარეობა - არაპრაქტიკულ საქმიანობად.

გლობალიზაციის უბრატესობანა ამჟამად ვითარება მკვეთრად არის შეცვლილი დღესდღეობით მსოფლიო ერთ „გლობალურ სოფლად“ იქცა, რასაც თავის მხრივ მოჰყვა შედეგებითი კრიმინოლოგიის განვითარება. თუ აშშ-ის ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებს გადავხედავთ, დაეინახავთ, რომ 1960 წელს აშშ-ის ექსპორტმა შეადგინა 19.659 მილიონი დოლარი 1998 წელს ეს მონაცემი 35-ჯერ გაიზარდა და 683.000 მილიონ დოლარს მიაღწია. შესაბამისად, 1960 წელს იმპორტი შეადგენდა 5.073 მილიონ დოლარს, 1998 წლისათვის ეს მონაცემი 62-ჯერ გაიზარდა და 944.000 მილიონ დოლარს მიუახლოვდა და ეს გლობალური სავაჭრო სურათის მხოლოდ ნაწილია.

მსოფლიოს ეკონომიკა ტოტალურად ინტეგრირებული და ურთიერთდამოკიდებული გახდა. იაპონური მანქანა შეიძლება აშშ-ში იყოს დაშვადებული, ხოლო ამერიკული მანქანა მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში დაშვადებული ნაწილებით იყოს აწყობილი პერანგი შეიძლება ჰონგ-კონგური გეცვათ, ფეხსაცმელი - იტალიური, შვეიცარული საათი კი - ამერიკის ვირჯინის კუნძულებზე გამოშვებული რაც შეეხება საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებს, „კოკა-კოლა“, „პეპსი“ და ამერიკულ სასაუზმეთა ქსელი ეკონომიკური გლობალიზაციის ყველაზე თვალშისაცემი მაგალითებია.

ასევე გლობალური გახდა კომუნიკაციებიც. დღეს ტელევიზორის წინ მჯდარი ადამიანი მსოფლიო მოვლენების მონაწილე ხდება. ტელეფონის, ფაქსისა და კომპიუტერული ქსელების მუშაობამ დააჩქარა პირადი თუ საქმიანი ურთიერთობების წარმართვა. ტრანსპორტირების პროცესის გაუმჯობესებამ, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც დაიწყო რეაქტიული თვითმფრინავების წარმოება, და საზღვრების გახსნამ მილიონობით ადამიანისათვის გახდა შესაძლებელი ოკეანის გადალახვა რამდენიმე საათში. საჰაერო ტრანსპორტის დატვირთვა 1960 წლის მგზავრთა მიერ დაფარული 26 ბილიონი მილიდან 2000 წლის ბოლოს 2 ტრილიონს მიუახლოვდა.

ევროპა კიდევ უფრო ინტენსიურად შეიგრძნობს გლობალიზაციის ეფექტს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიკაციური დიქტატურის დაშობამ და ევროპაში საზღვრების ფაქტურმა გაუქმებამ თან მოიტანა დანაშაულის ისეთი პრობლემები, რომლებიც ევროპას მანამდე არ ახსოვდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით ეროვნული კრიმინოლოგია გადაიქცა საერთაშორისო კრიმინოლოგიად. ფაქტურად, მოხდა კრიმინოლოგიის გლობალიზაცია.⁷

გლობალიზაცია და მისი ნაკლოვანებანა გლობალიზაციის კაცობრიობისათვის მოაქვს როგორც სიკეთე, ასევე მრავალი საჭირობოროტო პრობლემა. სწრაფი კომუნიკაცია ხელს უწყობს არა მარტო ცხოვრების სტილის გაუმჯობესებასა და სასარგებლო ცოდნის გავრცელებას, არამედ ისეთი უსარგებლო იდეებისა და ფასიულობებისაც ბადებს, როგორიც არის, მაგალითად, „თავგადაპარსულთა“ ფენომენი. ეკონომიკის გლობალიზაცია გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს ხელისაყრელ კომერციას,

იმაგდროულად ეხმარება ორგანიზებული დანაშაულისა და თაღლითობის გლობალურ გავრცელებას, რაც ადრე ადგილობრივი პატარა დასახლებებისა და ცალკეული ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი.

რეაქტიულ თვითმფრინავებს გადაჰყავთ არა მარტო კანონიერი მგზავრები, არამედ არალეგალური უცხოელი კრიმინალური მეწარმეები, ნარკოტიკებით მოვაჭრეები, ფულის გამთეთრებლები და ტერორისტები. თავად თვითმფრინავიც საერთაშორისო დამნაშავეთა სამიზნე ხდება. მსოფლიო ინდუსტრიალიზაცია ეკონომიკურ კეთილდღეობასთან ერთად უმწვევავს საფრთხეს უქმნის პლანეტის ეკოლოგიას, ადამიანისათვის აუცილებელ საარსებო გარემოს, წყლის, საკვებისა და სუფთა ჰაერის მარაგს. შესაბამისად, დანაშაულისა და დანაშაულის კონტროლის კვლევის საკითხებში კრიმინოლოგებაც უნდა გასცდნენ თავიანთი ქვეყნების საზღვრებს და ზოგად პრობლემათა გადასაწყვეტად საყოველთაოდ მისაღები გზების ძიება დაიწყონ.

3. შედარებითი კვლევის მიზნები

1970 წლამდე შედარებითი კრიმინოლოგიის დარგში ძალზე მწირი ლიტერატურა არსებობდა. მაგრამ შემდგომ მისმა რაოდენობამ სწრაფად მოიმატა, საჭირო გახდა: 1) დანაშაულის არსის უკეთ გასაგებად ამა თუ იმ თეორიის შემოწმება სხვადასხვა კულტურის პირობებში. 2) სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათი მიღწევების გათვალისწინება.⁵

მაშასადამე, შედარებით კრიმინოლოგიას აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიზანი. იგი გვეხმარება, უკეთ გავიგოთ დანაშაულის მიზეზები და მოეძებნოთ დანაშაულის კონტროლის უფრო მოხერხებული საშუალებები, რათა არც ერთმა ერმა არ გაიმეოროს სხვების მიერ დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები. დღესდღეობით გაეროს მრავალნი ფილიალია ჩართული ამ საქმიანობაში, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს იმ საშიშროების დაძლევა, რაც ყველა კულტურის ხალხს ემუქრება.

ვიდრე შედარებითი კვლევის განხილვას შევუდგებოდეთ, მანამ გადავხედოთ შედარებითი კრიმინოლოგიების მიერ გამოყენებულ მეთოდებს.

§2 შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის წარმოება

შედარებითი კვლევა საჭიროებს საგანგებო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, რათა გაირკვეს კვლევის მონაცემები და ინფორმაცია ნამდვილად შედარებადია თუ არა. ემპირიულ კვლევას სხვა წინააღმდეგობებიც ახლავს თან.

1. მოსამზადებელი სამუშაო

უცხოურა სამართლის შესწავლა. სანამ შედარებით შესწავლას დაიწყებს, მკვლევარი კარგად უნდა გაეცნოს იმ ქვეყნისა თუ კულტურის კანონებს, რომელზეც ვრცელდება ეს შედარება. ყოველი ქვეყანა მიეკუთვნება მსოფლიოს ერთ ან რამდენიმე სამართლის ოჯახს ან სამართლის სისტემას.

სამოქალაქო სამართლის სისტემა. ეს სისტემა აღმოცენდა რომაული სამართლის ტრადიციებზე, რომელიც შემდეგდროინდელმა მეცნიერებმა დახვეწეს, ხოლო XIX ს-ის დასაწყისში, ნაპოლეონის პერიოდში კანონთა კოდიფიკაცია მოახდინეს. დღეს იგი სისტემატიზებულ კანონთა კოდექსებშია შეტანილი სამართლის ამ ოჯახს მიეკუთვნებიან: ევროპის ქვეყნები და მათი ყოფილი კოლონიები აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და აზიაში, აგრეთვე იაპონია და ჩინეთი, რომლებმაც სამოქალაქო სამართლის მოდერნიზებული სისტემა აირჩიეს.

საერთო სამართლის სისტემა. საერთო სამართალი აღმოცენდა ინგლისში და შემდეგ გავრცელდა ინგლისის სხვადასხვა კოლონიაში. დღეს ეს სამართლებრივი სისტემა დამკვიდრებულია არა მარტო გაერთიანებულ სამეფოში, არამედ აშშ-ში, კანადაში (კვებეკის გარდა), ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, ინდოეთსა და კარიბის ზღვის ბევრ კუნძულზე, აფრიკაში და აზიის ქვეყნებში, რომლებიც ადრე ინგლისის კოლონიები იყვნენ. რამდენადაც საერთო სამართალი პრეცედენტული სამართლიდან აღმოცენდა, მასში პრეცედენტი კვლავაც გადამწყვეტ როლს ასრულებს.

სხვა სამართლებრივი სისტემები. როდესაც კომპარატივისტი გაიაზრებს, თუ რომელ სამართლებრივ სისტემას მიეკუთვნება ქვეყანა, იგი უნდა შეუდგეს შესაბამისი სამართლის შესწავლას და მის ზუსტ ინტერპრეტაციას. უცხოური სამართლებრივი სისტემები, როგორც, მაგალითად, აშშ-შია მიღებული, მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსს, სისხლის სამართლის პროცესუალურ კოდექსს, კონსტიტუციას და სასამართლო საქმეთა ჩანაწერებს. გარდა ამისა, ამ სისტემებში შედის სპეციალური კანონმდებლობაც, რომელიც ეხება გარემოს დაცვას და ფულის გათეთრებას. ფედერალურ ქვეყნებში შესწავლილი უნდა იქნეს როგორც ფედერალური, ასევე შტატის კანონმდებლობა.

შემდეგი პრობლემა ამ ქვეყნის კანონების მოძიებაა, რაც ინგლისური ენის მკოდნე მკვლევართათვის არ წარმოადგენს დაუძლეველ ამოცანას. ინგლისურენოვანი ქვეყნების კანონების, სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სახელმძღვანელოების გაცნობა შესაძლებელია ბიბლიოთეკებში ინგლისურ ენაზე არსებობს აგრეთვე სხვა ქვეყნების კონსტიტუციები,¹ სისხლის სამართლის² და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები³. შესაძლებელია ასევე არაინგლისურენოვანი ქვეყნების სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესახებ არსებული ინგლისური თარგმანების მოძიება,⁴ მაგრამ, ვინაიდან ყოველთვის აღინიშნება განსხვავება კანონსა და მის მოქმედებას შორის, კომპარატივმა უნდა გამოიყენოს გამოკვლევები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ.

უცხოური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების გაცნობა. კანონები მოქმედებენ ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. კანონის პრაქტიკოსები ახორციელებენ; შესაბამისად, შესაძლებელია მათ გამოცდილებაზე დაფუძნებული საანგარიშო მოხსენებების შეკრება.⁵ ასევე ინგლისურად არსებობს დიდძალი პერიოდული ლიტერატურა და სტატისტიკური მონაცემები, სადაც ასახულია სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოქმედების მქეიანიზმი.⁶

თანამედროვე განსხვავებული კულტურების შეჯერებულ ტექსტებსა და ტრაქტატებში დახასიათებულია 50-ზე მეტი ქვეყნის კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარების თავისებურებები.⁷ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მთლიან სისტემასთან ერთად მოცემულია ქვესისტემათა

მოქმედების დახასიათებაც. მაგალითად, სუბტომიან კრებულში განხილულია მსოფლიოს ორ ათეულ ქვეყანასა და რეგიონში არსებული სამართალდარღვევებისა და არასრულწლოვანთა მიმართ აღსრულებული მართლმსაჯულების საკითხები.²⁵ სპეციალისტების მიერ გამოკვლეულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა საკითხებიც ისეთ სფეროებში როგორცაა: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა,²⁶ გამასწორებელი ზომები²⁷ და ქალთა დამნაშავეობა.²⁸

უცხოური კულტურის შესწავლა. კომპარატივის უნდა შესწევდეს საკუთარი კულტურის შემეცნების უნარი შედარებითი საშუაოს ჩასატარებლად უნდა შეისწავლოს უცხოური კულტურა, გაეცნოს მის ისტორიას, პოლიტიკას, ეკონომიკას და სოციალურ სტრუქტურას. შედარებითი კრიმინოლოგიის ისეთ წარმომადგენელთა ნაშრომები - როგორებიც არიან: ბ. მარშალი, რომელიც შევიცარიის, ინდოეთისა და სხვა განვითარებადი ქვეყნების პრობლემებზე მუშაობს,²⁹ ლუის ი. შელი - აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტი³⁰ და უილიამ კლიფორდი, ზოგიერთი აფრიკული ქვეყნისა და იაპონიის პრობლემათა მკვლევარი³¹ - ნათლად გვიჩვენებენ, რომ შედარებითი კვლევის ობიექტურად წარმართვისათვის აუცილებელია, შეცნოერ-მკვლევარი ღრმად ჩაწვდეს შესასწავლი ქვეყნის კულტურას.

მონაცემთა შეგროვება. კვლევას საფუძვლად უნდა ედოს ფაქტობრივი ინფორმაცია. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანას ჯერ კიდევ არ გააჩნია დანაშაულის პრობლემებზე ინფორმაციის სისტემატური შეგროვების საშუალებები,³² მაგრამ მათი უმრავლესობა ან სტატისტიკას აგზავნის საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციაში,³³ რომელიც აქვეყნებს მონაცემებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ანდა მონაწილეობს გაეროს გამოკვლევებში, რომლებიც ეხება დანაშაულის მიმართულებებს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემების მოქმედებას და დანაშაულის აღკვეთის სტრატეგიას. გაეროს გამოკვლევა ქვეყნდება 5 წლიანი ციკლით და 1970 წლიდან მოყოლებული დღემდე მოიცავს 100-ზე მეტი ქვეყნის სტატისტიკას დანაშაულის გავრცელებისა და კრიმინალური სისტემის მოქმედების შესახებ.³⁴

მკვლევართათვის ხელმისაწვდომია კიდევ რამდენიმე საერთაშორისო მონაცემთა ბაზა, მათ შორის: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკა მკვლევლობათა შესახებ,³⁵ კერძო ინციატივით შედგენილი დანაშაულთა შედარებითი კვლევის ფაილი, რომელიც მოიცავს 110 დამოუკიდებელ სახელმწიფოს (გამოქვეყნდა 1984 წ.).³⁶ და „დანაშაულის კორელატები“ (გამოქვეყნდა 1989 წ.).³⁷

საერთაშორისო დანაშაულთა სტატისტიკას ოგივე პრობლემები გააჩნია, რაც ამერიკის კრიმინალურ სტატისტიკას, მაგრამ გაცილებით ფართო მასშტაბის.³⁸

საბოლოოდ, სხვადასხვა ქვეყნის დანაშაულის უფრო ზუსტი სურათის მისაღებად მკვლევარებმა ორი დამატებითი სტატისტიკური ბერკეტი შეიმუშავეს:

1. საერთაშორისო დანაშაულში დაზარალებულთა მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც დაიწყო 1989 წ. და 1997 წლამდე მოქმედებდა. სხვადასხვა ქვეყნებიდან და საკვლევი ცენტრებიდან დაკომპლექტებულმა მკვლევართა ჯგუფმა წარმოადგინა ვიქტიმიზაციის კვლევის შედეგების ამსახველი სამი მოხსენება, სადაც თავმოყრილი იყო მრავალი განვითარებული (ინდუსტრიული) თუ განვითარებადი ქვეყნის მონაცემები. მსოფლიო მასშტაბით ინტერვიუ ჩამოართვეს 130.000 ადამიანს 40 ენაზე.³⁹
2. თვითანგარიშის კითხვარის მონაცემთა მიხედვით შეფასდა 14-დან 21 წლამდე

ასაკის ახალგაზრდების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები 12 ქვეყანაში, მათ რიცხვში: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ძალადობა და ნარკომანია. 1992 წლის ეს მიმოხილვა არ მოიცავდა განვითარებად ქვეყნებს.¹¹

გაეროს მოხსენებებში ასახული „ოფიციალური“ დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის დონეთა შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული თუმცა ვიქტიმიზაციის კვლევის შედეგებით დანაშაულის მაღალი დონეა დაფიქსირებული რაც წლების განმავლობაში ასევე უფრო მკვეთრად მერყეობს ვიდრე გაეროს მოხსენებებში დადასტურებული მონაცემები. შესაბამისად, შეიძლება დაეასკვნათ, რომ გაეროს მოხსენებებში ასახული სურათი მეტ-ნაკლებად მისაღები უნდა იყოს ბევრი ქვეყნისათვის.

2. შედარებითი კვლევა

ზემოთ განვიხილეთ ისეთი საკითხები, როგორცაა საზღვარგარეთის ქვეყნების სამართალი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები, კულტურული მახასიათებლები და სხვა ხელმისაწვდომი მონაცემები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის დაწყებამდე. მათი შესწავლის შემდეგ კომპარტივისტის წინაშე ორი პრობლემა იქნის თავის: დანაშაულისა და მართლმსაჯულების ურთიერთდაპოკიდებულება და კულტურული სპეციფიკურობა.

მოგვწინათა ურთიერთდამოკიდებულება. წარმოვიდგინოთ ჭერზე დაკიდებული გაწონასწორებული მოძრავი კონსტრუქცია, მისი უმცირესი დეტალიც რომ გადავაადგილოთ. მთელი მექანიზმის ბალანსი დაირღვევა. იგივე შეიძლება ითქვას დანაშაულისა და მართლმსაჯულების პრობლემაზე საზოგადოებაში. აქაც ყოველი რგოლი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთის ახსნა სხვათაგან განცალკევებით შეუძლებელია. ველოსიპედის ქურდობა გვხვდება ისეთ ქვეყნებში, სადაც იგი ინტენსიურად გამოიყენება როგორც სატრანსპორტო საშუალება, მაგალითად: ჩინეთში, დანიაში, ნიდერლანდებში აგრეთვე აშშ-სა და მექსიკაში. მაგრამ ბევრ ქვეყანაში ქურდობის ეს სახე განსხვავებულად აღიქმება და შესაბამისად, განსხვავებული შედეგებაც მოსდევს.

შეიძლება თუ არა ველოსიპედის ქურდობა შესადარებელ პრობლემად მივიჩნიოთ მსოფლიო მასშტაბით? რას მოგვცემს ასეთი შედარება ან რა ფაქტორებია გასათვალისწინებელი ამ მხრივ? უკეთესი ზომ არ იქნება ჩინეთში ველოსიპედის ქურდობის შედარება იტალიაში მანქანის ქურდობასთან? როგორ შეესაბამება ან როგორ მოერგება ეს საკითხები მათ ქვეყანაში დამკვიდრებულ დანაშაულისა და მართლმსაჯულების მექანიზმებს?

კულტურული თაფსებურებანი. შედარებითი კრიმინოლოგიის ამოცანა იმ ქორუგისას ჰგავს, რომელმაც გულის ან ღვიძლის ტრანსპლანტირება უნდა მოახდინოს. ამისათვის ქორუგი იკვლევს უამრავ ფაქტორს, რათა დარწმუნდეს, რომ დონორის ორგანო შეესაბამება რეციპიენტის ორგანიზმს. თუ გვინდა, იაპონიაში დამნაშაევობის დაბალი დონე შევადაროთ აშშ-ში დაფიქსირებულ მაღალ დონეს, ასევე მრავალი ფაქტორი უნდა გაეთვალისწინოთ, ერთ-ერთია, მაგალითად, სარცხვილის როლი იაპონურ საზოგადოებაში. ცუდი საქციელი არცხვენს არა მხოლოდ პირთვებას, არამედ მის წრეს, ოჯახსა და სკოლას. მაგრამ აქვე წამოიჭრება კითხვა,

შეიძლება შერცხვენას სანქციის როლი დაეკისროს ამერიკის მართლმსაჯულებაში? ან არის კი ოგი ისეთივე კულტურული მახასიათებელი? ამგვარი კითხვების დასმა უფრო ადვილია, ვიდრე მათზე პასუხის გაცემა, რადგან შედარებით კრიმინოლოგიაში კვლევის გამოცდილება ჯერ კიდევ საკმაოდ მწირია.

3. შედარებითი კვლევის ძარალი და წყაროები

პირველი წიგნი სათაურით „შედარებითი კრიმინოლოგია“ 1965 წელს გამოიცა. მისი ავტორი, აწ განსვენებული მეცნიერი ჰერმან მანჰეიმი საკუთარ მდიდარ კროს-კულტურულ გამოცდილებას ეყრდნობოდა, მაგრამ შედარებით მეთოდს სრულიად არ შეხება.³² დღესდღეობით ამ დარგის მკვლევარებსა და მასწავლებლებს უკვე შეუძლიათ ისარგებლონ უამრავი სხვადასხვა ცნობარით,³³ სახელმძღვანელოთ,³⁴ მონოგრაფიითა და წიგნის ფორმატით გამოცემული საინფორმაციო მონაცემებით, რომელიც ამ დარგში გაეროს საქმიანობის შედეგებს ასახავს და რომელშიც არსებითი მნიშვნელობა „დანაშაულისა და მართლმსაჯულების შესახებ გლობალურ ანგარიშს“ ენიჭება.³⁵

4. უმძროული კვლევის პრობლემები

კრიმინოლოგმა, რომელმაც ვერ მოიძია ან ვერ დაეყრდნო შესადარებელ მასალას, თავად უნდა წარმართოს კვლევა სხვა პარალელურ დარგში. ამ მხრივ გადასაწყვეტია სამი საკითხი: 1. შესადარებელი პრობლემის დადგენა. 2. საინფორმაციო წყაროს დადგენა 3. შესადარებლად აღებული ქვეყნებისათვის თანაბრად მორგებული შესაბამისი კვლევის მეთოდის შერჩევა.

შესადარებელი პრობლემის დადგენა (იდენტფიკაცია). ნიუ-იორკის უნივერსიტეტის შედარებითი სისხლის სამართლის პროექტის მკვლევარებმა 1960 წელს მოახდინეს დამნაშავეობის გავრცელების შეადარება რამდენიმე კულტურის მაგალითზე. შედეგად აღმოჩნდა, რომ ევგობტეში სამართალდარღვევათა ყველაზე დიდი რაოდენობა რკინიგზაზე იყო ჩადენილი. ამ კითხვას პასუხი ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით გაეცა: გრძელი რკინიგზის ხაზი, რომელიც მდინარე ნილოსს გასდევს, იქაური ახალგაზრდობის საყვარელი თავშეყრის ადგილია.³⁶ მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები რეგისტრირდებოდა როგორც რკინიგზაზე მომხდარი დანაშაულის შემთხვევები და არა როგორც სამართალდარღვევები. ასე რომ, „სარკინიგზო დანაშაულები“ შედარება უნდა მოხდეს არასარკინიგზო სამართალდარღვევებთან როგორც ევგობტეში, ისე სხვა შესადარებელ ქვეყნებში.

ინფორმაციის წყაროს დადგენა. არ უნდა მოხდეს ერთი საზოგადოების სოციალური ჯგუფის შეადარება სხვა საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ჯგუფთან. ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მათივე ასაკის ამერიკელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები არიან და ერთ მთლიანობას წარმოადგენენ, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ჰაიტის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზე. იმაება კითხვა, რომელი ჯგუფები შეიძლება შევადაროთ ისეთ პოპულარულ ობიექტებს, როგორებიცაა: ამერიკული კოლეჯის სტუდენტები, შავი მუშები და მცირე ბიზნესში მომუშავე პირები? როგორ უნდა მოხდეს ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ

ჯგუფთა სწორი შერჩევა?

მკვლევარი დარწმუნებით შეიძლება დაეყრდნოს, ვთქვათ, ბელგიის პოლიციის მონაცემებს, მაგრამ საეჭვოდ მიიჩნოს მალის, მაღავეისა თუ სომხეთის პოლიციის მასალების სანდოობა. ასეთ შემთხვევაში შესადარებელი ობიექტის ჩანაცვლება დიდ სიფრთხილესა და პრობლემის ყოველმხრივ გააზრებას მოითხოვს.

შედარებითი კვლევის მეთოდებს შერჩევა. კრიმინოლოგი ჯეიმს ფინკენაუერი ამერიკელი და რუსი ახალგაზრდობის სამართლებრივი თუ სხვა ფასიულობებისადმი დამოკიდებულების შესწავლისას დიდ სირთულეებს წააწყდა რუსეთის ადმინისტრაციის მხრიდან, ისინი წინააღმდეგები იყვნენ, რომ ფინკენაურს თუნდაც ანონიმურად გამოეკითხა ახალგაზრდები მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევათა შესახებ. საბჭოთა კულტურა გზას უღობავდა ამგვარ ინციტივას. პრობლემა გადაიჭრა ახალგაზრდებისათვის მხოლოდ არაპირდაპირი კითხვების დასმით, ვთქვათ: „რამდენად არასწორი იქნებოდა ამა თუ იმ საქციელის ჩადენა?“ რასაც მოჰყვებოდა ნახევრად პირდაპირი კითხვები როგორცაა: „გთვლიან თუ არა თქვენი თანატოლები (მშობლები და ა.შ.) კარგ ბიჭად, ცუდ ბიჭად ან საშუალოდ მათ შორის?“ მხოლოდ კომუნიზმის დასასრულს, 1991 წელს შესიძლო ფინკენაურმა სამართალდარღვევათა თვითანგარიშის კითხვარის შეესება.

ბევრ სხვა ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული კვლევის უტყუარი მეთოდები, ხოლო სადაც არის, იქ ეჭვის თვალთ უყურებენ მას. მაგალითად, როცა პოლიციის ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების გასარკვევად, რომლის კვლევაც 4 კულტურის ფარგლებში მიმდინარეობდა, ერთ-ერთი პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს სოსოვეს გამოეკითხა ჩაეტარებინა აღნიშნული სამსახურის ოფიცერთა შორის, პირველი, რაც მან განაცხადა, იყო: „როგორც ეტყობა ვერ გარკვეულხართ ჩვენი პოლიციის მუშაობაში აქ კითხვებს ჩვენ ვიძლევი!“

ბოლოს და ბოლოს იგი დათანხმდა და დაართვა კითხვარი, როდესაც შედეგები გაანალიზეს, მკვლევარები გაოცდნენ - ყველა პასუხი იდენტური აღმოჩნდა. ეტყობა, მან, ვისაც ეს საქმე მიანდეს, თითოეული კითხვარი განიხილა და „შეამოწმა“, რათა დარწმუნებული ყოფილიყო მათ „სისწორეში“.¹⁷

§3 თეორიათა შემოწმება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კრიმინოლოგიურ თეორიათა კულტურათაშორისო საფუძველზე შემოწმება კრიმინოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი გახდა. ჩვენ შევვებით და განვიხილავთ ბოლოდროინდელ ნაშრომებში ჩამოყალიბებულ დანაშაულის მიზეზობრივი განპირობებულობის თანამედროვე თეორიებს. თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, კულტურათაშორისო თეორიის შემოწმება უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს.¹⁸

1. ძირითად თეორიათა გარემოების საყოველთაოდ აღიარება

შელდონ და ელიანორ გლუკების ნაშრომი „არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების ახსნა“ (1950 წ.)¹⁹ გამოქვეყნებისთანავე გააკრიტიკეს მეტიმეტად ვიწრო კულტურული სპეციფიკის გამო, რადგან კვლევები მხოლოდ

ამერიკელი ბავშვების მაგალითზე იყო ჩატარებული ამის საბაზუხოდ მეცნიერებმა გლუკების გამოკვლევა გაიმორეს სხვადასხვა კულტურულ გარემოში — პუერტო-რიკოში, გერმანიასა და იაპონიაში. როგორც თავად გლუკები აღნიშნავენ, „ყველა ამ ნაშრომში გამოკვეთილად წარმოჩნდა ერთი რამ — სხვა მკვლევართა მიერ მათი ნაშრომის სხვა მოდელზე მისადაგების შესაძლებლობა“.⁴⁰ გლუკების სამართლდარღვევითა პროგნოზირების სისტემის კულტურათაშორისო გამოყენების ვარგისიანობის დამტკიცება ყველაზე ადრეული ემპირიული შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევების მაგალითებს წარმოადგენს.

მოგვიანებით კრიმინოლოგმა ობი ებემ მიმოიხილა გლუკების ნაშრომები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათი თეორიები ნიგერიელი არასრულწლოვანი სამართლდამრღვევების ანალიზისთვისაც გამოდგებოდა.⁴¹ მანვე გამოიკვლია ამერიკაში შემუშავებული ისეთი თეორიების კულტურათაშორისო ვარგისიანობა, როგორცაა სოციალური კონტროლის, კულტურული კონფლიქტის და დიფერენციალური ასოციაციების თეორიები. ბოლო რამდენიმე წელია, რაც სხვა მეცნიერებმაც მიმართეს შესაძლებლობის თეორიას,⁴² სისხლის სამართლის დანაშაულის სიტუაციურ მახასიათებლებს,⁴³ რუტინული საქმიანობის თეორიას,⁴⁴ დიფერენციალური შესაძლებლობის თეორიას,⁴⁵ სოციალური კონტროლის და დაძაბულობის თეორიებს,⁴⁶ და ღურკვიმის უკანონობის თეორიას.⁴⁷ ამ ნაშრომთა უმრავლესობა ცხადყოფს, რომ ყველა ეს თეორია მეტ-ნაკლებად საფუძვლიანია.⁴⁸

2. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები

თანამედროვე პერიოდში კულტურათაშორისო მკვლევარების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ახალმა ჰიპოთეზამ, რომლის თანახმადაც მოდერნიზაციისა და ურბანიზაციის პროცესის თან სდევს დამნაშავეობის ზრდა.⁴⁹ შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა საკითხი — არის თუ არა სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დამნაშავეობის ზრდის თანამდევნი მოვლენა.⁵⁰ ნაწილი მიიჩნევს, რომ სწრაფ განვითარებას კავშირი აქვს ზოგიერთი სახის, უპირატესად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან.⁵¹ ნაწილი კი აღნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაში ურბანიზაცია და ინდუსტრიალიზაცია სრულიად არ შეხებია დამნაშავეობის დონეს.⁵² მაგრამ არაკონტროლირებადმა სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რაც გამოიწვია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ნამდვილად განაპირობა დამნაშავეობის ზრდა.⁵³ კომპარატივის კრიმინოლოგთა დიდი ნაწილი ითვალისწინებს რა განვითარებასა და დამნაშავეობას შორის არსებული რთული ურთიერთკავშირის მექანიზმს, სიფრთხილით ეკიდება ამ უნივერსალური თეორიული კანონზომიერებების ჩამოყალიბებასა და დადგენას.⁵⁴

§4 პრაქტიკული მიზნები

1. გამოცდილების გაზიარება

გლობალიზაციის ზრდასთან ერთად დანაშაულის პრობლემათა მსგავსებაც იზრდება. ბუნებრივია, რომ კრიმინოლოგმა დასკვნების გამოსატანად უნდა მიმართოს

სხვა ქვეყნების გამოცდილებას, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისას, რომლებმაც ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს მიაღწეს.⁵⁵ მაგალითად, მსოფლიოში გავრცელებულ ნააცამ მდგომარეობაში მანქანის მართვის პრობლემაზე შედარებითი კვლევა ჩატარდა ავსტრალიაში ნორვეგიასა და აშშ-ში.⁵⁶ ორჯერ მოეწყო ცვცხლასროლი იარაღის კონტროლისადმი მიძღვნილი კვლევა, პირველად 7 ქვეყნის მონაცემები გაანალიზდა, ხოლო მეორედ - 26-ის.⁵⁷ სადაზღვევო თაღლითობის საკითხები კი გამოკვლეული იქნა 8 ქვეყანაში.⁵⁸

ახლახან გამართულ სიმპოზიუმზე მოახდინეს ეკოლოგიურ დანაშაულთან ბრძოლის დიფერენციალური მეთოდების შედარება აშშ-ის, გერმანიის, ავსტრიის, იაპონიისა და ტაივანის მაგალითზე.⁵⁹ შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევები ჩატარდა ისეთი ძალადობრივი დანაშაულობების შესასწავლად, როგორცაა: ბავშვების მკვლელობა,⁶⁰ მეუღლეთა მკვლელობა,⁶¹ ძალადობა ქალაქებში,⁶² მკვლელობა ახალგაზრდა მამაკაცებს შორის.⁶³ გასული 25 წლის მანძილზე მეტი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრობლემის შედარებით კვლევას.⁶⁴

მნიშვნელოვანი მოცულობის კულტურათაშორისო კვლევაა ჩატარებული დანაშაულის კონტროლის სხვადასხვა ასპექტების გასარკვევად. ამ სფეროში არსებული ყველაზე ადრეული ნაშრომი ეძღვნებოდა მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებში პოლიციის ძალაუფლების აღქმის თავისებურებებს 4 ქვეყნის მაგალითზე.⁶⁵ კანონის შექმნების საკითხი შესწავლილ იქნა 6 კულტურაში⁶⁶ და ახლახან გამოქვეყნდა ნაშრომი, სადაც გაანალიზდა თინეიჯერების მიერ დანაშაულის და სახსლის სამართლის მართლმსაჯულების აღქმის პრობლემები ორი ქვეყნის მონაცემთა საფუძველზე.⁶⁷

კომპარატივისტიკები თავიანთ კვლევებში ყურადღებას უთმობენ პოლიციის მიერ წესრიგის დაცვისას⁶⁸ თუ გამოყენებული სანქციების სადავო საკითხებს.⁶⁹ ვიქტიმოლოგები განსაკუთრებით აქტიურად აწარმოებენ კულტურათაშორის კვლევებს.⁷⁰

2. საერთაშორისო სტრატეგიის შემუშავება

შედარებითა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გამოვლენილი დანაშაულების პრობლემები უმეტესწილად ერთმანეთის მსგავსია. ამიტომ ჩვენი მიზანია სხვა ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ჩამოეყალიბოთ ერთიანი სტრატეგია, რათა დაენერგოთ დანაშაულის თავიდან აცილების და კონტროლის ისეთი პროგრამები, რომლებიც ყველას თანაბრად გაუწევს დახმარებას. ამგვარი ღონისძიებების გატარება აუცილებელია საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დანაშაულობების წინააღმდეგ. კვლევის გასაადვილებლად ამ დანაშაულობებს სამ კატეგორიად ყოფენ:

- ადგილობრივი დანაშაული, რომელიც იწვევს საერთაშორისოს;
- ტრანსნაციონალური დანაშაული;
- საერთაშორისო დანაშაული.

ადგილობრივი დანაშაულის ბრძოლებმა, რომლებიც იწვევს საერთაშორისოს, „თაგადამარსულთა“ ფენომენი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ერთდროულად გამოვლენილი ერთი სახის დანაშაულის თვალისწინით მაგალითია. ჯერჯერობით

ცოტა რამ არის ცნობილი იმის შესახებ, თუ რა იწვევის ასეთ ერთდროულ გამოვლინებებს.⁷¹ ერთი კი ცხადია, მასმედიის საშუალებებითა და ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირით მიღებულმა ცნობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პროცესს, ახლა უკვე ინტერნეტოც გარკვეულ როლს ასრულებს იმ ადამიანების დაახლოებაში, რომლებიც საერთო კრიმინალური მიზნებისათვის იღწვიან. (თუმცა, არც ერთი ეს ფაქტორი არ განუხილავთ 1970-იანი წლების პერიოდში მსოფლიოს რამდენიმე ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებულ ზღვაში ერთდროულად გაფრცელებული მეკობრეობის შემთხვევაში, რომელსაც უმეტესწილად უთვისტომო ახალგაზრდა დამნაშავეები ჩადიდნენ).⁷² „თავგადაპარსულები“ უმცირესობის წინააღმდეგ ჩადენილი დისკრიმინაციული დანაშაულის პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილია, მათი როგები თავისთავად მზარდი კონტინენტაშორისი და ინტრაკონტინენტური მიგრაციების შედეგად ივსება. მონოეთნიკური საზოგადოების შიგნით ახალი ეთნიკური უმცირესობების გამოჩენა ხშირად უმცირესობათა ვიქტიმიზაციით მთავრდება. მოსახლეობის ამ მიგრაციებს შედეგად მოსდევს დანაშაული, რომელსაც მიგრანტები ჩადიან ხშირად მათივე თანამიგრანტების ანდა მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაშასადამე, კრიმინოლოგებმა უნდა მოიძიონ დანაშაულის ახალი ფორმებისა და გაფრცელების პრობლემათა გადაჭრის გზები.⁷³

ადგილობრივი დანაშაულის პრობლემები, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბს იძენს, სცილდება მხოლოდ სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისა თუ იმ დანაშაულის ფორმებს, რომლებიც კულტურულ კონფლიქტთან და მიგრაციასთან არის ასოცირებული. გასათვალისწინებელია, რომ ნარკოტიკები, რასაც საზღვარგარეთ აწარმოებენ და ადგილობრივად აფრცელებენ, უამრავი ახალი პრობლემის წინაშე გვაყენებს — ერთი რომ, ნარკოტიკების გაფრცელება თავისთავად არაკანონიერი ქმედებაა და მეორე, ქუჩის დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მასზე მოდის. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პრობლემათა უდიდესი ნაწილი ეხება ბიროგენებებსა და მოვლენებს საზღვარგარეთ და მათზე ჩვენ ვერ ვახერხებთ უშუალო კონტროლის განხორციელებას. მოუხდავად იმისა რომ, პრობლემა ვრცელა და გამოუკვლეველია, დანაშაულებრივ ქმედებათა დიდი ნაწილი თავისი უცხოური კავშირების გათვალისწინებით მხოლოდ ამ ბოლო დროს სცნეს — „ტრანსნაციონალური დანაშაულის“ სახელწოდებით.

ტრანსნაციონალური დანაშაული კრიმინოლოგები ტერმინს

„ტრანსნაციონალური დანაშაული“ იყენებენ ისეთი დანაშაულებრივი ქმედების, გაროებების ანდა მაქინაციების აღსანიშნავად, რომლებიც არღვევენ ერთზე მეტი ქვეყნის კანონებს ან უშუალოდ უცხო ქვეყანაზე ახდენენ გავლენას. არც ინდივიდუალურად, არც სახეობრივად, არც კატეგორიის მიხედვით ვგუფურად ჩადენილი ტრანსნაციონალური დანაშაული არ შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსებში შეტანილ დადგენილ კატეგორიებსა და განმარტებებს.⁷⁴

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებისადმი დაგზავნილი ბოლო კითხვარებისა და შედეგების შემფასებელი საანგარიშო მოხსენებების თანახმად, გაერომ ისტორიაში პირველად დააფიქსირა ტრანსნაციონალური დანაშაულის არსებობა და მისი გაფრცელება. გამოვლინდა ტრანსნაციონალური დანაშაულობის 18 კატეგორია. თუმცა დასაშვებია, რომ ყველა ეს ქმედება ერთი იურისდიქციის ფარგლებში და/ან ინდივიდუალური დამნაშავის მიერ იყოს ჩადენილი, მაგრამ მისი ტიპური მახასიათებელია დანაშაულის ჩადენა ტრანსნაციონალური ქმედებების შედეგად და

ამასთანავე ორგანიზებული ჯგუფების მიერ.⁷⁵

1. ფულის გათეთრება. დანაშაულის ეს კატეგორია სიის სათავეში პირველ ნომრად დგას იმ ძლიერი ზეგავლენის გამო, რომლის მოხდენაც შეუძლია მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე. ფულის გათეთრება არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ლეგალური სახე მისცეს არაკანონიერი გზით შექმნილ კაპიტალს ისე, რომ შემდეგ ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოხდეს მისი დაბანდება ლეგიტიმურ ეკონომიკაში. საიდუმლოს აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს მოქალაქეთა ფინანსური შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი არაპატიოსანი გზით: მექრთამეობით, კორუფციით, შავი ბაზრის საქმიანობით, საგადასახადო კანონების გვერდის ავლით ჩატარებული გაროგებებითა და, განსაკუთრებით, კონტრაბანდაში მონაწილეობით არის მიღებული.

ნარკობარონებმა და მათ, ვისაც უკანონო შემოსავლები გააჩნიათ, ფულის გათეთრების უამრავი ისეთი სქემა შეიმუშავეს, როგორცაა: ფიქტიური უძრავის ქონების ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე დადებული გაროგებები, ოქროს შესყიდვა (უმეტესწილად ეს ე.წ. ოქროს ზოდები ოქროთი დაფარული ტყეების ზოდებია) ანტიკვარული ნივთებისა და ხელოვნების ნიმუშების (რეალური თუ ფიქტიური) გაყიდვა; მაგრამ სტანდარტულ მეთოდად რჩება ნაღდი ფულის ქვეყნის გარეთ გატანა (გემებით, თვითმფრინავებით, საბარგო მანქანებით თუ ყალბპირიანი ტრაილერებით), ასეთი ფულის დეპოზიტი საზღვარგარეთ, რომელსაც მოჰყვება როგი საერთაშორისო (ელექტრონული) ტრანსფერები და რომელთა დასასრულს მისი პირველწყაროს მიკვლევა შეუძლებელი ხდება. ჩანს, რომ ფული სუფთაა და ეკონომიკაშიც კანონიერად არის დაბანდება.

გათეთრებული ფულის ნამდვილი ოდენობა უცნობია. ყოველწლიურად დაახლოებით 500 ბილიონ დოლარს ანგარიშობენ,⁷⁶ მიუხედავად ამისა, პოლიტიკურმა (განსაკუთრებით დიდი შეიდეულის ქვეყნების ფინანსურ გაროგებათა წინააღმდეგ მებრძოლი ოპერატიული სამსახურის მიერ ჩატარებულმა) კვლევამ ასე თუ ისე გარკვეული შედეგი გამოიღო.

2. ტერორისტული საქმიანობა. ამერიკელებმა არაფერი იციან ტერორისტული საქმიანობის საერთაშორისო გაქანებაზე, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათი სამშობლო ხელშეუხებელია. მაგრამ იმის კვალდაკვალ, რაც ამერიკელები და ამერიკის ინტერესები თუ შენობა-ნაგებობები საზღვარგარეთ საერთაშორისო ტერორისტთა სამიზნე გახდა, ეს გულუბრყვილო დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. 1993 წლის თებერვალში ნიუ-იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის დაბომბვამ ახლო აღმოსავლელი ტერორისტების ორგანიზებული ჯგუფის მიერ ამერიკელები აიძულა, ყურადღება მიეპყროთ თავიანთი ქვეყნის თავდაცვის საიმედოობაზე. საპაერო ტრანსპორტის ხელყოფის ფაქტებიც ისევე გამუდმებით შეგვახსენებს, რომ ტერორისტებს ძალუძთ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ქვეყნის ინტერესებს. 1988 წლის დეკემბერში „პან ამერიკან კომპანის“ 103-ე რეისის დაბომბვა შოტლანდიაში ლოკერბის თავზე და 1999 წლის 31 ოქტომბერში ეგვიპტური თვითმფრინავის განადგურება ნანტუკის სამხრეთით 60 მილზე, რომელიც ასრულებდა რეისის ნიუ-იორკიდან კაიროში და რის შედეგადაც 217 ადამიანი დაიღუპა, ამ თვალსაზრისის ადასტურებს. მეორე შემთხვევაში წინასწარი ჩვენებები მიუთითებს საბოტაჟის ანდა ტერორიზმის ფაქტზე. ამ უკანასკნელი მარცხის შემდეგ ფედერალური ავიაციის აღმინისტრაციამ გამოაქვეყნა ანგარიში აეროპორტის უსაფრთხოების მდგომარეობის თაობაზე, სადაც აღნიშნულია ის მნიშვნელოვანი

ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს ამ სფეროში. ალბათ მრავალი წელი დასჭირდება საპაერო ტრანსპორტის ტერორიზმისაგან დაცვის, სრულყოფილებასთან მიახლოებული უსაფრთხოების ზომების მიღებას.⁷⁷

გაცვლებით უფრო სრულყოფილ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა საერთაშორისო ტერორიზმის თავისებურებათა გამოკვლევა, რაც კანონმდებლობაშიც აისახა.⁷⁸ საერთაშორისო ხელშეკრულებებში ნათლად არის ასახული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები. გაფართოვდა საერთაშორისო სასამართლოსა და პოლიციის ურთიერთთანამშრომლობის საზღვრები თუმცა, ჯერ კიდევ არ არსებობს საერთაშორისო ტერორისტთა დაპატიმრების ანდა გასამართლებისათვის საჭირო საერთაშორისო მექანიზმი და კრიმინოლოგები საყოველთაო საჭირობოტო პრობლემათა მხოლოდ თეორიული ახსნითა და განხილვით იყარვლებიან.

3. *კულტურისა და ხელოვნების ნიმუშთა ქურდობა.* ამ დანაშაულის გავრცელებას საფუძვლით შესაძლებელია, მოჰყვეს მთელი კულტურებისა თუ ერების კულტურული მემკვიდრეობის გარეშე დატოვება. სამაროვნებისა თუ მონუმენტური ძეგლების დატაცება ფარაონთა დროიდან ხდებოდა, მაგრამ კულტურის ნიმუშებზე მოთხოვნის გაზრდა, ტექნიკის განვითარებამ და ტრანსპორტირების გაადვილებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ხელოვნების ნიმუშთა ქურდობას და საზღვარგარეთ გატანას. არ არსებობს ქვეყანა, რომელიც ამ მხრივ არ იყოს დაზარალებული ყოველ წელს 4-5 ბილიონი დოლარის ნატოფი ხელოვნების ნიმუშებს იპარავენ და გასაყიდად გააქვთ საერთაშორისო ბაზარზე. მონაცემთა ბაზაში აღრიცხულია 45.000 მოპარული ხელოვნების ნიმუში, რომელსაც ყოველთვიურად 2.000 ერთეული ემატება.⁷⁹ კრიმინოლოგები, მცირე გამოკვლევის გარდა,⁸⁰ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ მოვლენას, თუმცა, ხელოვნების ინდუსტრია მთელი ძალისხმევით მიიწევს წინ.⁸¹

4. *ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა.* ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა გულისხმობს ავტორებისა და შემსრულებლების უფლებების, საფრანშიზო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხების განაწილების საფასურად საავტორო უფლებების ან სასაქონლო ნიშნების უკანონო გამოყენებას. ამ დანაშაულის ჩადენის ალბათობა დიდია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც შედარებით მოუწესრიგებელი ეკონომიკა აქვთ. მიყენებული ზარალი დაუყოვნებლივ აისახება მწარმოებელი ქვეყნის ეკონომიკაზე. ამერიკის პროგრამული უზრუნველყოფის გამომცემელთა ასოციაციამ დაადგინა კიდევ ერთი სახის ინტელექტუალური ქურდობა, კერძოდ კი პროგრამული უზრუნველყოფის უკანონო გადაწერა. მისი დანაკარგის ოდენობა განსაცვიფრებელ ციფრს - 7.5 ბილიონ დოლარს წარმოადგენს წელიწადში.⁸² საერთაშორისო შეთანხმების მიუხედავად, საერთაშორისო დანაშაულის ეს კატეგორია გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

5. *აკრძალული იარაღის გადაზიდვა.* ადგილობრივი რეგიონული თუ ეროვნული შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად წარმოიქმნება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, წარმოუდგენელია იარაღის მწარმოებელთა და მიმწოდებელთა საერთაშორისო ქსელის გარეშე. ეს ის ჩრდილოვანი სამყაროა, რომელიც სტატისტიკური შეფასებების მიღმა რჩება. კრიმინოლოგიური ინფორმაცია უკანონო იარაღით ვაჭრობაზეც ძალიან მწირია. მსოფლიოს მასშტაბით ჩადენილ მკვლელობათა უდიდესი ნაწილის კვალს, პოტენციურად, უკანონო იარაღით ვაჭრობამდე მივყავართ.

უკანონო იარაღით ვაჭრობაში ყველაზე სახიფათოდ არის მიჩნეული ბირთვული

ნედლეულის გადაზიდვა. ახლა უკვე ნათელია, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ბირთვული ნედლეული სუფთა პლუტონიუმის ჩათვლით, მცირე პარტიებად გადააქონდათ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ატომური დანადგარებიდან და გასაყიდად სთავაზობდნენ გერმანიას და რუსეთის მოსაზღვრე დასავლეთის ქვეყნებს.

სხვა ორგანიზებულ დანაშაულთაგან განსხვავებით, ბირთვული ნედლეულის გატანას შედარებით მცირე ჯგუფები ახორციელებენ, ძირითადად, ინდივიდუალური შემოსავლის მიღების (ანდა დაფინანსების) მოკლებული ყოფილი საბჭოთა ლაბორატორიებისა და მეცნიერების დახმარების) მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მცდელობებს დილეთანტური ხასიათი ჰქონდა - ნედლეულის არც ერთ პარტიას არ მოუღწევია ნამდვილ მყიდველამდე, მიმწოდებელთა უმრავლესობას ამ საქმეში ხელი მოეცარა. მიუხედავად ამისა, ბირთვული ნედლეულის რაოდენობა, რისი ამოღებაც მოახერხა სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებამ არცთუ იყო უმნიშვნელოა, მაგალითად, 1999 წლის სექტემბერში საქართველო-თურქეთის საზღვარზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააკავეს და ამოიღეს 2.2 ფუნტი ურანი-235.⁶⁴ ხშირ შემთხვევაში როგორც ქურდებსა და საქონლის გადამტანებს, ასევე მთელ საზოგადოებას ემუქრება რადიაციული დასხივების უხილავი საფრთხე.⁶⁵ კრიმინოლოგთა გაკვრევებს იწვევს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო წრეებში ამ მოვლენებს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია.⁶⁶ რაც შეეხება სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს, მათ უკვე დაიწყეს თანამშრომლობა ბირთვული ნედლეულის წყაროების გასაკონტროლებლად.

6. თვითმფრინავების გატაცება. უნდა ითქვას, რომ თვითმფრინავების უკანონო გატაცების წინააღმდეგ მიმართული სისტიმა დროულად და ეფექტურად ამოქმედდა. თვითმფრინავთა გატაცების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ ინციდენტებს კვლავაც რეგულარული ხასიათი აქვს.

თვითმფრინავის გატაცების ფაქტები განსაკუთრებით გახშირდა 1970-80-იან წლებში, მათგან ძალზე მცირე რიცხვი მიეწერებოდა გამოსასყიდის მოთხოვნით ჩადენილს, უმეტესობა პოლიტიკური მოთხოვნებით იყო ჩადენილი, ანუ ტიპური ტერორისტული ხასიათი ჰქონდა და ტერორისტულ ორგანიზაციათა ძალის დემონსტრირების მცდელობას წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღელდა, განსაკუთრებით კი დიპლომატები და პოლიტიკოსები, რომელთა გადაადგილება საპაერო ტრანსპორტზე იყო დამოკიდებული, თვითმფრინავთა გატაცებას სწრაფი კონტრრაქცია მოჰყვა - შემუშავდა მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებები უსაფრთხოების დასაცავად.

ეს მოვლენა საკმაოდ ვრცლად არის გაშუქებული კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში, განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: გამტაცებელთა თავისებურებანი, გატაცების მიზეზები, მომეტებული რისკის რევიზიები, სამგზავრო თვითმფრინავები და სხვ., რომელთა ანალიზსაც კონტროლის გაუმჯობესებამდე მივყავართ. სამწუხაროდ, თვითმფრინავების გატაცება დაჩრდილდა ტერორისტთა მიერ მათი ცაში განადგურების ფაქტებში.

7. საზღვაო შეკობრეობა. ფაქტურად, 1970-იან წლებამდე მივიწყებული საზღვაო შეკობრეობა კვლავ ორ ფრონტზე გაჩაღდა მას შემდეგ რაც:

- აშშ-ში დაიწყო ნარკოტიკების კონტრაბანდული შემოტანა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკიდან პორტებსა თუ ზღვებში მიტაცებულ იახტების და

თევზსაჭერი გემების საშუალებით, რომელთა მებატრონებმა და ეკიპაჟისაც ანადგურებდნენ. მიტაცებული გემების რიცხვმა რამდენიმე ათასს გადააჭარბა. მას შემდეგ კი რაც ნარკოვაჭრობა აყვავდა, კონტრაბანდისტებმა ნაყოფი ანდა უკანონოდ დაქირავებული გემების გამოყენება დაიწყეს.

- ლაგოსის, ნიგერიის და მალაკის გიწრო არხის ყურეში რეიდებსა და რამდენიმე სხვა მიგავს საზღვაო ტრასაზე ღუზაჩაშვებულ ანდა ნული სვლით მავალ კომერციულ გემებზე თავდასხმით სარგებლობის შესაძლებლობა ათასობით მარგინალურ ახალგაზრდას იზიდავდა აფრიკიდან, სამხრეთ აზიიდან თუ ლათინური ამერიკიდან. გარკვეულ პერიოდში ასეთი მეკობრეობა, (ხშირად არა მეკობრეობა საერთაშორისო სამართლის გაგებით, ვინაიდან იგი შტატების ტერიტორიულ წყლებში ხდებოდა) მეტისმეტად გახშირდა (1980-იან წლებში ფიქსირდებოდა დღეში ერთი შემთხვევა), მაგრამ საერთაშორისო სავაჭრო პალატის (პარიზი), საერთაშორისო სანაოსნო ბუროს (ლონდონი), საერთაშორისო სანაოსნო ორგანიზაციის (გაერო) და მთელი რიგი კრიმინოლოგიური კვლევებისა და პოლიტიკური საქმიანობის შედეგად მათმა რიცხვმა თანდათან იკლო.⁶⁶

პრობლემა მეტნაკლებად მოწესრიგდა, მაგრამ იგი საბოლოოდ გადაჭრილი არ არის. გემებზე, რომლებიც სახიფათო ზღვებში დაცურავენ, სანაოსნოების მიერ დაწესებულია საგანგებო „მეკობრეთა ვახტები“. ამ ფარულ ვახტებს იცავენ ეროვნული და რეგიონული სანაოსნო კანონების სახელმძღვანელო სააგენტოები, ხოლო მათ საქმიანობას მონიტორინგს უწევს საერთაშორისო სანაოსნო ბუროს კუალა-ლუმპურის სპეციალური ფილიალი.

მ. სატვირთო ავტომანქანების შეიარაღებული ძარცვა. მოულოდნელი იყო ტრანსნაციონალურ დანაშაულთა სიაში სატვირთო ავტომანქანების შეიარაღებული ძარცვის ჩართვა. ქვეყნის შიგნით სატვირთო ავტომანქანების გატაცება დოკუმენტურად ფორმდება როგორც ქურდობის ან ძარცვის ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ მსოფლიო ეკონომიკა შეიცვალა. სატვირთო მანქანებით საქონლის გადაზიდვა აღმოსავლეთ ევროპიდან დასავლეთში ანდა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიდან ბალტიის ზღვის ქვეყნებში ახლა რეალობაა და გულისხმობს საქონლის დიდი წილის ტრანსნაციონალურ გადაზიდვას. შესაბამისად, ასეთი ტვირთის ხელყოფის შესაძლებლობა პრობორცულად იზრდება.

როგორც ცნობილია, ამ საკითხის შესახებ მხოლოდ ოთხმა ქვეყანამ დააფიქსირა პასუხი გაეროს კითხვარში მართალია, სამხილი შემთხვევითა, მაგრამ ნათლად მიუთითებს დანაშაულში ორგანიზებული ჯგუფების მონაწილეობაზე. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, საზღვრების გახსნის, ორგანიზებულ დანაშაულთა (განსაკუთრებით აღმ. ევროპაში) ზრდისა და, მეორე მხრივ, კრიმინოლოგიური ანალიზის და ფაქტების სიმცირის გამო პრობლემაც იზრდება.

9. სადაზღვევო თაღლითობა. მთელს მსოფლიოში დაზღვევის ინდუსტრია, განსაკუთრებით, ხელახალი დაზღვევა და სხვა მეთოდები დიდ რისკთან და შემოსავლებთან არის დაკავშირებული. ამგვარად, ადგილობრივი სადაზღვევო თაღლითობა მსოფლიოს ყველა სხვა დაზღვევასა და დაზღვევებზეც ახდენს გავლენას. მიყენებული ზარალი უსუსტად არ არის გამოთვლილი, მაგრამ მხოლოდ აშშ-თვის დანაკლისი დაახლოებით 100 ბილიონ დოლარს აღწევს წელიწადში.⁶⁷

10. კომპიუტერული დანაშაული ვინაიდან გლობალური კომპიუტერული ქსელი წარმატებით ემსახურება კანონიერ ვაჭრობას, მთავრობებს, მეკვლევარებს და ა.შ.,

საერთაშორისო დამხმარეობამ ინტერნეტში შეაღწია; ორგანიზებულმა ჯგუფებმა მისი გამოყენება დაიწყეს კრიმინალური მაქინაციებისა თუ ექსპლუატაციის მიზნით. კომპიუტერული დანაშაულის მიყენებული დანაკარგი წელიწადში 8 ბილიონ დოლარამდე მერყეობს.⁸⁵ სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ კრიმინოლოგები ცდილობენ კომპიუტერული ქსელის დაცვის უზრუნველყოფას, ამ საკითხებზე ინფორმაცია ჯერ კიდევ მეტისმეტად მწირია.

11. გარემოს დაცვის სფეროში ჩადენილი დანაშაული XX საუკუნის შუა წლებიდან გარემოს ჰირობების დაცვის გაკონტროლება ადგილობრივ ხელისუფალთა საქმედ იქცა. გარემოს დაცვის საკითხებზე გაეროს კონგრესის (1972 წ. სტოკჰოლმი) ჩატარებამდე გარემოს გაზაფხულების გლობალური მანქანებლები და მისი კონტროლის საჭიროება არავის არ უღიარებია. მას შემდეგ სამმა ათწლეულმა განვლო და ამ პერიოდში საკმაოდ ბევრი გაკეთდა გარემო ჰირობებისათვის შექმნილი საფრთხის აღიარების, მისი ოდენობის დადგენის და კონტროლის მექანიზმების შემუშავებისათვის. (ხელშეკრულებების, კანონმდებლობის, ულტიმატუმების, ტექნოლოგიის მეშვეობით). ამ მიმართულებით წარმოებული კრიმინოლოგიური კვლევა საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა.⁸⁶

12. ადამიანებით ვაჭრობა (თრეფიქინგი). ადრეულ პერიოდში ადამიანებით ვაჭრობა გულისხმობდა მონებით ანდა თეთრკანიანი მონებით (ქალებით) ვაჭრობას, მართალია, მონებით ვაჭრობა წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ადამიანთა თრეფიქინგი სულ უფრო ინტენსიური ხორციელდება. ოგი მოიცავს:

- უკანონო ემიგრანტთა გადაყვანას, რაც ხშირად მთავრდება იძულებითი მონობით;
- ქალებისა და ბავშვების გადაყვანას პროსტიტუციის მიზნით;
- მთვრალი ან არაკვალიფიციური მუშახელის გადაყვანას მონურ ჰირობებში სამუშაოდ;
- შინამოსამსახურეთა გადაყვანას განვითარებადი ქვეყნებიდან;
- კანონით არასანქცირებულ გასაშვილებელ ბავშვთა გადაყვანას.

პირველ რიგში, კანონმა ადგილებზე უნდა შეუშალოს ხელი ადამიანთა უკანონო თრეფიქინგს. მეორე საკითხია მათზე ზედამხედველობის განხორციელება. პრობლემა სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს, ვინაიდან ჩამორჩენილი მესამე სამყაროდან უამრავი ადამიანი ცდილობს ემიგრირებას შედარებით აყვავებულ ქვეყნებში.

უკანონოდ ემიგრირებული მოსახლეობის ნაკადი თითქმის მთლიანად ორგანიზებული დამხმარეობის კონტროლქვეშ ხვდება.⁸⁷ ინდუსტრიულ ქვეყნებში ახლად ჩამოსულთა უმეტესობა უმუშევრები არიან; ისინი ქმნიან ახალ მარგინალურ კლასს, როგორც ექსპლუატირებულს, ასევე დანაშაულისა და უწყარიგობის ხელისშემწყობს.

13. ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა. თირკმელის პირველი ტრანსპლანტაცია განხორციელდა 1954 წელს, ფილტვისა - 1963 წელს, ხოლო გულის - 1967 წელს. ამჟამად ნახევარ მილიონამდე თირკმელია გადანერგილი ტრანსპლანტაციური ქირურგთა მედიცინის სპეციალიზებული დარგი გახდა და გადასახერგი ორგანოებით მომარაგება ახალ, ფართო ინდუსტრიად იქცა. აშშ-ში 69 სატრანსპლანტაციო სააგენტო გაიხსნა, რომელთა საქმიანობის გაკონტროლებასაც ფედერალური თუ ადგილობრივი კანონებით ცდილობენ.

და მანც, ნებისმიერ მოცემულ მომენტში 35.000 ადამიანი ელოდება

ტრანსპლანტაციას. (მათი რიცხვი წელიწადში 14%-ით იზრდება). ამგვარად, მოთხოვნა აჭარბებს მომარაგებას (პოტენციურ დონორთა რიცხვი აშშ-ში 12.000-მდეა). უკანონო ინდუსტრია ამ მომსახურეობის უზრუნველსაყოფად აღმოცენდა. რეციპიენტები მოთხოვნისთანავე გადაჰყავთ იმ ქვეყანაში, სადაც შეიძლება ორგანოს შეძენა. „დონორებს“ ფაქტურად კლავენ. მათ რიცხვში, ძირითადად, ხვდებიან ღარიბი მშობლების შვილები, რომელთაც სწორედ ორგანოების გამო ყოფიან უკიდურესად დაბალ ფასებში.

14. *ნარკოტიკების უკანონო გადატანა.* ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო გადატანას მთლიანად ორგანიზებული დანაშაულებრივი ქსელი აკონტროლებს, რომლის ყოველი რგოლი მჭიდრო ურთიერთკავშირშია როგორც გეოგრაფიულად, ასევე წარმოებისა თუ მარკეტინგის დონით და ნარკოტიკული ნივთიერების სახეობებით.¹¹ კრიმინოლოგიური ლიტერატურა, რომელიც ყოველმხრივ აშუქებს ამ მოვლენას, ძალზე ვრცელია, მაგრამ არცთუ სავსებით ნათელია პოლიტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით.¹² „ნარკოტიკულ ნივთიერებათა გაერთიანებული კონვენცია“ (1961), „კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე“ (1971 წ.), „გაეროს კონვენცია ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ ნივთიერებათა უკანონო გადატანის წინააღმდეგ“ (1988) ნარკოტიკებით ვაჭრობის დროული კონტროლის თეორიულად სრულყოფილ საერთაშორისო კანონიერ სტრუქტურას ქმნის. და მაინც, მის გამოყენებას და ზემოქმედებას შემდეგი ნაკლოვანებები ახასიათებს:

- არასაკმარისია ამ ხელშეკრულების პროექტის ზედამხედველობა გაეროს სტრუქტურების მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, ფულადი სახსრების უქონლობის გამო;
- შესაბამისად, დაუფინანსებელია ეროვნული და რეგიონული პროგრამებიც;
- ერები დიდად განსხვავდებიან იმის მიხედვით, თუ რას ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას (აკრძალვას, რეპრესიებს, კონტროლს, შემწყნარებლობას თუ მოლაპარაკებით მიღწეული შეთანხმებების დაცვას);
- ზოგიერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწარმოებელი ქვეყანა ვაჭრობით მიღებული დიდი საშემოსავლო ბაზის გამო კორუფციასა ჩაფლული რაც შესაბამის ზემოქმედებას ახდენს ამ პროცესზე;
- მრავალ ქვეყანაში კორუფცია ასევე ახდენს ზეგავლენას კანონის ზემოქმედებაზე;
- უმეტეს განვითარებად და ახლად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ქვეყნებს ამ ხელშეკრულებათა შესასრულებლად აკლიათ საჭირო საკანონმდებლო და ტექნიკური ინფრასტრუქტურა.

ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულის არც ერთ სხვა ფორმას არ მოაქვს ქვეყნისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანური თუ ფინანსური ზარალი, როგორც ნარკოტიკული ნივთიერებებით უკანონო ვაჭრობას.

15. *თაღლითური ვაკოტრება.* ვაჭრობის ინტერნაციონალიზაციამ თაღლითური ვაკოტრება ლოკალური დანაშაულიდან ტრანსნაციონალურ დანაშაულად აქცია. ამ მოვლენის მასშტაბები უცნობია. მართალია სამხილი ცოტაა, მაგრამ ნათელია, რომ ორგანიზებულმა დანაშაულობამ ინიციატივის ხელში ჩაგდება შემდეგ შეიძლება ვაკოტროს საწარმო, თუ ვაკოტრებიდან მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს მოსალოდნელ მოგებას. საჭიროება მოითხოვს ქვეყნის შიგნით ზედამხედველობის ღონისძიებათა გაძლიერებას და მათ საერთაშორისო კოორდინირებას.

16. *ლეგალურ ბიზნესში შეღწევა* ეს არის ფულის გათეთრების ლოგიკური და

დროებითი შედეგა რომლის მთავარი მიზანია გარეგნულად კანონიერი კაპიტალდაბანდება არსებული ინფორმაცია არ იძლევა ამ მოვლენის არც რაოდენობრივ და არც ხარისხობრივ შეფასებას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობამ 200 ბილიონიდან 500 ბილიონ დოლარამდე უნდა დააბანდოს ბაზარზე, თეორიულად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ ის დრო, როდესაც მსოფლიო ეკონომიკას ორგანიზებული დანაშაულობა გააკონტროლებს.³³

17. სახელმწიფო მობეღეთა, პარტიულ მუშაკთა და სახელისუფლო ორგანოებში არჩეულ პირთა კორუფცია და მექრთამეობა. მართალია, ზოგიერთ ქვეყანაში პარტიულ მუშაკთა მექრთამეობა არ იმჯება, მაგრამ მექრთამეობის ყველა სხვა სახე, რომელიც ამ ქვეყნების სათაურშია თავმოყრილი, აკრძალულია სისხლის სამართლის კოდექსით. ამ კანონების ცხოვრებაში გატარება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით შეეხება საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებების სფეროს. „საკომისიო“, „საკონსულტაციო“, ადვოკატთა გასამრჯელოებად შენიღბული მექრთამეობა მსოფლიო ბიზნესის აუცილებელ ხარჯებად იქცა.³⁴ ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის საყოველთაოდ აღიარებული და მხილებული ვაჭრები და ინვესტორები ხშირად აცხადებენ, რომ მათი საქმე არ არის, გამომასწორონ ბიზნესი თუ პოლიტიკური ეთიკა იმ ქვეყნებში, რომლებთანაც აწარმოებენ კომერციულ ურთიერთობებს. ახლად დაარსებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ (ბერლინი) მიზნად დაისახა ძნელად გადასაჭრელი ამოცანა — საერთაშორისო ბიზნესის ეთიკის კვლევა; მისი მონაბოვანია:

- მექრთამეობის — ქვეყნების მიხედვით ანბანური თანმიმდევრობით შედგენილი — საძიებლის გამოქვეყნება;
- მთავრობების შორის საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება თანამდებობის პირთა მექრთამეობის კანონისაწინააღმდეგო ქმედებად აღიარების მიზნით;
- არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, როგორც არის, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, თანამშრომლობის გაძლიერება;
- დამოუკიდებელი მაკონტროლებელი მექანიზმების შექმნა.

18. ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულები. ეს ნაკრები კატეგორია მთვარობებს აძლევდა იმის შესაძლებლობას, შეეფასებინათ ის პრობლემები, რომლებიც წინა II კატეგორიაში ვერ მოთავსდა. მაგალითად, ის, რომ ჩრდილო ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ავტომობილთა ქურდობა სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს, ხდება მოპარული სატრანსპორტო საშუალებების საზღვარგარეთ გატანა. ამ საქმიანობას აკონტროლებენ საერთაშორისო ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები, რაც ზიანს აყენებს არა იმდენად ინდივიდუალურ მფლობელებს, რამდენადაც თითოეული ქვეყნის დაზღვევის ინდუსტრიას.

ტრანსნაციონალური დამნაშავეობის ზემოთ დასახელებული 18 კატეგორიის მიმოხილვა თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რა დიდია დანაშაულებრივი საქმიანობის ზეგავლენა კერძო პირებზე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე და თვით მსოფლიოს ეკონომიკაზე. პირთვლებსა და ინდივიდუალურ კომერციულ საწარმოებს არ შეუძლიათ ამ საშიშროების თავიდან აცილება, ამიტომ ერთა შორის მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებლობად იქნა აღიარებული. მაგრამ საერთაშორისო ქმედებას წინ უნდა უძღვოდეს ამ საკითხების მეცნიერული შესწავლა.

შედარებითმა კრიზისოლოგიურმა კვლევამ, უმეტესწილად, ყურადღება უნდა მიაპყროს ტრანსნაციონალურ დანაშაულს.¹⁵

საერთაშორისო დანაშაულმა საერთაშორისო დანაშაულები ერთა თანამეგობრობის მიერ სისხლის სამართლის ხაზით ჩადენილ ყველაზე მძიმე დანაშაულებად არის მიჩნეული და მის წინააღმდეგ ბრძოლა კაცობრიობის საერთო ინტერესების დაცვას ემსახურება. ეს დანაშაულები გვხვდება როგორც წერილობითი ფორმით ჩამოყალიბებულ საერთაშორისო კონვენციებში, ასევე პრეცედენტების შემთხვევაში (ანგლო-ამერიკული საერთო სამართლის შიგავსად). მათ გამოყენებას ცდილობენ იმ ქვეყნების სასამართლოებში, რომლებმაც იგი აღიარეს და თვით საერთაშორისო სასამართლოებში. II მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო დამნაშავეთა ტრიბუნალმა სწორედ ასეთ სასამართლოებში გაასამართლა გერმანიისა და იაპონიის ომების სამხედრო დამნაშავენი. 1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით ნიდერლანდებში შეიქმნა საერთაშორისო ტრიბუნალი, რომლის მიზანაც იყო თუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩადენილ სამხედრო დანაშაულთა გამოძიება და განხილვა. ამას დაემატა რუნდაში ჩადენილი გენოციდისათვის ბრალდებულ პირთა სასამართლო. ამ სასამართლოებმა ასეულობით საბრალდებო ოქმი შეადგინეს — ზუსტი ციფრი უცნობია, რადგან ეს ოქმები დალუქულია. ჩატარდა რამდენიმე სასამართლო, სადაც სხვადასხვა პირებს გამოუტანეს როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი განაჩენი. საქმის ხელახალ განხილვას ელოდება წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბოსნიელი სერბების არმიის შტაბის უფროსი, გენერალი მომირ ტალიკი, რომელიც ავსტრიაში დააპატიმრეს 1999 წლის 24 აგვისტოს. ბევრი სამხედრო დანაშაულში ბრალდებული პირი დაპატიმრების საერთაშორისო ორდერის შიშით კვლავაც ეძლევა მართლმსაჯულებას.

ხუთი ათწლეულია მსოფლიოს მთავრობები ცდილობენ შეთანხმებას მუდმივი საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს დაარსების თაობაზე, რათა მისი მეშვეობით განხორციელდეს მართლმსაჯულება საერთაშორისო დანაშაულებზე. ასეთი შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი იყო ცივი ომის ხანაში. მხოლოდ 1998 წლის ივლისში შეიკრიბნენ რომში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლები და ხმათა უმრავლესობით შეთანხმდნენ, დაეარსებინათ მუდმივი საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო. ეს სასამართლო ამოქმედდება, როდესაც 60 სახელმწიფოს მთავრობა მოაწერს ხელს ამ პროექტს. იმ ქვეყანების რიცხვში, რომელთაც ჯერ არ მოუწერიათ ხელი, არიან: აშშ, ჩინეთი და სხვ. ახალი საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს ოურისდიქცია გავრცელდება მხოლოდ ძალიან მძიმე საერთაშორისო დანაშაულებზე, როგორცაა: კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, გენოციდი და სამხედრო დანაშაულები. მონაწილე ქვეყნებს უფლება ეძლევათ დანაშაულებში მხილებული პირი მათსავე სასამართლოებში მისცენ სამართალში ანდა გადასცენ მუდმივ საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს. საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულთა გარდა, რომელზედაც ვრცელდება საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს ოურიდიქცია, ყველა სხვა დანაშაულის ფაქტი ერთგული სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოების გასარჩევია.

საერთაშორისო დანაშაულებათა კოდექსის პროექტში ჩამოთვლილია კაცობრიობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ნუსხა:

- კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული;
- აგრესია (ერთი ქვეყნისა მეორის წინააღმდეგ);
- აგრესიული მუქარა;
- ინტერვენცია (სხვა ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში ჩარევა);
- კოლონორული ბატონობა და სხვა სახის უცხოელთა ბატონობა;
- გენოციდი (ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ და რელიგიურ ჯგუფთა განადგურება);
- აპარტიდები (რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფთა შევიწროება);
- ადამიანის უფლებათა სისტიმატური ან მასობრივი ხელყოფა;
- განსაკუთრებით მძიმე საშხედრო დანაშაული;
- დაქირავებულ ჯარისკაცთა საშხედრო სამსახურში აყვანა, გამოყენება, დაფინანსება და წვრთნა;
- საერთაშორისო ტერორიზმი;
- ნარკოტიკების უკანონო გადაზიდვა;
- გარემოსადმი განზრახ სერიოზული ზიანის მიყენება.⁶⁶

ჩამოთვლილ დანაშაულებს გამოვლენის მრავალი ფორმა გააჩნია. მაგალითად, „ადამიანის უფლებათა სისტიმატურ ან მასობრივ ხელყოფად“ შეიძლება შეფასდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოწყობილი ქალთა მასობრივი გაუბატონება, როგორც ეს მოხდა ბოსნიამი 1992 და 1993 წლებში.⁶⁷

კონვენციამ ჩამოთვლილ საერთაშორისო დანაშაულებს მიუმატა ასევე: ზღვისქვეშა კაბელების გადაჭრა, პროსტიტუციის მიზნით ქალების გადაყვანა („თეთრი მონობა“), თევზჭერასთან დაკავშირებული დანაშაულები. დღესდღეობით საერთაშორისო დანაშაულობის კვლევა მაღალ მეცნიერულ დონეზე მიმდინარეობს, გამოცემულა მთელი რიგი საყურადღებო ნაშრომები, სადაც გაანალიზებულია პრობლემის არსი და ჩამოყალიბებულია ანგარიშგასაწვევი დასკვნები მათი გადაჭრის თაობაზე.⁶⁸

3. გლობალიზაცია ეთნიკური იდენტურობის წინააღმდეგ

კაცობრიობამ XXI საუკუნეში შეაბიჯა. შედარებით კრიმინოლოგები ახალ ათასწლეულს შემოთვებით უყურებენ. მართალია, გლობალიზაცია ადამიანებს უკეთესი მომავლის იმედს უსახავს, მაგრამ ამავდროულად მას თან სდევს სერიოზული საფრთხე — დანაშაულის ინტერნაციონალიზაცია. შედარებითმა კრიმინოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ტრანსნაციონალური დანაშაულის ახალი ფორმების კვლევაში. მკვლევარებმა შეიძლება იფიქროს მეთოდები გამოიყენონ, რასაც ადრე იყენებდნენ მკაფიოდ ნაციონალური ანდა ლოკალური ხასიათის დანაშაულთან მიმართებით, მაგრამ ამასთანავე უნდა გააფართოონ შედარებითი კრიმინოლოგიის მეცნიერული თვალთახედვა.

ახალი ათასწლეული დამატებით საფრთხეს ქმნის, რომელიც ბალკანიზაციის ტენდენციიდან მომდინარეობს. ბალკანიზაცია, გლობალიზაციის საპირისპიროდ, გულმხმობის ეროვნულ სახელმწიფოთა დაქუცმაცებას ეთნიკურ ერთეულებად. მრავალი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოპოვებას, რაც მათ წართმეული ჰქონდათ, როდესაც ისინი მრავალეროვან

სახელმწიფოებში შედიოდნენ, როგორებიც იყო სისრკ, თეოსოლოგია და ა.შ. ანდა როდესაც ისინი თვითნებურად შეუერთდნენ სხვა ჯგუფებს კოლონიურ ხანაში, როგორც ეს მოხდა აფრიკაში, ანდა როდესაც გარკვეულმა ისტორიულმა გარემოებებმა განაპირობა მათი გაერთიანება იმპერიაში, ასეთი შემთხვევები გვხვდება დასავლეთ ევროპაში. ხშირად ამ ეთნიკურ ჯგუფებს ის კანონები და ადათ-წესები უნდა დაეცვათ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა მათ ბუნებას, ისტორიულ განვითარებას, უარი უნდა ეთქვათ საკუთარ ენასა და კულტურაზე. ამიტომ ახლა ისინი გამალებით ესწრაფვიან თვითგამორკვევას, ტერიტორიების ხელახალ გადანაწილებას და მართლშაჯულების საკუთარი სისტემის შექმნას. სამწუხაროდ, ბრძოლას თან სდევს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები, სამხედრო დანაშაულები, გენოციდი. ამ კუთხით საერთაშორისო დონეზე მუშაობა კრიმინოლოგებმა და სისხლის სამართლის სპეციალისტებმა მხოლოდ ბოლო ხანებში დაიწყეს.

¹ Peter Applebome, "Skinhead violence Grows, Experts Say," *New York Times*, July 18, 1993, p. 25.
² The Skinhead International: World-Wide Survey of Neo-Nazi Skinheads (New York: AntiDefamation League of B'nai B'rith, 1995).
³ John Leland and Marcus Mabry, "Toasting the ' Head," *Newsweek*, Feb. 26, 1996, pp. 42-43.
⁴ John Leland and Marcus Mabry, "Toasting the ' Head," *Newsweek*, Feb. 26, 1996, pp. 42-43.
⁵ Piers Beirne and David Nelken, eds., *Issues in Comparative Criminology* (Aldershot, U.K.: Dartmouth, 1997, is a useful anthology of scientific issues in Comparative Criminology The term "comparative criminology" appears to have been coined by Sheldon Glueck. See Sheldon Glueck, "Wanted: A Comparative Criminology," in *Ventures in Criminology*, ed. Sheldon Glueck and Eleanor Glueck (London: Tavistock, 1964), pp. 304-322.
⁶ James O. Finckenauer, *Russian Youth: Law, Deviance and the Pursuit of Freedom* (New Brunswick, N. J.: Transaction, 1995). Martin Killias et al., "Cross-Border Crime," *European Journal on Criminal Policy and Research*, 1 (1993): 7-134.
⁷ William F. McDonald, "The Globalization of Criminology: The New Frontier Is the Frontier," *Transnational Organized Crime*, 1 (1995): 1-12.
⁸ Piers Beirne and Joan Hill, *Comparative Criminology-An Annotated Bibliography* (New York: Greenwood, 1991), pp. vii-viii.
⁹ See especially Albert P. Blaustein and G. H. Flenz, *Constitutions of the Countries of the World*, 21 vols. (updated) (Dobbs Ferry, N.Y.: Oceana, 1971 and continuing).
¹⁰ The Comparative Criminal Law Project at Wayne State University Law School (formerly at New York University School of Law) has published 21 criminal codes in *The American Series of Foreign Penal Codes*, ed. G. O. W. Mueller, cont. by Edward M. Wise (Littleton, Colo.: Fred B. Rothman, since 1960).
¹¹ Seven codes of criminal procedure have appeared in Mueller and Wise, *The American Series of Foreign Penal Codes*.
¹² E. g., Shigemitsu Dando, *Japanese Criminal procedure*, Comparative Criminal Law Project Publications Series, vol. 4 (Littleton, Colo.: Fred B. Rothman, 1965).
¹³ UNAFEI, 1-26 Harumicho, Fuchu, Tokyo, Japan. There are now 51 volumes.
¹⁴ Kristiina Kangaspunta, ed., *Profiles of Criminal Justice Systems in Europe and North America* (Helsinki: HEUNI, 1995).
¹⁵ Dae H. Chang, *Criminology: A Cross-Cultural Perspective*, 2 vols. (Durham, N. C.: Carolina Academic Press, 1976).
¹⁶ V. Lorne Stewart, *Justice and Troubled Children around the World*, vols. 1-5 (New York: New York University Press, 1980-1983).
¹⁷ David H. Bayley, *Patterns of Policing- A Comparative International Analysis* (New Brunswick, N. J.: Rutgers University Press, 1985).
¹⁸ Roy Walmsley, *Prison Systems in Central and Eastern Europe* (Helsinki: HEUNI, 1996).
¹⁹ Freda Adler, ed., *The Incidence of Female Criminality in the Contemporary World* (New York: New York University Press, 1984).
²⁰ Marshall B. Clinard, *Cities with Little Crime: The Case of Switzerland* (London: Cambridge University Press, 1978).
²¹ Louise I. Shelley, *Crime and Modernization: The Impact of Industrialization and Urbanization on Crime* (Carbondale: Southern Illinois University Press, 1981).

- ²² William Clifford, *Crime Control in Japan* (Lexington, Mass.: Lexington Books, 1976).
- ²³ G. O. W. Mueller, World Survey on the Availability of Criminal Justice Statistics, Internet-UNCJIN-ftp 238. 33. 18 W'SAYL.²³
- ²⁴ Interpol, located in Lyons, France, has published the crime statistics supplied to it by member states since 1951.
- ²⁵ First survey: 1970-1975, A/32/199; second survey: 1975-1980, a/Conf. 121/18; third survey: 1980-1986, A/Conf. 144/6; fourth survey: 1986-1990, A/Conf. 169/15 and Add. 1; fifth survey (see United Nations, *Global Report on Crime and Justice*). See "Window to the World" in Chapter 2.
- ²⁶ World Health Organization, "Homicide Statistics," in *World Health Statistics* (Geneva: World Health Organization, annually).
- ²⁷ Dane Archer and Rosemary Gartner, *Violence and Crime in Cross-National Perspective* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1984).
- ²⁸ Richard R. Bennett, *Correlates of Crime: A Study of Nations, 1960-1984* (Ann Arbor, Mich.: Inter-University Consortium for Political and Social Research, 1989).
- ²⁹ Richard R. Bennett and James P. Lybch, "Does a Difference Make a Difference?" *Criminology*, 28 (1990): 155-182.
- ³⁰ Jan J. M. Van Dijk, Pat Mayhew, and Martin Killias, *Experiences of Crime across the World: Key Findings From the 1989 International Crime Survey* (Deventer, Netherlands: Kluwer, 1990).
- ³¹ Josine Junger-Tas, Gert-Jan Terlouw, and Malcolm W. Klein, *Delinquent Behaviour among People in the Western World* (Amsterdam: RDC Ministry of Justice, Kugler Publ., 1994).
- ³² Hermann Mannheim, *Comparative Criminology* (Boston: Houghton Mifflin, 1965).
- ³³ See Jerome L. Neapolitan, *Cross-National Crime-A Research Review and Sourcebook* (Westport, Conn.: Greenwood Press, 1997).
- ³⁴ Elmer H. Johnson, ed., *International Handbook of Contemporary Developments in Criminology*, 2 vols. (Westport, Conn.: Greenwood Press, 1983).
- ³⁵ United Nations, The United Nations Crime Prevention and Criminal Justice Program: Formulation of Standards and Efforts at Their Implementation (Philadelphia: University of Pennsylvania, 1994).
- ³⁶ G. O. W. Mueller, Michael Gage, and Lenore R. Kupperstein, *The Legal Norms of Delinquency: A Comparative Study*: Criminal Law Education and Research Center Monograph Series, vol. 1 (South Hackensack, N. J.: Fred B. Rothman, 1969).
- ³⁷ Anastassios Mylonas, *Perception of Police Power: A Study in Four Cities*, Comparative Criminal Law Project Monograph Series, vol. 8 (South Hackensack, N. J.: Fred B. Rothman, 1973).
- ³⁸ Setsuo Miyazawa, "The Enigma of Japan as a Testing Ground for Cross-Cultural Criminological Studies," *Annals Internationales de Criminologie*, 32 (1994): 81-103.
- ³⁹ Sheldon Glueck and Eleanor Glueck, *Unravelling Juvenile Delinquency* (New York: The Commonwealth Fund; Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1950).
- ⁴⁰ Sheldon Glueck and Eleanor Glueck, of *Delinquency and Crime-A Panorama of Years of Search and Research*, Publications of the Criminal Law Education and Research Center, vol. 8 (Springfield, Ill.: Charles C Thomas, 1974), p. 332.
- ⁴¹ Obi N.I. Ebbe, "Juvenile Delinquency in Nigeria: The Problem of Application of Western Theories," *International Journal of Comparative and Applied Criminal Justice*, 16 (1992): 353-370.
- ⁴² Rosemary Gartner, "The Victims of Homicide: A Temporal and Cross-National Comparison," *American Sociological Review*, 55 (1990): 920-106.
- ⁴³ Gary LaFree and Christopher Birkbeck, "The Neglected Situation: A Cross-National Study of the Situational Characteristics of Crime," *Criminology*, 29 (1991): 73-98.
- ⁴⁴ Richard R. Bennett, "Routine Activities: A Cross-National Assessment of a Criminological Perspective," *Social Forces*, 70 (1991): 147-163.
- ⁴⁵ Richard R. Bennett and P. Peter Basiotis, "Structural Correlates of Juvenile Property Crime: A Cross-National, Time-Series Analysis," *Journal of Research in Crime and Delinquency*, 28 (1991): 262-287.
- ⁴⁶ Sam S. Souryal, "Juvenile Delinquency in The Cross-Cultural Context: The Egyptian Experience," *International Journal of Comparative and Applied Criminal Justice*, 16 (1992): 329-352.
- ⁴⁷ Gregory C. Leavitt, "General Evaluation and Durkheim's Hypothesis of Crime Frequency: A Cross-Cultural Test," *Sociological Quarterly*, 33 (1992): 241-263.
- ⁴⁸ Christopher Birkbeck, "Against Ethnocentrism: A Cross-Cultural Perspective on Criminal Justice Theories and Policies," *Journal of Criminal Justice Education*, 4 (1993): 307-323.
- ⁴⁹ L. Shelley, *Crime and Modernization*.
- ⁵⁰ David Shichor, "Crime Patterns and Socio-Economic Development: A Cross-National Analysis," *Criminal Justice Review*, 15 (1990): 64-78.
- ⁵¹ "New Perspectives in Crime Prevention and Criminal Justice and Development: The Role of International Co-operation," working paper prepared by the Secretariat, United Nations, 1980, A/Conf. 87/10.

- ⁵² Freda Adler, *Nations Not Obsessed with Crime*, Comparative Criminal Law Project Publications Series, vol. 15 (Littleton, Colo.: Fred B. Rothman, 1983).
- ⁵³ See Note 8.
- ⁵⁴ See Ugljesa Zvekic, ed., *Essays on Crime and Development* (Rome: U. N. Interregional Crime and Justice Research Institute, 1990).
- ⁵⁵ V. Lee Hamilton and Joseph Sanders, *Everyday Justice: Responsibility and the Individual in Japan and the United States* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1992).
- ⁵⁶ Dale E. Berger et al., "Deterrence and Prevention of Alcohol-Impaired Driving in Australia, the United States, and Norway," *Justice Quarterly*, 7 (1990): 453-465.
- ⁵⁷ David B. Kopel, *The Samurai, the Mountie, and the Cowboy: Should America Adopt the Gun Controls of Other Democracies?* (Buffalo, N. Y.: Prometheus, 1992).
- ⁵⁸ Robert L. Nay, *Firearms Regulations in Various Foreign Countries* (Washington, D. C.: Law Library of Congress, 1990).
- ⁵⁹ Yu-Hsiu Hsu, ed., *International Conference on Environmental Criminal Law* (Taipei: Taiwan/ROC Chapter of the International Association of Penal Law, 1992).
- ⁶⁰ Rosemary Gartner, "Family Structure, Welfare Spending, and Child Homicide in Developed Democracies," *Journal of Marriage and the Family*, 53 (1991): 231-240.
- ⁶¹ Margo I. Wilson and Martin Daly, "Who Kills Whom in Spouse Killings? On the Exception Sex Ratio of Spousal Homicides in the United States," *Criminology*, 30 (1992): 189-215.
- ⁶² F. H. McClintock and Per-Olof H. Wikstrom, "The Comparative Study of Urban Violence-Criminal Violence in Edinburgh and Stockholm," *British Journal of Criminology*, 32 (1992): 505-520.
- ⁶³ Lois A. Fingerhut and Joel C. Kleinman, "International and Interstate Comparisons of Homicide among Young Males," *Journal of the American Medical Association*, 263 (1990): 3292-3295.
- ⁶⁴ Dae H. Chang and Galan M. Janeksela, eds., "Special Issue on Comparative Juvenile Delinquency," *International Journal of Comparative and Applied Criminal Justice*, 16 (1992): 135-170.
- ⁶⁵ Mylonas, Perception of Police Power.
- ⁶⁶ Graeme Newman, *Comparative Deviance: Perception and Law in Six Cultures* (New York: Elsevier Scientific, 1976).
- ⁶⁷ Russel P. Dobash, R. Emerson Dobash, Scott Balliofyne, Karl Schuman, Reiner Kaulitzki, and Hans-Werner Guth, "Ignorance and Suspicion: Young People and Criminal Justice in Scotland and Germany," *British Journal of Criminology*, 30 (1990): 306-320.
- ⁶⁸ Ronald D. Hunter, "Three Models of Policing," *Police Studies*, 13 (1990): 118-124.
- ⁶⁹ Leslie T. Wilkins, *Punishment, Crime and Market Forces* (Aldershot, England: Dartmouth, 1991).
- ⁷⁰ See Gunther Kaiser, Helmut Kury, and Hans-Jorg Albrecht, eds., *Victims and Criminal Justice*, 3 vols. (Freiburg, Germany: Max Planck Institut, 1991).
- ⁷¹ Jack Levin and Jack McDevitt, *Hate Crimes-The Rising Tide of Bigotry and Bloodshed* (New York: Plenum, 1993).
- ⁷² See Hans-Dieter Schwind et al., "Causes, Prevention and Control of Violence," *Revue Internationale de Criminologie et de Police Technique*, 43 (1990): 395-520.
- ⁷³ Gerhard O. W. Mueller and Freda Adler, *Outlaws of the Ocean: The Complete Book of Contemporary Crime on the High Seas* (New York: Hearst Marine Books, 1985).
- ⁷⁴ See fourth U.N. Survey, 1986-1990, A/Conf. 169/15 and Add. 1.
- ⁷⁵ See for example, Jonathan Reuvid, ed., *The Regulation and Prevention of Economic Crime Internationally* (London: Kogan Page, 1995).
- ⁷⁶ United Nations Office for Drug Control and Crime Prevention, *United Nations Global Program against Money Laundering* (New York: United Nations, 1998), p. 19.
- ⁷⁷ Laurence Zuckerman and John Sullivan, "An FAA Study Shows Few Gains in Improving Security at Airports," *New York Times*, Nov. 5, 1999, p. 30.
- ⁷⁸ Several journals are devoted entirely to terrorism. See *Terrorism* (New York).
- ⁷⁹ "High-Tech Art Sleuths Snare Thieves," *C.J. International*, 9 (1993): 4: 6.
- ⁸⁰ Truc-Nhu Ho, *Art Theft in York City: An Explanatory Study in Crime Specificity*, Ph. D. dissertation, Rutgers University, 1992.
- ⁸¹ Ralph Blumenthal, "Museums Getting Together to Track Stolen art," *New York Times*, July 16, 1996, pp. C13, C15.
- ⁸² Natalie D. Voss, "Crime on the Internet," *Jones Telecommunications and Multimedia Encyclopaedia*, Drive D:/Studio, Jones Digital Century, 1996.
- ⁸³ Michael R. Gordon, "Stolen Uranium Intercepted by Georgia in the Caucasus," *New York Times*, Sept. 24, 1999, p. 6.
- ⁸⁴ "For Sale-Nukes: Deadly Plutonium from Russia's Vast Nuclear Network Is Turning Up on the European Market. Who Is Buying-and Can They Be Stopped?" *Newsweek*, Aug. 29, 1994, pp. 30-31.

- ⁸⁵ Les Johnston, "Policing Plutonium: Issues in the Provision of Policing Services at Nuclear Facilities and for Related Materials in Transit," *Policing and Society*, 4 (1994): 53-72.
- ⁸⁶ Eric Ellen, "The Dimensions of International Maritime Crime," in *Issues in Maritime Crime: Mayhem at Sea*, ed. Martin Gill (Leicester, United Kingdom: Perpetuity Press, 1995), pp. 4-11.
- ⁸⁷ National Insurance Crime Bureau, fax of July 29, 1996.
- ⁸⁸ British Banking Association estimate. See Larry E. Coutoria, "The Future of High-Technology Crime: A Parallel Delphi Study," *Journal of Criminal Justice*, 23 (1995): 13-27.
- ⁸⁹ E.g., Sally M. Edwards, Terry D. Edwards, and Charles B. Fields, eds., *Environmental Crime and Criminality* (New York: Garland, 1996).
- ⁹⁰ Ko-lin Chin, *Chinese Subculture and Criminality: Non-traditional Crime Groups in America* (Westport, Conn.: Greenwood, 1990).
- ⁹¹ Michael Woodiwiss, "Crime's Global Reach," in *Global Crime Connections*, ed. Frank Pearce and Michael Woodiwiss (Houndmills, United Kingdom: Macmillan, 1993), pp. 1-31.
- ⁹² Raphael F. Perl, ed., *Drugs and Foreign Policy: A Critical Review* (Boulder, Colo.: Westview Press, 1994).
- ⁹³ See Frederick T. Martens, "Transnational Enterprise Crime and the Elimination of Frontiers," *International Journal of Comparative and Applied Criminal Justice*, 15 (1991): 99-107.
- ⁹⁴ See "Crime Prevention and Criminal Justice in the Context of Development: Realities and Perspectives of International Cooperation," *International Review of Criminal Policy*, 41/42 (1993): 1-19.
- ⁹⁵ Gerhard O. W. Mueller, "Transnational Crime: An Experience in Uncertainties," in *Organized Crime: Uncertainties and Dilemmas*, ed. S. Einstein and M. Amir (Chicago: Office of International Criminal Justice, 1999), pp. 3-18.
- ⁹⁶ Draft Articles of the Draft Code of Crimes against the Peace and Security of Mankind, adopted by the International Law Commission on First Reading, United Nations, New York, 1991.
- ⁹⁷ Shana Swiss and Joan E. Giller, "Rape as a Crime of War," *Journal of the American Medical Association*, 270 (1993): 6120615.
- ⁹⁸ For an analysis of all International Crimes, see M. Cherif Bassiouni, ed., *International Criminal Law: vol. I, Crimes*, 2d ed. (Ardsley, N. Y.: Transnational, 1999).

პარის
შედარებითი კრიმინოლოგია
და სამართალდამსავი სისტემა

**ფრედა ადლერი გერჰარდ ვ. მიულერი ვილიამი
ლაუფერი**

ნაწილი II
სისხლის სამართლის მართლმსაჯულების
სისტემისადმი კრიმინოლოგიური მიდგომა

თავი 2

*სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესი
და გადაწყვეტილებები*

თავი 3

კანონიერების დაცვა - პრაქტიკა და კვლევა

თავი 4

სასამართლოების არსი და ფუნქციონირება

თავი 5

გამასწორებელი სისტემის კვლევა

ნაწილი 2

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისადმი კრიმინოლოგიური მიდგომა

თავი 2

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესი და გადაწყვეტილებები

როდესაც ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დაუყოვნებლივ იწყება სამართლებრივი აპარატის ამოქმედება. ამ აპარატს ეწოდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა. ფართომასშტაბიანმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა საფუძვლიანად გავცნობოდით როგორც მთლიანად სისტემას, ასევე მის შემადგენელ ნაწილებს, რაც იმის წინაპირობას ქმნის, რომ ეს სისტემა უფრო რაციონალური, ხელმისაწვდომი და პუმანური გავხადოთ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი - კანონიერების დაცვა - ყველაზე თვალსაჩინო და ძვირადღირებული სფეროა, ვინაიდან აქ თავმოყრილია სისტემაში დასაქმებული პერსონალის უდიდესი ნაწილი. პოლიციის მუშაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის, კანონის აღსრულების ფორმებისა და ამ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისა თუ განცდილი მარცხის ახსნა შესაძლებელია თანამედროვე კრიმინოლოგიური კვლევის ქრილში.

სასამართლოს - სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მეორე კომპონენტს - ფუნქციები და ამოცანები განიხილება კრიმინოლოგიური კვლევის შუქზე. ამერიკაში დანაშაულობათა მაღალი დონე, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ, უკავშირდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესაბამე კომპონენტს - გამასწორებელ ღონისძიებებს. გამასწორებელი ღონისძიებები მოიცავს როგორც ინსტიტუციონალურ სასჯელს (ციხეები და საპყრობილები), არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებებს და ა.შ., ასევე არაინსტიტუციონალურ სასჯელს - ჯარიმას, პრობაციას, პირობით ვადამდე გათავისუფლებას და ა.შ. გამასწორებელ ღონისძიებათა ქმედითობა, წარმატება თუ წარუმატებლობა გამოკვლეულია კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

§1 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ფაზები

1960 წლამდე სისხლის სამართლის პროცედურები - დაპატიმრებიდან სასჯელის მისჯამდე - ძირითადად, არ მოიაზრებოდა როგორც ერთიანი პროცესი. ამ სისტემის სხვადასხვა უბანი თითქოს იზოლირებულად არსებობდა. 1960-იან წლებში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას განიხილავენ მრეწველობაში წარმოების სისტემის მსგავს პროცესად. 1967 წელს კანონიერების დაცვისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირების საბრეზიდენტო კომისიამ პირველად წარმოადგინა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ისეთ მექანიზმად, სადაც ხდება პროდუქტის წარმოება ერთიან პროცესში. მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამ პროდუქტს განმარტავს

როგორც მართლმსაჯულებას, მეორე - როგორც დანაშაულის შემცირებას, ნაწილი კი ორივეს ამ სისტიემის ნაყოფად აღიარებს.¹

თუ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას განვიხილავთ როგორც სისტიემას ან პროცესს, მაშინ ჩვენ უნდა შევძლოთ მისი დანახარჯებისა თუ სარგებლის შეფასება. დანახარჯების შეფასება უფრო იოლია. მონტანაში, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის შემდგომ გაწეული პროცესუალური ხარჯების მთელი თანხა, საშუალოდ, შეადგენს: მარტივი საქმეებისათვის - 4.047 დოლარს (პოლიციის ღირებულების - 561, სასამართლო პროცესის ღირებულების 1.511, ციხეში იძულებითი პატიმრობის ღირებულების 1.511 დოლარის ჩათვლით) უფრო მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის თანხა ადის 45.312 დოლარმდე.² სარგებელი ძნელი გამოსაანგარიშებელია, რადგან ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, დანაშაულის და რეციდივიზმის თავიდან აცილების მაჩვენებლებს უნდა დავეყრდნოთ, თუ მართლმსაჯულების განხორციელების, უსაფრთხოების გრძნობის, დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურების ან კონფლიქტის მოგვარების ამისაველ მონაცემებს.³ ზოგიერთი მეცნიერი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტიემებს ახასიათებს არა მათი მიზნების, არამედ ძირითადი ნიშნების მიხედვით. მაგალითად, ჰერბერტ პარკერი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტიემებში გამოყოფს, ერთი მხრივ, დანაშაულის კონტროლის მოდელს, რომელსაც ეფექტურობა და ქმედითობა ახასიათებს და, მეორე მხრივ, სათანადო სამართლებრივი პროცედურის მოდელს, რომელიც უფრო ბრალდებულის უფლებათა დაცვაზეა ორიენტირებული.⁴ კრიმინოლოგთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იდეალური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტიემა უნდა ახდენდეს ორივე მოდელის შერწყმას.

საპრეზიდენტო კომისია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტიემას 5 ფაზად ჰყოფს. თითოეულმა სისხლის სამართლის საქმემ პოტენციურად შეიძლება ხუთივე ფაზა გაიაროს, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში ასე არ ხდება.

პირველი ფაზაში, რომელსაც *სისტიემაში შესვლა* ეწოდება, მოქალაქეები ატყობინებენ პოლიციას სამართალდარღვევის შესახებ. პოლიცია იწყებს საქმის გამოძიებას და ეჭვმიტანილის დადგენას, რითაც ის ამ საფეხურზე გადასწევს როლის ასრულებს. სასამართლოს მონაწილეობა კი იმაში გამოიხატება, რომ ახორციელებს გამოძიებას და გასცემს დაპატიმრების ორდერს.

მეორე ფაზაში, რომელიც *გულისხმობს ბრალდების ჩამოყალიბებას და სასამართლოს წინა მომსახურებას*, ერთგებან სახელმწიფო ბრალდებულები, რომლებიც ამზადებენ ბრალდებას, დიდი ჟიური, რომელიც წყვეტს ბრალდებულის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის გადაცემის საკითხს და მოსამართლეები, რომლებიც ატარებენ საქმის მოსმენათა მთელ სერიას - დაპატიმრებულის სასამართლოში პირველი გამოცხადებისა და წინასწარი მოსმენის ჩათვლით.

მესამე ფაზა - *სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა* - იწყება ბრალდების წაყენებით, განსასჯელი ცნობის ან არ ცნობის მის წინააღმდეგ წაყენებულ საბრალდებო აქტს ან საჩივარს (ფორმალურ ბრალდებას). ეს საფეხური სრულდება განაჩენის გამოტანით: დაშნაშავა ან არ არის დაშნაშავე, რასაც ახორციელებს მოსამართლე ნაფიც მსაჯულებთან ერთად ან მათ გარეშე. ბრალდებელი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოსა და ხალხს და დამცველი ყველაზე აქტიურად ამ საფეხურზე ერთგებან პროცესში.

მეოთხე ფაზა მოიცავს *მსჯავრდებას და სანქცირებას*. შტატების უმეტესობაში ნაფიცი მსაჯულები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ მსჯავრდებაში. მსჯავრი

მოსამართლეს გამოაქვს, ჩვეულებრივ, განსაჯელის საქმის მასალების (მისი პიროვნებისა და ცხოვრების გარემოებათა შესახებ მონაცემების) გაცნობის შემდეგ, რომელსაც ამზადებს პრობაციის სამსახურის თანამშრომელი სასამართლო პროცესზე აზრის გამოთქმა შეუძლია ბრალმდებელს, დამცველს და ბრალდებულს, ზოგიერთ შტატში დაზარალებულსაც აძლევენ სიტყვით გამოსვლის უფლებას.

მესუთე - *სასჯელადისრულების* - ფაზაში მოქმედებს იწყებს აღმასრულებელი ხელისუფლება; სასჯელადისრულების დეპარტამენტს სისრულეში მოჰყავს სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ამ საფეხურზე კანონის დაცვის უზრუნველყოფს სასამართლო.

საპრეზიდენტო კომისიის მიერ შედგენილი სისტემის სქემაზე სამი სხვადასხვა მიმართულება იკვეთება. პირველ მიმართულებაში შედის მძიმე დანაშაულები, ოვივე ფელონიები, მეორეში - წვრილმანი დანაშაულები, ოვივე მისდომიანობები. განსხვავება მათ შორის არის ის, რომ მისდომიანობის შემთხვევაში საჭირო არ არის დიდი უთურის საბრალდებო აქტი და საქმის განხილვა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, ხოლო სანქცია ითვალისწინებს პატიმრობას ერთ წლამდე ან ერთი წლის ვადით, თავისუფლების აღკვეთას კი თუ ვადა ერთ წელზე მეტია, ცვლის ჯარიმით. მესამე მიმართულება მოიცავს არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებს, რომელიც სრულწლოვანთა საქმეების განხილვისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ნაკლებად ოფიციალურ დონეზე მიმდინარეობს და მასში იშვიათად არიან ჩართულნი ნაფიცი მსაჯულები. დასაშვებია სხვა მიმართულებების გამოყოფაც, როგორც არის მაგალითად: საერთაშორისო დანაშაულები, ეკონომიკურ, გარემოს დაცვისა და მარეგულირებელ კანონთა დარღვევები.

როგორც სქემაზეა აღნიშნული, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებს საერთო გასასვლელი არ გააჩნიათ. ისინი სხვადასხვა გასასვლელისაკენ მიემართებიან. სისტემაში სამართალდამრღვევის მიმართულების ხაზი არ არის წინასწარ დადგენილი და უწყვეტი მას თავიდან ბოლომდე გეზს აძლევს ამ პროცესში ჩართულ ადამიანთა პირადი გადაწყვეტილებები, თვით სამართალდამრღვევის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჩათვლით. მაიკლ რ. გოდფრედისონი და დონ მ. გოდფრედისონი მიუთითებენ, რომ ამ სისტემის გავლით მიღებული გადაწყვეტილების შედეგი შეტად საექვოა. დანაშაულთა ჩადენის შესახებ ყველა შეტყობინებას, რომელსაც პოლიცია იღებს, არ ეძლევა შემდგომი მსვლელობა, ანუ არ მიდის სასამართლომდე, ასევე გაცვლით მეტია დაშნაშავეთა დაკავების, ვიდრე მათთვის თავისუფლების აღკვეთის ფაქტები.⁵ ამ თავში ჩვენ განვიხილავთ პროცესის სხვადასხვა საფეხურზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგებს.

1. სისტემაში შესვლა

საწყის საფეხურზე ხდება სამი სახის გადაწყვეტილების მიღება: მოქალაქეები იღებენ გადაწყვეტილებას საექვო დანაშაულებრივი ქმედების პოლიციისათვის შეტყობინების შესახებ; პოლიცია გადაწყვეტს, აღძრას თუ არა საქმე განცხადების საფუძველზე და მოიპოვოს თუ არა დაპატიმრების ორდერი; სასამართლო კი თანხმობას აძლევს ანდა უარს ამბობს ნებადართულ გამოძიებაზე და დაპატიმრების ორდერზე.

დაზარალებულის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩაბმა იწყება მაშინ, როდესაც დანაშაული ცნობილი

ხდება პოლიციისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღრიცხულ დანაშაულთა რიცხვი არ შეესაბამება ჩადენილ დანაშაულთა რიცხვს, რადგან: პირველი, ბევრი მოვლენა, რომელსაც აღწერენ როგორც დანაშაულს, სინამდვილეში შეიძლება დანაშაული არ იყოს, მაგალითად, როდესაც იტყობინებიან საფულის მოპარვის ფაქტს, სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ ფი დაკარგულია; როდესაც იტყობინებიან, რომ მანქანა მოიპარეს, შეიძლება ფი პატრონის მიერვე იყოს მიტოვებული დაზღვევის დახმარების თანხების მიღების მიზნით. ასეთი შეტყობინებები დანაშაულის სტატისტიკას ხელოვნურად ზრდის. მეორე, ბევრი დანაშაულის შესახებ თვითონ დაზარალებული არ ატყობინებს პოლიციას. დაზარალებულის გადაწყვეტილება, დანაშაულის შესახებ შეატყობინოს პოლიციას, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე. თავად დაზარალებულის პოლიციისადმი დამოკიდებულებაზე, დაზარალებულის სქესსა და სხვა ფაქტორებზე.⁶

პოლიციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებანი. როდესაც დანაშაულის შესახებ ინფორმაცია ცნობილი ხდება პოლიციისათვის, საქმეში გადაწყვეტილების მიღება: უნდა აღიძრას საქმე და დაიწყოს თუ არა გამოძიება; უნდა დადგინდეს ჩადენილია თუ არა დანაშაული და ვინ ჩაიდინა იგი პოლიცია, რა თქმა უნდა, გერ მოახდენს რეაგირებას ყველა განცხადებაზე, რადგან საკმაოდ მძიმე დატვირთვით მუშაობს, ამიტომ იქ უპირატესობას ანიჭებენ უფრო მნიშვნელოვანი დანაშაულის გამოძიებას.

პოლიციის გადაწყვეტილებაზე — დაიჭიროს თუ დაპატიმრების ორდერი მოიპოვოს — ბევრი სხვა ფაქტორიც ახდენს ზეგავლენას. პოლიციამ უნდა გათვალისწინოს ხალხის აზრი იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოცემული საკანონმდებლო აქტი იმის შესაძლებლობა, ითანამშრომლებს თუ არა მათთან მოწმე და დაპატიმრება ძალიან მკაცრი ზომა ხომ არ აღმოჩნდება. დაპატიმრებას თავისი ალტერნატივაც გააჩნია: დაწყებული სრული გათავისუფლებიდან, დამთავრებული პირობითი ან ახალგაზრდების მშობლების ანდა მეურვეების თავდებით გათავისუფლებით.⁷

კანონიერი კრიტერიუმები. რომელი კანონიერი კრიტერიუმი განსაზღვრავს როდის და რომელი ეჭვმიტანილი უნდა მოხდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში? როდის შეიძლება ამ სისტემამ რაიმე მოიპოქმედოს ეჭვმიტანილის თაობაზე? სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებობს ეჭვმიტანილის ერთი საფეხურიდან მეორეზე გადაყვანის კანონიერი კრიტერიუმები კონსტიტუცია, როგორც ამას უზენაესი სასამართლო განმარტავს, ითვალისწინებს ზოგიერთ ამგვარ კრიტერიუმს.

კონსტიტუციის მიხედვით არ შეიძლება „დაიჭირონ“ (სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ჩართონ) პიროვნება დაპატიმრების ორდერის გარეშე, რომელიც გაიცემა დანაშაულის ჩადენის საკმარისი საფუძვლზე არსებობის შემთხვევაში თითქმის ორი საუკუნეა თვლიან, რომ საკმარისი საფუძვლის აუცილებლობა ამკვიდრებს იმ თვალსაზრისს, რომლითაც პოტენციური ბრალი შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს დაპატიმრებული პირის მართლმსაჯულებისათვის გადასაცემად. თეორიულად გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ ან მაგისტრატმა მოწმეთა (პოლიციის ჩათვლით) ჩვენებების საფუძველზე, რომელსაც ისინი ფიცის ქვეშ იძლევიან იმის თაობაზე, რომ მოცემულმა ეჭვმიტანილმა ჩაიდინა

მოცემული დანაშაული. პრაქტიკულად კი გადაწყვეტილებას იღებს დანაშაულის ადგილზე მისული პოლიცია.

არც მაგისტრატა, რომელიც გასცემს დაპატიმრების ორდერს და არც პოლიცია, რომელიც აპატიმრებს ორდერის გარეშე, არ ხელმძღვანელობს საკმარისი საფუძვლის ზუსტი ნიმუშით. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციას ეჭვმიტანილის პატიმრობაში ასაყვანად აქვს საკმარისი საფუძველი, როდესაც:

„მათთვის ცნობილი ანდა ანგარიშგასაწვევ სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით მოპოვებული ფაქტები და გარემოებები საკმარისია, რათა გონიერი ადამიანი დარწმუნდეს, რომ ეჭვმიტანილმა ჩაიდინა დანაშაული ან მისი ჩადენის პროცესში იყო.“⁸

ამ განმარტებას, რომელიც ისეთ ბუნდოვან ტერმინებზეა აგებული როგორცაა „ანგარიშგასაწვევი სანდო ინფორმაცია“ ანდა „გონიერი ადამიანი“, სიზუსტე აკლია. მიუხედავად ამისა, დაპატიმრება, როგორც საკმარისი საფუძვლის გარეშე, ასევე მხოლოდ საკმარისი საფუძვლის ანალიზზე დაყრდნობით მოსამართლის წინაშე ფიცის ქვეშ მოცემული ჩვენებების საფუძველზე გაცემული ორდერის გარეშე, პროცესის უსამართლო შეპყრობად ითვლება და არღვევს მეოთხე შესწორებას.

ასეთი უკანონო დაპატიმრების დროს მოპოვებული სამხილი შეიძლება გაუქმდეს სასამართლო პროცესზე. ამას ეწოდება არაკანონიერი გზით მოპოვებული სამხილს (სასამართლოს მიერ) მთულებლობის წესი. მისი მიზანია, აუკრძალოს პოლიციას უკანონო საქმიანობა, სასამართლოს კი არ მისცეს ასეთი ქცევის მიტევების საშუალება. 1961 წელს „მეფი ოპიოს წინააღმდეგ“ საქმის შედეგად უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ქვეყნის ყველა სასამართლოს უნდა შეეხოს მიუღებლობის წესი.⁹

საზოგადოებისათვის ფართო სამოქალაქო უფლებათა მინიჭების მოძრაობის მომხრეები ამ წესს პოლიციის მხრიდან არაჯეროვანი მოპყრობის წინააღმდეგ გასატარებელ აუცილებელ ზომად მიიჩნევენ. კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ ეს წესი თვითნებური ზომაა, რომელიც ხელბორკილს ადებს პოლიციას. ეს ორი შეხედულება ორ ძირეულ პრობლემას განასახიერებს, რომელიც მეოთხე შესწორების ანალიზით არის გაწონასწორებული. ესაა პროცესების უფლებებისა და თავისუფლებების საპირისპიროდ კანონის ცხოვრებაში ეფექტური გატარების მოთხოვნა. კონსერვატორები კანონის ცხოვრებაში დაუყოვნებელ გატარებასი მოითხოვენ, ლიბერალები კი უფლებების დაცვის გარანტიებს ითხოვენ. კვლევა მთლიანობაში ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ კანონის ზემოქმედება სერიოზულად არ შეფერხებულა მიუღებლობის წესით. პირიქით, ამან კანონის დამცველ პოლიციელთა სამართლებრივი მომზადება უფრო დახვეწა და მათი ქცევაც გააუმჯობესა.¹⁰

უზენაესი სასამართლოს ახალმა გადაწყვეტილებებმა, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, მეტისმეტადაც კი გააძლიერა პოლიციის ძალაუფლება 1960-იან წლებში ქურის დანაშაულის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის ზრდის შემდეგ. უზენაესი სასამართლო იძულებული გახდა, დაეკანონებინა პოლიციის წინდახედული მოქმედების აუცილებლობა, რათა აცლებული ყოფილიყო განსაზღვრული დანაშაულის ჩადენა მაშინაც კი, როდესაც პოლიციელს არ გააჩნდა საკმარისი საფუძველი დასაპატიმრებლად. 1968 წელს უზენაესმა სასამართლომ სცნო პოლიციის ჩარევის მართებულობა, როდესაც ეჭვმიტანილის წინააღმდეგ არსებული სამხილი ცოტაა და საკმარისი საფუძველის ვერ ქმნის. თუ პოლიციელს გააჩნია დასაბუთებული ეჭვი, რომ ამ პროცესებსა შესაძლოა დანაშაულის ჩადენა ედებოდეს ბრალად, მაშინ პოლიციელს ეძლევა ამ პროცესების გაჩერების, გაჩხრეკის და მისთვის შეკითხვების დასმის უფლება,

რათა დარწმუნდეს, რომ ექვემდებარებული არ არის შეიარაღებული და საშიში საზოგადოებისათვის.¹ ამას ეწოდება ქუჩაში განერებისა და განხრეკის წესი. მეტიმეტად კონსერვატიულმა უზენაესმა სასამართლომაც კი კიდევ უფრო გაზარდა პოლიციელის უფლებები² - ჩაატაროს ჩხრეკა და დაკავება, რამაც ზოგიერთი კანონის დამცველი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ უფრო მართებული იქნებოდა სასამართლოს ერთიანობისა და კერძო უფლებებისადმი მეტი დანტერესების გამოჩენა.³

ზოგიერთ შემთხვევაში კანონის დამცველ პოლიციელს შეუძლია ჩარევა ნაკლებად დასაბუთებული ექვსის საფუძველზეც. ნიუ-იორკის უმაღლესმა სასამართლომ, ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ „ხალხი დებურის წინააღმდეგ“ საქმის მოსმენისას დაადგინა, რომ პოლიციელს აქვს უფლება და ოგი მოვალეა მოუხლოვდეს პიროვნებას შეკითხვების დასმის მიზნით „ფაქტების“ საფუძველზე, როდესაც „დაწყებულია დანაშაულის ჩადენა“.⁴

მორანდას გაფრთხილება. დავეუშვათ, რომ პოლიციელმა ან მაგისტრატმა მიიღო გადაწყვეტილება, დააპატიმროს ექვემდებარებული და, რომ ექვემდებარებული ფაქტიურად დაპატიმრებულია, რა ხდება შემდეგ?

პირის დაპატიმრებისთანავე პოლიციელი, რომელმაც მოახდინა დაპატიმრება, ზეპირად უკითხავს მას მორანდას გაფრთხილებას („გაქვს დუმილის უფლება: ყველაფერი, რასაც იტყვი, შეიძლება გამოიყენონ შენს წინააღმდეგ...“). ეს ტერმინი მომდინარეობს უმაღლესი სასამართლოს ყველაზე მნიშვნელოვანი დადგენილებიდან, სადაც ასახულია კონსტიტუციის მე-4, მე-5 და მე-6 შესწორებების პროცედურული ნორმების სამართლიანობა.⁵ ამ გაფრთხილების გარეშე სასამართლოს შეუძლია, პროცესზე არ მიიღოს არც მოწმის ჩვენება და არც ბრალდების მიერ გაკეთებული რაიმე განცხადება, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სამხილიც.⁶ მიუღებლობის წესის გარშემო ატეხილი დავის მსგავსად, კონსერვატორები და ლიბერალები ვერ თანხმდებიან ამ გაფრთხილების საკითხში, თუმცა მისი ზეგავლენის შესწავლამ საპროცესო შედეგი უჩვენა.⁷

როდესაც ექვემდებარებულს აპატიმრებენ, იწყება როგორც ამ შემთხვევის, ასევე სამართალდამრღვევის შესწავლა - თითის ანაბეჭდების აღება, ფოტოგრაფირება (ფოტოების იდენტიფიცირება), საქმის შედგენა და ფორმების შევსება, თავად ექვემდებარებულს მომდევნო ზომების მიღებამდე ათავსებენ პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში.

ადვოკატის აყვანის უფლება. „გიდუონი ვაინრაიტის წინააღმდეგ“ (1963 წ.) საქმეში უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ყოველ ბრალდებულს, რომლის დანაშაულში მხილებას ციხეში ჩასმა მოჰყვება, აქვს ადვოკატის აყვანის უფლება და შტატმა უნდა დაეფაროს ამ მომსახურების ხარჯები, თუ ბრალდებულს ამის საშუალება არ აქვს.⁸ გიდუონის საქმემ, რომელშიც ფლორიდელი ხელმოკლე ბრალდებული იყო ჩართული, დაამტკიცა ღარიბებისათვის თავისუფალი დაცვის საყოველთაო უფლება. ეს შემდგომში მორანდას გაფრთხილებაშიც აისახა. უმაღლესი სასამართლოს მოთხოვნა საჯაროდ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი დანიშნული ადვოკატის, სახალხო დამცველის, ხელშეკრულებით დანიშნული ადვოკატის ანდა სხვა კანონიერი საშუალებების უზრუნველყოფით. თუმცა, ოურისტიკაში, რომლებიც, შემცირებული ბიუჯეტის მიუხედავად, უდიდესი დატვირთვით მუშაობენ, შეიძლება არახელსაყრელი განცხადებების გაკეთებისაკენაც უბიძგონ თავიანთ კლიენტებს.⁹ ამგვარად, მათ დასკვნებისაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ პროცესის

მიმდინარეობაზე.

2. ბრალდების ჩამოყალიბება და სასამართლო პროცესის წინა მომსახურება

ამ ფაზაში ბრალმდებელი და მოსამართლეები იღებენ გადაწყვეტილებებს. ამ საფეხურს სისტიმაში შესულთაგან ყველა არ გადის. ბევრი დაპატიმრებული სისტიმიდან საწყის ეტაპზევე ვარდება: ზოგჯერ იმ ეტაპზე ამოვარდება, როდესაც ხდება ბრალდებაზე უარის თქმა ან საქმის შეწყვეტა. ბრალდებაზე უარის თქმა შეიძლება: თუ არ არსებობს მყარი სამხილი საკმარისი საფუძვლის დასადასტურებლად, დაპატიმრებული პირი არასრულწლოვანია (ამ შემთხვევაში მისი საქმე უნდა გადაეცეს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს), არაქმედუნარიანია (უნდა მოხდეს მისი პოსპიტალიზება), მოსამართლე ან ბრალმდებელი მიიჩნევს, რომ მართლმსაჯულების საკეთილდღეოდ უმჯობესი იქნება შეწყველება და არა დასჯა.

სასამართლო გადაწყვეტილება წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. დაპატიმრების შემდეგ უნდა მოხდეს დაპატიმრებული პირის წარდგენა მაგისტრატის, ადვოკატური მოსამართლის წინაშე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას საკმარისი საფუძვლის არსებობის თაობაზე. მაგისტრატი როგორც მოსამართლე, არ უნდა გასცდეს საკმარისი საფუძვლის ნორმებს, რაც მოსალოდნელია, რომ მან უფრო მკაცრად დაიცვას, ვიდრე პოლიციის ოფიცერმა. მაგისტრატამაც უნდა გაიმეოროს მირანდას გაფრთხილება და შემდეგ გადაწყვიტოს:

- ნება დაერთოს თუ არა ბრალდებულს თავდებით გათავისუფლებაზე, ანდა ნაწილობრივ თავდებით გათავისუფლებაზე (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალდებული სასამართლოზე იხდის გირაოს თანხის მხოლოდ პირობით დათქმულ ნაწილს). ჩვეულებრივ, თავდების გირაოს გადახდა ხელმისაწვდომია კომერციული თავდების გირაოს ფორმით, რომელსაც თავდებით დამდგომი კომპანიების მეშვეობით ახორციელებენ.²⁰
- გაათავისუფლოს თუ არა სასამართლოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების ან ერთი პირის მიერ მეორე პირის სასარგებლოდ მოცემული პირობის საფუძველზე (თავდება საჭირო არ არის, თუ ბრალდებული გამოცხადდება სასამართლოში და მოიქცევა კანონის შესაბამისად).
- გაათავისუფლოს თუ არა ბრალდებული მეურვეობის ქვეშ.
- საჭიროა თუ არა ბრალდებულის პატიმრობაში აყვანა სასამართლო პროცესის დაწყებამდე.

მოსამართლეზე ან მაგისტრატზე წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილებების მიღებისას დიდ გავლენას ახდენს ბრალმდებლის შეხედულება, იმის თაობაზე, თუ რამდენად უსაფრთხო იქნება მოცემული ბრალდებულის საქციელი გათავისუფლების შემდეგ. ზოგიერთ შტატში გათავისუფლების კრიტერიუმი კანონითაა დადგენილი. ისტორიულად თავდებით გათავისუფლების ერთადერთ კრიტერიუმად ითვლებოდა ის, თუ რამდენად შეიძლებოდა ბრალდებულის ნდობა, რომ ის შემდეგაც გამოცხადდებოდა სასამართლოზე. პრაქტიკაში კი მოსამართლეები ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ბრალდების სიმძიმე და იმის აღბათობა, ჩაიდენს თუ არა ბრალდებული დანაშაულს და შეაწუხებს თუ არა დაზარალებულს გათავისუფლების შემთხვევაში.

კოლუმბიის ოლქის გარდა კიდევ რამდენიმე სასამართლო ოლქში დაშვებულია პრევენციული დაკავება, როცა გათავისუფლების შემთხვევაში არსებობს ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთულია ამა თუ იმ ადამიანის შემდგომი საქციელის წინასწარმეტყველება, უზენაესმა სასამართლომ მანც დაადგინა, რომ კონსტიტუციურად მართებულია, თავდებობაზე უარი ეთქვას იმ პირს, რომელიც საშიშად არის მიჩნეული დიდი კვლევაა ჩატარებული წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ფაქტორების განსაზღვრის საკითხზე.²¹ ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გადაწყვეტილების მიღებისას აღმოჩნდა ბრალდების სიმძიმე. ხელახალი დაკავების და სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის დონე შესაძინევად იწვევს დაბლა, თუ სასამართლო პროცესამდე გათავისუფლებას დაუყოვნებლივ მოჰყვება სასამართლო პროცესი.²² ეს მონაცემები კი იმაზე მოუთხოვენ, რომ მართებულია მოსამართლეთა მიერ ბრალდებულის გათავისუფლების რისკის შეფასება და იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მოსამართლეებს სურთ, რისკის მათეული შეფასება უფრო ლიბერალური გახადონ. ეს მოვლენა შემდგომ კვლევას მოითხოვს.

საქმის წინასწარი სასამართლო მოსმენა. ბევრ შტატში სასამართლო პროცესის შემდგომი საფეხურია საქმის წინასწარი სასამართლო მოსმენა - საქმის წინასწარი განხილვა მოსამართლის წინაშე, სადაც ბრალდების მხარემ საკმარისი სამხილი უნდა წარმოადგინოს იმისათვის, რათა დაარწმუნოს მოსამართლე საქმის სასამართლოს ანდა დიდი ჟიურისათვის გადაცემის მართებულობაში. ბევრ სასამართლო ოლქში საქმის წინასწარი სასამართლო მოსმენა ითვლება საკმარისი საფუძვლის კიდევ ერთ განხილვად. მაგრამ ის, რაც აქ ვლინდება, გაცილებით მეტია, ვიდრე საკმარისი საფუძველი ამგვარი განხილვა გარკვეულ უფლებათა (ჯგერედინი დაკითხვა, სამხილის წარდგენა აუცილებელი წესების დაცვით) გამოყენებით წარმართება. საკმარისი სამხილის წარმდგენა ხდება იმ მიზნით, რათა „ბრალდებულს დაეკისროს“ დიდი ჟიურის წინაშე წარდგომა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხილი უნდა წარმოადგენდეს ბრალეულობის დასაბუთებას ან საფუძვლიან დასკვნას, რომ ბრალდებული დამნაშავეა.

საქმის წინასწარი სასამართლო მოსმენის დროს, როდესაც დაცვას არავითარი სამხილის წარდგენა არ სჭირდება, ბრალდებულს ეძლევა საშუალება გაიგოს, თუ როგორ არის შედგენილი ბრალდების საქმე. ადვოკატის გადაწყვეტილება, მიიღოს თუ არა მონაწილეობა სასარჩელო მოლაპარაკებებში, დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება წინასწარი ჩვენების ჩამორთმევის დროს.

ბრალეულობის გადაწყვეტილება. რა შედეგაც არ უნდა წარმოჩნდეს წინასწარ სასამართლო მოსმენაზე, პირის ბრალეულობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება ბრალმდებლის პრეოგატივია. იმ შტატებშიც კი, სადაც დიდმა ჟიურმა უნდა განსაზღვროს მძიმე კატეგორიის დანაშაულში ბრალეულობის საკითხი, უბრველეს ყოვლითა, ბრალმდებელი წყვეტს წარადგინოს თუ არა ეს საქმე დიდი ჟიურის წინაშე. ბრალმდებელივე წყვეტს, თუ რომელი სამხილი და როგორ წარადგინოს დიდი ჟიურის წინაშე.

სამეცნიერო ნაშრომში, რომელიც ბრალმდებლის მართვის ინფორმაციული სისტემის მონაცემებს ეყრდნობა, მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ

ბრალმდებელთა მოტივაციები დაპატიმრების შემდეგ სასამართლოში საქმის განხილვის შეწყვეტის თაობაზე იცვლება დანაშაულობათა მიხედვით: ძარცვის საქმეთა შეწყვეტის მოტივთაგან 43% მოდის „მოწმეთა პრობლემაზე“, 35% - „სამხილის ნაკლებობაზე“ და 22% - „სხვა მიზეზებზე“. საკუთრების არაძალმომრეობითი ხელყოფის დანაშაულთა შემთხვევაში მოტივთა 25% - „მოწმის პრობლემაზე“, 37% - „სამხილის ნაკლებობაზე“ და 36% - „სხვა მიზეზებზე“.²¹

მას შემდეგ, რაც ბრალმდებელი მიიღებს პირის დანაშაულში ბრალეულობის გადაწყვეტილებას და შესაბამისად, აცნობებს მას მოპასუხის დამცველს, ყველაფერი მზად არის ოფიციალურ განცხადებათა შესათანხმებლად. ეს პროცესი ნიშანდობლივია ანგლო-ამერიკული სისტემისათვის, რომლის მიხედვითაც სასამართლო პროცესი წარიმართება ბრალმდებლის მიერ წაყენებული ბრალდების შესაბამისად, რასაც ადვოკატი ეთანხმება (დამნაშავეობის აღიარებით) ან არ ეთანხმება (დამნაშავეობის არცნობით).

სასარჩელო გაროებების პროცესა ყოველი სისხლის სამართლის დამნაშავე (ბრალდებული) საქმის წარმართვის გზებთან დაკავშირებით იყენებს გარკვეულ უფლებებს. ბრალდებული, რომელიც წაყენებული ბრალდებით თავს დამნაშავედ ცნობს, დაეთანხმება ბრალდების მიერ წამოყენებულ ფაქტებს (იქნება ეს ვერდიქტი თუ ინფორმაცია) და ყველა იურიდიულ დასკვნას, სამართლიანად ჩაითვლება დამნაშავედ და მას ბრალი დაედება. ბრალდებული, რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობს, უარყოფს ყველა ფაქტსა და იურიდიულ დასკვნას, მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევის წინაშე აყენებს სახელმწიფოს - ბრალმდებელს - დანაშაულის დასამტკიცებლად საჭირო სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის გამართვით.

საუკუნეების წინათ აღმოცენდა იდეა იმის შესახებ, რომ ორივე მხარე, ბრალდებისაც და დაცვისაც, მოიგებდა თუ ისინი შეთანხმდებოდნენ სარჩელის თაობაზე, რაც, ერთი მხრივ, მთავრობას დაუზოგავდა სასამართლო პროცესის ხარჯებს, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალდებულს ააცილებდა თავიდან მკაცრ სასჯელს, თუ იგი დამნაშავე აღმოჩნდებოდა. XX ს-ის მეორე ნახევარში აშშ-ში დამკვიდრდა ბრალმდებლებისა და ადვოკატების სასარჩელო გაროების საქმეში ჩართვა, რაც გულისხმობდა დამნაშავეს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების განხილვას და უფრო შერბილებულ ანდა სახეცვლილ სარჩელზე შეთანხმებას, რაც სახელმწიფოს სასამართლო პროცესის ხარჯებს უზოგავდა, ბრალდებულისათვის კი უფრო შემწყნარებელი განაჩენი გამოჰქონდათ, ვიდრე თავდაპირველად გაცემული ორდერით იყო გათვალისწინებული.

თავიდან ასეთი სასარჩელო მოლაპარაკებები საიდუმლო იყო და მას ოფიციალურად არ ცნობდნენ. ფაქტიურად, სარჩელის მიღებისას მოსამართლეს ყოველთვის უნდა გაერკვია, ნებაყოფლობით იქნა თუ არა მიღებული იგი. პასუხი ბრალდებულის მხრიდან ყოველთვის დადებითი იყო, თუმცაღა სარჩელი ბრალმდებელთან გარიგების შედეგად მიიღებოდა. თანამედროვე კანონმდებლობა, იქნება ეს ფედერალური თუ შტატისა, ცნობს სარჩელის თაობაზე გარიგების პროცესს და უბრალოდ ითხოვს გარანტიებს, რომ არც ერთი მხარე არ მოქმედებს ძალდატანებით და რომ ყველა სარჩელი ნებაყოფლობითაა დაფიქსირებული შედეგების სრული შეგნებით.

მიუხედავად ამისა, სასარჩელო გარიგებანი მრავალი სახის უსამართლობას იწვევს. მაგალითად, ბრალდებული, რომელიც მორალურად თუ კანონიერად

დამნაშავე არ არის, შეიძლება, ძლიერი სამხილის არსებობის გამო, დათანხმდეს სასარჩელო გაროგებაში მონაწილეობაზე, ანდა თავი დამნაშავედ ცნოს უფრო ნაკლები ბრალდების გამო, თუნდაც ეს სამხილი კონსტიტუციური გარანტიების დარღვევით იქნეს მიღებული. ზოგიერთ შემთხვევაში, "გადამეტებული ბრალდების" (მაგალითად, ბრალდება წინასწარი ბოროტი განზრახვით მკვლელობაში წინასწარგანზრახვით მკვლელობის ნაცვლად) გამო ბრალმდებელმა შეიძლება აძულოს ბრალდებული, თავი დამნაშავედ ცნოს უფრო ნაკლები ბრალდების გამო, არსებითად, კი აძულოს უარი თქვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე წარდგენის უფლებაზე.

სასარჩელო გაროგების პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული. სასამართლო სტატისტიკის ბიუროს საანგარიშო მოხსენებაში აღნუსხულია, რომ ქალაქებში დამნაშავედ ცნობის სარჩელთა რიცხვი აღემატება სასამართლო პროცესების რიცხვის დაახლოებით 17-1 შეფარდებით და დამნაშავედ ცნობის ყველა ეს სარჩელი წინასწარ მოლაპარაკებით იქნა მიღებული.²⁴

ბოლომდე არ არის გამოკვლეული, თუ რატომ იღებენ ბრალდებულები სასარჩელო გაროგებას და რა ფაქტორები მოქმედებს ამ გადაწყვეტილებებზე. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ სასარჩელო გაროგებანა:

- წარმოადგენს სასამართლოსათვის გამოუვალი სისხლის სამართლის საქმეების არიდების აუცილებელ მექანიზმს;
- სასურველ საშუალებას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მკაცრი სანქციების საკომპენსაციოდ;
- ითვალისწინებს სამართლებრივი ნორმების შეუსაბამობას ისეთ გარემოებათა მიმართ, როგორც არის, მაგალითად, შეცდომა, შეურაცხადობა და თავდაცვა, რომლებიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას;
- ამცირებს სასაჯელის გაფართოების მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს, რასაც მოსდევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მაქსიმალური დანაშაულის თავმოყრა;
- ითვალისწინებს სამართლებრივად მიუღებელ, მაგრამ რეალურად ისეთ მნიშვნელოვან ფაქტებს, როგორცაა სიღატაკე, სასოწარკვეთილება, ძლიერი ემოციური დაძაბულობა.

სასარჩელო გაროგებათა გაუქმება დიდ ცვლილებებს გამოიწვევდა როგორც მისაღები სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონებში, ასევე მთელი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. სანამ ამ სფეროში რეფორმები ვატარდება, სისტემა კვლავინდებურად ბრალმდებლებისა და მოპასუხის დაშვებულთა სასარჩელო გაროგების თაობაზე მიღწეულ შეთანხმებებს უნდა დაეყრდნოს.

თუ ბრალდებული და მოპასუხის დამცველი სასარჩელო გაროგებაზე შეთანხმდებიან, მაგალითად, წინასწარგანზრახული მკვლელობის ბრალდებას არაწინასწარგანზრახული მკვლელობის ბრალდებით შეცვლიან ანდა ბრალდებების რიცხვის შეამცირებენ და 4 ქურობას ერთამდე დაიყვანენ, მოსამართლე მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად შეესაბამება ეს გაროგება მართლმსაჯულების ინტერესებს. ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი სასარჩელო გაროგების განხილვისას მოსამართლე ვალდებულია:

1. აცნობოს ბრალდებულს გაროგების არსი (რომ შეიძლება მას მჯავრი დაუყოვნებლივ დაედოს);

2. დაადგინოს, რომ გარიგება გამტკიცებულა ფაქტებით;²⁵

3. მიიღოს გარიგება;

4. გამოითქანოს განაჩენი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე მოთხოვნა, ვინაიდან ოგი მოსამართლისაგან მოითხოვს, გამოარკვეოს საქმეზე არსებული ფაქტები, რათა განსაზღვროს, დასაბუთებულია თუ არა განსაჯელის მიერ დანაშაულის აღიარება. ამ ფაქტის დადგენა სასამართლო პროცესის ტოლფასია.

თუ სასარჩეო გარიგება მიღწეული არ არის, მაშინ საქმე განსახილველად წარედგინება დიდ ჟურის. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლო განხილვა დიდი ჟურის მიერ გამოტანილი საბრალდებო აქტის საფუძველზე. ჩვეულებრივ, ეს უფლება შეზღუდულია მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულთა შემთხვევაში.

საბრალდებო აქტის გამოტანა დიდი ჟურის მიერ. დიდი ჟური ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია აშშ-ს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. ოგი ბირველად დაფიქსირდა 1215 წლის „დიდ ქარტიაში“. მართალია, შემდგომ ეს ინსტიტუტი გაუქმდა ინგლისში, მაგრამ ამერიკის შტატების უმრავლესობა კვლავ ამ პრინციპით უდგება მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულების (ფელონიების) განხილვას, რათა ჯეროვნად შემოწმდეს ბრალმდებლის სამხილი დახურულ მოსმენებზე და გადაწყდეს განსაჯელის ბრალეულობის საკითხი.

ბოლო ხანებში თანდათან მტკიცდება აზრი, რომ დიდი ჟური გადაიქცა ისეთ ვეებერთელა ინსტიტუტად, რომელიც ვეღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ ჭეშმარიტ ფუნქციას — იხსნას უდანაშაულო მოქალაქე მძიმე სასამართლო პროცესისგან. შტატების ორ მესამედში დიდ ჟურის აეკრძალა მონაწილეობის უფლება მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის საქმეებში. ამ პრინციპის ნიუ-ორკიც უჭერს მხარს.²⁶

ფედერალური დიდი ჟური შედგება 16-დან 23-მდე სამოქალაქო პირისაგან და ვერდიქტის გამოტანას სჭირდება სულ მცირე 12 წევრის თანხმობა. მსგავსი პირობებია გათვალისწინებული შტატის კანონების მიხედვით. ვერდიქტი უნდა ეფუძნებოდეს სამხილს, რომელიც მიუთითებს Prima Facie-ის არსებობაზე ბრალდებულის წინააღმდეგ.²⁷

ეს ნიშნავს, რომ არსებობს საკმარისი სამხილი ბრალდებულის გასამართლებისათვის. Prima Facie შეიძლება გაუქმდეს იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც აღძრავს დასაბუთებულ ეჭვს ან ისეთ გარემოებათა გამოვლენის შემდეგ, რომელიც კანონის თანახმად ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. ვინაიდან მკაცრად არის დაცული მტკიცებულებათა საფუძველიანობის მოთხოვნა, ბრალდებულთა უმრავლესობა უპირატესობას სასარჩეო გარიგებას ანიჭებს. მართლაც, სასამართლოს წინაშე წარედგინილთა შორის დიდა სასაჯელმისჯილთა რიცხვი ყოველი 16 ბრალდებულიდან 10 თავს დამნაშავედ ცნობს (ჩვეულებრივ, სასარჩეო გარიგების შედეგად) 4 კი სასამართლოზე გადის. ამ ოთხიდან სამს სასაჯელს უსჯიან და მხოლოდ ერთს აღიარებენ უდანაშაულოდ — საქმე წყდება მოსამართლის ან ბრალმდებლის ინიციატივით.²⁸ თუ ღია სასამართლო პროცესზე ბრალდების წაყენების შემდეგ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს, მაშინ სასამართლო პროცესი იმართება.

3. გადაწყვეტილებების გამოტანა

ბრალდებულს შეუძლია თავად აირჩიოს მოსამართლე გაასამართლებს (ნაფიც მსაჯულთა გარეშე) თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელიც შედგება 12 მოქალაქისაგან, ზოგიერთ შტატში კი არანაკლებ 6 მოქალაქისაგან (ნაკლებად მძიმე დანაშაულებებისათვის).³⁰ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე მოსამართლე იყენებს სამართლებრივ ნორმებს, ინფორმაციას აწვდის ნაფიც მსაჯულებს შესაბამისი თურიდული საკითხებისა და განმარტებების თაობაზე და უხსნის მათ, თუ როგორ უნდა მოუსადაგონ კანონი საქმეში არსებულ ფაქტებს.

მთელი რიგი მიზეზების გამო ბრალდებულმა შეიძლება აირჩიოს ან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი ან ჩვეულებრივი სასამართლო პროცესი. თუ დაცვა ეყრდნობა სამართლებრივი ნორმების გამოყენებასა და ინტერპრეტირებას, უპირანია მოსამართლის არჩევა (ნაფიც მსაჯულთა გარეშე), ხოლო თუ დაცვა მხოლოდ სიმპატიებისა და ემოციებზეა აგებული მაშინ უკეთესი იქნება ნაფიც მსაჯულთა არჩევა.

ჩიკაგოს უნივერსიტეტში 1950-იანი წლებიდან დაიწყო მნიშვნელოვანი კვლევა მოსამართლეებისა და ნაფიც მსაჯულთა ფუნქციებისა და მათი საქმიანობის თაობაზე.³⁰ გამოკვლევებში უპირატესად, ყურადღება მახვილდებოდა იმაზე, თუ რამდენად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებანი. როგორც აღმოჩნდა, განსხვავება უმნიშვნელო იყო.³¹ ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობას ერთსულოვანი ვერდიქტი გამოჰქონდა, რაც ამერიკული სამართლის ძირითად მოთხოვნად იქნა მიჩნეული. 1972 წელს, აღნიშნული შედეგების მიუხედავად, უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 12-ზე ნაკლები ნაფიცი მსაჯულის მიერ გამოტანილი განაჩენი კონსტიტუციით იქნეს დაშვებული.³²

პრესითა და ტელევიზიით ფართოდ გაშუქებულმა 1995 წელს ლოს-ანჯელესში გამართულმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესმა ო. ჯ. სიმონის თაობაზე კვლავ წამოჭრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების „ღია სასამართლოში“ წარმართვის მართებულობის საკითხი.³³ ტელევიზიით გადაცემული მართლმსაჯულება გასართობად იქცა მაშინ, როცა სასამართლო პროცესებზე მისი ზეგავლენის მეცნიერულ კვლევას წინააღმდეგობრივი შედეგი მოაქვს.³⁴

4. განაჩენის გამოტანა

თუ ბრალდებულს ამ სისტემიდან არ ამოაგდებენ და დამნაშავედ არ ცნობენ, გადასცემენ სასამართლო პასუხისმგებში და გაასამართლებენ, ამ პროცესის შემდეგი საფეხური განაჩენის გამოტანა ხდება. ზოგიერთ შტატში გარკვეულ დანაშაულთა შემთხვევაში, კანონმდებლობა მოსამართლეს არანაირ არჩევანს არ უტოვებს – დადგენილი განაჩენი კანონს გამოაქვს. მაგრამ შტატების უმრავლესობაში მოსამართლე კვლავაც სარგებლობს არჩევანის უფლებით. მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, მოიხადოს თუ არა განსასჯელმა პირობითი სასჯელი და რა სახის პირობითი სასჯელი უნდა შეეფარდოს მას; გამოიტანოს თუ არა თავისუფლების აღკვეთის განაჩენი და რა ვადით; სასჯელის მინიმალური ზომა შეუფარდოს თუ მაქსიმალური (თუ ორივე), თუ განაჩენი ღიად დატოვოს (განუსაზღვრელად) კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში; დააწესოს თუ არა ჯარიმა და რა რაოდენობით; მოითხოვოს თუ არა დაზარალებულთა სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა; დააკისროს თუ არა განსასჯელს სასამართლოს ხარჯების ანაზღაურება.

განაჩენის გამოტანისას მოსამართლეები სარგებლობენ წინასამსჯავრო

მოსხენებით, რომელიც მომზადებულია სასამართლოს საპრობაციო დეპარტამენტის მიერ. საპრობაციო დეპარტამენტის მოხელის წინასამსჯავრო მოხსენების შეფასების შემდეგ მოსამართლე გადაწყვეტს, დასვა თუ არა ამ პიროვნების პირობით გათავისუფლების საკითხი, ხშირად საკმაოდ სპეციფიკური პირობით — რომ ეს პირი არ ჩაიდენს სხვა დანაშაულს, არ დატოვებს ქვეყანას ნებართვის გარეშე, დაზარალებულს აუნაზღაურებს ზარალს, დაესწრება „ანონიმური ალკოჰოლიკების“ შეკრებებს და სხვ. განაჩენის გამოტანისას მოსამართლეები ითვალისწინებენ დამნაშავეთა შესახებ წინასამსჯავრო მოხსენებაში გამოვლენილ ფაქტებს: მათ პირად დახასიათებას, წარსულსა და პოტენციურ მომავალს, მათ პრობლემებს და საჭიროებებს. სინამდვილეში, რას ითვალისწინებენ მოსამართლეები განაჩენის გამოტანისას? ეროვნულმა მეცნიერებათა აკადემიამ, მიმოიხილა რა განაჩენის გამოტანის თაობაზე ნაშრომთა უდიდესი ნაწილი, გამოავლინა, რომ დომინირებს ორი კრიტერიუმი:

დანაშაულის სიმძიმე და პირის მიერ ადრე ჩადენილ დანაშაულთა დოსიე განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს განაჩენის გამოტანისას, რაც უფრო მძიმეა დანაშაული და ნეგატიურ მონაცემთა შემცველია დოსიე, მით უფრო მკაცრი იქნება გამოტანილი განაჩენი. ეს თვალსაზრისი იკვეთება იმ უამრავი ნაშრომიდან, რომლებშიც გაანალიზებულია სხვადასხვა ოურისდიქციებიდან მიღებული განსხვავებული დანიშნულების მონაცემები და დამნაშავის დოსიესა თუ დანაშაულის სიმძიმის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მრავალფეროვნება.¹⁵

მეტნაკლებად მსგავსი დამნაშავეებისათვის განსხვავებულ განაჩენთა გამოტანის თავიდან ასაცილებლად მკვლევარებმა ჩამოაყალიბეს განაჩენის სახელმძღვანელო მითითებანი, რაც ზოგიერთმა კანონმდებელმა გაიზიარა და პრაქტიკულად განაზოცვილა. ამ სახელმძღვანელო მითითებებში ასახულია განაჩენის გამოტანის მნიშვნელოვანი კრიტერიუმები, განსაკუთრებით, დანაშაულის სიმძიმის, ასევე დამნაშავის დოსიესა და სხვა ფაქტორების თაობაზე. ეს სახელმძღვანელო მითითებები განკუთვნილია მოსამართლეთა დასახმარებლად სასჯელის ვადებისა და სახის შერჩევისას.

დონ გოტფრედისონმა და ბრიჯიტ სტიქერმა გამოიკვლიეს, თუ რას ითვალისწინებენ მოსამართლეები, როდესაც „სათანადო“ განაჩენს შეარჩევენ. შეისწავლეს რა 17 მოსამართლის მიერ 982 სრულწლოვანი დამნაშავისათვის გამოტანილი განაჩენი, გამოიკვია, რომ მთავარი მიზანი იყო რეაბილიტაცია (საქმეთა 36%), მას მოსდევდა „სხვა მიზნები“, დანაშაულის ჩადენის ზოგადი აცილებების ჩათვლით (34%), დასჯა - (17%), ახალ დანაშაულთა ჩადენის კერძო აცილება - (9%), შეზღუდვა - (4%).¹⁶

5. გამასწორებელი ღონისძიებები

არსებობს გამასწორებელ ღონისძიებათა ორი ტრადიციული სახე: თავისუფლების აღკვეთა (ინსტიტუციონალური) და დადგენილი პირობითი სასჯელი (საზოგადოებრივი). დღესდღეობით არსებობს უამრავი საზოგადოებრივი ალტერნატივა როგორც თავისუფლების აღკვეთის, ასევე პასუხისმგებლობისაგან პირობით ვადამდელი გათავისუფლების სახით.

საზოგადოებრივი სასჯელი, სასამართლო განაჩენმა შეიძლება ბრალდებული აღმასრულებელ ხელისუფლებას, სასჯელადსრულების დაწესებულებათა

ადმინისტრაციის გადასაცემს. ეს ხდება მაშინ, როდესაც განაჩენი გულისხმობს თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ დამნაშავეთა უმეტესობას სასჯელის მოხდა უწევს საზოგადოებაში პრობაციის გზით. ამ შემთხვევაში ეს პირი სასამართლოს კონტროლის ქვეშ რჩება და განაჩენის აღსრულებას ზედამხედველობას უწევს სასამართლოს საპრობაციო დეპარტამენტი.

ამჟამად ბევრ შტატში ხდება ამ ორი ტრადიციული არჩევანის — თავისუფლების აღკვეთისა და დადგენილი პირობითი განთავისუფლების — სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტის გამოყენება. მათ შორისაა: რესტიტუციური (თავდაპირველი უფლებების აღდგენა), ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამებში ჩართვა, შოკური ცხის პატიმრობაში აყვანა, სარეჟიმო დისციპლინის პროგრამებში ჩართვა. პროგრამებს, ჩვეულებრივ, სასჯელაღსრულების სამსახური წარმართავს.

მასშტაბური კვლევა ჩატარდა ბრალდებულთა პრობაციის შედეგების გასაანალიზებლად. მაგრამ ახალი პროგრამების ამოქმედებიდან ჯერ კიდევ არ გასულა საკმარისი დრო, რომ აღნიშნული მოვლენები სათანადოდ შეფასდეს. საწყის ეტაპზე განხორციელებული კვლევა ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება სასამართლო ხარჯების მხრივ მომგებიანი და რეციდივიზმის დონის შემცირების თვალსაზრისით წარმატებული აღმოჩნდეს.³⁷

ინსტიტუციონალური სასჯელა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის გამასწორებელი სექტორი შედგება დაწესებულებებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება უსაფრთხოების დონისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის მხრივ. არსებობს როგორც კვაზინსტიტუციონალური, ასევე საზოგადოებრივი პროგრამები. გამასწორებელი დაწესებულების თანამშრომლები კანონის ფარგლებში უსაფრთხოების მოთხოვნების, ზემოქმედებისა და რეაბილიტაციის პროგრამებისა და ორგანიზაციული საჭიროებების გათვალისწინებით თავადვე წყვეტენ, სად მოათავსონ სასჯელმისჯილი დამნაშავე.

პატიმართა დაყოფა ხდება სასჯელის მოხდის ადგილების მიხედვით. ასეთი გადაწყვეტილებების მიღება არცთუ იოლია.³⁸ საკმაოდ რთულია იმ უსაფრთხოების ზომათა წინასწარ განჭვრეტა, რომელიც უნდა გატარდეს ამა თუ იმ პატიმრის მიმართ. ასევე შეუძლებელია წინასწარ იქნეს გათვლილი განათლების, პროფესიული დაოსტატებისა თუ ზემოქმედების მუშაობა.

შედარებით იოლია პატიმართა სასჯელის მოხდის ადგილებში დასაქმების საკითხის გადაწყვეტა. აქ პატიმრები ასრულებენ საკანცელარიო და მანქანისხეველ სამუშაოს, მუშაობენ ბიბლიოთეკაში, პოსტიტალში, სამრეცხაოში, სამზარეულოში და სხვ. მაგრამ თვით ამ გადაწყვეტილებათა მიღებაც მრავალი ფაქტორის, განსაკუთრებით, კი უსაფრთხოების ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს. ყოველი ასეთი გადაწყვეტილება დროდადრო უნდა გადაინიშოს და შეიცვალოს მოპოვებული ინფორმაციის შესაბამისად.

მასშტაბულობისაგან გათავისუფლებისა და ბრძობით გადაძლევა გათავისუფლების გადაწყვეტილებებს სისტემაში დაშვებული მოქმედების შედარებით თავისუფლების ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილება გათავისუფლების თათბარზე. არსებობს გამასწორებელი სისტემიდან გათავისუფლების ორი სახე: ბრველი, სასჯელის მოხდის შემდეგ პატიმარი უნდა გათავისუფლდეს. მაგრამ გამასწორებელი დაწესებულების ადმინისტრაციას ასეთ შემთხვევაში მაინც

რჩება არჩევანის გაკეთების უფლება, სასჯელის ვადის ხანგრძლივობა გარკვეულწილად მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული გამასწორებელი დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გადაწყვიტოს, დაკარგა თუ არა პატიმარმა გარკვეული დროის მანძილზე გამოვლენილი „კარგი საქციელისათვის“ მინიჭებული შეღავათები დაწესებულების განაწესის დარღვევის გამო. პატიმარი, რომელიც არღვევს შინაგანაწესს, კარგავს ადრე გათავისუფლების უპირატესობას, რაც, როგორც წესი, კარგი ყოფაქცევით მიიღწევა. დღეისდღეობით გათავისუფლების გადაწყვეტილებების განხორციელება გაცილებით გართულებულია, საქმის მსვლელობისათვის აუცილებელია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება უფრო მაღალ სამთავრობო დონეზე. ამგვარ გადაწყვეტილებათა მიღების უფლება აქვთ მოსამართლეებსაც, რომლებიც ხშირად იძლევიან გათავისუფლების ბრძანებას, რათა გაუთავისუფლდეთ ადგილები ახალ პატიმრებს და არ მოხდეს ციხეებში მათი ჭარბი თავმოყრა.

მეორე გზა, რომლის საშუალებითაც შეიძლება გათავისუფლდეს პატიმარი, არის პირობით ვადამდე გათავისუფლება. პირობით ვადამდე გათავისუფლება, თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, წარმოადგენდა უპირატესობას, რომელიც ენიჭებოდა პატიმარს სასჯელადისრულების დაწესებულებაში გამოვლენილი კარგი ყოფაქცევისათვის. ამ საშუაშოს ზედამხედველობა ევალებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მოხელეს. მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა პირობით ვადამდე გათავისუფლების მოხელეთა ტვირთი, თავდაპირველი ჩანაფიქრიც თანდათანობით შორდებოდა იდეალს. დღეს პირობით ვადამდე გათავისუფლება, უბრალოდ, სასჯელადისრულების დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებაა, რომლის გადაწყვეტილებაც პირობით ვადამდე გათავისუფლების კოლეგიას გამოაქვს. პირობით ვადამდე გათავისუფლების კოლეგიებს ამგვარ გადაწყვეტილებათა მისაღებად მეტად მწირ ინფორმაციაზე უხდებთ დაყრდნობა. თუმცა, როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ამ ტიპის დაწესებულებებში მოხვედრილ ადამიანთა ქცევა გარკვეულ კავშირშია გათავისუფლების შემდგომ მათ მიერ გამოვლენილ ქცევასთან.³⁹

დაიხვეწა ასევე პირობით ვადამდე გათავისუფლების მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირების მექანიზმები. ამ მექანიზმებს საყრდენ საფარად უქალას უწოდებენ.⁴⁰ მიუხედავად ამისა, პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილებანი კვლავ რთული მისაღებია. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ საკმაოდ მაღალია გათავისუფლებულ პატიმართა როგორც დაკავების, ასევე ხელახალი გასამართლებისა და ისევ ციხის პატიმრობაში აყვანის კოეფიციენტები.⁴¹ ეს მაჩვენებლები დამოკიდებულია ნაპატიმრობათა რიცხვზე, ჩადენილ დანაშაულებზე, ეთნიკურ წარმომავლობაზე, განათლებაზე, პატიმრობის ვადის ხანგრძლივობაზე, გათავისუფლების შემდეგ განვლილ დროსა და სხვა ფაქტორებზე. ზოგიერთ შტატში საერთოდ გაუქმებულია პირობით ვადამდე გათავისუფლება და სხვა შტატებშიც მას სულ უფრო ნაკლებად იყენებენ.

6. სისტემისათვის დამახასიათებელი გადახრები

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში ამ სისტემაში მოხვედრილ პირთა რიცხვი თანდათანობით მცირდება. ამ მოვლენას „ცვეთის დონეს“ ანდა „სიკვდილიანობის დონეს“ უწოდებენ. კანონიერების დაცვისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირების საპრეზიდენტო კომისიამ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების

სისტიკმა ერთგვარ ძაბრს შეადარა. 1960-იანი წლების შუა ხანებში 727.000 ბრალდებული შევიდა ამ ძაბრში - 2.78 მილიონი აღრიცხული დანაშაულის ერთი მეოთხედი ნაწილია ხუთიდან ერთზე ცოტა მეტი დაპატიმრებული გასამართლებული იქნა.⁴² სამი ათწლეულის შემდეგ - 1990-იანი წლებისათვის - 1965 წლის მონაცემები გახუთმაგდა, მაგრამ პროპორცია თითქმის იგივე დარჩა - 13.2 მილიონი აღრიცხული დანაშაულის ერთი მეხუთედი ნაწილია.

როგორც დაინახეთ, სისტიკის სხვადასხვა ეტაპზე დაფიქსირებული მნიშვნელოვანი გადახრები ორი მიზეზით არის გამოწვეული. პირველი, მათ, ვისაც გადაწყვეტილების მიღება ევალება, მიზეზთა გამო შეიძლება ჩათვალოს, რომ ამა თუ იმ საქმეზე სასამართლო წარმოების განხორციელება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტიკის განვითარების ჩვეული კალაპოტიდან ამოგდებს. და თუ ძინი ასე არ მოიქცევიან, მაშინ სისტიკა მართლაც გაჩერდება. უფრო მეტიც, ამგვარი სიფრთხილის გამოვლენა სადამსჯელო სისტიკის არ აძლევს იმის საშუალებას, რომ იგი მეტიმეტად სადამსჯელო გახდეს. დაბოლოს, ამ ყოველივეს ემატება თანაგრძობა. მეორე, თუ მტკიცებების კანონიერი კრიტერიუმები არ გამოიძენება, საქმე აღარ დაექვემდებარება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას. ამგვარ სიტუაციებში სხვაგვარი არჩევანი გამორიცხულია. ამ პროცესის ყოველ საფეხურზე ხელისუფლება უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცებათა კანონიერ კრიტერიუმებს. ეს კრიტერიუმები თანდათან უფრო მჭიდროვდება, როდესაც საქმე აუცილებელი პროცესუალური მოქმედებების განხორციელებისას სასამართლო წარმოების სხვადასხვა საფეხურებს გაივლის.

დასაბუთებული ეჭვი, როგორც მტკიცებათა ძალზე ფართო კრიტერიუმში, ფართოდ გამოიყენება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტიკაში. მტკიცებულებათა ძალზე ვიწრო კრიტერიუმში - ბრალდება დასაბუთებული ეჭვის გარეშე - იწვევს პიროვნების საბოლოო მსჯავრდებას და ამ სისტიკაში მის დატოვებას. სხვადასხვა შუალედური კრიტერიუმები კი განსაზღვრავს, უნდა გაგრძელდეს თუ არა შემდგომ ეტაპებზე ამა თუ იმ პირის მიმართ პროცესუალური მოქმედებათა განხორციელება.

ჩვენს სისტიკაში არსებული სირთულე, ერთი მხრივ, შესაძლოა გვიცავდეს მთავრობის მხრიდან ჩარევისაგან მანამ, სანამ ჩადენილ დანაშაულში დაზნაშავედ გვეცნობენ სამხილზე დაყრდნობით დასაბუთებული ეჭვის არარსებობის შემთხვევაში.⁴³ მეორე მხრივ, უფრო მეტი ჩარევა ნებადართული მერყევე შკალაზე მაშინ, როდესაც პოტენციური ბრალეულობა იზრდება. ყველაზე უარესი ისაა, რომ თვით ბრალეულობის საბოლოო კრიტერიუმში - მსჯავრდება ბრალეულობის დამამტკიცებელი სამხილის საფუძველზე, დასაბუთებული ეჭვის არარსებობის შემთხვევაში - არ წარმოადგენს განსაზღვრულ კრიტერიუმს. ფედერალურ მოსამართლეთა ჯგუფმა გამოიკვლია და შეაფასა, რომ სამართლიანი სასჯელი შემთხვევათა 90%-ზე მოდის. რაც იმას ნიშნავს, რომ მსჯავრდებულთა 10% არასწორადაა გასამართლებული. თუნდაც ვერწმუნოთ იმ მკვლევართა აზრს, რომლებიც აცხადებენ, რომ ჩვენი სისტიკა სწორად უსჯის სასჯელს 98.5%-ს, აღმოჩნდება, რომ ყოველწლიურად 100.000 არასწორი მსჯავრი გამოაქვთ.⁴⁴ ეს დასკვნა განსაკუთრებით მძიმეა იმ დანაშაულობათა შემთხვევაში, რომელთა ჩადენაც სიკვდილით ისჯება, რადგან მისი აღსრულების შემდეგ შეცდომის გამოსწორება ყოველად შეუძლებელია.

§2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საკმაოდ ფართოა. მისი იურიდიქცია ვრცელდება არასრულწლოვან დაზარალებულზე, რომელთა რიცხვიც 1997 წლის მონაცემებით 1.7 მილიონ დაზარალებულ არასრულწლოვანს შეადგენს. ცხრილში მოცემულია არასრულწლოვანთა მიერ 1997 წელს ჩადენილ ინდექსირებულ სისხლის სამართლის დანაშაულობათა პროპორციული შეფარდება.⁴⁵ 8 ინდექსირებული დანაშაულიდან ყველაზე დაბალი 7,8% მოდიოდა წინასწარი ბოროტი განზრახვით მკვლელობასა და უბრალო, წინასწარი ბოროტი განზრახვის გარეშე მკვლელობაზე. ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით — 46,3%-ით აღინიშნა ცეცხლის წაკიდება. მთელ ინდექსირებულ დანაშაულთა ჩადენისათვის დაზარალებულების 20,2%-ს ანუ 1/5-ს 18 წლამდე არასრულწლოვანები შეადგენდნენ. იმავე წელს ძალადობით ჩადენილ დანაშაულთა გამო დაზარალებულების 17%, ხოლო ქონებრივ დანაშაულთა ჩადენისათვის დაზარალებულთა 35% არასრულწლოვანებზე მოდიოდა.⁴⁶

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩვენული სისტემის საწყისები კლასიკურ რომაულ სამართალში უნდა ვეძიოთ, საიდანაც ორი მიმართულება იკვეთება: პირველი, უდავოდ, სადამსჯელოა, მეორე კი — მხარდაჭერი და საზედამოებელი. პირველმა განაპირობა სრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ბავშვებისათვის. შუა საუკუნეებში საეკლესიო სამართლის თანახმად, რომელი სამართლის კლასიფიკაციის შესაბამისად ბავშვების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიხედვით დაყოფამ დასრულებული ფორმა მიიღო, რაც შემდგომ საერთო სამართალშიც აისახა.

კლასიფიკაციის ამ სქემაში 7-დან 14 წლამდე ბავშვები ექვემდებარებოდნენ სრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, სასამართლო წარმოებისა და სასჯელის მკაცრ ზომებს, რაც კვლავაც ახდენს ზემოქმედებას ჩვენს მენტალიტეტზე და მისი გავლენა ბევრი შტატის კანონში ჩანს. თეორიულად დღეს ვერმონტის შტატში 10 წლის ბავშვი (კოლორადოში — 12 წლის, ჯორჯიაში, ილინოისისა და მისისიპიში კი — 13 წლის) შეიძლება ძივევ გაასამართლონ, როგორც სრულწლოვანი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებამ 1996 წელს 47%-ით მეტი სამართალდარღვევის საქმე გადასცა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს, ვიდრე 1987 წელს.

მეორე მიმართულებაც სათავეს რომაული სამართლიდან იღებს. ესაა ზრუნვა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე. ამის კვალს მივაგენით იმ ცნებაში, რომელიც დღეს იხმარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოებაში, ეს არის *Parens patriae* (მშობელი მამა), რაც ნიშნავდა იმას, რომ რომში იმპერატორს, შუა საუკუნეებში კი მეფეს ან დედოფალს შეეძლო გამოეყოფა ბავშვები „მშობლიური ძალაუფლება“ *in loco parentis* (მშობლების ნაცვლად მიიჩნია ისინი უნიჭოდ ან უღირსად) იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც ან გაჭირვებაში იყვნენ ჩავარდნილები, ან გზიდან გადაცდენის საფრთხე ემუქრებოდათ. მონარქის ეს ძალაუფლება საბოლოოდ შტატის მოსახლეობას გადაეცა და მისი წარმომადგენელი გახდა არასრულწლოვანთა სასამართლოს მოსამართლე.

ამერიკული პრაქტიკაც ამ დოქტრინით ხელმძღვანელობდა და 1838 წლიდან მოყოლებული მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საკითხს განიხილავდა „*Ex parte კრუზის*“ საქმის ანალოგიურად. დედის თხოვნით ახალგაზრდა გოგონა მერი ენ კრუზი,

როგორც გზასაცდენილი და გამოუსწორებელი, ფილადელფიის თავშესაფარში მოათავსეს, როდესაც მერი ენის მამამ, რომელიც გაშორებული იყო მეუღლეს, შეიტყო რაც მოხდა, სცადა მოეპოვებინა სასამართლოს განკარგულება დაპატიმრებული ქალიშვილის გათავისუფლების შესახებ, რომელიც, მისი მტკიცებით, სასამართლო მოსმენის ვარეშე იქნა დაპატიმრებული. პენილენსის უმაღლესმა სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი რაც იმით ახსნა, რომ *parens patriae*-ს დოქტრინის მიხედვით შტატს აქვს უფლება დაცვათ ბავშვები არასწორი აღზრდისაგან.⁴⁷

თავშესაფრები განკუთვნილი იყო იმ დროის გალატაკებული „საშიში“ ქუჩის ხალხისათვის და აგებული იყო ადრეული ინგლისური მოდელის მიხედვით. მაგრამ სინამდვილეში მცირედ თუ განსხვავებულა ციხისაგან, სადაც ადამიანი გასამართლების ვარეშე შეიძლება მოხვედრილიყო. ამ ტიპის თავშესაფრებმა ვერ გაამართლა. იქ არც განათლების მიღება იყო შესაძლებელი და არც ბიროვნების რეფორმირება. იქ მოხვედრილი ბავშვები მკაცრ დისციპლინას უნდა დამორჩილებოდნენ.

გამასწორებელი დაწესებულებანა 1854 წელს მასაჩუსეტსში ახალი მიდგომა დაინერგა და შეიქმნა მასაჩუსეტსის ინდუსტრიული სკოლა გოგონებისათვის. კოტეჯის ტიპის სახლების გარემოში იქმნებოდა სუროგატული ოჯახი, რათა გარდაეკმნათ „გზასაცდენილი და სამართალდამრღვევი“ გოგონები. მალე სხვა შტატებმაც მიბაძეს მასაჩუსეტსის ინოვაციას. ამ მიდგომის ნაკლი იყო ის, რომ აღმკვეთი ღონისძიება არ ეფუძნებოდა სასამართლო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ამ თუ იმ ბავშვმა ნამდვილად დაარღვია კანონი და საჭიროებს გამოსასწორებლად აქ მოთავსებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა ჩიკაგოში, სადაც ტიმოთი დ. პარლეი, მოსამართლემ, ყოფილმა საპრობაციო სამსახურის მოხელემ და ჯულია ლათროპმა ილინოისის ქველმოქმედების საბჭოდან, ბრძოლა დაიწყეს სისტემაში დამკვიდრებული იმ წესების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც დანაშაულები და გზასაცდენილ ბავშვებს სრულწლოვანთა ციხეებსა და საპრობაციოებში ათავსებდნენ, ხოლო ისეთ ბავშვებს, რომელთაც თვითნებურად აღიარებდნენ გზასაცდენილებად, უუქმებდნენ შრომების მეურვეობას და ათავსებდნენ ციხისმაგვარ დაწესებულებებში. პარლეი და ლათროპი ღობიერებას უწევდნენ არასრულწლოვანთა სასამართლოს ჩამოყალიბებას; კათოლიკური ღვთის სასჯელისა და დახმარების საზოგადოების და ჩიკაგოს ადვოკატთა ასოციაციის დახმარებით მათ წარმატებას მიაღწიეს.

ილინოისის მართლმსაჯულებამ 1899 წელს შექმნა ბირველი ეროვნული არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო ჩიკაგოში.

არასრულწლოვანთა სასამართლო. ის კონცეფცია, რომლითაც ხელმძღვანელობდა ჩიკაგოს არასრულწლოვანთა სასამართლო და შემდგომ შექმნილი შიგავის სასამართლოები, საკმაოდ ცალსახა იყო:

- ყველა მზრუნველობას მოკლებული, კმაყოფაზე მყოფი თუ სამართალდამრღვევი 16 წლამდე ასაკის ბავშვზე შეიძლება გავრცელებულიყო არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს იურისდიქცია;
- სამართალდარღვევა მოცავდა ყველა იმ აქტს, რომელიც მოზრდილს რომ ჩაედინა, დანაშაულად ჩათვლებოდა;
- არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო ახალგაზრდებს არაფერში ადანაშაულებდა, თუ უბრალოდ განსაზღვრავდა მათ სტატუსს — „კმაყოფაზე“

მყოფი“, „მზრუნველობას მოკლებული“ (ძალიან ფართო მნიშვნელობით) და „სამართალდამრღვევი“;

- არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს მოსამართლე მოქმედება როგორც მშობლის შემცველელი პირი, წარმართავდა რა არაოფიციალურ პროცესის (სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში ოფიციალური შეჯიბრებითი პროცესისაგან განსხვავებით);
- ამჟღავნებდა რა მეტ წინდახედულებას, არასრულწლოვანთა სასამართლო, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას აქცევდა ბავშვის ინტერესებს;
- სასამართლოს დადგენილებები არ გულისხმობდა სასჯელს. ეს შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ბავშვის მეგობრული პირობით გათავისუფლება და გადაცემა მისი საკუთარი ან ისეთი ოჯახისათვის, რომელიც შეიძლება აიყვანდა ანდა გაეზავნა შესაბამის ინდუსტრიულ სკოლაში.

ამგვარი მიდგომა პრობლემებს ქმნიდა. პირველი, ქცევის ის განმარტება, რომლის თანახმადაც ბავშვი არასრულწლოვანთა სასამართლოს თურისდიქციაში ექცეოდა, საკმარის ზოგადი იყო. ასევე ბუნდოვანია ტერმინები: „მზრუნველობას მოკლებული“ და „კმაყოფაზე მყოფი“, გარდა ამისა, ბავშვის ასეთი მდგომარეობა არ არის თვით მისი ბრალი, ის მისი მშობლების ბრალია. უფრო მეტი, სამართალდარღვევის ცნება მოიცავდა არა მხოლოდ იმ ქმედებებს, რომელთა ჩადენაც სრულწლოვანებს სისხლის სამართლის დანაშაულად ეთვლებოდათ, არამედ ისეთ ქცევასაც, რომელიც დევიანტურად არ ეთვლებოდათ ამ უკანასკნელთ, მაგალითად, სამუშაოს გაცდენა ან შინიდან გაქცევა. და რადგან მოხდა ამ ცნებითა („კმაყოფაზე მყოფი“ და „მზრუნველობას მოკლებული“) სამართალდარღვევის დეფინიციაში ჩართვა, ზრუნვის მოკლებულობა თავისთავად იქცა არასრულწლოვანთა სამართალდარღვევად, ანუ განმარტების თანახმად მზრუნველობას მოკლებული ბავშვი სამართალდამრღვევად გამოცხადდა.

მეორე, მართალია, არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო სისტემაში პროცესების არაოფიციალურობის მოტივაცია მისასაღმებელი მოვლენა იყო, მაგრამ ამავდროულად ოგი ბავშვებთან სასტიკი მოპყრობის საწინდარი გახდა. ყველა ბავშვის უფლებები არ ორღვეოდა, მაგრამ სასტიკი მოპყრობის ფაქტები ხშირი იყო. არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეთა უმრავლესობა გულწრფელად მიიჩნევდა, რომ მათ მიერ ჩატარებული პროცესების არაოფიციალურობა ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარეობდა.⁴⁸

ეს სისტემა დომინირებდა 1967 წლამდე, როდესაც უმაღლესმა სასამართლომ ბოლოს და ბოლოს დაადგინა, რომ ბავშვებსაც აქვთ თავიანთი უფლებები, რომლებიც კონსტიტუციით არის დაცული. უმაღლესმა სასამართლომ *In re Gault* დაადგინა, რომ IV, V და VI შესწორებები, ფაქტურად ყველა გარანტიითურთ, მისადაგებული XIV შესწორების სათანადო პროცესულურ მუხლს, უნდა გავრცელებულიყო არასრულწლოვანებზეც.

ეს გარანტიები მოიცავდა ბრალდების შეტყობინების, უკანონო დაპატიმრების შემთხვევაში გათავისუფლების, ადვოკატის აყვანის, მოწმესთან დაპირისპირებისა და მისი დაკითხვის უფლებებს.⁴⁹ მოგვიანებით სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის დამამტკიცებელი საბუთი ისევე, როგორც სრულწლოვანისათვის სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალის დადება, დასაბუთებულ ეჭვზე მალდა უნდა იდგეს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებას, განეხილა საქმე, არ სჭირდებოდა მოზარდთა თანხმობა, რათა

გარკვეულწილად მაინც ყოფილიყო დაცული არასრულწლოვანთა სასამართლოს არაოფიციალურობა.³⁰ ეს გადაწყვეტილებანი *parens patriae*-ს უმორჩილება სასამართლოს ნორმას, კანონის უზენაესობის პრინციპის და სათანადო კონსტიტუციურ პროცედურას.

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა სასამართლოს მოსამართლეებს გაორებული დამოკიდებულება ჰქონდათ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ. ნაწილი თვლიდა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლოს მოქმედება დასრულდა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო ჯეროვნად ასრულებდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნქციებს მაშინაც კი როდესაც საკუთრივ პროცესის კონსტიტუციური გარანტიების ერთგული რჩებოდა. მოზუნდავად ამისა, დიდი იყო იმ ბავშვებისა და მშობლების რიცხვი, რომლებიც თავიანთი უფროსების გამო პრეტენზიას არ აცხადებდნენ მათთვის კონსტიტუციით მინიჭებულ პროცესუალურ უფლებებზე.³¹

არასრულწლოვანთა სასამართლოს პროცესუალური მოქმედებების სრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოდელის მიხედვით წარმართვის განსაკუთრებული შედეგი მოჰყვა. თუ არასრულწლოვანებს ექნებოდა დანაშაულში მხილებულ სრულწლოვანთა უფლებები, განა მათ ასეთივე პასუხისმგებლობაც არ დაეკისრებათ? 1971 წელს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სასამართლო ადმინისტრირების ინსტიტუტის და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის გაველენიანმა გაერთიანებულმა კომიტეტმა შეიმუშავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიტერიუმთა მთელი წყება.

კომიტეტმა წამოაყენა წინადადება, რომ დადგენილებები არასრულწლოვანთა საქმეების შესახებ დანაშაულის სერიოზულობას უნდა ეფუძნებოდეს და არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მოთხოვნილებებზე სასამართლოს თვალსაზრისს.³² ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით 1970-იანი წლების შუა ხანებში სადამსჯელო გამოცოცხლებამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებამდეც მიაღწია. აქედან გამომდინარე დასჯა ექვს შედეგში გამოვლინდა:

1. ასაკის შემცირება, რომელშიც არასრულწლოვანი სრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტი ხდება. ოცმა შტატმა შეარჩია 14 წელი იმ ასაკად, რომლის დადგომის შემდეგაც არასრულწლოვანი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა; ორმა შტატმა ასაკი 10 წლამდე შეამცირა, ორმა შტატმა არ დაუშვა სასამართლოს უფლებათა უარყოფა, ხოლო 14 შტატს ასაკობრივი ზღვარი არ განუსაზღვრავს.³³

2. ზედა ასაკობრივი ზღვარის შემცირება, როცა არასრულწლოვანი საკუთრივ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს იურისდიქციის სუბიექტი ხდება.

37 შტატში და კოლუმბიის ოლქში არასრულწლოვანების საქმეთა სასამართლოები წარმოებაში იღებენ საქმეებს კანონის ყოველ დარღვევაზე. რომელსაც ჩადან 18 წლამდე ახალგაზრდები. სხვა სიტყვებით არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოების „იურისდიქციაში ზედა ასაკობრივი ზღვარი“ არის 17 წელი. 10 შტატში ეს ზღვარი საკუთრივ არასრულწლოვანთა სასამართლო იურისდიქციაში არის 16 წელი. ამ შტატებში იურისდიქციის ზედა ასაკობრივი ზღვარი არის 15 წელი, რაც მას ნიშნავს, რომ 16 წლისა თუ უფროსი ასაკის ყველა ახალგაზრდა ნებისმიერ შესაბამის შემთხვევაში წარდგება ბრალდების წინაშე.

ამ ბოლო წლებში სხვა შტატებმაც საჭიროდ მიიჩნიეს არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს ოურისდიქციის ზედა ასაკობრივი ზღვარის შემცირება. რაც უფრო მეტი შტატი მიჰყვება ამ ტენდენციას, მით უფრო მეტი ახალგაზრდა დამნაშავე გამოირიცხება არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოდან და ავტომატურად გადაეცემა სრულწლოვანთა სასამართლოს.⁵⁴

3. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს ოურისდიქციიდან გარკვეული სერიოზული სამართალდარღვევების მთლიანად ამოღება. მრავალ შტატში ბრალმდებელი უფლებამოსილია წაუყენოს ბრალი არასრულწლოვანს უშუალოდ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში არასრულწლოვანთა სასამართლო სისტემის გვერდის ავლით. ფლორიდაში, სადაც ეს მეთოდი განსაკუთრებით ბოჰულარულია, 1995 წელს 7.000 არასრულწლოვანის საქმე პირდაპირ იქნა წარდგენილი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოში ქვეყნის მასშტაბით ეს ციფრი თითქმის უტოლდებოდა არასრულწლოვანთა საქმეების რიცხვს, რომლებიც განსახილველად არ მიიღეს მოსამართლეებმა.⁵⁵

4. ბრალმდებლებისათვის ისეთი უფლების მინიჭება, რომლის თანახმადაც მათ პირდაპირ შეუძლიათ არასრულწლოვანთა წარდგენა სრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პროცესზე (უმეტესწილად მძიმე დანაშაულისათვის).

5. ოჯახის პასუხისმგებლობის გაზრდა. შტატების გარკვეულმა ნაწილმა მიიღო მშობლების პასუხისმგებლობის კანონი, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებას უქვემდებარებდა მშობლებს (კონტროლის შესუსტებისათვის) მათი შვილების მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებისათვის.

6. არასრულწლოვანთა მოთავსება სრულწლოვანთა ციხეებსა და სატუსაღოებში „სამშრივი დარტყმის“ (არასრულწლოვანთა დანაშაულების გამო) და სხვა კანონიერი გამაფრთხილებელი ზომების გათვალისწინებით არასრულწლოვანებს ათავსებენ სრულწლოვანთა ციხეებსა და სატუსაღოებში აქ ისინი სრულწლოვან პატიმართა სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, არ ხდება მათი, როგორც დამნაშავეთა, გამოსწორება და აქედან გათავისუფლების შემდეგ უფრო მოსალოდნელია ჩაიდინონ დანაშაული, ვიდრე არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებებში მოთავსების შემთხვევაში. მართალია, აღინიშნა, რომ ამგვარი პოლიტიკა არღვევს აშშ-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მე-10 მუხლი გაეროს ხელშეკრულებისა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ), მაგრამ რეალური ძვრები ამ მხრივ არ განხორციელებულა.⁵⁶ ეს პოლიტიკა საფუძველშივე ეწინააღმდეგება ყველა იმ დასკვნას, რაც კვლევამ დაამტკიცა.

2. არასრულწლოვანთა მართლმართლების განხორციელების პროცესი

მიუხრუხედთ არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესების წარმართვის სქემას. შედის რა არასრულწლოვანთა მართლმართლების სისტემაში, პიროვნება დადგენილი პროცედურების შესაბამისად გადის დამუშავებას.

- ⁹² See Richard S. Allison, "LEAA's Impact on Criminal Justice: A Review of the Literature," *Criminal Justice Abstracts*, 11 (1979): 608-648.
- ⁹³ *Tennessee v. Garner*, 471 U.S. 887(1985).

- ¹⁰ James J. Fyfe, "Police Use of Deadly Force: Research and Reform," *Justice Quarterly*, 5 (1978): 165-205.
- ¹¹ With the exception of, e.g., Gerald D. Robin, "Justifiable Homicide by Police Officers," *Journal of Criminal Law, Criminology, and Police Science*, 54 (1963).
- ¹² John S. Conduarone, "Minorities as Victims of Police Shootings: Interpretations of Racial Disproportionality and Police Use of Deadly Force," *Justice System Journal*, 2 (1976).
- ¹³ Catherine Milton, J.W. Halvick, J. Lardner, and G.L. Albrecht, *Police Use of Deadly Force (Washington D.C.: Police Foundation, 1971)*.
- ¹⁴ Betty Jenkins and Adrienne Faison, *An Analysis of 248 Persons Killed by New York City Policemen* (New York: Metropolitan Applied Research Center, 1974).
- ¹⁵ Paul Taucht, "Death by Police Intervention," in *A Community Concern: Police Use of Deadly Force*, ed. R.N. Brenner and M. Kunitz (Washington D.C. US Government Printing Office, 1979), p. 34.
- ¹⁶ James J. Fyfe, "Race and Extreme Police-Citizen Violence," in *Race, Crime, and Criminal Justice*, ed. R.L. McNeely and C.E. Pope (Beverly Hills, Calif.: Sage, 1981), pp. 89-108.
- ¹⁷ Lawrence W. Sherman, *Citizens Killed by Big City Police, 1970-1984* (Washington D.C.: Crime Control Institute, Crime Control Research Corporation, 1986).
- ¹⁸ Anthony Desiato et al., "NJ Cop Innocent: Slain Teen's Mom Falter after Verdict," *Newsday*, July 12, 1992, p. 3.
- ¹⁹ The four officers whom a videotape showed beating the black driver were acquitted. Thereupon the Los Angeles riots occurred, resulting in over 50 deaths and the destruction of nearly \$1 billion worth of property.
- ²⁰ Jerry Gray, "In Police Brutality Case, One Videotape but Two Ways to View It," *New York Times*, Dec. 13, 1991, p.
- ²¹ Alan Feuer, "Charges Are Traded in Summations at 'Officers' Cover-Up Trial in Louima Torture," *New York Times*, March 1, 2000, p. B5.
- ²² U.N. General Assembly Resolution 34/169, Dec. 17, 1979.
- ²³ See Bayley, *Police for the Future*.
- ²⁴ Samuel Walker, *Taming the System: The Control of Discretion in Criminal Justice, 1950-1990* (New York: Oxford University Press, 1993), pp. 21-53.
- ²⁵ Cecil L. Willis and Richard H. Wells, "The Police and Child Abuse: An Analysis of Police Decisions to Report Illegal Behavior," *Criminology*, 26 (1988).
- ²⁶ Carl Werthman and Irving Piliavin, "Gang Members and the Police," in *The Police: Six Sociological Essays*, ed. David Bordua (New York: Wiley, 1967), pp.75-83.
- ²⁷ Dennis D. Powell, "Race, Rank, and Police Discretion," *Journal of Police Science and Administration*, 9 (1981): 383-389.
- ²⁸ Douglas Smith and Jody Klein, "Police Control of Interpersonal Disputes," *Social Problems*, 21 (1984): 468-481.
- ²⁹ Christy A. Visser, "Gender, Police Dispositions of Males and Females," *Criminology*, 21 (1983): 417-437.
- ³⁰ Marvin D. Krohn, James P. Curry, and Shirley Nelson-Kilger, "Is Chivalry Dead? An Analysis of Changes in Police Dispositions of Males and Females," *Criminology*, 21 (1983): 417-437.
- ³¹ Whitman Knapp, chairman, *Commission Report (New York: Commission to Investigate Allegations of Police Corruption and the City's Anticorruption Procedures, 1972)*.
- ³² Herman Goldstein, *Police Corruption: A Perspective on Its Nature and Control* (Washington D.C.: Police Foundation, 1975).
- ³³ Andrew Murr, "L.A.'s Dirty War on Drugs," *Newsweek*, Oct. 11, 1999.
- ³⁴ Cole, *The American System of Criminal Justice*, p. 277.
- ³⁵ William Westley, *Violence and the Police: A Sociological Study of Law, Custom, and Morality* (Cambridge, Mass.: M.I.T. Press, 1970).
- ³⁶ Richard S. Allinson, ed., *Criminal Justice Abstracts* (Monsey, N.Y.: Willow Tree Press, September 1994), p. 420.
- ³⁷ Jack Aylward, "Psychological Testing and Police Selection," *Journal of Police Science and Administration*, 13 (1985): 201-210.
- ³⁸ James J. Fyfe, Jack R. Greene, William F. Walsh, O.W. Wilson, and Roy Clinton McLaren, *Police Administration*, 5th ed. (Boston: McGraw-Hill, 1997), p. 281.
- ³⁹ David L. Carter, Allen D. Sapp, and Darrell W. Stephens, *The State of Police Education: Policy Direction for the 21st Century* (Washington D.C. Police Executive Research Forum, 1989), p. 38.
- ⁴⁰ Elizabeth Burbeck and Adrian Furnham, "Police Officer Selection: A Critical Review of the Literature," *Journal of Police Science and Administration*, 13 (1985): 58-69.
- ⁴¹ Samuel Walker, *The Police in America*, 2d ed. (New York: McGraw-Hill, 1992), p. 313.
- ⁴² Marvin Dulaney, *Black Police in America* (Bloomington: Indiana University Press, 1996).
- ⁴³ Jack L. Kuykendall and David E. Burns, "The Black Police Officer: An Historical Perspective," *Journal of Contemporary Criminal Justice*, 1 (1986): 4-12.
- ⁴⁴ James J. Fyfe, "Police Personnel Practices," *Baseline Data Reports*, vol. 15 (Washington D.C.: International City Management Association, 1983).
- ⁴⁵ Nicholas Alex, *Black in Blue: A Study of the Negro Policeman* (New York: Appleton-Century-Crofts, 1969).

¹³⁰ Bruce L. Berg, Edmond J. True, and Marc G. Gertz, "Police, Riots, and Alienation," *Journal of police Science and Administration*, 12 (1984): 186-190.

¹³¹ See U.S. Commission on Civil Right Is Guarding the Guardians? A Report on Police Practices (Washington D.C. US Government Printing Office, 1981).

¹³² Reaves and Goldberg, *Law Enforcement Management and Administration Statistics*, 1997.

¹³³ Dulaney, *Black Police in America*; Ellen Hochstedler, "Impediments to Hiring Minorities in Public Police Agencies," *Journal of police Science and Administration*, 12 (1984): 227-240.

¹³⁴ David E. Pitt, "Racial Tensions in Police Ranks Work Three Ways Now," *New York Times*, Feb. 19, 1989, p. E6.

¹³⁵ Daniel J. Bell, "Policewomen: Myths and Reality," *Journal of police Science and Administration*, 10 (1982): 112-120.

¹³⁶ Samuel S. Janus, Cynthia Janus, Leslie K. Lord, and Thomas Power, "Women in Police Work-Annie Oakley or Little Orphan Annie?" *Police Studies*, 11 (1988): 124-127.

¹³⁷ National Center for Women and Policing, *Equality Denied: The Status of Women in Policing* (Los Angeles: National Center for Women and Policing, 1998).

¹³⁸ United Nations report. A/Conf. 121/17, July 1, 1985.

¹³⁹ Kenneth W. Kerber, Steven M. Andes, And Michele B. Mittler, "Citizen Attitudes Regarding the Competence of Female Police Officers," *Journal of police Science and Administration*, 5 (1977): 337-347.

¹⁴⁰ Susan Ehrlich Martin and Nancy C. Jurik, *Doing Justice, Doing Gender: Women in Law And Criminal Justice Occupations* (Thousand Oaks, Calif.: Sage, 1996), pp. 72-73.

¹⁴¹ Merry Morash and Jack Greene, "Evaluating Women on Patrol: A Critique of Contemporary Wisdom," *Evaluation Review*, 10 (1986): 230-255.

¹⁴² Sally Gross, "Women Becoming Cops: Developmental Issues and Solutions," *Police Chief*, 51 (January 1984): 32-

¹⁴³ Michael K. Broun, *Working the Street* (New York: Russell Sage, 1981).

¹⁴⁴ Westley, *Violence and the Police*, P. 226.

¹⁴⁵ Ibid.

¹⁴⁶ Arthur Niederhoffer, *Behind the Shield: The Police in Urban Society* (Garden City, N.Y.: Doubleday, 1967).

¹⁴⁷ See Michael J. Leiber, Makesh K. Nalla, and Margaret Farnworth, "Explaining Juveniles' Attitudes toward the Police," *Justice Quarterly*, 15 (1998): pp. 151-174.

¹⁴⁸ George Kirkham, "A Professor's Street Lessons," in *Order under Law*, ed. R. Culbertson and M. Tezak (Prospect Heights, Ill.: Waveland, 1981), p. 81.

¹⁴⁹ Niederhoffer, *Behind the Shield*. For changes over time attributed to occupational socialization, see Jesse L. Maghan, "The 21st-Century cop: Police Recruit Perceptions as a Function of Occupational Socialization," Ph.D. dissertation, City University of New York, 1988.

¹⁵⁰ John Blackmore, "Are Police Allowed to Have Problems of Their Own?" *Police Magazine*, 1 (1978): 47-55.

¹⁵¹ Jack R. Greene, "Police Officer Job Satisfaction and Community Perceptions: Implications for Community-Oriented Policing," *Journal of Research in Crime and Delinquency*, 26 (1989): 168-183.

თავი 4

სასამართლოების არსი და ფუნქციონირება

სასამართლო დარბაზში დატრიალებული დრამა ჩვენს საზოგადოების ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მსწრეები მოწმეები ხდებიან რეალურ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენებისა, რომლებსაც გააჩნიათ რეალური სკანდალი და, სამწუხაროდ, რეალური მსხვერპლი. მართალია, სენსაცია, რომელიც თან ერთვის ამ დრამას, ჩვენს უსამართლო შეგრძობას იწვევს, მაგრამ ჩვენ მაინც ვკითხულობთ პრესას და არაფანსალი ცნობისმოყვარეობით და აღუტაცებით ვესწრებით სასამართლო პროცესს წარმოადგენთ 20-ე საუკუნის მეორე ნახევრის სასამართლო პროცესებს აქ წარმოადგენდა ის საქმეები, რომლებმაც მოსახლეობისა და მასმედიის ყურადღება მიაპყრეს და გარდატეხა მოახდინეს ჩვენს ცხოვრებაში.

- ვიფროსი დამირა - სურათული მკვლელობა ჩაიდინა 17 მკვლელობა. ის უკეთებდა მსხვერპლის ნარკოტიკებს და ახრბდა მათ, რათა დაეჭვებინათ სექსობრივი კავშირი მსხვერპლთან გაამის ვაკეებამდე და მერე ესადაღა მასზე. იგი ვასამართლეს და მუსავეს სასჯელი სასამართლო დარბაზში. მოგვანებით იგი მოკლულ იქნა საკანში მასთან ერთად მყოფი პატრონის მიერ.
- დენი როლინგი - 39 წლის სურათული მკვლელობა მან შოკში ჩააგდო ფლორიადის უნივერსიტეტის გეოგრაფიის საერთო საცხვირებლის მოძინადრეობა, როდესაც მხეკურად დაჭრა მოკლა და ნაწილ-ნაწილ დაჩეხა 4 სტუდენტი ვოგონა და ერთი სტუდენტი ვაჟი როლინგმა ნებაყოფლობით აღიარა დანაშაული სასამართლო პროცესი დათრეუნივლი იყო.
- ბეგრელი ძალში მცხოვრებმა ძმებმა ერთი და ლაილ მენინდელებმა იარაღით დახოვეს თავიანთი შშობლებს სასამართლოზე გამოაკვითა ძმების წინააღმდეგობებით აღსავე პორტრეტები - იყენებ თუ არა ისინი სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი და ემოციურად ნატანჯი ბავშვები, რომლებიც მოქმედებდნენ თავდაჯერის მიხნით, თუ ცავისსხლიანი, ფელს დახარბებული საზოგადოების ძალაღი ფენის წარმომადგენლებს, რომლებსაც მხოლოდ 14 ძალიანანი მოქვიდრების დაუფლების სურვილი ამოძრავებდათ. სასამართლოზე დამსწრეთა ნაწილს ისინი ებრალებოდა, ზოგიერთს კი სიძულვილის გრძობა გაუჩნდა მათ მიმართ.
- ვენა ვონსი - მოხუცარული სატელევიზიო თოქ-შოუს წამყვანი, რომელსაც ადამაშალებდნენ იმაში, რომ იგი იყო ამ შოუს სტუმრის სკოტ ამელურის საკვადლის მიზეზს ამელური იყო სტუმარი ერთ-ერთი ეპიზოდისა სახელწოდებით „საადული ვნება იმავე სქესის წარმომადგენლის მიმართ“, სადაც მან აღიარა თავისი სიყვარული უკნობი მეზობლის, ვონათან შმაკის, მიმართ, რომელიც აგრეთვე ესწრებოდა შოუს შმაკი შეერავსყოფილი დარჩა ვავონილით მან მოგვანებით ცეკვლასწილი იარაღით მოკლა ამელურს მრავალი დამსწრისათვის სასამართლო პროცესს, რომელიც ფანტასტიკის და ნამდვილი ამბავის ნაერთი იყო, დღის გასართობ შოულ იქვა.
- როდნი კონგა - რომელიც სასტიკად სკვმა თთხმა თეთრკანიანმა პოლიციის თრეკერმა (გადამტებული ვიდეოფორზე), ეძებდა სამართალს კალიფორნიის სასამართლო დარბაზში სასამართლო სხდომა არაფრით გამომჩიოდა, მაგრამ არაერთი მწიგნობრივი განჩინი ფართობისშტაბიანი არეულობების მიზეზს ვახდა ლოს-ანჯელესის სამხრეთით, სადაც 54 ადამანი დაიღუბა, ასობით დაშავდა და 800-ზე მეტი შინობა მოღონად დახვრა.

რომელიც შემდგომში მის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული სასამართლომ კვირკიასი და მანაშავედ სენო, რამაც (ქართუ ფილოსოფიურა დებატები გამოიწვია სავოცხლისა და სავკადლის თაობაზე.

- ლუის ვუდვარდა - თათქოს კარგი ბუნების და მანერების მქონე ანგლისელი ძაძა, რომელიც, როგორც ამტკაცებდნენ პროკურორები, საზოგადოებრივი ცხოვრებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე მ თავის მეთაუ თქნის მოვლით. საქმის მოგების მიზნით მათ უნდა დაემტკაცებინათ ის ფაქტი, რომ ვუდვარდა მავრად შენჯღროა და დაანარკვა ბავშვა იატაკზე და გაუტყვა თავის ქალა დაჯვა ამტკაცებდა, რომ სავკადლის მიზეზი იყო ადრე მიღებული თავის დაზანება და თანდაყოლილი თავის ტრავმა. ვუდვარდა ემოციურად დატვირთა სასამართლო. მისი შემდგომში დაპატარავება და მსუბუქი განაჩენი ავსტრალიის მიზეზი ვახდა ჩვენმა და საზღვარგარეთაც.

ადვილია იფიქრო, რომ ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც აღწევენ სასამართლოებს შეერთებულ შტატებში, ვუდვარდას, კვირკიასის ან სიმსონის საქმეების მსგავსაა - კარგად დადგენული და ემოციურად დატვირთული დრამატული ეპიზოდებით. ადვილია დაიჯირო, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმეში კეთილი სილღვის ბოროტს, რომ გამამრავლებს სამართალი და გავრკვევა ვინ არის უდანაშაულო და ვინ დანაშავეი და დანაშავეი დასაჯება ეს მეტად მარტივი და მკადარი თვალსაზრისია. რაც შეიძლება დაზუსტებით ითქვას, არის ის, რომ სასამართლოები პასუხისმგებელი არიან მაღონ სწორა ვადაწვევტილება სამოქალაქო პროცესის მსვლელობისას გაჩენილი სამართლებრივი დავების ვადაწვევტის მიზნით და დაადგინონ, დანაშავეა თუ არა ის მხარე, რომელსაც აბრალებენ სისხლის სამართლის ნორმების დარღვევას.

ჩვეულებრივი მოქალაქისათვის, რომელსაც ედება ბრალი დანაშაულის ჩადენაში, ძალიან ძნელია სასამართლოს წინაშე წარდგომა. ის შემოთიებულია, შეშინებული და სასოწარკვეთილია. სასამართლოები ექვემდებარებიან სამართლებრივ წესებს და პროცედურებს, რაც ვასაგება მხოლოდ იურიისტებისათვის და მოსამართლეებისათვის. მართლმსაჯულების სისტემა წინააღმდეგობით აღსავსე და რთულია ბრალდებულები შეშინებულები არიან, რადგან მათი ბედი მათ აღარ ეკუთვნიოთ ეს შეგონება იმედის გაკარებას ბადებს, რადგან მართლმსაჯულების სისტემა, სამწუხაროდ, არ არის ისეთი ეფექტურა, როგორაც უნდა იყოს. მრავალ იურიდიქიაში შეფერხებები და საქმეების ვადატანის პრაქტიკა ვარდაუვლი ვარემა. მორატები და მოლაპარაკებები პროკურორსა და დამკველს შორის ხშირა შემთხვევაა მაკროობა, დისკრიმინაცია, თვითნებობა და დესპოტიზმი სისტემის ვანუყოფელი ნაწილია.

ამ თავში ჩვენ ვანვისხლავთ სასამართლოების სტრუქტურას, ფუნქციებს, წესებს და პროცედურებს ჩვენ ვანვისხლავთ სასამართლოების წარმოშობის ისტორიას, მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ტიპებს, სასამართლო პროცესს და საკითხებს, რომლებიც ეხება დანაშავეებისათვის ვანაჩენის გამოტანას.

§1 სასამართლოს წარმოშობის ისტორია

სიტყვა სასამართლო - court - წარმოიშვა კლასიკურ რომში (ლათინურად CO არის ერთად და hortus - ბაღი ან ეზო). მოვიანებით ეს სახელი ეწოდა იმპერატორების, მეფეების, პერცოვებისა და კეთილშობილი თჯახების სხვა წარმომადგენლების უძრავ ქონებას ან ციხე-ლიბარებს, სადაც მნიშვნელოვანი საქმეები წყდებოდა, მათ შორის სადავო საკითხების ვარჩევა, დანაშავეთა დანსჯა ან/და უდანაშაულოთა გამართლება.

ძველი დროის სასამართლო მეთოდები დღევანდელ დღეს უცნაურად ვეჩვენება. მაგალითად, სამართლის დადგენა ორთაბრძოლების მეშვეობით. დანაშავე და დაზარალებული ან მათ მიერ დაქირავებული პროფესიონალი მებრძოლები იბრძოდნენ ან

ქვეთაღ, ან ცხენებზე და ეკვით აბჯარი; ის ვინც ცოცხალი რჩებოდა — გამარჯვებული იყო. სასამართლო წააგავდა სამეფო კართან გამართულ თამაშს, როგორც არის კალათბურთი ან ჩოგბურთი ამ თამაშების საერთო ის არის, რომ ისინი იმართება საზოგადოებრივ ადგილებში. გარკვეული წესების დაცვით და მათ სუიან არბიტრები ან შიაკები ხალხს თანდასწრებით. მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელმა კარიკატურისტმა, რომელიც ჩასწვდა ანგლო-ამერიკული სასამართლო პროცესის არსს, ასახა ის როგორც ჩოგბურთის თამაში. როდესაც თამაში მთავრდება, შიაკი აცხადებს გამარჯვებულს.

ამერიკელი თურისტი და ფილოსოფოსი, ჯერომ ფრენკი ეჭვის ქვეშ აყენებს ამერიკულ („თამაშის შიაკს“) მიდგომას კამათის გადაჭრის საქმეში. ამგვარი მიდგომა უბიძგებს და ხელს უწყობს ხალხსა და სახელმწიფოს (პროკურორებს) და მოპასუხის დამცველს მიიღოს და გაასაჩივროს უკიდურესი გადაწყვეტილება. მოსამართლეს მოეთხოვება თამაშის მედიატორის როლი იმ შემთხვევაში, როდესაც იკვეთება ფაქტებს და კანონს შორის არსებული წინააღმდეგობები და შეუთავსებლობა. განა მართლა დგინდება სამართლებრივი იმართება კამათი პროკურორისა და დამცველს შორის, როდესაც ხანდახან ისინი წესიერების ზღვარსაც კი გადადიან? ანგლო-ამერიკული სასამართლოს თეორიის დამცველები ამტკიცებენ, რომ დაგების გადაჭრა ორ შეურიგებელ მხარეს შორის ღია სასამართლო პროცესის ჩატარების დროს მართლაც წაადგება სამართლიანი განაჩენის გამოტანას.

საუკუნეების მანძილზე ბევრი ცვლილება მოხდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცედურებში, მაგრამ ძირეული იდუა ჯერ-ჯერობით ძალაში რჩება. ანგლო-ამერიკული ტიპის სისხლის სამართლის სასამართლო წააგავს თამაშს, რომელშიც მონაწილეობს ორი მეტოქე; მთამაშეები არიან მეტოქეები, რომლებიც დცავენ საწინააღმდეგო აზრებს (სწორედ სასამართლოზე წყდება კამათის ბედი), მხოლოდ სასამართლოს შესწევს უნარი წერტილი დაუსვას კამათს.

§2 შეერთებული შტატების სასამართლოს სისტემა

ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის პროცედურები მე-5 და მე-16 საუკუნეებში ჩამოყალიბდა, ხოლო მე-17 საუკუნეში მისი დანერგვა შესაძლებელი იყო უკვე ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიებში. ამერიკის კოლონიებში მოქმედებდა ბრიტანეთის საერთო სამართლის მოდელი. კოლონიებში არსებული სასამართლოები სწორედ ამ კანონს ეფუძნებოდნენ და ზოგიერთი შეზღუდვის მეშვეობით ქადაგებდნენ დამოუკიდებლობას. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ეს სასამართლოები რამდენიმე შტატის საერთო სამართლის სასამართლობად გადაიქცა, რომლებიც მოქმედებდნენ მხოლოდ ამა თუ იმ შტატში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ფთარება ამჟამადაც უცვლელია — შეერთებულ შტატებში დღესდღეობით 50 შტატის სასამართლო სისტემაა.

ეს 50 თურისდიქციის სასამართლო საერთო სამართლის სასამართლოს წარმოადგენს, რომლებიც ინგლისის 1776 წლის საერთო სამართლის მემკვიდრეები არიან. ამ სასამართლოებში კანონის აღსრულება ხორციელდება საერთო სამართლის გამოყენებით, რომელიც შტატის კანონმდებლობიდან გამომდინარე მოდიფიცირებული და გაფრცობილია. როდესაც იქმნებოდა შეერთებული შტატები, კოლონიებმა მისცეს ფედერალურ მთავრობას უფლება მიეღოთ და აღესრულებინათ ფედერალური სასამართლოების მიერ ის კანონები, რომლების მიღების უფლებაც ენიჭებოდა კონგრესს. შესაბამისად, ჩვენ გაგვანია ორი სამართლებრივი სისტემა — ერთი, რომელიც

დანერგულია შტატების სასამართლოების მიერ და მეორე – ფედერალური სასამართლოების მიერ.

1. შტატის სასამართლოები

შტატების უმრავლესობას გააჩნია სამი განსაზღვრული დონის საკანონმდებლო სასამართლო: ლიმიტირებული ან განსაკუთრებული იურისდიქციის სასამართლოები, ზოგადი იურისდიქციის სასამართლოები და სააპელაციო სასამართლოები, რომლებიც, როგორც წესი, ორი დონისაგან შედგება.

ლიმიტირებული ან განსაკუთრებული იურისდიქციის სასამართლოები. ლიმიტირებული იურისდიქციის მქონე სასამართლოები შეზღუდვები არიან კანონის შესაბამისად, იმის მიხედვით თუ რა ხასიათის საქმეების მოსმენის უფლება გააჩნიათ. ყველა პატარა თუ დიდ ქალაქს ჰყავს მომრიგებელი მოსამართლე, მაგისტრატი ან მოსამართლე, რომელთათვისაც არ არის აუცილებელი იურიდიული განათლება. მათ ანდობენ უმნიშვნელო სისხლის სამართლის საქმეების (მისდინორების ან სხვა სახის დარღვევების), ნაკლებად სერიოზული სამოქალაქო საქმეების (დაკავშირებულს მცირეოდენ ფულად თანხებთან), საგზაო მოძრაობის ან ხატრანსპორტო საშუალებათა გარეგნის წესების დარღვევისა და ჯანდაცვის სფეროში მომხდარი დარღვევების განხილვას. ამ სასამართლოებს პევიათ მუნიციპალური სასამართლოები, მომრიგებელი სასამართლოები და სამაგისტრატო სასამართლოები. განსაკუთრებული იურისდიქციის მქონე სასამართლოებში შედის ოჯახური საქმეების სასამართლო, არასრულწლოვანთა სასამართლო და მექვიდრუობის სასამართლო (რომელიც დაკავებულია უძრავი ქონების საქმეებით).

ზოგადი იურისდიქციის სასამართლოები. შტატის მეორე დონის სასამართლო არის ზოგადი იურისდიქციის სასამართლოები. ისინი წარმოადგენდენ შტატის პირველი ინსტანციის სასამართლოებს. მათ გააჩნიათ დაწესებული იურისდიქცია ყველა საქმესთან მიმართებაში და იღებენ წარმოებაში როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. ზოგადი იურისდიქციის სასამართლოები, როგორც წესი, საოლქო სასამართლოებია ან ნაკლებად დასახლებულ შტატებში, რომელშიც შედის რამდენიმე ოლქი – რეგიონული სასამართლოები, ამ სასამართლოებს ზემდგომ ან რაიონულ სასამართლოებს უწოდებენ. ამ სასამართლოების მოსამართლეები არიან იურიდიული პირები, რომლებსაც, უმეტესწილად, სასამართლო პროცესებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება გააჩნიათ. მათ ირჩევენ ან ნიშნავენ. სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს კანონი უფლებას აძლევს ბრალდებულს აარჩიოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული არჩევას აკეთებს ნაფიც მსაჯულზე, მაშინ სასამართლო შედგება მოსამართლის, რომელიც კანონთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწევა და ნაფიცი მსაჯულებისაგან, რომლებიც მუშაობენ საქმის ფაქტებთან და ფაქტების იმ კანონთან შესაბამისობაზე, რომელიც გათვალისწინებულია მოსამართლის მიერ. ნებისმიერი ხასიათის სისხლის სამართლის საქმე განხილვა ზოგადი იურისდიქციის სასამართლოში. წარმოგიდგენს სისხლის სამართლის დანაშაულზე სასამართლოებში გამოტანილი განაჩენის მონაცემებს შეერთებული შტატების მასშტაბით.

სააპელაციო სასამართლო. ყველა შტატის გააჩნია მის მიერ შექმნილი სააპელაციო პროცედურები იმ მხარეებისათვის, რომლებიც უკმაყოფილოები არიან სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით. ზოგიერთი შტატის სააპელაციო სასამართლო წარმოადგენს შტატის უზენაეს სასამართლოს; ზოგიერთ შტატს გააჩნია შუალედური სააპელაციო სასამართლოები პირს, რომელიც ცნეს დამნაშავედ, აქვს უფლება მიმართოს სააპელაციო სასამართლოს და იმავდროულად ბოლო ინსტანციის სასამართლოს და შტატის უზენაეს სასამართლოს ყოველთვის, როდესაც დამტკიცდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ კანონის რომელიმე მუხლით დაშვებულია შეცდომა.

2. ფედერალური სასამართლოები

ფედერალური სასამართლოს უმრავლესი ფუნქციას წარმოადგენს კონგრესის მიერ შექმნილი და მიღებული ყველა ფედერალური კანონის აღსრულება. ეს დებულებები შეიცავს სისხლის სამართლის კანონების დიდ სპექტრს: დაწესებული ჩიტიის მიგრაციული აქტით¹ და დამთავრებული სახელმწიფოს დაღატიით და შეკობრებით. ფედერალური სისხლის სამართლის კანონების უმრავლესობა შედის შეერთებული შტატების კოდექსის მე-18 კარში ფედერალურ სასამართლოებს ეკისრებათ აგრეთვე მეორე და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია: ისინი ვალდებული არიან შეამოწმონ ფედერალური და შტატების კანონმდებლობის და სასამართლო გადაწყვეტილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობა.² მაგალითად, შეუძლია თუ არა შტატს მიიღოს და აღასრულოს დადგინდება იმის თაობაზე, რომ შეაკანონოს და თეთრკანიანის და ქორწინება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. „ლაინგი გორჯინის წინააღმდეგ“ საქმეში (1967 წ.) უზენაესმა სასამართლომ დადგინა, რომ არ შეუძლია.³ შტატს არ შეუძლია შექმნას ამგვარი სახის დანაშაული, რადგან ის არღვევს თანაბარი დაცვის შესახებ შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-14 შესწორებით გათვალისწინებულ მუხლს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უზენაეს სასამართლოს (ფედერალურ სასამართლოს) გააჩნია უფლება შეაჩეროს ამგვარი კანონის მოქმედება, რადგან ასეთი დადგენილება არღვევს შეერთებული შტატების კონსტიტუციას. მოდით, განვიხილოთ სხვა მაგალითი: შეუძლია თუ არა შტატის სასამართლოს მიიღოს სასამართლო პროცესზე მტკიცებულების სახით საგანი, რომელიც მოპოვებულია შტატის ან ადგილობრივი სამართალდამცავი ოფიცრის მიერ შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-4 შესწორების დარღვევით, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა დაცვას გაუპართლებელი ჩხრეკისა და დაკავებისაგან.⁴ ამდენად, ფედერალური სასამართლოები უზრუნველყოფენ შეერთებული შტატების კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქეთა გარანტირებული უფლებების დაცვას. დაბოლოს, როგორც შტატის, ასევე ფედერალურ სასამართლო სისტემაშიც, გამოიყოფა რამდენიმე დონე.

ფედერალური მაგისტრატები. თურისდიქციის ყველა დაბალ დონეზე არიან ფედერალური მაგისტრატები, რომლებსაც ადრე ეწოდებოდათ კომისრები. მაგისტრატებს მინიჭებული აქვთ სასამართლო თურისდიქცია უმნიშვნელო ფედერალურ დანაშაულებზე, ასევე უფლება აქვთ გამოწერონ, მაგალითად, დაპატიმრების ორდერი.

შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოები. პირველი ინსტანციის სასამართლოებს ფედერალურ სისტემაში, რომლებსაც უწოდებენ შეერთებული შტატების საოლქო სასამართლოებს, გააჩნიათ როგორც სამოქალაქო, ისევე სისხლის

სამართლის იურიდილიკაცია. არსებობს 9/1 ფედერალური საოლქო სასამართლო, მათ შორის გუამში, ვორჯინიის კუნძულებზე, ჩრდილოეთ მარიანასში და ბუერტო-რიკოში. ყოველ შტატში არის ერთი ამგვარი სასამართლო მანც, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ შტატებში - ერთზე მეტი. პრეზიდენტის მიერ დანიშნული მოსამართლეების რაოდენობა ამ სასამართლოებში შეადგენს - 576-ს. ფედერალური ოლქების სასამართლოები უმეტესწილად იხილავენ ნარკოტიკების, იარაღის, საიმფერაცო და სხვა კანონთა დარღვევებთან დაკავშირებულ საქმეებს.

შეერთებული შტატების საოლქო სააპელაციო სასამართლოები. საოლქო სააპელაციო სასამართლოში შეტანილი აპელაცია განიხილება შეერთებული შტატების საოლქო სააპელაციო სასამართლოს მიერ. ქვეყანაში არსებობს 13 სააპელაციო სასამართლო: თითო ქვეყნის თითოეულ ოლქში, ერთი - კოლუმბიის ოლქში და მეორე - ასევე კოლუმბიის შტატის ქალაქ ვაშინგტონში, რომელსაც ფედერალურ ოლქს უწოდებენ. ის იხილავს აპელაციას ქვეყნის ნებისმიერი ადგილიდან, თუ საქმე ეხება პატენტებს და საავტორო უფლებებს, ზოგიერთ საგადასახადო დისპუტს და სარჩელებს ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ. ფედერალური სააპელაციო სასამართლოებში მუშაობს 156 მოსამართლე.

შტატების გაერთიანება ფედერალურ ოლქებში მოხდა იმ დროს, როდესაც ფედერალური სასამართლოების საქმიანობა კონცენტრირებული იყო ჭარბად დასახლებულ ადმოსავლეთში და დასავლეთის შუა ნაწილში. მოსახლეობის მიგრაციით გამორჩეული დასავლეთ სანაპიროს მეცხრე ოლქის სასამართლო, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავს, ყველაზე მეტად არის დატვირთული.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სასამართლო ხელისუფლების სისტემაში. მას უკავია ხელისუფლების შესამე შტოს ყველაზე მაღალი საფეხური, მისი ადგილი ყველაზე საპატიოა. მისი თავმჯდომარე არა მარტო უზენაესი სასამართლოს მთავარი მოსამართლეა, არამედ სრულიად შეერთებული შტატების მთავარი მოსამართლე. მთავარ მოსამართლეს და მის რვა მოადგილეს თანამდებობაზე სენატის რჩევით და თანხმობით ნიშნავს შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო წარმოადგენს ერთადერთ უწყებას, რომელსაც კონსტიტუციის ინტერპრეტირების უფლება გააჩნია; რადგან მისი უფლებები ფრცვლდება როგორც ფედერალურ, ასევე შტატების კანონმდებლობაზე. ის აგრეთვე თამაშობს წამყვან როლს ფედერალური კანონმდებლობის ინტერპრეტირების საქმეში.

ამასთანავე, ფედერალური და შტატების სასამართლო საქმეები შეიძლება იყოს განხილული უზენაესი სასამართლოს მიერ.

3. შტატისა და ფედერალური სასამართლოების ურთიერთქმედება

ახლა გადავხედოთ შტატის და ფედერალური სასამართლოებს სისტემებს, რომლებიც სრულიად დამოუკიდებელნი არიან. სამართლებრივი კონფლიქტა, რომელიც განიხილება შტატის სასამართლოში, შესაძლოა ეხებოდეს ფედერალურ კანონმდებლობას, მით უმეტეს კონსტიტუციური ხაიათის საკითხები. ამგვარი სასამართლო საქმის განხილვისას, შესაძლოა, ფედერალურ სასამართლოს დაეკისროს მისი წარმოებაში აღება.

წარმოადგინეთ, რომ ანონიმური ინფორმაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სხვა საშხლის არარსებობის შემთხვევაში, ადგილობრივი მაგისტრატა

გასაცემს ორდერის კოლეჯის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ჩხრეკის ჩატარების თაობაზე მარიხუანას პოენის მიზნით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მაგდილის უჯრაში, რომელიც ხარვეზლობის ორი სტუდენტი, ნაპოვნია პატარა ჩანთა მარიხუანათი. ორივე დაპატიმრეს, გაასამართლეს ადგილობრივ სასამართლოში და სცნეს დამნაშავეებად კონტროლარებადი ნივთიერების შენახვისათვის. ადვოკატთა კოლეგია ამტკიცებს, რომ ორდერი ჩხრეკის ჩატარების შესახებ სამართლებრივი ნორმების დარღვევით იყო გაცემული, რადგან არ ეფუძნებოდა ოფიციალურად მოპოვებულ სამხილს, რომელიც შესაძლოა, გამოავლენდა დანაშაულის ჩადენის მიზეზს. ამდენად, მარიხუანა სასამართლოს საშხლად არ უნდა მიეღო. მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ სასამართლო პროცესში მონაწილე შტატის მოსამართლე არ ეთანხმება დაცვას.

აპელაცია და ბრძანება საქმის გამოთხოვის შესახებ. სტუდენტებმა გადაწყვიტეს გაასაჩივრონ დაპატიმრების შესახებ განაჩენი. ისინი ამტკიცებენ, რომ პროცესზე დამსწრე მოსამართლემ დაუშვა სამართლებრივი შეცდომა, რადგან საქმიდან არ ამოიღო მტკიცებულება. წარმოვიდგინოთ, რომ შტატის სააპელაციო სასამართლო (თუ ასეთი არსებობს), განწყობილია სტუდენტების წინააღმდეგ. შემდგომში საკასაციო საარჩელი ორგანო უზენაეს შტატის უზენაეს სასამართლოში. იმ შემთხვევაში, თუ შტატის უზენაესი სასამართლოც უარს იტყვის აპელაციის განხილვაზე, რჩება ერთადერთი ინსტანცია – შერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. ამ აპელაციის საფუძველს წარმოადგენს ფედერალური კონსტიტუციური უფლება, რომელიც ითვალისწინებს გათავისუფლებას დაკავებისა და ჩხრეკისაგან, გარდა საკმარისი საფუძვლის მოთხოვნების თანხმად გაცემული ორდერისა. ეს შესაძლებელია საქმის გამოთხოვის შესახებ ბრძანებულების საფუძველზე, რაც კეთდება უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოს მიერ (ამ შემთხვევაში აშშ უზენაესი სასამართლოს) საქმეზე არსებული საბუთების მიღების მიზნით.

უზენაესი სასამართლოს შეუძლია აიღოს წარმოებაში საქმე, რადგან მანვე შემოიღო წესი, თუ ორდერი ჩხრეკის ჩატარების შესახებ გაცა ინფორმატორის მიერ მოწოდებული არასანდო მონაცემების საფუძველზე, ეს არღვევს მეოთხე შესწორებისა და საკმარისი საფუძვლის მოთხოვნებს.⁵ მაგრამ შერთებული შტატების უზენაესი სასამართლოში ყოველ წელს წარმოებაში ღებულობ ათასობით აპელაციას და განაცხადს საქმის გამოთხოვის შესახებ. ამასთან, მხოლოდ რამდენიმეს განხილვას ასწრებენ, როგორც წესი, უზენაესი სასამართლო განსახილველად ღებულობს მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც ეხება მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ხასიათის საკითხებს და არ ეთანხმება ფედერალური სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩატარებულ პროცესს.

ბროუნების ხელშეუხებლობა – habeas corpus. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო აცლებას გაუკეთებდა მოთხოვნას საქმის გამოთხოვის შესახებ, მაშინ სტუდენტებს შეეძლოთ გამოეყენებინათ habeas corpus და შეეტანათ საარჩელი ფედერალურ საოლქო სასამართლოში. ისტორიულად, ინგლისის საერთო სამართლის შესაბამისად ბრალდებულის დაკავების სამართლიანობა უნდა შემოწმებულიყო ციხის თანაშრომლის სახელზე გაცემული სასამართლო ბრძანებულების მოთხოვნის საფუძველზე. ლათინურ ენაზე დაწერილი ბრძანებულება შეიცავდა გადაწყვეტ სიტყვებს habeas corpus, რომელიც ნიშნავს „თქვენთან არის ადამიანი“. ბრძანებულების ტექსტი ითხოვდა, რომ პატიმარი წარმდგარიყო შემოწმებელი მოსამართლის წინაშე და მისთვის აქესნა, თუ რომელი კანონის საფუძველზე იყო ის დაკავებული.⁶ მთელი ანგლო-ამერიკული სამართლის ისტორიის მანძილზე ამგვარი მოთხოვნები განსაზღვრავდნენ, იყო

თუ არა დარღვეული კონსტიტუცია სასამართლო პროცესის დროს, რაც გახდა მიზეზი დაკავებისა და ციხეში მოთავსებისა.

ჩვენი პილიტეტურ შემთხვევაში, 1976 წლამდე სტუდენტებს შეეძლოთ მიემართათ ფედერალური საოლქო სასამართლოსათვის პიროვნების ხელშეუხებლობის - habeas corpus-ის - სარჩელით, მაგრამ იმ წელს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-4 შესწორება აღარ ითვალისწინებდა საქმის გამოთხოვას ჩხრეკის და დაკავების პუნქტის საფუძველზე, რადგან ფედერალური სასამართლოები ვერ აუდიოდნენ განცხადებების განხილვას საქმეების გამოთხოვის შესახებ.⁷ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტს, ჩხრეკის და დაკავების გარდა, მაშინ ამგვარი გამოთხოვა ძალაში რჩება, თუმცა 1996 წლიდან შეზღუდული რაოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უარს ამბობს habeas corpus საქმის წარმოებაში აღებაზე, მსჯავრდებულს შეუძლია გააჩივროს ეს გადაწყვეტილება შეერთებული შტატების საოლქო სააპელაციო სასამართლოს წინაშე. თუ ამ სასამართლომაც არ უარყო საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მსჯავრდებულს აქვს უფლება მიმართოს შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს.

4. იურისტები სასამართლო სისტემაში

ყოველი სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მთავრობას, ოლქს, ქალაქს თუ შტატს წარმოადგენს იურისტი. ამ იურისტს უწოდებენ პროკურორს (ბრალმძებელს). სასამართლო საქმის განხილვისას მეორე მხარეს წარმოადგენს ადვოკატი, დაქირავებული ბრალმძებლის მიერ ან დაქირავებული სასამართლოს მიერ იმ შემთხვევაში, თუ დაშნაშავებს არა აქვს ადვოკატის დაქირავების მატერიალური საშუალება. ამ ადვოკატს ეწოდება დამცველი.

პროკურორები (ბრალმძებლები) და მათი მოვალეობებმა პროკურორები არიან მთავრობის პასუხისმგებელი პირები, რომლებიც გამოდიან ამა თუ იმ იურისდიქციის ქვეშ მყოფი ხალხის სახელით. მათ ირჩევენ ან ნიშნავენ. ბრალმძებლები პასუხს აგებენ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე - სათანადო რეგირება მოახდინონ დანაშაულის ჩადენაზე.⁸ ისინი ატარებენ ექსპედიტივობის ყველაწარმოებულ შემოწმებას, ღებულობენ გადაწყვეტილებას, წაუყენონ თუ არა ექსპედიტივობის ბრალდება, სასამართლო პროცესზე წარმოადგენენ მთავრობის მხარეს და ხშირად იძლევიან რეკომენდაციებს დაპატიმრების შესახებ. შტატებისა და ადგილობრივ სააგენტოებში 8.000-ზე მეტი პირია დაკავებული საპროკურორო საქმიანობით. ამაში შედის აგრეთვე საოლქო პროკურორის ოფისები, ქალაქის კორპორაციული საბჭო და შტატის გენერალური პროკურორი. ფედერალური დონის დანაშაულებანი მიჰყავთ შეერთებული შტატების პროკურორებს, რომლებიც ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ.

პროკურორის უფლებებმა პროკურორებს შეუძლიათ გაატარონ მრავალი ღონისძიება, რომლებიც შემდგომში გავლენას მოახდენს ადამიანის თავისუფლებაზე, ცხოვრებაზე, ქონებაზე, რეპუტაციაზე და ყოფაზე. ამგვარი ძალაუფლება არ გააჩნია ამერიკის სისხლის სამართლის სისტემის მართლმსაჯულების არც ერთ ოფიციალურ პირს. პროკურორები შედარებით თავისუფლები არიან საქმეების და სასამართლო პროცესის წარმართვის მეთოდების შერჩევის და მიზნების მიღწევის საქმეში. სასამართლოს წინა პერიოდში გადაწყვეტილების მიღებისას მათ გააჩნიათ ამისათვის სრული თავისუფლება სამ სფეროში: 1) დააკისრონ თუ არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა; 2) როგორ

განსაზღვრონ დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის სიმძიმის ხარისხი; 3) როდის შეწყვიტონ პროცესი. თითქმის ყველა თურისდიქციის პროკურორებს დებულებით გააჩნიათ უფლება „გასამართლონ ყველანაირი დანაშაულისათვის“.¹¹ როგორც აღნიშნა მეცნიერ-თურისტმა აბრაჰამ ს. ვოლდშტეინმა, ამ განსაკუთრებული უფლებით აღჭურვილ მოსარჩელე მხარეს არ მოეთხოვება იმოქმედოს ამგვარად ყოველი საქმის გარჩევისას.¹² პროკურორები არჩენისას თავისუფლები არიან.

პროკურორის როლი პროკურორები ასრულებენ მრავალ ფუნქციას და აკისრიათ სხვადასხვა მოვალეობები, რაც შეიძლება არ იყოს განსაზღვრული კანონით. აბრაჰამ ბლომბერგმა გამოკვეთა რამდენიმე როლი:

- *მოსარჩევების აგენტა* პატარა დასახლებულ ადგილებში პროკურორები აგროვებენ თანხებს, ეს არის: ოჯახების დახმარების გადასახადები, ყალბი ჩეკებიდან შემოსავლები და თაღლითური ქმედებებიდან გამომდინარე ვალეები.
- *ძალაუფლების მქონე სამართლის აღმასრულებელი შუამავალი*. პროკურორები, მათ ხელთ არსებული დასჯის მეთოდების გამოყენებით, რაც გამომდინარეობს სხვადასხვა სახის დანაშაულიდან, ახორციელებენ მართლმსაჯულებას. პოლიტიკური სიტუაციების დროს ისინი შუამდგომლის როლში გამოდიან დაპირისპირებულ მხარეებს შორის სანქციების გამოყენების მუქარით.
- *პოლიტიკური მიზნების გამტარებელი*. პროკურორის შეუძლია დაიწყოს საქმის გარჩევა არა მარტო იმ მიზნებით და მიზეზებით, რომ აღიარებულს მსჯავრდება, არამედ ხელი შეუშალოს რაიმე ქმედებას.
- *პოლიციის შედამხედველი*. პროკურორი აგრეთვე ასრულებს მაგისტრატის მოვალეობებს, მუდმივად აკონტროლებს პოლიციის მუშაობას.¹³

დაცვა. ყოველ ადამიანს, ვისაც დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი და საფარაულოდ, ციხე ელისი, აქვს უფლება ჰყავდეს დამცველი, რასაც ითვალისწინებს შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-6 შესწორება.¹⁴ ადვოკატი უზრუნველყოფს ბრალდებულის თურითული უფლებების სრულ დაცვას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე. ბრალდებული, თუკი მას აქვს საშუალება, აიყვანოს ადვოკატი (დამცველი) თავისი ხურვილის შესაბამისად ან, იშვიათად, თვითონ გამოვა დამცველის როლში. დამნაშავეს, რომელსაც ამგვარი საშუალება არ გააჩნია, უფასოდ უზრუნველყოფენ დამცველით, რომელიც შეტძლება გამოეყოს მას საში უწყებიდან თურისდიქციის მიხედვით, ესენია:

- *სახელმწიფო დაცვის პროგრამა*. შტატების და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო დამცველები არიან სახელმწიფო ან კერძო საქველმოქმედო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ უფასო იურიდიულ მომსახურებას.
- *დანიშნულ დამცველთა სისტემა*. მოსამართლეების მიერ დანიშნული იურისტები, რომლებიც ეწევიან კერძო პრაქტიკას იმ დროს, როდესაც ამას მოითხოვს საჭიროება.
- *საკონტრაქტო სისტემა*. კონტრაქტებს უდებენ ადვოკატთა ასოციაციებს, კერძო თურითული ფირმებს ან ცალკეულ იურისტებს, რომლებიც თანახმანი არიან გაწიონ ამგვარი თურითული სამსახური.

§3 მოსამართლე

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის განხილვისას ჩვენ აღვნიშნეთ ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც თამაშობენ მოსამართლეები სასამართლო სხდომის დაწყებამდე. ისინი ათავისუფლებენ ბრალდებულებს სხვადასხვა საფეხურზე, თავმჯდომარეობენ სასამართლოს პირველ სხდომას და ატარებენ წინა სასამართლო მოსმენებს, წერენ ორდერებს, თვალისწინებენ შუამდგომლობებს, ამტკიცებენ სასარჩელო გარიგებებს, ნიშნავენ დიდ ყიურის და ინსტრუქციებს აძლევენ ნაფიც მსაჯულებს.

მოსამართლის როლი ტრადიციულად სასამართლო პროცესის თავმჯდომარეობას გულისხმობს.

1. ბრალდების წაყენება

სასამართლო სხდომა იწყება ბრალდების წაყენებით, რაც წარმოადგენს ღია სასამართლო სხდომის ფორმალურ მხარეს და სადაც დიდი ყიური აცხადებს თავის საბრალდებო აქტს. მაგრამ ყველა შტატს როდი გააჩნია დიდი ყიური, რათა დაიწყოს სასამართლოს პროცესი.

ბრალდების წაყენების დროს, ბრალდებულის და დაცვის თანდასწრებით პირს, რომელსაც წაუყენა საბრალდებო აქტი (დიდმა ყიურმა სცნო დამნაშავედ) ან სისხლის სამართლის სარჩელი (პროკურორის მიერ წაყენებული ბრალდება), თხოვენ სცნოს თავი დამნაშავედ. ბრალდებულს გააჩნია არჩევანის ორი ან სამი ვარიანტი:

- ბრალდებულს შეუძლია *სცნოს თავი დამნაშავედ* ყველა ბრალდების მიმართ, რითაც ადასტურებს (აღიარებს) ყველა ფაქტს და ოუროდიულ სანქციებს. ამ შემთხვევაში სასამართლო სხდომის ჩატარება არ არის საჭირო. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ განაცხადი დანაშაულის აღიარების შესახებ მიღებულია და ფაქტები ადასტურებენ ბრალდებულის დანაშაულს. ამის შემდეგ მოსამართლეს შეუძლია მიიღოს განსაზღვრული განაცხადი დანაშაულის აღიარების თაობაზე და გამოიტანოს განაჩენი.
- ბრალდებულს შეუძლია, *არ აღიაროს დანაშაული* უარყოს პროკურორის მიერ წაყენებულ ყველა ფაქტი და ბრალდება.
- იურისდიქციების უმრავლესობაში ბრალდებულს აგრეთვე შეუძლია განაცხადოს, რომ *უარს ამბობს ბრალდების გასაჩივრებაზე და ეთანხმება ბრალმძებელსა და სასამართლოს*, ამ განცხადებით დამნაშავე აღიარებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რათა რაც შეიძლება მალე დაიწყოს სასამართლო გარჩევა. ეს პროცედურა პრაქტიკული უპირატესობით გამოირჩევა, რადგან დამნაშავეს შესაძლებლობას აძლევს, თავი აარიდოს სხვა დანაშაულისათვის გასამართლებასა და მსჯავრდებას. (მაგალითად, სამოქალაქო საქმეს ზიანის მიყენების შესახებ).

2. წინასამართლო შუამდგომლობები

ორივე მხარის რწმუნებულს, დამცველსაც და პროკურორსაც, შეუძლიათ შეიტანონ სასამართლოში სხვადასხვა ხასიათის შუამდგომლობები, ანუ ოფიციალურად მიმართონ მოსამართლეს ნებისმიერ დროს – როგორც დაკავების მომენტიდან, ასევე სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ. ამ შუამდგომლობის შეტანა, უმეტესწილად, ხორციელდება სასამართლო პროცესის დაწყებამდე; თითოეული ამგვარი მიმართვა მოსამართლის სახელზე საჭიროებს განხილვას და ზოგ შემთხვევაში მინისასამართლო სხდომის ჩატარებას. არსებობს შუამდგომლობის რამდენიმე სახე, მათგან ძირითადია:

- შუამდგომლობა გამოყოფის შესახებ, როდესაც ბრალდებული აცხადებს, რომ მისი ინტერესები დარღვევა, თუ მისი საქმის განხილვა მოხდება მასთან ერთად კონკრეტულ დანაშაულში მხილებულ და ბრალდებულ სხვა პირთა საქმეებთან ერთად.
- შუამდგომლობა ტერიტორიული იურისდიქციის შეცვლის შესახებ კეთდება იმ დროს, როდესაც წინასწარი სასამართლო გამოძიების მასალების გახმაურება შეუძლებელს ხდის სამართლიანი პროცესის ჩატარებას იმ ქვეყანაში, სადაც ჩადენილი იყო დანაშაული.
- შუამდგომლობა საბრალდებო აქტის ანულისების შესახებ, თუ წარმოდგენილი მტკიცებულება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დაიწყოს სასამართლო პროცესი.
- შუამდგომლობა ფსიქური მდგომარეობის შესახებ, როდესაც ბრალდებული აცხადებს, რომ დაავადებულია ფსიქურად, რაც ათავისუფლებს მას იურიდიული პასუხისმგებლობისაგან.
- შუამდგომლობა არალეგალურად მოპოვებული მტკიცებულების ამოღების შესახებ.
- შუამდგომლობა საქმის წარმოების გადადების შესახებ, სანამ არ იქნება მოპოვებული ადეკვატური მტკიცებულება, ან სხვა მიზეზის გამო.

3. გადაწყვეტილებები სასამართლო პროცესამდე გათავისუფლების შესახებ

შემდგომ მოსამართლემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გაათავისუფლოს თუ არა ბრალდებული ბრალდების წაყენების მომენტიდან პროცესის მთავარი ეტაპის დაწყებამდე. ამ პერიოდის ხანგრძლივობა ცალსახად არ არის დადგენილი, შესაძლოა რამდენიმე კვირაც გასტანოს.

ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა თითოეული ბრალდებულისათვის აშკარაა. გათავისუფლებულ ბრალდებულს შეუძლია იცხოვროს თავის ოჯახთან და არჩინოს ის, არ გაწყვიტოს კავშირი საზოგადოებასთან და პირადად მოაწესრიგოს საკუთარი დაცვის პრობლემები, რაც გულისხმობს მტკიცებულებების და მოწმეების მოძიებას და ადვოკატთან მჭიდრო კონტაქტის შენარჩუნებას. დაპატიმრებული ბრალდებული მორალურად თრგუნება, იზოლირებულია გარე სამყაროსაგან და ციხეშესაძლოა კრიმინოლოგიური გავლენა იქონიოს მასზე. ის შეიძლება დაპატიმრონ იმისათვის, რაც არ ჩაუდენია; გვხვდება შემთხვევები, როცა დაპატიმრებულს ამართლებენ და სასამართლო დარბაზიდანვე ათავისუფლებენ; გარდა ამისა, დაპატიმრებულ ბრალდებულებს უმეტესად პრობაციას უსჯიან, ვიდრე თავისუფლების აღკვეთას. ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოება საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მაგისტრატს ანდობს. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არ გამოცხადდება პროცესზე, ეს კანონის უგულვებელყოფად შეფასდება, ხოლო თუ გათავისუფლებული ბრალდებული კვლავ ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს, მაშინ საზოგადოება ჩაფრთხილდება საფრთხეში.

ძმება კითხვა, დღევანდელ დღეს, როდესაც დაკავებულ პირთა რაოდენობა დიდია, არის თუ არა მიზანშეწონილი წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ფულადი შენატანის საფუძველზე. ტენდენციას, თავდებით გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საყოველთაო სამართლიანობის უზრუნველსაყოფად 1960 წლებში ჩაყარა საფუძველი. მისი მიზანია დისკრიმინაციის თავიდან აცილება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს არ ექონდა შესაძლებლობა, შეეტანა სათანადო თანხა. „მინაპეტენის თავდების პროექტმა“, რომელიც დაფინანსა

ვერას მართლმსაჯულების ინსტიტუტმა, გამოავლინა, რომ შესაძლებელია ბრალდებულთა სასამართლო პროცესზე არგამოცხადება მინიმუმამდე შემცირდეს და დაახლოებით მანც გაითვალისწინასწარ, მოვა თუ არა იგი სასამართლოზე იმის მიხედვით, თუ რა სახის დანაშაული ჩაიდინა, ანდა ოჯახური პრობებიდან თუ სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე პროექტის თანახმად ჩატარებულმა ცდებმა აჩვენეს, რომ ამგვარი გათვლების საფუძველზე ბრალდებულთა არგამოცხადებამ შესაძენეად იკლო.

1960 და 1970 წლებში მსგავსი პროგრამები მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრიმინოლოგიის ისტორიაში რეფორმების გატარების სფეროში ყველაზე დიდი წვლილი ჯონ ვოლდკამპს მიუძღვის, რომელმაც მაიკლ ვოლდფრედსონის დახმარებით შეიმუშავა ინსტრუქციები მათთვის, ვინც ღებულობდა ბრალდებულის თავდებით გაშვების გადაწყვეტილებას.⁴ ორი განზომილებით შეფასებული ბრალდების დონე, რაც ითვალისწინებდა დანაშაულის ტიპს, ნაბატომრობის რაოდენობას, ასაკს და საზოგადოებრივ ურთიერთობებს, საშუალებას იძლეოდა, მნიშვნელოვნად შეემცირებინათ სასამართლოზე ბრალდებულის არგამოცხადება და ესმარებოდა მოსამართლეებს თავდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

ახლახან ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ წლების განმავლობაში თავდებით გათავისუფლებულთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო: მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულთა 66%-იდან 63% თავდებით იქნა გათავისუფლებული შტატების სასამართლოების მიერ, მათგან 24%-ს მკვლელობაში ედებოდა ბრალი, 48%-ს - გაუპატოვებაში, 50%-ს - ყაჩაღობაში და 51%-ს - ქურდობაში. აქედან თავდებით გათავისუფლებულთა 14% სასამართლოს დაწყებამდე ხელახლა იქნა დაბატომრებული, მაგრამ მათგან მხოლოდ 10%-ს წაუყენეს ბრალი მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში.⁵ დანარჩენი 3% სასამართლოში არ გამოცხადდა. ამდენად, აშკარაა ის გარემოება, რომ ისეთი მექანიზმის გამოყენება, რომელსაც კავშირი არა აქვს ფინანსებთან, არ ზრდის სასამართლო პროცესზე არგამოცხადების რისკს.⁶

იმის მიუხედავად, რომ ცდილობენ თავდების სისტემას მიუკერძოებელი სახე მისცენ, არსებობს საპირისპირო აზრიც იმის შესახებ, რომ დაწყისდეს შეზღუდვები სასამართლოს დაწყებამდე ბრალდებულის თავდებით გათავისუფლებაზე და შემოღებულ იქნეს სასამართლო პროცესამდე წინასწარი დაკავების შეთოდები. დღესდღეობით ბევრ შტატში თავდებით გათავისუფლებაზე დაწესებულია არსებითი შეზღუდვები ისეთ იურისდიქციებში, როგორც არის, მაგალითად, კოლუმბიის შტატის ქ. ვაშინგტონი, ფუნქციონირებს სასამართლომდე წინასწარი დაკავების დებულება, რომელც ავალდებულებს მოსამართლეებს, არ დაუშვან თავდებით გათავისუფლება იმ ბრალდებულების მიმართ, ვინც ჩაიდინა მძიმე დანაშაული და მოათავსონ ისინი საპრობილემში. ამდენად, 1984 წლის აქტი თავდების რეფორმის შესახებ უფლებას იძლევა ფედერალურ სისტემაში განხორციელდეს სასამართლომდე წინასწარი დაკავება იმ შემთხვევაში, თუ „არ არსებობს პირობა ან პირობათა კომპლექსი, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულის დასწრებას სასამართლოზე და თუ ის არ წარმოადგენს საშიშროებას სხვა პირისათვის ან საზოგადოებისათვის“.⁷

4. სასარჩელო გარიგება

ბრალდების წაყენება საშუალებას აძლევთ პროკურორს და დამცველს, წარუდგინონ სასამართლოს მოლაპარაკებების წინადადება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალდებულთა უმრავლესობა წინასწარი სასამართლო პროცედურების დროს არჩევს,

აღიაროს დანაშაული რათა მიიღოს შედარებით მსუბუქი განაჩენი. ამგვარი გარიგებები ხშირია ბრალის წაყენების დროს, როდესაც ბრალდებულს ეძლევა რეალური შესაძლებლობა გაითვითცნობიეროს ის გარემოება, რომ მას გასამართლება ემუქრება. მართალია, არ შეიძლება გამოირაცხოს გამამართლებელი განაჩენი, მაგრამ ციხეში ყოფნის აღბათობა რაღაც პერიოდის განმავლობაში მაინც, თუ ბრალდებული სცნის დანაშაულს, წინაპრობა იმისათვის, რათა განხორციელდეს წინასწარი გარიგება ან შეთანხმება სასამართლო პროცესამდე. ამ მოსაზრებას სტატისტიკაც ადასტურებს. მართალია, ხისხლის სამართლის დანაშაულისათვის სასჯელის გამოტანის შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი განსხვავდება თურისდიქციების მიხედვით, მაგრამ ის მაინც საკმაოდ შთაბეჭდავია. 28 თურისდიქციაში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ, საშუალოდ ბრალდებულთა 73%-ს მიესაჯა სასჯელი.²⁰ პროკურორები შეეწყობიან არაან სასამართლო პროცესისათვის გაწეული ხარჯების, თანამშრომელთა რაოდენობის სიმცირისა და აგრეთვე იმის გამო, რომ რთვ შემთხვევებში ხანგრძლივად უწევთ ღლოდნი, რათა გათავისუფლდეს სასამართლო დარბაზი და/ან მოსამართლე იყოს თავისუფალი (არ იყოს დაკავებული სხვა პროცესზე).

სასარჩელო გარიგებებმა, შესაძლოა, უფრო ეფექტური გახადოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, მაგრამ ამასთანავე მათი ხშირი გამოყენება ერთგვარ საფრთხეს ქმნის. ერთ-ერთ ამგვარ საფრთხეს წარმოადგენს გარიგების გამოყენება კონტროლის მექანიზმის სახით საზოგადოების იმ ფენების წარმომადგენელთა მიმართ, ვინც პირდაპირ ქუჩებიდან აპყავთ, ათავსებენ ციხეებში და შემდგომ აძლევენ 15 წამს, რათა გამოიყენონ სასარჩელო გარიგების საშუალება.²¹

სისხლის სამართლის ნორმებისა და მიზნების დამდგენი ეროვნული საკონსულტაციო კომისია 1971 წელს გამოვიდა რეკომენდაციით სასარჩელო გარიგების პრაქტიკის გაუქმების თაობაზე: "რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ არა უგვიანეს 1978 წლისა, გარიგებები პროკურორებსა და ბრალდებულებს შორის, გაფორმებული პირადად, თუ მათი ადვოკატების მეშვეობით, რომლის საფუძველზეც ხდება ბრალის აღიარება უფრო მსუბუქი განაჩენის მისაღებად, უნდა აიკრძალოს".²² კომისიის აზრით, გარიგების აკრძალვა პროკურორებს არ მისცემს საშუალებას, დააკისრონ ბრალდებულს პასუხისმგებლობა უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაზე, რაც, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოდ გაზრდის სასამართლო პროცესის რაოდენობას, მაგრამ უფრო გონივრულს და სამართლიანს გახდის სასამართლო პროცესს.²³

სასარჩელო გარიგების პრაქტიკის აკრძალვამ, ერთი მხრივ, შესაძლოა, აღადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში საქმეთა მოსმენის კონსტიტუციური უფლება, რასაც ამჟამად ბრალდებულები იყენებენ იმისათვის, რომ აღიარონ დანაშაული და მეორე მხრივ, მოუსპოს გამოძიებას (პროკურორებს) გამარჯვების საშუალება დაუსაბუთებელი ან არაღვეალურად მოიგებელი მტკიცებულებების საფუძველზე, რაც სასარჩელო გარიგების დროს, როგორც წესი, იქმნალება ხოლმე.

მაგრამ, ნუთუ სინამდვილეში სასარჩელო გარიგების აკრძალვა გავლენას იქონიებს მოსამართლეებს, ნაფიც მსაჯულების, პროკურორების და დამცველის მიერ გასარჩევ საქმეთა რაოდენობაზე? ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ სასამართლო პროცესების 10%-ით გაზრდამ, შესაძლოა, ბოლო მოუღოს სასამართლო აპარატის ფუნქციონირებას.²² მაგრამ ამ მოსაზრებას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იმ თურისდიქციებში, რომლებმაც აკრძალეს ეს პროცედურა, მაინც მიმართავენ გარიგების პრაქტიკას იმ ანდით, რომ უფრო მსუბუქი განაჩენი იქნება გამოტანილი.²³

სასარჩელო გარიგების აკრძალვის შედეგები უკვე იკვთება. ყველაზე ნათლად ეს ჩანს ალიასის მაგალითზე. აქ, აკრძალვის მიუხედავად, სასარჩელო გარიგება ჯერ ისევ

მოქმედებს და უნდა ითქვას, ძალზე წარმატებით. ზოგიერთ იურისდიქციებში გაუქმების მაგივრად, მან, პირიქით, უფრო ღია, მოწესრიგებული და სამართლიანი სახე მიიღო.²⁴ უზენაესი სასამართლო მოითხოვს, რომ ამგვარი გარიგების ნებაყოფლობითობა და მისგან გამომდინარე დასკვნების გაცნობიერება მოხდეს ღია სასამართლო პროცესზე და რომ პროკურორმა დაიცვას თავისი პოზიცია გარიგების დროს.²⁵

ფედერალურ სასამართლოში სასარჩელო გარიგების პროცესი გადაიქცა მინი-სასამართლო პროცესად. იგი ეყრდნობა გამოძიების პროცესში მოპოვებულ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებს, რომ გარიგებისათვის რეალური საფუძველი არსებობს.²⁶

§4 სასამართლო პროცესი

სასამართლოები შექმნილია კანონის შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის გამოსაკვლევეად და გამოსახატავად იმის შესახებ, დამნაშავეა თუ უდანაშაულოა ბრალდებული. საზოგადოება, ვისი სახელითაც წარმოებს განაჩენის გამოტანა, აქტიურ მონაწილეობას იღებს პროცესში. დიდი ყურის ვერდიქტი, ანუ საბრალდებო დასკვნა ასე ეძღვის: „შტატის ხალხი ჯონ დოუს“ ან „ჯეინ როუს წინააღმდეგ“.

კონკრეტულად რა ფუნქსიონება „ხალხში“? პასუხი ცალსახაა – მოსამართლე, რომელსაც ირჩევს ხალხი ან ინიშნება ხალხის არჩეული პირის მიერ და წარმოადგენს საერთო სახალხო კონსენსუსის გამოხატულებას. საბრალდებო დასკვნის დიდი ყურის ვერდიქტის წარმოდგენისას და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარებისას ხალხი უშუალოდ მონაწილეობს პროცესში საზოგადოების ყველა სოციალური ფენისა თუ კლასის წარმომადგენლის სახით; დიდ ყურში, რომელიც უყენებს ბრალდებას განსაჯელს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, რომელიც ასამართლებს მას, გარდა ამისა, ნებისმიერ მოქალაქეს ეძლევა უფლება, დაესწროს სასამართლო პროცესს. ძველ დროშიც სასამართლო პროცესის დღე დიდი გასართობი იყო მოსახლეობისათვის. ზოგიერთ შტატში მიღებულია მთელი სასამართლო პროცესის ტრანსლაცია ტელევიზიით.

1. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა - voir dire

შეწყალების შესახებ თხოვნის წარდგენის შემდგომი ეტაპია ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, რომელსაც დიდი ყურისაგან განსხვავებით petit, ანუ პატარა ყურის უწოდებენ. ტრადიციულად ნაფიც მსაჯულთა რაოდენობა თორმეტამდეა განსაზღვრული. ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულების შემთხვევაში ზოგიერთი შტატი ნაკლები რაოდენობის ნაფიც მსაჯულს იწვევს. როგორც წესი, ირჩევა რამდენიმე ალტერნატიული წევრი იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე ნაფიცი მსაჯული შეუძლოდ შეიქმნება პროცესის დროს.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, როგორც წესი, სამ მიზანს ემსახურება. სასამართლოს რწმუნებულმა პირმა უნდა:

- დაადგინოს აკმაყოფილებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა პოტენციური წევრი მინიმალურ მოთხოვნებს (ასაკი და საცხოვრებელი ადგილი);
- დაადგინოს პოტენციური წევრის მიუკერძოებლობა;
- მოიპოვოს საკმარისი ინფორმაცია პოტენციურ წევრებზე იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ბრალდებულის სასარგებლო ან საწინააღმდეგო განწყობა.

პროცესი, რომლის მეშვეობითაც იურისტები და მოსამართლე არჩევენ ნაფიც მსაჯულთა პოტენციურ კანდიდატს მისი ვარგისიანობის დასადგენად, ცნობილია, როგორც სასამართლოს თქმა - *voir dire*. ყოველი მხარის ადვოკატი ცდილობს ისეთი წევრის შერჩევას, რომელიც უფრო მიხვედრილი ან მათი არგუმენტების მიმართ უფრო მეტი თანაგრძნობით განწყობილი იქნება. მათ შეუძლიათ უარი თქვან პირებსზე, თუ თვლიან, რომ ისინი არ უთანაგრძნობენ მათ არგუმენტებს და არ წარმოადგინონ ახსნა-განმარტებები ან უარი თქვან პოტენციურ წევრებსზე, რომელთა კანდიდატურის უარყოფა ასევე არ საჭიროებს ახსნა-განმარტებას. ყოველ მხარეს აქვს ახსნა-განმარტებების ფიქირებული რაოდენობა, და როგორც წესი, დაცვას უფრო მეტი, ვიდრე ბრალდებას. ორივე მხარეს შეუძლია არგუმენტირებული ახსნა-განმარტებების განუსაზღვრელი რაოდენობით გამოყენება, რომელთა საშუალებითაც ინტერესთა კონფლიქტში გარეულ პირებს ჩამოაშორებენ ყურის. მაგალითად, დაბადებით ან ქორწინებით საქმის ნებისმიერ მხარესთან დაკავშირებული პირი უდავოდ იქნება ჩამოშორებული პროცესის ახსნა-განმარტებების მითითებით.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევა კიდევ ერთ ასპექტთან არის დაკავშირებული: გამოცდილ იურისტებს მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ ერთგვარი ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა ნაფიც მსაჯულთა პოტენციურ წევრებსზე, რათა მათ ადექვატურად აღიქვან სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ნივთმტკიცებულებები. ისინი რეალური ვითარებიდან გამომდინარე ცდილობენ შექმნან ბრალდების ან დაცვის თანაგრძნობის საფუძველი. თუშეცადა, ფსიქოლოგებმა დევიდ საგსმა და ბრიუს სიელსმა აღნიშნეს:

„ჩრჩევები თურიდოული ლიტერატურიდან (იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თანაგრძნობის გამოხატველი ნაფიცი მსაჯულის შერჩევა), უმეტესწილად, პაბოთებს და ფოლკლორის ემყარება. ძალიან ცოტაა, საერთოდ თუ არსობს, პრაქტიკათ დასაბუთებული ნაშრომები, რომლებიც ამტკიცებს იურიდიულ ფანრში მოღვაწე მწერლების მიერ შემოთავაზებული ტექნიკის საიმედოობასა და მართებულებას.“²⁷

მუხედავად ამისა, საკონსულტაციო ფირმები იურისტებს დახმარებას სთავაზობენ მათ მიმართ თანაგრძნობის მქონე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის საქმეში.

2. სასამართლო პროცედურები

როგორც კი შერჩევა ნაფიც მსაჯულთა ჯგუფი ან ბრალდებული უარყოფს მას და დათანხმდება სასამართლო პროცესის მხოლოდ მოსამართლის მიერ წაძლოლას, იწყება სასამართლო პროცედურები. მოსარჩელე აკეთებს შესავალ განცხადებას, რომელიც ასახავს საქმის არსს და მიმართულებას. ამის შემდეგ, დაცვას შეუძლია ასევე გააკეთოს ან გადადოს შესავალი განცხადების გაკეთება. ბრალდებულის წინააღმდეგ საშხილის წარმოდგენა ბრალდების მოვალეობაა. საქმის დასამტკიცებელი ყველა საშხილი უნდა წარედგინოს ბრდაპირ სასამართლოს შესაბამისი წესების დაცვით.

საშხილი (მტკიცებულებები). საშხილის წარდგენასთან დაკავშირებული წესები საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა. ერთი ცნობილი წესის თანახმად, ჭორის, სხვისი სიტყვების გამოყენება არ შეიძლება, ვინაიდან ინფორმაცია გამოიღებისას და შესაძემ ბრის მიერ გადმოცემისას, როგორც წესი, მახინჯდება. განსაკუთრებული წესი კრძალავს ნებისმიერ საშხილის წარდგენას, რომელიც არ შეესაბამება საშხილის წარდგენის მკაცრი წესის მოთხოვნებს.²⁸ განსაკუთრებული წესი გამოიყენება ასევე კონსტიტუციური უფლებების დარღვევით მოზოგებული საშხილის სასამართლოს წინაშე წარდგენის თავიდან ასაცილებლად. ასე მაგალითად, თუ ეჭვმიტანილმა არ მიიღო მირანდას

გაფრთხილება, ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მოპოვებული იქნება დაბატონების შემდეგ პოლიციის ინიციატივით მოწყობილი დაკითხვით, შეიძლება ამოღებულ იქნეს სასამართლო პროცესის მსვლელობიდან. საკონსტიტუციო საკითხებთან მიმართებით, განსაკუთრებული წესი, მაგალითად, წარმოადგენს იურიდიულ ნორმას, რომელიც ზღუდავს არა მარტო ფედერალურ, არამედ ყველა შტატის სასამართლოს.²⁹

ასევე არ შეიძლება სასამართლოზე არალეგალური გზით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მიღებული მტკიცებულების წარდგენა. ის განიხილება, როგორც „შხამიანი ხის ნაყოფი“ და, ამდენად, უვარგისო.³⁰ თუმცა უზენაესმა სასამართლომ დაუსვა გამონაკლისებიც, მაგალითად, „გარდაუვალი აღმოჩენის“ წესის შემოღებით. ამ წესის თანახმად, მტკიცებულება, რომელიც მოპოვებულია კონსტიტუციური აკრძალვის მიუხედავად, დასაბუთებულია, თუ ის მაინც გამოვლინდებოდა. მტკიცებულებათა მოძიებისა და წარმოდგენის ეტაპზე დაცვა თვალყურის ადევნებს ბრალდების მხარეს და პროტესტის აცხადებს როგორც კი ამჩნევს მტკიცებულების წარმოდგენის წესების შესაძლო დარღვევას.³¹ თუ წესის დარღვევის ფაქტი იმდენად მძიმეა, რომ მოსალოდნელია ბრალდებულის მიმართ სასამართლიანი სასამართლოს წარმართვა შეილახოს, დაცვამ შეიძლება ვაკეოსის განცხადება პროცესის უსამართლოდ წარმართვის შესახებ. თუ კასაცია დაკმაყოფილებული იქნება, ბრალდებას თავიდან მოუწვეს პროცესის დაწყება ხელახლა შერჩეულ ნაფიც მსაჯულთა წინაშე. ყველა კასაციის და წინააღმდეგობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე; იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე ბრალდებულის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს, დაცვის საბჭოს ეს გადაწყვეტილება შეტანილი ექნება ჩანაწერებში, რაც საბრალდებო განაჩენის გასაჩივრების პოტენციური შესაძლებლობაა. ნებისმიერი მხარის მიერ გამოძახებული მოწმე მეორე მხარის მიერ მოწყობილ ჯვარედინ დაკითხვას ექვემდებარება.

მას შემდეგ, რაც ბრალდება დაასრულეს პროცესის, დაცვის მხარეს რამდენიმე არჩევანი აქვს. თუ ბრალდებულის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები და წარმონიღილი მტკიცებულებები სუსტია, დაცვას შეუძლია მოითხოვოს პირდაპირ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა ან პროცესის შერჩება. გამამართლებელ განაჩენს წარმოთქვამს მოსამართლე. კასაცია პროცესის შერჩების თაობაზე წარმოადგენს თხოვნას სასამართლო პროცედურების შერჩების შესახებ. დაცვას ასევე შეუძლია გადავადებულ შესავალ სიტყვაში მიმართოს ნაფიც მსაჯულებს და ზეგავლენა იქონიოს გამამართლებელ განაჩენზე. მაგრამ დაცვა, ხშირ შემთხვევებში, წარმოადგენს საკუთარ მტკიცებულებებს – აღიბის მოწმეებს, ექსპერტ-მოწმეებს, თავად ბრალდებულსაც. ბრალდებული არაა ვალდებული მოწმედ გამოვიდეს თავის სასარგებლოდ. ბრალდებული, რომელიც იძლევა ჩვენებას საკუთარი თავის სასარგებლოდ, ექვემდებარება ჯვარედინ დაკითხვას ბრალდების მხრიდან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანიშნულება, სასამართლო პროცესის ჩვეული მსვლელობისას ორივე მხარის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ დასკვნით არგუმენტებს წარმოადგენენ დაცვისა და ბრალდების მხარეები. ნაფიცმა მსაჯულებმა პროცესზე მოსმენილსა და ნანახს უნდა მიუსადაგონ კანონი და განსაზღვრონ, დამნაშავეა ბრალდებული თუ უდანაშაულო. იმისათვის, რათა აღნიშნული საქმიანობა სრული პასუხისმგებლობის დაცვით წარიმართოს, მოსამართლე აძლევს მათ ინსტრუქციებს – მიმართულებებს საკითხის განისაჯვლად. ხშირად ბრალდება და დაცვაც სთავაზობს მოსამართლეს ინსტრუქციებს კანონთან მიმართებით, რომლებიც ნაფიც მსაჯულებსაც ეცნობათ.

დაცვა და ბრალდება, როგორც წესი, ვერ თანხმდებიან ნაფიცო მსაჯულების ინსტრუქტაჟის საკითხებზე, განსაკუთრებით კი ინსტრუქციების გაცემის ლექსიკაზე. მოსამართლე საბოლოოდ კიდევ ერთხელ იღებს სრულ პასუხისმგებლობას ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქტაჟზე მან შესაძლოა საკუთარი ინსტრუქციები ამჯობინოს დაცვის ან ბრალდების მიერ შემოთავაზებულს. თუ დაცვის საბჭო ამროტესტებს შემოთავაზებულ ინსტრუქციებს კანონის საფუძველზე, პროტესტი ფიქსირდება შემდგომი პოტენციური აპელაციასათვის. ინსტრუქციების მიღების შემდეგ ნაფიცო მსაჯულები საქმის განსახილველად იკრიბებიან ნაფიც მსაჯულთა სპეციალურ ოთახში, სადაც საქმის განხილვას ხელმძღვანელობს ნაფიც მსაჯულთა ზემდგომი, რომელიც მათ მიერვედ არის არჩეული და ხელმძღვანელობს მსჯელობის პროცესს. ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობა მცირედ ყოყმანობს გერდიქტის გამოტანისას: დამნაშავეა, უდანაშაულოა, დამნაშავეა უფრო ნაკლები სიძიძის დანაშაულის ჩადენაში, ან დამნაშავეა არა ყველა, არამედ მხოლოდ ბრალდებების ნაწილი. თუმცა, ზოგჯერ ნაფიც მსაჯულებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ განაჩენის გამოტანისთან დაკავშირებით. ცნობილ საქმეში „ხალხი ჩემბერის წინააღმდეგ“ ნაფიც მსაჯულთა აბსოლუტური უმრავლესობა 9 დღის განმავლობაში მერყეობდა განაჩენის გამო მანამ, სანამ თავად დაცვა და ბრალდება არ ჩაწვდნენ დილემის არსს და მორიგდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესიდან გამორიცხვით.²²

3. ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების მიღება

რამდენიმე ათწლეულის მანძილზე სწავლობდნენ ფსიქოლოგები ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების მიღების, სასამართლოს დარბაზში დაკითხვის, მოწმის მიერ ამოცნობისა თუ ჩვენების მიცემის საკითხებს.²³ მოწმის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის შესწავლისას ფსიქოლოგმა ელიზაბეტ ლოფტუსმა ჩაატარა საცდელი სასამართლო პროცესი, სადაც მოქალაქეებს სთხოვეს, ეთამაშათ ნაფიც მსაჯულთა როლი, ყურადღებით მოესმინათ ჩვენებები და გამოტანათ განაჩენი. საცდელი სასამართლოს ნაფიც მსაჯულებს მიაწოდეს სასურსათო მაღაზიის ძარცვის დეტალები და შეატყობინეს ამ შემთხვევის დროს პატრონისა და მისი შვილიშვილი გოგონას დაღუპვის შესახებ.

ლოფტუსმა წარმოადგინა მტკიცებულებების საში ვარიანტი. მოქალაქეების ერთ ჯგუფს აცნობეს, რომ დანაშაულს მოწმეები არ პყაეს და მხოლოდ უმნიშვნელო მტკიცებულებები არსებობს. მეორე ჯგუფს უთხრეს, რომ მაღაზიის გამყიდველმა ჩვენება მისცა იმის თაობაზე, რომ ბრალდებულმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მისგერპლი. მესამე ჯგუფს აცნობეს მაღაზიის გამყიდველის ჩვენებების შესახებ, მაგრამ ისიც უთხრეს, რომ ჯვარედინი დაკითხვის დროს მისი ჩვენება გაუქმდა იმის გამო, რომ მას სათვალე არ ეკეთა, მხედველობა კი აბსოლუტური არ აქვს. შედეგი: პირველი ჯგუფიდან 18%-მა, მეორე ჯგუფიდან 72%-მა და მესამე ჯგუფიდან 68%-მა სცნო ბრალდებული დამნაშავედ. ამ კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მოწმის, თუნდაც წინააღმდეგობით აღსაძეს და საეჭვო ჩვენებამ შესაძლოა დამაჯერებელი გავლენა იქონიოს ნაფიც მსაჯულებზე.

ფსიქოლოგებმა ასევე შეისწავლეს პირადი დამოკიდებულებების და მოლოდინის ზეგავლენა მოწმის მიერ წარმოდგენილ ჩვენებებზე. ამ საკითხის გამოსარკვევად ალბერტ პასტორაფმა და პადლი კანტრილმა უჩვენეს დარტმუქისა და პრინსტონის შორის ჩატარებული საფეხბურთო მატჩი ორივე ქალაქის სკოლის მოსწავლეებს და სთხოვეს ჯარიმების რაოდენობების დაფიქსირება. პრინსტონის მოსწავლეებმა ორჯერ მეტი ჯარიმა დააფიქსირეს მეორე გუნდში, ვიდრე საკუთარში და საკუთარში ორჯერ ნაკლები, ვიდრე

მეტოქემ დააფიქსირა.³⁴ ეს და სხვა კვლევები ადასტურებს, რომ თვითმზიდველის და მოწმის ჩვენებები არასაიმედოა. წარმოდგენთ ამ კუთხით ჩატარებული კვლევების შედეგებს:

- ასაკოვანი მოწმეების მიერ წარმოდგენილი ჩვენებების სიზუსტე ზოგ შემთხვევაში დაბალაა.³⁵
- როგორც თეთრი, ასევე შავი რასის წარმომადგენლები უკეთ ამოცნობენ საკუთარი რასის ეჭვმიტანილებს.³⁶
- დანახული დეტალების გახსენების გამოცდილება (რაც ბოლიციის ოფიცრებს ახასიათებთ) არ გულისხმობს უკეთეს მესხიერებას.³⁷
- რაც უფრო დამაჯერებლად უჭირავს თავი მოწმეს, მით უფრო დამაჯერებლად ეღერს მისი ჩვენება.³⁸

საკმაოდ დიდი მოცულობის კვლევითი სამუშაოებია ჩატარებული ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესთან დაკავშირებით და მათზე არაოურიდოელი ასპექტების ზეგავლენის დასადგენად. კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს პიროვნული მახასიათებლები (ასაკი, რასა, სქესი, საქმიანობა), ბრალდებულის და მსხვერპლის პიროვნული მახასიათებლები. ფაქტიურად, საცდელი სასამართლო პროცესის მონაწილე ნაფიცმა მსაჯულებმა, რომლებიც აფასებდნენ ერთი და იმავე ბრალდებით გაასამართლებელ მიზიდველ და არამიზიდველ ბრალდებულებს, შეტი დანაშაული მიაწერეს არამიზიდველ ბრალდებულს.³⁹ სხვა კვლევების შედეგების მიხედვით, რომლებიც აფასებდნენ მსხვერპლის ხასიათის ზეგავლენას, ისეთმა პარამეტრებმა, როგორცაა ოჯახური მდგომარეობა, ცხოვრების არაორთოდოქსული სტილი და წარსული სექსუალური გამოცდილება, შესაძლოა გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

თუ კლასობრივი და რასობრივი პარამეტრები ზეგავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ისემა კითხვა: რას წარმოადგენს თანასწორობა ნაფიც მსაჯულთა შორის? უნდა იყოს თუ არა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის შერჩევისას გათვალისწინებული რასობრივი და სოციალური პარამეტრები? იქნება ამას ნაფიც მსაჯულთა ქვოტის შემოღებისკენ მივყავართ? 1992 წელს ლოს-ანჯელესის რასობრივი არეულობების შედეგად ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი და 1995 წელს ო. ჯ. სიმფსონის შემთხვევა ხაზს უსვამს ამ საკითხების მნიშვნელობას.

§ 5 განაჩენის გამოტანა – დღევანდელი და მომავალი

განაჩენის გამოტანა ყველაზე სადავო პროცესია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.⁴⁰ ეს არც არის გასაკვირი. საწყის ეტაპებზე ბრალდებული სარგებლობს უდანაშაულობის პრეზუმფციით და დაცულია შესაბამისი სიტყმებით როგორცაა: მართებული პროცესი, ფუნდამენტური სამართლიანობა და მიუკერძოებლობა. ბრალდებულის გასამართლებისას ყურადღება ამ საკითხებიდან სასჯელის განსაზღვრაზე გადადის. მოსამართლეებს შეუძლიათ განაჩენის სხვადასხვა ვარიანტების შერჩევა სიკვდილით დასჯიდან ჯარიმის დაწესებამდე:

- *სიკვდილით დასჯა*. 37 ოურისდიქციაში მოსამართლეებს შეუძლიათ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა ნებისმიერი დანაშაულისათვის, რომელიც ისჯება სიკვდილით. ეს, როგორც წესი, ეხება მკვლელობას.
- *სამყრობილეში პატიმრობა*. ბრალდებულს შესაძლოა მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა სასჯელის ფედერალურ ან ადგილობრივ სამყრობილეში მოხდით.

- პრობლემა ბრალდებულს შესაძლოა მიესაჯოს საზოგადოებრივი ზედამხედველობა კონკრეტული შეზღუდვების გათვალისწინებით. ამ შეზღუდვების დარღვევამ შესაძლოა დაპატიმრება გამოიწვიოს.
- გახლენილი განაჩენა მოსამართლემ შესაძლოა გაყოს განაჩენი პატიმრობისა და პრობაციის გამოყენებით.
- ზარალის ანაზღაურება ბრალდებულს შეიძლება შესთავაზონ დაზარალებულისათვის ზარალის ანაზღაურება.
- საზოგადოებრივი სამუშაოება მოსამართლემ შეიძლება მოითხოვოს დამნაშავეს მიერ საზოგადოებრივი სამუშაოების ჩატარება გარკვეული ვადით.
- ჯარამა. დამნაშავეს შეიძლება მოსთხოვონ კონკრეტული თანხის გადახდა ჯარიმის სახით, რაც სასჯელის სანაცვლო იქნება ან დაემატება პატიმრობას.

რა განსაზღვრავს არჩევანს? ხშირ შემთხვევებში მოსამართლეები საკუთარი მსოფლმხედველობის შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებას განაჩენის გამოტანისას, რომლის დროსაც საკუთარი შეხედულებებისა და რისკის მათეული აღქმის თანახმად მოქმედებენ. მათი არჩევანი შესაძლოა შემოიფარგლოს პატიმრობის გარკვეული პერიოდით ან კონკრეტული წლებით. სანამ ჩაფიქრებულად შეზღუდვებისა და დირექტივებს, უნდა განვიხილოთ დასჯის ყველაზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისი – მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევა, დაშინება, საზღაური, რეაბილიტაცია და დამსახურებული სასჯელი.

L მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევა

გამოთქმა „ჩაკეტეთ და გადაადგეთ გასაღები“ ადასტურებს, რომ, თუ გავთვალისწინებთ დანაშაულების ჩადენის სისშირეს, საზოგადოებას ურჩევნია კრიმინალთა ხანგრძლივი ვადით უგნებლყოფა – ანუ დაპატიმრება. თუმცა, ხანგრძლივი პატიმრობა შეიძლება იყოს უსამართლო, არასაჭირო, უნაყოფო და შეუსაბამო:

- უსამართლოა, თუ იმავე დანაშაულის ჩადენისათვის სხვა ბოროტმოქმედს პატიმრობას უსჯიან უფრო ხანმოკლე ვადით;
- არასაჭიროა, თუ ბოროტმოქმედი, სავარაუდოდ, აღარ ჩაიდენს დანაშაულს;
- უნაყოფოა, როდესაც ციხე ზრდის კრიმინალური საქციელის ჩვევაში გადაზრდის რისკს;
- შეუსაბამოა, როდესაც ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილმა დანაშაულმა უმნიშვნელო ზიანი მიაყენა საზოგადოებას.

პატიმრობის პრობლემებზე ჩატარებული კვლევების შედეგები არაერთგვაროვანია, მაგალითად, ჯოან პეტერსილია და პიტერ გრინფიდი, ამტკიცებენ, რომ დანაშაულის დონე 5%-ით შემცირდება, თუ ყოველ გასამართლებულ პირს მხოლოდ ერთწლიან პატიმრობას მოსჯიან.⁴¹ ადრეული კვლევების შედეგები სხვაგვარია – რეველ შინარი და მისი კოლეგები ვარაუდობდნენ, რომ ყოველ მძიმე დანაშაულზე 5-წლიანი პატიმრობის მისჯთ შესაძლებელი იქნებოდა მძიმე დანაშაულების 80%-ით შემცირება. თუმცა, არსებობს მოსაზრებაც, რომ ამგვარ პოლიტიკას დანაშაულის დონის მხოლოდ 4%-ით შემცირება შეუძლია.⁴²

ძირითადი ემპირიული გამოკვლევები დამნაშავესთვის მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევის შესახებ ფოკუსირებულია დანაშაულებრივ საქმიანობაზე, რომელიც გრძელდება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ასეთი კვლევები შეისწავლიან, თუ როგორ იწყება, ვითარდება და მთავრდება კრიმინალური კარიერა. მარტინ ვოლფგანგის და მისი

ასისტენტების კვლევამ გვჩვენა რომ ძალადობრივი დანაშაულობის 2/3 ჩადენილი იყო მხოლოდ დამნაშავეთა 5%-ის მიერ. როგორც პიტერ გრინგუდი ამტკიცებს, რეციდივისიტები ხშირად ასწრებენ, თავი აარიდონ პატიმრობას სასაზღვრო გარიგებების მეშვეობით. ზოგიერთები თვლიან, რომ შერჩევითი პატიმრობის პოლიტიკა, რაც გულახტობის მაღალი რისკის, დამნაშავე რეციდივისიტებისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, ნაკლებად მისაძლეობს.⁴²

ამგვარი პოლიტიკის მხარს არ უჭერენ რიგი მკვლევარები. როგორც ჯონ პეტერსილია და მისი კოლეგები მიიჩნევენ: „იმისთვის, რომ პატიმრობის საშუალებით წარმართული დამნაშავეობის კონტროლის სტრატეგია ეფექტური იყოს, უნდა ვიცოდეთ, პირველი, თუ არსებობს ბოროტმოქმედთა ჯგუფი, რომელსაც დიდი დროის მანძილზე ჩადენილი აქვს მთელი რიგი დანაშაულები, და მეორე, შეგვიძლია თუ არა მათი აღმოჩენა. პირველი პირობის გადაჭრა მარტივი საქმეა – არსებობს მუდმივ ბოროტმოქმედთა მცირე ჯგუფი, რაც შეეხება მეორეს, მისი პროგნოზირება ამ ეტაპზე შეუძლებელია.“⁴⁴

გვხვდება სხვა პრობლემებიც, მაგალითად, ძალზე სარისკო ბოროტმოქმედთა მცდარი აღმოჩენა (მცდარი პოზიტიური) და შეცდომით გათავისუფლება (მცდარი ნეგატიური), დაბოლოს, გოტფრედისონების ბოლო გამოკვლევების თანახმად, სხვადასხვა მიზეზების გამო, წარმატებული კოლექტური და შერჩევითი პატიმრობის სტრატეგიის წინაპირობები დაკმაყოფილებული არაა.⁴⁵

2. დაშინება

დაშინების თეორია გულისხმობს, რომ დასჯის შიში აიძულებს პოტენციურ ბოროტმოქმედებს, თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისაგან. ეს თითქოსდა მარტივი გარაუდი მრავალ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს მოიცავს. პირველ რიგში, ცხადია, რომ ადამიანების უმრავლესობა აკრძალული ქმედებისაგან თავს დასაჯის შიშის გამო არ იკავებს. განვიხილოთ რონალდ ფ. კლარკის უკანასკნელი კვლევა – დაკვირვება წარმოებდა ილინოისის გარეუბნის ტრასაზე, სადაც სიჩქარის შეზღუდვა 65 მილია საათში (ოდნავ მომატებული). მანქანების უმრავლესობა მართლაც დადგენილი სიჩქარით მოძრაობდა.⁴⁶ აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დაშინება იქაც მოქმედებს, სადაც ფაქტზე დაჭერის საშიშროება მცირეა. ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ ხალხის უმრავლესობას მართებულად მოქცევისათვის დაშინება არ სჭირდება. იქნებ, ეს ილინოისის იურიდიული სისტემის დამსახურებაა, რომელმაც სიჩქარის უპირიანი და მისაღები ზღვარი დააწესა? თუ უნდა დავასკვნათ, რომ დაშინება არ ჭრის ხალხის მცირე ჯგუფთან, რომელიც არ არის ურჩობის მომხრე? დაშინებას სხვადასხვაგვარი მიზანი აქვს: მისი მიზანია იმოქმედოს იმათზე, რომელთა თვითკონტროლის დონეც არ იძლევა კანონის ფარგლებში მოქმედების საშუალებას.

ამ პატარა ჯგუფში, ცხადია, ადამიანების ორი ტიპი არსებობს: ისინი, ვისი დაშინებაც შეიძლება მართებულად სანქციების შემოღებით და აღსრულებით და უშიშრების ჯგუფი. ეს უკანასკნელი შეიძლება მოიცავდეს მოსახლეობის დიდ ნაწილს, ცვლელბოდეის ფსიქოლოგიური გარემოებების შესაბამისად, ეკონომიკური პირობების და სხვა ფაქტორების გავლენით, თუმცაღა, იმ დანაშაულთან მიმართებით, რომლისაგანაც დაშინება შესაძლებელია. აი, რამდენიმე მაგალითი: მკვლევარებმა შეარჩიეს შემთხვევები შესუსტებული საპოლიციო კონტროლით და გაძლიერებული საპოლიციო კონტროლით. ამ სიტუაციის კლასიკური მაგალითია 1944 წელს დანაშაულის მომხდარი შემთხვევა, როდესაც გერმანიის საოკუპაციო ჯარებმა დააპატიმრეს დანიის პოლიციის სრული შემადგენლობა. სადაზღვევო განცხადების შესწავლამ ცხადყო, რომ თაღლითობასთან და

გაფლანგვისთან დაკავშირებულმა დანაშაულებების რიცხვმა არ მოიმატა, სამაგიეროდ ათჯერ გაიზარდა ქურდობისა და ყაჩაღობის, ძარცვის შემთხვევები.⁴⁷ 1969 წელს მონრეალის პოლიციის გაფიცვის მოწყვეტის სამაგიეროს გადახდისა და ვანდალიზმის შემთხვევების მნიშვნელოვანი ზრდა.⁴⁸ გარდა ამისა, 1970-იან წლებში ამერიკის 11 ქალაქში პოლიციის გაფიცვის შედეგებით, პოლიცია, იმის შესახებ, რომ პოლიციის არსებობა ზრდის დანაშაულებების დონეს, არ დადასტურდა.⁴⁹

მტკიცებულება პოლიციის გაძლიერებული კონტროლის ეფექტურობის შესახებ არ არის ცალსახა. 1982 წელს ნიუ-იორკის სატრანზიტო პოლიციის შენაერთები გაძლიერდა მეტროში დანაშაულთან ბრძოლის მიზნით. დაპატებოთი ოფიცრები დაინიშნა სადგურებში ხალხის 8 საათიდან დღის 4 საათამდე ყველა მატარებლის საპატრულოდ. შედეგები დამაჯერებელი არ გამოდგა.⁵⁰ 1990 წელს ქალაქის მასშტაბით გატარებული პროგრამის ჩარჩოებში დაშინების თეორიის დამაჯერებლობის გასაძლიერებლად მერმა რუდოლფ ჯულიანამ და პოლიციის კომისარმა უილიამ ბრეტონმა საგრძობლად გაზარდეს პოლიციელთა რაოდენობა პრობლემურ ადგილებში, გაზარდეს სოციალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულებისათვის დაპატიმრებულთა რიცხვი და გაატარეს სხვა ღონისძიებები. გაკეთებული განცხადების თანახმად, ამ სტრატეგიამ მძიმე დანაშაულების დონის დაცემა გამოიწვია, მაგრამ ამ საკითხზე კრიმინოლოგიური შეფასებები ჯერ არ გაკეთებულა.⁵¹

მკვლევარებმა შეისწავლეს ზოგიერთ დანაშაულზე დაშინებითი სასჯელის ეფექტურობა. მასარუსეტის შტატმა ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვო ტარებისათვის მინიმუმ ერთწლიანი პატიმრობა დაუშვა. ამ კანონს გაზომვადი დამაშინებელი ეფექტი აქვს.⁵² თუმცაღა, სისხლის სამართლის სანქციების საკითხი და დამაშინებელი ზეგავლენა შეზღუდულია.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კანონის შესწავლისა და კვლევის ცენტრში ჩატარებული გამოკვლევებისას სამ შესადარებელ რაიონში პარკინგის მრაცხველებზე სამი ტიპის გამაფრთხილებელი ფირნიში მიაკრეს. ერთი ფირნიშის თანახმად ყალბი ფეტონების გამოყენების შემთხვევაში ჯარიმა 50 დოლარს შეადგენდა. მეორეს მხედვით დამრღვევს 250 დოლარიანი ჯარიმა და 3-თვიანი პატიმრობა, მესამეს მხედვით კი 1000 დოლარიანი ჯარიმა და ერთწლიანი პატიმრობა ელოდა. ყალბი ფეტონების გამოყენება საგრძობლად შემცირდა იქ, სადაც სანქცია დაბალი და, შესაბამისად, რეალისტური იყო. ყველაზე მკაცრი სანქცია იმდენად არარეალისტური იყო, რომ ყალბი ფეტონების გამოყენებამ იმატა კიდევ, თუმცაღა უმნიშვნელოდ. სხვა რეგიონში, სადაც პარკინგის ახალი გამჭირვალე პროცხველები დააყენეს და ყუთის შიგთავსი ჩანდა, ყალბი ფეტონების გამოყენებამ იკლო.⁵³

საბოლოო ჯამში, კვლევა დაშინების შესახებ ჯერ არ დასრულებულა, ძირითადად, კონტროლდება კვლევების ჩატარების შეზღუდული შესაძლებლობების გამო და ასევე იმის გამო, რომ ზოგიერთი კრიმინალური ქმედების და კრიმინალური ელემენტის დაშინება მარტივაა.⁵⁴ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დაშინება რაციონალურ არჩევანს უნდა ეუფლებოდეს. დაშინების სტრატეგიის მომხრეები ამტკიცებენ, რომ კრიმინალური ელემენტები აფასებენ კრიმინალურ საქმიანობაში ჩაბმის დადებით და სარისკო შარებებს და არჩევენ დაპატიმრების შიშით თავი შორს დაიჭირონ კრიმინალური საქმიანობისაგან.

3. საზღაური

ბევრ განუვითარებელ საზოგადოებაში დაზარალებული სასტიკად უზღავდა სამაგიეროს ყველას და ყველაფერს, რაც ზიანს აყენებდა მას – ადამიანს, ცხოველს, ხეს.

ადრეული განათლების ხანაში საზოგადოებაში ასეთმა გაუკონტროლებელმა შურისძიებამ ადგილი დაუთმო გათვლილ და გააზრებულ პასუხს არასწორ ქმედებაზე. მოსის კანონების თანახმად დაწესდა შურისძიების ზღვარი - სასჯელი მიყენებული ზიანის ტოლფასი უნდა ყოფილიყო („კბილი კბილის წილ“).⁵⁶

შურისძიების კანონები საზღაურის იდეის დაბადებას უკავშირდება. XIX ს. და XX ს. დასაწყისში საზღაურის სისტემა ყველა სახის სასჯელს საკანონმდებლო აქტების საშუალებით განსაზღვრავდა და მოსამართლეს განაჩენის გამოტანის და სასჯელის შერჩევის მწირი არჩევანი ეძლეოდა. დანაშაულის ყველა სახეობას განსაზღვრული სასჯელი ექონდა მისადაგებული. სასჯელის განსაზღვრისას კანონმდებლები ითვალისწინებდნენ დანაშაულის თითოეული ტიპის სიმძიმეს. ამდენად, მკვლელობა უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე ძარცვა, ხოლო ძარცვა უფრო მკაცრად, ვიდრე ქურდობა.

საუკუნის დასაწყისში დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი იცვლება. ეს იყო დიდი მოლოდინის, მედიცინაში და ფსიქოლოგიაში წინ გადადგმული ნაბიჯების ხანა, განსაკუთრებით, შეერთებულ შტატებში, სადაც ყველაფერი შესაძლებლად მიიჩნეოდა, კრიმინალური ელემენტების კანონმორჩილ მოქალაქეებად მოქცევა კი კლასიკური დასჯის სახით სასჯელის დაკისრება ეფუძნებოდა წარმოდგენას, რომ ყველა ბოროტმოქმედი, რომელიც არღვევს ერთსა და იმავე დებულებას, იმსახურებს ერთნაირ სასჯელს. მაგრამ მეცნიერები, რომლებიც ქცევის საკითხებს სწავლობენ, აღნიშნავენ, რომ იმ ბოროტმოქმედთაგან, რომლებიც ჩადიან ერთნაირ დანაშაულს, არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს შესაძლებლობების, მანკიერების, ინტელექტის და რეაბილიტაციის პოტენციალის მიხედვით.

4. რეაბილიტაცია

საზღაურით უკმაყოფილებამ გამოიწვია ყურადღების გამახვილება რეაბილიტაციაზე. გასამართლების სტრატეგიად ან ღონისძიებად რეაბილიტაციის გამოყენება ეფუძნება წარმოდგენას, რომ გამოსასწორებელი ჩარევის (განათლება და პროფესიული მომზადება, ფსიქოთერაპიული პროგრამები) შედეგად ბოროტმოქმედი შეიძლება გამოსწორდეს და პროდუქტიულ მოქალაქედ დაუბრუნდეს საზოგადოებას. გაჩნდა დასაჯისადმი ინდივიდუალური მიდგომა: სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს დასჯენა პატიმრობის ვადის მინიმალურიდან მაქსიმალურ მოხდამდე ან გამოტანოს განუსაზღვრელი სასჯელის ევრიტი. ბორობით ვადამდელი გათავისუფლების საბჭო შეიქმნა ბრალდებულის გათავისუფლებისა და შესაბამისი გარემოებების დასადგენად.

მოუხედავად იმისა, რომ გამოსასწორებელი სისტემა სარეაბილიტაციო ექსპერიმენტებს ატარებდა, ხშირ შემთხვევებში მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. მაგრამ, მოსამართლეებს სჯეროდათ, რომ რეაბილიტაცია ჯეროვან შედეგებს მოიტანდა და შესაბამისი განაჩენი გამოჰქონდათ. 1970-იან წლებში მკვლევარები აკრიტიკებდნენ რეაბილიტაციის პრაქტიკას და მას წარუმატებლად მიიჩნევდნენ. 1974 წელს რობერტ მარტინსონი წერდა: „მცარედენი გამოხაკლისების გარდა რეაბილიტაციის შემთხვევებს სასურველი ეფექტი რეციდივიზმზე არ მოუხდენია.“⁵⁷ მარტინსონის გამანადგურებელ ანალიზს კრიმინალისტიკმა და კვლევითმა ორგანიზაციებმა შესაბამისი დასკვნებით უპასუხეს.⁵⁷ შედეგად გასამართლების თეორიაში წარმოიშვა ვაკუუმი. თუმცა პრაქტიკაში, შტატების უმრავლესობამ მიიღო სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლების პოლიტიკა.

5. სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლების მიზნები

სისხლის სამართლის კოდექსი გასამართლების ზოგად მიზნებს შემდეგნაირად განსაზღვრავს:

- 1) დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და აღკვეთა.
- 2) დანაშაულის გასწორება და რეაბილიტაცია.
- 3) გასამართლების მუქარის საშუალებით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება და საზოგადოების დაცვის მიზნით დანაშაულის დაპატიმრება.
- 4) დანაშაულის დაცვა გადაჭარბებული, შეუსაბამო სასჯელისაგან.
- 5) დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულზე შესაძლო გასამართლების და მსჯავრდების შემთხვევაში მართებული ინფორმაციის მიწოდება.
- 6) დანაშაულთა გასამართლებისას საზოგადოდ მიღებული სამეცნიერო მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება.⁵⁴

ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსი მიზნად ისახავს დანაშაულის თავიდან აცილებას დაშინებითა და დაპატიმრებით, დანაშაულის ჩადენისას სასჯელის მიჯნით, რომელსაც შეიძლება კანონის ვინდოცაა ეწოდოს, ბოროტმოქმედის გასწორების, რეაბილიტაციის და მართებული გასამართლების შემთხვევაში საზღაურის მიზლით.

გასამართლების ეს მიზნები უკვე დიდი ხანია არსებობს. სხვადასხვა დროის თითოეულ მიზანს სხვადასხვა მნიშვნელობა ენიჭებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი მათგანის მხარდასაჭერად და დასამტკიცებლად კვლევებაც ჩატარდა. მაგრამ სირთულეები იწყება მიზნების შერწყმის მცდელობისას. კოდექსის თანახმად სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისას კანონმდებლები ადგენენ სასჯელის შესაბამის სახეებს, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა მიზნები. კანონის ფარგლებში მოქმედი მოსამართლეები ასევე უნდა ითვალისწინებდნენ ყველა მიზანს, როდესაც ადგენენ ინდივიდუალური გასამართლების ტიპს. მაგრამ აუცილებელი არ არის მიზნები თანხვედრი იყოს; როგორც წესი, ისინი ურთიერთგამომრიცხავია. მაგალითად, გრძელვადიანი სასჯელი (პატიმრობა) შეიძლება აუცილებელი იყოს ბოროტმოქმედის საზოგადოებისაგან ჩამოშორებისათვის, მაგრამ გრძელვადიანი პატიმრობა არ შედიოდეს რეაბილიტაციის მიზნებში. ან კიდევ, პატიმრობა შეიძლება სულ არ იყოს საჭირო, თუკიკადა, საზღაური ითხოვდეს გრძელვადიან პატიმრობას.

წ. დამსახურებული სასჯელი

ამ დროს, როცა რეაბილიტაციის კრახის პირობებში აშკარა გახდა მსგავსი დანაშაულებისათვის განსაზღვრული სასჯელის დაწესების აუცილებლობა, ენდრიუ ფონ პორშმა, რმარდ სინგერმა და სხვა მეცნიერებმა წინ წამოსწიეს საზღაურის იდეა.⁵⁵ მათი მოდელის სახელწოდებაა დამსახურებული სასჯელი. დამსახურებული სასჯელის კონცეფციას საფუძვლად უდევს დანაშაულის სიმძიმე და ბოროტმოქმედის ბრალის სიმძიმე.

უტელიტარული საშუალებები, როგორცაა ზოგადი ან ინდივიდუალური დაშინება, პატიმრობა, რეაბილიტაცია, შეიძლება იყოს მხოლოდ იდენტური დასჯის ღირსი დანაშაულისათვის დაკისრებული განსხვავებული სასჯელი. უფრო მეტიც, არაიურიდიული ფაქტორები, როგორცაა მოსამართლეთა პიროვნული თვისებები, რასია, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, სქესი, ასაკი, სასამართლო პროცესის ჩატარების ადგილი და დაცვის საბჭოს ტიპი, შეიძლება ზეგავლენას ახდენდეს გამოტანილ განაჩენზე.⁵⁶

დამსახურებული სასჯელის მომხმრეები თვლიან, რომ არც სასამართლოს შესწევს უნარი განასხვავოს ერთმანეთისაგან, თუ ვინ იმსახურებს დაშინებას, რეფორმაციას ან დასაპატიმრებას და ვინ არ იმსახურებს ამას, და არც პირობით ვადამდელი

გათავისუფლების საბჭოებს გააჩნიათ სათანადო მომზადება, რომ მიიღონ გადაწყვეტილება, თუ რომელი ბოროტმოქმედის გათავისუფლება შეიძლება და რომლის არა.

რეაბილიტაციის სისტემა ემყარება საპრობლემატიკის, როგორც „გამასწორებელი“ დაწესებულებების, ხელახალი აღზრდისა და რეაბილიტაციის შესაძლებლობებს, რომლებიც, უმეტესწილად, ამას ვერ ახერხებენ. ამდენად, მიგვაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი იქნება თუ დაფუძნდებით საზღაურის პრინციპს. ის, სულ მცირე, მსგავსი დანაშაულებისათვის ერთნაირი ან მსგავსი განაჩენის გამოტანის გარანტიაა. საპრობლემატიკაში ნებისმიერი სარეაბილიტაციო ღონისძიება უნდა ტარდებოდეს ფიქსირებული განაჩენის ვადებში და გასამართლებული პირის თანხმობით. მიდგომა კი, რომელიც დამსახურებულ სასჯელის გულისხმობს, წარმატებული იყო შეუსაბამო განაჩენების გამოტანისა და სასამართლო თვითნებობის მთოკვის თვალსაზრისით.⁵¹

თუმცადა, აქაც იჩინა თავი პრობლემებმა: მის განხორციელებას შედეგად მოჰყვა ციხეების გადასება. კრიტიკა გამოიწვია როგორც სოციალური პრობლემების გაუთვალისწინებლობამ, თვლიდნენ, რომ ამ გარემოებამ ბოროტმოქმედთა დიდი რაოდენობა კრიმინალურ ქმედებამდე მიიყვანა, ასევე იმ მოსაზრების უარყოფამ, რომ განათლება, ფართო გავებით, ცვლის ფასეულობებს, დამოკიდებულებებს და საქციელს. მას არამეცნიერულს უწოდებდნენ, რადგან მხარს არ უჭერდა მეცნიერულ მიდგომას იმ დამნაშავეთა საქციელის მეცნიერულ შესწავლაში, რომელთა ლტოლვა ბოროტმოქმედებისაკენ დემონსტრაციულ ხასიათს ატარებდა. კრიტიკოსები დამსახურებული სასჯელის კონცეფციას ნაკლად უთვლიდნენ რეაბილიტაციის იდეის მნიშვნელობის დამცრობას, იმ ფაქტის უარყოფას, რომ რეაბილიტაცია ჩატარებული შეფასებების საფუძველზე განისაზღვრა.

7. გამოსასწორებელი მართლმსაჯულება

დამსახურებული სასჯელის თეორიამ შესაძლოა გამოავლინოს მთელი თავისი ბოტენციალი, როგორც თეორიულ ასევე, პრაქტიკულ ასპექტში – კანონმდებლებს სურთ მისი პრაქტიკაში გამოყენება. მიმდინარეობს ახალი ბარადიგმის გამოკვლევა, თუმცა მისი განზომილებები ჯერ საცხებით გარკვეული არ არის.

ერთი მხრივ, სადამსჯელო და, მეორე მხრივ, დანაშაულში დაზარალებულთა დაცვის მიმართულებებში უკეთესი გზების მოძიებისათვის გამართულ აზრთა ჭრილში წარმოიშვა მოდელი სახელწოდებით გამოსასწორებელი მართლმსაჯულება.⁵² მკაცრმა სასჯელმა საზღაურის სახით, შეიძლება დააკმაყოფილოს შურისძიების სურვილი, მაგრამ ის საკმარისი არ არის დაზარალებულისათვის და არც საზოგადოების ერთიანობის შეგრძნებას ამთელებს. გამოსასწორებელ მართლმსაჯულებას ერთდროულად ორი მიზანი აკისრია: ერთი, მოახდინოს მისვერბლის სრული რეაბილიტაცია – კარგად ყოფნის შეგრძნება დაუბრუნოს მას, მაგრამ ისე, რომ აშკარა იყოს სამართლიანობის აღდგენა (რაც გვაგონებს განაჩენს, რომელიც ადექვატურს უწოდებენ). გამოსასწორებელ მართლმსაჯულებას შეიძლება ვუწოდოთ „ახალი ღვინო ძველ ტიკებში“. თუმცადა, სადამსჯელო თეორიაში ის ახლა ინერგება.⁵³

8. შეზღუდვები და იმპროვიზაციები განაჩენის გამოტანის დროს

სავარაუდო და სავალდებულო განაჩენის სახეები. ფედერალური სასამართლოების და, მინიმუმ, 12 შტატის სასამართლო სისტემის მოსამართლეები მოკლებულნი არიან განაჩენის გამოტანისას ხანგრძლივობის განსაზღვრის უფლებამოსილებას.⁵⁴ კანონი ხშირად განსაზღვრავს სასჯელის რაობას სავარაუდო (ყველაზე მართებულად მიჩნეული)

განაჩენით. ასეთი განაჩენის ხანგრძლივობას პარლამენტის საკანონმდებლო აქტი განსაზღვრავს - ყოველი ტიპის დანაშაულისათვის განსაზღვრული ხანგრძლივობის სასჯელმა განკუთვნილი და, როგორც წესი, მისი შეცვლა შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების შესაბამისად არ შეიძლება. გამონაკლის შემთხვევებში მოსამართლეს შეუძლია ამ გარემოებების გათვალისწინებით განაჩენში მცირე ცვლილებების შეტანა, იმ პირობით, რომ დასაბუთება წერილობითი სახით იქნება წარმოდგენილი იმ შემთხვევებში, როდესაც განაჩენი საფაღღებულოა, მოსამართლეს მისი შეცვლის უფლება არ გააჩნია.

შტატის სასურობილების პატიმართა უმრავლესობას საფაღღებულო განაჩენის მოხდა უწევს და ამდენად, შესაძლებელია შემთხვევების 90%-ის მიხედვით გათავისუფლების თარიღის განსაზღვრა. თუმცადა, შტატებს შორის არსებობს შეუსაბამობა განაჩენის ვადებს შორის.⁶⁵ მკვლევარებმა დაადგინეს, რომ განაჩენის აპელაცია აცადგენს თურისდიქციებს შორის მისაფასებას.⁶⁶ კანონმდებლები ცდილობენ სხვადასხვა თურისდიქციებში მისაფასებას სახისა და ხანგრძლივობის განაჩენების დაწესებას. ამ კანონების მიხედვით, გასამართლებულებს შოთხობებით განაჩენის 85%-ის მოხდა, ანუ 2/3-ჯერ უფრო ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ახლა იხდინან.⁶⁷

საფაღღებულო განაჩენის წინააღმდეგ გამოვიდა როგორც საკანონმდებლო, ასევე სამეცნიერო საზოგადოება.⁶⁸ პატიმრობის ხარჯები უსაზღვროდ იზრდება, რენტაბელობა მცირდება, მყარდება მასობრივი უსამართლობა (თითოეული დამნაშავე ინდივიდუალური და ერთმანეთისაგან განსხვავებულია), ვერ ხერხდება დამნაშავეობაზე კონტროლის დაწესება.⁶⁹ საფაღღებულო განაჩენის გამოტანისაკენ მიბრუნებას „განაჩენის გამოტანის რეფორმების ღალატი“ უწოდეს.⁷⁰ ჯერ კიდევ 25 წლის წინ მკვლევარები პოზიტიურად არ უყურებდნენ განაჩენის გამოტანის თავისუფლებისა და რეაბილიტაციის იდეებს, ამდენად, მათი შესუდრულებით, სტრუქტურული⁷¹ ან განსაზღვრული განაჩენის გამოტანა დადებითი შედეგების მომტანი არ იქნება.⁷² განაჩენის გამოტანის განსაზღვრულ და განუსაზღვრულ სექციებთან დაკავშირებული წარსულის ყველა პრობლემა უნდა გადაჭრილიყოს განაჩენის გამოტანის ინსტრუქციების შემოღებით.

განაჩენის გამოტანის ინსტრუქციები. განაჩენის გამოტანის ინსტრუქციებში წარმოდგენილია შედარებით ფიქსირებული სასჯელი, რომელიც შეესაბამება ზიანის გავრცელებულ ცნებებს და ცვლილებების შეტანის საშუალებას იძლევა შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებების შესაბამისად. შეერთებულ შტატებში განაჩენის გამოტანის ინსტრუქციების შემოღების ტენდენცია იწყება 1970-იან წლებში და უკავშირდება ფედერალური ოლქის მოსამართლის მარტინ ი. ფრანკელის სახელს, რომელმაც შეიტანა კასაცია განაჩენის გამოტანის დამოუკიდებელი კომისიის მიერ განაჩენების გამოტანის და მოსამართლეების მიერ სახელმძღვანელო ინსტრუქციების ჩამოყალიბებისა და შემოღების საკითხების განხილვის თხოვნით.⁷³ მას შემდეგ, შტატების ნაწილმა შემოიღო ინსტრუქციები და რამდენიმე შტატში შეიქმნა განაჩენის გამოტანის კომისიები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან დამოუკიდებელი სააგენტოების სახით და შტატის საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილების საფუძველზე აყალიბებენ ინსტრუქციებს. 1984 წელს კონგრესის გადაწყვეტილებით შეიქმნა აშშ განაჩენის გამოტანის კომისია, რომელმაც 1987 წელს შეიმუშავა ბრალდებულის ინდივიდუალური გასამართლების ინსტრუქციები.⁷⁴ 1991 წლის ნოემბერში კონგრესმა დაამტკიცა აშშ განაჩენის გამოტანის კომისიის ინსტრუქციები ორგანიზაციებთან, კერძოდ კი, კორპორაციებთან მიმართებით.⁷⁵

ყველა ინსტრუქციის ერთვის სქემა, რომელიც, როგორც წესი, ცხრილის სახით არის წარმოდგენილი, მასში დანაშაულის სიმძიმე და ბრალდებულის ისტორიის ან სხვა პარამეტრების კომბინაციით წარმოდგენილია რეკომენდებული განაჩენი ან მისი რამდენიმე შესაძლო ვარიანტი ინსტრუქციების თანახმად შემამოუბრებელი ან დამამძიმებელი გარემოებების შესაბამისად განაჩენი იცვლება. როგორც წესი, ინსტრუქციებში აღნიშნულია დანაშაულის რომელი სახეობა იხილება პატიმრობით და მითითებულია განაჩენის ხანგრძლივობა.

მოსამართლე თვალისწინებს ბრალდებულის კრიმინალურ წარსულს და დანაშაულის სიმძიმეს, შემამოუბრებელ ან დამამძიმებელ გარემოებებს (შეძლებისდაგვარად), რის შემდგომაც კომპიუტერული საშუალებით შეუძლია განაჩენის მისადაგება. პრაქტიკაში, ზოგიერთი ინსტრუქცია შეიძლება გართულებული იქნეს განაჩენის გამოტანისას გასათვალისწინებელი ფაქტორების მრავალრიცხოვნობის გამო. აშშ-ს ყველა საპრობაციო და საპროკურორო საშუალებით უზრუნველყოფილია კომპიუტერული პროგრამით, რომელიც განაჩენის გამოტანის ფედერალური ინსტრუქციების შესაბამისი რეკომენდებული განაჩენის განსაზღვრისათვის არის განკუთვნილი.⁷⁴

ინსტრუქციათა ტიპები, არსებობს განაჩენის გამოტანის ინსტრუქციების ორი ტიპი: ნებაყოფლობითი და სავარაუდო. *ნებაყოფლობითი* ინსტრუქციები შექმნილია უფრო სასამართლო გზით, ვიდრე დაშვებული კანონმდებელთა მიერ. მათ ხშირად „აღწერით ინსტრუქციებს“ უწოდებენ, ვინაიდან ისინი უფრო აღწერენ, ვიდრე მითითებენ რეკომენდებულ განაჩენს. ნებაყოფლობითი ინსტრუქციების სისტემა პირველად ამოქმედდა დენვერში 1976 წელს. შესაბამისად, ის სხვა ქალაქებშიც მოსინჯეს – ნიუ-იორკში, ჩიკაგოსა და ფენიქსში, ხოლო მიჩიგანი, მასაჩუსეტსი და ნიუ-ჯერსი შტატის მასშტაბებით დანერგვის პიონერებად გვევლინებიან. შემდგომში მსგავსი სისტემები თითქმის ყველგან დაინერგა, თუმცაღა, შეფასებამ უჩვენა, რომ ამ სისტემამ ბევრი გერაფერი შეცვალა მოსამართლეების მიერ განაჩენის გამოტანის სქემაში. შედეგად, მისდამი ინტერესი თანდათან განელდა.

განაჩენის გამოტანის მეორე ტიპის ინსტრუქციებს *სავარაუდოს* უწოდებენ, რადგან ბრალდებულისათვის მართებული განაჩენის გამოტანა სავარაუდოდ უნდა თავსდებოდეს რეკომენდაციებით გათვალისწინებულ სქემაში. მოსამართლეებმა შესაძლო ვარიანტიდან შესაბამისი უნდა შეარჩიონ და ყველა გადახრა წერილობით ფორმით დააფიქსირონ. მინუსოტას, პენსილვანიის და ვაშინგტონის განაჩენის გამოტანის ფედერალური ინსტრუქციები სავარაუდო ინსტრუქციების სქემას წარმოადგენს.⁷⁵

დანარჩენი შტატებისაგან განსხვავებით პენსილვანიის სისტემა კვლავაც იძლევა გაურკვეველი განაჩენის გამოტანის საშუალებას, რადგან განაჩენის გამოტანის კომისიის მიზანია ინსტრუქციების სქემაში დაშინების, დაპატიმრების და დამსახურებული სასჯელის იდეებთან ერთად რეაბილიტაციის იდეის ჩადება. პენსილვანიაში მოსამართლემ უნდა დაუკონკრეტოს ბრალდებულს, რომელსაც პატიმრობას მოუსჯიან, ინსტრუქციებიდან შერჩეული პატიმრობის ვადის მინიმალური და მაქსიმალური ხანგრძლივობა. ამის შემდეგ პირობით ვადამდელი გათავისუფლების საბჭო განსაზღვრავს უშუალო გათავისუფლების თარიღს. საზღაურის მიდგომის მომხრე მინუსოტა და ვაშინგტონი, პენსილვანიისაგან განსხვავებით, განაჩენის გამოტანის კიდევ უფრო შეზღუდულ ვარიანტებს წარმოადგენენ.⁷⁶

კრიტიკული თვალსაზრისი განაჩენის გამოტანის კომისიები და ინსტრუქციები მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს წააწყდა აღბათ იმის გამო, რომ შტატის კომისიები

დასოუყოფიერება თურთიერილი და საკანონმდებლო შტოებისაგან. შემოთავაზებული რეკომენდაციების ან ინსტრუქციების ნაწილი უბრალოდ აიკრძალა კანონმდებლობის მიერ.⁷⁷ კონტეკტიუტის კომისიამ შეიშუშაგა ინსტრუქციების სისტიკმა, მაგრამ კატეგორულად წინააღმდეგი წაყიდა მისი მიღების მიმართ, სამაგიეროდ, გამოვიდა დადგენილი და განსაზღვრული განაჩენების შარდაჭერით.⁷⁸ ფედერალურ დონეზე განაჩენის გამოტანისადმი ინდივიდუალისტური მიდგომის წინააღმდეგობა თავად მოსამართლეებისაგან მომდინარეობდა.

კერძო პირებისათვის განკუთვნილი ინდივიდუალისტური მიდგომის ინსტრუქციები ძალაში შევიდა 1987 წლის 1 ნოემბერს, მაგრამ მოსამართლეების დიდი ნაწილი მათ არაკონსტიტუციურს უწოდებდა. მათი არგუმენტებით, აშშ-ს კონგრესის მიერ განაჩენის გამოტანის კომისიის შექმნის შემდეგ ინსტრუქციები ძალაუფლების გადაწაწილების დარღვევის საფუძველი ხდება. 1989 წელს უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა აშშ განაჩენის გამოტანის კომისიისა და ინსტრუქციების არსებობას.⁸¹ ინსტრუქციების ძალაში შესვლის დღიდან უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებამდე ფედერალური ოლქების დაახლოებით 51 მოსამართლემ უარი განაცხადა ინსტრუქციების გამოყენებაზე მათი შესაძლო არაკონსტიტუციურობის გამო. საწყის ეტაპზე ინსტრუქციების ფედერალურ დონეზე გამოყენების შეფასებამ ცხადყო, რომ იურისტებიც ეწინააღმდეგებოდნენ ინსტრუქციების გამოყენებას. როგორც ჩანს, მხოლოდ საპრობაცო სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც პასუხს აგებდნენ განაჩენის გამოტანამდე საგამოძიებო ანგარიშის მოშუადებაზე, დაძლიეს ამ სისტიემის სირთულეები.⁸²

როგორც დადგენილი და განსაზღვრული განაჩენის გამოტანის სიქემა, ასევე ინსტრუქციებიც განუსაზღვრულ განაჩენებთან დაკავშირებული უთანასწორობებისა და გარკვევლობის გადალახვის მცდელობას წარმოადგენს. თუმცა ისინი, ვინც საგარაუდო განაჩენის გამოტანის ინსტრუქციებს აკრიტიკებენ, შიშობენ, რომ მათმა გამოყენებამ შესაძლოა მკაცრი განაჩენების გამოტანამდე მოგვიყვანოს და კიდევ უფრო გაართულოს ცხებების გადაწყობის პრობლემა. გამოიკვეთა მოსაზრებაც, რომ განსხვავება განაჩენის გამოტანისას მოსამართლეების დამსჯელებად გადაქცევის გამოიწვევს.

ბრალდებულები შეეცდებიან აწარმოონ სასამართლო გარიგებები, რომლებიც მათ განაჩენს „გაშევა“-დაბატონების“ სიქემაში - „გაშევისკენ“, ხოლო განაჩენის გამოტანის სიქემაში უფრო ღმობიერი განაჩენის გამოტანისკენ გადახრის. გარიგებების წარმოების გააქტიურება, შესაბამისად, ბრალდებულებს სასამართლო პროცესის აარიდებს. დაბოლოს, ზოგიერთი შიშობს, რომ მოსამართლეები უბრალოდ უგულვებლყოფენ ინსტრუქციებს.

ორი ათწლეული გაყიდა მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა იურისდიქციამ განაჩენის გამოტანის ინსტრუქციები შემოიღო. მისი ზეგავლენის შეფასების შედეგები არაერთგვაროვანია. მაკელ ტორნი მიიჩნევს, რომ ინსტრუქციების შემოღება თვითნებობის და განაჩენის გამოტანისას დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტური ხერხია, მაგრამ სხვა მკვლევარები მოულოდნელ შედეგებამდე მივიდნენ.⁸³ კანონის აღსრულებამ შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს ინსტრუქციებით მოსარგებლე გამოძიების სტადიაზე.⁸⁴ მისიოტაში, რომელიც განაჩენის გამოტანის ინსტრუქციების დანერგვის პიონერია, დაფიქსირებულა უთანასწორობის განმეორებითი შემთხვევები.⁸⁵ მაშინ, როდესაც ამ სტატის ცხებების პატიმრები სტაბილურად იხდიდნენ სასჯელს, გადაადგილებები შეინიშნებოდა ცხებების გადაწყობის გამო.⁸⁶ საერთო ჯამში, განაჩენის გამოტანის ინსტრუქციების სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ მათი გამოყენებით შეიძლება ცხებებში პატიმრების რაოდენობის კონტროლი.⁸⁷ სხვა მხრივ, ინსტრუქციები უფრო და უფრო მკაცრი და მოუქნელი ხდება. იდგა იმსვერბლა ადამიანების ორგანიზაციებიდან ცხრილზე მორგების მცდელობამ.⁸⁸

„სამშრომლო დარტყმა“ და გამკაცრებული განაჩენის გამოტანის სხვა მცდელობები. მაშინ, როდესაც დებატები განაჩენის გამოტანის ინსტრუქციების გარეშე კვლავაც გრძელდება, დაიწყო პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ინსტრუქციების და მკვლევართა მიერ მოძიებული შედეგების მიუხედავად განაჩენის გამკაცრებას ითვალისწინებს. ეს ახალი სადამოქმედო მოძრაობა გადაიზარდა „სამშრომლო დარტყმის“ კანონმდებლობაში და პარლამენტის მიერ გამოცემულ განაჩენის გამკაცრების საკანონმდებლო აქტში. ვაშინგტონის შტატი ბირველი იყო, რომელმაც დაამტკიცა „სამშრომლო დარტყმის“ კანონმდებლობა. 2000 წლის დისაწყისისთვის 24 შტატმა უკვე მიიღო ეს კანონმდებლობა და ფედერალური აღსრულება ხელს უწყობს შტატის ამ კანონმდებლობას დაფინანსების უზრუნველყოფით.

პარლამენტის მიერ გამოცემული განაჩენის გამკაცრების უფრო დახვეწილი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს პატიმრობის (შესაძლოა სამუდამო პატიმრობის) გამკაცრებულ ხანგრძლივობას მესამე მძიმე დანაშაულის ჩამდენი ბოროტმოქმედისათვის. უფრო დაუხვეწავი საპარლამენტო აქტის მიხედვით ორჯერ ნასამართლევ ბოროტმოქმედს შესაძლოა სამუდამო პატიმრობა მიესაჯოს ბავშვისთვის ერთი ნაჭკერი პიცის წართმევის გამო, როგორც ეს კალიფორნიაში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსებმა ეს კანონმდებლობა ბოროტმოქმედებისა და ძალადობის შემცირების საშუალებად და საზოგადოების ხარჯების დაზოგვის საშუალებად მონათლეს, შეფასების შედეგები აღნიშნული კანონების არაპოდეუქტიულობაზე მიაჩნებოდა:

- შესაძლებელია მცირე დანაშაულების დონის შემცირება, მაგრამ კოლოსალური თანხების ხარჯზე (მაგ., კალიფორნიაში ბოლო 25 წლის განმავლობაში დაიხარჯა 5.5 ბილიონზე მეტი).
- სასარჩელო გარიგებების რაოდენობა მცირდება სასამართლო პროცესების რაოდენობის ხარჯზე.
- კრიმინალური საქმეების გარჩევის რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს, რაც ნეგატიურად მოქმედებს სამოქალაქო სამართალზე.
- „სამშრომლო დარტყმის“ კანონები ბოროტმოქმედების იმ მხარეს განიხილავენ, რომელიც სწრაფად დადგავალი კრიმინალური კარიერის მქონე დაძნელებულ ეხება, რაც მცდარი დამოკიდებულებაა.
- სამუდამო პატიმრობის მისჯით (რაც სცილდება ჩადენილი დანაშაულის ხანდაზმულობას) კანონები სერიოზულ პრობლემას ქმნიან ციხეებში გერიატრიულ საკითხებთან მიმართებით.¹¹

კანონმდებელთა მცდელობა, თავი მოაწონონ სადამოქმედო პოლიტიკის მომხრე საზოგადოებას, გამოიხატება იმ დანაშაულებზე განაჩენის გამოტანის გამკაცრებაში, რომლებიც ჩადენილია იარაღით, კონკრეტულ ადგილებში (მაგ., სკოლებთან), გარკვეულ დროს ან სხვა გარემოებისას. ასეთი კანონები მოქმედებდა მე-12 საუკუნეში (დანაშაულის ჩადენა წმინდა დღეებში ან ადგილებში), ამით ბოროტმოქმედებაზე კონტროლის დაწესება ვერ მოხერხდა, იგივე შეიძლება ითქვას თანამედროვე კანონმდებლობასთან მიმართებით.¹²

§6 სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა

მოსამართლის ყველაზე სასტიკი ალტერნატივა მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულთა მიმართ არის სასჯელის უზღვევო ზომის - სასიკვდილო განაჩენის გამოტანა. სიკვდილით დასჯა არაქალისა საკითხია და კანონმდებლობას კონკრეტულ ბარიერებს უქნის. ბოლოს და ბოლოს, ეს ერთადერთი განაჩენია, რომელიც აღსრულებისთანავე შეუქცევადი და საბოლოო ხდება - ის არ უტოვებს გასამართლებულს აპელაციის უფლებას.

№22 წელს დანიელ ფრანკის სიკვდილით დასჯის ფაქტი ბირგელი იყო ამერიკის ისტორიაში სიკვდილით დასჯა ვირჯინიის კოლონიაში ქურდობის ჩადენის გამო შედგა.⁸¹ მკვლევარების ვარაუდით, იმ წლიდან მოყოლებული ამერიკაში 18.000-20.000 ადამიანს მიესაჯა სასიკვდილო განაჩენი დანაშაულისათვის, რომელიც მოიცავდა მატარებლის ძარცვას, სისასტიკით ჩადენილ მკვლელობას და გაუპატიურებას.⁸² (უკანასკნელი ვარაუდით ეს რიცხვი 14.750 შეადგენს).⁸³

აღრიცხული არ არის, თუ რამდენი იქნა მოკლული ლინჩის წესით გასამართლების მომხრეთა ხელით.⁸⁴ გასული საუკუნის განმავლობაში დასავლეთის ქვეყნებმა შეიმუშავეს სიკვდილით დასჯის ექვსი მეთოდი: დახვრეტა, ჩამოხრჩობა, თავის მოკვეთა ცუდით ან გილიოტინაზე, მომწამლავი გაზი, ელექტროსიკამი და სასიკვდილო ინექცია. თავისი მოკვეთა ერთადერთი მეთოდაა, რომელიც ამერიკაში არ გამოუყენებიათ.

1976 წლიდან, როდესაც ხანმოკლე მარატორიუმის შემდეგ სიკვდილით დასჯა კვლავ შემოიღეს აშშ-ში, 2000 წლის ივნისამდე 598 ბრალდებული იქნა სიკვდილით დასჯილი.

სიკვდილით დასჯის კანონი ძალაშია ოცდათვრამეტ შტატში და ფედერალურ მთავრობაში. სიკვდილით დასჯის გარშემო არსებული არგუმენტები მაცდურად მარტივია. მაცდურად ამის გამო, რომ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები ხშირად ზეგავლენას ახდენს სიკვდილით დასჯის ეფექტურობის შეფასებაზე. მოწინააღმდეგეებს მაგალითად მოყვით გამოცდილებაზე დაფუძნებული მტკიცებულებები დაამაშინებელი შედეგების შესახებ, ხოლო მომხრეები თვლიან, რომ საფუძვლიანი კვლევების ჩატარება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა სიკვდილით დასჯას სისტემატური ხასიათი მიეკუთვნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი დაფობენ იმის შესახებ, რომ შეუძლებელია დაშინების ეფექტების განსაზღვრა ყველა სიკვდილმისჯილის სასიკვდილო განაჩენის აღსრულების გარეშე.

1. დაშინების არგუმენტი

სოციოლოგები დიდხანს კამათობდნენ, თუ რამდენად ამცირებს სიკვდილით დასჯა მკვლელობების დონეს. კამათი, ძირითადად, ორ საკითხზე ამხსნელებს: ყურადღებას: შეიძლება რომ მკვლევებმა ხელი აიღონ მკვლელობების ჩადენაზე სიკვდილით დასჯის შიშით? თუ სიკვდილით დასჯის ფაქტი დამაშინებელია, იქნება თუ არა საშუალო პატიმრობა ისეთივე ეფექტური?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩატარებული კვლევების შედეგები სხვადასხვაფერია. მკვლევართა დიდი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ადამიანის სიკვდილით დასჯა გავლენას ახდენს მკვლელობის დონეზე.⁸⁵ მეორე მხრივ, ისააკ ერლიმა, კონომისტმა, დაადგინა, თუ რა იწვევს დამაშინებელ ეფექტს. კერძოდ, სიკვდილით დასჯის ერთი შემთხვევა ხელს უშლის დაახლოებით 8-დან 20 მკვლელობის ჩადენას. თუმცა, ეს კვლევა ვაკრიტიკის სხვადასხვა მეთოდოლოგიური მოსაზრებების გამო.⁸⁶

სიკვდილით დასჯის დამაშინებელი ეფექტის დადგენის მიზნით ჩატარებული უკანასკნელი კვლევების ძირითადი აქცენტი სიკვდილით დასჯის საჯაროობასა და მკვლელობების დონის შორის არსებულ ურთიერთმიმართებაზე ეთმობოდა. თუ დაშინება მოქმედებს, მაშინ სიკვდილით დასჯის ფართო გაშუქებამ უნდა შეამციროს

მკვლევლობების რაოდენობა სასიკვდილო განაჩენის მიღების რისკის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების საფუძველზე. კვლევის შედეგები არც აქ არის ცალსახა: მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ საჯაროობას დაშინებული ეფექტი აქვს (მართალია, უფრო სუსტი, ვიდრე მკვლევლობების დონესთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებს),¹⁷ მეორე ნაწილის აზრით, არც საგანგებო სიტუაციების და არც ტელევიზიის საშუალებით გაშუქებულ დასჯის დამაშინებელი ეფექტი არ მოპყვლია,¹⁸ ბირიყი, ის შესაძლოა უკუეფექტის მქონე იყოს და გაზარდოს მკვლევლობების დონე.¹⁹

იურიდიულ საკითხებზე მომუშავე მკვლევარი ჩარლზ ბლეკი აღნიშნავს, რომ ძალიან ძნელია დაშინების შესახებ მეთოდოლოგიურად სრულყოფილი კვლევის ჩატარება. როგორ შეიძლება განვსაზღვროთ ადამიანების რაოდენობა, რომლებმაც შეიკავეს თავი მკვლევლობისაგან იმ იურისდიქციებში, სადაც დაწესებულია სიკვდილით დასჯა ან იქ, სადაც სიკვდილით დასჯა მიღებული არაა? ბლეკის თანახმად, შესაძლო კვლევების შემდეგაც კი არ ვიცით და მეთოდოლოგიური და აშკარა მიზეზების გამო არც შეიძლება ვიცოდეთ სიმართლე ამ „დაშინების“ ეფექტის რაობაზე. უბრალოდ შეუძლებელია არსებობდეს „მეცნიერული“ დასაბუთებული დასკვნა და, შესაბამისად, არანაირი მეთოდოლოგიური გამოსავალი ამ სიტუაციიდან არ არსებობს.²⁰

2. დისკრიმინაციის არგუმენტი

1970-იანი წლების დასაწყისში მარტინ ვოლფგანგმა და მარკ რიდელმა დაადგინეს დარღვევები სიკვდილით დასჯის გამოყენებაში. 1950 წლიდან აშკარა გახდა, რომ სამხრეთის ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯის განაჩენი არაპროპორციულად ვრცელდებოდა თეთრკანიანი ქალების გაუპატურების ბრალდებით გასამართლებულ შავკანიან მამაკაცებზე. ვოლფგანგი და რიდელი აღნიშნავენ, რომ „1930 წლიდან მოყოლებული დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯილი 3.859 პირიდან 54.6% შავკანიანი ან არათეთრკანიანი რასის წარმომადგენელზე მოდიოდა“.²¹

მუხუტადავ იმისა, რომ სიკვდილით დასჯის საკითხებთან მიმართებაში არსებული დისკრიმინაციის პრობლემა მუდამ იურიდიულ პრობლემას წარმოადგენდა, მისი გადაწყვეტა ვერ მოხერხდა დევიდ ბალდუსის, იურიდიულ საკითხებზე მომუშავე მკვლევარის მიერ სრულფასოვანი და მეთოდოლოგიურად გაბართული ანალიზის ჩატარებამდე. ანალიზის თემას წარმოადგენდა ფულტონის საგრაფოში, ჯორჯიაში, სიკვდილით დასჯის დისკრიმინაციულობის კვლევა.²² კვლევა, რომელიც ცალსახად ასახავს იმ გარემოებას, რომ შავკანიან ბრალდებულს 11-ჯერ უფრო მეტი შანსი აქვს მიიღოს სასიკვდილო განაჩენი თეთრკანიანის მოკვლისთვის, ვიდრე თეთრკანიანს შავკანიანის მოკვლისთვის, აშშ უზენაეს სასამართლოს წარედგინა „მაკლეისი კემპის წინააღმდეგ“ საქმეში (1985).²³

ვორენ მაკლეისკომ თხოვნით მიმართა უზენაეს სასამართლოს, გაეუქმებინა სიკვდილით დასჯის მუხლი ჯორჯიას შტატში დისკრიმინაციის ამ დამტკიცებელი ფაქტის გამო. სასამართლომ უარი თქვა თხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან დაცვის ადვოკატებს არ მიუთითებიათ იმ გარემოებაზე, რომ თავად მაკლეისი დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა. შემდგომ სასამართლომ დაადგინა, რომ რასისტული მიკერძობულობის შემთხვევაში, ის ნორმის ფარგლებს არ გასცილებია. მაგრამ ნორმის ფარგლებს დადგენა მეტად რთულია. 50-იან წლებში კვლევამ განაჩენის გამოტანის უთანასწორობის შესახებ დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტები როგორც სიკვდილით დასჯის, ასევე სხვა სახის განაჩენების გამოტანისას.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მოსამართლის საქმიანობას დისკრიმინაციული ხაიათი აქვს; უფრო მართებული იქნება ითქვას, რომ ასე მხოლოდ ზოგიერთი მათგანი

იქცევა.¹⁴ უფრო მეტად, რასობრივი განსხვავებები მხოლოდ იურიდიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არსებული პრობლემები არაა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდება უფრო ხშირად ითხოვს სიკვდილით დასჯას თეთრკანიანი მსხვერპლის მკვლეელი შეგანანი მოქალაქეებისთვის.¹⁵ ესეც, თავისთავად, დისკრიმინაციის გამოვლინებაა.

რასობრივი საკითხების და სიკვდილით დასჯის ბოლოდროინდელი კვლევები ერთი-ულოვანაა და ამტკიცებს, რომ აშშ უზენაესმა სასამართლომ ვერ მიაღწია წარმატებას სიკვდილით დასჯის საკითხებთან მიმართებით რასისტული მიკერძოებულობის აღმოფხვრაში აფრო-ამერიკელი მოსახლეობა, კვლავ დისკრიმინირებულია.¹⁶

3. სხვა არგუმენტები

არსებობს სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო და მხარდამჭერი სხვა არგუმენტებიც, რომლებიც მოიცავს ყველა სფეროს, დაწყებული რელიგიური მოსაზრებებიდან და დამთავრებული პატიმრობის ღირებულებით გათვლით.

4. ძირითადი ტენდენციები სასჯელის უმაღლესი ზომის - სიკვდილით დასჯის - გამოყენების საკითხში

სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე მუდმივი უარის (და უზენაესი სასამართლოს მიერ 1972-1976 წლებში დადგენილი მარტორიუმის) შემდეგ სიკვდილით დასჯის რაოდენობამ მბატა, მაგრამ მაინც ვერ მიაღწია 1930-1940 წლების დონეს, სიკვდილიმისჯილ პირთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის მიუხედავად, სიკვდილიმისჯილთა რაოდენობა - არაპროპორციულად, მაშრობითი სქესის წარმომადგენლები და უმცირესობების წარმომადგენლები - 3,000-ს აჭარბებს. სიკვდილით დასჯის შემთხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა¹⁷ კონგრესის და აშშ უზენაესი სასამართლოს მცდელობის ფონზე, შეზღუდოს აპელაციების შესაძლებლობები, სისრულეში მოყვანის დადგენილების ჩათვლით (1996 წლის ანტიტერორისტული აქტის და ეფექტური სიკვდილით დასჯის აქტის ფონზე, როგორც უზენაესმა სასამართლომ ამას მხარი დაუჭირა 1996 წლის 28 ივნისს, „ფეკარი ტურინის წინააღმდეგ“ საქმეში, 1195-8836). ამერიკისათვის დამახასიათებელია ფუნდამენტური ამბივალენტობა სიკვდილით დასჯის საკითხებში. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ, ამერიკელები მიიჩნევდნენ, რომ სიკვდილით დასჯა კრიმინალური პრობლემების მოგვარების საშუალება შეიძლებოდა ყოფილიყო, კონგრესი, შტატის კანონმდებლები, მოსამართლეების დიდი ნაწილი დღესაც ასე თვლის. მაგრამ საზოგადოების მოსაზრებების სიმტკიცეს ბზარი გაუჩნდა საკანონმდებლო სფეროშიც კი. ინდიანას შტატის კანონმდებელთა გამოკითხვამ ცხადყო ეს ეჭვები. მიუხედავად სიკვდილით დასჯის მხარდამჭერისა, კანონმდებლების უმრავლესობა ახლა ამჯობინებს სიცოცხლის შენარჩუნებას ვადამდე ბრობით გათავისუფლების გარეშე, დაზარალებულის ოჯახისთვის ზარალის ანაზღაურებით.¹⁸

საზღაურისა და შურისძიების არგუმენტი კვლავ ძალაში რჩება - მკვლეელი მსახურებს სიკვდილს - უზენაესი სასამართლო, როგორც ჩანს, ამ შეხედულებას უჭერს მხარს.¹⁹

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნებიდან მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ააპონიაში და სამხრეთ აფრიკაში შემორჩა სიკვდილით დასჯა. მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი საპირისპირო მიმართულებას მიეშრო: 70 ქვეყანამ მთლიანად გააუქმა სიკვდილით დასჯა, 13-მა გააუქმა - „ჩვეულებრივ დანაშაულებზე“ (დანაშაულები, ჩადენილი საშხედრო კოდექსის თანახმად ან საომარი მოქმედებების დროს). ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში გამოკვეთილია სისიკვდილო განაჩენის გაუქმების ტენდენცია.²⁰

იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმდა, შესაძლოა სასარგებლო იყოს ქვეყნებისათვის, სადაც სიკვდილით დასჯის მომავალი განიხილება. მკვლევარების დონის შესწავლამ 14 ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმდა, ცხადყო, რომ სინამდვილეში, მკვლევარების დონე სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ შემცირდა.¹¹

¹ See, e.g., Jerome Frank, *Courts on Trial: Myth and Reality in American Justice* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1949).

² *Marbury v. Madison*, 1 Cr. 137 (1803).

³ *Loving v. Virginia*, 388 U.S. 1 (1967).

⁴ *Mapp v. Ohio*, 367 U.S. 643 (1961).

⁵ *Draper v. United States*, 358 U.S. 307 (1961).

⁶ Habeas Corpus Act of 1679, 31 Car. II, c. 2.

⁷ In *Stone v. Powell*, 428 U.S. 465 (1976).

⁸ Frank Miller, *Prosecution: The Decision to Charge a Suspect with a Crime* (Boston: Little, Brown, 1969).

⁹ Celesta A. Albonetti, "Prosecutorial Discretion: The Effects of Uncertainty," *Law and Society Review*, 21 (1987): 291-313.

¹⁰ Abraham S. Goldstein, *The Passive Judiciary: Prosecutorial Discretion and the Guilty Plea* (Baton Rouge: Louisiana State University Press, 1981).

¹¹ Abraham S. Blumberg, *Criminal Justice: Issues and Ironies* (New York: New Viewpoints, 1979), p. 123.

¹² *Gideon v. Wainwright*, 375 U.S. 335 (1963).

¹³ President's Commission on Law Enforcement and the Administration of Justice, *Task Force Report: Courts* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1967), p. 131

¹⁴ John S. Goldkamp, *Two Classes of Accused: A Study of Bail and Detention in American Justice* (Cambridge, Mass.: Ballinger, 1979).

¹⁵ John S. Goldkamp, *Two Classes of Accused: A Study of Bail and Detention in American Justice* (Cambridge, Mass.: Ballinger, 1979).

¹⁶ Peggy M. Tobolowsky and James F. Quinn, "Pretrial Release in the 1990s: Texas Takes Another Look at Nonfinancial Release Conditions," *New England Journal on Criminal and Civil Confinement*, 19, (1993): 267-327.

¹⁷ Bail Reform Act of 1984, 18 U.S.C. §3141-3150 (1984).

¹⁸ U.S. Department of Justice, Bureau of Justice Statistics, *Report to the Nation on Crime and Justice* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1988), p. 24.

¹⁹ Mike Conville and Chester Missky, "Guilty Plea Courts: A Social Discipline Model of Criminal Justice," *Social Problems*, 42 (1995): 216-234.

²⁰ National Advisory Commission on Criminal Justice Standards and Goals, *A National Strategy to Reduce Crime* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1971), p. 43.

²¹ See Douglas Smith, "The Plea Bargaining Controversy," *Journal of Criminal Law and Criminology*, 77 (1986): 949-967.

²² Barbara Boland, *Prosecution of Felony Arrests*, for Bureau of Justice Statistics (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1986).

²³ Teresa Carns and John Kruse, *Alaska's Plea Bargaining Ban Re-evaluated: Executive Summary* (Anchorage: Alaska Judicial Council, 1991).

²⁴ Otwin Marciniak, "The State of Plea Bargaining in Alaska," *Journal of Crime and Justice*, 18 (1995): 167-197.

²⁵ *Boykin v. Alabama*, 395 U.S. 238 (1964).

²⁶ Rule 11 (f), Federal Rules of Criminal Procedure.

²⁷ David Suggs and Bruce Sales, "The Art and Science of Conducting the Voir Dire," *Professional Psychology*, 9, (1978): 362-388.

²⁸ David Suggs and Bruce Sales, "The Art and Science of Conducting the Voir Dire," *Professional Psychology*, 9, (1978): 362-388.

²⁹ The Mapp Decision made the Fourth Amendment's Exclusionary rule applicable to the states through the Fourteenth Amendment's due process clause, See note 4 above.

³⁰ The Mapp Decision made the Fourth Amendment's Exclusionary rule applicable to the states through the Fourteenth Amendment's due process clause, See note 4 above.

³¹ *Nix v. Williams*, 467 U.S. 431 (1984).

³² Linda Wolfe, *Wasted: The Preppie Murder* (New York: Simon & Schuster, 1989).

³³ See Reid Hastie, *Inside the Jury* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1983).

³⁴ Albert H. Hastorf and Hadley Cantrill, "They Saw the Came: A Case Study," *Journal of Abnormal and Social Psychology*, 49 (1954): 129-134.

- ³⁵ J. C. Bartlett and J.E. Ileslie, "Aging and Memory for Faces versus Single Views of Faces," *Memory and Cognition*, 14 (1986): 371-381
- ³⁶ Kenneth A. Deffenbacher and Elizabeth F. Loftus, "Do Jurors Share a Common Understanding Concerning Eyewitness Behavior?" *Law and Human Behavior*, 6 (1982): 15-30.
- ³⁷ J.C. Yuille, "Research and Teaching with Police: A Canadian Example," *International Review of Applied Psychology*, 33 (1984): 5-23.
- ³⁸ R.K. Bothwell, J. Brigham, and M.A. Piggott, "An Exploratory Study of Personality Differences in Eyewitness Memory," *Journal of Social Behavior and Personality*, 2 (1987): 335-343.
- ³⁹ C.A. Visher, "Juror Decision-Making: The Importance of Evidence," *Law and Human Behavior*, 11 (1987): 1-17.
- ⁴⁰ See Gerhard O.W. Mueller, *Sentencing: Process and Purpose* (Springfield, Ill.: Charles C Thomas, 1977).
- ⁴¹ See, e.g., Joan Petersilia, Peter Greenwood, and Marvin Lavin, *Criminal Careers of Habitual Felons*, for LEAA (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1978).
- ⁴² Revel Shinnar and S. Shinnar, "The Effects of the Criminal Justice System on the Control of Crime: A Quantitative Approach," *Law and Society Review*, 9 (1975): 581-611.
- ⁴³ See, e.g., Peter Greenwood, *Selective Incapacitation* (Santa Monica, Calif.: Rand Corporation, 1982).
- ⁴⁴ Petersilia et al., *Criminal Careers of Habitual Felons*, p. 5.
- ⁴⁵ Stephen D. Gottfredson, *Incapacitation Strategies and the Criminal Career* (Sacramento, Calif.: Information Center, California Division of Law Enforcement, 1992).
- ⁴⁶ Ronald V. Clarke, "The Distribution of Deviance and Exceeding the Speed Limit," *The British Journal of Criminology*, 36 (1996): 169-181
- ⁴⁷ Johannes Andenaes, *Punishment and Deterrence* (Ann Arbor: University of Michigan Press, 1974), p. 51.
- ⁴⁸ William G. Bailey, ed., *The Encyclopedia of Police Science* (New York: Garland, 1989), p.600.
- ⁴⁹ Edwin H. Pfuhl, Jr., "Police Strikes and Conventional Crime," *Criminology*, 21 (1983): 489-503.
- ⁵⁰ Ari L. Goldman, "In Spite of Dip, Subway Crime Nears a Record," *New York Times*, Nov. 20, 1982, pp. 1, 26.
- ⁵¹ See Chapter 2
- ⁵² James A. Beha II, "And Nobody Can Get You Out: The Impact of a Mandatory Prison Sentence for the Illegal Carrying of a Firearm on the Administration of Criminal Justice in Boston," *Boston University Law Review*, 57 (March 1977): 96-146
- ⁵³ Robert P. Barry, "To Slug a Meter: A Study of Coin Fraud," *Criminology*, 4 (1969): 40-47.
- ⁵⁴ Steven R. Burkett and David A. Ward, "A Note on Perceptual Deterrence, Religiously Based Moral Condemnation, and Social Control," *Criminology*, 31 (1993): 119-134.
- ⁵⁵ Immanuel Kant, *Critique of pure Reason* (n. p., 1781).
- ⁵⁶ Robert Martinson, "What Works? Questions and Answers about Prison Reform," *Public Interest*, 35 (Spring 1974): 25.
- ⁵⁷ See Francis T. Cullen, Edward J. Latessa, Velmer S. Burton, Jr., and Lucien X. Lombardo, "The Correctional Orientation of Prison Wardens: Is the Rehabilitative Ideal Supported?" *Criminology*, 31 (1993): 69-92
- ⁵⁸ Model Penal Code, sec. 1. 02 (b).
- ⁵⁹ Andrew von Hirsch, *Doing Justice: The Choice of Punishments* (New York: Hill & Wang, 1976).
- ⁶⁰ Willard Gaylin, *Partial Justice* (New York: Knopf, 1974).
- ⁶¹ Norval Morris, *The Future of Imprisonment* (Chicago: University of Chicago Press, 1974).
- ⁶² Alexander Fatic, *Punishment and Restorative Crime-Handling: A Social Theory of Trust* (Aldershot, United Kingdom: Avebury, 1995).
- ⁶³ Daniel W. Van Ness and Andrew Ashworth, "New Wine and Old Wineskins: Four Challenges to Restorative Justice," *Criminal Law Forum*, 4 (1993): 251-306.
- ⁶⁴ David W. McDowall, Colin Loftin, and Brian Wiersema, *A Comparative Study of the Preventive Effects of Mandatory Sentencing Laws for Gun Crimes* (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1992).
- ⁶⁵ Lawrence A. Greenfield, *Prison Sentences and Time Served for Violence* (Washington, D.C.: Bureau of Justice Statistics, 1995).
- ⁶⁶ Jimmy J. Williams, "Controlling the Judge's Discretion: Appellate Review of Departures," *Justice System Journal*, 17 (1994): 229-240.
- ⁶⁷ James Wotton, *Truth in Sentencing: Why States Should Make Violent Criminals Do Their Time* (Washington, D.C.: Heritage Foundation, 1993).
- ⁶⁸ E.g., Lois G. Forer, *A Rage to Punish: The Unintended Consequences of Mandatory Sentencing* (New York: W. W. Norton, 1994).
- ⁶⁹ Mary K. Shilton Vincent L. Boderick, and Walter Dickey, "Mandatory Minimum Sentencing," *IARCA Journal on Community Corrections*, 6 (1994): 4-35
- ⁷⁰ Henry Scott Wallace, "Mandatory Minimums and the Betrayal of Sentencing Reform: A Legislative Dr. Jekyll and Mr. Hyde," *Federal Probation*, 57 (1993): 9-19.
- ⁷¹ James Austin, Charles Jones, John Kramer, et al., *National Assessment of Structured Sentencing: Final Report* (Washington, D.C.: Bureau of Justice Statistics, 1995).

- ⁷² Thomas B. Marvell and Carlisle E. Moody, "Determinative Sentencing and Abolishing Parole: The Long-Term Impacts on Prisons and Crime," *Criminology*, 34 (1996): 107-128.
- ⁷³ Marvin E. Frankel, *Criminal Sentences* (New York: Hill and Wang, 1973).
- ⁷⁴ Andrew von Hirsch, Kay A. Knapp, and Michael Tonry, *The Sentencing Commission and Its Guidelines* (Boston: Northeastern University Press, 1987).
- ⁷⁵ Sally S. Simpson and Christopher S. Koper, "Deterring Corporate Crime," *Criminology*, 30 (1992): 347-373
- ⁷⁶ See Eric Simon, Gerry Gacs, and William Rhodes, "ASSYST-The Design and Implementation of Computer-Assisted Sentencing," *Federal Probation*, 55 (1991): 46-55.
- ⁷⁷ See Michael Tonry, "The Politics and Processes of Sentencing Commissions," *Crime and Delinquency*, 37 (1991): 307-329.
- ⁷⁸ See John Kramer, Robin L. Lubitz, and Cynthia A. Kempinen, "Sentencing Guidelines: A Quantitative Comparison of Sentencing Policies in Minnesota, Pennsylvania, And Washington," *Justice Quarterly*, 61 (1989): 565-587.
- ⁷⁹ For a complete account of the fate of New York's sentencing commission, see Pamela L. Griset, *Determinate Sentencing: The Promise and the Reality of Retributive Justice* (Albany: State University of New York Press, 1991).
- ⁸⁰ Michael Tonry, "Sentencing Guidelines and Their Effects," in von Hirsch, Knapp, and Tonry, *The Sentencing Commission and Its Guidelines*. pp. 16-43.
- ⁸¹ *Mistretta v. U.S.*, 488 U.S. 361 (1989).
- ⁸² Stephen J. Schulhofer and Illene H. Nagel, "Negotiated Pleas under the Federal Sentencing Guidelines: The First Fifteen Months," *American Criminal Law Review*, 27 (1989): 231-288.
- ⁸³ Michael Tonry, "Sentencing Commissions and Their Guidelines," *Crime and Justice: A Review of Research*, vol. 17 (Chicago: University of Chicago Press, 1993).
- ⁸⁴ Eric P. Berlin, "The Federal Sentencing Guidelines' Failure to Eliminate Sentencing Disparity: Governmental Manipulations before Arrest," *Wisconsin Law Review* (1993): 187-230.
- ⁸⁵ Lisa Stalzenberg and Stewart J. D'Alessio, "Sentencing and Unwarranted Disparity: An Empirical Assessment of the Long-Term Impact of Sentencing Guidelines in Minnesota," *Criminology*, 32 (1994): 301-310
- ⁸⁶ Lisa Stalzenberg and Stewart J. D'Alessio, "The Unintended Consequence of Linking Sentencing Guidelines to Prison Populations - A Reply to Moody and Marvell," *Criminology*, 34 (1996): 269-279.
- ⁸⁷ Thomas B. Marvell, "Sentencing Guidelines and Prison Populations Growth," *Journal of Criminal Law and Criminology*, 85 (1995): 696-709.
- ⁸⁸ Michael Tonry, *Sentencing Matters* (New York: Oxford University Press, 1996).
- ⁸⁹ Edith E. Flynn et al., "Task Force Report on Three Strikes' Legislation," *Critical Criminal Justice Issues*, Task Force Reports from the American Society of Criminology to Attorney General Reno (Washington, D.C.: Compiled by the National Institute of Justice, 1995).
- ⁹⁰ See, e.g., Thomas B. Marvell and Carlisle E. Moody, "The Impact of Enhanced Prison Terms for Felonies Committed with Guns," *Criminology*, 33 (1995): 247-281.
- ⁹¹ Sara T. Dike, "Capital Punishment in the United States, Part I: Observations on the Use and Interpretation of the Law," *Criminal Justice Abstracts*, 13 (1981): 283-311.
- ⁹² William Bowers, *Executions in America* (Lexington, Mass.: Lexington Books, 1974).
- ⁹³ Victoria Schneider and John Ortiz Smykla, "A Summary Analysis of Executions in the United States: 1608-1978.
- ⁹⁴ Sandra Nicolai, Karen Riley, Rhonda Christensen, Patrice Stych, and Leslie Greunke, *The Question of Capital Punishment* (Lincoln, Neb.: Contact, 1980).
- ⁹⁵ Thorsten Sellin, *The Death Penalty* (Philadelphia: American Law Institute, 1959).
- ⁹⁶ Isaac Ehrlich, "The Deterrent Effect of Capital Punishment: A question of Life and Death," *American Economic Review*, 65 (1975): 397-417.
- ⁹⁷ See Steven Stack, "Publicized Executions and Homicide, 1950-1980," *American Sociological Review*, 52 (1987): 532-540.
- ⁹⁸ See William C. Bailey and Ruth D. Peterson, "Murder and Capital Punishment: A Monthly Time-Series Analysis of Execution Publicity," *American Sociological Review*, 54 (1989): 722-743.
- ⁹⁹ Steve Stock, "Execution Publicity and Homicide in Georgia," *American Journal of Criminal Justice*, 18 (1994): 25-39.
- ¹⁰⁰ Charles L. Black, *Capital Punishment: The Inevitability of Caprice and Mistake* (New Haven, Conn.: Yale University Press, 1984).
- Marvin Wolfgang and Mark Riedel, "Race, Judicial Discretion, and the Death Penalty," *Annals of the American Academy of Political and Social Sciences*, 407 (1973): 119-133.
- ¹⁰¹ Marvin Wolfgang and Mark Riedel, "Race, Judicial Discretion, and the Death Penalty," *Annals of the American Academy of Political and Social Sciences*, 407 (1973): 119-133.
- David Baldus, Charles Pulaski, and George Woodworth, "Comparative Review of Death Sentences: An Empirical Study of the Georgia Experience," *Journal of Criminal Law and Criminology*, 74 (1983): 661-678.
- ¹⁰² David Baldus, Charles Pulaski, and George Woodworth, "Comparative Review of Death Sentences: An Empirical Study of the Georgia Experience," *Journal of Criminal Law and Criminology*, 74 (1983): 661-678.
- ¹⁰³ *McKlesky v. Kemp*, 478 U.S. 109 (1985).

¹⁰⁴ Blumberg, *Criminal Justice*

¹⁰⁵ Michael L. Radelet and Glenn L. Pierce, "Race and Prosecutorial Discretion in Homicide Cases," *Law and Society Review*, 19 (1985): 587-621.

¹⁰⁶ Gregory D. Russell, *The Death Penalty and Racial Bias: Overturning Supreme Court Assumptions* (Westport, Conn.: Greenwood Press, 1994).

¹⁰⁷ Robert M. Bohm, Louise J. Clark, and Adrian F. Aveni, "The Influence of Knowledge on Reasons for Death Penalty Opinions: An Experimental Test," *Justice Quarterly*, 7 (1990): 175-188.

¹⁰⁸ Marta Sandys and Edmund F. McGarrell, "Attitudes toward Capital Punishment among Indiana Legislators: Diminished Support in Light of Alternative Sentencing Options," *Justice Quarterly*, 11 (1994): 651-675.

¹⁰⁹ Kenneth C. Haas, "The Triumph of Vengeance over Retribution: The United States Supreme Court and the Death Penalty," *Crime, Law and Social Change*, 21 (1994): 127-154.

¹¹⁰ Roger Hood, *The Death Penalty: A World-Wide Perspective* (New York: Oxford University Press, 1989).

¹¹¹ Hugo Adam Bedau, *Death Is Different* (Boston: Northeastern University Press, 1987).

თავი 5

გამასწორებელი სისტემის კვლევა

გამოუცდელი დამკვირვებლისათვის ბრალდებულისთვის განაჩენის გამოტანა არის ამ პროცესში კანონმდებლის როლის დასასრული და მთაწობის აღმასრულებელი ორგანოს ფუნქციების დასაწყისი – სასამართლოს მიერ განაჩენის აღსრულება. ასეთი შეხედულება დომინირებდა 1958 წლის ბოლომდე, როდესაც მოსამართლე ფელიქს ფრანქფურტერმა საქმეში „გორი აშშ-ს წინააღმდეგ“ წარმოთქვა: „რეალურად, ჩვენ გვთხოვენ პენოლოგიის კომპენტეციაში ჩარევას, რისი უფლებაც ჩვენ არ გავგაჩნია“.¹

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. პატიმრებმა მოიპოვეს განაჩენის აპელაციისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მოთხოვნის უფლება. ბევრ შტატში სასამართლო ჩარეულია განაჩენის აღსრულების გარემოებებში. ზოგიერთ იურისდიქციაში სასამართლოს მიერ დანიშნული პირების საშუალებით ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სისტემის კონტროლი და მართვა. სასამართლოს მოვალეობები უსასრულოა. განაჩენის გამოტანიდან მისი აღსრულების ბოლო წუთამდე სასამართლო უფლებამოსილი და მოვალეა, ჩაერთოს გამასწორებელი სისტემის მუშაობაში. სასამართლოები და გამასწორებელი დაწესებულებები დამოუკიდებელი ორგანიზაციული ერთეულებია და მთაწობის სხვადასხვა შტოებს წარმოადგენენ, თუმცაღა, მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი იმ თვალსაზრისით, რომ გამასწორებელი დაწესებულებები აღსრულებენ სასამართლოს დადგენილებებს, განაჩენს კანონის ნორმების შესაბამისად.

მოსამართლე ფრანქფურტერის სიტყვები ისევე მოძველდა, როგორც ამ სიტყვების დასაბუთება. მან მოიხსენია პენოლოგია, როგორც მათი კომპენტენცია, ვისაც საქმე აქვს ბოროტმოქმედებთან სასამართლო განაჩენის გამოტანის შემდეგ. „პენოლოგია“ არის მე-19 და მე-20 საუკუნის დასაწყისის ტერმინი, რომელიც აღწერს სასჯელის დაკისრებას საზღაურის მიზლით ან უტილიტარული მიზნებით. დღეს გასწორებაზე საუბრისას კრიმინალისტიკები გულისხმობენ სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს სასამართლო განაჩენებს მათი გამოტანის შემდეგ. ეს განსხვავება სახელწოდებათა ცვლილებაზე მეტია; ეს შეხედულებების და დამოკიდებულების ცვლილებაა – სადამსჯელოდან სარეაბილიტაციოზე გადასვლა. კონტექსტიდან გამომდინარე „გასწორების“ მნიშვნელობა იცვლება. პროფესორები ასწორებენ საკურსოებს, სათვალე ან კონტაქტური ღინწები ასწორებს მხედველობას, უცოდინრობის გამოსწორება განათლებით შეიძლება. ყველა კონტექსტში „გასწორება“ გაუმჯობესებას ნიშნავს. ბოროტმოქმედების საუკუნოვანი ექსპლუატაციისა და დასჯის შემდეგ მე-19 საუკუნის პენოლოგებმა დააკვირეს, რომ სასჯელზე მეტად ბოროტმოქმედებს გამოსწორება სჭირდებათ. „პენოლოგები“ „გასწორების“ სპეციალისტებად გარდაიქმნენ, ხოლო „სადამსჯელო სისტემა“ – „გამასწორებელ სისტემადა“.

§1 დასჯა და გასწორება - ისტორიული მიმოხილვა

1. ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე

სწორად გასწორების და ცხებების სისტემის გათვითსწორების შედეგად, დღეს ეს გათვითსწორება მცდარად არის მიჩნეული, თუმცა არც წარსულში ყოფილა ოდესმე მართებული. მომთაბარე ხალხებს ცხებები არ ჰქონდათ, რადგან შენობების გადაადგილება ხარბშემზული ურბებით შეუძლებელია. თუმცა, მომთაბარე ხალხებს ჰქონდათ ბოროტმოქმედთა გასწორების ან დასჯის საშუალებები. რომაელები, ოდესღაც მომთაბარეება დასასჯელად ცხებებს არ იყენებდნენ დასახლებებისა და რომის იმპერიის შექმნის შემდეგაც. რომაელი ბოროტმოქმედები, ძირითადად, განსაზღვრული ხანგრძლივობის ან სამუდამო კატორღით ისჯებოდნენ. რომის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული უბშიესი დანაშაულების ჩადენის და ღმერთების შეურაცხყოფის შემთხვევებში რომაელებს სიკვდილით დასჯაც ჰქონდათ გათვალისწინებული. ცხებები, მხოლოდ მოსაცდელი ადგილი იყო, სადაც ბრალდებულები ელოდნენ სასამართლოს ან განაჩენის აღსრულებას. ადგილზე ტრანსპორტირებას.

მე-5-დან მე-18 საუკუნემდე, გერმანიკული კანონების თანახმად, მკვლელობა ისჯებოდა სისხლის აღებით, ანუ შურისძიების მკვლელობით, რომელსაც მსხვერპლის ოჯახი ასრულებს ბრალდებულის ოჯახის მიმართ. ასეთი სისხლის აღება არ ითვლებოდა პარად შურისძიებად. სინამდვილეში, კანონი ითხოვდა და ამართლებდა სისხლის აღებას როგორც სასჯელს. თუმცა, სისხლის აღება კანონიერი იყო მხოლოდ დროულად შესრულებისას და თუ ის არ აჭარბებდა ჩადენილი ბოროტმოქმედების დონეს. შემდგომ ჩადენილი შურისძიება, რომელიც შესაძლებელია აჭარბებდა კიდევ დადგენილ საზღვრებს, უკანონოდ ითვლებოდა და სასამართლო პროცედურებს ექვემდებარებოდა.² ზოგიერთი უკანონო მკვლელობის ანაზღაურება შესაძლებელი იყო გამოსასყიდის გადახდით. გადახდილი თანხა დაკარგული მებრძოლის კომპენსაციას წარმოადგენდა.³

გვიანი შუა საუკუნეების ევროპაში ჩნდებიან ძლიერი მბრძანებლები, რომლებმაც მონაოყის ბოროტმოქმედთა დასჯის უფლება, დასჯა, გარდა ოჯახში მომხდარი ფაქტებისა, სახელმწიფოს ფუნქცია ხდება. ქვეყნის სათავეში მყოფნი სწრაფად გაძლიერდნენ საკომპენსაციო თანხების ჯარიმებად ქვეყნისა და სიკვდილისჯილთა ქონების კონფისკაციით. შესაბამისად, მკვებორად გაიზარდა მკვლელობების და სიკვდილით დასჯის შემთხვევები. ინგლისში პენრი VIII მმართველობის წლებში (1509-1547წ.წ.) სიკვდილით დასჯის შემთხვევებმა განსაკუთრებით იმატა, მაგრამ 72.000-ისათვის არ მთუღწევია, როგორც ამას ზოგიერთი მწერალი აღნიშნავს.⁴ დასჯის ფორმები კიდევ უფრო სასტიკი გახდა. სიკვდილისჯილთებს ახრჩობდნენ, კოცონზე წვადნენ, წყალში ახრჩობდნენ და კუწავდნენ, ფატრავდნენ, ხარშავდნენ, ძვლებს უტყვავდნენ, ქვეს უშენდნენ, სოლზე სეპდნენ, ჭყლეტდნენ და შუაზე გლეჯდნენ. წამების მეთოდებიც უფრო სასტიკი გახდა. პატიმრებს დაღავდნენ, ორგანოებს აჭრიდნენ, წკეპლავდნენ და აწამებდნენ დანაშაულებისათვის, რომლებსაც ახლა ტრივალურს უწოდებენ. სახელმწიფოს მიერ სანქცირებულმა ამგვარმა სასასტიკებმა, რა თქმა უნდა, ვერ შეამცირა დამნაშავეობა, პირიქით, ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ მოსახლეობისათვის შეუბრალელობა და უღმობლობა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. დედოფალ ელიზაბეტ I-ის მმართველობისას (1558-1603) ინგლისელებმა დასჯის ახალი მეთოდების გამოცდა დაიწყეს. იმ დროს გაღერებზე მონობა როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, ფართოდ იყო გავრცელებული,⁵ რასაც დედოფალმა ელიზაბეტმა სასჯელის „უფრო შექმნარებული“ ფორმა უწოდა.⁶ კონტინენტის სხვა ქალაქი-სახელმწიფოები ასევე მიმართავდნენ დასჯის ამ ფორმას და პატიმრებს მონებად ყიდდნენ, მათ იტალიის ქალაქი-სახელმწიფოები ყიდულობდნენ გაღერების მონებად.⁷ გაღერების მონები მეთყრაბეტე საუკუნემდე მყავდათ საფრანგეთს, ესპანეთს, დანიას და სხვა ევროპულ

სახელმწიფოებს. გაღივებზე პირობები მართლაც შეტად „შემწყნარებლური“ იყო. რიგებად ჩამწერიებულ მიჯაჭვულ მონებს ყველანაირ კლიმატურ პირობებში გარეთ ამყოფებდნენ, მათრახით სასტიკად სცემდნენ და შკატრი რაციონით კვებავდნენ; მონები სიკვდილის სიხარულით ეგებებოდნენ.

ინგლისისა და კონტინენტურ ევროპაში პატიმრობა სასჯელის ძირითადი ფორმა არ ყოფილა. წმინდა რომის იმპერატორის ჩარლზ V (1532 წ.) სისხლის სამართლის კოდექსი პატიმრობას მხოლოდ ერთგან იხსენიებს. პატიმრობა თანდათანობით ჩამოყალიბდა კატორღის პრაქტიკიდან გამოდინარე, რომელიც სასჯელის პოპულარულ ფორმას წარმოადგენდა და მმართველებს იაფი მუშახელით ამარაგებდა. საბოლოოდ, პატიმრობა სასჯელის ძირითად ფორმად იქცა და კატორღამ პირველობა დაკარგა. მე-16 საუკუნის შუა ხანებში ძველი ინგლისური სასახლე „ბრიდული“ აქციეს „პატიმრობის სახლად. უფრო სწორედ კი გამოსასწორებელ სახლად.“ შემდგომში „ბრიდული“ შეიქმნა ყველა საგრაფოში.

სხვა ქვეყნების რეფორმატორებმაც შექმნეს მსგავსი დაწესებულებები. 1589 წელს პოლანდიელებმა შექმნეს სადისციპლინო სახლი – tuchhuis. მის მაგალითს გერმანია, დანია და შვედეთმა მიბაძეს. პატიმრობის მიზანი ბოროტმოქმედთა საზოგადოების სასარგებლო წევრებად ქცევა იყო, საშუალებად კი მძიმე შრომა და რელიგიური თავყანისცემა გამოიყენებოდა. მაგრამ ციხეები ჩამოყალიბებისთანავე გაიფიქრო. ინგლისელებმა პრობლემის გადაჭრა ციხეების უმოქმედო გემებზე გადატანით გადაწყვიტეს. მიტოვებული ეკლესია-მონასტრები ციხეებად აქციეს, მათი უზრავლეობა მდინარე ტემზას ნაპირებზე მდებარეობდა. 1640-იან წლებში ბრიტანეთის მთავრობას 12 ციხე შექმნა, რომელიც დაახლოებით 4.000 პატიმარს იტევდა. ასეთ ციხეებში წარმოუდგენელი იყო პატიმრების გამოსწორება. გადაჭედო შენობებში გააფიქრებული საგალალო სანიტარული პირობები გადაძებო ავადმყოფობების გავრცელებას და მასობრივ სიკვდილიანობას უწყობდა ხელს. დღეს მსოფლიოს საზოგადოება ერთიან აზრამდე მივიდა, რომ სამხედრო პატიმრებიც კი არ უნდა იმყოფებოდნენ ასეთ ციხეებში.

ბრიდულიები და გამოსასწორებელი სახლები რეფორმატორების იდეალს ვერასოდეს აკმაყოფილებდნენ. სინამდვილეში, ისინი მონების ბანაკებად იქცა, სადაც იაფი მუშახელის გამოყენება მმართველებს ამდიდრებდა. 1832 წელს პატიმრები ჯერ კიდევ მუშაობდნენ წისქვილზე, სადაც ხელებით თავს ზემოთ დამაგრებული ხის მორები ეჭირათ და ფეხით წისქვილის ქვებს ატრიალებდნენ.“ მე-18 საუკუნის ინგლისმა პატიმრებთან სხვაგვარი მოპყრობის საშუალება გამოძებნა – მათ კოლონიებში „ტრანსპორტირებას“ უსჯიდნენ. ვირჯინიამ და სხვა სამხრეთულმა კოლონიებმა ბევრი ასეთი პირი მიიღეს, რომელიც ქალაქებისა და პლანტაციების განვითარებაზე მუშაობდა. ამერიკის კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ინგლისი პატიმრებს ავსტრალიაში ამგზავრებდა, ავსტრალია სიამაყით აცხადებს, რომ მას მონების შრომის ვალი მართებს.“

2. დასჯა ახალ სამყაროში

ახალი ინგლისის (ნიუ-ინგლენდის) პირველი მოსახლეები იყვნენ პურიტანები, რომლებიც ინგლისის ეკლესიის უზენაესობას ეწინააღმდეგებოდნენ. ინგლისის კანონის უარყოფის მიუხედავად, ისინი დასჯაში ინგლისურ არსს დებდნენ, სამარცხვინო ბოძის ჩათვლით. მათი რელიგიური რწმენა ნიდერლანდების კალვინისტების რწმენის მსგავსი იყო, ქვეყნის, სადაც მიეფლაურის ჯგუფი ამერიკის დასალაშქრავად ემზადებოდა.

პოლიანდური სადისციპლინო სახლები, რომლებიც მათ ნიდერლანდებში ნახეს, ბოროტმოქმედთა გამასწორების იმედს უსახავდათ.

თუმცა, ამერიკულ გამასწორებელ მოძრაობას ახალმა ინგლისმა კი არა, პენსილვანიამ დაუდო სათავე.⁵ ოგი 1812 წლის 4 დეკემბრის უილიამ პენსის „დიდი კანონით“ დაიწყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გამასწორებელი სახლების შექმნას. მართალია, პენსის კანონი კრძალავდა ფიზიკურ სასჯელს და სიკვდილით დასჯას, მაგრამ უფრო მძიმე დანაშაულებსათვის შენარჩუნებული იქნა გაროზგვა.⁶

კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პენსილვანიამ კვლავ ინარჩუნებდა უილიამ პენსის ლიბერალურ სულის ფილადელფიაში ექიმმა უილიამ რაშმა (1745-1813 წ.წ.) წინ წამოსწია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმირების საკითხი. მისი მუშაობის მიზანი იყო სიკვდილით დასჯის გაუქმება და პენიტენციალური გამასწორებელი სახლების შემოღება. რაშმა ხელი შეუწყო მონობის გაუქმების პენსილვანიის საზოგადოებისა და საჯარო ციხეების საფალალო მდგომარეობის შემფასებელი ფილადელფიის საზოგადოების შექმნას (1787 წ.). ამის შედეგად 1790 წელს უოლნათ სტრიტის ციხეს გამასწორებელი ფლიგელი დაემატა. ხანგრძლივი განმარტოებული პატიმრობა პატარა საკანში, სავარაუდოდ, მონანიებისკენ მოუწოდებდა პატიმარს. მათ მუშაობის დროსაც ეკრძალებოდათ ერთმანეთთან კონტაქტი.

კვაკერის იდეა, სიკვდილით დასჯა მონანიებითა და მუშაობით შეეცვალა, დამარწმუნებლად გამოიყურებოდა. უოლნათ სტრიტის ფლიგელის შექმნიდან რამდენიმე წელიწადში ბოროტმოქმედების დონე შემცირდა. ნიუ-იორკმა (1791 წ.), ვირჯინიამ (1800 წ.), კენტუკმა (1800 წ.), ნიუ-ჯერსიმ (1798 წ.) და მოგვიანებით სხვა შტატებმა მიიღეს გამასწორების კონცეფცია და შეამცირეს სიკვდილით დასჯის გამოყენება. ეს რეფორმები კვაკერის შეხედულებების გამოძახილი იყო და შეიძლება განმანათლებლობის იმ მიმართულებაც ჩაითვალოს, რომელსაც მხარს უჭერდნენ ცეზარე ბეკარია იტალიაში, ჯონ პოვარდი, ჯერემი ბენტემი და ელიზაბეტ ფრაი ინგლისში.

პენსილვანიის სისტემა - განმარტოებული პატიმრობა. მიუხედავად ექსპერიმენტის მოიწვევებითი წარმატებისა, უოლნათ სტრიტის ციხეზე ფლიგელის მიშენებიდან ათი წლის თავზე ფილადელფიის საზოგადოების შემოწმებულმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ციხეში გამეფებულა: „უსაქმურობა, სიბინძურე და უბედურება“.⁷ ეს პირობები პატიმრების ჭარბი რაოდენობით და ხელმძღვანელობის მიერ სიტუაციის უმართაობით არ იყო გამოწვეული. პატიმრები არაფერს ინანიებდნენ, არ იყვნენ ჩაბმულნი სასარგებლო შრომაში და ხელმძღვანელობა ვერ უზრუნველყოფდა პატიმრების გამოსასწორებელ პირობებს.

ახალ გამოსავალად მიიჩნიეს უკეთესი ციხეები - უკეთესი პირობები და ხელმძღვანელობა. კვლევას სათავეში ედგა დოქტორი რაში. 1813 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ და ფილადელფიის საზოგადოების ლობირების შედეგად პენსილვანიის კანონმდებლობამ დაამტკიცა ორი ახალი გამასწორებელი სახლის შშენებლობა, დასავლურის - ბიტსბურგში და აღმოსავლურის - ფილადელფიაში. 1826 და 1829 წლებში მათ მიიღეს პირველი პატიმრები.

დასავლურ გამასწორებელ სახლებს მრგვალი ფორმა პქონდა და ცენტრალური საგუშაგოდან შეიძლებოდა ყველა საკნის კონტროლი. პატიმრები დაბინავებული იყვნენ პატარა საკნებში, რომელთა აუცილებელი ატრიბუტი იყო ბიბლია. პატიმრებს საკნებში უნდა ემუშავათ, უფლება ეძლეოდათ დღეში ერთი საათი ევარჯიშათ. ერთმანეთთან კონტაქტი ამ დროსაც ეკრძალებოდათ. სისტემამ საშიში ფაქტორები

დააფიქსირა: ადგილებულობის დონემ იმატა, ფსიქოზების შემთხვევები გაზარდა. მალე აუცილებელი გახდა დიდძალი თანხების გაღება და ციხის რეკონსტრუქცია საკანში დღის შუკის შესაღწევად. აღმოსავლური დაწესებულებაც ამგვარადვე ფუნქციონირებდა - პატიმრობა, საკანში მუშაობა, რელიგიური ინსტრუქციები და მონაწიება. თუმცა, მტკიცე დისციპლინას ვერც აქ მიაღწიეს.

ობორნის სისტემა - ერთობლივი მუშაობა. პატიმრობისადმი ალტერნატიული მიდგომა შეიმუშავეს ნიუ-ორკში ობორნის გამასწორებელ სახლში. სიჩუმე და მუშაობა - პენილენგანის სისტემის ძირითადი თავისებურებები შენარჩუნებული იყო, რასაც ერთი სახლზე დაემატა - ერთობლივი მუშაობა. ახალგაზრდა ბოროტმოქმედებს უფლება ეძლეოდათ ჯგუფურად ემუშავათ და ეჭამათ, თუმცა, დალაპარაკება და ერთმანეთისათვის შეხედვის უფლება არ პქონდათ. პენილენგანის სისტემის შემდეგ, რომელიც პატიმრებს მხოლოდ საკანში მუშაობის საშუალებას აძლევდა და რომელიც ძალზედ ძვირი იყო, შტატების უმრავლესობამ ობორნის სისტემა მიიღო. ერთობლივი მუშაობა რენტაბელური იყო. ბევრმა გამასწორებელმა სახლმა მოგებაც მიიღო.

3. რეფორმატორული მოძრაობა

სამოქალაქო ომის შემდეგ ამერიკელები ორივე ტიპის გამასწორებელი სახლებით უკმაყოფილოები დარჩნენ. მონაწიება იშვიათად თუ იყო პატიმრობის შედეგი. სისასტიკე და კორუფცია ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ფუნქციონირების ხარჯები გაიზარდა. 1870 წელს ციხეების ადმინისტრატორები პრობლემების განსახილველად ცინცინატიში შეიკრიბნენ. შეკრებილთა შორის იყვნენ გეილორდ ჰუბელი, ნიუ-ორკის სინგ-ზინგის ციხის უფროსი, ენოხ ვაინი, ნიუ-ორკის ციხეების ასოციაციის მდივანი ფრანკლინ სანბორნი, მასაჩუსეტსის გამასწორებელი სახლის ადმინისტრატორი და ზებულონ ბროკევი, მიჩიგანის გამასწორებელი სახლის ხელმძღვანელი დეტროიტიდან. ჯგუფმა ერთუზიანობით მიიღო ორი ინგლისელი რეფორმატორის - კაპიტან ალექსანდრე მაკონოშის და სერ ვალტერ კრაფტონის იდეები.

მაკონოში და კრაფტონი მოუწოდებდნენ შურისძიების პოლიტიკაზე ხელის აღებას და მორალური გამოსწორებისა და რეფორმაციის იდეების დანერგვას. მიდგომა მეცნიერული უნდა ყოფილიყო და პატიმრების კლასიფიკაციით უნდა დაწყებულიყო. განაჩენები - განუსაზღვრელი, ხოლო გათავისუფლება - გამასწორებელ სახლში გამოსწორების ჯილდო უნდა ყოფილიყო. ახალი რეფორმის მხარდაჭერა ევალებოდა კონფერენციაზე შექმნილი ციხეების ასოციაციას. რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა შტატმა ააშენა გამასწორებელი სახლები, ძირითადად, ახალგაზრდა პატიმრებისთვის. ნიუ-ორკის გამასწორებელი სახლი მოდელს წარმოადგენდა (1876 წ.). ოპტიმიზმი გაქრა, თუმცა, ცხადი გახდა, რომ გამასწორებელი სახლები ვერ გამოასწორებდნენ პატიმრებს.¹¹

4. სამედიცინო მკურნალობის მოდელი

1 მსოფლიო ომის შემდეგ გასწორების სფეროში ახალი მიმართულება გაჩნდა. ომის დროს წვევაშედეგებს ევალებოდათ ფსიქოლოგიური ტესტირების გავლა. ფსიქიატრია ინდივიდუალური და სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებად იქნა მიჩნეული. ფსიქიატრები (კერძოდ კი ფსიქონალიტიკოსები) და ფსიქოლოგები დაზნაშაფთა გამოსწორების და სისხლის სამართლის რეფორმის საქმეში ჩაებნენ. ამერიკის ციხეებში შემოიღეს ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის პრაქტიკა. ეს სამედიცინო მოდელი მუშაობდა მეორე მსოფლიო ომამდე.

მთუხდავად პატიმრებისადმი კეთილი განწყობისა და პაციენტებად აღქმისა, პატიმრობის პირობები უმნიშვნელოდ შეიცვალა. პატიმრებს უფლება ეძლეოდათ, დაეტოვებინათ საკანო ფარჯისი, ერთობლივი მუშაობის, ლოცვის, თერაპიისა და კვების დროს. სიწუხე სავალდებულო იყო. ყველანაირი გადაადგილება საკანიდან უზოში ან სალოცავში ხდებოდა ჯგუფურად და მკაცრად კონტროლდებოდა. ციხეებში სამხედრო დისციპლინამ დაისადგურა, რაც ზუსტად ასახავდა რეალობას - ციხეების თანამშრომლების უმრავლესობა სამხედრო სამსახურიდან იყო მოწვეული. წესების უმნიშვნელო დარღვევაც კი მკაცრად ისჯებოდა, ძირითადად, გაროზგვით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამედიცინო მოდელი შემორჩა სახელწოდებით თერაპიული მოდელი და რეაბილიტაციის მოდელი. კალიფორნია ამ მოდელის დანერგვის პიონერი იყო, თუქსა, თითქმის ყველა შტატში დამკვიდრდა ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიის პროგრამები, თერაპიული საკონსულტაციო მომსახურება და სხვადასხვა სახის ქცევის შეცვლის პროგრამები, შოკური და მოულტონდენტობის თერაპიის ჩათვლით. ამ პროგრამებმა უფლებების დაცვის საკითხები წამოჭრა, მათი უმეტესობა არასათანადოდ ფინანსდებოდა და შეუსაბამო შტატით იყო დაკომპლექტებული. ზეგავლენის მოხდენა პატიმრების მხოლოდ მცირე ჯგუფზე მოხერხდა, შედეგებმა კი მკვლევარებს ყოველგვარი იმედები გაუტრუვათ.

5. საზოგადოების მონაწილეობა

ამ პერიოდში ამერიკის გამოსასწორებელ სახლებში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ციხეებში ბოროტმოქმედთა გამოსწორებას ვერ ახერხებდნენ და უკეთეს შემთხვევაში ციხის პირობებში გადარჩენის საშუალებას აძლევდნენ, დაიწყო დამანაშავეთა საზოგადოებასთან შერწყმის მცდელობა. საზოგადოების წარმომადგენლები მოვიდნენ ციხეებში - დაიწყო დამანაშავეების გაყვანა საცდელი ვადით, პირობით ვადამდე გამოშვების გამოყენებით. მოგვიანებით, სამუშაოდ გათავისუფლების და საზოგადოებრივი პროექტების პოპულარობის ხანა დადგა, მთუხდავად ამისა, პატიმრები მხოლოდ სისტიემის ნაწილს წარმოადგენდნენ და უნდა შეგუებოდნენ იმას, რასაც თავაზობდნენ.

6. პატიმრების უფლებების დაცვის მოძრაობა

1960 წლის შუა ხანებიდან მსოფლიოში სწრაფად განვითარებადი სოციალური ცვლილებები შეინიშნებოდა. აშშ-ში უმცირესობებმა - თანასწორობა, ქალებმა საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში თანასწორი უფლებები მოითხოვეს, სტუდენტები აჯანყდნენ გართულებული საკანონმდებლო სისტემის გამო, ახალგაზრდები უფროს თაობას აღუდგნენ. პატიმრებიც საკუთარ უფლებებს ითხოვდნენ, მაგრამ გამასწორებელი სისტემა პაიუსის გასაცემად მზად არ იყო. აჯანყება 1971 წლის 9 სექტემბერს ნიუ-იორკის ატიკას შტატის საპრობილეში დაიწყო, სადაც 2.200 პატიმარი იხდიდა სასჯელს. პატიმრებმა შენიღბის დიდი ნაწილი დაიკავეს და ოფიცრები მძევლებად აიყვანეს. გუბერნატორმა ნელსონ როკველერმა შტატის პოლიციას შეტევის დაწყება უბრძანა. ვერტმფრენებიდან ყუმბარებს და გაზით სავსე ბალონებს ყრიდნენ. 4 დღის და 43 ადამიანის სიკვდილის შემდეგ „სიმშვიდე“ აღდგა.⁷

რატომ აჯანყდნენ პატიმრები? როგორც მათი მოთხოვნების ჩამონათვლიდან ჩანს, მათ კონსტიტუციური ფუნდამენტური უფლებების გამოყენების უფლებაც კი არ ჰქონდათ. ჯ. თ. უ. მოულერმა და დუგლას ჯ. ბეშაროვმა პატიმრების მოთხოვნების ჩამონათვალი შეადარეს პატიმრებთან მოპყრობის გაეროს სტანდარტულ მინიმალურ წესებს, რომლებსაც მთელი მსოფლიო, ამერიკის ჩათვლით, დაეთანხმა. ეს წესები ითვალისწინებს

კვების კონკრეტულ რაციონს, საინფორმაციო განხილვას, პიტიონის ნორმების დაცვას, რელიგიურ თავისუფლებას, გარე სამყაროსთან კონტაქტს, მკურნალობას, განათლებას, იურიდიული კონსულტაციების გაწევას, გამოსწორებას, სამედიცინო დახმარებას, უმცირესობების ჯგუფებთან მომუშავე პერსონალის ყოლას, პატიმრების დაფინანსებას, განაწინის გადასინჯვას, პირობით ვადამდე გათავისუფლებას და დისციპლინას. პატიმრების მოთხოვნების უმრავლესობა გამართლებული იყო გარანტირებული მინიმალური სტანდარტებით.¹⁹

ატლიკაში მომხდარმა ფაქტმა ადმინისტრატორები შოკში ჩააგდო. 1960 წლის დასაწყისში მოხდა პატიმრების უფლებების დაკანონება, მაგრამ ატლიკაში მოწყობილმა აჯანყებამ კარი გაუღო პატიმრების მიერ დაწყებულ სასამართლო პროცესებს, რომლებზეც პატიმრები არა მარტო ამტკიცებდნენ თავიანთ უფლებებს, არამედ ითხოვდნენ კიდევაც პატიმრობის პირობების დაცვას.²⁰ მე-20 საუკუნის შუა წლებამდე ბევრი შტატის სისხლის სამართლის კოდექსით ბრალდებულის პატიმრობა მის სამოქალაქო სიკვდილთან იყო გაიგივებული: პატიმარი კარგავდა ყველანაირ სამოქალაქო უფლებას, არჩევნებში მონაწილეობის უფლების ჩათვლით; პატიმრის მეუღლე უფლებამოსილი იყო განქორწინება მიეღო.

სასამართლოები სასჯელადისრულების დაწესებულებების მართვაში მონაწილეობას არ იღებდნენ. 1951 წელს „ალკატრაზის მეფრინველს“ საქმეში პატიმრის შესახებ, რომელიც ციხეში ძალზედ პატივცემული ორნიტოლოგი გახდა, ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სასამართლოების ფუნქციას არ წარმოადგენს გამასწორებელ სახლებში მყოფი პირებისადმი დამოკიდებულებისა და დისციპლინის ზედამხედველობა“²¹ რასაც „ხელის აღების“ დოქტრინა ეწოდება.

1960-იან წლებში ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირის ეროვნული ცხებების პროექტმა, იურიდიული დაცვისა და განათლების ფონდის და ფედერალური მთავრობის ეკონომიკური შესაძლებლობების ოფისის იურიდიული სამსახურის, ასევე მოხალისე იურისტების, თვითნასწავლი ციხის ადვოკატების მცდელობა, შეეცვალათ „ხელის აღების“ დოქტრინა, წარმატებით დასრულდა.²² მას შემდეგ მიღებული იქნა სხვადასხვა უფლებების დამკვიდრების გადაწყვეტილებები. პატიმრებს ახლა ადამიანური ცხოვრების პირობები აქვთ, ხელი მიუწვდებათ იურიდიულ დახმარებაზე, იურიდიული ხასიათის ბიბლიოთეკებზე, სარგებლობენ აღმსარებლობის თავისუფლებით. კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები პატიმრებმა საბოლოოდ მიიღეს.²³

პატიმრების უფლებების ლეგიტიმურმა ხასიათმა ამერიკის გამოსასწორებელ სისტემაზე დიდი გავლენა იქონია. ზოგიერთმა ადმინისტრატორმა ეს გადაწყვეტილებები სიხარულით მიიღო. სასამართლოს დადგენილებით ან სასამართლოს დადგენილებების მუქარით მათ ახლა შეუძლიათ საჭიროდ მიჩნეული გაუმჯობესებელი წესების განხორციელება. თუმცა იყვნენ ისეთები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ სასამართლოს დადგენილებები სასჯელადისრულების დაწესებულებათა მართვაში შეუსაბამო ჩარევას წარმოადგენდა.

1980-1990-იან წლებში უზენაეს სასამართლოში განსახილველი საქმეების რაოდენობამ რამდენიმე მიზეზის გამო იკლო: 1. უზენაესმა სასამართლომ ამ პროცესის აღსრულებისას უფრო შეზღუდული პოლიტიკა დაიჭირა. 2. სასჯელადისრულების დაწესებულებათა ადმინისტრატორები, მიუხედავად სასამართლო პროცესების მიერ მათზე მოხდენილი ზეგავლენისა, ცდილობდნენ (თუმცა, ხშირად წარუმატებლად) სავალდებულო ნორმებთან შესაბამისობის დარღვევას. 3. ბევრმა სისტემამ ურთიერთობების გაუმჯობესების ალტერნატიული საშუალებები შეიმუშავა, როგორცაა საჩივრის პროცედურები, შუამდგომლობა და განხილვის გადასინჯვის საბჭოები. 4. მაშინ, როდესაც

საქართველოში დაკავებულები იყვნენ პატარების უყვლებების დადგენით, აღმასრულებლობის უმრავლესობამ ამჯობინა ძვირადღირებული ახელაციების თაფიდან აუღლებს გზას არჩევა. შტატების გამოსწორებელი სისტემების უმრავლესობა საქართველოში დადგენილებით იძულებული იყო, გამოსწორებინა პატარების პირობები.

§2 გასწორების სისტემა თანამედროვე ეტაპზე

პატარების უყვლებების დაცვის მოძრაობა ორი ფაქტორიდან ერთ-ერთი იყო, რომელიც შეცვალა ამერიკის გამოსწორებელი სისტემის ხასიათი. მეორე ფაქტორმა შტატის წლების შუა ხანებში კვლავ წამოსწია წინ დამსახურებული სასჯელის ფორმა. მაშინ როდესაც განაჩენს გამოტანა სადამსჯელო და პროპორციული სასჯელის გამოტანაზე იყო ორიენტირებული, გამოსწორება სადამსჯელო გახდა. პოლიტიკოსებმა და კანონმდებლებმა დააწყეს სასჯელადსრულების იმ დაწესებულებების ღობობობა, რომლებიც ათხიდან მათთან ისეთი პროგრამების დანერგვას, რომლებიც ადგილობრივად ხორციელი დარბაზებით, ტელევიზორით, სამხედრო ხელოვნებით, პედაგოგების ეხმარებით, სფარეგით სარგებლობის, განათლების მიღების შესაძლებლობებს. დისკრედიტებული სარეაბილიტაციო პროგრამების უმრავლესობა გააუქმა პატარები იხდიდნენ სასჯელის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციულად. მათ მიერ სასჯელის მოხდას არ შექონდა რეაბილიტაციის ან გამოსწორების მიზანი.²⁴

ბრალდებულის წინააღმდეგ სადამსჯელო დამოკიდებულების გაძლიერებამ სავალალო შედეგები გამოიღო: კანონმდებლები უფრო მკაცრ სადამსჯელო კანონებს იღებდნენ და ბრძობით ვადაძდე ვათავისუფლების საბჭოები საერთოდ უარს ამბობდნენ ან ნაკლები ერთუნიანი იღებდნენ შესაბამის ვათავისუფლების გადაწყვეტილებებს.

1 პატარობის ტიპები

არსებობს სასჯელადსრულების დაწესებულებათა ორი სახეობა: დაკავების და გამოსწორებელი დაწესებულებები. როგორც წესი, პირველი ტიპის დაწესებულებებში პატარები სასჯელის არ იხდიან და ტექნიკურად ეს ციხეები გამოსწორების მიზანი არ ეწიხებურება. თუ ხდება მათი დროებით მოთავსება დაპატარებიდან სასამართლოს დამთავრებამდე და გამოსწორებელ დაწესებულებებში ტრანსპორტირებამდე, გამოსწორებელ დაწესებულებებში შედის საოლქო ციხეები, შტატის და ფედერალური სატუსალოება. საოლქო ციხეებში მცირე დანაშაულისათვის დაკავებული პირები, როგორც წესი, არაუშეგებს 1 წელს ატარებენ. შტატის და ფედერალური სატუსალოების პატარები სასჯელის მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის, როგორც წესი, 1 წელზე მეტ ხანს იხდიან.

თუმცა წესებს უამრავი გამონაკლისი აქვს. საოლქო და ქალაქის ციხეები ხშირად ორ მიზანს ემსახურებიან: დაპატიმრებული პირები იქ გამოისასწორებელ დაწესებულებაში ტრანსპორტირებას ელოდებიან და ასევე სასჯელის ოდენობა ნაკლებად მძიმე (მისდინორების) დანაშაულის ჩადენისათვის. უფრო მეტიც, იმის გამო, რომ შტატის ციხეების უმრავლესობა გადაესებულია, სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ მძიმე დანაშაულისთვის პატიმარს სასჯელი შტატის სატუსაღოში მოახდევინონ, არ არსებობს.

ციხეები კრიმინალიტიკები მიიჩნევენ, რომ ციხის პირობები საპროცესო სისტემის საკმაოდ ჩამოუვარდება. ციხეების უმრავლესობაში დაცული არ არის სანიტარული პირობები, პატიმართათვის განკუთვნილი პროგრამების რაოდენობა შეზღუდულია.²⁵ არ ხდება პატიმართა განსხვავება საშიშროების მიხედვით, ციხეები ხშირად გადავსებულია და არასაკმარისად ფინანსდება.²⁶

აშშ-ში 3.304 ციხეა. ერთი შტატის ციხე სიდიდით შეიძლება მეორე შტატის სატუსაღოს სისტემას უტოლდებოდეს. ლოს-ანჯელესის მაშაჰატა ციხე 5.800 პატიმარს იტევს. ჩიკაგოში კუკის საოლქო ციხე - 4.600 პატიმარს. პერიოდურად მოქმედი ბევრი ციხე პატარაა და გადასახადების სისტემით ფუნქციონირებს - ოლქის მთავრობა დღიურად ხდის ერთი პატიმარის სამყოფ განსაზღვრულ თანხას. ეს თანხა, როგორც წესი, ციხის მთლიან ბიუჯეტს შეადგენს. შედეგად, დაიწყო რამდენიმე მეზობელი ოლქისათვის ცენტრალური ციხის ჩამოყალიბების მოძრაობა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, გაენაწილებინათ ხარჯები.

მენტალური პრობლემების მქონე პირთა ცალკე გამოყოფის მოძრაობა 1960-იან წლებში დაიწყო, რამაც კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეუქმნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას, განსაკუთრებით კი - ციხეებს. ნუ-ჯერსის ოლქის ციხეების კვლევამ უჩვენა, რომ პატიმარების 10.9%-ს წარსულში გარკვეული მენტალური პრობლემები აქვს გადატანილი.²⁷ მათ რიცხვში არ შედიან ისინი, ვინც განსაკუთრებულ პრობლემაში მყოფობდა უცნაური, არარაციონალური და სასტიკი ქცევის გამო. ასეთი პატიმარების უმრავლესობას მკურნალობა უკონდა გავლილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

ციხეების პერსონალს, კანონიერების დაცვის ან გამასწორებელი დაწესებულებების თანამშრომლებს ამ მასიურ პრობლემასთან მუშაობის გამოცდილება არ გააჩნდათ.²⁸ ექსპერტები ამტკიცებდნენ, რომ თუ ციხეებს უწევდათ ემოციურად არამდგრად პატიმრებთან მუშაობა, გათავისუფლების შემდეგ აუცილებელი იყო მათი დიაგნოსტიკის, კრიზისულ პერიოდში ჩარევის და შემთხვევების მართვის პროგრამები.²⁹

საპროცესო სისტემა. მიუხედავად სახელწოდებისა საპროცესო სისტემაში უკეთესი მენეჯმენტი, განათლების პროგრამები, გამასწორებელი ღონისძიებები, სამუშაო პროგრამები იყო დანერგული. მაგრამ ეს არც არის გასაკვირი - საპროცესო სისტემა უფრო დიდია, მეტ პატიმარს იტევს, შესაბამისად, უფრო დიდი ბიუჯეტი აქვს. საპროცესო სისტემებიდან გამოშვებულნი, შეიძლება იყოს სამი ტიპის:

- *მკაცრი (მაქსიმალური) რეჟიმის საპროცესო სისტემები* განკუთვნილია ყველაზე საშიში და აგრესიული პატიმარებისათვის. შენობებს მაღალი ბეტონის კედლები ან ორმაგი ღობეები აქვს შემოვლებული, საგუშაგოები, რომლებსაც შეიარაღებული თანამშრომლები იცავენ, ელექტრონული მონიტორებით არის აღჭურვილი.
- *გაძლიერებული (საშუალო) რეჟიმის საპროცესო სისტემები* განკუთვნილია ნაკლებად საშიშ პატიმარებისათვის, რომელთა გაქცევის საშიშროება უფრო დაბალია, ვიდრე

მკაცრი რეჟიმის საპრობლემატიკო პატიმრებისა. ასეთი ტიპის საპრობლემატიკო გარემოებებში ღირებულებით და არა კედლებით. პატიმრები განთავსდებიან არა მხოლოდ საცხოვრებლებში და საკანებში.

- საერთო (მნიშვნელოვანი) რეჟიმის საპრობლემატიკო განკუთვნილია არასაშიში პატიმრებისათვის. ძალზე ხშირად, ასეთ დაწესებულებებში შეიარაღებული მკვლელები არ არიან და შენობა გულანთავსება და ღირებულებით არ არის დაცული. ასეთი დაწესებულების პატიმარმა დაამტკიცა, რომ საიმედოა გამოსწორების თვალსაზრისით, მისი ქმედება არ ხასიათდება სისასტიკით და/ან ხანმოკლე სასჯელს იხდის.

განდა ახივე მკაცრი რეჟიმის საპრობლემატიკო ახალი ფორმა – განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საპრობლემატიკო. აქ სასჯელს იხდიან გასამართლებული ჯაშუშები, ორგანიზებული დამნაშავეები, განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედები (სექსუალური მანიაკები და სერიული მკვლელები).

დღესდღეობით აშშ 42 შტატში 57 განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საპრობლემატიკო. მათი აშენება და შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვს. ფლორენსში (კოლორადოს შტატი) არსებული ასეთი საპრობლემატიკო შენახვისათვის გაწეული ხარჯები 60 მილიონ დოლარს აღწევს.³⁰ მასში დამონტაჟებულია 1,400 ლითონის ელექტრონული ჭიშკარი, სასიკვდილო ეკლიანი ღობეების უსასრულო რაოდენობა, აუდიო- და ვიზუალური ტექნიკის უახლესი ნიმუშები, ვერტმფრენისა და ავტომობილების დანადგარები, ექსპი ტყვიანობის კოშკურა შეიარაღებული დაცვისათვის. პატიმრები ცხოვრობენ „ვიწრო სასაარსო არხით დაკავშირებულ საკანთა მწკრივში“.³¹ კვირაში ერთსაათიანი ვარჯიშის დროს შეგიძლიათ თვალყური ადევნოთ „30 კვადრატული ფუტის საკანში მართო მორბენალ პატიმრებს, რომლებიც ზოობარკში გამოიწვევდნენ მხეცებისგან დაღიან წინ და უკან.“³²

2. გამასწორებელი დაწესებულების ზომა და შენახვის ხარჯები

გამასწორებელი დაწესებულება საჭიროებს პერსონალის დიდ რაოდენობას და მნიშვნელოვან თანხებს. 1998 წელს 1500 მეტ შტატისა და ფედერალურ საპრობლემატიკო სასჯელს იხდიდა ისტორიაში ყველაზე მეტი 1,302,019 პატიმარი,³³ ადგილობრივ ციხეებში აღირიცხა კიდევ 592,462 პატიმარი³⁴, თუ ამას დაბატონებული ბავშვების რაოდენობას დაემატებთ, მათი რიცხვი კი 108,746 შეადგენს, გამოვა, რომ აშშ-ში ყოველ დღე პატიმრობაში 2 მილიონზე მეტი ადამიანი იმყოფება, ანუ 149 მოქალაქიდან ერთი პატიმარია.³⁵

ეს რიცხვი არ მოცავს მცირე დანაშაულობისათვის და არეულობებისათვის დაკავებულ 41,874 პირს.³⁶ მათ უმრავლესობას ყოველდღიურად აკავებენ (როგორც წესი, რამდენიმე დღით) ქვეყნის 13,500 პოლიციის განყოფილებაში, წინასწარი დაკავების დაწესებულებებში, პოლიციის და შერიფის დეპარტამენტებში.³⁷

პატიმრების უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, 1998 წელს შტატების და ფედერალურ გამასწორებელ დაწესებულებებში მხოლოდ 82,700 ქალი იმყოფებოდა მაშინ, როცა მამაკაც პატიმართა რაოდენობა 1,195,000-ს აღწევდა. 1981 წლიდან პატიმარი ქალების რაოდენობა პატიმართა პროცენტული შემადგენლობის მიხედვით 4.2-დან 6.4-მდე გაიზარდა.³⁸ შტატის და ფედერალურ საპრობლემატიკო 1997 წელს თეთრკანიანების რაოდენობა 578,000 იყო, ხოლო შავკანიანების – 584,400.³⁹ შავკანიან პატიმართა რიცხვი 8-ჯერ აჭარბებს თეთრკანიან პატიმართა რიცხვს. 1997 წელს შავკანიანთა პატიმრობის დონემ ყოველ 100,000 შავკანიან მოსახლეზე 3,209-ს, ხოლო თეთრკანიანთა პატიმრობის დონემ ყოველ 100,000 თეთრკანიან მოსახლეზე 401-ს მიაღწია.⁴⁰

გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსების გარდა, შესაძლებელია შიჯავრდებულთა გადაცემა არაინსტიტუციონალურ, ანუ საზოგადოებრივ საწყისებზე. ესენია ძირითადად, არიან პრობაციის პირობით გათავისუფლებული პირები, რომლებსაც ეძლევათ უფლება, მიიხადონ სასჯელი საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმით, და პირობით ვადაძლე გათავისუფლებული პირები, რომლებიც ასევე იხდიან სასჯელს საზოგადოებაში. 1997 წლის ბოლოსათვის 3.261.888 სრულწლოვანს მისჯილი ჰქონდა პრობაცია, ხოლო 685.033 - პირობით ვადაძლე იყო გათავისუფლებული. შესაბამისად, 18 წლის ასაკს გადაცილებული 5 მილიონზე მეტი ქალი და კაცი, ანუ აშშ მოსახლეობის 2.9% საჭიროებს გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებას.⁴¹ „ნიუ-იორკ ტაიმის“ ფურცლებზე ფოქს ბატერფილდმა დასვა კითხვა, სომ არ გადააჭარბებს პატიმრების რაოდენობა კოლეჯის სტუდენტების რაოდენობას ამერიკაში.⁴² გამასწორებელი დაწესებულებების ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობა სწრაფად უახლოვდება 6 მილიონიან ზღვარს, რაც კოლეჯის სტუდენტების რაოდენობას უდრის.

აშშ-ში პატიმრობის დონე - 100.000 მოსახლეზე 668 პატიმარი - ჩამოუვარდება მხოლოდ რუსეთის მონაცემებს (685 - 100.000).⁴³ ასეთი მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნებია ბელორუსია (505), ყაზახეთი (495), სამხრეთ აფრიკა (320). ეს ციფრები განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მონაცემებთან შედარებით, მაგალითად, გერმანია (90), ნიდერლანდები (85), იტალია (85) და ნორვეგია (56). ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყნის - ააონის მონაცემები 40-ს შეადგენს.⁴⁴

ფედერალური და შტატების გამასწორებელი დაწესებულებების შენახვის ღირებულებამ 1996 წელს 24,5 ბილიონი დოლარი შეადგინა და შტატების და ფედერალური სისტემების ზრდამ, შესაბამისად - 83% და 160%.⁴⁵ ეს შეიძლება კოლოსალური თანხების შთაბეჭდილებას ტოვებდეს, სინამდვილეში კი, მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების მხოლოდ 1%-ია. შტატებს შორის არსებული განსხვავებების მოუხედავად, საშუალოდ, ერთი პატიმრის შენახვა, კვება, ჩაცმა და ზედამხედველობა წელიწადში 20.000 დოლარი ჯდება. ვინაიდან ეს თანხა არ მოიცავს არაპირდაპირ ხარჯებს, რეალური წლოვრი თანხა ერთ პატიმარზე, საგარეოდ, 30.000-ს აჭარბებს.⁴⁶ აქედან საერთო რეჟიმის საპრობილეებში ერთი პატიმრის შენახვის თანხა 7.000 დოლარს შეადგენს, მკაცრი რეჟიმის საპრობილეებში კი - 55.000-მდე აღის.

3. სასჯელადირულების დაწესებულებებში პატიმრების ჭარბი რაოდენობით თავმოყრის პრობლემები

ახლანდელ ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელიც სიხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებს მიეძღვნა, ააონის გამასწორებელი დაწესებულების ადმინისტრატორმა იკითხა: „ჩვენი ციხეების საკნების ნახევარზე მეტი თავისუფალია და პატიმრების რაოდენობა კლებულობს. აქვს თუ არა ჩემს მიერ არჩეულ პროფესიას - შიჯავრდებულთა გამოსწორებას - მომავალი?“ ამერიკის გამასწორებელი დაწესებულებების თანამშრომლებს ამგვარი პრობლემები არ აქვთ. 1970-იანი წლების დასაწყისიდან ამერიკის გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რიცხვი იზრდება, რაც დანაშაულის ჩადენის რიცხვთან დაკავშირებული არ არის.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, პატიმართა რიცხვი გაიზარდა სადამსჯელო ღონისძიებების გამკაცრების გამო, რასაც ხელს უწყობს ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ დანაშაულთა ჩადენის შიში და ინფორმაციის მასობრივი წყაროების გააქტიურებული ყურადღება დანაშაულის მიმართ. მკვლევარები ემხრობიან სადამსჯელო სისტემის გამკაცრებას, ეწინააღმდეგებიან რეაბილიტაციის იდეას და მხარს უჭერენ

დამსახურებულ სასჯელს. ამ არგუმენტებში წარმომევა საკანონმდებლო პროგრამები, რომლებიც მკაცრად ზღუდავენ სასამართლო უფლებამოსილებას განაჩენის გამოტანისას და კონკრეტული დანაშაულისათვის კონკრეტული განაჩენის გამოტანას. 1980-დან 1996 წლამდე შტატების საპრობილიტებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის სასჯელმისჯილობა რაოდენობა გასამზადდა, ხოლო ფედერალურ საპრობილიტებში - გაორმაგდა.⁴⁷ უფრო მეტიც, არსებული კანონმდებლობა კიდევ უფრო მატებდა პატიმრებს ისედაც გადასესებულ ციხეებს.

მკვლევარები კვდილობენ ალტერნატიული პირობების საშუალებით დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ახსნან პატიმრების რაოდენობის ზრდის პრობლემას. პატიმრების ყველაზე კრიმინოგენურ ჯგუფებად მიჩნეულია 18-დან 25 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მამრობითი სქესის მოსახლეობა, რომლის რიცხვმა 1960 წლიდან საგრძნობლად იმატა. მაგრამ ეს ახსნა ბოლომდე დამაკმაყოფილებელი არ არის. რადგან პატიმრების რაოდენობის ზრდა აჭარბებდა ციხისადმი მიდრეკილების მქონე მოსახლეობის რაოდენობის ზრდას.⁴⁸

გასული ოცი წლის მანძილზე პატიმრების რიცხვის სწრაფმა ზრდამ ხელი შეუწყო პატიმრების უფლებების გადასინჯვას.⁴⁹ 1997 წლის ბოლოს შტატის საპრობილიტები 13%-დან 22%-მდე აჭარბებდნენ პატიმრების დადგენილი რაოდენობის ნორმას, ხოლო ფედერალური საპრობილიტები - 27%-ით. ყველა ოურისდიქციაში სიტუაცია კრიტიკული გახდა.⁵⁰ 1997 წლის ბოლოს 32 შტატის და ფედერალური სასჯელადისრულების სისტემაში დაფიქსირდა პატიმრების ჭარბი რაოდენობით თავმოყრის პრობლემა.⁵¹ სიტუაცია კვლავ რთული რჩება.

4. ციხის კულტურა და საზოგადოება

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სოციოლოგები სწავლობდნენ ციხეებს, როგორც საკუთარი ტრადიციების, ნორმების, ენისა და როლის მქონე სოციალურ ერთეულს. პატიმრები განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ. ისინი, მართალია, არა საკუთარი ნებით, მაგრამ ცხოვრობენ და ჯგუფში უნდა დარჩნენ მაშინაც კი, თუ მათი სიცოცხლის ზღვარის დასაცავად შეიქმნება.

შეზღუდვების მოდელია ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ ციხეში ჩამოყალიბებული ტრადიციები, ნორმები, ენა და როლები ციხის ცხოვრების შეზღუდვებით არის გამოწვეული (შეზღუდვების მოდელი). დონალდ კლემერი, რომელმაც აღწერა ციხის კულტურა და პატიმრების ადაპტაცია, იყენებს ტერმინს „ციხეში ჯდომა“ და აღწერს პატიმრების მიერ ციხის საზოგადოებასთან შეგუების რთულ პროცესს და იმას, თუ რას ითხოვს ეს საზოგადოება მისგან. უბრველეს ყოვლისა, პატიმრები კარგავენ სამოქალაქო სტატუსს და იღებენ პატიმრისათვის განკუთვნილ უნიფორმას და შესაბამის ნომერს, რითაც ექვემდებარებიან ციხის მკაცრ წესებსა და იერარქიას. დროის განმავლობაში ისინი ეგუებიან ამ დაკანონებულ როლს; თვისებენ ჭამის, ძილის და მუშაობის ახალ ჩვევებს; სწავლობენ იმას, რომ არსებობისათვის არაფისთან ვალში არ არიან.⁵²

კლემერის ნაშრომზე დაყრდნობით, გრემამ მ. სიქსმა აღწერა ახალი პატიმრის მიერ განცდილი „პატიმრობის ტვიფალი“.⁵³ პირველ რიგში, პატიმრებს ართმევენ თავისუფლებას, მეგობრებსა და ოჯახს. შედეგად გაწყვეტილი ემოციური კავშირები, მოწყვნილობა, მარტოობა. მეორე, პატიმარს ართმევენ ნივთებს და მომსახურების მიღების საშუალებას. სადაც უფრო ზედმიწევნით არის დაცული წესი, რომ პატიმარმა უნდა მიიღოს „სამი კვადრატული მეტრის საკანი და სუფთა ზეწრები“, მით უფრო დაბალია ელემენტარული

საყოფაცხოვრებო პირობები. მესამე, პატიმრებს ართმევენ პეტეროსიქისუალური ურთიერთობის შესაძლებლობას. კრიმინალისტიკა დაადგინეს ამ გარემოებით გამოწვეული ფსიქოლოგიური პრობლემების მთელი რიგი, რასაც, უარეს შემთხვევაში, მოჰყვება უფროსი პატიმრების მიერ უმცროსი პატიმრებთან დამყარებული პომოსიქისუალური ურთიერთობები. ამ პრობლემის დასაძლევად გამასწორებელ სისტემაში შემოღებულია მეულეების ფიზიკური, რომლის დროსაც მათ ერთად ყოფინისათვის რამდენიმე საათი უძღვებათ. მეოთხე, პატიმრები მოკლებულნი არიან პირად ავტონომიას. მათი ცხოვრების მართვა და კონტროლი 24 საათის განმავლობაში წარმოებს. თუმცა, გამასწორებელი პერიონალის მხრიდან გაწეული კონტროლი შერჩევითია. პატიმრობის მეხუთე განცდა უსაფრთხოების შეგრძნების დაკავებაა. საკანში სხვა მამაკაცებთან ერთად ცხოვრებისას, რომელთაგან ზოგი სასტიკი და აგრესიულია, ძალადობა და სექსუალური ექსპლუატაცია გარდაუვალია.⁵⁴

ამ განსაცდელით გადასატანად პატიმარმა უნდა იცხოვროს პატიმართა დაუწერელი კოდექსის თანახმად („ნუ ჩაერევი პატიმრების ინტერესებში, ნუ ენდობი დაცვას, ნუ მოდუნდები“ და ა. შ.).⁵⁵ ციხის კულტურა განსხვავებულია და ყალიბდება პატიმრობის ხასიათიდან გამომდინარე.

იმპორტაციის მოდელი კლარენსი შრეგმა შემოგთავაზა ციხის კულტურის სულ სხვაგვარი ასხა, მისი აზრით, ის ფასეულობები, რომლებიც დამკვიდრებულია ციხეებში ზუსტად იგივეა, რომლებსაც ვაწყდებით ქუჩებში, საიდანაც გვევლინებიან ბოროტობიქმედნი.⁵⁶ ეს მოდელი, რომელსაც დავარქვით – იმპორტაციის მოდელი, გულისხმობს, რომ ციხეებში არსებული კულტურა ციხის სივრცეში კი არ შექმნილა, არამედ გარედან არის შეტანილი.

კვლევითი სამუშაოები ბერმა მეცნიერმა შეამოწმა კლემერის, საიკის და შრაგის იდეები ჩარლზ. ვ. თომასმა, მაგალითად, იმპორტაციის მოდელს დაუჭირა მხარი.⁵⁷ სტენტონ ველიერმა შეამოწმა კლემერის „ციხეში ჯდომის“ კონცეფცია და დაადგინა, რომ მას ფორმა აქვს – სუსტად დასაწყისში, მძაფრდება შუა პერიოდში და სუსტდება გაათავისუფლების მოახლოებისას.⁵⁸

ფსიქოლოგმა პანს ტომპსმა და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ პატიმრების უმრავლესობა პატიმრობას უპრობლემოდ იხდის, და რომ უმისგავსი ხასიათი გრძელვადიან პატიმრობამისჯილი ახალგაზრდებისათვის არის დამახასიათებელი. უმისგავსი საქციელის გამოსწორება პატიმრობის ასაკის მომატებასთან ერთად ხდება. ტომპის აზრით, ნებისმიერი ციხის სისტემის მიზანია ძალადობის დონის შემცირება შესაბამისი გარემოს შექმნით და პიროვნებაზე ძალადობის გამოყენებასთან ბრძოლით.⁵⁹

რეფორმატორებს ყოველთვის აწუხებდათ ფიზიკური გარემო, რომელშიც სასაჯელის იხდიდნენ პატიმრები. მათი აზრით, პატიმრების გამოსწორება შეუძლებელი იყო უკეთესი, უფრო პუმანური და დახვეწილი პირობების შექმნის გარეშე.⁶⁰ სხვები არ ეთანხმებოდნენ ამ მოსაზრებას, რომ უკეთესი პირობები ხელს შეუწყობდათ პატიმრებს, თავი კარგად ევრძნოთ.⁶¹

ჯეიმს ჯაკობსის აზრით, თანამედროვე ციხე უნდა მოიაზრებოდეს როგორც დაწესებულებისა და უფრო დიდი საზოგადოების ურთიერთკავშირი. ის ამტკიცებს, რომ ციხის გარემოში არის სპეციფიკური, შესაბამისი გარემო (რასაც აღწერენ კლემერი და საიკი), მაგრამ პატიმრების იზოლირება გარე სამყაროსაგან მცირდება. ტელევიზორი, რადიო, გაზეთები, მეტი მხატვრული და მოჭარბებული იურიდიული წარმომადგენლობა

ხელს უწყობს ცვლილებებს. ჯაკობის აზრით, იდეა, რომ „ცხის კულტურა“ ნიშნავს „იზოლირებულ, ცალკე მყოფ და ძირითად კულტურასთან დაპირისპირებულ კულტურას,“ შესაძლოა მართალი აღარ იყოს.⁶²

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ციხეებში მომხდარმა ცვლილებებმა 1960-იანი წლებიდან შექმნა ცხის ახალი საზოგადოება. თანამედროვე ციხეებში პატიმრების არაერთგვაროვანი ჯგუფები იხდიან პატიმრობას და, როგორც ჩანს, პატიმრების მთლიანი რაოდენობისადმი ერთნაირი მიდგომა მართებული აღარ არის.

ბერ შტატის ციხეში შეჯიბრი შეაკანონა, ლათინო-ამერიკელ, ადგილობრივ ამერიკელ და თეთრკანიან პატიმრებს შორის იწვევს ალიანსების შექმნას, რომლებიც ერებს შორის არსებულ საერთაშორისო კავშირებს ემგვანება.⁶³

ძალადობა ციხეებში. თანამედროვე ციხეების დახასიათება შესაძლებელია ძალადობის კულტურის ცნებით. 1980 წლის 2 თებერვალის სანტა ფეში ნიუ-მექსიკოს გამასწორებელ დაწესებულებაში მომხდარი აჯანყება ყველაზე სასტიკი და დამანგრეველი იყო, რადგან მისვერძლის რაოდენობამ 43 პატიმარი და ერთი მძვეალი შეადგინა. 1971 წელს ატიკაში მომხდარი აჯანყების დროს არეულობას პატიმრების ძლიერი ჯგუფი აკონტროლებდა; ნიუ-მექსიკოს პატიმრებს ლიდერი არ ჰყოლიათ, ისინი სრულიად უმართავები იყვნენ. მათ მძველად აიყვანეს თოთხმეტი მძველი, რაზეც ხელი მიუწვედათ, ყველაფერი დაწვეს და დაარბიეს. სულ ცოტა შეიძინა მძვეალი სასტიკად სცემეს და რამდენჯერმე გააუპატორეს.

მათ არც ერთმანეთი დაინდეს – 33 პატიმარი მოკლეს, ზოგიერთი მათგანი წაშების და დასახინჩრების შედეგად გარდაიცვალა, 200 პატიმარი სცემეს და გააუპატორეს. ტერორი იმდენად სასტიკი და უმართავე იყო, რომ 1.136 პატიმრიდან უმრავლესობამ თავს გაქცევით უშველა და შტატის პოლიციასა და ეროვნული გვარდიას ჩაბარდა. პატიმრების ერთმანეთის მიმართ სისასტიკე უპრეცედენტო აღმოჩნდა.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ ოფიციალურმა პირებმა აღიარეს, რომ ნიუ-მექსიკოს გამოსასწორებელი სისტემა დიდი ხნის წინ მოძველდა და სრულფასოვნად ვეღარ ასრულებდა თავის ფუნქციებს. მაქსიმალურ სასჯელმისჯილი პატიმრები, აღიარებული ფსიქოპათების ჩათვლით, ხშირად 90 კაცთან საკანში ახალგაზრდა და მგრძობიარე პატიმრებთან ერთად იხდიდნენ სასჯელს.⁶⁴

ციხეებში ძალადობის საყოველთაო გავრცელებას პატიმრების ჭარბ რაოდენობას, მათ ახალგაზრდულ ასაკს და რასისტული ჯგუფების ჩამოყალიბებას უკავშირებენ. ძალადობამ ქურებიდან ციხეებში გადაინაცვლა.⁶⁵

ციხეებში შექმნილი პატიმართა დაჯგუფებები. გასული 30 წლის განმავლობაში ციხეებში შექმნილი პატიმართა დაჯგუფებები ერთობლივი დაცვის მიზნით შექმნილი პატარა ჯგუფებიდან ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატების მისაღეს კრიმინალურ დაჯგუფებებად იქცა.⁶⁶ პირველი დაჯგუფება „ჯიფსი ჯეიკერსი“ შეიქმნა ვაშინგტონის შტატის გამასწორებელ დაწესებულება „უალა უალაში“ 1950 წელს. 1960-იან წლებში ამერიკის საზოგადოებაში რასობრივ ნიადაგზე დაწყებული არეულობები ციხეებშიც აღწვედა და ზოგჯერ პატიმართა შორის რასისტულ ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. დაჯგუფებები იქმნებოდა წევრების დასაცავად. სან-ქვენთინში, მაგალითად, „არიული ძმობა“. შეიქმნა თეთრკანიანი პატიმრების დასაცავად; „შავ პარტიზანთა ოჯახი“ მებრძოლი სულსკვეთების დაჯგუფება „შავ პანტერასთან“ იყო შეკრული; მექსიკური მაფია დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ ლოს-ანჯელესის წევრებთან და მათ

მეტოქებიდან – „ნუესტრა ფამილიასთან“, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკის მექსიკური წარმოშობის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

ფლანდრიის შიგაგის დაჯგუფებები 1960-იან წლებში მთელ ქვეყანას მოედო. უკანასკნელი კვლევების თანახმად, 40 შტატის და ფედერალურ გამასწორებელ სისტემაში შექმნილია „უსაფრთხოების საფრთხის ჯგუფები“, ცნობილი პატიმართა დაჯგუფებების სახელით. ამერიკის გამასწორებელი დაწესებულებების ასოციაციამ განაცხადა, რომ ციხეებში დაჯგუფებების რაოდენობა გასამმაგდა და წევრთა რაოდენობამ 1985 წლის დაფიქსირებული 12.624-დან 1992 წელს 46.190-მიაღწია.⁶⁷ საერთო ჯამში აღრიცხულია 763 დაჯგუფება. ყველაზე გავრცელებული ჯგუფებია: „არიული ძმობა“, „სისხლი“ და „თაგვადაპარსულები“. რასისტულ ნიადაგზე არსებულმა დაძაბულობამ ციხეებშიც შეაღწია. ლოს-ანჯელესის მაშაჰაცთა ცენტრალური ციხის ერთ-ერთი ოფიცერი დაჯგუფებების ზოგიერთ წევრს უწოდებს „მორიელს“, რომელიც ნებისმიერ ნებისმიერ ადგილას ესხმის თავს.⁶⁸

5. ოფიცრები გამასწორებელ დაწესებულებებში

ციხის შიგნით ცხოვრება მეტწილად დამოკიდებულია პატიმრების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაზე. გამასწორებელი დაწესებულებების ოფიცრების როლი შეორეხარისხოვანია. გავრცელებულია აზრი, რომ ოფიცრები პატიმრებთან ურთიერთობაში სისასტიკით გამოირჩევიან. თუმცა, ოფიცრები იარაღს ციხის შიგნით იშვიათად ატარებენ, რადგან არსებობს პატიმრების მიერ მისი წართმევის საშიშროება.

პატიმართა კონტროლი⁶⁹. გამასწორებელ დაწესებულებებში ოფიცრები მოგალეობის სრულყოფილად შესრულებას შეძლებენ პატიმრების მოთხოვნების და იარაღის გამოყენებისაგან თავის შეკავების გზით. ჯეიმს ვ. მარკუარტმა ამ საკითხის განხილვის ცალკე გამოკვლევა მოქმედნა. იგი პატიმრების მოთხოვნის შესაძლებლობების დასადგენად 19 თვის განმავლობაში 3.000 პატიმართან მუშაობდა როგორც ოფიცერი. დაწესებულების მასშტაბით აგროვებდა მონაცემებს სოციალური კონტროლისა და წესრიგის შესახებ. მან შეძლო ოფიცრების მიერ ოფიციალური და არაოფიციალური დანაშაულებისათვის სასჯელის დადგენის პრინციპების გაგება, ოფიცრების მიერ პატიმრების თანამშრომლობაზე დაყოლიება და სხვა საქმიანობაში მათი ჩართვა.

მარკუარტმა ურთიერთობა დაამყარა 20-ზე მეტ ინფორმატორთან, რომლებიც მომხდარის ასინაში ეხმარებოდნენ. მისი კვლევის თანახმად, ოფიცრების მიერ ძალის გამოყენების შესახებ გაირკვა:

მცველების მიერ ძალადობის გამოყენება არც ხასიათის თვისებაა და არც თავდაცვის ფორმა და შედარებით არაპროვოცირებად ხასიათს ატარებს. საშაგიეროდ, მცველების მცირე, მაგრამ პროცენტულად მნიშვნელოვანი რაოდენობა პატიმრების წინააღმდეგ ძალის ფიზიკური სასჯელის საშუალებად იყენებს. ეს, ძირითადად, დაბალ პოზიციებზე მყოფი მცველები არიან. ასევე დადგენილია, რომ ძალა არა მარტო კონტროლის მექანიზმიცაა, არამედ ჯგუფური დამორჩილების და სტატუსის შენარჩუნების და დაწინაურების საშუალება.⁷⁰

წლების მანძილზე გამასწორებელი დაწესებულებების ადმინისტრატორები ციხეებში ძალადობასთან ბრძოლას გზებს ეძებდნენ. უკანასკნელმა კვლევებმა დადებითი შედეგები გამოავლენა. მაგალითად, „რაიკერს აილენში“, ნიუ-იორკის საპყრობილეში, სადაც დისციპლინურ კონტროლს მომზადებული ოფიცრები აწარმოებდნენ, სისტემატური ჩხრეკების შედეგად ამოღებულ იქნა დიდი რაოდენობით იარაღი. მოხდა დამნაშავეთა დაკავება ციხის შინაგანაწილის დარღვევისათვის. პატიმრები, რომლებიც თავს ესხმოდნენ

სხვებს, სპეციალურად განკუთვნილი სამაგრებით იყენებენ დაბმულები, სამაგრები „ხელთათმინების“ სახელით იყო ცნობილი. სხეულზე არსებულ ღრმულებში სამართლებების შენახვაზე ეჭვმიტანილები შემოწმების სპეციალურ მეტალის სენსორებიან სკანირებზე გადაიღებენ. ძალადობის შემთხვევები საგრძობლად შემცირდა – 5 წლის განმავლობაში 90%-ით დაეცა.⁷¹

გამასწორებელ დაწესებულებაში მომუშავე ოფიცერთა ტიპები. გამასწორებელ დაწესებულებებში ოფიცრების ცხოვრება მარტივი არაა. ზოგიერთ საზოგადოებაში, როგორცაა: მუანდსილი, ვირჯინია, ელმირა და ნიუ-ორკო, ვაჭიშვილები და ახლა უკვე ქალიშვილებიც მამის კვალს მისდევენ და ტრადიციულად სამუშაოდ გამოსასწორებელ დაწესებულებებში მიდიან. ბევრ ქალაქში ციხე ძირითადი სამუშაო ადგილია.

სტრუქტურით აღსავსე სამუშაო განსაზღვრავს მომსახურე პერსონალის ხასიათის თავისებურებებს. ერთმა მკვლევარმა პატიმრებისა და სხვა მცველებისადმი დამოკიდებულების მიხედვით 5 ტიპი განასხვავა:

- *ობტინისტები* – გამოირჩევიან ორივე ჯგუფის მიმართ დადებითი განწყობით;
- *„გადამწვარები“* – ნეგატიური დამოკიდებულებით ორივე ჯგუფის მიმართ;
- *ჩინოვნიკები* – ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულებით ორივე ჯგუფის მიმართ;
- *„კერკეტი კაკლები“* – ნეგატიური დამოკიდებულებით პატიმრების მიმართ და დადებითით – სხვა ოფიცრების მიმართ;
- *„თეთრქუდიანები“* – დადებითი განწყობით პატიმრების მიმართ, ნეგატიურით – სხვა ოფიცრების მიმართ.⁷²

6. პროგრამები სადამსჯელო დაწესებულებებში

ციხის ცხოვრების ასეთი აღქმითა და ინსტიტუციონალური კულტურისადმი დამოკიდებულებით უკეთ შეგვიძლია ამერიკის სადამსჯელო დაწესებულებებში არსებული თანამედროვე პროგრამების შეფასება, რომლებიც აერთიანებს შრომას, პატიმრებისადმი მიდგომას და რეაბილიტაციას.

შრომა. გადასახადების გადამხდელთა მიერ ფულის დაზოგვის მოთხოვნამ გამოიწვია პატიმრების დასაქმება მოგების მიზნით. მე-19 საუკუნეში ამერიკელი პატიმრები კერძო მეწარმეებს ეხმარებოდნენ, მათი შრომით შექმნილი პროდუქცია მოგების მიღების მიზნით იყიდებოდა, ხოლო თანხები ნაწილდებოდა მეწარმესა და შტატს შორის.

1920 წელს საიჯარო სისტემის გაუქმების შემდეგ, საშხრეთ შტატების ხელისუფლებამ გამოისცა აქტები, რომლებს თანახმად შტატის საგზაო ხელისუფლებას შეეძლო პატიმრების შრომის გამოყენება მათი გზის გასწვრივ დასაქმების სახით. საშხრეთში რამდენიმე შტატმა დაუშვა პატიმართა შრომის გამოყენება პლანტაციებში. როდესაც ფულის დაზოგვის მიზნით დაცვას ცვლიდა შეიარაღებული „წმუნებელი“ პატიმარი. პირობები აუტანელი იყო.

1930-იანი წლების დასაწყისში პატიმრების შრომის ექსპლუატაცია ნელ-ნელა შეჩერდა მას შემდეგ, რაც ფედერალურმა კანონმდებლობამ აკრძალა პატიმრების მიერ დამზადებული პროდუქციით შტატებს შორის ვაჭრობა (ზოგიერთი ციხე აგრძელებს პატიმრების მიერ დამზადებული ავტომანქანების სანომრე ნიშნების წარმოებას). 1970-იან წლებში ციხეების ადმინისტრატორებმა კვლავ გაააზრეს ციხის მრეწველობის რენტაბელობა. აშშ იუსტიციის დეპარტამენტმა, კონკრეტული სტანდარტული დაცვის

პირობითი, დაუშვა შტატის საპრობლემატიკო წარმოებული პროდუქციით შტატებს შორის გაქრობა. ამჟამად, მიქმედებს 30-ზე მეტი კერძო სამეწარმეო სექტორი. კომპანიებმა, როგორცაა: „ბუსთ ვისტერნი ინთერნეშენალი“ (სასტუმროები), „გალერის კომპანი“ (საოფისე ავეჯი) და „ოუტა ფრინთინგ ენდ გრაფიკს“, მთელი ქვეყნის მასშტაბით ციხეებში სახელოსნოები გახსნეს. პატიმრები აწარმოებდნენ კომპიუტერისა და თვითმფრინავის ნაწილებს, მეტალის მარტივ პროდუქციას და კონდენსატორებს. ისინი ასევე მართავენ კომპიუტერულ ტერმინალებს. კალიფორნია ციხეების შრომას იყენებს განსაკუთრებული შემთხვევების დროს, ტყვეში გაჩენილი ხანძრების ჩასაქრობად, მიწისძვრების შედეგების ლიკვიდაციისას და ტოქსიკური ნარჩენების ლოკალიზაციის დროს. ზოგიერთ შტატში კერძო კორპორაციები, რომლებიც მოგებაზე არ არიან ორიენტირებულნი, მთლიანად ან ნაწილობრივ ციხის მრეწველობას იყენებდნენ. პატიმრების უმრავლესობისადმი გადახდილი ხელფასი თავისუფალი მუშის ხელფასთან შედარებით ნაკლებია.

1985 წელს გზების გასწვრივ ჩამწერივებელი პატიმრების ჯგუფები კვლავ გამოჩნდა ჩუქსი გზებისა და მინდვრებში. ალაბამა, არიზონა და ფლორიდა ამ ტრადიციის გაცოცხლების ბიონერები არიან. ალაბამაში 12-სათიან ცვლაში მომუშავე მამაკაცები მუხლებით არიან ერთმანეთთან მიბმულნი. ფენიქსში, არიზონაში ფეხბორკილებით დაბმული ღია ნარინჯისფერ სამოსში ჩაცმული ქალები წმენდენ ქუჩებს. დიდი დაფა მიმდინარეობს ასეთი ბრიგადების მუშაობის რეალური მიზნების გარეშე. ბევრი წინააღმდეგია. მათი არგუმენტებით, პრაქტიკა დანერგილია პატიმრების დასამცირებლად და საზოგადოების შურისძიების გრძობის დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთი გამგელელი, როგორც ჩანს, ტკეპა კიდევაც სანახაობით. ზოგიერთის აზრით, ასეთი ბრიგადების არსებობა გამოიწვევს ძალადობის ზრდას და იგი დასჯის ბოროტი და უწყველო ფორმისა.

ნიუ-იორკი და ფლორიდა წარმოადგენენ შტატებს, სადაც ციხეში შრომის პრაქტიკა წარმატებით დაინერგა. კორპორაციამ, „ნიუ-იორკ სთეთ ქორქრაფტ“, რომელმაც მიიღო ციხის ინდუსტრიის გამოყენების უფლება, დაამტკიცა მისი რენტაბელობა.⁷³ ფლორიდაში შეიქმნა ციხის სარეაბილიტაციო მრავალპროფილიანი საწარმოები, კორპორაცია, რომელც არ არის ორიენტირებული მოგებაზე და რომელმაც 1982 წლიდან აამუშავა ციხის ინდუსტრია და გააორმაგა შემოსავლები. მან ასევე შეამცირა სამუშაო პროგრამებში მონაწილე პატიმრებში დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის დონე.⁷⁴

ციხეებში შრომის საკითხი კვლავ გადაუწყვეტელი რჩება. ციხის ინდუსტრიისადმი მიბრუნებამ წარმოაჩინა ამერიკის გამასწორებელი დაწესებულებების საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის ახალი საშუალებები. საბოლოო ჯამში, მან არ გააძარტლა. უფრო მეტც, პრობლემატურია ანაზღაურების, უსაფრთხოების, ერთიანობის და წახალისების საკითხები.

პატიმრებისადმი არასადასჯელო მიდგომა და რეაბილიტაცია. პროგრესულად მოაზროვნე კრიმინალისტიკი მიიჩნევენ, რომ გამასწორებელი სისტემის ძირითადი ამოცანაა რეფორმაციის გატარება, პიროვნების ნებაყოფლობითი ტრანსფორმაცია და პროდუქტიული, ნორმალურად ფუნქციონირებად მოქალაქედ ჩამოყალიბება, ამ მოსაზრების თანახმად, პატიმრის რეაბილიტაცია ესაჭიროებათ. ისინი შესაძლოა ფსიქოლოგიურად იყენენ გაუწონასწორებლები, მიდრეკილება გაანდეთ ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი ან, უბრალოდ, არ უქონდეთ რთულ საზოგადოებაში გადარჩენის უნარ-ჩვევები.

ამის დამადასტურებელია 1992 წელს საგანმანათლებლო ტესტირების სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ პატიმრების განათლების დონე საგრძნობლად ჩამორჩება მოსახლეობის განათლების ზოგად დონეს. მათგან ერთი მესამედი მოექცა უდაბლესი საგანმანათლებლო დონის კატეგორიაში.⁷⁵ ამდენად, ასეთ პატიმრებს ესაჭიროებათ საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური და პროფესიული მომზადების პროგრამები.

ზოგიერთი კრიმინალისტი არ აღიარებს სარეაბილიტაციო პროგრამებს ან ფილოსოფიური მოსაზრებებიდან გამომდინარე ეწინააღმდეგება არასადამსჯელო მიდგომათა და საქციელის გამოსწორებაზე ყურადღების გამახვილებას. საზღაურისა და დამსახურებულ სასჯელზე აქცენტის ხელახლა გაკეთების შემდეგ ზოგიერთი კრიმინალისტი თვლის, რომ ბოროტმოქმედთა პატიმრობა ადამიანურ პირობებში უნდა ხდებოდეს, მაგრამ სამუშაოს და თერაპიის პროგრამებში მონაწილეობის და გამოსწორების მცდელობის გარეშე. სავალდებულო რეაბილიტაციის მოწინააღმდეგეებიც კი ვერ უარყოფენ პატიმრების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ნებაყოფლობით პროგრამებში.

რეაბილიტაცია განისაზღვრება როგორც სოციალური და ფსიქოლოგიური ჩარევის შედეგი, რომლის მიზანია დაშინავეთა მომავალი კრიმინალური საქმიანობის დონის შემცირება.⁷⁶ ამ სტანდარტის მიხედვით წარმატება განისაზღვრება იმით, ჩამოშორდება თუ არა პატიმარი კრიმინალურ საქმიანობას ასეთ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ. ამიტომაც იკვლევენ კრიმინალისტიები რეციდივიზმის (დანაშაულის განმეორებითი ჩადენის) დონეს მათ შორის, ვინც ჩართულია პროგრამაში და ვინც არ იღებს მონაწილეობას მასში. რეაბილიტაციის მომხრეები რეციდივიზმის შემცირებული დონის იმედს იტოვებენ, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგეები შედეგებს არ ელოდებიან.

აშშ-ში პროგრამების სამი ძირითადი ტიპი გამოიყენება:

- 1) ფსიქოლოგიური (ფსიქოთერაპია და ქცევის თერაპია);
- 2) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო დიპლომი);
- 3) პროფესიული მომზადების პროგრამები (მაგ. კერძების მომზადება და სხვ.).

ნიუ-იორკის „რაიკერ აილენდში“ განხორციელდა ახალი პროგრამა სახელწოდებით „ახალი დასაწყისი“, სადაც პატიმრების ქალაქის საუკეთესო მზარეულებისაგან შეუძლიათ კერძების მომზადების სწავლა, მაგიდების მომსახურების და ჭურჭლის რეცხვის თავისებურებების ათვისება. პროგრამის დასრულების შემდეგ პატიმრებს ეძლევათ მიმტანის ლიცენზია და გათავისუფლებისას უზრუნველყოფილი არიან სამსახურით.

7. რეაბილიტაციის შეფასება

ნოვატორული სარეაბილიტაციო პროგრამები, როგორც წესი, ენთუზიაზმით იწყება, ხოლო კრიტიკული გამოცდის გავლის შემდეგ ხდება ილუზიების გაქარწყლება. პროგრამების უმრავლესობაში დაპირებები გაზვიადებულია.⁷⁷ ყველაზე გამანადგურებელი შეფასება, აღიარებული სახელწოდებით „არაფერა მოქმედებს“, 1974 წელს დაგლას ლიბტონმა, რობერტ მარტინსონმა და ჯუდიტ უილკინსონმა მოგვცეს.⁷⁸ რასაც შედეგად მოჰყვა არასადამსჯელო მიდგომის თვალსაზრისის დისკრედიტაცია, პროგრამების გაუქმება, ხოლო ვაკუუმი დამსახურებული სასჯელის მიდგომით შეივსო. მოგვიანებით, ზოგიერთმა კრიმინალისტმა ზედმიწევნით შეისწავლა მარტინსონის შეფასება და მას მეთოდოლოგიურად არასრულყოფილი უწოდა.⁷⁹

იმედი იმისა, რომ მართებული მცდელობებით შესაძლებელია რეციდივიზმის დონის შემცირებაში წარმატების მიღწევა, კვლავ გაღვივდა.⁸⁰ 1981-1987 წლებში წამოწყებული ბიოსამედიცინო, ოჯახური მონაწილეობის, საგანმანათლებლო, მოსამზადებელი და

საბოლოო პროგრამების ზედმიწევნით შესწავლის შედეგად მკვლევარებმა დაადგინეს: „ხასიათლოა იმის მტკიცება, რომ „არაფერი მოქმედებს“. ეს კვლევა აღბატურებს იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია იყო, არის და იქნება შესაძლებელი.“⁸¹

კრიმინალური ქცევის ფსიქოლოგიის შესწავლით ნათანელ პაღინმა და ჯეიმს პენისიმ გაზიკვლიეს, რომ რეაბილიტაციის მომავალი დამოკიდებულია საქციელის თერაპიისათვის შერჩეულ საგანმანათლებლო და გადასამზადებელ მოდულებზე. წახალისებების დაწესებით ეს მიდგომა ქცევაში ძირეული ცვლილებების მიღწევას გვგვამავს.⁸²

სხვა მკვლევარების აზრით, ციხეების საგანმანათლებლო პროგრამები ამცირებს რეკიდვიზმის დონეს და ხელს უწყობს ციხეების მართვას. 1994 წელს ჩატარებულ მასშტაბურ კვლევაში მონაწილეობდა 14.000 ტებსასელი პატიმარი; კვლევის შედეგად დადგინდა რომ რეკიდვიზმის დონის შემცირება შესაძლებელია ყველაზე ნაკლებად განათლებულ პატიმრებზე ვაკეთებული საგანმანათლებლო აქცენტის პირობებში.⁸³ ამ შედეგების მოხედვად, პატიმრებისათვის განკუთვნილ პროგრამებს ნაკლები მხარდაჭერა აქვს ფედერალური და შტატების მთავრობის მიერ შესაბამისი დაფინანსების შემცირების ან გაუქმების გამო.⁸⁴

ამჟამად, კრიმინალისტიკის ხარეაბილიტაციო მიდგომისა და მისი მომავლისადმი არაცალხასა დამოკიდებულება აქვს; ისინი ერთსულოვნები არიან მხოლოდ იმაში, რომ ძალდატანებითი თერაპიის გამოყენება პატიმრების მიმართ დაუსშვებელია.

არახადამსჯელო მიდგომისა და დამსახურებული სასჯელის შერწყმა შეუძლებელი აღმოჩნდა. კრიმინალისტიკები დიდ სიფორთხილეს იჩენენ პატიმრებისადმი არასადამსჯელო მიდგომის როგორც დაზნაშავების დაძლევის საშუალებად აღიარების შემთხვევაში.

მ. სამედიცინო პრობლემები: შიდსი, ტუბერკულოზი და ფსიქიკური დაავადებები

1996 წლის ბოლოს 24,881 პატიმარი (პატიმრების მთელი რაოდენობის 2,3%) შიდსის ვირუსის მატარებელი აღმოჩნდა.⁸⁵ რისკის მაღალი დონის პატიმრების კონცენტრაციის გამო (ძირითადად, ნარკოტიკების მოხმარება), შიდსით დაავადებულთა რაოდენობა ციხეებში ექსპლერ აღემატება დაავადებულთა რიცხვის მთელი ამერიკის მოსახლეობის მასშტაბით.⁸⁶ 1996 წელს ფედერალური და შტატის 907 პატიმარი გარდაიცვალა შიდსით გამოწვეული ავადმყოფობების გამო, 1991 წლიდან შიდსი არის შტატის ციხეების პატიმრების გარდაცვალების მეორე უმნიშვნელოვანესი მიზეზი.

შიდსის მკურნალობის ზურხების არარსებობის და ვაქცინაციის შეუძლებლობის გამო, მნიშვნელოვანაა ინფიცირებული პატიმრების გრძელვადიანი მკურნალობის და ავადმყოფობის ვარცხლებების მინიმუმამდე დაყვანის გეგმების შემუშავება. ავადმყოფობის გადადების შიში მცველებსა და პატიმრებს შორის დიდია და ბადებს დაავადებულთა იზოლაციის და კარანტინში ყოფნის საკითხს. თავდასხმის შემთხვევაში ინფიცირების საშიშროება მნიშვალურია და შეუძლებელია ჩვეულებრივი კონტაქტისას, თუცა, პენიტენციალური სისტემის ოფიცერებს ხშირად ეშინიათ ინფიცირებულ პატიმრებთან ურთიერთობის.

სარეაბილიტაციო მოდელის შექმნისას ვერაგინ წარმოიდგენდა შიდსით გამოწვეული წარმოუდგენელი ფინანსური ტვირთის სიმძიმეს. შიდსით დაავადებული პატიმრის შენახვა მის გარდაცვალებამდე დაახლოებით 500.000 აშშ დოლარი ჯდება. შიდსით დაავადებულებს სხვა პატიმრები და ოფიცრები თავს არიდებენ. ამას წინათ შემდგარ სახამართლო პროცესზე 42 წლის ექთანმა ზარალის ანაზღაურების სახით 5,4 მილიონი აშშ დოლარი მიღო (საქმე „ლოუ ნუ-ორკის შტატის“ წინააღმდეგ) მას შემდეგ, რაც დადგინდა მისი ვირუსით დაინფიცირების ფაქტი, რაც გამოიწვია საზოგადოებრივ

საავადმყოფოში მკურნალობისას სისხლის გადასახმელი ნემსის ჩხველტამ, რომელიც შიდად დაავადებული პაციენტის ვენიდან გამოვარდა, როცა მის დაშოშმინებას ცდილობდნენ. ექთანი ირწმუნებოდა, რომ 50-ჯერ იყვინა და საშველად მოუხმო იქვე მდგომ მცდელებს, მაგრამ მათ არაფერი აღონეს ექთანის დასახმარებლად.⁸⁷

როგორ შეუძლია სისტემის შიდად დაავადებული პაციენტების კონტროლი, რომლებსაც დასაკარგი არაფერი აქვთ? ცხელების საავადმყოფოები მომაკვდავი პაციენტების მართებულად მკურნალობისთვის სათანადოდ აღჭურვილი არაა. მათი მოთაყსება საზოგადოებრივ კლინიკებში დიდ რისკთან არის დაკავშირებული. წარმატებული მკურნალობის პროგრამები ჯერ არ არსებობს. ოფიციალური პირები კვლავაც ეძებენ გამოსავალს.⁸⁸

ტუბერკულოზი არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა გამასწორებელი დაწესებულებებისათვის. ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევების რაოდენობამ 1994 წლიდან შედარებით იკლო და 1.065 შემთხვევიდან 1997 წელს 729 შემთხვევამდე დავიდა. მაგრამ მთელი აშშ-ს მასშტაბებთან შედარებით მაინც საგრძნობლად მაღალია.⁸⁹ ცხელებს უჭირთ დაავადებულთა იზოლირება და ყველა პაციენტისათვის საჭირო ვენტილაციის უზრუნველყოფა. ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების გათავისუფლების შემდეგ რჩება საზოგადოების დაავადების საშიშროება.

ფიზიკურად დაავადებული პაციენტების პრობლემების მოგვარების გარდა ცხელების აღმინისტრაციას ფიზიკურად დაავადებულ პაციენტებთან ურთიერთობაც უწევს. უკანასკნელმა კვლევებმა უჩვენა, რომ 238.800 პაციენტს სერიოზული ფიზიკური პრობლემები აქვს.⁹⁰ ლოს-ანჯელესის საოლქო ცხე ქვეყნის მასშტაბით უდიდესია, სადაც 1.500-დან 1.700-მდე ფიზიკურად დაავადებული პაციენტი იხდის სასჯელს.⁹¹ ცხეში ან საპყრობილეში მოხვედრამდე ასეთ პაციენტთა უმრავლესობას მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება, მოკლებულია ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს და სამედიცინო დახმარებას.⁹²

9. ხანდაზმული პაციენტები

ალაბამაში ხანდაზმული პაციენტების ცხოვრების შესახებ დაწერილ საგაზეთო სტატიაში აღნიშნულია: „გრანტ კუპერმა იცის, რომ ცხეში ცხოვრობს, მაგრამ არის დღეები, როდესაც ის ამის მიზეზს ვერ იხსენებს. მის მიერ ჩადენილი დანაშაულები ბუზებივით მიფრინავენ და მოფრინავენ მის მესხიერებაში ისე, რომ ზოგჯერ მისი გონება და ცნობიერება ცარიელი და სუფთაა.“⁹³

50 წელს გადაცილებულ პაციენტთა რაოდენობა 75.000 აღწევს და მომდევნო ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად გაიზრდება.⁹⁴ პაციენტების ამ „ახალი“ ჯგუფის არსებობა აიხსნება ხანგრძლივი პაციენტობებით, თავდებით ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობების არარსებობით, „სამშროვი დარტყმისა და განაჩენის გამკაცრების“ კანონმდებლობით და, ზოგადად, სოცოცხლის ხანგრძლივობის დონის ზრდით.

ეს გარემოებები ცხეების აღმინისტრაციას პრობლემებს უქმნის. ასეთ პაციენტებს ხშირად აქვთ ოჯახური კონფლიქტები, არიან დეპრესიული, თვითკვლელობისაკენ მიდრეკილები და აწუხებთ პაციენტობაში გარდაცვალების შიში.⁹⁵ ცხეების პერსონალი არ არის სათანადოდ მომზადებული ამ პრობლემებთან სამუშაოდ. ხანდაზმული პაციენტები ხანგრძლივ და ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებენ. მათ შესაძლოა ესაჭიროებოდეთ სხვა პაციენტების მფარველობა და სპეციალურად მათი ასაკისათვის განკუთვნილი პროგრამები. „ამერიკის ცხეების პაციენტები სიბერეში“ ავტორი ედიტ ფლინი მხარს უჭერს სპეციალური პირობებისა და პროგრამების შემოღებას სამი მიზეზის გამო: 1. ასეთი პაციენტების მხარდ რაოდენობასთან გამკვლავების; 2. სასამართლო

აშშ-ში ქალების პირველი ცხის შექმნიდან საუკუნუნახევრის გავლის შემდეგ დაწესებულებების რენტაბელურად გამოყენების მცდელობამ ერთობლივი გამასწორებელი დაწესებულებების შექმნა მოიტანა; ასეთ დაწესებულებებში, მხოლოდ ღამის საათებში განცალკევებული ქალები და მამაკაცები ერთად მუშაობდნენ, ჭამდნენ და გადაიდნენ რეაბილიტაციას დღის განმავლობაში. ფიზიკური კონტაქტები ხელით შეხებადღე არის შეზღუდული. წესების დარღვევა სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საბაბია. ფედერალურმა სისტემამ წამყვანი როლი ითამაშა ერთობლივი ცხეების შექმნის საქმეში; ფედერალური კანონის დარღვევისათვის დაპატიმრებული ქალების ორი მესამედი პატიმრობას ასეთ დაწესებულებებში იხდის. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით, დაბნაშავე ქალთა უმრავლესობა სასჯელს სიეციალურ დაწესებულებებში იხდის.

11. გამასწორებელი დაწესებულებების პრივატიზაცია

აქამდე სასჯელს შტატის ექსკლუზიურ უფლებად და გამასწორებელი დაწესებულებების სისტემის გასამართლებულ დაბნაშავეებთან ურთიერთობის სამთავრობო უფლებად განვიხილავდით. ეს მონოპოლიტური სადამსჯელო სისტემა შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. თავისუფალი მეწარმეობის ხანაში სახელმწიფოებრივმა მონოპოლიამ ბევრ სფეროში კერძო მეწარმეობას დაუთმო ასპარეზი. წერილების გაგზავნა აღარ არის აშშ საფოსტო სამსახურის ექსკლუზიური უფლება. ამ საქმის დიდი ნაწილი კერძო კურიერების ხელშია. სამთავრობო პოლიციის ფუნქციების დიდი ნაწილი თავიანთ თავზე დაცვის კერძო ფრმებმა აიღეს. მსგავსი ძვრები გამასწორებელ დაწესებულებებთან მიმართებაშიც შეინიშნება. ცხეების დაბალ ეფექტურობასთან დაკავშირებული იმედგაცრუება, როგორც წესი, განისაზღვრება რეციდივისიზმის დონით. გადასახადების გადამხდელებისათვის ხარჯების მაღალი დონე პოლიტიკოსების მიერ სამთავრობო ცხეებისათვის ალტერნატივის მოძიების საბაბად იქცა. ერთ-ერთი ალტერნატივა არის ცხეების მართვის კერძო მესაკუთრებაში გადაცემა, რაც ცხეების შემოსავლიანობაზე ორიენტაციის აღებას ნიშნავს.¹¹ პირველი კერძო სამეწარმეო ცხე 1975 წელს შეიქმნა. მაშინ პენსილვანიის თანამეგობრობასთან კონტრაქტით ასოციაცია ერ სი-მ ვიგორსვილში გახსნა პატიმართა გადამზადების სკოლა. 1996 წელს დაახლოებით 50,000 ზრდასრული პატიმარი სასჯელს 126 კერძო სატუსალოში იხდიდა. კერძო გამასწორებელი დაწესებულებები 12 შტატში იყო გახსნილი.¹²

ოუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის კერძო გამასწორებელ დაწესებულებებში ჩატარებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ანგარიში საკმაოდ ოპტიმისტურად აღწერს კერძო ცხეების მომავალს:

- უსაქმრობა დაბლელი იწნა მცირე სახსრების ხარჯზე;
- ცხეებს ხელი მიუწვდებათ კერძო სექტორის ეკონომიკურ კონსულტაციებზე;
- ცხეში გაუმჯობესდა პირობები;
- პატიმრებს შეუძლიათ ხელფასის მიღება და გათავისუფლების შემდეგ გამოსადევი მომზადების მიღება;
- გადასახადების გადამხდელები მოგებას იღებენ პატიმრისათვის ანაზღაურების გადახდის საფუძველზე მათი შენახვის ხარჯების შემცირებით;
- დაზარალებულს მეტი შანსი აქვს მიიღოს კომპენსაცია პატიმრის შემოსავლიდან;¹³ წარმატების მიუხედავად, პრივატიზაცია ბადებს პრობლემატურ კითხვებს:
- რა ნორმები გამოიყენება დაწესებულებების სამართავად?
- ვინ აკონტროლებს ცხეებს?

- ექნება თუ არა საზოგადოებას მათში შეღწევის უფლება?
- რის გაკეთებას შეძლებს საზოგადოება, თუ არ მოეწონება ციხეების მართვის შეთავაზება?
- ვინ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას კერძო პირის მიერ დაქირავებული პერსონალის გაფიცვის შემთხვევაში?
- ვის დაეკისრება ციხეში დისციპლინის მოგვარების პასუხისმგებლობა?
- შეძლებს თუ არა კომპანია გარკვეული პატიმრების მიღებაზე უარის თქმას, მაგალითად, შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებულთა შემთხვევაში?
- რა შესაძლებლობები ექნება მთავრობას კერძო ციხეების მიერ გადასახადის გაზრდის შემთხვევაში?
- რა მოხდება კომპანიის გაკოტრების ან საქმიდან გასვლის შემთხვევაში, თუ ეს არასაკმარისი მოგებით იქნება გამოწვეული?¹⁰⁴

ეს საკითხები ხაზს უსვამს პრივატიზაციასთან მიმართებაში არსებულ პრობლემებს. უმთავრესი კითხვაა, რომელიც უნდა დაისვას, ესება ადამიანების უფლებას (როგორც ამას მთავრობა აკეთებს - სიჯის კოდექსის დარღვევაში დადანიშნულთა და მხილებულთა (დამნაშავეთა) და ამ უფლების კერძო პირთათვის გადაცემას.

§3. საზოგადოებრივი ალტერნატივები

საზოგადოებაში დასჯა და გამოსწორება ციხეებთან და საპრობილეებთან არის ასოცირებული. რეალურად, პატიმრობა არის ყველაზე მტკიცე უფლებითი თანამედროვე სასჯელი. გასამართლებულ ბოროტმოქმედთა რაოდენობასთან მიმართებით, პატიმრობა ნაკლებად მნიშვნელოვანია დამნაშავეთა არაინსტიტუციონალური კონტროლის ისეთ ფორმებთან შედარებით, როგორცაა პრობაცია, პირობით ვადამდე გათავისუფლება და პატიმრობის სხვა ალტერნატივები.

1. პრობაცია

ჯონ აუგუსტუსი 1784 წელს უობერნში, მასაჩუსეტსის შტატში დაიბადა და 21 წლის ასაკში ლექსინგტონში გადავიდა საცხოვრებლად, ისწავლა ფესხაცმლის კერვა და 1827 წლისათვის ბოსტონში განთქმული ფესხაცმლის მეკრავი გახდა. ის ხშირად დადიოდა სასამართლოში, სადაც დანახული აოცებდა. მოსამართლეები ციხეებს აცხებდნენ საცოდავი პატიმრებით მართო იმით, რომ ისინი ვერ იხდიდნენ უმნიშვნელო ჯარიმებს. ამიტომ აუგუსტუსი თავად იხდიდა ჯარიმებს. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, შელდონ გლეუი ასე აღწერდა ჯონ აუგუსტუსის საქმიანობას: „მისი მეთოდის არსი იყო ის, რომ დამნაშავე გათავისუფლებინა სასამართლო პროცესამდე გირაოს შეტანით, შემდეგ კი მოძებნა მისთვის შესაბამისი სამუშაო, დახმარებოდა მის ოჯახსაც. ხოლო როდესაც მოგვიანებით დამნაშავე წარადგებოდა სასამართლოს წინაშე, აუგუსტუსის უნდა ეცნობებინა მოსამართლისათვის მისთვის მინდობილი პიროვნების გამოსწორების შედეგები; წარმატების შემთხვევაში მოსამართლე განისაჯელის სასჯელადირულების დაწესებულებაში მოთავსების ნაცვლად მისგან მხოლოდ ზარალის ანაზღაურებას ითხოვდა.“¹⁰⁵

თავისი ახალი მიდგომა ჯონ აუგუსტუსმა წამოაყენა ვაშინგტონის ალკოჰოლური სასმელების გამოყენების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების მეშვეობით და ბოსტონის სასამართლოებმა დაამტკიცეს იდეა. ასე დაიბადა პრობაციის კონცეფცია, მსჯავრდებულის

გათავისუფლება და გაშვება საზოგადოებაში სანდო ზედამხედველის მეთვალყურეობის, კანონმორჩილების, იურისდიქციის ფარგლებში დარჩენის და სამუშაოზე მოწყობის პირობით. პრობაცია სიხარულით შეხვდნენ და მიიჩნიეს პატიმრობის ალტერნატივად მაშინ, როდესაც მე-19 საუკუნის შუა ხანების ციხეებზე მოთხოვნა უფრო მაკიალი იყო, ვიდრე ადგილების რაოდენობა, პირველად აღიარეს, რომ გამასწორებელ დაწესებულებებს არ შეეძლოთ პატიმრების გამოსწორება და დაიანგარიშეს პატიმრის შენახვისათვის ვაწყველი ხარჯები.

პრობაციის მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი დამნაშავეის კანონმორჩილ მოქალაქედ გადაქცევა. 1956 წლისთვის პრობაციის სისტემა ყველა შტატში დანიერგა. სისტემა, ძირითადად, მთელი ქვეყნის მასშტაბით მუშაობს, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ შტატის მასშტაბით.¹⁵⁶ პრობაცია, დღესდღეობით, გამასწორებელი ღონისძიებების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. პრობაციის პირობით გათავისუფლებულ დამნაშავეთა რაოდენობა ოთხჯერ სჭარბობს ციხის პატიმართა რაოდენობას.

პრობაცია ორმაგ მიზანს ემსახურება – იცავს საზოგადოებას მუდმივი სასამართლო ზედამხედველობის საშუალებით და ახდენს დამნაშავეთა რეაბილიტაციას. მათზე შეზღუდვების მხოლოდ მცირე რაოდენობა ფრცვლდება. უპირატესობა აშკარაა: 1. დანაშაულის ყველა ტიპი არ გულისხმობს საკმაოდ ძვირადღირებულ პატიმრობას; 2. პრობაციით გათავისუფლებული დამნაშავეები ინარჩუნებენ სამსახურს და იხდიან გადასახადებს; 3. მსჯავრდებულებს შეუძლიათ ოჯახის პატრონობა, სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულება და შტატს ტვირთად არ აწევიან.

როგორც ზემოთ აღვწერეთ, პრობაციის შესაძლებლობის დასადგენად მოსამართლე ითხოვს განაჩენის გამოტანამდე ჩატარებული გამოძიების ანგარიშს. ეს ანგარიში მომზადებულია პრობაციის სამსახურის ოფიცრის მიერ, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: დანაშაულის სიმძიმე, ჩადენილი ქმედების დამნაშავეის ეული აღწერა, მისი კრიმინალური წარსული, მუშაობის გამოცდილება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, რელიგიურიობა, ერთ ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა და საზოგადოებრივი კავშირები. ამ ფაქტორებზე დაყრდნობით მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას პატიმრობის ან პრობაციის შესახებ.

პრაქტიკულად, პრობაციას ორი ძირითადი ნაკლი აქვს. პირველი, მოსამართლეებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ საკმარისი დრო, ინფორმაცია და შესაძლებლობები, რათა დაადგინონ დამნაშავეისათვის პრობაციის განაჩენის შესაბამისობა. როგორც წესი, პრობაცია ციხეების გადატვირთვის თავიდან აცილებისა და ნაკლებად საშიში დამნაშავეის ციხისათვის არიდების საშუალებაა. მეორე, ასეთი პირები მოკლებულნი არიან საჭირო მხარდაჭერასა და ხელმძღვანელობას, რომელსაც ჯონ აუგუსტუსი უზრუნველყოფდა წარმატების მისაღწევად.

1997 წლის ბოლოსთვის პრობაციით გათავისუფლებული იყო 3,261,888 პირი¹⁵⁷ აშშ-ში 30,606 პრობაციის სამსახურის ოფიცრის დატვირთვა, საშუალოდ, 15 გათავისუფლებულ პირს შეადგენს. ამ მონაცემების გათვალისწინებით მათი მუშაობა ეფექტურობით არ უნდა გამოირჩეოდეს, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა; მთელი ქვეყნის მასშტაბით 1996 წელს 708,602 პირმა წარმატებით გაიარა პრობაციის ვადა მაშინ, როდესაც მხოლოდ 196,916 დაბრუნდა პატიმრობაში.¹⁵⁸

სირთულეებს ვაწყდებით საზოგადოებრივად საშიშ დამნაშავეთა 20-25%-ის პრობაციის პროცესიდან გამორიცხვით. განაჩენის გამოტანამდე განხორციელებული შემოწმება შესაძლოა ამ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზად ჩაითვალოს. არასაღამისჯელი მიდგომის პროგრამები, ზოგადად, და პრობაციის პროგრამები,

კონკრეტულად, დიდად არის დამოკიდებული მომსახურე პერსონალზე. პრობაციის პროგრამების წარმატება შეიძლება განაპირობოს მომსახურე პერსონალმა. პრობაციის სამსახურის ოფიცრები ნაკლებად ხტრესულ გარემო პირობებში იმყოფებიან. უსასრულო ადმინისტრაციულ პროცედურებს თუ არ ჩავფიქროთ, მათ, ძირითადად, მოსწონთ თავიანთი სამუშაო.

2. პირობით ვადამდე გათავისუფლება

პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და პრობაციის კონცეფციები თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა. 1840-იან წლებში კაპიტანი ალექსანდრე მაკონოჩი, რომელიც ხელმძღვანელობდა ნორფოლკის კუნძულზე (წყნარი ოკეანის ხმელეთის ტერიტორია) არსებულ ინგლისურ გამასწორებელ კოლონიას, ამბობდა, რომ სასჯელმისჯილი ადამიანი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მოკლას დრო. იგი გაურბის სამუშაოს, რადგან არავითარი ინტერესი არ გააჩნია მის მიმართ. არა აქვს ზედამხედველი ოფიცრებისათვის ანგარიშის გაწევის სურვილი, რადგან, თვლის, რომ ისინი კარგად ვერ ემსახურებიან და არ შეუძლიათ დააჩქარონ მისი გათავისუფლება.

მაკონოჩიმ შეიმუშავა „შრომისათვისა და კარგი საქციელისთვის დადგენილი ნიშნების სქემა, რომელიც საშუალებას აძლევდა პატიმრებს, დაემსახურებინათ პატიმრობიდან გათავისუფლების უფლება“.¹⁰

ერთი შეხედვით, პირობით ვადამდე გათავისუფლება - განაჩენის ვადის გასვლამდე გათავისუფლება ზედამხედველობის პირობით - პრობაციას ჰგავს. ორივე პროგრამით ბოროტმოქმედი ციხეში ყოფნის ნაცვლად დროის გარკვეულ ნაწილს საზოგადოებაში ატარებს. ორივე პროგრამა ითვალისწინებს პიროვნებაზე ზედამხედველობის დაწესებას მისი კორექტული ქცევის უზრუნველყოფის მიზნით. პირობის დარღვევის შედეგი პატიმრობაა. მერამ მსჯავსება აქ მთავრდება.

პირობით ვადამდე გათავისუფლების იდეა პირველად 1870 წელს ცინცინატიში გამართულ ციხეების ნაციონალური ასოციაციის კონგრესზე წარმოიშვა. ციხის უფროსმა ზებულონ ბროუკემ (ელმირას გამოსასწორებელი დაწესებულება) პირობით ვადამდე გათავისუფლება 1876 წელს შემოიღო. იმედის მომცემა დამნაშავეები განაჩენის ვადის ამოწურვამდე კერძო რეფორმატორული ჯგუფების მეთვალყურეობაში გადადიოდნენ. მოგვიანებით პირობით ვადამდე გათავისუფლების საზადამხედველო ოფიცრები დაინიშნენ. 1900 წლისთვის ეს სისტემა დანერგილი ჰქონდა 20 შტატს და ფედერალურ მთავრობას. საბოლოოდ, სისტემა დამკვიდრდა ყველა იურისდიქციაში.

პირობით ვადამდე გათავისუფლების წარმატების დონე მაღალი არასდროს ყოფილა. შესაძლოა, დადებითმა შედეგებმა მოგვიანებით იზინოს თავი.

დონ გოტფრედსონმა და მისმა კოლეგებმა დანაშაულისა და სამართალდარღვევების ნაციონალური საბჭოდან დაადგინეს, რომ პირობით ვადამდე გათავისუფლების წარმატება მცირდება მოხდილი სასჯელის ვადის პროპორციულად.¹¹ 1996 წელს 704.709 პირობით ვადამდე გათავისუფლებულთაგან 179.875 წარმატებით გაიარა გამოცდა, ხოლო 524.834 პატიმრობაში დაბრუნდა.¹²

მხოლოდ ამ ციფრებს არ გამოუწვევია სისტემის მწვავე კრიტიკა მკვლევართა მხრიდან. ვანდა სება მიზეზებიც: პირველი, პირობით ვადამდე გათავისუფლება ციხეში რეაბილიტაციის ჯილდო უნდა იყოს, თუმცა, ციხეები რეაბილიტაციას არ ქადაგებენ. მეორე, დიდი ხნის განმავლობაში სისტემაში არ არსებობდა კრიტერიუმები, რომელთა მხედვეთაც პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭო შეძლებდა დასკვნის გამოტანას. 1973 წლიდან, ფედერალური ინსტრუქციების დანერგვის შემდეგ 19 იურისდიქციაში არსებობდა პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტრუქციები. პირობით ვადამდე

გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესი კვლავ ბუნდოვანია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პატიმართა უკმაყოფილების ზრდას. სისტიმას აკრიტიკებენ პოლიტიკური მანიპულაციების და ლობირების შესაძლებლობების გამო. მაგალითად როდესაც ციხეები გადავსებულა, გუბერნატორის შეუძლია საბჭოზე ზეწოლა და პირობით ვადამდე გათავისუფლების დადგენილების მოთხოვნა, ლობისტებმა შესაძლოა გააძლიერონ ზეწოლა საბჭოზე, თუ იხილება ცნობილი პიროვნების საკითხი. პირობით ვადამდე გათავისუფლების წარმატება, პრობაციის მისაღებად, გაწეულ თანადგომაზე და დახმარებაზე დამოკიდებულია. ლატვიისთვის კი იმდენად დიდია, რომ ჩვეულებრივ შემთხვევებში ასეთი თანადგომა წარმოუდგენელია.

ენდრიუ ფონ პირში და ქეთლინ პანრაანი პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტიმის წინააღმდეგ გამოდიან და მის გაუქმებას მოითხოვენ. მათი თქმით, ბრალდებულის გათავისუფლების გადაწყვეტილება არ უნდა ემყარებოდეს დანაშაულის ხელახლა ჩადენის შესაძლებლობებს, პატიმრობის ვადა უნდა განისაზღვრებოდეს ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად. ისინი პირობით ვადამდე გათავისუფლებას მხარს არ უჭერდნენ სამართლიანობის და მართებულობის თვალსაზრისით. სამაგიეროდ, ითხოვდნენ გათავისუფლების ზუსტი თარიღის დადგენას და არა იმას, რომ ეს თარიღი უცებ შეცვლილიყო პატიმრობის გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.

შედგება, პირობით ვადამდე გათავისუფლების სისტიმა ზოგიერთ იურიდიულ სფეროში გაუქმდა. სავალდებულო გათავისუფლება შეცვალა განსაზღვრულმა განაჩენმა ან პირობით ვადამდე გათავისუფლების ინსტრუქციებმა. ზოგი იურიდიულ სფეროში იყენებს, ზოგი კი „კარგ დროს“ დაუბრუნდა.

„კარგი დროს“ სისტიმა ითვალისწინებს განაჩენის ხანგრძლივობის შემოკლებას გარკვეული პროცედურების შესაბამისად, თუკი პატიმარი ამართლებს ციხის აღმინისტრაციის მოლოდინს. გამოკვლევებით ცხადი გახდა, რომ „კარგი დროს“ სისტიმა, თუ ის დანერგვამდე კარგად არ იქნება შესწავლილი და არ დადგინდება, რომ ის ციხეების გადატვირთვისთან ბრძოლის კარგი მეთოდია, დიდ რისკს შეიცავს. განსაკუთრებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მხრივ გამოვლინდა საზოგადოების მიერ „კარგი დროს“ და საზოგადოებრივი გამოსწორების მხარდაჭერა, ციხეების მშენებლობამ მეტ-ნაკლები მხარდაჭერა პპოვა, ხოლო განაჩენის ვადის შემცირების და პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს უფლებამოსილების გაზრდის იდეა დაგმეს.

რენტაბელური ალტერნატივების ძიება. პრობაცია და პირობით ვადამდე გათავისუფლება ყოველთვის პატიმრობის უფრო რენტაბელურ ალტერნატივად იყო მიჩნეული.

თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მათი წარმატების დონე არ არის ცალსახა. დაძნელებებისა და სისასტიკის აღზევების ხანაში პოლიტიკოსები და საზოგადოება პირობით ვადამდე გათავისუფლებას და პრობაციას ციხეების გადავსებასთან ბრძოლის შეუსაბამო მეთოდებად მიიჩნევენ.

დაიწყო უსაფრთხოებისა და სადამსჯელო თვალსაზრისის შესაბამისი რენტაბელური ალტერნატივების ძიება. მკვლევარები აქცენტს, ძირითადად, სადამსჯელო და გამასწორებელ საშუალებებზე აკეთებდნენ რაც:

- ციხეში ან საპყრობილეში პატიმრობაზე იაფია.
- საზოგადოების მიერ არ აღიქმება როგორც სასჯელისგან თავის დაღწევა, პატიმრობის განაჩენის შემსუბუქება.
- არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას.

- ცხდის შიგაგახად არ ახდენენ პატიმრებზე უარყოფით გავლენას, პირიქით, ეხმარება დაინაშავეებს, მათ ოჯახებს, საზოგადოებას.

ექსპერიმენტებმა დაძაბვებული შედეგები გამოავლინა, მათ შორის არის ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამები, შინაპატიმრობის პროგრამები, შოკური პროგრამები, ჯარიმები და საზოგადოებრივი მომსახურების პროგრამები.

პრობაცია ინტენსიური ზედამხედველობით (პიზ). როგორც იმთავითვე იყო გააზრებული, პრობაციის პროგრამები განკუთვნილია იმ დაძაბვაშედეგებისათვის, რომელთაგან მოსალოდნელია საზოგადოებრივი საფრთხიდან გამომდინარე არ იყო საფრთხილო პატიმრობა, მეტიც, პატიმრობაში სხვებთან ერთად ყოფნა განსაჯელს ზიანს უყრთ მოუტანდა, ვიდრე სიკეთეს. პრობაციის ტრადიციული ფორმა მკაცრ ზედამხედველობას ითვალისწინებს, რაც განსაზოგადოებრივად რთული აღმოჩნდა პრობაციით გათავისუფლებულ პირთა დიდი რაოდენობის გამო. დაბალი რისკის შემთხვევებში შტატების ნაწილი კვლავაც ტრადიციულ ზედამხედველობას მიმართავს, თუმცა ბევრ შტატში შემოღებულია პრობაცია ინტენსიური ზედამხედველობით იმთავითვე, ვინც არ ჯდება სიქმაში.

ნიუ-ჯერსის მიერ პიზ-ის მიმართებით მიღებული გამოცდილება დამაიმედებელია. ნიუ-ჯერსის პროგრამა, რომელსაც 1983 წლიდან სასამართლოების ადმინისტრაციული ოფისი ხელმძღვანელობს, გათვალისწინებულია 500 ბრალდებულისთვის, რაც ერთი ცხდის პატიმრების რაოდენობას წარმოადგენს. პროგრამაში არ მონაწილეობენ საშიში დაძაბვაშედეგები - მძარცველები, მკვლელები და სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულში მხილებული პირები. ვისაც პროგრამაში მონაწილეობა სურს, პატიმრობის ვადის დაწყებიდან 30 დღის შემდეგ და 60 დღის ვადის გასვლაშდე უნდა გააკეთოს განაცხადი. ეს პერიოდი შოკური პატიმრობის ვადად არის მიჩნეული.

ყოველმა განმცხადებელმა უნდა შეიმუშაოს გეგმა, რომელშიც აღწერს პირად პრობლემებს, გეგმებს, საზოგადოებრივ წყაროებს და კონტაქტებს. უნდა განისაზღვროს საზოგადოებრივი სპონსორი, რომელიც დაეხმარება ბრალდებულს პროგრამის მიზნების შესრულებაში და რომელთანაც იცხოვრებს ბრალდებული გათავისუფლებიდან პირველი თვეების განმავლობაში. განმცხადებელმა ასევე უნდა დაასახელოს საზოგადოების სხვა წევრები, რომელთაც შეუძლია მიმართოს დახმარების მიზნით. მათ ეწოდება ქსელური ჯგუფი.

ბრალდებულის მიერ წარმოდგენილი ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამის გეგმა და მასში დასახელებული პირები ზედმიწევნით მოწმდება. ყველანაირი ინფორმაცია განსახილველად წარედგინება პიზ-ის საბჭოს, რომელშიც შედის პიზ-ის დირექტორი, გამოიწვევებული პერსონალი, საზოგადოების წარმომადგენლები. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს გადაწყვეტილება დადებითია, გამცხადებელი უნდა წარსდგეს საში მოსამართლის საბჭოს წინაშე. საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღება გამოიხატება პიზ-ის 90 დღიან პროგრამაში ჩართვით; ვადის გაგრძელება შეიძლება 90 დღის შემდეგაც. ყოველმა მოაწილემ პროგრამაში მინიმუმ 1 წელი უნდა გაატაროს, რაც მოიცავს გათავისუფლების შემდგომ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ის მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფება და დარღვევისთანავე პატიმრობას უბრუნდება.

პროგრამის პირობები მუშაობასა და მძიმე შრომაზეა დაფუძნებული. პირობები მოიცავს:

- საზოგადოებრივი მუშაობის მინიმუმ 16 საათი კვირაში.

- მრავალჯერად ყოველკვირეულ შეხვედრებს პიზ-ის ოფიცერთან და საზოგადოებრივ სპონსორთან.
- ყოველდღიური წარმატებების ამსახველი დღიურის წარმოებას.
- პოლიციასთან კოტაქტის ან დაპატიმრების შემთხვევის პიზ-ის ოფიცრისათვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას.
- შეთავაზების შემთხვევაში ყოველკვირეულ დისკუსიებში მონაწილეობას.
- პიზ-ის ოფიცრების მიერ მომზადებულ ნებისმიერ სამკურნალო პროგრამაში მონაწილეობას (მაგ. ნარკოტიკები, ალკოჰოლი).
- კომენდატის საათის მოთხოვნების დაკმაყოფილებას (როგორც წესი, დღის 10-დან საღამოს 6-მდე).
- ელექტრონული მონიტორინგის ჩატარებას მოთხოვნისამებრ.
- ყველა ვალდებულების ღირებულების დაფარვას (მაგ. ელექტრონული მონიტორინგის დღიური ღირებულება 5-დან 8 დოლარს შეადგენს), სასამართლო ხარჯების, ჯარიმების, მსხვერპლისათვის კომპენსაციების ანაზღაურებას და შვილების შენახვას სასამართლოს მიერ დადგენილი ფარგლების შესაბამისად.

ნიუ-ჯერსიში ჩაყარდნების დონე მოსალოდნელთან შედარებით უფრო დაბალი გამოდგა. პიზ-ის პროგრამის მონაწილეების მხოლოდ 5%-მა ჩაიდინა დანაშაული პროგრამის საშუალოდ 18-თვიანი ხანგრძლივობის მანძილზე, რაც წარმატებად არის მიჩნეული, რადგან მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ინტენსიური ზედამხედველობისას შესაძლებელია პიზ-ის პროგრამაში მონაწილე დაძაბვითა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩამდენთა დადგენა.

პროგრამის დადებითი მხარეებიდან უნდა აღინიშნოს:

- წელიწადში 17.000 აშშ დოლარის ნაცვლად ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამა შტატს 7.000 აშშ დოლარი უჯდება, ამდენად, შტატი დაძაბვაზე წელიწადში 10.000 აშშ დოლარს ზოგავს.
- დაძაბვაზე იღებს ანაზღაურებას, იხდის გადასახადებს, ელექტრონული მონიტორინგის ღირებულებას, ჯარიმებს და ასრულებს სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.
- კონკრეტული განცხადებების გაკეთება ადრეა, მაგრამ არსებობს მინიშნება იმაზე, რომ პიზ-ის პროგრამის მონაწილეები გათავისუფლების შემდეგ უფრო იშვიათად მომცემნი იქნებიან, ვიდრე პატიმრები; ამდენად საზოგადოებას ეზოგება დაძაბვით დაკავშირებული ხარჯები.¹⁴

ნიუ-ჯერსის ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამა უფრო სადამსჯელო და მომთხოვნი ხასიათისაა და, შესაბამისად, სხვა შტატების ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამასთან შედარებით - უფრო ძვირადღირებული. ასე მაგალითად, ილინოისის პროგრამა გათვალისწინებულია ნაკლებად სარისკო დაძაბვითათვის და მხოლოდ 2.500 აშშ დოლარი ჯდება ერთ პირზე. სხვა იურისდიქციებში დანერგული მსგავსი პროგრამები ასეთივე რენტაბელურია. მინესოტას ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამის თანახმად, მონაწილეები საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდნენ, ვიდრე დაპატიმრებული და შემდეგ გათავისუფლებული დაძაბვები.¹⁵ კოლორადოში განხორციელებულმა პიზ-ის პროგრამამ ასევე დაამტკიცა რომ მისი განხორციელება უფრო რენტაბელური იყო, ვიდრე გამასწორებელი დაწესებულებები ან ციხეები.¹⁶

პირობით ვადაძლე ვათავისუფლება ინტენსიური ზედაშედეგელობით. ინტენსიური ზედაშედეგელობის გამოყენება, როგორც ჩანს, ეფექტურია და რენტაბელური იმ დაძინაშავეთა მიძირთ, რომლებიც პირობით ვადაძლე ვათავისუფლებას ექვემდებარებიან, მაგრამ შესაძლო რისკის გამო არ ხვდებიან პროგრამაში. ასეთ შემთხვევებში მოქმედების პირობით ვადაძლე ვათავისუფლების ინტენსიური ზედაშედეგელობის პროგრამები, რომლებიც ისეთივე პრინციპებზეა დამყარებული, როგორზეც ჩვეულებრივი პროგრამები — ათავისუფლების ადგილებს ცხეში და ისეთივე ფინანსური ეფექტი აქვს. 1998 წელს ამერიკის მასშტაბით ინტენსიური ზედაშედეგელობით პირობით ვადაძლე ვათავისუფლდა 24.888 პირი.¹⁷ ასეთი ტიპის პროგრამების წარმატების შეფასება შემდგომ კვლევებს საჭიროებს.

შინაპატიმრობის პროგრამები. საჯარო ცხეში პატიმრების შენახვის მაღალი ხარჯების გათვალისწინებით ბევრი შტატის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ადაძინების „დაპატიმრება“ იქ, სადაც „ქირა“ უფრო დაბალი იქნებოდა. კერძო პირის სახლი, ჯგუფური სახლი ან თავშესაფარი ალტერნატივად იქნა მიწნული. ასე შემოიღეს შინაპატიმრობა, რაც ამერიკაში 50.000 დაძინაშავეს აქვს მისჯილი. შინაპატიმრობა არის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლის თანახმად პიროვნება სახლში უნდა იმყოფებოდეს მისი განაჩენის ვადის ამოწურვამდე. ასეთ პატიმრებს სახლიდან გამოსვლა შეუძლიათ საშედიცნო დახმარების მისაღებად, სამუშაოდ და დადგენილ რიდიგიურ ღონისძიებებზე დასაწერებად. მათ შეიძლება მოეთხოვოთ საზოგადოებრივი სამსახურის გაწევა, დაზარალებულიათვის კომპენსაციის გადახდა და ზედაშედეგელობის ხარჯების ანაზღაურება. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება პატიმრის სახლში ყოფნის საკონტროლებლად.¹⁸

ელექტრონული მონიტორინგის სისტემამ თავიდან პრობლემები წარმოშვა, მაგრამ ეს პრობლემები უკვე დაძლეულია. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ პრობლემებს, როგორც ჩანს, ოჯახის წევრები ეგუებიან სხვა წევრების ასეთ პატიმრობას, მაგრამ ბევრი ადაძინების ელექტრონული მონიტორინგის წინააღმდეგია.¹⁹ მიჩიგანში, ნევადასა და ოკლაჰომაში ჩაატარეს შინაპატიმრობათან დაკავშირებული ექსპერიმენტები. შტატების უმრავლესობა იყენებს ამ პროგრამას დაძინაშავეთა ცხეებიდან დახსნის მიზნით.

შინაპატიმრობის უპირატესობა არის ის, რომ ისეთივე სადამსჯელო ეფექტი აქვს, როგორიც საზღაურის და დაძინების, და პატიმრებს კვლავაც აქვთ მუშაობის და ოჯახის წევრებთან კონტაქტის უფლება, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სახლში მცირეწლოვანი ბავშვების ყოფნისას. პატიმრობის ალტერნატიულ ფორმას წარმოადგენს დღიური ანგარიშგების პროგრამები. ამ პროგრამის მონაწილეს შეუძლია სახლში ცხოვრება. ელექტრონული მონიტორინგის სანაცვლოდ, პირი ვაღდებულია რეგულარულად მაწოდოს მოხსენებები დაწესებულებებს, რომლებშიც აქცენტი ძირითადად გამახვილებულია მკურნალობაზე.²⁰ ძალიან ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რამდენად წარმატებული იქნება ასეთი პროგრამები.²¹

შოკური პატიმრობა. წარსულში საზღაურის და აწმყოში დამსახურებული სასჯელის თეორიებით სასჯელი განისაზღვრება პატიმრობაში გასატარებელი პერიოდით, რომელიც დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე და დაძინაშავის ბრალზე. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სასჯელი ასევე უნდა განისაზღვრებოდეს პატიმრობის სიმკაცრით. მოკლევადიანი პატიმრობა შესაძლოა ისეთივე მკაცრი იყოს, როგორც ხანგრძლივი პატიმრობისას „იოლად გატარებული დრო“. უფრო მეტიც, მოკლევადიანი პატიმრობით შესაძლებელია ხანგრძლივი პატიმრობის დამღუპველი შედეგების თავიდან აცილება.

შოკური პატიმრობის მიზანია ბოროტმოქმედთა შოკირება მოკლევადიანი პატიმრობის მიხედვით (90-დან 180 დღემდე) და ყოველდღიური ინტენსიური ვარჯიშების, მუშაობის და გამასწორებელი ღონისძიებების საშუალებით შემდგომში დანაშაულის ჩადენაზე უარის თქმა. ზოგიერთი ინტენსიური ზედამხედველობის პროგრამა მოიცავს შოკურ პატიმრობას; პროგრამების სხვა ტიპები მთლიანად შოკურ მოდელზეა აგებული. საზღვაო ან სახმელეთო მოსამზადებელი პროგრამების მიგავსად შოკურ პროგრამებს ხშირად ახალბედების მოსამზადებელ ბანაკს უწოდებენ.²²

ახალბედების მოსამზადებელი ბანაკების პროგრამები პოლიტიკურად მიმზიდველია რენტაბელობის გამო და საზოგადოებას უჩვენებს, რომ დამნაშავეები ინტენსიურ სადისციპლინო მომზადებას გადაიან. ისინი მთელ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობენ. როგორც წესი, პროგრამები ახალგაზრდა (30 წლამდე) მამრობითი სქესის ბოროტმოქმედებზე ვრცელდება, მაგრამ ეს ვგუფო ტრადიციულად, დამნაშავეთა ორ მესამედს შეადგენს. 1990-დან 1995 წლამდე პერიოდში ასეთი ბანაკების რაოდენობა გასამაგდა და 22-ის ნაცვლად 65 შეადგინა.²³

კვლევების შედეგები არ არის დამაიმედებელი. თუმცა, ილინოისში, ალაბამასა და ორეგონში ვაკეთდა განცხადებები პროგრამების რენტაბელობის შესახებ.²⁴ 1994 წელს რვა შტატში ჩატარებულმა რვა პროგრამის სერიოზულმა კვლევამ დაადგინა, რომ ასეთი ბანაკების არსებობა ვერ ამცირებს რეკიდირიზმის დონეს. უფრო მეტიც, მათი არსებობა ციხეებში ადგილების გამოთავისუფლებაზე ვაგულენას ვერ ახდენს.²⁵

ზარალის ანაზღაურების პროგრამები. თეორიულად დაზარალებულს ყოველთვის აქვს ბოროტმოქმედთა მიმართ მოთხოვნები, როგორც წესი ეს მოთხოვნები სამოქალაქო სასამართლო პროცესის საშუალებით განიხილება. თუმცა, ბრალდებულთა უმრავლესობა მეტისმეტად ღარიბია იმისათვის, რომ აანაზღაუროს ზარალი. პატიმრობა კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას, ვინაიდან პატიმარს მუშაობის უფლება ერთმევა და გვლარ ანაზღაურებს ზარალს. პოლიტიკოსებმა დაიწყეს ამ პრობლემის გააზრება. ზარალის ანაზღაურების პროგრამები პოპულარული გახდა 1973 წლიდან მას შემდეგ, რაც ამერიკელი სიუციალისტების ვგუფმა მოინახულა „რადბრუკ ჰაუსი“, ყოფილი ციხე ფრანკფურტში (გერმანია), რომელიც სამუშაო დაკავების ადგილად გადააქციეს.

რეგიონის პატიმრების ნახევარი სიმონტანურად შეირჩა ამ ახალ დაწესებულებაში გადასაცემად. მათ ყოველდღიურად სამუშაოზე გაივლა ევალეობრათ, სოლო ხელფასი საგულდაგულოდ იყო განსაზღვრული ოფიცრების მიერ (მცველები, რომლებიც ბულალტრების როლს ასრულებდნენ), რაც უნდა მოხმარებოდა სასამართლო ხარჯების გასტუმრებას, დაზარალებულებისათვის კომპენსაციების გადახდას, ოჯახების რჩენას, სამსახურამდე და სამსახურიდან ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას და ა.შ. გაქცევების დონე ძალზე დაბალი იყო. ვაქცეული პატიმრები დაცულ ციხეებში გადაჰყავდათ.²⁶ ამერიკელ სტუმართა შორის იყო კენეტ ქ. სკონი, შემდგომში მინესოტას გამასწორებელი სისტემის ხელმძღვანელი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მინესოტას რესტიტუციულ ცენტრს.

დღესდღეობით ზოგიერთ იურისდიქციაში უპირატესობას ანიჭებენ შრომა-გასწორებით სამართლებლებს ან საერთო რეჟიმის რესტიტუციულ ცენტრებს. როგორც გამოკვლევები ცხადყოფს, რესტიტუციის გამოყენებით შესაძლებელია როგორც დასჯის უტილიტარული, ასევე სამართლიანი სასჯელის მიზნების მიღწევა.

¹ Gore v. United States, 357 U.S. 386 (1958), at 393.

- ² Rudolf His. *Deutsches Strafrecht bis zur Karolina* (Munich: R. Oldenbourg, 1928), pp. 58-60.
- ³ Georg Rusche and Otto Kirchheimer. *Punishment and Social Structure* (New York: Columbia University Press, 1939), p. 9.
- ⁴ Thorsten Sellin, "Two Myths in the History of Capital Punishment," *Journal of Criminal Law and Criminology*, 50 (1959): 114-117.
- ⁵ Thorsten Sellin. *Slavery and the Penal System* (New York: Elsevier, 1976), p. 54.
- ⁶ George Ives. *A History of Penal Methods* (1914; Montclair, N.J.: Petterson Smith, 1970), p. 104.
- ⁷ Sellin. *Slavery and the Penal System*, pp. 54-55.
- ⁸ *Ibid.*, p. 71.
- ⁹ *Ibid.*, pp. 77, 101.
- ¹⁰ Geneva Convention Relative to the Treatment of Prisoners of War, Aug. 12, 1949, art. 22.
- ¹¹ Sellin. *Slavery and the Penal System*, p. 101.
- ¹² It is estimated that 100,000 offenders were transported from England to the American colonies and Australia over a period of nearly 200 years. See J.J. Tobias, *Nineteenth-Century Crime: Prevention and Punishment* (Newton, Mass.: David and Charles, 1972).
- ¹³ Norval Morris and David J. Rothman, eds., *The Oxford History of the Prison: The Practice of Punishment in Western Society* (Oxford: Oxford University Press, 1995).
- ¹⁴ Graeme R. Newman. *The Punishment Response* (Philadelphia: Lippincott, 1978), p. 121.
- ¹⁵ Harry Elmer Barnes and Negley K. Tecters. *New Horizons in Criminology*, rev. ed. (New York: Prentice-Hall, 1945), p. 505.
- ¹⁶ See Alexander W. Pisciotta. "A House Divided: Penal Reform at the Illinois State Reformatory, 1891-1915," *Crime and Delinquency*, 37 (1991): 165-185.
- ¹⁷ *Attica: The Official Report of the New York Special Commission on Attica* (McKay Commission Report) (New York: Bantam, 1972).
- ¹⁸ James B. Jacobs. *New Perspectives on Prisons and Imprisonment* (Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1983).
- ¹⁹ Gerhard O.W. Mueller and Douglas J. Besharov, "The Demands of the Inmates of Attica State Prison and the United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners: A Comparison," *Buffalo Law Review*, 21 (1972): 839-854.
- ²⁰ *Stroud v. Swope*, 187 F. 2d 850 (9th Cir. 1951).
- ²¹ Rudolph Alexander, Jr., "Hands-Off, Hands-On, Hands Semi-Off: A Discussion of the Current Legal Test Used by the United States Supreme Court to Decide Inmates Rights," *Journal of Crime and Justice*, 17 (1994): 103-128.
- ²² For a discussion of court treatment of women inmates' rights claims, see Barbara B. Knight, "Women in Prison as Litigants: Prospects for Post-prison Futures," *Women and Criminal Justice*, 4 (1992): 91-116.
- ²³ Amanda Wunder, "The Extinction of Inmate Privileges: Survey Summary," *Corrections*, 20 (1995): 5-24.
- ²⁴ Francis T. Cullen, "Assessing the Penal Harm Movement," *Journal of Research in Crime and Delinquency*, 32 (1995): 338-358.
- ²⁵ Hans Mauck. "The Contemporary Jail in the United States," in *Handbook of Criminology*, ed. Daniel Glaser (Chicago: Rand McNally, 1974).
- ²⁶ Michael T. Charles, Sesha Kethineni, and Jeffrey L. Thompson, "The State of Jails in America," *Federal Probation*, 56 (1992): 56-62.
- ²⁷ Freda Adler, "Jails as a Repository for Former Mental Patients," *International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology*, 30 (1986): 225-236.
- ²⁸ See John J. Gibbs, "Symptoms of Psychopathology among Jail Prisoners: The Effects of Exposure to the Jail Environment," *Criminal Justice and Behavior*, 14 (1987): 288-310.
- ²⁹ Paula N. Rubin and Susan W. McCampbell, *The Americans with Disabilities act and Criminal Justice: Mental Disabilities and Corrections*, National Institute of Justice Research in Action (Washington, D.C.:
- ³⁰ Paula N. Rubin and Susan W. McCampbell, *The Americans with Disabilities act and Criminal Justice: Mental Disabilities and Corrections*, National Institute of Justice Research in Action (Washington, D.C.:
- ³¹ James Brooke, "Supermax' Isolates the 'Worst of the Worst' from Federal Prisons," *New York Times*, June 13, 1999.
- ³² Reg Tyre, "Hard Times for the Don," *Newsday*, Nov. 22, 1992, p. 4.
- ³³ Russell Miller, "The Tallest Jail in the World," *Sunday Times*, May 23, 1993.
- ³⁴ Bureau of Justice Statistics. *Prisoners in 1998* (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, August 1999), p. 1.
- ³⁵ Bureau of Justice Statistics. *Prison and Jail Inmates at Midyear 1998* (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, March 1999), p. 1.
- ³⁶ Bureau of Justice Statistics. *Prisoners in 1998*, p. 4.
- ³⁷ Uniform Crime Reports, 1998, p. 1.

- ³⁷ Todd R. Clear and George F. Cole, *American Corrections* (Belmont, Calif.: Wadsworth, 1994), p. 144.
- ³⁸ Bureau of Justice Statistics, *Prisoners in 1998*, p. 4.
- ³⁹ *Ibid.*, p. 9.
- ⁴⁰ Bureau of Justice Statistics, *Prison and Jail Inmates at Midyear 1998*, p. 9.
- ⁴¹ Bureau of Justice Statistics, *Nation's Probation and Parole Population Reached New High Last Year* (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, March 1998), p. 1.
- ⁴² Fox Butterfield, "More in U.S. Are in Prisons, Report Says," *New York Times*, Aug. 10, 1995, p. A14.
- ⁴³ Bureau of Justice Statistics, *Prison and Jail Inmates at Midyear 1998*, p. 1.
- ⁴⁴ Roy Walmsley, *World Prison Population List, Research Findings*, no. 88, Home Office Research Development, 1998.
- ⁴⁵ Bureau of Justice Statistics, *State Prison Expenditures, 1996* (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, August 1999), p. 1.
- ⁴⁶ *Ibid.*
- ⁴⁷ Bureau of Justice Statistics, *Correctional Populations in the United States, 1996* (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, April 1999), p. 6.
- ⁴⁸ See Clear and Cole, *American Corrections*, p. 465.
- ⁴⁹ Jack E. Call, "Prison Overcrowding Cases in the Aftermath of *Wilson v. Seiter*," *Prison Journal*, 75 (1995): 390-405.
- ⁵⁰ Bureau of Justice Statistics, *Prisoners in 1998*, p. 2.
- ⁵¹ Bureau of Justice Statistics, *Prisoners in 1997*, (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, March 1998), p. 2.
- ⁵² Donald Clemmer, *The Prison Community* (New York: Holt, Rinehart and Winston, 1965).
- ⁵³ Gresham M. Sykes, *The Society of Captives: A Study of a Maximum Security Prison* (Princeton, N.J.: Princeton University Press, 1958).
- ⁵⁴ Dennis J. Stevens, "The Depth of Imprisonment and Prisonization: Levels of Security and Prisoners' Anticipation of Future Violence," *Howard Journal of Criminal Justice*, 33 (1994): 137-157.
- ⁵⁵ Gresham M. Sykes and Sheldon L. Messinger, "The Inmate Social System," in *Theoretical Studies in Social Organization of the Prison*, ed. Richard A. Cloward et al. (New York: Social Science Council, 1960).
- ⁵⁶ Clarence Schrag, "Some Foundations for a Theory of Corrections," in *The Prison: Studies in Institutional Organization and Change*, ed. Donald R. Cressey (New York: Holt Rinehart and Winston, 1961).
- ⁵⁷ Charles W. Thomas, "Prisonization or Resocialization: A Study of External Factors Associated with the Impact of Imprisonment," *Journal of Research in Crime and Delinquency*, 10 (1973): 13-21.
- ⁵⁸ Station L. Wheeler, "Socialization in Correctional Institutions," in *Handbook of Socialization Theory and Research*, ed. D.A. Goslin (Chicago: Rand McNally, 1969).
- ⁵⁹ Hans Toch, Kenneth Adams, and Douglas Grant, *Coping: Maladaptation in Prisons* (New Brunswick, N.J.: Transaction, 1989).
- ⁶⁰ Gerhard O.W. Mueller, "Economic Failures in the Iron Womb: The Birth of Rational alternatives to Imprisonment," in *Sentencing: Process and Purpose*, ed. Mueller (Springfield Ill.: Charles C Thomas, 1977), pp. 110-143.
- ⁶¹ James F. Houston, Don C. Gibbons, and Joseph F. Jones, "Physical Environment and Jail Social Climate," *Crime and Delinquency*, 34 (1988): 449-466.
- ⁶² James B. Jacobs, "Prisons: Prison Subculture," in *Encyclopedia of Crime and Justice*, ed. Sanford H. Kadish (New York: Free Press, 1983), p. 1224.
- ⁶³ R. G. Leger, "Perception of Crowding Racial Antagonism, and Aggression in a Custodial Prison," *Journal of Criminal Justice*, 16 (1988): 167-181.
- ⁶⁴ Michael S. Serrill and Peter Katel, "New Mexico: The Anatomy of a Riot," *Corrections Magazine*, 6 (1980): 6-7.
- ⁶⁵ Matthew Silberman, *A World of Violence: Corrections in America* (Belmont, Calif.: Wadsworth, 1995).
- ⁶⁶ Alan T. Harland, Salvador Buentello, and George W. Knox, "Prison Gangs," *Prison Journal*, 71 (1993): 1-66.
- ⁶⁷ American Correctional Association, *Gangs in Correctional Facilities: A National Assessment* (Laurel, Md.: American Correctional Association, 1993).
- ⁶⁸ Seth Mydans, "Racial Tensions in Los Angeles Jails Ignite Inmate Violence," *New York Times*, Feb. 6, 1995, p. A13.
- ⁶⁹ Patricia Van Voorhis, "Measuring Prison Disciplinary Problems: A Multiple Indicators Approach to Understanding Prison Adjustment," *Justice Quarterly*, 11 (1994): 679-709.
- ⁷⁰ James W. Marquart, *Cooptation of the Kept: Maintaining Control in a Southern Penitentiary* (Ann Arbor, Mich.: University Microfilms, 1983).
- ⁷¹ Christopher Drew, "An Iron Hand at Rikers Island Drastically Reduces Violence," *New York Times*, Nov. 9, 1999, pp. A1, B6.
- ⁷² Kelsey Kaufman, *Prison Officers and Their World* (Cambridge, Mass.: Harvard University Press, 1988).
- ⁷³ *The Economic Impact of Co craft Correctional Industries in New York State* (Alexandria, Va.: Institute for Economic and Policy Studies, 1988).
- ⁷⁴ Committee on Corrections, Probation and Parole, *Oversight Report on PRIDE* (Tallahassee: Florida House of Representatives, 1988).

- ⁷⁵ Paul E. Barton and Richard J. Coley, *Captive Students: Education and Training in America's Prisons* (Princeton, N.J.: Educational Testing Service Policy Information Center, 1996).
- ⁷⁶ For an examination of the role of religion in prison, see James M. Day and William S. Laufer, eds., *Crime, Values and Religion* (Norwood, N.J.: Ablex, 1987).
- ⁷⁷ Daniel Glaser, *The Effectiveness of a Prison and Parole System* (Indianapolis: Bobbs-Merrill, 1964).
- ⁷⁸ Douglas Lipton, Robert Martinson, and Judith Wilks, *The Effectiveness of Correctional Treatment: A Survey of Treatment Evaluation Studies* (New York: Praeger, 1975).
- ⁷⁹ Ted Palmer, "Martinson Revisited," *Journal of Research in Crime and Delinquency*, 12 (1975): 133-152.
- ⁸⁰ Daniel H. Antonowicz and Robert R. Ross, "Essential Components of Successful Rehabilitation Programs for Offenders," *International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology*, 38 (1994): 97-104.
- ⁸¹ Paul Gendreau and Robert R. Ross, "Revivification of Rehabilitation: Evidence from the 1980s," *Justice Quarterly*, 4 (1987): 395.
- ⁸² Nathaniel J. Pallone and James J. Hennessy, *Criminal Behavior – A Process Psychology Analysis* (New Brunswick, N.J.: Transaction, 1991), pp. 362-363.
- ⁸³ Kenneth Adams, Katherine J. Bennett, Timothy J. Flanagan, James W. Marquart, Steven J. Cuvelier, Velmer S. Burton, Jr., Eric Fritsch, Jurg Gerber, and Dennis R. Longmire, "A Large-Scale Multidimensional Test of the Effect of Prison Education Programs on Offenders' Behavior," *Prison Journal*, 74 (1994): 433-449.
- ⁸⁴ Jamie Lillis, "Prison Education Programs Reduced," *Corrections Compendium*, 19 (1994): 1-4.
- ⁸⁵ Theodore M. Hammett, Patricia Harmon, and Laura M. Marushcak, 1997-1998 Update: HIV/AIDS, STDs, and TB in Correctional Facilities (Washington D.C.: National Institute of Justice, July 1999), p.6.
- ⁸⁶ *Ibid.*
- ⁸⁷ John O'Brien, "Record Award in HIV Needle Case," *New York Law Journal*, July 14, 1992, p. 1.
- ⁸⁸ Eillen Kelly, "Expanding Prisoners' Access to AIDS-Related Clinical Trials: An Ethical and clinical Imperative," *Prison Journal*, 75 (1995): 48-68.
- ⁸⁹ Hammett, Harmon, and Marushcak, 1997-1998 Update, p. 85.
- ⁹⁰ Fox Butterfield, "Experts Say Study Confirms Prison's New Role as Mental Hospital," *New York Times*, July 12, 1999.
- ⁹¹ Fox Butterfield, "By Default, Jails Become Mental Institutions," *New York Times*, Mar. 5, 1998.
- ⁹² Butterfield, "Experts Say Study Confirms Prison's New Role as Mental Hospital."
- ⁹³ Rick Bragg, "Where Alabama Inmates Fade into Old Age," *New York Times*, Nov. 1, 1995, p. 1.
- ⁹⁴ Camille Graham' Camp and George M. Camp, *The Corrections Yearbook*, 1997 (South Salem, N.Y.: Criminal Justice Institute, 1997), p.20.
- ⁹⁵ Ronald H. Aday, "Aging in Prison: A Case Study of New Elderly Offenders," *International Journal of Offender Therapy and Comparative Criminology*, 38 (1994):79-91.
- ⁹⁶ Edith Flynn, "The Graying of America's Prison Population," *Prison Journal*, 72 (1992): 77-96.
- ⁹⁷ Barbara Bloom, Russ Immarigeon, and Barbara Owen, eds., "Special Issue: women in Prisons and Jails," *Prison Journal*, 75 (1995):
- ⁹⁸ Allison Morris and Chris Wilkinson, "Responding to Female Prisoners' Needs" *Prison Journal*, 75 (1995): 295-305.
- ⁹⁹ Peter Appleborne, "U.S. Prisons Challenged by Women Behind Bars," *New York Times*, Nov. 30, 1992, p. A10.
- ¹⁰⁰ Judith Clark, "The Impact of the Prison Environment on Mothers," *Prison Journal*, 75 (1995): 306-329.
- ¹⁰¹ David Shichor and Dale K. Sechre "Quick Fixes in Corrections: Reconsider Private and Public for Profit Facilities," *Prison Journal*, 75 (1995): 457-478.
- ¹⁰² Kathleen Maguire and Ann L. Pasture, eds., *Sourcebook of Criminal Justice Statistics – 1996* (Washington, D.C.: U.S. Department of Justice, Bureau of Justice Statistics, 1997), p. 92.
- ¹⁰³ Barbara J. Auer Bach et al., *Work in American Prisons: The Private Sector Gets Involved*, for National Institute of Justice (Washington, D.C.: U.S. Government Printing Office, 1998).
- ¹⁰⁴ Ira P. Robbins, "Privatization of Corrections: Defining the Issues," *Federal Probation*, 50 (1986): 24-30.
- ¹⁰⁵ Sheldon Gluec, Introduction to John Augustus, *First Probation Officer* (New York: National Probation Association, 1939) p. xvi.
- ¹⁰⁶ Harry Allen, Chris Eskridge, Edward Latessa, and Gennaro Vito, *Probation and Parole in America* (New York: Free Press, 1985).
- ¹⁰⁷ Bureau of Justice Statistics, *Nation's Probation and Parole Population Reached New High Last Year*, p.1.
- ¹⁰⁸ Bureau of Justice Statistics, *Correctional Populations in the United States*, 1996, p. 30.
- ¹⁰⁹ Alexander Maconochie as quoted in Barnes and Teeters, *New Horizons in Criminology*, p. 548.
- ¹¹⁰ Don M. Gottfredson, m.G. Neithercutt, Joan Nuffield, and Vincent O'Leary, *Four Thousand Lifetimes: A Study of Time Served and Parole Outcomes* (Davis, Calif.: National Council on Crime and Delinquency, Research Center, 1973).
- ¹¹¹ Bureau of Justice Statistics, *Correctional Populations in the United States*, 1996, p. 116.
- ¹¹² Andrew von Hirsch and Kathleen J. Hanrahan, *The Question of Parole: Retention, Reform, or Abolition?* (Cambridge, Mass.: Ballinger, 1979).

- ¹¹³ See William B. Lawless and Gerhard O.W. Mueller, Report of the Commission to Advise the Nevada Legislature on the Question of Prison Overcrowding (Reno, Nev.: National Judicial College, 1989).
- ¹¹⁴ New Jersey Criminal Disposition Commission, "Report to the Governor and Legislature, 1987," on file at NCCD Library, Rutgers University.
- ¹¹⁵ Elizabeth Piper Deschenes, Susan Turner, and Joan Petersilia, "A Dual Experiment in Intensive Community Supervision: Minnesota's Prison Diversion and Enhanced Supervised Release Programs," *Prison Journal*, 75 (1995): 330-356.
- ¹¹⁶ Kim English, Susan M. Chadwick, and Suzanne K. Pullen, *Colorado's Intensive Supervision Probation: Report of Findings* (Denver: Colorado Division of Criminal Justice, 1994).
- ¹¹⁷ Bureau of Justice Statistics, *Correctional Populations in the United States, 1996*, p. 116.
- ¹¹⁸ Joan Petersilia, *Expanding Options for Criminal Sentencing* (Santa Monica, Calif.: Rand Corporation, 1987), p. 32.
- ¹¹⁹ Dorothy K. Kagehiro and Ralph Taylor, "A Social Psychological Analysis of Home Electronic Confinement," in *Handbook of Psychology and Law*, ed. D.K. Kagehiro and W.S. Laufer (New York: Springer Verlag, 1992).
- ¹²⁰ See David W. Diggs and Stephen L. Pieper, "Using Day Reporting Centers as an Alternative to Jail," *Federal Probation*, 58 (1994): 9-12.
- ¹²¹ Stephen J. Rackmill, "An Analysis of Home Confinement as a Sanction," *Federal Probation*, 58 (1994): 45-52.
- ¹²² Doris Layton MacKenzie and James Shaw, "The Impact of Shock Incarceration on Technical Violations and New Criminal Activities," *Justice Quarterly*, 10 (1993): 463-487.
- ¹²³ Bureau of Justice Statistics, *Census of State and Federal Correctional Facilities, 1995*, p. 15.
- ¹²⁴ Steven P. Karr and Robert J. Jones, *Impact Incarceration Program* (Springfield: Illinois Department of Corrections, 1994).
- ¹²⁵ Doris Layton MacKenzie and Claire Souryal, *Multisite Evaluation of Shock Incarceration – A Final Summary Report* (Washington, D.C.: National Institute of Justice, 1994).
- ¹²⁶ Criminal Law Education and Research Center, *International Conference of Correctional Policy Makers* (New York: New York University School of Law, 1973).

პარტი II
კრიმინოლოგია და
სამართალდაცავი სისტემა
სამართველოები

ავტორთა კოლექტივი

ნაწალი III
კრიმინოლოგიური კვლევების ძირითადი
ვიმართულაზაბი სამართველოები

თავი 6

კრიმინოლოგია საქართველოში

თავი 7

დაშნაშავის პიროვნება

თავი 8

ორგანიზებული დანაშაულობა

თავი 9

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა

თავი 10

*ორგანიზებული დანაშაულობის მიერ
კონტროლირებადი კრიმინალური საქმიანობის
ზოგიერთი სახეობა საქართველოში*

ავტორთა სია

- 1) ღლონტი გიორგი - პროექტის დირექტორი, სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის დირექტორი, შსს აკადემიის კრიმინალისტიკის კათედრის პროფესორი
თავი 9, თავი 10 - §1 და §4
- 2) ბაძალუა მალხაზი - დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
თავი 8 - §1
- 3) გაბელია ჯემალი - შსს იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი
თავი 10 - §3
- 4) გობიაშვილი ირაკლი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
თავი 7 - §1
- 5) ივანოვა ნატალია - შსს აკადემიის კრიმინალისტიკის კათედრის მასწავლებელი.
თავი 8 - §2, თავი 10 - §6
- 6) კვიციკაშვილი ვასილი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილების უფროსი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.
თავი 7 - §2
- 7) ლობჯანიძე გივი - შსს აკადემიის პროექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიციის გენერალ-მაიორი.
თავი 10 - §7
- 8) ფალაშვილი აპოლონი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრიმინალისტიკის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
თავი 11-16
- 9) თოდრია გიორგი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.
თავი 6
- 10) ჩოხელი ლაშა - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.
თავი 10 - § 2
- 11) ცხოვრებაშვილი ირინა - საქართველოს სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის პროექტის მენეჯერი
თავი 10 - §5

თავი 6 კრიმინოლოგია საქართველოში

§1. კრიმინოლოგიის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში

საქართველოს ისტორიაში წარმოდგენა დანაშაულობის შესახებ უძველესი დროიდან არსებობს, თუმცა გამოყენებითი ემპირიული გამოკვლევების შესაძლებლობის მომცემი თეორიის ფორმით ეს წარმოდგენები მხოლოდ მეოცე საუკუნის სამოციან წლებში განვითარდა. მართალია, ჯერ კიდევ 20-იან წლებში ზოგიერთი ენთუზიასტი ცდილობდა დანაშაულობის მიზეზების, როგორც უფრო რთული და ნაკლებად დამუშავებული პრობლემის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობას, მაგრამ ისინი შეზღუდვებულნი იყვნენ პრობლემისადმი ბიოსოციალური მიდგომით და არ შეეძლოთ ჩაწვდომოდნენ სოციალურ წინააღმდეგობათა საიდუმლოს. გარდა ამისა, მათ არ შეეძლოთ აეხსნათ ბუნება დანაშაულობისა, რომელიც ქვეყანაში რუსული სოციალიზმის ხელშეწყობით მწიფდებოდა. გასაბჭოების მტკივნეულად მიმდინარე პროცესი საქართველოში და მის შიგნით ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიის დანერგვა თითქმის 60-იან წლებამდე ბორკავდა კრიმინოლოგიურ აზროვნებას. აღიკვეთებოდა კრიმინოლოგიური პრობლემატიკის კვლევის ელემენტარული მცდელობა, რადგანაც თვლებოდა, რომ სოციალიზმის განვითარებასთან ერთად გაქრებოდა დანაშაულობაც, როგორც კაპიტალიზმის ბოროტი გადმონაშთი. მაგრამ მზარდი სოციალური წინააღმდეგობები არღვევდნენ საბჭოური იდეოლოგიის „მონოლითს“. წარმოების ინტენსიური განვითარება იწვევდა მოსახლეობის იმ ნაწილის უპირატეს ზრდას, რომელიც მუშაობდა ისეთ დარგებში, სადაც არ ხდებოდა უშუალოდ მოხმარების საგნების წარმოება. მოსახლეობის სოფლიდან გადინება ხელს უწყობდა ქალაქში მოხმარების საგნებზე მოთხოვნილების ზრდას. ქალაქები იქცნენ სიღარიბედ და გომორად, სადაც დუღდა დანაშაულობა. მასთან ბრძოლა უიმედო იყო. დანაშაულობა იზრდებოდა და არსებული რეალობა დაჟინებით მოითხოვდა კრიმინოლოგიური პრობლემატიკის საფუძვლიან დამუშავებას.

60-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში დანაშაულობის მიზეზების შესწავლისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების საკავშირო ინსტიტუტის შექმნის შემდეგ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოშიც, გამოცოცხლდა და განვითარების საკმაო ტემპი აიღო კრიმინოლოგიურმა გამოკვლევებმა. ინსტიტუტის თანაშრომელთა მცდელობით დანაშაულობისა და მისი მიზეზების შედარების საფუძველზე შემუშავდა დანაშაულობის თავიდან აცილების ერთიანი საბჭოური კონცეფცია. კრიმინოლოგიის ახლად შექმნილი თეორია გარკვეულ სტაბილურობას ქმნიდა გამოყენებითი გამოკვლევების ჩატარებისთვის, თუმცა იდეოლოგიური ორიენტაციის გამო ღვი ვერ წყვეტდა პრობლემათა მთლიან კომპლექსს. ობიექტური რეალობის წინების ქვეშ მოქცეული მკვლევარები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ არსებობენ კრიმინოგენური ფაქტორები, რომლებიც კაპიტალიზმს კი არ გადმოჰყვნიან, არამედ სწორედ სოციალიზმის პარაზიტი წარმოადგენდნენ. თუმცა სოციალიზმის კრიმინოლოგიური განკითხვის შიშით, მიღებული დასკვნები პარტიული ბიუროკრატიებისათვის მისაღები სახით მოდიფიცირდებოდა. მოგვიანებით ასეთი მიდგომა ბურუსმა მოიცვა: 70-იანი წლების გამოკვლევებში დანაშაულობის მიზეზად აღიარეს იმ ფაქტორების ურთიერთქმედება, რომლებიც მონაცვლეობით შეიძლება ყოფილიყვნენ ხან

სუბიექტური, ხან ობიექტური ასეთი გახლდათ ოფიციალური თვალსაზრისი. თუმცა კულუარულ საუბრებში მეცნიერებს დიდი ხანია აფიქრებდათ კითხვა: თუკი დანაშაულობა კანონზომიერად იცვლება, ეგუება რა ნებისმიერ ზემოქმედებას მასზე. მასთანადავე შეზღუდულია თვითონ სოციალისტური წყობის სოციალური შესაძლებლობები. და მანც, ამ ბუნდოვანი შიშის მიუხედავად, ქვეყანაში 60-იან წლებში დაწესებული კრიმინოლოგიური გამოკვლევები ტოტალიტარული რეჟიმის თობბასებურ ქსელში საკმარად მნიშვნელოვან მეცნიერულ გარდევას წარმოადგენდა.

სწორედ აღნიშნულ პერიოდში ახდენენ ქართველი კრიმინოლოგები დანაშაულის კრიმინოლოგიური შეცნობის პირველ მცდელობას. თუმცა ამ მიმართულებით გამოკვლევების დაგეგმვის ადგილი ჯერ კიდევ არ დაწესებულა. თეორიული გამოკვლევები¹ ეპიზოდურად თანაარსებობენ გამოყენებით გამოკვლევებთან².

კრიმინოლოგიური კვლევა შესამჩნევად გამოცოცხლდა 70-იან წლებში. უფრო ინტენსიურად მუშავდებოდა კრიმინალური ფსიქოლოგიის საკითხები. აღნიშნული ინტერესი შემთხვევითი არ ყოფილა, იგი განპირობებული იყო ორი საგულისხმო მიზეზით: პირველ ყოვლისა, კრიმინოლოგების ცნობიერებაზე დიდი ზემოქმედება მოახდინა განწყობის ფსიქოლოგიურმა თეორიამ, რომელიც შემუშავებული იყო მსოფლიოში ცნობილ მეცნიერის დ. უზნაძის მიერ, მეორე მხრივ, კრიმინოლოგები ჩვეულებრივ, იურისტები იყვნენ; ისინი იზრდებოდნენ გამორჩეული მეცნიერის თ. წერეთლის შრომებზე, რომელმაც ღრმად გამოიკვლია ბრალის ნორმატიული ასპექტები, ფსიქოლოგიური თვალთახედვის საზღვრები და შესაძლებლობები სასჯელის დანიშვნის დროს. კრიმინოლოგიური ფსიქოლოგიური თემატიკის აქტუალობაზე ასევე იმოქმედა ცნობილი ქართველი მეცნიერის ბ. ზორნაბუჯელის მოსაზრებებმა, რომლებიც მან საბოლოოდ ჩამოაყალიბა მონოგრაფიულ გამოკვლევაში „ბრალის ფსიქოლოგიური შტარე“ (თბ., „განათლება“, 1981წ.). მითითებულმა სამეცნიერო ტრადიციებმა მთლიანობაში სტიმულირება მისცა კრიმინოლოგიური თემატიკის მიმართულებას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნამუშევრები, რომლებიც მიქდენა დამნაშავეთა ეთიკურ თვითშეფასებას³, დანაშაულებრივ ქცევაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილისა და მნიშვნელობას⁴, დანაშაულებრივი ქცევის მოთხოვნილებას და განწყობას⁵.

ქართველ მეცნიერთა შორის შემდეგი ყველაზე გავრცელებული მიმდინარეობა იყო დანაშაულის აღკვეთის საქმეში სამართლებრივი აღზრდის როლის გამოკვლევა. მოცემულმა თემატიკამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა თ. შაფგულიძის შრომებში, რომლებშიც ავტორი მიუთითებდა პიროვნების თვითკონტროლისა და სოციალურ კონტროლის შორის ურთიერთკავშირზე. მის მიერ დამუშავებული ცნების — „კონცეფცია — მე“-ს საფუძველზე, ავტორი ჯგუფურ აზრს განსაზღვრავდა, როგორც დანაშაულებრივი ქცევის მიზეზს⁶.

70-იან წლებში მეცნიერები იწყებენ დანაშაულობის ცალკეული ფორმების და სახეების გამოკვლევას. ამ მიმართულებით კრიმინოლოგებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების დატაცებასთან ბრძოლა. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგანაც რუსეთში ვითარდებოდა საინვესტიციო სფეროს დარგები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ იძლეოდნენ არც სასიცოცხლო და არც წარმოების საშუალებებს. ამასთანავე სოფლის მეურნეობა, რომელიც საქართველოში ძირითადად იყო გავრცელებული, მთლიანად დამოკიდებული გახლდათ რუსეთის ბაზარზე და მის შესაძლებლობებზე. ამიტომ, როგორც ყოფილ სსრკ-ში, ასევე საქართველოში, მუდმივად იგრძნობოდა სასიცოცხლო საშუალებების დეფიციტი. ამგვარად

იქმნებოდა ნაყოფიერი ნიადაგი სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის. ამიტომ კანონზომიერი იყო, რომ დატაცება ქართველი კრიმინოლოგების ინტერესის საგანი გახდა¹.

საქართველოს კრიმინოლოგების ინტერესების ორბიტაში მოექცა ჯგუფური დანაშაულობის პრობლემატიკაც. ამ თემატიკის აქტუალობა განპირობებული იყო ორი მიზეზით: პირველ ყოვლისა, ქართველი კრიმინოლოგების მიერ (თ.წერეთელი, ო. გამყრელიძე) ინტენსიურად მუშავდებოდა თანამონაწილეობის სისხლისსამართლებრივი პრობლემა, რომელიც საფუძვლად ედებოდა თანამონაწილეთა გაზრდილ პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, მთელ რიგ შემთხვევებში, სასამართლოების მიერ ჯგუფური დანაშაულისათვის, დანაშაულში მონაწილეობისათვის დანიშნული სასჯელი უფრო მცირე აღმოჩნდებოდა ხოლმე, ვიდრე სასჯელი ასეთვე და მსგავს გარემოებებში ჩადენილი დანაშაულისთვის, თუ მას ერთი პიროვნება ჩადენდა. თეორიისა და პრაქტიკის შეუსაბამობა ითხოვდა საკითხის დროულ გადაწყვეტას. გამოსავლის შეადგენდა შექმნილი პრობლემის კრიმინოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც ნ. უგრეხელიძის ნაშრომში პოვა ასახვა².

70-იანი წლების გამოკვლევების სპექტრში გაჩნდა აფექტური დანაშაულის კვლევა, რომელიც თავისი თემატიკის მიხედვით უნიკალური იყო, ვინაიდან არა მარტო ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ რიგ უცხო ქვეყნებშიც არ მომზდარა მისი სპეციალური კრიმინოლოგიური დამუშავება. დომინირებდა აფექტისადმი სისხლისსამართლებრივი მიდგომა, ხოლო კრიმინალურ-ფსიქოლოგიური — არ არსებობდა. ეს ხარვეზი შეავსო პროფესორმა თ. შავგულაძემ³.

კრიმინალური გამოკვლევების შორის გაჩნდა ნაშრომები, რომლებიც მიეძღვნა არატრადიციულ თემას — ფიქტიოლოგიას⁴. მისი დროულობა არ ყოფილა შემთხვევითი თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ პერიოდისათვის მრავალ ქვეყანაში იქმნებოდა ფიქტიოლოგიური საზოგადოებები, 1979 წ. კი საერთაშორისო კონგრესზე დაფუძნდა ფიქტიოლოგების საერთაშორისო საზოგადოება, რომელმაც კრიმინოლოგიაში ფიქტიოლოგიური მიმართულების სტიმულირება მოახდინა.

კრიმინოლოგიის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა ალკოჰოლიზმის პრობლემა საქართველოში. რუსეთის მაჩვენებლების ფონზე ალკოჰოლიზმი საქართველოში დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა. მაგრამ მსჯავრდებულთა შორის მისი სტრუქტურული მაჩვენებლები (მისი გავრცელება არაპირითად მოსახლეობას, ქალებს, სოფელ ადგილებში მუდმივად მცხოვრებ მამაკაცებსა და მშობლებდაკარგულ ახალგაზრდებს შორის) კრიმინოლოგების სერიოზულ შემოთქმას იწვევდა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულობის სოცოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ლაბორატორიამ პროფესორ ა. გაბიანის ხელმძღვანელობით დაიწყო ალკოჰოლიზმის პრობლემების მუდმივი შესწავლა⁵. შემდგომში ეს თემა ავტორმა ვაჟფართოვა ასოციალური ქცევის სხვა ფორმების — ნარკომანიის და სხვათა ანალიზით.

70-იანი წლებში სტაბილურად იწვევს განვითარებას ოჯახური კრიზისი. ყოფილ საბჭოთა კავშირში, საქართველოს ჩათვლით, კერძო საკუთრების ჩამორთმევამ ოჯახს გაძლიერების შესაძლებლობა მოუსპო. საბჭოთა ოჯახმა დაკარგა მწარმოებელი ერთეულის ფუნქცია და შედგად — სახელმწიფო-ეკონომიური პოლიტიკისაგან დამოუკიდებლობაც. იზრდებოდა კეთილდღეობას მოკლებული ოჯახების რიცხვი, საიდანაც ხდებოდა არასრულწლოვანთა დანაშაულობის რეკრუტირება. ოფიციალური

იდეოლოგია ამ ფაქტს არ ამჩნევდა, თუცა კრიმინოლოგები ოჯახების ტრაგედიას უკვე აფიქსირებდნენ, როგორც სისრკეს დაშლის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს. აი, რატომ ცდილობდნენ ქართველი კრიმინოლოგები მოეხდინათ მოზარდთა დანაშაულობის ინტენსიური ანალიზი? ამავედროულად სოციოლოგიურ ანალიზს ავსებდა პრობლემის ფსიქოლოგიური კვლევა, რომელიც ეფუძნებოდა დ. უზნაძის თეორიას. ნაშრომში „არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა ქცევის ფსიქოლოგიური ფაქტორები“ ფ. გობეჩია ცდილობდა წარმოდგენა შეექმნა დანაშაულებრივი ქცევის განწყობაზე¹. ამ თვალსაზრისით, აშშ-სა და ევროპაში ცნობილი გეშტალტ-ფსიქოლოგიური მიდგომები, კლინიკური ფსიქოლოგიის მეთოდები და სხვა მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ქართველი კრიმინოლოგების მიღწევებს კრიმინალური ფსიქოლოგიის სფეროში, რომლის შესახებაც ოფიციალური იდეოლოგიური ატმოსფეროს გამო უცხოელი მკითხველისთვის ვერ გახდებოდა ცნობილი.

კრიმინოლოგიური გამოკვლევები ძალზე რთულ დროში მიმდინარეობდა. ხდებოდა პრაქტიკული რეკომენდაციების იდეოლოგიური „რედაქტირება“. ოურისტებს შორის დომინირებდა ტოტალიტარიზმით შექმნილი ანტიდემოკრატიული იდეა, რომლის თანახმადაც კრიმინოლოგია განვითარდა სისხლის სამართლისაგან. სამწუხაროდ, ეს იდეა დღესაც დომინირებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტისაგან განსხვავებით, ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს საბჭოური მოდელი ჯერ-ჯერობით შენარჩუნებულია სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის გაერთიანებით ერთი კათედრის ფარგლებში.

70-იანი წლებში კრიმინოლოგიაში მოხდა სერიოზული წინისვლა — დაისახა გამოკვლევები, რომლებიც მომავალში სტიმულს მისცემდა უფრო სერიოზული გამოკვლევების ჩატარებას. ამაზე მიუთითებს კრიმინოლოგიის მეცნიერების კანონზომიერი განვითარება 80-იან წლებში.

განსახილველ პერიოდში მდგომარეობა შეუმჩნევლად რთულდებოდა. ოფიციალური პოლიტიკისათვის კვლავ ტიპური იყო სწრაფვა ეკონომიკური დაგროვების მაღალი ტემპების ზრდისკენ. წარმოების ზრდის ტემპი ფერხდებოდა. ფაქტურად, ადამიანების ინტერესები აწყდებოდა სახელმწიფოებრივი საკუთრების მონიტრს. მოსახლეობა „ნებისმიერი საშუალებით“ ცდილობდა აემაღლებინა ცხოვრების დონე. დანაშაულობის ზრდა, მისი ახალი სტრუქტურული ფორმების განვითარება კანონზომიერად იწვევდა საზოგადოების შიგნით წინააღმდეგობების წარმოჩენას. გაჩნდა ნარკომანიის, პროსტიტუციის პირველი ანარეკლები, სტაბილურად ვითარდებოდა მექრთამეობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც კრიმინოლოგიური კვლევის საგნად იქცნენ.

ნარკომანიის კრიმინოლოგიური კვლევის განვითარებით მეცნიერება დაგაღებულა პროფესიური ა. გაბიანის და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივისაგან. პირველად სწორედ იგი შეეცადა მიეყრო საზოგადოებრიობის ყურადღება ნარკომანიის ფენომენისკენ, რასაც ობივატელები ირონიით შეხვდნენ. იმ დროის საზოგადოებრივ აზრს არ შეეძლო იმის დაშვება, რომ მეღვინეობის ისტორიული ტრადიციების მქონე ქვეყანაში შესაძლებელი იქნებოდა ასეთი ბოროტების აღმოცენება. არადა ა. გაბიანთან ერთად, ქართველი კრიმინოლოგები მრავალრიცხოვან გამოკვლევებში ასახულებდნენ ნარკომანიასთან ბრძოლის აქტუალობას².

მითითებულ პერიოდში ფართოვდებოდა მოზარდთა დანაშაულობის კვლევის სპექტრი, რაც რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა. დანაშაულებრივი ქცევის დევანტური სტადიის გამოკვლევები წარმოდგენილი იყო სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური

გამოკვლევებით. ფსიქოლოგიური თემატიკა ვითარდებოდა გ. მაღრაძის⁵, ასევე თ. ანდრეულაძის ნ. იმედაძის, გ. ცინცაძის ნაშრომებში⁶, სოციალურ მიდგომას იყენებდნენ ა. გაბიაჩი, ა. დულკინი, მ. შონია და სხვა კრიმინოლოგები⁷.

ანალოგიურად დაიყო არასრულწლოვანთა დანაშაულობის გამოკვლევებიც. მკვლევარები რომლებიც შეისწავლიდნენ ქცევის ფსიქოლოგიურ ასპექტს, ყურადღებას ამახვილებდნენ ქცევის ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე⁸. სოციალოგიური მიდგომის მომხრეები კი აკვლევდნენ მიკროგარემოს კრიმინოგენურ ზემოქმედებას და რეგიონულ პრობლემატიკას. კრიმინოლოგები ასევე ყურადღებას აქცევდნენ მიკროგარემოს ანალიზის აქტუალობას⁹. რაც შეეხება რეგიონული პრობლემატიკის სფეროში გამოკვლევებს, ისინი მრავალრიცხოვანი იყო და ხორციელდებოდა ავტონომიის¹⁰, დედაქალაქის¹¹, ცალკეული რეგიონის¹², რაიონის¹³ დონეზე.

დაგროვილი მასალის საფუძველზე მეცნიერებმა მოამზადეს განმაზოგადებელი ნაშრომები¹⁴, რომლებიც აჯამებდნენ არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესწავლის ოცწლიან გამოცდილებას.

აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ალკოპოლიზმის კვლევის ინტენსიობის ზრდა. ამასთან, ამ მოვლენის შესწავლა მრავალასპექტურ ხასიათით გამოირჩეოდა, რაზედაც მითითებდა თვით კლასიფიკაცია თემებისა, რომლებიც უხებოდა ალკოპოლიზმის სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს¹⁵, მის მიერ მოტანილ ზიანს¹⁶, ეკონომიკურ ანალიზს¹⁷, გეოგრაფიას¹⁸, მოვლენის ბიო-სამედიცინო ანალიზს¹⁹.

იმ წლების კრიმინოლოგიაში ნოვაციას წარმოადგენდა დანაშაულობის გეოგრაფიის შესწავლა. გამოკვლევის საბაზად იქცა ის ფაქტი, რომ საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის გაზრდილ ნაწილს — 90%-ს შეადგენდნენ სასოფლო რაიონებიდან გადმოსახლებული პირები, რაც აძლიერებდა კულტურათა კონფლიქტს, შედეგად კი იზრდებოდა დანაშაულობა²⁰.

მკვლევარები არ იფარგლებოდნენ ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის ანალიზით. მათ გააკეთეს შორს მიმავალი დასკვნა, კერძოდ, აღმოჩნდა, რომ საქართველოში დანაშაულობის ზოგადი ტენდენციები ქვეყნის ისტორიული პროვინციების ჩარჩოებში თავსდება²¹. დასკვნა იმის შესახებ, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა უნდა მიმდინარეობოდეს პროვინციის ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, პარალელურად დასტურდებოდა საქართველოს პროვინციის ნაციონალური შემოსავლის ეკონომიკური ანალიზით. (გ. მელქაძე, საქ. სსრ საზოგადოებრივი პროდუქტის რეგონალური სტრუქტურა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978 წ.). მაშასადამე, უკვე 80-იან წლებში, ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში, სპონტანურად ყალიბდებოდა დანაშაულობასთან ბრძოლის ეკონომიკურად და კრიმინოლოგიურად დასაბუთებული თვალთახედვა, რომელიც უმასუხებდა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. თუმცა მომავალში, საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პირობებში, ეს იდეა დავისწყებას მიეცა უმძღვე მიზეზების გამო:

ბრველი, ზოგიერთი პოლიტიკური დაჯგუფება შეეცადა საბჭოთა წყობილების მიერ საქართველოსთვის თავსმოსხვეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შენარჩუნებას;

მეორე, თურისტთა ერთ ჯგუფში გაფრცვლება ჰპოვა საქართველოში ფედერალიზმის დანერგვის აკვიატებულმა იდეამ საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც არანაირად არ უთავსდებოდა საქართველოს ისტორიას;

მესამე, საბჭოთა კრიმინოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფი ზოგიერთი კრიმინოლოგი აგრძელებდა ისეთი თემების დაკვლევას, რომლებიც ეზებოდა ცალკეული დანაშაულის და არა ზოგადად დანაშაულობის სიღრმისეულ მიზეზებს, რომლის გამოვლენის დასაწყისის ისტორიული პროვინციის კრიმინოგენური სიტუაციის ანალიზი წარმოადგენდა. ამდენად, ისტორიული პროვინცია, როგორც საქართველოს უჯრედი და, შესაბამისად, დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეაც, ხალხის კულტურულ და ისტორიულ თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე უკუგდებულ იქნა.

80-იან წლებში ფართოდ წარმოებდა სახელმწიფო საკუთრების დატაცების კვლევა, რასაც ხელს უწყობდა კავშირში დაწყებული რესპუბლიკური დარგების დისპროპორციის პროცესი. როგორც ცნობილია, საქართველოს მსუბუქ მრეწველობას ნედლეული შემოქონდა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან, ძირითადად, რუსეთიდან, სადაც წამყვანი დარგობრივი საწარმოების დანახარჯები დიდი იყო. შესაბამისად, იზრდებოდა მატერიალური დანახარჯების ღირებულება წარმოების პროცესის ისეთ ჩამკეტ რეოლებში, როგორცაა მსუბუქი მრეწველობა. მათი შემცირებისათვის საქართველოს საწარმოები იძულებულნი იყვნენ, მიემართათ ყველანაირი ხრიკებისათვის დაუროვნების, აღრიცხვის და ნედლეულისა და პროდუქციის რეალიზაციის სფეროებში. იქმნებოდა უკონტროლობის სიტუაცია, რაც ხელს უწყობდა ნედლეულის და პროდუქციის დატაცებას. ამ კრიმინოგენური მოვლენის ახსნის მიზნით, პროფესორი ვ. წულაია ცდილობდა მოეხდინა მისი მონოგრაფიული ანალიზი²². ავტორის მიერ შეკრებილმა ემპირიულმა მასალამ მომავალში „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ ფენომენის ახსნისას ბევრ საკითხს მოჰყენა ნათელი.

საბჭოთა კავშირის დაშლისთან ერთად იზრდებოდა მექრთამეობაც. ამ დანაშაულის ბუნების შესწავლისას ქართველმა კრიმინოლოგებმა თავის გამოკვლევებში²³ გამოყვეს ორი ტენდენცია:

პირველი, მექრთამეობა ღებულობდა მასიურ ხასიათს; მექრთამეთა 70% ქრთამს იღებდა სისტემატურად. საბჭოთა ბოროტკრატია ამით საზოგადოებრივ ცხოვრებას ბოჭავდა და ადამიანებს არ აძლევდა კანონიერი არჩევანის შესაძლებლობას.

მეორე, მსჯავრდებულთა 80% პირველად იძლეოდა ქრთამს, რაც მიუთითებდა საზოგადოების შემგუებლურ დამოკიდებულებაზე კანონისათვის გვერდის ავლის გზით წარმატების მიღწევისადმი.

ცხოვრების მოუწყობლობამ გააძლიერა მოსახლეობის ზოგიერთი ფენის მიგრაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით კრიმინოლოგებმა დაიწყეს ამ პროცესის გამოვლინებების კვლევა უმუშევრობის ფორმის²⁴ სახით. ასევე იკვლევდნენ მიგრაციას მსხვილ ქალაქებში, სადაც მიგრანტები ამორალურ ცხოვრებას იწყებდნენ²⁵.

ისეთი ფაქტორების წინააღმდეგობრივმა გადახლართვამ, როგორცაა ოჯახის ცხოვრების დონის დაცემა და საზოგადოებაში ქალის გაურკვეველი მატერიალური მდგომარეობა, 80-იან წლებში ბიჭვი მისცა ქალთა დანაშაულობას. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ქალთა დანაშაულობა უმეტესად გამოიხატებოდა სპეკულაციაში, მყიდველთა მოტყუებასა და შინ დამზადებული სპირტიანი სასმელებით ვაჭრობაში, ანუ ე.წ. სამეურნეო დანაშაულებში²⁶.

აღნიშნულ გამოკვლევებთან ერთად კრიმინოლოგები ახორციელებდნენ ფსიქოლოგიური ხასიათის კვლევებს. წინა წლებისაგან განსხვავებით ეს კვლევები უფრო ღრმა ხასიათის იყო. ამჯერად ყურადღება გაამახვილდა ჩადენილ დანაშაულთან დაზნაშავის დამოკიდებულებაზე²⁷. ამავე მიმართულებით შეისწავლებოდა ასოციალური

ქვეყნის განწყობა³⁸ და აგრეთვე მოტივაციის ფაქტორები დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმში³⁹.

გამოყენებით გამოკვლევებთან ერთად, ხორციელდებოდა თეორიული ძიებაც. იმ წლებში გაბატონებული იყო კაუზალური კონცეფცია, რომელიც დანაშაულობის მიზეზებს ხსნიდა ე.წ. წარსულის გადმონაშთებით. აღნიშნული კონცეფცია იხრებოდა სუბიექტივიზმისკენ, რადგანაც აუხსნელი რჩებოდა სოციალური სახის წინააღმდეგობები. ყველა ახსნა დაიყვანება ცნობიერებაში დევექტების არსებობამდე. ამასობაში ტოტალიტარული რეჟიმი წინააღმდეგობაში მოდიოდა მის მიერვე შექმნილ კონცეფციასთან, რასაც კრიმინოლოგებმა თავის დროზე მიაქციეს ყურადღება⁴⁰.

ქართულ კრიმინოლოგიის მიერ შეგროვებულ იქნა უამრავი ემპირიული მასალა. აღწერილობითი თვალსაზრისით იგი უნიკალური იყო. თუმცა ახსნას ფაქტორები განცალკევებულად ექვემდებარებოდა, რაც არ იძლეოდა საშუალებას გამოვლენილიყო საბჭოთა სახელმწიფოს როლი დანაშაულობის განვითარებაში. როგორც ისტორიამ გვიჩვენა, ახსნის შეზღუდვას ხელს უწყობდა ე.წ. აზიური მეთოდით კაპიტალის პირველადი დაგროვების ხასიათი, რომელიც სახელმწიფო საკუთრების ჩარჩოებში ხორციელდებოდა. საუბარია კაპიტალის ე.წ. აზიური წესით დაგროვების ხასიათზე, რომელიც თემური ურთიერთობების განვითარების გამო ჩაისახა სწორედ რუსეთში, როგორც რუსული სოციალიზმი. როგორც კაპიტალიზმის ჩამოყალიბების არქაული ნაჩიხი, ევროპული საზღვარგარეთ განისვავებით, საბჭოთა წყობილება დანაშაულობის ისეთ ხედვას განსაზღვრავდა, რომელშიც არ ჩანდა სახელმწიფოს როლი. ამასთან დაკავშირებით მ-იანი წლების მიწურულში ქართულ კრიმინოლოგიაში გაჩნდა საბჭოთა კრიმინოლოგიის საფუძვლების ფილოსოფიურ-კრიტიკული ანალიზი, მოწოდებული გ. თოდრიას მიერ. აღნიშნულმა ანალიზმა ავტორის შესაძლებლობა მისცა კრიმინოლოგიურ შემეცნებაში ფეტიშის მიზეზი გამოეკვლინა. მთელ რიგ შრომებში იგი მიუთითებდა იმაზე, რომ სახელმწიფო აპარატის აზრით, ცხოვრების ნორმები აუცილებლად სახელმწიფო დადგენილებებით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი და ფორმირებული. ათვლის ასეთი წერტილი, როგორც ამას ავტორი მიუთითებდა, საფუძველის იძლეოდა დანაშაულობები აღგვეყვას როგორც მოვლენა, რომელიც მოკლებული იყო რაიმე საფუძველს, ერთიან არსს. დანაშაულებათა სამყარო აღიქმებოდა როგორც მხოლოდ რაოდენობრივი რყევა მოვლენებისა, რომელთაც აქვთ თავიანთი კონკრეტული და არა საერთო მიზეზები. ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგებოდა სახელმწიფო ინტერესებს, ცხადდებოდა შემთხვევითად და საფუძველის მოკლებულად. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა იმის ილუზიას, რომ ის, რაც წარმოადგენდა ყველა დანაშაულის საფუძველს, არსებითად, თათქოსდა არ არსებობდა იმდენად, რამდენადაც იწარმოებოდა მხოლოდ რაოდენობრივი აღრიცხვა, რომლითაც ყველაფერი დაიყვანებოდა ცალკეული დანაშაულის კონკრეტული მიზეზების სტატისტიკამდე. კრიმინოლოგიის ფილოსოფიური კრიტიკის შედეგი იყო დასკვნა იმის შესახებ, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო თავისი მოწყობის პრინციპით წინ ედობებოდა იმის შეცნობას, რომ დანაშაულობას ერთიანი საფუძველი გააჩნდა⁴¹.

მ-იანი წლებში კრიმინოლოგიურ კვლევათა მიმართულება და ხასიათი კარდინალურად შეიცვალა. ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდი, ანუ კაპიტალის დაგროვების აზიური წესის ტრანსფორმაციის პერიოდი უფრო თანამედროვე, ევროპული ცივილიზაციისათვის ტიპურ წესად, როდესაც წამყვანი ხდებოდა არა სახელმწიფო, არამედ კერძო საკუთრება. შესაბამისად, დანაშაულობამ საქართველოში მიიღო ყველა ის ფორმა, რომელიც ნაწილობრივ ასახავდა ძველი წყობის თვითგადარჩენის მცდელობას,

ნაწილობრივ კი კაპიტალიზმის მთელ ევოლუციას მსოფლიოში. ასეთ არეულ პერიოდში დანაშაულობის ისტორია თითქოსდა განმეორებით დაემუქრა ქვეყანას, რადგანაც მომავალი ცვლილებებისადმი მოსახლეობის მზადყოფნის მიუხედავად, ის მართლაც გამეორებას იწყებდა.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველ კრიმინოლოგებს უხდებათ დანაშაულობის საკმარის ჭრელი სურათის შეცნობა, უმუშევართა დანაშაულობიდან დაწყებული, ორგანიზებული დანაშაულობის ისეთი შემაშფოთებელი ფორმების ანალიზით, როგორცაა კორუფცია, ტრანსნაციონალური დანაშაულობა და ა.შ. უფრო მეტიც, იწყება პერიოდი, როდესაც დანაშაულობა ფორმირდება სეპარატიზმის ფორმად, რომელიც არა მხოლოდ ეწინააღმდეგება კანონს, არამედ ძალით ნარჩუნდება კაპიტალის დაგროვების დრომოჭმული აზიური წესით — რუსული სოციალიზმით. ამასთან ამ სოციალიზმის რუდემენტების შენარჩუნების პროცესი ხორციელდება იმ სახით, როგორითაც ის ჩაისახა საქართველოს გასაბჭოების მომენტიდან, ქვეყნისათვის საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღკვეთით, მისი სახელმწიფოებრივი ერთიანობის სგრევით.

კაპიტალის დაგროვების სახელმწიფო წესის ღიშობა, ბირველ რიგში, აისახა ეკონომიკური დანაშაულობის ახალი ფორმების განვითარების სახით. ქართველი კრიმინოლოგების კვლევის ობიექტად იქცა ისეთი მოვლენები, როგორცაა რუსული ბაზების საშუალო საწყობებიდან ტექნიკის და იარაღის დატაცება სეპარატიზტული და სხვა კრიმინალური პრობლემების გადასაწყვეტად, ფერადი ლითონების და სხვა რესურსების უკანონო ექსპორტი, უკანონო გზით მიღებული ფულის ლეგალიზაცია, გადასახადებისათვის თავის არიდება, არაკანონიერი პრივატიზაცია, დანაშაულობანი საკრედიტო-საფინანსო სფეროში, თაღლითობა, მოპარული მანქანებით ვაჭრობა, სიბრტანი სასმელების იატაკქვეშა დამზადება და ა.შ. დ. წულაიას, ზ. წულაიას, ბ. კეზიკაშვილის, ი. გოძიაშვილის და სხვა მეცნიერების შრომებში შემოთავაზებული იყო ეკონომიკური დანაშაულობის მიზეზების კლასიფიკაციის და მათი აღწერის ბირველი მცდელობა⁴².

ეკონომიკური და ანგარებით ჩადენილი სხვა დანაშაულების კვლევისას კრიმინოლოგიაში ჭარბად იწყებდა დაგროვება ფაქტოლოგიურმა მასალამ, რომელიც მეცნიერთა რეკომენდაციებს ასახულებდა. თუმცა ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად განისხვავდებოდნენ სახელმწიფო ორგანოების რეკომენდაციებისგან, რომლებშიც ისახებოდა ლოკალური პრევენციული ღონისძიებები, რომელთაც არ შეეძლოთ არსებითად ემოქმედათ დანაშაულობაზე. ამგვარად, ქართველი კრიმინოლოგებისათვის კვლავ რჩებოდა სამეცნიერო პრობლემად დანაშაულობის განვითარებაში ეკონომიკური პროცესების როლის კრიმინოლოგიური ახსნა.

ცხოვრება დაბეჯითებით უჩვენებდა, რომ ეკონომიკური დანაშაულობის, ისევე როგორც საერთოდ დანაშაულობის განვითარების სათავეები, უნდა ეძებნათ ეკონომიკურ წინააღმდეგობებში, მაგრამ საკითხის ნებისმიერი დასმა ეკონომიკური ურთიერთობების წამყვანი როლის შესახებ ზოგიერთმა მეცნიერმა მიერ მარქსისტულად აღიქვა და უკუგდებულ იქნა. ასეთი მიდგომა განპირობებული იყო ემპირიზმის ილუზიით, რომელიც აიგივებდა დანაშაულობის ორ განსხვავებულ თვისებას: როგორც ეკონომიკურ წინააღმდეგობებში აღმოცენებული გაუცხოების პროცესების არსობრივ მახასიათებელს და როგორც ამ პროცესების გამოვლენის ფორმას. ამიტომ ამჩნევდნენ იმ მასალას, რომელიც იყო ცხოვრების ზედაპირზე, კერძოდ, სხვადასხვა ფაქტორების მხოლოდ „თანაბარ“ გაგვლენას (ეკონომიკურის ჩათვლით) დანაშაულობაზე, როგორც მარტო სოციალურ-

ეკონომიკური პროცესების გამოვლინების ფორმაზე. შედეგად, ჩრდილში ტოვებდნენ იმ ფაქტს, რომ დანაშაულობის რეალური განზომილება, მისი მომატება ან დაკლება სწორედ მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების გავლენით განისაზღვრება. სსრკ-ის ზრევის პერიოდმა ვააშიშვლა ეს ფუნდამენტური კანონზომიერება, რომელიც სათანადო თეორიული გააზრების შემთხვევაში სერიოზულ დარტყმას აყენებდა კორუმპირებული სახელმწიფო აპარატის საექვო პროგრამების, აპარატის, რომელიც კრიმინოლოგიაში ემპირიზმის გაბატონებით განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული. სამწუხაროდ, ემპირიული ილუზიების ქვეშ მოქცეული ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, ფ. ადლერის და სხვა უცხოელი კრიმინოლოგების კვლადაკვალ, დანაშაულობის მიზეზს ტრადიციულად ფაქტორების სიმრავლეში ხედავდნენ, ანუ იმ მოვლენებში, რომლებიც განსაზღვრავდნენ დანაშაულობის გამოვლინის ფორმას და არა მის რეალურ ბუნებას⁴³. დანაშაულობის ასეთი ხედვა ამუხრუჭებდა ლატენტობის დამოუკიდებელ შესწავლას, რომლის პრობლემატურობა, განსაკუთრებით, ეკონომიკური დანაშაულის ანალიზის დროს შეოგრბობოდა.

კერძო ფინანსურ-ეკონომიკური კავშირების ზრდის პირობებში ეკონომიკურ ბრუნვაში ერთვება ნარკოტიკებით ვაჭრობიდან, გადასახადებისთვის თავის არიდებიდან, გამოძილველობიდან, მექროთაქობიდან და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებიდან მიღებული ფული ჩნდება „ფულის გათიერების“ პრობლემა, რომელიც საშუალებას აძლევს არაკონტროლრებად ვგუფებს, თავი მოუყარონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალებს. ამ მიმართულებით ბ. კერიკაშვილი და სხვა კრიმინოლოგები სპეციალური გამოკვლევებს იწყებენ⁴⁴.

90-იან წლები ვჯრჯვრობით მოიცავს საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პერიოდს, როდესაც მმართველობა ზოგჯერ სიტუაციურ ხასიათის ატარებს. საკითხების უმრავლესობა წყდება ცალკეულ მოსამსახურეთა შეხედულებით, ხოლო სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება ზოგადი სახით. იქნება პირობები საკუთარი ნება-სურვილით მოქმედებისა და თვითნებობისათვის, სამსახურეობრივი მდგომარეობის ანგარებით გამოყენებისთვის. ქვეყანაში კორუფციული სისტემის განვითარება სტიმულს იძლევა მისი მიზეზებისა და თავისებურებების კრიმინოლოგიური ძიებისთვის.

კორუფციული დანაშაულობის გამოკვლევები ვგუფდება ორი მიმართულების გარშემო. მეცნიერება, რომლებიც ანალიზს უკეთებენ სახელმწიფო სამართლებრივ პრობლემატიკას, ძიებას წარმართავენ სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების თავისებურების შესწავლისა⁴⁵ და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დადგენისაკენ⁴⁶. კორუფციული დანაშაულობის სოციალური პრობლემატიკის შესწავლის დროს კი აანალიზებენ საზოგადოების როლის კორუფციასთან ბრძოლის საქმეში⁴⁷ და კორუფციისადმი საზოგადოების დამოკიდებულების ხასიათს⁴⁸. აღნიშნული ძიებები მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკური დანაშაულობის გამოკვლევებს.

კორუფციის განვითარებაში სახელმწიფოს როლის შესწავლისას ქართველი კრიმინოლოგები აღნიშნავენ, რომ კორუფციული დანაშაულობის დონე და მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოზე. ფაქტიური მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა გაკეთდეს დასკვნა, რომ კორუფცია არის სახელმწიფოს განუყრელი ნაწილი. ამასთან დაკავშირებით გამოიყოფა კორუფციის დონის არსებითად განსაზღვრული სამი გლობალური ფაქტორი:

- 1) მართვის, საკონტროლო და სამართალდამცავ სტრუქტურებში ჩინონიკების გადაბეჭებული რაოდენობა;

2) კანონებში და ინსტრუქციებში ხელოვნურად დანერგილი აკრძალვები, რომლებიც ართულებენ ამა თუ იმ პროცედურაში მონაწილეობას;

3) კორუფციის აღმკვეთი აუცილებელი კანონების არარსებობა.

შესაბამისად, იგეგმება პრევენციული ხასიათის მიმართულებები, რომელთაც მიეკუთვნება: მმართველობითი გადაწყვეტილებების სრულყოფა ფიზიკური და იურიდიული პირების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ორგანოთა სისტემის საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა, თანამდებობის პირთა ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა, თანამდებობის პირებზე კონტროლის მექანიზმის შემუშავება, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა ანტიკორუფციული კანონების დარღვევისათვის, პარლამენტის მიერ კანონების მიღებისას კონტროლის ისეთი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამორიცხავს დაინტერესებულ პირთა მიერ კორუფციულ საქმიანობაში მათ გამოყენებას⁴⁹.

კანონმდებლობის ანალიზმა კორუფციასთან ბრძოლის თვალთახედვით მთელ რიგ შრომებში კვლავ დასვა კონფისკაციის, ანონიმურ ზარებზე რეაგირების, ადმინისტრაციული და ფინანსური სანქციების გამკაცრების, თანამონაწილეობის ცნების გაფართოების და სხვა საკითხები. ამასთან ერთად გაჩნდა პრინციპული მოთხოვნები გამოძიების მეთოდიკის, დანაშაულობის კვალიფიკაციის და სხვა საკითხების მიმართ. მთლიანობაში სერიოზულად დადგა კორუფციასთან ბრძოლის მარეგულირებელი ყველა კანონის შესაბამისობაში მოყვანის პრობლემა⁵⁰.

საქართველოში კორუფციის ანალიზმა მთელი რიგი მეცნიერები მიიყვანა დასკვნამდე, რომ ამ მოვლენასთან ბრძოლა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ძალებით არარეალურია. ამიტომ ბრძოლის ერთადერთი სუბიექტი საზოგადოება უნდა იყოს. სწორედ მოსახლეობის ყველა ფენის კორუფციასთან ბრძოლაში მონაწილეობაა საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გარანტია. აქედან გამომდინარე შემოტანილი იქნა ახალი ცნება „ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა“⁵¹.

დაბოლოს, კორუფციასთან ბრძოლის პრობლემატიკის გამოკვლევათა შორის ჩნდება შრომები, რომლებშიც გაანალიზებულია კორუფციისადმი დამოკიდებულების ტიპური წინააღმდეგობები. ეს წინააღმდეგობებია:

- წინააღმდეგობა ბიუროკრატთან, როგორც კანონზე მაღლა მდგომ სუბიექტთან, ძველ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ დამოკიდებულებასა და კანონის უზენაესობის ფორმალურ აღიარებას შორის;
- წინააღმდეგობრივი მდგომარეობა ბიუროკრატისა, რომელიც როგორც ბიუროკრატი, წინააღმდეგია სიხლეებისა, ხოლო როგორც მოქალაქე, მხარს უჭერს მათ.
- სახელმწიფო მოხელესთან მოსახლეობის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება, რომელშიც ვლინდება, ერთი მხრივ, მისდამი შიში და სიძულვილი, ხოლო, მეორე მხრივ, სახელისუფლო სტრუქტურებში ადგილის დაკავების სურვილი;
- ბიუროკრატის მიერ თავისი „არაკანონიერი“ ქმედებების წინააღმდეგობრივი დასაბუთება;
- დაუსჯელობის თვითკმაყოფილება⁵²;

კორუფციის კრიმინოლოგიური კვლევა განვითარების სტადიაშია. ამიტომ მრავალი საკითხი მხოლოდ ახლა დაისვა. მდგომარეობა იმითაც მძიმდება, რომ კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება ჯერ არ იძლევა ანტიკორუფციული წარმოდგენების ერთიან კონცეფციას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას

კრიმინოლოგიურ ანალიზში. უფრო მეტიც, კორუფციის მაღალი ლატენცობის გამო ძნელად გროვდება ემპირიული მასალა. კრიმინოლოგიურ გარემოში სულ უფრო და უფრო ხშირად ასმის ხმები იმის შესახებ, რომ მეცნიერებაში გაბატონებული ემპირიზმი არ იძლევა თვითონ სახელმწიფოს მიერ შემოსაზღვრული მანკიერი წრიდან თავის დაღწევის საშუალებას. მიუხედავად სახელმწიფო კონტროლის მიერ ჩატარებული „მკურნალობის“ თერაპიული ღონისძიებებისა და საზოგადოების აქტივობის გაძლიერებისა, კორუფცია მანც იზრდება. მაშასადამე, საგრძნობია საყოველთაო ვარაუდ: კორუფციის ასხნის გასაღები სხვა სიბრტყეშია საძიებელი.

70-იან წლებში დაწყებული ნარკოტიკებთან ბრძოლის თემატიკა კვლავ გამოინდა 90-იანი წლების გამოცემათა ფურცლებზე, თუმცა კვლევის შინაარსი კარდინალურად შეიცვალა. თუ წარსულ 60-70-იან წლებში ნარკომანიასთან ბრძოლის პრობლემა ეყუძნებოდა მასალებს, რომლებიც, ძირითადად, ასახავდა ნარკოტიკების ადგილობრივი ბაზრის თავისებურებებს და მათი მომხმარებლების ქცევას, 90-იან წლებში სურათი შეიცვალა. სსრკ-ის დაშლის შემდეგ შიოფლიოს მიერ შემჩნეული საქართველოს გეოპოლიტიკურა მდგომარეობა, „აბრეშუმის გზის“ ამოქმედება, საზღვრების დაუცველობა, საბაჟო კონტროლის სუსტი ფუნქციონირება ფართო გასაქანს აძლედა ქვეყანაში ნარკობიზნისის საცეკების დანერგვას. ამჯერად ნარკომანიის პრობლემა საქართველოს მოუბრუნდა როგორც მისი საერთაშორისო ნარკობიზნისში ჩართვის პრობლემა⁵³. ამასზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნარკოტიკებით კონტრაბანდის ზრდის ტემპმა 70-იან წლებთან შედარებით 35%-ს მიაღწია მაშინ, როცა არაკანონიერ ნივთიერებათა ნათესების ზრდამ - 9,2% შეადგინა. ამასთან პრობლემების სიმწვავეზე მიუთითებდა შემდეგი კანონზომიერებებიც:

- ნარკოტიკების გავლენის ქვეშ მყოფთა მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულობა წინ უსწრებდა მძიმე დანაშაულობის ზრდას დანაშაულობის სტრუქტურაში;
 - ძალადობით ჩადენილ დანაშაულში სჭარბობდა ნარკოტიკული დანაშაულობები;
 - ნარკოტიკების მოხმარება ვითარდებოდა ყველა ისტორიულ პროვინციაში;
 - ნარკოტიკულ საშუალებათა 2/3-ს ხმარობდნენ 16-დან 30-წლამდე ასაკის პირები⁵⁴;
- მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით დ. კაჭკაჭიშვილმა, ი. ლომიძემ და სხვა კრიმინოლოგებმა წამოიწყეს საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და პრეკურსორების შესახებ“, ინსტრუქციების „კონტროლირებადი მოწოდების შესახებ“ და „საკონტროლო შესყიდვის“ შესახებ რეკომენდაციის შემუშავება. ამავდროულად გამოკვლევების საგანი აღმოჩნდა ისეთი თემები, როგორიცაა:
- ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო საფუძვლების ძირითადი პრინციპების განმარტება;
 - ნარკომანიასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური პრობლემების გარკვევა;
 - ნარკოდამნაშაულობის კოდიფიცირება სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში;
 - ნარკოტიკებთან ბრძოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტა;
 - სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა სამართლებრივი დაცვის სრულყოფა;
 - ნარკოტიკებთან დაკავშირებულ უკანონო ოპერაციებში ეჭვმიტანილების ამოცნობის წესის გაუმჯობესება⁵⁵, და ა.შ.

საზოგადოების ინდივიდისადმი გაუცხოებული დამოკიდებულების პროცესები ვლინდება არა მარტო ნარკოტიკების, არამედ ალკოჰოლის მოხმარებაშიც, რაც ხშირად ხდება დანაშაულის მიზეზი⁵⁶, ამიტომ ქართველი კრიმინოლოგები კვლავ აგრძელებენ მსჯელობას ალკოჰოლიზმის, როგორც დანაშაულის მიზეზის პრობლემაზე;

კრიმინოლოგიურ გამოკვლევებში წარმოების სფეროში ფართომასშტაბიანი დანაშაულობის ორგანიზაციამ, საბანკო თაღლითობამ, „ფულის გათეთრების“ ქსელის გაფართოებამ, ძალადობის გამოყენებამ რეკეტისა და დაშინების მიზნით, პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობამ, ტერორიზმმა, მკვლელობის შეკვეთამ, პარლამენტის და აღმასრულებელი ხელისუფლების ღობირებამ, კონტრაბანდაში და ნარკობიზნესში მონაწილეობამ და სხვა ფაქტებმა წინა პლანზე წამოწიეს ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემა, რომლის ანალიზიც ქართველმა მეცნიერებმა წამოიწყეს სამი მიმართულებით: 1. თეორიული ანალიზის; 2. ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების სოციალურ-ისტორიული ანალიზის; 3. ორგანიზებულ ჯგუფთა ცალკეული სახის საქმიანობის ანალიზის მიმართულებებით.

შეხვო რა ორგანიზებული დანაშაულობის ახლისა და შესწავლის თეორიას, მ. ბაძაღუას შემთხვევით არ დაუსვამს შედარებითი კრიმინოლოგიური პრობლემატიკა. ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობის საზღვარგარეთ დაფარული კავშირები ხომ შესაბამისად მრავალი ქვეყნისაგან (საქართველოს ჩათვლით) მოითხოვდნენ ერთიან შედარებით მიდგომას როგორც ორგანიზებული დანაშაულობის გაგების საკითხისადმი, ასევე რეკომენდაციების გამომუშავების პრაქტიკისადმიც. ფრანგი მეცნიერის ჟ. პინატელის და რუსი მეცნიერის ვ. კუდრაიაცევის კვალდაკვალ ავტორი კვლავ ეხება ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სფეროში კრიმინალური კანონმდებლობის შექმნის თემას⁵⁷.

ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების სოციალურ-ისტორიული სტადიების შესწავლისას იწყება პროგნოზის შემუშავების მცდელობა, რომელიც, მეცნიერთა აზრით, დამყარებულია ორი ტენდენციის:

ა) ორგანიზებული ჯგუფების ეკონომიკური ფუნქციების გაძლიერებისა⁵⁸ და

ბ) ორგანიზებულ დანაშაულობასთან მოსახლეობის დამოკიდებულების მოდიფიკაციის⁵⁹ ცოდნაზე.

ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეული სახეობის ანალიზის დროს ყურადღება ეთმობა ისეთ სახეობებს, როგორცაა: ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ადამიანების ტრეფიკინგი, კონტრაბანდა, რეკეტი, აზარტული თამაშები და უკანონო ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა გამოვლინებები⁶⁰.

ორგანიზებული დანაშაულობის თემა თავს იჩენს აგრეთვე ჯგუფური დანაშაულობის გამოკვლევებში. თუმცა 70-იანი წლების გამოკვლევებისაგან განსხვავებით, ჯგუფური დანაშაულის პრობლემა ხარისხობრივად სხვაგვარად განიხილება. იგი ანალიზდება, როგორც მძლავრი ტრანსნაციონალური და სხვა რთული დაჯგუფებების ხანგრძლივი ევოლუციის „უჯრედი“. სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი საშუალებას აძლევს მ. ბაძაღუას („ჯგუფური დანაშაულობა“. თბ., 1998 წ.) გამოყოს ევოლუციის სამი ფაზა: შემთხვევითი ფორმება, დუალისტური ფორმები და განვითარებული ფორმები. შემთხვევითი ფორმას მიეკუთვნებიან სიტუაციურად შექმნილი ჯგუფები, რომლებიც იღენენ ანგარებით და ძალადობით დანაშაულს. დუალისტურ ფორმებს მიეკუთვნებიან ფორმები, რომლებიც, ასე ვთქვათ, იმყოფებიან ორგანიზებული დანაშაულობისკენ გარდამავალ სტადიაზე; ამათთან, ეს ფორმები იყოფა იმის მიხედვით, არის თუ არა მათ საქმიანობაში ხელისუფლების ხელყოფის მომენტა. ასე რომ, შეიძლება გამოიყოს ძალადობითი

მიმართულების მქონე ჯგუფები, რომლებიც დაკავებულნი არიან ძარცვით, მკვლელობით, მაგრამ არ ხელყოფენ სახელისუფლებო სტრუქტურებს და დაჯგუფებები, თავიანთ საქმიანობაში ხელისუფლების ხელყოფის მომენტი, რაც ტიპიურია ტერორისტული ჯგუფებისათვის. ანალოგიურად კლასიფიცირდება ანგარებითი მიმართულების მქონე ჯგუფები, რომლებიც სწაღიან ეკონომიკურ დანაშაულობებს ხელისუფლების ხელყოფის გარეშე და მისი ხელყოფით კორუფციის გზით.

ეკოლუციის შესახებ ფაზა ორი ნაირსახეობით წარმოგვიდგება. ერთი მათგანი მოიცავს საერთო კრიმინალური მიმართულების რთულ წარმოქმნებს, მაგალითად, ნარკობიზნესით დაკავებულ დაჯგუფებებს, მეორე ნაირსახეობა კი აგრესიული სეპარატიზმია. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი კრიმინოლოგები მთლიანობაში ერთი აზრისაღი არიან იმის თაობაზე, რომ სეპარატიზმი⁵¹ არის ორგანიზებული დანაშაულობის ფორმა, ამასთან ერთადერთი ფორმა, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს სახელმწიფოს საფუძვლები⁵².

ქართულ კრიმინოლოგიაში დამოუკიდებელ მიმართულებად ითვლება ძალადობითი დანაშაულობის ანალიზი. 90-იანი წლების ბოლოს მეცნიერები გადადიან ამ სახის დანაშაულობის მონოგრაფიულ განზოგადოებაზე⁵³. ამასთან, მოცემულ გამოკვლევაში, ტრადიციულად დაწერილი თემებისაგან განსხვავებით, ძალადობის პრობლემა განიხილება კულტუროლოგიურ ასპექტში. კერძოდ, მყარდება კავშირი ძალადობითი დანაშაულობის დონის დაქვეითებისა და საზოგადოებაში აგრესიულობის არ არსებობას შორის. ამასთან, მეცნიერებაში ბრველად გამოიყენება ძალადობის განვითარების დონის გაზომვის მეთოდი, მისი ისეთ სახეობებთან (ნარკოტიკზმთან, იარაღის უკანონო ტარებასთან) შედარების გზით, რომლებიც ტრადიციულად არ ექცევიან ძალადობითი დანაშაულობის წრეში, თუმცა გარკვეულწილად ხელს უწყობენ ძალადობის რეალიზაციას. ძალადობითი დანაშაულობის სტრუქტურის ფონზე ნარკოტიკზმის და იარაღის უკანონო ტარების მაჩვენებლები განიხილება, როგორც ძალადობის აკუმულაციის საშუალო ტენდენცია. მთლიანობაში დგინდება, რომ ძალადობითი დანაშაულობის ძირითად „მიმწოდებლად“ გამოდის უმუშევრები, განსაკუთრებით, ყოფილი მუშები, საშუალო განათლების მქონე პირები და ა.შ. ამასთან, დასკვნების კონსტატაციისას განსახვავებენ საზოგადოების სოციალურ-ისტორიული ტრადიციებისათვის დამახასიათებელი ძალადობითი დანაშაულობის რეალურ ცვლილებებს და კაპიტალიზმზე გადასვლის პერიოდის დროს გამოწვეულ ცვლილებებს. დაბოლოს, ნაშრომში სპეციალურ კრიმინოლოგიურ დონისძიებებთან ერთად გამოიყოფა ზომები, რომლებიც მიმართულია ძალადობითი დანაშაულობის განვითარების დევიანტური სტადიის წინააღმდეგ, რაც უფრო ნათელს ხდის არასრულწლოვანთა ძალადობით დანაშაულობას.

მთითებულ პერიოდში კვლავ ცოცხლდება დანაშაულობის, კერძოდ, ჯგუფური და ძალადობითი დანაშაულობის შესწავლის მოთხოვნილება ისტორიული პროვინციების ჩარჩოებში⁵⁴. მისთვის დამახასიათებელია პროვინციების შედარება დანაშაულობის სახეობათა მიხედვით. თუმცა არსებული გამოკვლევებისაგან განსხვავებით, ი. შენგელია ბრველად იწყებს დანაშაულობის ანალიზს იმერეთის ცალკე აღებული ისტორიული პროვინციების ჩარჩოებში⁵⁵.

მთელი რიგი მაზეზების გამო წამოწყებული განზოგადოება არ ყოფილა შემთხვევითი. სხვა პროვინციებთან შედარებით იმერეთში ლტოლვილების მიგრაციით გამოწვეულმა მოსახლეობის პრობლემად მჭიდრო დასახლებამ სოფლის მეურნეობის წარმოების შემცირებასთან და პროვინციაში მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემასთან ერთად განსაკუთრებული კრიმინოგენური ფონი შექმნა. ამასთანავე, იმერეთში აშკარად იგრძნობა

კონფლიქტი საქართველოს ერთგვაროვანი მოსახლეობის ძირითადი მასის ისტორიულად არსებულ კულტურასა და ახალი დროის მიერ მოტანილ ფასიულობებს შორის. გარდა ამისა, სხვა პროვინციებისაგან განსხვავებით, სწორედ იმერეთში ჩაისახა საშუალო ინდუსტრიული ქალაქის დანაშაულობების პრობლემა, სადაც მოსახლეობის უმუშევართა დიდი ხვედრითი წილი ინდუსტრიულ სფეროში წინათ დასაქმებულებზე მოდის. დაბოლოს, როგორც უმისხილესი სატრანსპორტო არტერია, იმერეთი ორგანიზებული დანაშაულობის პოტენციური ობიექტი ხდება.

ქართველი კრიმინოლოგები 90-იანი წლების მიწურულსაც განაგრძობენ არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევას. მათ შრომებში სოციალურ ახსნას ექვემდებარება ისტორიულად ადრე არარსებული კრიმინოგენური კანონზომიერებანი, რომლებიც გამოწვეულია უმუშევრობით, ოჯახის კრიზისით, ცხოვრების დონის დაცემით და ა.შ.⁶⁶ ამავდროულად იწყება არასრულწლოვან დამნაშავეთა მოთხოვნილებების და მოტივაციის ფსიქოლოგიური ანალიზი დ. უზნაძის განწყობის თეორიის საფუძველზე⁶⁷.

სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიდგომასთან ერთად, ამ წლებში კრიმინოლოგიური და პენიტენციალური მიდგომის მიჯნაზე, არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემისადმი ახალი დამოკიდებულება ჩნდება. გ. ყვარელაშვილის გამოკვლევებში მეცნიერული ანალიზის საგანია პრობლემური სიტუაცია, რომელიც წარმოიქმნება მსჯავრდებულ არასრულწლოვანზე გამოსასწორებელ ზემოქმედებასთან დაკავშირებით. მოქმედი კანონმდებლობით სასამართლოს განჩინებაში გათვალისწინებულია ბიროვნების თავისებურებები, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის კვალიფიკაციასთან და სასჯელის დადებისთან, რაც, როგორც ყოველთვის, ფორმალური და შპრალია. ინდივიდის ფსიქოლოგიური სამყარო გამოუცნობი ხდება. ამის შედეგად ერთსა და იმავე დაწესებულებაში ხვდებიან ე.წ. შემთხვევითი და ბოროტი დამნაშავეები – გამოუსწორებელი ასოციალური განწყობით. ამ უკანასკნელთა შრიდან უარყოფითი გავლენის გამო, ბიროვნების გამოსწორების ნაცვლად, საზოგადოებას უკან უბრუნდება გამოუსწორებელი დამნაშავე. ერთმანეთთან დაუკავშირებელი სასამართლო და პენიტენციალური საქმიანობის რეფორმების გზით პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა არ იძლევა სასურველ შედეგს. სასჯელადირულებით დაწესებულებებში მდგომარეობა უცვლელი რჩება.

საზღვარგარეთის გამოცდილების საფუძველზე გ. ყვარელაშვილის გამოკვლევებში დამუშავდა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის მოდელი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ განჩინების გამოტანის დროს არასრულწლოვანი მსჯავრდებული იგზავნება კლასიფიკაციის ცენტრში, სადაც ექვსი თვის განმავლობაში ხდება მისი ბიროვნების დიაგნოსტიკა. მიღებული შედეგის მიხედვით ბიროვნების დახასიათება იგზავნება სასამართლოში, რომელიც, თავის მხრივ, იღებს გადაწყვეტილებას სასჯელმისჯილის გადასაგზავნად დაწესებულების დაბურულ, ნახევრად დაბურულ ან ღია ბლოკებში, ე.ა. არასრულწლოვანი ბიროვნების ძირითადი შეფასება ხდება არა მხოლოდ სასამართლოს ფორმალურ-იურიდიული, არამედ პენიტენციალური დაწესებულების დასკვნების საფუძველზეც. წამოწყებული მოდელი ფართო გასაქანს იძლეოდა ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევების ჩასატარებლად მსჯავრდებული არასრულწლოვანი ბიროვნების გამოკვლევისათვის⁶⁸.

კანონმდებლობის შეცვლასთან დაკავშირებით, რომელიც ასახულებდა რესოციალიზაციის ინსტიტუტის არსებობას, ლიტერატურაში დაიწყო მისი გაცნობიერების და ეფექტური მოდელირების მცდელობა⁶⁹.

აღნიშნულ პერიოდს უკავშირდება დანაშაულობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ინტენსიური ანალიზის დაწყებაც, რომლის ტრადიციებს ვერ კიდევ 70-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი პროფესორმა თ. შაველიძემ. მაგრამ წინა წლებისაგან განსხვავებით, სამეცნიერო კვლევები ატარებდნენ უფრო დიფერენცირებულ ხასიათს, რადგანაც ესტოდნენ საზოგადოებრივ აზრის ვგუფური დანაშაულობის⁷⁰, კორუფციის⁷¹, ორგანიზებული დანაშაულობის⁷², ძალადობითი დანაშაულობის⁷³, ისტორიული პროვინციის დანაშაულობის⁷⁴, პენიტენციალური საქმიანობის⁷⁵ და სასჯელის ზომების შესახებ⁷⁶. ექვთარეშვა, რომ 90-იანი წლების დასასრულიდან მოხდა ქართული კრიმინოლოგიის ახალი მიმართულების ფორმირება, რომელსაც შეიძლება „კრიმინალური ოპინიონიკა“ (ლათ. „opinio“ - შეხედულება) ეწოდოს.

ქართულ კრიმინოლოგიაში დამოუკიდებელი მიმართულების სახით გამოიყოფა სოციალური პათოლოგიისადმი მიძღვნილი თემატიკა. წამოწყებული ძიება თავს იყრის ორი პრობლემის გარშემო, რომელიც ეხება შეურაცხადთა სოციალურ ქცევას და თვითმკვლელობას. მართალია, მოცემულ გამოკვლევებს ვერ ვუწოდებთ კრიმინოლოგიურს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგანაც შეურაცხადთა და თვითმკვლელთა ქცევა არ წარმოშობს დანაშაულს, თუმცა მასალის აღწერისა და ახსნის მეთოდი ნასესხებია კრიმინოლოგიისაგან. უფრო მეტიც, კაუზალური განმარტება უახლოვდება კრიმინოლოგიურს. ამიტომ გამოკვლევათა მითითებული დახასიათება, ერთობლიობაში, კრიმინოლოგიურ ისტორიოგრაფებს კრიმინოლოგიისათვის მათი პრობლემად მიკუთვნების შესაძლებლობას აძლევს.

მ. შამბაშვილის აზრით, პრობლემურ სიტუაციას ქმნის იუსტიციის სისტემაში არსებული ხარვეზები. კერძოდ, იძულებითი ღონისძიებების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სასამართლოები სშირად არ ადგენენ შეურაცხადის კანონიერ წარმომადგენელს, არ განსაზღვრავენ იმ ორგანიზაციების და პირების უფლება-მოვალეობებს, რომელთაც კონტროლი უნდა განახორციელონ შეურაცხადი პირის მიმართ. სასამართლოები არაიშვიათად ამბობენ უარს სამედიცინო იძულებითი ღონისძიებების გაუქმებასა და შეცვლაზე, რისი მოტივებიც კანონმდებლობისათვის არაა ცნობილი. სერთოზული ხარვეზებია კანონმდებლობასა თუ საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაშიც. ეს და სხვა გარემოებები ერთობლიობაში, ხელს უწყობენ უკონტროლობას შეურაცხადის ქცევაზე მდგომარეობა მწვავედება იმის გამო, რომ მას კვლავ შეუძლია ჩაიდინოს „დანაშაული“ კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩენის შემთხვევაში, რასაც ავტორი სისხლისსამართლებრივ უსამართლობას უწოდებს, რომლის განსაზღვრის პირველ მცდელობას ქართულ თურისპუდენციაში ცნობილი კრიმინალისტი თ. გამყრელიძე ვეაძღვეს. მთლიანობაში პრობლემის აქტუალობა განისაზღვრება აგრეთვე იმით, რომ საქართველოში იზრდება „დანაშაულის“ ჩამდენ შეურაცხადთა რიცხვი. ქალაქები მათი აგრესიულობის სტიმულატორები ხდებიან. მოსახლეობის მხრიდან კი იზრდება აღნიშნული პრობლემების მიმართ ნეოტრალური დამოკიდებულების დონე⁷⁷.

იშვიათ გამოკვლევათა რიცხვის მიკუთვნება თვითმკვლელობათა გამოკვლევა. 1927 წელს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამოცემული იყო მხოლოდ რ. ფიცხელაურის⁷⁸ პირველი ნამუშევარი. წარმოქმნილი ვაკუუმი განსაზღვრულ წილად შეავსო ზ. ტაბლიაშვილმა და მ. ვაგნაშვილმა გამოკვლევამ - „დევაცია. თვითმკვლელობა⁷⁹“, სადაც აღწერილ იქნა უსაშინლესი სიტუაცია, რომელიც შეიქმნა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში.

თვითმკვლელობის ყველაზე დიდი პროცენტი საშუალოდ 15-29 წლის ასაკის პირებზე მოდის. მამაკაცებს შორის ყველაზე ხშირად მას 15-34 წლის ასაკში ვხვდებით, ხოლო ქალებს შორის - 20-24 წლის ასაკში. ნაშრომში ხაზგასმულია თვითმკვლელობის ზრდის ტენდენცია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული პრობლემა შემდგომი გამოკვლევების ყველაზე მნიშვნელოვან საგნად იქცევა.

საზოგადოების ისტორიულმა გადასვლამ რეპრესიული პოლიტიკიდან ადრეული პროფილაქტიკის დონისძიებათა გაფართოებისაკენ დღის წესრიგში დააყენა კანონის დამრღვევი ადამიანის შინაგანი სამყაროს ღრმად შესწავლის საკითხი. დანაშაულებრივი ქცევის ფსიქოლოგიური ბუნების გაგების აუცილებლობაზე ლოგიკურ რეაქციას წარმოადგენდა ცნობილი ფსიქოლოგის დ. კიკნაძის მიერ წამოწყებული მოტივაციის გამოკვლევები⁸⁰.

აგტორის თვალთახედვა იმ პერიოდში ფორმირდებოდა, როცა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კრიმინოლოგების უმრავლესობა მოექცა რუსი ფსიქოლოგის ა. ლეონტიევის გავლენის ქვეშ, რომელმაც მოტივად მოთხოვნილება განსაზღვრა. ამიტომ ასხნის გარეშე რჩებოდა მოთხოვნილების შემეცნების მთელი პროცესი და, რაც მთავარია, ის ფენომენი, რომელიც ამ პროცესის შედეგად ფორმირდებოდა როგორც მოტივი. ამგვარად, დანაშაულებრივი ქცევის მოტივის პრობლემა პაერში გამოეკიდა და ცხადი გახდა, რომ გაბატონებული ფსიქოლოგიური კონცეფციის საფუძველზე ინდივიდუალური პრევენციული ზომებისა და ადრინდელი პროფილაქტიკის პროგრამების შემუშავება ჩიხში მოექცა.

დ. კიკნაძის აზრით, დანაშაულებრივი ქმედების თავიდან აცილება შესაძლებელია მოტივაციის კანონზომიერი გამოყენების საფუძველზე, რაც ნებისმიერი მოქმედების საიდუმლოების გასაღებს წარმოადგენს. სწორედ მოტივაციის შედეგად ხდება რწმენის ფორმირება მოტივის სახით. მოტივაცია, როგორც შინაგანი მოქმედება, იწყება მოთხოვნილებების შეცნობით (აქ თავდებოდა ა. ლეონტიევის კონცეფცია) და სრულდება დინამიური ფაქტორების სისტემის ფუნქციონალური ფორმირებით: მოთხოვნილებით, ინტერესით, მიზნით, რწმენა-მოტივით და განწყობით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მხოლოდ რწმენის შეცვლის გზითაა შესაძლებელი ზემოქმედების მოხდენა ნებისმიერი ქცევის, მათ შორის დანაშაულის ჩადენისათვის მზადყოფნაზე.

90-იანი წლების დასასრულისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი აქვეყნებს შრომების კრებულს, რომელიც განაზოგადებს არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრობლემებს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. თემატიკა ძირითადად ატარებს ფსიქოლოგიურ-მედადოგოურ ხასიათს. დიდი ადგილი აქვს დათმობილი არასრულწლოვანთა და მოზარდთა დევიანტურ ქცევას⁸¹.

ემპირიულ გამოკვლევებთან ერთად, მეცნიერები იწყებენ თეორიული ხასიათის ძიებებს. ამასთან, თემების ერთი ჯგუფი კონცენტრირდება პრობლემატიკის გამოყენებით თეორიის გარშემო, მეორე კი - მასალის ფილოსოფიურ-კრიტიკული გააზრების ირგვლივ.

გამოყენებითი თეორიის გამოკვლევების ჩარჩოებში მუშავდება ისეთი თემები, როგორიცაა კრიმინოლოგიური პროგნოზირება⁸², კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკა⁸³ და ა.შ. ამავე წლებში გამოდის პირველი ქართული სახელმძღვანელო კრიმინოლოგიაში. რ. ჭოდოშვილი სასწავლო მასალას გადმოგვცემს რამდენადმე არატრადიციული ფორმით, რომელიც გარკვეულად განსხვავდება კრიმინოლოგიის კურსის მიღებული სტრუქტურისაგან. მაგრამ, მიუხედავად მასალის მოკლე გადმოცემისა, სახელმძღვანელო (როგორც გამოცემის პირველი მცდელობა) საზოგადოების ყურადღებას იპყრობს.⁸⁴

1998 წელს ა. გოძიაშვილმა გამოისცა გამოკვლევა „კრიმინოლოგია“. მისი სტრუქტურა გვაგონებს კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში მასალის განლაგების ანალოგიურ ტრადიციას. მეორე მხრივ, მასალის აღწერა და განზოგადოება ატარებს მონოგრაფიულ ხასიათს. ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ქართულ ენაზე ავტორი პირველად იძლევა საქართველოში დანაშაულობის ძირითადი კანონზომიერების განზოგადოებულ აღწერას, გადმოცემულია ავტორის შეხედულება საბჭოური და პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოს დანაშაულობის ფორმირების განსაკუთრებულობაზე. ავტორი განიხილავს მსოფლიო კრიმინოლოგიაში არსებულ სხვადასხვა მიდგომებს და ცდილობს მის გაზრებას საქართველოს მასალებზე დაყრდნობით. დანაშაულობის საერთო პრობლემების გარდა, მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამედროვე დანაშაულობის ფორმებს: ორგანიზებულს, რეციდიულს და ა.შ.

30 წლის განმავლობაში ქართველმა კრიმინოლოგებმა დააგროვეს დიდძალი ემპირიული მასალა და შესაძლებლობისამებრ აღწერეს იგი. მართო ამ ოქროს ფონდის საშუალებით შეიძლება აღგვედგინა ტოტალიტარული სახელმწიფოებრიობის დაშლის ისტორია. და მანც, განხორციელებულ გამოკვლევებში ვერ მოხერხდა ემპირიზმის დაძლევა. უფრო მეტიც, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ფუნდამენტური ძიების დამკვიდრების იმედი თანდათან გაქრა.

კაპიტალიზმისაკენ გარდაბრუნებულმა პერიოდმა გზა გაუხსნა მსოფლიოს საბაზრო ურთიერთობებში ქვეყნის ჩართვას და შესაბამისად, სათანადო უცხოური კულტურის ფიწრო პრაგმატულ ღირებულებათა შემოდენას ქართულ ცნობიერებაში. როგორც შედეგი, ამ თბიქტურმა პროცესებმა გააფართოვა ემპირიზმის ძალაუფლება, რადგან ამერიკული და მათ მიერ გაწვრთნილი ევროპული კრიმინოლოგიური შიჯელობის მეთოდი, ძირითადად, ემპირიული მასალის აღწერით შემოიფარგლებოდა. აღნიშნული შემეცნებით ტენდენციის დამკვიდრებას ორგანიზებულად უწყობდნენ ხელს გრანტის გამკეპი სხვადასხვა საზოგადოებები, რომლებიც საქართველოში მათ ქვეყნებში მიღებულ ემპირიულ თემატიკას ამორჩევითად აფინანსებდნენ.

კორუფციისა თუ ორგანიზებული დანაშაულობის ან ტრანსნაციონალური დანაშაულობის ცალ-ცალკე აღწერა ერთი შეხედვით მომგებიანი იყო. მაგრამ მათი ერთიანი ბუნების ძირითადი სუბსტანციის დადგენა სცილდებოდა პრაგმატიზმით დაავადებული შემეცნების შესაძლებლობებს. ქართული კრიმინოლოგია, ტრადიციული რეჟიმისათვის დამახასიათებელი ემპირიზმიდან თავის დაღწევის შემდეგ, კვლავ ემპირიზმის კლანჭებში აღმოჩნდა, მაგრამ ეს უკვე სხვა სოციალური მიზეზებით იყო განპირობებული.

აღნიშნულ ვითარებაში კრიმინოლოგიური აზროვნება გაორდა. სულ უფრო ხშირად დებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ, თუ არსებობს დანაშაულობა როგორც ობიექტური მოვლენა, მაშინ აუცილებელია მისი სხვადასხვა ფორმებისა (ტრანსნაციონალური, ორგანიზებული, ძალადობითი და სხვ.) და სახეების (ქურდობა, ყაჩაღობა და სხვ.) გამაერთიანებელი სუბსტანციის შეცნობა. მეორე მხრივ, თუ კაცობრიობის შიჯელობა ვერ სწვდება დანაშაულობის ერთიან ბუნებას, მაშინ არ უნდა არსებობდეს დანაშაულობა, როგორც ობიექტური კატეგორია, ვინაიდან კრიმინოლოგიური შიჯელობა, ფორმაციების ცვალებადობის მიუხედავად, სწვდება დანაშაულობის მხოლოდ ცალკეული ფორმების და სახეების თვისებებს და არა მათ გამაერთიანებელ ფესვს. კრიმინოლოგიური აზროვნება წინააღმდეგობაში ექცევა, რადგან ემპირიზმიდან გამომდინარე დანაშაულობა, როგორც შენაგანი ერთიანი კანონზომიერების მატარებელი მოვლენა, არ არსებობს.

ამრიგად, მე-20 საუკუნის მიწურულს ქართულ კრიმინოლოგიაში (მსოფლიო კრიმინოლოგიის მსგავსად) მწიფდებოდა მეთოდოლოგიური საყრდენის ძიების მოთხოვნა. მაგრამ ძიება დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ვინაიდან ფილოსოფიის მძლავრი ანტიემპირიული ტრადიცია გაბატონებული გამოყენებითი სოციოლოგიის მიერ იდენტიფიცირებული, ხოლო დანაშაულობის კვლევისას, იურიტიკის წინაშე ემპირიული ფაქტების გამაერთიანებელი ობიექტური კანონის დადგენის ამოცანა არ არსებობდა. არ არსებობდა თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მსგავსი ამოცანის გადაწყვეტა არ შესაძლებელია ნორმატიული მსჯელობის იდეალის, რომლის მიხედვითაც დანაშაულის კვალიფიკაციის შედეგად მოვლენათა არსი უნდა აღქმულიყო მხოლოდ როგორც ნორმაში ასახული აბსტრაქტული და ზოგადი. ნორმატივიზმში, როგორც უნიკალური მეთოდი იურიდიული პრაქტიკისათვის, კრიმინოლოგიაში საგალალო შედეგების მომტანი ხდებოდა, რადგან რეალურ ცხოვრებაში დანაშაულობას აღწერდა როგორც ემპირიულ ფაქტთა გროვას, ხოლო მათ არსი კი - როგორც აბსტრაქტულ განმარტებას, მსგავსად ნორმატიული მსჯელობისა. საბოლოოდ ამას მკვლევარი მიჰყავდა სუბიექტივიზმამდე, რასაც შედეგად დანაშაულობის ფორმების განმარტებათა მრავალფეროვნება სდევდა. ამიტომ ტრანსსაციონალურ დანაშაულობაზე, ნარკობიზნესზე, კორუფციაზე თუ სხვა კრიმინალურ ფორმებზე არამც თუ ერთიანი წარმოდგენა არ არსებობს დღემდე, არამედ არაა ერთიანი საყრდენი მათი სუბსტანციის ასხნაშიც. აქედან მომდინარეობს დანაშაულობასთან ბრძოლის უამრავი ერთმანეთის საწინააღმდეგო პროგრამაც - შეკაზმული ფსევდოპეცნიერული და ობიექტული დასკვნებით.

ემპირიზმიდან თავის დაღწევის მიზნით, კრიმინოლოგიაში კვლავ იწყება მეთოდოლოგიური საკითხების განხილვა. ამ მიმართულებით, გ. თოდრიას აზრით, საჭიროა კაცობრიობის ყველა მნიშვნელოვანი მონაპოვარის, მათ შორის რელიგიური აზროვნების დრმა წვდომა. მეცნიერი ცდილობს გაერკვეს დანაშაულობაზე არსებულ რელიგიურ მსოფლმხედველობაში. კვლევის საგნად შემთხვევით არაა აღებული ქრისტიანული რელიგია. ავტორის აზრით, სხვა რელიგიების განსხვავებით, ქრისტე არც სახელმწიფოს მსახურია და არც რაიმე ურთიერთობაშია მასთან; ქრისტე იმ წრის სახელით გამოდის, რომელიც სახელმწიფოს გარეთ დგას.

დანაშაულობაზე ქრისტიანული წარმოდგენის ჩამოყალიბება არ არის დამახინჯებული იმ ფორმებით, რაც ტიპურია პოზიტიური სამართლისა და სახელმწიფოსთვის, სადაც დანაშაულობის ხედვა დამახინჯებულ სახეს იღებს. მსჯელობის ასეთი მიმართულებით წარმართვა კრიმინოლოგიაში ბოლოს უღებს იურიდიული აზროვნების პრეტენზიას, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ფეხს იკიდებს საოცარი ჭეშმარიტება - პოზიტიურ-სამართლებრივი აზროვნება, რომელიც არ სცნობს გარდასახვითი ფორმების ანალიზს, რადგან სახელმწიფოსათვის მოვლენა და არსი გათვითცხადებულია.

დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა, ესაა მცდელობა იპოვოს თავისი ბრალეულობის ნამდვილი საზომი და არა ის, რასაც სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს.

დამნაშავის ცოდვიანობა არის იმ დამნაშავის თვისება, რომელიც არ აღმოჩნდა ღმერთთან. დამნაშავის მიერ ღმერთის რწმენა ნიშნავს დამნაშავის არა ემპირიული თვისებების გააზრებას (რაც მას გააჩნია), არამედ იმის წვდომას, რაც სუბსტანციური თვისებისაა. დამნაშავის „ცოდვიანობა“ სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა დამნაშავის მოაზრებას ყველა იმ თვისებით, რომლითაც იგი აღჭურვილია ემპირიულად (მათ შორის კანონითაც). არსებულ იურიდიულ ცოდნაში კი სამყარო აღიქმება მთელი მისი

ცოდვიანობით — ემბროული სუბსტანციის — დმერთის გარეშე. პარადოქსულია, მაგრამ ახალი აღთქმის წარმოდგენები ადამიანების უძველესი წარმოდგენებია, რომლებიც არის კატეგორიებით საზრდოობენ. ამიტომ თეოლოგიური ხედვა უფრო რეალურია, ხოლო თეოლოგიური — ვიწრო, პრაქტიკული, არარეალური. თუმცა რიგითი ადამიანების შვენებაში თეოლოგიური სამყარო საიქიოდ აისახება, ხოლო სახელმწიფოსა და საპარტლისა — საიქიოდ. ამწელეულების განმავლობაში ამგვარი „ყირაშალა“ ხედვის ავტორი იყო და ჯერაც არის სახელმწიფო, რომლის შისახურთათვის საზოგადოება სახელმწიფოებრივი განწესებების გარეშე არის შადქისი სამეფო. ადამიანები ჯერაც ამ დღის ტყვეობაში არიან, რადგან ვერ ხედავენ, რომ ღვთიური სუბსტანციის სამეფო არ არის იმ სამყაროდან, რომელსაც ვხედავთ სახელმწიფო პრაქტიკაში.

ხოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ნაშრომები სამართლის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის სფეროებში. ამ ნაშრომებში უშუალოდ კრიმინოლოგიური პრობლემები არ განიხილებოდა, მაგრამ მიზნად დასახული ამოცანის გადაჭრისას ავტორთა მიერ დასმული რიგი საკითხები არსებითად მნიშვნელოვანი იყო კრიმინოლოგიური მსოფლმხედველობის განვითარებისთვისაც.

უმრავლეს ყოვლისა, ყურადსაღება ცნობილი ქართველი მეცნიერის გ. ნანეიშვილის 20-30-იანი წლების პერიოდში განხორციელებული სამართლის ფილოსოფიის საკითხების კვლევა, რომელსაც პროფესორი ე. კოდუას ძალისხმევით გაეცნო ქართული საზოგადოებრიობა.

გ. ნანეიშვილის მოსაზრება აგებული იყო ჰუსერლის ფენომენოლოგიურ მეთოდზე, რომლის ლოგიკაშია დიდი შხარდაჭერა შპოვა თანამედროვე იურიდიულ აზროვნებაში. მიუხედავად იმისა, რომ ჰუსერლისებური მიდგომა განვითარების პრინციპისადმი არსებითად ჩამორჩებოდა ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის“ დიალექტიკურ შსჯელობას, გ. ნანეიშვილის მიერ დასმულმა საკითხებმა თანამედროვე მკვლევარებს ბიძგი მისცა განვითარებისათ სამართლებრივი აზროვნების შრავალი საკითხი, მათ შორის კრიმინოლოგიურიც.

გ. ნანეიშვილის აზრით, პოზიტიური სამართალი უნდა იყოს განხილული როგორც ერთადერთი სიეციფიკური შემთხვევა შესაძლო სამართლისა. ხელისუფლება, დასძენს გ. ნანეიშვილს გვაძულებს იმის შესრულებას, რაც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ჩვენი სურვილების საგანს. ამიტომ შესაძლოა კანონის მიერ მოწესრიგებული ძალადობა და კანონის დაშოუციდებლად მოქმედი ძალადობა, დაბრისშირება კანონისადმი⁵⁷.

აღნიშნულ მოსაზრებათა ჭრილში ნოვაციას წარმოადგენს ის გარემოება, რომ კანონისადმი დაბრისშირება განიხილება როგორც შესაძლო სამართლის ფორმა პოზიტიური სამართლის გვერდით. შემოთავაზებული მიდგომით გ. ნანეიშვილმა ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა კრიმინოლოგთა მომავალ გამოკვლევებს, რათა მათ დანაშაულობა განხილათ როგორც შესაძლო სამართლის ფორმა და ამით პოზიტიური სამართალი განეჭვრიტათ ერთ სიბრტყეში, როგორც ერთიანი სამართლის განისხვავებული ფორმები.

თანამედროვე სამართლის პუმანიშაციის მოთხოვნამ მყარი ნიადაგი მოუშადა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიულ კვლევა-ძიებას. ამ მიმართულებით ლ. ადეიშვილმა ფართო საზოგადოებრიობას შესთავაზა მონოგრაფიული გამოკვლევა „ნიკო ხიზანაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები“⁵⁸. მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ღირსიული მკვლევარის ნ. ხიზანაშვილის მოსაზრებათა შორის ლ. ადეიშვილმა გამოყო თემატიკა, რომელიც აქტუალურია კრიმინოლოგიური მსოფლმხედველობის

განვითარებისათვის. კრიმინოლოგიისათვის ერთ-ერთი ყურადღისამსახურია დებულება, რომელიც მან ნ. ხიზანაშვილიმ კონსტრუქციოდან გამოყო, მდგომარეობდა იმაში, რომ დანაშაულობა ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებით: ერთი მხრივ, ადამიანი გამოდის როგორც დანაშაულის სუბიექტი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მისგან დაბოლოებული მძლავრი კანონზომიერებების შედეგად, როგორც „იარაღი ვარგები ვარემოებისა, რისთვისაც კაცს ბევრი უნდა მიეტევოს“ (ნ. ხიზანაშვილი). როგორ შეიძლება არსებობდეს ეს ორი საპირისპირო თვისება ერთსა და იმავე მოვლენაში – პრობლემური კითხვაა, რომლის გადაწყვეტის პრობლემა ნ. ხიზანაშვილმა კრიმინოლოგთა მომავალ თაობას დაუტოვა.

გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მეცნიერებაში ისტორიულად არსებული ლტოლვა სოციალურ მოვლენათა ღრმა შექცევისაკენ დაასამარა ტოტალიტარულმა რეჟიმმა, რომლის მონური მსახური დარჩა და არის პოზიტიურ-სამართლებრივი აზროვნება. სამართლის პრობლემატიკა შთანთქა პრაგმატულ-იურიდიულმა კერძოთაყვანისცემლობამ. ემპირიული მასალის დაგროვება და მისი აღწერით დაკმაყოფილება – აი, ის მეტკვიდრება, რომელიც სამწუხაროდ დაუტოვა იურისტებს ტოტალიტალური რეჟიმის აზროვნებამ. სამართლის ფილოსოფიისა და დანაშაულის შექცევის მიჯნაზე გამოთქმული ცალკეული მნიშვნელოვანი დებულებები ვერ არყვება ემპირიზმის მიერ აგებულ „მონოლითს“. იურისტებისათვის, როგორც სახელმწიფოს მსახურათათვის, ემპირიული კრიმინოლოგია მისაღებაა, რადგან პოზიტიურ-სამართლებრივი აზროვნება ათვლის წერტილად კანონს ადიარებს, ხოლო საზოგადოებაში მომხდარ მოვლენებს ისე აღიქვამს როგორც შემთხვევითობის გროვას.

§2. კრიმინოლოგიური დაწესებულებები საქართველოში

კრიმინოლოგიის განვითარება საქართველოში განუყრელადაა დაკავშირებული ქვეყანაში მთელი რიგი ისეთი დაწესებულებების ჩამოყალიბებასთან, რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიონალ კრიმინოლოგთა კადრების მომზადებასა და გამოყენებით (სამძებრო) კვლევების ორგანიზებას. ამჟამად ქვეყანაში სამი ტიპის დაწესებულებები ფუნქციონირებს:

- ა) სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების დაწესებულებები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიისა და კრიმინალური ფსიქოლოგიის განყოფილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული დანაშაულის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია;
- ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულების დაწესებულებები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა; ანალოგიური კათედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბათუმისა და სოხუმის ფილიალებში; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრა;
- გ) სამეცნიერო-კონსულტაციური მიმართულების დაწესებულებები: საქართველოს კრიმინოლოგთა ასოციაცია; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტი; საზოგადოებრივი

ორგანიზაციები: "სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი"; "დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი".

დაწესებულებათა ისტორიის შესახებ საბჭოთა პერიოდში, იხ.:

ა. გაბიანი, "თანამედროვე კრიმინოლოგიის განვითარების შესახებ საბჭოთა საქართველოში" კრებულში "თანამედროვე სისხლის სამართლის, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის პროცესის განვითარების აქტუალური საკითხები", თბ., 1986, გვ. 150-156.

კრიმინოლოგიურ კვლევათა განვითარება 80-იან წლების დასაწყისში განუყრელადაა დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აწ გარდაცვლილი წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ თ. წერეთლის სახელთან. სწორედ მისი ინიციატივით ჩატარდა პირველი კრიმინოლოგიური კვლევები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის სექტორში, რომელიც მის მიერ იყო შექმნილი და რომელსაც თავადვე ხელმძღვანელობდა. იმ დროისათვის კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი განყოფილება ჯერ კიდევ არ არსებობდა, ისევე როგორც შესატყვისი კადრები. ამიტომ მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ ჩატარებული კვლევები უმეტესწილად იმ ასპირანტურის თემატიკას ასახავდა, რომელსაც ამთავრებდნენ მომავალი მეცნიერები, ძირითადად, მოსკოვის დაწესებულებებში - საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტსა და საბჭოთა კავშირის პროკურატურასთან არსებულ დანაშაულის მიზეზთა კვლევისა და პროგნოზირების ცენტრში".

სამართლის სექტორში კრიმინოლოგიური კადრების მომზადებამ შემდგომში საფუძველი ჩაუყარა კრიმინოლოგიის დამოუკიდებელი განყოფილების დაარსებას 1978 წელს, მოგვიანებით კი კრიმინალური ფსიქოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბებას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში. ამ ორგანიზაციულ სახსრებს კრიმინოლოგიური მეცნიერება უნდა უმაღლესად პროფესორ თ. შაველიძეს. სწორედ მისი ხელმძღვანელობით რეგულარულად წარმოებდა საზოგადოებრივი აზრისა და სამართლებრივი ცნობიერების კვლევა. კრიმინალური ფსიქოლოგიის პრობლემათა საკვლევად ინსტიტუტში მოწვეულ იქნა მოტივაციის ცნობილი მკვლევარი დ. კიკნაძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა აღნიშნულ სექტორს. იმავე წლებში პროფესორ თ. შაველიძის აქტიური მხარდაჭერით ჩამოყალიბდა კრიმინოლოგთა ასოციაცია, სადაც კრიმინოლოგების გარდა გაერთიანდნენ ცნობილი თურისტები და პრაქტიკოსები.

70-იანი წლების დასაწყისში (1974 წელს) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა დანაშაულის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც 1981 წელს გადაეცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს. აღნიშნული დაწესებულება უნაკალური იყო საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ვინაიდან კრიმინოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც სოციოლოგიურ საკითხთა გარდა ფსიქოლოგიურსაც წყვეტდა, დანაშაულის სოციოლოგია, ამერიკული დანაშაულის სოციოლოგიის შიგადასად, მხოლოდ დანაშაულის გეოგრაფიის, კრიმინალური მიგრაციისა და სხვა ელემენტულ სოციოლოგიურ პრობლემებს იხილავდა. პროფესორ ა. გაბიანის ხელმძღვანელობით ლაბორატორიამ განახორციელა დანაშაულის სოციოლოგიის გამოკვლევათა მთელი სერია. სწორედ ამ ლაბორატორიაში იქნა შემუშავებული ყველა ის გამოყენებითი თემა, რომელიც

იმდროინდელ დანაშაულობებს შეეხებოდა. იმ პირობებში არსებული მასალის ტექნიკური დამუშავების ჩარჩოებში ლაბორატორიამ პირველად განახორციელა მასობრივი სტატისტიკური დაკვირვებები.

70-იანი წლების კრიმინოლოგიის განვითარებას ხელი შეუწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი, გ. ტყეშელაშვი. კათედრის მცდელობით იურიდიულ ფაკულტეტზე იკითხებოდა კრიმინოლოგიის კურსი და ტარდებოდა პრაქტიკული მეცადინეობები. სწორედ აქ იქნა მომზადებული პირველი სადოქტორო დისერტაცია კრიმინოლოგიაში ზ. წულაიას მიერ. ამგვარად, სამეცნიერო კადრების მომზადებისადმი ხელშეწყობით კათედრამ უდიდესი დახმარება გაუწია სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს, რომელიც მეცნიერ-კრიმინოლოგებით შეიქმნა. კრიმინოლოგიის განვითარებამ, ზოგადად, ხელი შეუწყო სისხლის სამართლის დისერტაციათა მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა იმ სექტორის გაფართოებას, რომლებშიც გარკვეულწილად გააანალიზებული უნდა ყოფილიყო პრობლემის კრიმინოლოგიური ასპექტები.

კრიმინოლოგიის სწავლების სიღრმე და მასშტაბები, აგრეთვე კვლევის ჩატარება დიდად არის დამოკიდებული კადრების მეცნიერულ მომზადებაზე, რომლის საბოლოო საექსპერტო შეფასებას იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭო იძლევა. მაკარი და თბილეთური მოთხოვნების საფუძველზე საბჭომ დანაშაულის თანამედროვე სახეობების და ფორმების შემსწავლელ მრავალ კრიმინოლოგს მიანიჭა სამეცნიერო ხარისხი. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, იურიდიულ მეცნიერებათა პატრიარქის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, გ. ინწკრაველის უდიდესი როლი საბჭოს მიერ მომავალი კრიმინოლოგიის ნაშრომების მიმართ მაკალო მოთხოვნების შენარჩუნებაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რ. შენგელიას აქტიური ხელშეწყობით ფაკულტეტზე ფუნქციონირება დაიწყო ევროპული კერძო სამართლის გერმანულენოვანმა მაგისტრატურამ. დაგეგმილია გაფართოება და ახალი პროფილების დანერგვა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ყველაზე სერიოზული კრიმინოლოგიური კვლევები უკანასკნელ წლებში სწორედ გერმანული კრიმინოლოგიის მიერაა წარმოებული, ცხადია, რომ კრიმინოლოგიისთვის განვითარების ახალი პერსპექტივები იხსნება.

ქვეყანაში კრიმინოლოგიური სწავლების ერთობლიობის შენარჩუნებაში დიდი წვლილი შეაქვს იურიდიული ფაკულტეტის მეთოდოლოგიურ საბჭოს, რომელსაც პროფესორი მ. ლეკვეიშვილი ხელმძღვანელობს. კომერციულ ინსტიტუტთა ჩამოყალიბების პირობებში იქმნება კრიმინოლოგიის სწავლებაში სხვაობების არსებობის საშიშროება. სასწავლო პროგრამის გეგმავლობიერად, იურიდიული ფაკულტეტის მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამით წარმართვა უნდა იქცეს კრიმინოლოგიის სწავლების ერთგვარ მოდელად ქვეყანაში, ვინაიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაფაღკვალადიფიკური კადრების მომზადებისა და სწავლების მეთოდების ორგანიზების

საქმეში ფლავმანად გვევლინება. ამგვარად, იქმნება კრიმინოლოგიის სწავლებაში სხვაობების არსებობის საშიშროების დაძლევის შესაძლებლობა ქვეყნის სხვადასხვა კომერციულ სასწავლებლებში.

კრიმინოლოგიის სრული კურსით სწავლება წარმოებს აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტზეც. კრიმინოლოგიური განათლების მნიშვნელობა განსაკუთრებულია ფილიალის პედაგოგთა და სტუდენტთათვის, რადგან მისი შექმნა გახდა აფხაზეთში 1989 წლის 14 აპრილის ქართველი ხალხის დეენის ერთ-ერთი საბაბი, რაც ტრანსნაციონალური დანაშაულის ყველაზე საშიში ფორმის — სეპარატიზმის გამოვლენაა. თბილისში „დეენილ უნივერსიტეტად“ გადმოსვლით შენარჩუნებულ იქნა საუნივერსიტეტო განათლების იდეა. სწორედ ამ გზით შეიქმნა ნორმალური პირობები გუნციდისაგან გადარჩენილი ახალგაზრდობის განათლებისთვის. ფილიალი წარმოადგენს პედაგოგთა კოლექტივის მაკონსოლიდირებელ ძალას, რომელიც ქვეყნის რეგიონის ცნობილი მეცნიერების გარდა აერთიანებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მძალაგვალიფიცირებულ კადრებსაც. კრიმინოლოგიის სწავლებაში ფილიალს დიდ დახმარებას უწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიის განყოფილება.

საუნივერსიტეტო განათლების განმტკიცებას აჭარაში ხელს უწყობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც მიღწეულ წარმატებებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელს ა. აბაშიძეს უნდა უმაღლოდეს. საუნივერსიტეტო განათლების განვითარებამ საფუძველი შეუქმნა როგორც კრიმინოლოგიის სწავლებას იურიდიული ფაკულტეტზე ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტიდან მძალაგვალიფიცირებული კადრების მიზიდვასა და საკუთარი კადრების აღზრდას.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა გარდა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა, ზორციელდება აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე.

სმ-იან წლებში, როდესაც აკადემია ჯერ კიდევ სპეციალური სკოლა იყო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კადრების მოსამზადებლად მოიწვია ცნობილი მეცნიერები არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ მთელი საბჭოთა კავშირიდან. სკოლაში დანაშაულის აღკვეთაზე ლექციებს კითხულობდნენ პროფესორები: ა. სახაროვი, გ. მინკოვსკი და სხვა გამოჩენილი მეცნიერები. ამჟამად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტი მუშაკის, აკადემიის რექტორის გ. ქარქაშაძის და პრორექტორის პროფესორ გ. ლობჯანიძის აქტიური მონაწილეობითა და ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამეცნიერო მუშაობის განვითარება, დაახლოვება საერთაშორისო სტანდარტებთან, მძალაგვალიფიცირებული კადრების მოზიდვა. წესდების თანახმად, აკადემიას სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და სამეცნიერო ხარისხების მინიჭების უფლება უნდა მიეცეს. საბჭო ამჟამად იწყებს ფუნქციონირებას. დისერტანტების, კრიმინოლოგიის დარგში სამეცნიერო ხარისხის

მაძიებელთა მომზადება ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ადიუნქტურაში. აკადემია ინარჩუნებს სამეცნიერო კონტაქტებს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანასთან. კრიმინოლოგიის კურსი ისწავლება აგრეთვე აკადემიის ბათუმის ფაკულტეტზე და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

სამეცნიერო-კონსულტაციური მიმართულების დაწესებულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტს, რომელიც 1966 წელს დაარსდა. ინსტიტუტის რექტორის, პროფ. მ. დარჩიას აქტიური ხელშეწყობით ქვეყანაში გატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, მიმართული არასრულწლოვანთა დანაშაულისა და მათი დევნის ტური საქციელის აღკვეთისაკენ. მეცნიერების, პრაქტიკოსებისა და საზოგადოებრიობის რეგულარული შეხვედრებისა და კონფერენციების გარდა ინსტიტუტში განხილვება მოხარდ თაობასთან დაკავშირებული რთული საკითხები. სწავლულ იურისტთა და პრაქტიკოსთა გარდა კრიმინოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობისათვის ინსტიტუტში იწვევენ სხვა დარგების ცნობილ მეცნიერებს, როგორებიც არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ჯაფარიძე, პროფესორი დ. გეგეშიძე და სხვები. საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტის საგანმანათლებლო მოვლაწეობა, მისი მჭიდრო კავშირი საზოგადოებრიობასთან ინსტიტუტს მოსახლეობის კრიმინოლოგიური განათლების ნამდვილ ცენტრად ხდის.

ანალოგიური ფუნქციები აკისრია თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტსაც. მისი რექტორის, პროფ. ზ. ფორაქიშვილის ხელშეწყობით ინსტიტუტში შეიმუშავეს დანაშაულის ადრეული პროფილაქტიკის იდეა მოზარდ-დაშინავეთა სოციალური რეაბილიტაციის ორგანიზაციის შექმნის ჩარჩოებში.

1988 წელს საქართველოს პარლამენტის საკონსულტაციო საბჭოს ბაზაზე შეიქმნა საზოგადოებრივი გაერთიანება "სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტი," რომელსაც ხელმძღვანელობს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ღლონტი. კრიმინოლოგიური თემატიკა მუშავდება, უმთავრესად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კრიმინოლოგიური განყოფილების თანამშრომლების მიერ. ყურნალ „სამართლებრივ რეფორმებში“ ავტორები ამუშავებენ სხვადასხვა პრობლემატიკას, რომლებიც შეეხება ორგანიზებულ და ტრანსნაციონალურ დანაშაულს. აღნიშნული დაწესებულება თანამშრომლობს აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის აზია-აფრიკის სამართლებრივ განყოფილებასთან. ლიტერატურის გაცვლის შედეგად ინსტიტუტს გააჩნია უახლესი კრიმინოლოგიური ბიბლიოთეკა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

2002 წელს მეცნიერთა ჯგუფმა (მ. ბაძალუა, გ. ღლონტი, გ. თოდრა და სხვ.) შექმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დანაშაულის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი" მ. ბაძალუას ხელმძღვანელობით. სხვადასხვა კრიმინოლოგიურ საკითხებს შორის ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემებს. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული ნაშრომები ასახავენ კრიმინოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონეს. ცენტრს დაეგეზილი აქვს ცალკეული დანაშაულობის აღკვეთის მეთოდოლოგიური მასალების დამუშავებაც.

არსებული დაწესებულებები არ ამოწურავენ კრიმინოლოგიის განვითარების ორგანიზაციულ საფუძვლებს. 2003 წლის იანვარში შეიქმნა აშშ ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულობისა და კორუფციის შესწავლის ცენტრის თბილისის ოფისი. ცენტრის დირექტორი ვაშინგტონში არის პროფესორი ლუიზ შელი. თბილისის ოფისის ხელმძღვანელობენ პროფესორები: ქ. როსტიაშვილი, გ. ღლონტი და ო. გოგიაშვილი. ცხადია, ქვეყნის ჩართვა საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელში მომავალში საფუძვლად ჩაუყრის უფრო მსხვილი კრიმინოლოგიური დაწესებულებების ჩამოყალიბებას. საქართველოს განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მდებარეობა საშუალებას იძლევა ამიერკავკასიურ რეისუბლიკათა, ე.წ. „აბრეშუმის გზის“ ქვეყნების კრიმინოლოგიური ცენტრების შექმნისათვის. ამასთან ერთად, იქმნება პერსპექტივა შავი ზღვის ქვეყნების კრიმინოლოგიური ორგანიზაციის შექმნისთვისაც ერთობლივი შედარებითი კრიმინოლოგიური გამოკვლევების ჩატარების მიზნით. გზა ეხსნებათ ნიჭიერ სტუდენტებს, მიიღონ კრიმინოლოგიური განათლება ევროპისა და ამერიკის წამყვან ცენტრებში.

11. ა. გაბიანი, დანაშაულობის შესწავლის მეთოდების საკითხისათვის, - „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1964, №5; ა. გაბიანი, დანაშაულობის მიზეზების შესახებ, თბ., 1969წ.

12. ზ. წულაია, არასრულწლოვანთა დანაშაულობა და მასთან ბრძოლა, - „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1963 წ.

ა. შუშანიშვილი, ხულოვნობა და მასთან ბრძოლა, თბ., 1968 წ.; ზ. წულაია, სოციალისტური ქონების გატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, - „საბჭოთა სამართალი“, თბ., 1968 წ.

3. ს. პაჭკორაძე, დამნაშავეთა ეთიკური თვითშეფასების საკითხისათვის, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1975 წ.

4. ს. პაჭკორაძე, დანაშაულებრივ ქცევაში ფსიქიკის დაცვითი მექანიზმების ადგილი და მნიშვნელობა, - „მაცნე“, თბ., 1975წ. №3;

5. Т. Г. Шавгулидзе Психологическая структура поведения и уголовная ответственность. - "Проведение", 1970 г. №4; его же: Потребность и установка преступного поведения – сб.: Проблемы формирования социологических потребностей. Тб. 1975 г.

6. თ. შავგულაძე, მოტივების ადგილი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის ფაქტორთა შორის, - „საბჭოთა სამართალი“, 1977 წ. №1; Т. Г. Шавгулидзе – Место правосознания в психологической структуре поведения – сб.: Новая конституция и актуальные вопросы борьбы с преступностью. "Мецниереба", 1979 г.;

7. ზ. წულაია, სოციალისტური ქონების გატაცება და მასთან ბრძოლა, - „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1978 წ.; ალ. ფლენტა, დანაშაულის ხისტილისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები ეპარობაში, თბ., 1978 წ.

8. Н.Г. Угрехелидзе - Криминологическая характеристика соучастия в преступники. Тб. 1975 г.;

9. Т. Г. Шавгулидзе – Аффект и уголовная ответственность. Тб. "Мецниереба", 1973 г.;

10. გ. ნიშანიძე, ექსპერტოლოგია – კრიმინოლოგიის ახალი დარგი, - „საბჭოთა სამართალი“, 1978 წ. №3;

11. ა. გაბიანი, სამთვროლისა და ალკოჰოლიზმის კომპლექსური გამოკვლევის ძირითადი შედეგების შესახებ, - კრ.: Новая Конституция и актуальные вопросы борьбы с преступностью. Тб. "Мецниереба": 1979 г.;

12. მ. ლეკვეიშვილი, აღმოფხვრათ დანაშაულობა არასრულწლოვანთა შორის, თბ., 1973 წ.; ზ. წულაია, მოზარდთა დანაშაულობა და მასთან ბრძოლა, თბ., 1974 წ.; ა. გაბიანი, არასრულწლოვანთა

- დანაშაულობა, ნაწ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975 წ. Т.Г.Шавгулидзе - Шире использовать научный подход в борьбе с преступностью среди несовершеннолетних, в сб.; За образцовый общественный порядок в столице Грузии, Тб. "Сабчота Сакартвело", 1979г. и др.;
- ¹³ Ф.В. Гобечия Психологические факторы поведения несовершеннолетних правонарушителей . Тб. "Мещниереба", 1979 г.;
- ¹⁴ А.А.Габiani Наркотизм Тб. "Сабчота Сакартвело", 1977 г.; გ. ბეგიაშვილი ავაბიანი ბნანუშვილი ნარკომანია. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1983 წ.; ავაბიანი, გ.ლუფაია, ბნანუშვილი ნარკომანია და მასთან ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ-სამართლებრივი საკითხები - „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ. №1;
- ¹⁵ გ. მაღრაძე არასრულწლოვან დანაშაულებრივ ფიქიურებულ განწყობის ტიპის თავისებურებანი - „მატენი“. 1980 წ. №3 და სხვ.;
- ¹⁶ თბ. კრებული „არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საკითხები“. თბ. „მეცნიერება“. 1983 წ.;
- ¹⁷ А. Дулькин, М.Шония - Анализ факторов формирования личности "трудных" подростков с применением диагностико – прогностического метода – сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений. Тб. "Сабчота Сакартвело", 1986 г. №3.;
- ¹⁸ თ.შავეგულიძე საზოგადოებრივი მართლშეგნება, მოსწავლე ახალგაზრდობა. თბ. 1981 წ.;
- ¹⁹ მ.ბენიადისკია, მ.შონია სოციალური გარემო და მოზარდთა სამართალდარღვევები - „საბჭოთა სამართალი“, 1983 წ. №2; А.А.Габiani, М.Дидебулидзе, О.Мыльникова, М.Шония О результатах конкретно-социологического исследования условий формирования личности подростков-правонарушителей (по материалам г.Тбилиси), в сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб. изд-во ТГУ, 1981 г. вып 1 и др.;
- ²⁰ ლ.გაბაშვილი არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლა აფხაზეთში. თბ. 1984 წ.;
- И.В.Годзишвили Некоторые результаты изучения преступности несовершеннолетних в Абхазской АССР, известия АН ГССР, 1980, №33.; его же Криминологические проблемы преступности несовершеннолетних и борьбы с ней в условиях автономной республики (по материалам Абхазской АССР), автореферат дис.канд.юрид.наук, Тб.1983 г. и т.п.;
- ²¹ ავაბიანი, ნ.მეგრელიშვილი, მ.შონია მოზარდთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევათა კონკრეტულ-სოციალოგიურ გამოკვლევათა ზოგიერთი შედეგები (ქობილისის მასალების მიხედვით). - „საბჭოთა სამართალი“, 1981 წ. №1; Г.Г.Тодрия Характер изменений преступности несовершеннолетних в г.Тбилиси – сб.: СССР-США: криминологические и уголовно-правовые проблемы борьбы с городской преступностью. М.1987 г. и т.п.;
- ²² И.В.Годзишвили Региональные проблемы и преступность несовершеннолетних. Известия АН ГССР, 1981 г. №2.;
- ²³ З.Д.Двалишвили Некоторые аспекты организации борьбы с преступностью несовершеннолетних в масштабе района. – Материалы научно-практической конференции. Тб. 1984 г. и т.д.;
- ²⁴ Ю.И. Ткешелашвили Преступность несовершеннолетних в Грузинской ССР и вопросы ее профилактики. Тб. 1984 г.; არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის დაგეგმვა და ორგანიზაცია (განზოგადოებები და რეკომენდაციები 1980-1984 წლები). თბ. 1984 წ.;
- ²⁵ А.Габiani - Изучение социально-экономической проблемы пьянства и алкоголизма. – "Социалистическая законность", 1980 г. №1.;
- ²⁶ А.Габiani, Г.Лежава, В.Сванидзе - Основные итоги определения экономического ущерба от пьянства и алкоголизма (по материалам ГССР), в сб. "Некоторые результаты социально-экономического исследования пьянства и алкоголизма". Тб. ТГУ, 1979 г.;
- ²⁷ А.Габiani, В.Гургендзе, В.Сванидзе - Некоторые вопросы производства и реализации спиртных напитков в Грузинской ССР, в сб.: "Некоторые результаты социально-экономического исследования пьянства и алкоголизма". Тб. ТГУ, 1979 г. их же: Расчет чистого дохода от производства и реализации спиртных напитков в Грузинской ССР, в сб.: "Некоторые результаты социально-экономического исследования пьянства и алкоголизма". Тб. ТГУ, 1979 г.;

²⁸ А.А. Габуния, В. Гургенидзе, Б. Сванидзе - О динамике, структуре и географии алкоголизма в Грузинской ССР. в сб.: "Некоторые результаты социально-экономического исследования пьянства и алкоголизма". Тб. ТГУ, 1979 г.;

²⁹ აგაბინია აზურაბიშვილი გლეგეა ბნანეიშვილი ნარკომანია და მისთან ბრძოლის სამედიცინო და სოციალურ-სამართლებრივი საკითხება „საბჭოთა საქართველო“, 1982 წ. №1;

³⁰ М. Дидебулидзе Некоторые результаты сравнительного анализа преступности в городах и сельской местности. сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб. 1984 г. №2. А. Габияни, Р. Гачечиладзе, М. Дидебулидзе Об основных принципах пространственного анализа преступности. - Актуальные вопросы предупреждения правонарушений. Тб. 1981 г. №1. А. А. Габияни, Р.Г. Гачечиладзе, М.И. Дидебулидзе - Преступность в городах и сельской местности. Тб."Сабчота Сакартвело", 1985 г. и т.п.;

³¹ А. А.Габияни, Р.Г.Гачечиладзе - Некоторые вопросы географии преступности. Изд-во Тбилисского университета, 1982 г.;

³² ზ. წულაია დანაშაულობასთან ბრძოლა საფეიქრო მრეწველობაში თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1983 წ.; ზ. წულაია სოციალისტური ქონების დატაცებებთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები შიხუბუქ მრეწველობაში თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1989 წ.;

³³ აგაბინია აკახიძე ათოდუა მექრთამეობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ბირველი შედეგების შესახებ: - „საბჭოთა სამართალი“, 1980 წ. №5; А.Габияни, А.Кавсадзе, А.Тодуа Некоторые результаты конкретно - криминологического исследования взяточничества – сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб. ТГУ, 1981, вып.1; ა. თოდუა ქრთამის აღებისათვის შიჯაფრედუბლთა კრიმინოლოგიური დახასიათება. - „საბჭოთა სამართალი“, 1983, №2.

³⁴ მ. გულუღანი პრისტიტუტია როგორც სოციალური მოვლენა ექსპლუატატორულ საზოგადოებაში - „საბჭოთა სამართალი“, 1979 წ. №5; Н.Цховребадзе - Социологические проблемы распространения венерических заболеваний среди женщин - Сб.: Актуальные вопросы предупреждения правонарушений. Тб., „Сабчота Сакартвело“, 1984 г. №2. А.Габияни - О некоторых результатах конкретно-социологического исследования женщин, ведущих аморальный образ жизни. Актуальные вопросы предупреждения правонарушений, Тб., „Сабчота Сакартвело“, 1986, вып. 3 и т.д.;

³⁵ Б. Квириквашили - Социально-демографическая характеристика женской преступности. – Сб.: статей ТГУ, 1980: А.А.Габияни - Преступность среди женщин. Тб., „Сабчота Сакартвело“, 1986 г. Д.Н. Дарахвелидзе - Общественное мнение женщин о преступности. Тб., 1981 и др.;

³⁷ საპქორია ხუბიქტის საკუთარ დანაშაულთან დამოკიდებულების ტიპოლოგია და მისი მნიშვნელობა დანაშაულობასთან ბრძოლაში. - „საბჭოთა სამართალი“, 1982 წ. №4; დანაშაულებრივ მოქმედებაში ფიქსიკის დაცვითი მექანიზმების ადგილი და მნიშვნელობა - „მაცნე“, 1975 წ.; С.Г. Пачкорია -Типы отношения субъекта к собственному преступлению и их криминологическая характеристика. Тб. авт, канд.диссер. 1983 и др.;

³⁸ Г.Ш.Андгуладзе-Формирование установки асоциального поведения у несовершеннолетних правонарушителей, Автореф., Тб., 1980 г.;

³⁹ Т.Г.Шавгулидзе - Специфика механизма аффективного преступного поведения. – Механизм преступного поведения. М. "Наука", 1981 г.;

⁴⁰ Д.Г. Мумладзе - Эволюция концепции причинности в советской криминологии. Автореф. Тб.1990 г.;

⁴¹ აბ. დაწყ. Г. Тодрия - К критике "Диалектики криминогенной ситуации", "Мацне", 1987, №4; его же Проблемы перестройки криминологического мышления, "Мацне", 1989 г. №1.; ასევე სახელმწიფო როგორც გაუცხოების მომენტის და დანაშაულობა - „სამართალი“;

⁴² ზ. წულაია დატაცებებისთან ბრძოლის კრიმინოლოგიური საფუძვლები შიხუბუქ მრეწველობაში - ხაღექტ-დისაყტორია თბ.1984 წ.; დწყულაია ეკონომიკურ დანაშაულობათა კრიმინოლოგიური დახასიათების ზოგერთი ასექტა - „სამართალი“. 1988 წ. №5-6; აგაბინიაშვილი ეკონომიკური დანაშაულის შესწავლის და თავიდან აცილების საკითხისათვის - „კონტრება და სამართალი“, 1990 წ. №2; დ-წყულაია ეკონომიკურ სფეროში დანაშაულობის ცნების საკითხისათვის - „სამართალი“, 2001 წ. №11;

⁶ ა. გობიაშვილი კრიმინოლოგია თბ. 1980 წ.;

44. ბ. კვიციანიშვილი დანაშაულებრივ ბრძოლის ზოგიერთი პრობლემა - პარლ. მრეკველთა დამოუკიდებლობის უწყებანი თბ. 1997 წ. №1;
45. ა. კვაშილაძე, ლ. კვაშილაძე კორუფციასთან ბრძოლის პრობლემები - „სამართალი“, 1995 წ. №3-4; გ. ლომიძე საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის პრობლემების ზოგიერთი ასპექტი - პარლ. მრეკველთა დამოუკიდებლობის უწყებანი თბ. 1997 წ. №1;
46. გ. შაბუაშვილი ანტიკორუფციული კანონმდებლობის განვითარება საქართველოში - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები თბ. 1999 წ.;
47. გ. თოდრა, მბაძაძე ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობა - „სამართალი“, 1999 წ. №1;
48. ი. გომიშვილი თანამდებობრივი დანაშაულობის ფორმირებისა და თავიდან აცილების აქტუალური საკითხები - აღმზახა, 2000 წ. №13;
49. გ. ლომიძე საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის პრობლემების ზოგიერთი ასპექტი - პარლ. მრეკველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი თბ. 1997 წ. №1; ზ. შვეცილი კორუფციული დანაშაულის ცნება - „სამართალი“, 2000 წ. №6-7; ა. კახიანიშვილი კორუფციასთან ბრძოლის ზოგიერთი ეტაპი - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები - თბ. 1999 წ.;
50. გ. შაბუაშვილი ანტიკორუფციული კანონმდებლობის განვითარება საქართველოში - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები თბ. 1999 წ.;
51. გ. თოდრა, მბაძაძე ანტიკორუფციული საზოგადოებრივი მოძრაობა საზოგადოების განვითარების აუცილებლობა - „სამართალი“, 1999 წ. №1;
52. ი. გომიშვილი თანამდებობრივი დანაშაულობის ფორმირებისა და თავიდან აცილების აქტუალური საკითხები - აღმზახა, 2000 წ. №13;
53. დ. კაჭკაჭიშვილი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზა - „სამართალი“ 1998 წ. №3-4; დ. კაჭკაჭიშვილი ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი პრინციპები - „პოლიტიკა“, 1998 წ. №7-8; გ. თოდრა საქართველოში ნარკოტიკების ზეგავლენის შედეგანობის პრობლემისათვის - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები თბ. 1999 წ.; ი. ლომიძე ნარკომაზა - ეროვნული უზედურების წყარო - „სამართალი“, 1999 წ. №1; ი. ლომიძე ნარკოტიკების ცნებისა და სტრუქტურის შესახებ - „სამართალი“ 2000 წ. №6-7; დ. კაჭკაჭიშვილი ნარკოტიკულ საშუალებებისა და ფსიქოტროპულ ნაყოფებზე კონტროლის დაწესების, დარეგულირების და ორგანიზაციის სამართლებრივი საკითხები - „ნარკომაზა ადამიანთა სულის სატყუარო“. თბ. 2000 წ.; დ. კაჭკაჭიშვილი ნარკოტიკების საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის ისტორიული წყაროები - „ინტელექტი“, 2001 წ. №1; დ. კაჭკაჭიშვილი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები - „ინტელექტი“, 2001 წ. №1; დ. კაჭკაჭიშვილი სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ნარკოტიკული საშუალებების ტრანზიტით საერთაშორისო ვადაზიდვის შესახებ - „სამართალი“, 2001 წ. №4; ი. ლომიძე ნარკოტიკების ვაგონების სოციალურ-კრიმინოლოგიური ასპექტები - „სამართალი“, 2001 წ. №5; ჯ. ჯანაშია ნარკოტიკებზე მსოფლიო კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება - „სამართალი“, 2001 წ. №4; ზ. ბერუაშვილი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული კონვენციების აღსრულების ინსტიტუციონალური მექანიზმები - „სამართალი“, 2001 წ. №12; დ. კაჭკაჭიშვილი ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები - საკანდ. დის. ავტ. თბ. 2001 წ.; ი. ლომიძე ნარკოტიკების სფეროში ჩადენილ დანაშაულთან (ნარკოტიკულ დანაშაულთან) გახსნისა და გამოძიების მეთოდის პრობლემები - საკანდ. დის. ავტ. თბ. 2001 წ.;
54. გ. თოდრა საქართველოში ნარკოტიკების ზეგავლენის შედეგანობის პრობლემისათვის - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები თბ. 1999 წ.;
55. ი. ლომიძე ნარკოტიკების სფეროში ჩადენილ დანაშაულთან (ნარკოტიკულ დანაშაულთან) გახსნისა და გამოძიების მეთოდის პრობლემები - საკანდ. დის. ავტ. თბ. 2001 წ.;
56. ნოდრა სომოფრალში ჩადენილ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხები თბ. 1997 წ.;
57. მბაძაძე ორგანიზებული დანაშაულობის შედარებითი კრიმინოლოგიური კვლევის ზოგიერთი საკითხი - ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები. თბ. 1999 წ.;

58. გდლონტი ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საქართველოში - „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. თბ. 1999 წ.;

59. ავთიაშვილი საზოგადოებრივი აზრი კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ - „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. თბ. 1999 წ.;

60. გდლონტი ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი საქართველოში - „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. თბ. 1999 წ.; ავთიაშვილი ორგანიზებული დანაშაულის ცნება. - პარლ.მრჩევ. დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი თბ. 1997 წ. №2; გათვლილი დანაშაულის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი - პარლ.მრჩევ.დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, თბ. 1997 წ. №3;

61. Г.Г.Юнти Организованная преступность как из основных источников насильственной преступности и этнических конфликтов. Тб. 1998 г.; რ.დეკანოზოვი ეთნიკური წმენდა - დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ. - პარლ.მრჩევ. დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი თბ. 1997 წ. №4

62. გათვლილი დანაშაულის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი - პარლ.მრჩევ.დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი თბ.1997 წ.; ქ.ჭელიძე ტერიორიზმის მოტივების ფსიქოლოგიური ასპექტები - „აღმანახი“, 1999 წ. №12; თხიდაშვილი შეიარაღებული კონფლიქტები და იძულებით გადაადგილებული პირები. - „აღმანახი“, 1998 წ. №4; ზურაბული ლტოლვილები და შეიარაღებული კონფლიქტები - „აღმანახი“, 1998 წ. №4; შიქიძე პრობლემები ლტოლვილ და დევნილ ქალებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ - „აღმანახი“, 1998 წ. №4;

63. გ.ჯანაშია ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დასასიათება. თბ. 2001 წ.;

64. შ.ბაბაძლეა ჯგუფური დანაშაულობა. თბ. 1998 წ.; გ.ჯანაშია ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დასასიათება. თბ. 2001 წ.;

65. ა.შენგელა საზღარეო დანაშაულობის კრიმინოლოგიური დასასიათება. ქუთაისი, 2000 წ.;

66. ავთიაშვილი არასრულწლოვანთა დანაშაულობის ფორმირების მექანიზმისა და მასზე საკანონმდებლო კონტროლის დაწესების შესახებ - „უწყებანი“, 1997 წ. №1; ავთიაშვილი არასრულწლოვანთა დანაშაულობა როგორც კრიმინოლოგიური პრობლემა - „უწყებანი“, 1997 წ. №3; ა.ავთიაშვილი, ლ.ღვინგაძე არამართლზომიერი ქცევა „ქუჩის“ მოზარდებში - „აღმანახი“, 1998 წ. №4; ავთიაშვილი კრიმინოლოგია. თბ. 1998 წ.; ვ.ქარუმიძე, ე.დარვალი არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლშეგნება. თბ. 1998 წ.;

67. ბ.კერიკაშვილი, თანდღეობა საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტები - „აღმანახი“, 2000 წ. №13;

68. გ.ყვარელაშვილი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები. თბ. 1996 წ.;

69. პ.დაუთაშვილი სასჯელის მიზნის რესოციალიზაციის სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები - „სამართალი“, 2000 წ. №6-7;

70. შ.ბაბაძლეა საზოგადოებრივი აზრი ჯგუფური დანაშაულობის შესახებ. - „სამართალი“, 1998 წ. №5-6;

71. ე.მადლიაშვილი საზოგადოებრივი აზრი და კორუფცია. „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. თბ.1999 წ.;

72. ავთიაშვილი, პ.დაუთაშვილი საზოგადოებრივი აზრი ორგანიზებული დანაშაულის შესახებ. - „უწყებანი“, 1997 წ. №2; ავთიაშვილი საზოგადოებრივი აზრი კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ. - „ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტები“. თბ. 1999 წ.;

73. გ. ჯანაშია ძალადობითი დანაშაულობის კრიმინოლოგიური დასასიათება. თბ.2001 წ.;

74. ა. შენგელა საზღარეო დანაშაულობის კრიმინოლოგიური დასასიათება. ქუთაისი, 2000 წ.;

75. გ. ყვარელაშვილი არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები. თბ. 1996 წ.;

76. ა. ავთიაშვილი საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ. - „უწყებანი“, 1997 წ. №1;

77. შ. მანიაშვილი შერეულ ბრძოლაში მძიმე სისხლის სამართლის საქმეთა გაშლილებისა და სასამართლოს მიერ მათზე სამკაცრო სახით იძულებითი ღონისძიებათა შეფარდების კანონიერებაზე საპროკურორო ზედამხედველობა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ. - ქ. თბილისი

პროკურატურის კრებული № მარტი 1987 წ. №20; ასევე: საპროკურორო ზედამხედველობა სულიერად დაავადებულ და შეურაცხად პირთა საქმის გამოძიებისას - „საბჭოთა სამართალი“, 1988 წ. №5; ასევე: შეურაცხად პირთა სამართალწარმოების თავისებურებანი და კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები - „მაცნე“, 1991 წ. №3; ასევე: შეურაცხადის მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი უპაროლობის „კრიმინოლოგიური“ (სოციოლოგიური) თავისებურებანი - საკანდ-დისაქტორეფ.; თბ.1994 წ.;

⁷⁸ რ. ფირცხელაური თვითმკვლელობა და მათთან ბრძოლა. თბ. 1927 წ.;

⁷⁹ ზ. ტაბლიაშვილი მშაშნიაშვილი დევაცია. თვითმკვლელობა. თბ. 2000 წ.;

⁸⁰ დ. კიკნაძე დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სისტემური გაგებისათვის. - „აღმანახი“, 2000 წ. №13;

⁸¹ ვ. ქარუმიძე ედარგალი არასრულწლოვანი დანაშაულობა და მართლმსაჯულება. თბ. 1998 წ.;

⁸² ნ. უგრეხელიძე კრიმინოლოგიური პროგნოზირების ზოგიერთი საკითხი - „აღმანახი“, 2000 წ. №13;

⁸³ დ. წულაია კრიმინოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდების შესახებ - „ლეგია და კომპანისი“ უნივერსიტეტის „შრომები“, ტ.2, 1998 წ.;

⁸⁴ რ. ჭოღოშვილი კრიმინოლოგია. თბ. 1995 წ.;

⁸⁵ ა. გოთიაშვილი კრიმინოლოგია, თბ. 1998 წ.;

⁸⁶ გ. ნანეიშვილი სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ. 1992 წ. გვ. 254-255;

⁸⁷ ლ. ადუიშვილი ნიკო ხიზანაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. თბ. 2002 წ. გვ. 198.

⁸⁸ См: А. Габинаш – О развитии криминологии в Советской Грузии – Сб.: Актуальные вопросы современного уголовного права, криминологии и уголовного процесса. Тб., "Мешниереба", 1986, с 150-156.

თავი 7

დამნაშავის პიროვნება

§1 დამნაშავის პიროვნება და მისი სოციალიზაციის პრობლემა

L დამნაშავის პიროვნება და მისი დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციური ფაქტორები. ისტორიულად დამნაშავის დახასიათებისას მის პიროვნულ სტრუქტურაში გამოარჩევენ ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორთა თანაფარდობის როლს. თანამედროვე შეხედულებით ამგვარი დამოკიდებულება მოძველებულია. ახლა უკვე აღარაფერ ეჭვობს, რომ ამ თვალსაზრისით დამნაშავეები არაფრით განსხვავდებიან კანონმორჩილი მოქალაქეებისაგან. „პატიმრები, - წერს ვ. ი. შნაიდერი, - სრულიად ნორმალური ადამიანები არიან, ისინი ისეთივე ნორმალურები ან არანორმალურები არიან, როგორც თავისუფლების აღკვეთის ადგილების გარეთ მყოფნი. სულთ ავადმყოფები არ არიან უფრო მეტად დამნაშავენი, ვიდრე ფსიქიკურად ჯანმრთელები, ხოლო დამნაშავეები უფრო გიჟები არ არიან, ვიდრე კანონმორჩილი მოქალაქეები“.¹

ამავე აზრს აეთარებს ედვინ მ. შური როგორც ჩანს, - წერს ის, - ადამიანები, რომლებიც მეტ-ნაკლებად იცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ ნორმებს, და აგრეთვე ისინი, რომლებსაც ბედმა გაუღიბა და აირიდეს სერიოზული შეხება სოციალური კონტროლის ორგანოთა წარმომადგენლებთან, განიცდიან დიდ კმაყოფილებას, როცა აღმოაჩენენ, რომ ვიღაც პირები, ვინც ცნობილი დამნაშავეები გახდნენ, „ისეთები არ არიან, როგორც ყველანი“. . . მიუხედავად ამისა, დამნაშავეთა ამგვარი „ყველგან განსხვავებულობა“ არც იმდენად სერიოზულია და არც საკმარისია იმისათვის, რომ აკმაყოფილებდეს ჩვენი მისწრაფებას, გავეართიანოთ ყველა დამნაშავე ადამიანთა განსაკუთრებულ კატეგორიაში“.²

ექვსი არ იწვევს ის გარემოება, რომ დამნაშავეებს გააჩნიათ გარკვეული თვისებები, რომლებიც მათში უფრო მძაფრადაა გამოხატული, ვიდრე კანონმორჩილ მოქალაქეებში. ყოველივე ეს დასტურდება მსგავსი დახასიათების მქონე დამნაშავეთა და კანონმორჩილ მოქალაქეთა ბიოგენული თვისებების შედარებითი ანალიზისას. წინააღმდეგ შემთხვევაში საკმარისად გაუგებარი და ძნელად ასახსნელი იქნებოდა ის, თუ ადამიანთა ერთი ნაწილი რატომ არის კონფლიქტში კანონთან, ხოლო მეორე ნაწილი ახერხებს ამის თავიდან აცილებას. ამასთან, კრიმინოლოგიური კვლევა ხშირად აქარწყლებს მოარულ აზრს დამნაშავეთა, როგორც ადამიანთა იმ განსაკუთრებული კატეგორიის შესახებ, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით გამოირჩევიან.

ამ თვალსაზრისით შეიძლება, მაგალითად, აღინიშნოს იმ კვლევის რეზულტატები, რომლებიც უ. ს. ჯექსბაევი ჩაატარა მძიმე დანაშაულობათა გამო გასამართლებულ ბევრ ადამიანზე. გამოკვლეულთა 75%-ზე მეტმა შეკითხვაზე სიცოცხლის საზრისის შესახებ უპასუხა - სწავლა და შრომა; 40%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ ისინი ისწრაფვიან, პქონდეთ საინტერესო და საყვარელი სამუშაო. მხოლოდ 9%-მა განაცხადა, რომ მათთვის ყველაფერზე მაღლა ბრადი კეთილდღეობა ღვას.

ამ მონაცემთა კომენტარებისას ვ. ნ. კუდრიაცევი წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ბევრ გამოკითხულს არ სურდა საკუთარი შინაგანი სამყაროს გახსნა და არ მოგვეცემდა გულწრფელ პასუხებს, მაინც არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმის კონსტატაციებსა, რომ ბევრი მათგანის ფსიქოლოგიაში თანაარსებობს როგორც პოზიტური, ასევე ნეგატიური თვისებები და ელემენტები“.³

იმავე აზრს გამოთქვამს მ. მ. ბაბაევიც: „განსხვავება კანონმორჩილ მოქალაქეთა და დამხმარეებთა სოციალ-კულტურული დახასიათებისას იმაში კი არ მდგომარეობს, რომ პირველებს გააჩნიათ ისეთი თვისებები და თავისებურებანი, რაც, პრინციპში, არ გააჩნიათ მეორეებს, პირიქით . . . კვლევამ დაადასტურა, რომ ერთი ჯგუფისათვის ასე თუ ისე დამახასიათებელ არც ერთ თვისებას არა აქვს ნულოვანი დახასიათება . . . მეორე ჯგუფისათვის. უფრო მეტიც, - განავრობის ავტორი, ნუ მოგეჩვენებათ პარადოქსულად აზრი, რომ კულტურული დახასიათებისას დამხმარეებთა და ჩვეულებრივ ადამიანთა შორის განსხვავებასაც ვერ იპოვით. ზოგიერთ შემთხვევაში კი ეს განსხვავებები იმდენად „აზნაღი“ მოგვეჩვენებათ, რომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიღაბარაკით პრინციპული ხასიათის განსხვავებაზე.“ ამგვარად ეჭვს არ იწვევს, რომ დამხმარეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომლებიც სოციალურ თავისებურებათა აბსოლუტურად იმავე ნაკრებს ფლობენ, რასაც სხვა ადამიანები. მაგრამ მოვლენათა არასასურველი განვითარების გამო დამხმარეებთა ბიოგენულ სტრუქტურაში სოციალურად პოზიტიურ თვისებებზე დომინირებას იწყებს ზოგიერთი სოციალურად ნეგატიური თვისება, რომელიც გადაიწყვეტ მომენტში ინდივიდის კონკრეტულ ცხოვრებისეულ გარემოებებთან შეჯახებისას ქმნის სასურველ ფსიქოლოგიურ ფონს დანაშაულის ჩადენისათვის. ამ თვალსაზრისით კრიმინოლოგიაში სოციოლოგიური მიმართულების დიდ დამახასიათებელ გვესახება ის, რომ შეწყდა ცალკეული პიროვნებათა და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული კრიმინალური თვისებების ძიება და მთელი აქცენტი გადავიდა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის მექანიზმთა, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების, საფუძვლის გამოვლენაზე.

ამგვარად, დამხმარეების პიროვნების შეცნობის მიზნით ყველაზე ნაყოფიერად დამხმარეებისა და არადამხმარეების განმასხვავებელი თვისებების აბსტრაქტული ძიება კი არ გვესახება, არამედ ის, რომ ამგვარი პიროვნების შესწავლა დავიწყეთ დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების პროცესით, ე.ა. ქცევის პიროვნულ ფაქტორთა და სოციალური გარემოს ობიექტურ ფაქტორთა ურთიერთქმედების კვლევით.

ამგვარი ურთიერთქმედება თავის იწესს ჯერ კიდევ ინდივიდის სოციალიზაციის პროცესში, როდესაც ფორმირდება მისი მომავალი დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტური საფუძვლები; ხოლო შემდეგ კი კრიმინოგენურ სიტუაციათთან ამ ინდივიდის უშუალო კონტაქტის დროს ხდება სუბიექტურ და ობიექტურ შესაძლებლობათა და დანაშაულის ჩადენის პირობების შეფასება, აწონ-დაწონვა და გამოუმუშავება მოტივი დანაშაულებრივი ქცევის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ამ თვალსაზრისით პროფ. თ. შაფვულიძე გეთვალნათხადებინებოდა დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების საინტერესო სქემას. მეცნიერის აზრით, ამ დროს მონაწილეობს სუბიექტური და პიროვნების ფსიქიკაში ასახული ობიექტური ფაქტორები. სუბიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება პიროვნების მოთხოვნილება, შესაძლებლობები, მისი მე-ს კონცეფცია და მართლშეგნება; ობიექტურ ფაქტორებს განეკუთვნება მოთხოვნილების ობიექტი, სიტუაცია, საზოგადოებრივი აზრი და სოციალური (სამართლებრივი) კონტროლი, როგორც ავტორი მიიჩნევს, პიროვნების ცნობიერების დონეზე მიმდინარე ამ ფაქტორთა ორი ჯგუფის ბრძოლის შედეგად გამოუმუშავდება დანაშაულის ჩადენის მოტივი, თვითონ ეს ფაქტორები კი მოტივაციის პროცესის ფაქტორებად აღმოჩნდებიან ხოლმე. პიროვნებაში სუბიექტური ფაქტორები აისახება, როგორც განცდა „მე მინდა“, ხოლო ობიექტური ფაქტორები - როგორც განცდა „მე ვაღიარებ ვარ“. ავტორის აზრით, ჩაიდენს პირი დანაშაულს თუ არა, დამოკიდებულია ფაქტორთა ორივე ჯგუფის გავლენის ინტენსიობაზე. თავის მხრივ, ამგვარი ბრძოლის შედეგი აგრეთვე „დამოკიდებულია ინდივიდის ფსიქოლოგიურ კონსტიტუციაზე, კერძოდ, მის ხასიათზე, ტემპერამენტსა და

შესაძლებლობებზე. სუსტი ხასიათი, ტემპერამენტისა და ემოციურობის სიჭარბე აძლიერებს „მე მინდა“-ს განცდას, და პირიქით, ზომიერი ტემპერამენტი და მტკიცე ხასიათი საშუალებას აძლევს პიროვნებას გაანელოს „მე მინდა“-ს განცდა და გვევლინება მოკავშირეებად განცდასა „მე ვალდებული ვარ“.¹

უნდა ითქვას, რომ ავტორის კონცეფცია დაშნაშავის ცნობიერებაში დანაშაულებრივი ქცევის დადებით და უარყოფით შეფასებათა ბრძოლის თაობაზე უკვე შეგვგვდრია ლიტერატურაში უფრო მეტიც, ამგვარი დამოკიდებულება შეადგენს ამერიკელი კრიმინოლოგის ე. სატურლენდის დიფერენცირებული კავშირის თეორიის ძირითად ბირთვს. თავის მხრივ, ყოველივე ზემოაღნიშნული არ აკინებს იმ საინტერესო და კონსტრუქციული იდეების როლს, რომლებსაც პროფ. თ. შავგულიძე გამოთქვამს მოტივაციური ფაქტორების შინაარსობრივი ასპექტისა და მთლიანად განწყობის (დ. უზნაძე) როლის შესახებ დანაშაულებრივი ქცევის განხორციელების მექანიზმში.

გამოთქმული შენიშვნებისა და ზემოაღნიშნული სქემის გათვალისწინებით მოკლედ დაგვახსიათოთ დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის პროცესის ძირითადი შემადგენელი ნაწილები.

მოთხოვნილება. მოთხოვნილება ადამიანის სოციალური აქტივობის ძირითადი მამოძრავებელი წყაროა. ის ყოველთვის არსებობს, როგორც ინდივიდის სოციალური დამოკიდებულება მისი დაკმაყოფილების საგნისადმი. ადამიანურ მოთხოვნილებათა შინაარსი ძირითადად განპირობებულია ამათთან, ერთხელ აღძრული მოთხოვნილებებს შეუძლიათ მოახდინონ უკუქმდება სოციალურ გარემოზე და მის შემოქმედადაც მოგვევლინონ. ადამიანის მოთხოვნილების არსებობა სუბიექტურად ვლინდება მისი ორგანიზმის განცდაში რაიმეს ნაკლებობის გამო. ობიექტურად მათი არსებობა შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვითაც, თუ როგორ იქცევა ადამიანი, როგორ მიზნებს ისახავს და ქცევის როგორ საშუალებებს ირჩევს ის ამ დროს.

წარმომავლობის მიხედვით ადამიანის მოთხოვნილებები შეიძლება იყოს ბიოგენური, სოციოგენური და შერეული ამათთან, ადამიანური მოთხოვნილებები ყოველთვის არსებობს, როგორც სოციალური დამოკიდებულება. „ადამიანის მოთხოვნილება,“ წერს დ. კიკნაძე, - ცხოველის მოთხოვნილებებზე მაღლა დგას. ეს მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური მდგომარეობა კი არაა, არამედ ამავე დროს სოციალურად განპირობებული, ადამიანის მიერ გაცნობიერებული დამოკიდებულებაა მოთხოვნილების საგნისადმი“².

მიმართების საგნის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. სწორედ ეს არის არსებითი მომენტი დაშნაშავეთა მოთხოვნილებების სისტემის შესწავლისას. დადგენილია, რომ ამგვარი სისტემის იერარქიაში დაშნაშავებს შორის მატერიალური ხასიათის მოთხოვნილებებს უწეობა გადაწყვეტი მნიშვნელობა. ეს მოთხოვნილებები თავისი შინაარსით ხასიათდება, როგორც პიპერბოლიზებული (მოთხოვნილება დიდი რაოდენობის ფულზე, ძვირფასი მანქანაზე და სხვ.) და გარყვნილი (უქმი დროსტარების, რესტორნებში ქეიფის, ლოთური ცხოვრების წესის, განურჩეველი სექსუალური კავშირების, ნარკოტიკებით სარგებლობის მოთხოვნილებები).

დაშნაშავებში დეფორმაციას განიცდის ისეთი მოთხოვნილებებიც, როგორცაა პრესტიჟისა და ურთიერთობის მოთხოვნილება. პრესტიჟი მათთვის, ძირითადად, განისაზღვრება ფულის რაოდენობით, იმის საშუალებით, რომ პირად ურთიერთობაში სხვებზე დომინირებდნენ. ამ დროს იძინა ავლენენ უხეშობას, მორალურ აღვრახსნილობას, მართლშეგნების დაბალ დონეს, მიმართავენ ფიზიკურ ძალას და სხვ. ინტერესთა და რწმენათა სისტემა, რომელიც ყალიბდება ამგვარი მოთხოვნილებების საფუძველზე.

შესაბამისად, დამახინჯებულია და ემორჩილება ამ მოთხოვნებებთან დაკმაყოფილების არაკანონიერი გზების ძიებას.

ამიტომ დამნაშავეს მთავარი ყურადღება, გაზრდილი ინტერესი ყოველთვის მიმურობილია სოციალური ქცევის არაკანონიერი ალტერნატივების ძიებაზე, დანაშაულის ობიექტის, მისვერპლის შერჩევაზე, დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განხორციელების გეგმის შედგენაზე, მხილების შესაძლებლობათა შეფასებაზე, დანაშაულის ჩადენის საშუალებებისა და იარაღის ძიებაზე, დანაშაულებრივი ქცევის კონსპირაციაზე და დანაშაულის კალის დაფარვაზე. უკანასკნელ დროს იმ დამნაშავეთა ინტერესები, რომლებმაც მოახერხეს საკმარისად დიდი კაპიტალის შეგროვება, მიმართულია ამ კაპიტალის ლეგალიზაციაზე, ლეგალური ბიზნესის, პოლიტიკის სფეროებში დანერგვაზე.

შესაძლებლობები. შესაძლებლობებს უნდა მივაკუთვნოთ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, პროფესიონალურ, განათლების და სხვა ფაქტორთა ერთობლიობა, რაც ადამიანს ანიჭებს სუბიექტურ შესაძლებლობას, განახორციელოს დანაშაულებრივი განზრახვა. დანაშაულებრივ სამყაროში ადამიანის შესაძლებლობათა შესაბამისად ხდება მისი დანაშაულებრივი კარიერის ფორმირება, რაც ემყარება დამნაშავეს სპეციალიზაციას განსაზღვრული სახისა და ხასიათის დანაშაულის ჩადენაში. ამგვარი სპეციალიზაცია დამახასიათებელია პროფესიონალური დამნაშავეობისათვის, რომლის წარმომადგენლები სპეციალიზდებიან ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაზე. მაგალითად, რეკეტზე დაქირავებულ მკვლევლობაზე, ანგარებიან-ძალადობრივი ხასიათის დანაშაულობებზე – ბანდიტიზმზე, ყაჩაღობაზე და სხვა მხოლოდ და მხოლოდ ანგარებაზე დაქირავებულ დანაშაულობებზე (ბინის, მანქანის ქურდობაზე და სხვა), თანამდებობრივ დანაშაულობებზე (გადასახადების დამალვა, კორუფცია და სხვა), პოლიტიკურ დანაშაულობებზე (ტერორიზმი, აგრესიული სეპარატიზმი, და სხვა).

მე-ს კონცეფცია. ადამიანი სოციალური არსებაა და მისი ცხოვრება და საქმიანობა მიმდინარეობს მის შიგნით ინდივიდუალურ ურთიერთობაში. ამასთან, ადამიანთა საზოგადოება დიფერენცირებულია მიკროსოციალურ ჯგუფებად, რომელთა უშუალო წევრად გვევლინება ინდივიდი. სწორედ ამიტომ ინდივიდი დამოკიდებულია კიდევაც ამ ჯგუფებზე და თავის ქცევას ყოველთვის ათანხმებს მათ აზრთან. თუ პირი იზიარებს ამ ჯგუფებში არსებულ ტრადიციებს, ჩვეულებებს, ქცევის წესებს, მაშინ მისი აზრი საკუთარი თავის შესახებ ფორმირდება ამ ჯგუფებში გაბატონებული მოთხოვნების ნორმების, მისწრაფებების შესაბამისად. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ფორმირდება მე-ს კონცეფცია, როგორც პიროვნების სოციალური პოზიცია, მისი აზრი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ის საკუთარი თავისთვის. მე-ს კონცეფციაში პერსონიფიცირებულია ინდივიდის ნაცონალური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა კუთვნილებები, მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი. მთლიანობაში კი მე-ს კონცეფცია დამოკიდებულია საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მის სტატუსზე, სხვა ადამიანთა დამოკიდებულებაზე მის მიმართ.

დამნაშავეს მე-ს კონცეფცია, ან როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ მე-სახე, ყალიბდება სუბკულტურული საზოგადოებრივი ნორმების მეშვეობით, რომლებიც ინდივიდის მიერ ინტერიორიზდება მისი სოციალიზაციის პროცესში, ამიტომ დამნაშავეს მე-ს კონცეფცია სოლიდარობას აცხადებს ამგვარ ნორმებთან, დამოკიდებულია მათზე.

დამნაშავეს მე-ს კონცეფციის ფორმირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი დანაშაულებრივი ქცევის გამართლებას, მის, როგორც სოციალურად სასარგებლო, ან უკეთეს შემთხვევაში, სოციალურად ნეიტრალურ ქცევად წარმოჩენას. ეს ხდება

იმისათვის, რომ ადაშიანმა დანაშაულებრივი ქცევის დროს არ დაკარგოს საკუთარი თავის პატივისცემა, როგორც საზოგადოებისათვის მანვე და საშინო ქცევის ჩამდენმა პირმა, შეინარჩუნოს თავისი მე-ს კონცეფცია. ამიტომ დაშნაშავენი ბოულობენ სოლმე თავისი საქციელები გამართლებას. მაგალითად, მკვლელობისას მამროფოცარებელ ქცევასი ადანაშაულებენ შისვერბლს, ქურდობისას სწორად მიიჩნევენ დანაშაულებრივად მოხვეჭილი ქონების ვატაცებას, და ა.შ. დანაშავის ტერმინოლოგიაც კი ყოველთვის სხვა სოციალურად ნეიტრალურ სახელს არქმევს თავის დანაშაულებრივ ქცევას, მაგალითად, მოხარა კი არა – აიღო, მოკლა კი არა ვაასადა, და სხვ.

ინდივიდის მართლშეგნება. ჩაიდენს ბირი დანაშაულს, თუ არ ჩაიდენს, დიდად არის დამოკიდებული მის მართლშეგნებაზე. ინდივიდის მართლშეგნებაში ოგულისხმება მისი დამოკიდებულება სამართლებრივი სინამდვილისადმი, რომელიც ემყარება საზოგადოების სამართლებრივი და ზნეობრივი ნორმების ცოდნას, აგრეთვე ბირის მზაობას იმისათვის, რომ ყოველივე ამის საფუძველზე წარმართოს თავისი ქცევა სამართალმნიშვნელოვან სიტუაციებში.

მართლშეგნება გარკვეული სტრუქტურითა და იერარქით გამოიჩნევა, რომელიც ქმნის ამ სტრუქტურულ ელემენტთა ერთობლიობას. მართლშეგნების ბირველი, ინტელექტუალური ელემენტია ცოდნა საზოგადოებრივი მორალისა და სამართლის შესახებ. მართლშეგნების ინტელექტუალური მომენტი მნიშვნელოვნად განაპრობებს მის მეორე ელემენტს – ინტელექტუალურ-ემოციურს, შეფასების, რომელიც ახდენს ღირებულებრივი დამოკიდებულების ფორმირებას სამართლის, მისი პრაქტიკული გამოყენების მიმართ; მართლშეგნების მესამე ელემენტია სამართლებრივი განწყობები, რომლებიც ასახავს ბიროვნების მზაობას, მის პოზიციას დანაშაულის ჩადენისა და არჩადენის მიმართ.

ამ თვალსაზრისით დანაშავეები ხასიათდებიან, როგორც ბირები, რომლებსაც მართლშეგნების დეფექტები გააჩნიათ, რაც მათ აძლევს უფლებას ჩაიდინონ დანაშაული, გამართლონ ის და შეაფასონ დანაშაულებრივი ქცევა, როგორც ცხოვრებისათვის მისაღები რამ. ცხადია, რომ სხვადასხვა დანაშავეს მართლშეგნების სხვადასხვა დეფექტი აქვს. მაგალითად, ბიზნესმენი, რომელიც ძალავს სახელმწიფოსაგან მოგებას, შეუძლებლად მიიჩნევს მკვლელობის ჩადენას ან სხვა ძალადობრივ დანაშაულს, ამიტომ ბიროვნების მართლშეგნების ხასიათი დამოკიდებულია მის სხვა სუბიექტურ ელემენტზე მოთხოვნალებზე, შესაძლებლობებზე, მე-ს კონცეფციაზე. ამასთან, მართლშეგნების შინაარსობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განაპრობებს საზოგადოებრივი აზრი, რომელიც უდიდეს მარეგულირებელ ზეგავლენას ახდენს ადაშიანის ქცევაზე.

თ. შაფულთის აზრით, მართლშეგნება პოზიტიური ცნებაა. მართლშეგნების შესახებ, - წერს ავტორი, - ლაპარაკობენ იქ, სადაც ოცნობენ კანონს, სოლიდარულები არიან მასთან და მზად არიან მიყენენ მის მოთხოვნებს⁷. ჩვენი აზრით, ავტორი ავიწროებს მართლშეგნების ცნებას, როდესაც ოგი ყველა შემთხვევაში დაყავს სოლიდარობაზე კანონის მოთხოვნათა მიმართ. ჩვენი აზრით მართლშეგნებას ყოველთვის არ შეუძლია კანონთან სოლიდარობა, რაც სულაც არ ნიშნავს მის არარსებობას ან დეფექტურობას. ბირიქით, განა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ დეფექტური, საზოგადოებისათვის მანვე კანონების არსებობა, მით უმეტეს, თუ ეს კანონები პოლიტიკური რეჟიმის მიერ არის შემოიღებული და მოსახლეობას მოეგონა ტოტალიტარული (კომუნისტური, ფაშისტური) რეჟიმების კანონების სახით. მინი არღვევდნენ ადაშიანის ძირითად უფლებებს მისი სიცოცხლისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის შესახებ, იჭრებოდნენ ადაშიანის ბირად ცხოვრებაში, არღვევდნენ ადაშიანთა თანასწორების ისტორიულად ჩამოყალიბებულ

რელიგიურ, ეროვნულ საფუძვლებს, აღმსარებლობის თავისუფლებას, ეროვნულობას, გადაადგილების თავისუფლებას, შემოქმედით კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპები და სხვ. მეტიც, მართლშეგნებაზე არ შეიძლება პოზიტიურად ლაპარაკი, როდესაც ინდივიდი ემორჩილება სახელმწიფოს ამგვარ კანონებს.

მეორე მხრივ, არ შეიძლება ლაპარაკი პოზიტიური მართლშეგნების არსებობაზე მათთან, ვინც დაადგინა ეს კანონები, ვინც აიძულებდა ადამიანებს დამორჩილებოდა ამ კანონებს.

სინდისის პატიმრები, რომლებიც, როგორც მინეული იყო, სახელმწიფო დანაშაულს ჩადიდნენ, მართალია, არღვევდნენ სისხლის სამართლის კანონს, მაგრამ, პირიქით, სწორედაც რომ, პოზიტიური მართლშეგნების მქონე იყვნენ.

მართლშეგნების არსებობა ან არარსებობა იმით კი არ უნდა განისაზღვროს, შეესაბამება თუ არა ადამიანის ქცევა კანონს, არამედ იმით, შეესაბამება თუ არა პიროვნების შეგნება, მისი ქცევა ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ღირებულებებს, დემოკრატიის იდეალებს; როდესაც კანონთა დამუშავებისა და მიღების დროს გათვალისწინებულია მოსახლეობის უმრავლესობის ნება, როდესაც იქმნება უმცირესობის უფლებათა უზრუნველყოფის გარანტიები, როდესაც სისხლის სამართლის საქმეთა ძიებისა და განსჯის დროს გარანტირებულია პიროვნების ძირითადი უფლებები და მისი თავისუფლება, განუხრელად არის დაცული უდანაშაულობის პრეზუმიცია, ეფექტურადაა უზრუნველყოფილი ბრალდებულის დაცვის უფლება.

ამასთან, მართლშეგნების გათვება კანონთა მოთხოვნებთან, ართმევს მართლშეგნებას განსაზღვრულ როლს კანონთა ფორმირების თვალსაზრისით, რაც გადააქცევს მას პასიურ, არაგანვითარებად, ყველაფერში კანონის ნების მორჩილ საწყისად.

დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტი ნებისმიერი დანაშაულებრივი ქცევა მიზანმიმართულია რაიმე ობიექტზე. არც ობიექტო მოქმედება არსებობს და არც უობიექტო დანაშაული, ამასთან, დანაშაულის ობიექტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას იცავს სისხლის სამართლის კანონი.

დანაშაული ყოველთვის გაცნობიერებული ქცევაა. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავის მიერ დანაშაულის ობიექტი აღიქმება არა მხოლოდ მისი მოთხოვნალების დაკმაყოფილების საშუალებად, არამედ ობიექტად, რომლის სამართალსაწინააღმდეგო ხელყოფამ შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული უარყოფითი შედეგი – ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენებაც კი უნდა ითქვას, რომ პიროვნების ცნობიერებაში ამ ობიექტის სამართალსაწინააღმდეგო ხელყოფა რომ ასოცირდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შიშთან სისხლის სამართლის სასჯელის წინაშე, ეს პირი არასოდეს არ ჩაიდენდა ამ დანაშაულს. ამ შემთხვევაში ის ან საერთოდ უარს იტყოდა აღძრული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ან მოახდენდა თავისი ქცევის კორექტირებას სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით. არა და, დანაშაულის ჩადენის დროს ასე არ ხდება ხოლმე. ეს კი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ დამნაშავის ცნობიერებაში მისი მოთხოვნების ობიექტის სისხლის სამართლისა და სამართლებრივი მნიშვნელობის გაცნობიერების პარალელურად თანაარსებობს მისივე უარყოფითი შეფასებაც, რომელიც ინდივიდში ახდენს ობიექტისადმი დადებითი დამოკიდებულების ფორმირების შესაძლებლობის ნეიტრალიზებას – ობიექტისადმი, როგორც ღირებულებისადმი, რომლის ხელყოფა სხვისი უფლებების დარღვევას ნიშნავს.

ამგვარად, ადამიანის ცხოვრებაში დანაშაულის ობიექტი ყოველთვის თავისი სოციალური მნიშვნელობით გვევლინება, რაც აუცილებლად გულისხმობს მოთხოვნების

სუბიექტის შეგნებულ დამოკიდებულებას ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებებითან.

თუ დამნაშავე ახდენს მოთხოვნილების ობიექტის სოციალურ-პოზიტიური მნიშვნელობის ნეიტრალიზებას, მაშინ ამგვარ ნეიტრალიზებას ექვემდებარება მისი დაუფლებების საზოგადოებრივად მისაღები საშუალებაც. ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა ან არჩადენა დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის ჩადენის ობიექტურ სიტუაციაზე, რადგანაც არჩევანი ობიექტის სამართალსაწინააღმდეგო საშუალებით დაუფლების სასარგებლოდ უკვე გაკეთებულა.

ხტუაცაა. სიტუაცია პიროვნების ქცევის ობიექტური, ე. ი. გარეგანი ფაქტორია. ადამიანის ქცევის რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შესაბამისი სიტუაციის საფუძველზე, რომელიც სუბიექტის აზრით, შეძლებს მასში აღძრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. დანაშაულის ჩადენისთვის ხელისაყრელ სიტუაციად უნდა მივიჩნოთ პიროვნების მიმართ გარეგან გარემოებათა ერთობლიობა, რაც ქმნის დანაშაულის ჩადენის პირობებს.

დანაშაულის ჩადენის სიტუაცია საჭიროა განვასხვავოთ ობიექტური ნიშნებისა და სუბიექტური შეფასებების მიხედვით. პირველ შემთხვევაში დანაშაულისათვის ხელისაყრელი სიტუაცია არსებობს მისი სუბიექტური შეფასების მიუხედავად. ამგვარ სიტუაციებს შეიძლება ვუწოდოთ დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობი ან მაპროვიცირებელი სიტუაციები - მაგალითად, ობიექტის ცუდი დაცვა, დანაშაულის მსხვერპლის სოციალური ან სიტუაციური დაუცველობა, სახელმწიფო და კანონდამცავი ორგანოების ბუშაობის ნაკლოვანებანი იმ მიზეზთა და პირობათა გამოვლენაში, რომლებიც ხელს უწყობენ კონკრეტულ დანაშაულთა ჩადენას, საზოგადოების ნეიტრალური დამოკიდებულება დანაშაულისადმი და სხვ.

მეორე შემთხვევაში სიტუაციები შეიძლება განვასხვავოთ, როგორც დამნაშავის მიერ სპეციალურად შექმნილი და აგრეთვე, მათი მიზანმიმართული ძიების შედეგად აღმოცენებული. დანაშაულის ჩადენისათვის ხელისაყრელ სიტუაციათა დიფერენციაცია შესაძლებელია მისი არსებობის პერიოდების მიხედვით: ერთჯერადი, ხანმოკლე, ხანგრძლივი (ოჯახური კონფლიქტი და სხვ.) და აღმოცენების მოულოდნელობის ხარისხის მიხედვით: უცარი (ჩხუბი ქუჩაში და სხვ.) ან დამნაშავის მიერ არაერთხელ შემჩნეული (ობიექტის ცუდი დაცვა); გაჩენის თვალსაზრისით - წინასწარ მომზადებული ან შემთხვევით გაჩენილი.

ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენისას არსებობთა არამართო სიტუაციის ობიექტური მნიშვნელობა, არამედ მისი სუბიექტური შეასებაც. ამ უკანასკნელს ხშირად გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ვ. ბ. კუდრიავცევის აზრით „სიტუაციის ობიექტური შინაარსისა და მისი სუბიექტური მნიშვნელობის (საზრისის) სხვადასხვაობის დროს ადამიანი უმეტესწილად მოქმედებს სუბიექტური საზრისის და არა ობიექტური შინაარსის შესაბამისად.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი მის წინაშე მდგარი იმ პრობლემის შეფასებისას, რომელიც მოთხოვის მის ცნობიერებაში არსებული სუბიექტური ნორმატიული ველის თვალსაზრისით გადაწყვეტას, მას ობიექტურ გარემოებათა პრიზმაში გარდატეხს. ფსიქიკაში არეკლილი ეს გარემოებები უკვე სუბიექტური შინაარსის გარემოებებად იქცევა. ამიტომ ჩადენს პირი დანაშაულის თუ არა, იმდენად არაა დამოკიდებული ობიექტურ პირობებზე, რამდენადაც პიროვნების სუბიექტურ პოზიციაზე. ხშირად ამაში მდგომარეობს ადამიანური, მათ შორის დანაშაულებრივი ქცევის სპეციფიკა.

თუ ქცევის გარკვეული გარიანტი მისაღებია პირისათვის და მისთვის ეტალონად მიჩნეულ ჯგუფში მოწონებას იმსახურებს, მაშინ ის იძენს პიროვნულ აზრს და

პიროვნების არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებად იქცევა. ამ შემთხვევაში სიტუაციის ობიექტური მანიფესტაციები თითქოსდა ნეიტრალიზდებიან პიროვნების ცნობიერებაში. ამგვარი სიტუაცია პირისათვის, მისი მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილიდან გამომდინარე, სრულიად მისაღები ხდება. რაც უფრო ხშირია და დაუსჯელია მისი დანაშაულებრივი ქცევა, მით უფრო იზრდება პიროვნების სუბიექტური თავდაჯერებულობა, ის რწმუნდება თავის ქცევასთან სისწორეში, უბტიცდება მე-ს კონცეფციას, ემატება საკუთარი თავის პატივისცემა. და პირიქით, რაც უფრო დარწმუნდება პიროვნება თავისი ქცევის არაეფექტურობაში, მით უფრო ობიექტურად, კრიტიკულად შეაფასებს საკუთარ პოზიციას, საკუთარ ქცევას და ამგვარი პოზიციისა და ქცევის შეცვლის მიერ შინაი გაუნდება.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ეწინააღმდეგება სამართლებრივი კონტროლი პიროვნულ მიზანთა განხორციელებას; რამდენად შეიცავს ან არ შეიცავს ეს კანონი თავის თავში პიროვნებისათვის მისაღები ქცევის საშუალებებს, რომლებსაც ერთდროულად შეეძლება პიროვნული ინდივიდუალური პრეტენზიებისა და მათ მისაღწევად განსაზღვრული საზოგადოებრივ სამართლებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ამგვარი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება პიროვნების ინდივიდუალურ პრეტენზიებსა და სამართლებრივი კონტროლის ამ მოთხოვნების კანონის ფარგლებში განხორციელების მოთხოვნას შორის ქმნის საფუძველს, რომ სოციალური სიტუაცია შეფასდეს სუბიექტურად როგორც დანაშაულის ჩადენისათვის მისაღები. ამიტომ როცა ლაპარაკია იმაზე, რომ დანაშაულებრივი ქცევის წყაროდ გვევლინება გარემოება, როდესაც სწრაფვა მიზნის მიღწევისაკენ გადაწონის პასუხისმგებლის საშინაობას სოციალურ ნორმათა დარღვევის წინაშე, მიგაჩნია, რომ უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით, დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტური საზრისი გადაწონის სამართლებრივი კონტროლის მოთხოვნებს, რომლებიც ინდივიდისათვის თავისი განზრახვის განხორციელების პიროვნული მნიშვნელობების გამო სწორედ კანონის დარღვევის შემთხვევაში ექვემდებარებიან ფსიქოლოგიურ ნეიტრალიზაციას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა, რომელიც, სხვათა შორის, კარგადაა ფორმირებული ვ. პ. კუდრიავცევის მიერ: „რაც უფრო რთულია სიტუაცია, - წერს ავტორი, - მით უფრო მოსალოდნელია სოციალური ნორმიდან გადახრა“ (იქვე, გვ. 143). მეცნიერი პრობლემატურად მიიჩნევს იმ სიტუაციებს, რომლებიც მოითხოვენ მათ მოქმედი სუბიექტის მიერ გადაწყვეტას, მათ შორის, ისეთი გადაწყვეტებისა, რომელსაც სოციალური ნორმა ითვალისწინებს, მაგრამ ამ ნორმის შესრულება ამა თუ იმ მიზეზით გაძნელებულია (იქვე, გვ. 191). ეს დებულება დასტურდება ექსპერიმენტული მონაცემებითაც - ამ თვალსაზრისით საინტერესოა საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის დამოწმება, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩატარეს თავისი მოსკოველ კოლეგებთან - პროკურატურის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად.

მათ მიერ მოქალაქეთა ზოგადსამართლებრივი ორიენტაციის კვლევის დროს დადგინდა შემდეგი რამ: აბსტრაქტულად ფორმულირებული კითხვებით სამართლებრივ ნორმათა სოციალური ღირებულებისა და მნიშვნელოვნების, აგრეთვე მათი დაცვის აუცილებლობის შესახებ, გამოვლინდა მოსახლეობის საკმაოდ მაღალი პოზიტიური შეფასება სამართლისა და კანონის როლისა მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში. მაგრამ შეიძლება სამართლის შესახებ აბსტრაქტულ წარმოდგენათა

კონკრეტიზაციისას მკვეთრად მცირდება იმ ბირთა რიცხვი, რომლებიც ადრე მტკიცედ იცავდნენ თავის აზრს.

„იმ დებულებას, რომ ცხოვრება რთულია და მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია მისი კანონის ჩარჩოებში ჩატევა, და რომ არსებობს გამოუვალელი მდგომარეობები, როდესაც დარღვევები გამართლებულია კანონმორჩილ მოქალაქეთა ჯგუფების მიერ, - როგორც აღნიშნავენ ავტორები, - უკოფმანოდ დაუჭირა მხარი ყოველმა მათგანმა მოქალაქემ, ხოლო 40%-მა ნაწილობრივ გაიზიარა ეს აზრი . . . გვხვდება ყოველად დაუშვებელი შემთხვევები კანონის მოთხოვნათა და საქმის ინტერესების ურთიერთდაპირისპირებისა, აგრეთვე გავრცელებულია კანონთა და სამართლებრივ ნორმათა „მნიშვნელოვან“ და „ნაკლებად მნიშვნელოვან“ ჯგუფებად დაყოფა . . . გამოვლენილია, რომ მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტს შიშობს, თითქოს შესაძლებელია და საჭიროა მოძველებული კანონის რეალურ ცხოვრებაში კორექტირება და არაა აუცილებელი მისი დადგენილ წესებში შეცვლის ღონისძიება.“

საზოგადოებრივი აზრი და სამართლებრივი კონტროლი. საზოგადოებრივი აზრის ცნება გულისხმობს საზოგადოების უდიდესი ნაწილის, მოსახლეობის, სახელმწიფოს დამოკიდებულებას რეალური ცხოვრების განსხვავებული პრობლემებისადმი, რაც გამოიხატება მათ შეხედულებებში, წარმოდგენებში, ღირებულებრივ ორიენტაციებში, ქცევის ნორმებში. საზოგადოებრივი აზრი იქმნება ხალხის მიერ ისტორიულად შექმნილი ტრადიციების, ჩვეულებების, მართლშეგნების, საზოგადოებაში მოქმედ სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეროვნულ, რელიგიურ და სხვა სოციალურ ნორმათა საფუძველზე. გარდა ამისა, საზოგადოებრივი აზრი განპირობებულია აგრეთვე ეკონომიკური ხასიათის მიზეზებით, ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფის დონით, მათი ცხოვრების ხარისხის მანერებლით.

საზოგადოებრივი მართლშეგნების ერთ-ერთი ფუნქციაა საზოგადოებრივი აზრი საზოგადოებაში, კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედ საზოგადოებრივ ნორმების სიტყვაზე, მათი გამოყენების პრაქტიკაზე. საზოგადოებრივი მართლშეგნება ყოველთვის არ ემთხვევა სამართლებრივ კონტროლს. თუ საზოგადოებრივი აზრი სოლიდურია სამართლებრივ კონტროლთან მიმართებით, მაშინ მათზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ ცნობიერებაში ჩნდება კანონმორჩილი ქცევის დამატებითი სტიმული. ამასთან, თუ საზოგადოებრივი აზრი და სამართლებრივი კონტროლი არ ეთანხმება, ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მაშინ პიროვნებას იმის მიხედვით ჩამოუყალიბდება ქცევის ეს თუ ის სტიმული, თუ რომლის გაგენას განიცდის ის უფრო ინტენსიურად. ეს უკვე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წრეში მიმდინარეობდა პიროვნების სოციალიზაცია.

საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვანი მოვლენაა. ის შეიძლება შეიცავდეს ზოგჯერ ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავ ზნობრივ და სამართლებრივ შეფასებებს. ამიტომ ანალიზისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი არაერთგვაროვნება, აღმოცენებული თვითონ საზოგადოებრივი, კოლექტიური ცნობიერების არაერთგვაროვნებიდან. ამიტომ ხშირია შემთხვევები, როდესაც დანაშაული ხდება მაშინაც, როცა საზოგადოებრივი აზრი არსებითად არ ეწინააღმდეგება სამართლებრივ კონტროლს, სოლიდარულია მასთან. მაშინ საიდანღა მოიპოვებს პირი ამგვარი ქცევის ინდივიდუალურ ღირებულებას, რით ასაბუთებს მას? ამგვარი ქცევის ინდივიდუალური ღირებულება ამ შემთხვევაში ყოველთვის მოიპოვება საზოგადოებრივი ცნობიერების იმ ნაწილიდან, რომელიც ეწინააღმდეგება სამართლებრივ კონტროლს.

თუ პიროვნება განიცდის ისეთი სოციალური ჯგუფის გავლენას, რომელსაც წინააღმდეგობრივი საზოგადოებრივი ღირებულებები, შეხედულებები და ქცევის ნორმები

აქვე, მაშინ ამგვარი სოციალური ჯგუფი დროთა განმავლობაში ზორიანებისათვის ეტალონად იქცევა, ის მოახდენს ამ ღირებულებების და ქცევის გამომუშავებული შაბლონების ინტერორობუბას, ანუ შინაგანად მიანიჭებს მნიშვნელოვნებას და შემდეგ უკვე მათთან შესაბამისობაში ააგებს თავის მომავალ ქცევებს.

ამერიკელი კრიმინოლოგის ა. კონის აზრით, რომელმაც შეისწავლა მოზარდთა დანაშაულობის ფორმირების თავისებურებები, ეს დანაშაულობა აღმოცენდება საზოგადოებრივი, სუბკულტურული, ე. ი. გაბატონებულ ნორმებთან მოწინააღმდეგე ჯგუფურ ნორმათა ფუნქციონირების საფუძველზე. ეს ჯგუფური ნორმები აღმოცენდებიან იმ ყველაზე დაბალი ფენის მოზარდთა ფრუსტრაციული მდგომარეობიდან, რომლებმაც აითვისეს საშუალო ფენის ნორმები, მაგრამ ძალიან არ შესწევთ, იცხოვრონ ამ ნორმათა შესაბამისად, რადგან მათი კანონიერი უფლებები არ იძლევა ამის საშუალებას. მიუხედავად ამისა, ის მოზარდები, რომლებიც არ ამბობენ უარს უფლებაზე, იცხოვრონ საშუალო ფენის სტანდარტების მიხედვით, ყოველივე ამის მისაღწევად მიმართავენ კანონსაწინააღმდეგო საშუალებებს, ხოლო სუბკულტურა, მასში გაბატონებული ნორმებით, ამართლებს ამგვარ ქცევას და განაპირობებს მოზარდის რწმენას საკუთარი საქციელის სისწორეში". ასეთი სუბკულტურა უშუალოდ ახდენს ქცევის სუბიექტურ ფაქტორთა - მოთხოვნისა და ინტერესების, მე-ს კონცეფციის და ინდივიდის მართლშეგნების ფორმირებას.

ქვემოთ შევეცდებით უფრო დეტალურად შევჩერდეთ ამ მომენტებზე და ინდივიდის სოციალიზაციის თავისებურებები და მისი კავშირები დანაშაულებრივ ქცევასთან განვიხილოთ საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგალითზე.

2. „ნიკოცხლის საზრისი“ პრობლემა და დანაშაულებრივი ქცევა

მიუხედავად ამისა, რომ დანაშაულებრივი ქცევის ბევრი განსხვავებული თეორია არსებობს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვდგავართ დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების მექანიზმის სწორი გაგებისა და აღწერის შესაძლებლობისაგან. ამის მიზეზია ის გარემოება, რომ ჩვენ ვიყოფებით ადამიანის ცნობიერების შესწავლის გზის დასაწყისში, ხოლო ისეთი ფსიქოლოგიური თეორია, რომელიც დაგვაკმაყოფილებს, ჯერ არ არსებობს. ამ მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ახლა იმყოფება ფსიქოლოგიური მეცნიერება, შემფოთბით წერდა კარლ გუსტავ ონგი: „თანამედროვე ადამიანის სულის პრობლემაზე საუბრისას ჩვენ უკეთეს შემთხვევაში კითხვის დასმა შეგვიძლია, ამასთან, ჩვენ მას სრულად სხვაგვარად დავსვამდით, სულ მცირე მინიშნება მიანიჭ რომ გვქონდეს იმ პასუხზე, რომელსაც მომავალი გავცემს“

ერთ-ერთი ცდა ზორიანების ფსიქოლოგიური თეორიის აგებისა ეკუთვნის ზ. ფროიდის. მაგრამ ეს თეორია სერიოზულად გააკრიტიკეს თვით დასავლელმა ფსიქოლოგებმა (აღარაფერს ვამბობ კრიტიკის იმ ქარცეცხლზე, რომელიც თავის დაატება ადამიანის ფროიდისტულ კონცეფციას საბჭოთა და პოლიანად სოციალისტურმა ფსიქოლოგიამ.) როგორც აღნიშნავს შარლოტა ბოულერი: „პომეოსიტაზის ფროიდისტული პრინციპის შესაბამისად საბოლოო მიზანი წარმოადგენს ისეთი სრული დაკმაყოფილების მიღწევა, რომელიც ინდივიდს წონასწორობის აღდგენამდე მიიყვანდა და ყველა მის სურვილს ნულზე დაიყვანდა. ამ თვალსაზრისით ადამიანური კულტურის ყველა ქმნილება სხვა არაფერია, თუ არა პირადი დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვის მეორეული პროდუქტი“

თავის მხრივ, შ. ბოულერის აზრით, ადამიანის ცხოვრებას გააჩნია მიმართულება, მიზანი. ეს მიზანი ადამიანის ცხოვრებისათვის საზრისის მინიჭებაში მდგომარეობს. ანალოგიური გამონათქვამები აქვთ ოლპორტს, მასლოუს, ფრომს, რომლებსაც ადამიანის ფსიქოლოგიური თეორიის პომეოსიტაზის პრინციპზე აგება აგრეთვე სწორად არ მიიჩნევათ.

ჩვენი აზრით, ადამიანის დანიშნულებასა და მისი ქცევის ფორმირებაზე საინტერესო აზრებს გამოთქვამს ე. ფრანკლი „თუ ნორმაზე ვილაპარაკებთ, სიამოვნება არასოდეს არ გვევლინება ადამიანურ მისწრაფებათა მიზნად. იგი არის და კოდეც უნდა დარჩეს მიზნის მიღწევის რეზულტატად, უფრო ზუსტად, თანმზღებ ვეექტად. მიზნის მიღწევა ქმნის ბედნიერების საფუძველს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი არსებობს ბედნიერების მიზეზი, ბედნიერება მისგან ავტომატურად და სონტანურად გამომდინარეობს, და ამიტომ არ არის საჭირო ბედნიერებისკენ მშფოთვარე სწრაფვა, თუკი გვაქვს საფუძველი ბედნიერებისათვის“. (იქვე გვ. 55). ამგვარად, ავტორის მიაჩნია, რომ ნორმალურ პირობებში ადამიანი მაინცდამაინც სიამოვნების მიღებას არ ისახავს მიზნად, როგორც ეს ფროიდიზმიდან გამომდინარეობს.

მეორე მხრივ, ავტორი წინააღმდეგია ადლერისეული კონცეფციისა, რომელიც გულსხმობს ადამიანის მიზანმიმართულ სწრაფვას სოციალური პოზიციის მოპოვებისაკენ. ავტორის აზრით, ერთი მხრივ, სოციალური პოზიციის მოთხოვნილება ან ძალაუფლებისაკენ სწრაფვა და, მეორე მხრივ, ტკობის პრინციპი, წარმოებულია ადამიანის პარველად, მთავარი ინტერესიდან – საზრისისაკენ სწრაფვიდან. ავტორის მიაჩნია, რომ მაშინ, როცა ეს არ ხდება, ე. ი. როცა პიროვნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიამოვნების მიღწევას ან სოციალურ პოზიციას, მაშინ მისი ქცევის საფუძველი არის ფრუსტრაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმდენად, რამდენადაც გარემოცვა ხშირად არ გვაძლევს საფუძველს ბედნიერებისათვის, ჩვენ ვიწყებთ საკუთარი ქცევების მიმართვას უშუალოდ სიამოვნებით ტკობის ძიებისაკენ.

ამგვარი კონცეფცია, ჩვენი აზრით, კრიმინოლოგიურ ინტერესს იმსახურებს. ფრუსტრაციის მდგომარეობა, ხომ როგორც დანაშაულებრივი ქცევის ფორმირების მიზეზი, ხშირად ფიგურირებს კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიურ თეორიებში. ამასთანავე, ფრუსტრაციის გააზრება ნორმალური მდგომარეობიდან ადამიანის ვადახრის ასპექტით, ანუ ადამიანის ცხოვრების საზრისზე (თვით სიცოცხლეზე) მიზანმიმართულების მდგომარეობიდან სიცოცხლის რეზულტატზე ვადართვის ასპექტით, უფრო ღრმად საბუთდება.

კერძოდ, დადგენილია, რომ დაბალი საზოგადოებრივი ფენა საშუალო ფენასთან შედარებით უფრო მეტ კრიმინოგენურ აქტივობას იჩენს. ის უფრო მეტად არის ორიენტირებული უშუალოდ სიამოვნების მიღებაზე, რაც გამოიხატება ამ ფენის წარმომადგენელთა ვაზრდილ აღკოპოლიზაციაში. თუ ფრანკლის კონცეფციას ვარწმუნებთ, ამგვარი ქცევის საფუძველია ამ ფენის წარმომადგენელთა უკმაყოფილება თავიანთი ცხოვრების პირობებით, სტილით და ხარისხით. მათ არ მოსწონთ ის ვითარება, როცა ერთი მხრივ, სხვების მსგავსად უხდებათ მუშაობა, მეორე მხრივ კი, მათი შრომის რეზულტატი არ აძლევთ საშუალებას იცხოვრონ ისე, რომ მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იყოს.

ამგვარი დაუკმაყოფილობის შედეგად მათ ეუფლებათ ფრუსტრაცია, რომელიც თავის მხრივ, ხდება მათ მიერ სიცოცხლის მიზანმიმართულების პროცესის ონორირების მიზეზი, რის გამოც ბედნიერება, დაკმაყოფილებულობა, სიცოცხლით ტკობა თავისთავად მოდის. ამიტომ დანაშაულობრივი ქცევის ფორმირების უშუალო მიზეზად, უფრო სწორედ, წყაროდ, ექცევა ფრუსტრაცია. სწორედ მისგან აღმოვლენდება სიცოცხლის დაბანძუებული აქტა, რომელიც განაპირობებს ადამიანის ორიენტირებას ცხოვრების რეზულტატზე და არა თვით სიცოცხლის პროცესზე.

ფრუსტრაციის თავისებურება – ადამიანის ხანგრძლივი დაუკმაყოფილებლობის მდგომარეობა მისი ცხოვრების გამო მვიდგანდება არა მარტო უშუალოდ დანაშაულებრივ ქცევაში. ამგვარმა მდგომარეობამ შესაძლოა განაპირობოს ცხოვრებისაგან გაქცევა

აღკოპოლიზმში, ნარკომანიაში, რასაც აგრეთვე საბოლოო ანგარიშით, ადამიანები დანაშაულთან მიჰყავს. ეს განსაკუთრებული სიცხადით დიდ ქალაქებში ჩანს. აქ სამუშაოს, რომელსაც დაბალი ფენები ასრულებენ, არავითარი შემოქმედებითი ინტერესი არ გააჩნია, მონოტონურია და უხალისო, ამიტომ ამგვარი შრომის ფსიქოლოგიური აღქმა ერთმნიშვნელოვნად მიმართულია მის მატერიალურ რეზულტატზე. მაგრამ ამას არ შეუძლია ადამიანისათვის კმაყოფილების მინიჭება, რადგანაც თავისი არსით, ადამიანი არის შემოქმედი, ფასიულობათა შემქმნელი და არა უაზრო ცხოველი, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს განსაზღვრულ სამუშაო ციკლის უაზრო ოპერაციათა წყებას.

ამგვარად ფრუსტრაციას, როგორც დანაშაულებრივ და, მთლიანობაში, დევიატურ ქცევას, ჩვენი აზრით, შეიძლება შევხედოთ უფრო ფართოდ, და მის წარმოშობაში დავადანაშაულოთ არა მარტო იმის შეუძლებლობა, რომ დაბალი ფენის წარმომადგენელთა შრომით მიღწეულ იქნეს საშუალო ფენის ფასიულობებთან ზიარება, არამედ დავადანაშაულოთ თანამედროვე საზოგადოება ჯერ კიდევ მისთვის აუცილებელი არაკვალიფიციური სამუშაოს არსებობისათვის, რაც ხელს უშლის ადამიანს მოახდინოს თავისი ჭეშმარიტი დანიშნულების რეალიზება.

მეცნიერებაში იყო სხვა მცდელობაც, რომელიც ადამიანის არსის შრომის კატეგორიის მეშვეობით ახსნიდა, ოღონდ ამ მცდელობას ეკონომიკური მიმართება ჰქონდა. მისი ავტორი იყო კ. მარქსი, რომელსაც მიაჩნდა, რომ კერძო საკუთრება წარმოშობს შრომისაგან გაუცხოებას, დაქირავებული მუშის დაუინტერესებლობას ამ შრომით. ყოველივე აქედან გამომდინარე, მარქსი აკეთებდა რევოლუციურ დასკვნას იმის შესახებ, რომ ადამიანისთვის მისი არსების დაბრუნების ერთადერთი შესაძლებელი საშუალებაა კერძო საკუთრების გაუქმება. ამგვარ მიდგომას კ. მარქსი აფთხარებდა თავისი შემოქმედების შედარებით ადრეულ პერიოდში. შემდგომში მან უარყო გაუცხოების კატეგორია და შეცვალა ის ექსპლუატაციის კატეგორიით. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში შეძლებს ადამიანი თავისი არსების ბოლომდე გახსნას, რადგან ამ საზოგადოებაში სიმდიდრის საზომი იქნება არა სამუშაო დრო, არამედ თავისუფალი დრო.

უნდა ითქვას, რომ კ. მარქსის იდეები პიროვნების გათავისუფლების შესახებ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალური აქტივიზაციის პროცესში (თუ ეს შესაძლებლობები მიზანმიმართულია თვითონ შემოქმედებით პროცესზე) და არა მისი უტილიტარული რეზულტატი, საკმაოდ ნაყოფიერად იყო აღქმული საბჭოთა სოციალოგების მიერ პიროვნების სოციალოგიური თვორიის აგების თვალსაზრისით. ამ თეორიაში პიროვნება განიხილებოდა სწორედ მისი მოღვაწეობის ანალიზის პოზიციებიდან.

მაგალითად მოვიყვანოთ, ჩვენი აზრით, საინტერესო დებულებებს, რომელსაც გამოთქვამდა საბჭოთა სოციალოგი ა. ს. კონი. მისი შეხედულებით, თანამედროვე ადამიანს ახასიათებს პიროვნების უტილიტარულობა. „მანამ, სანამ ადამიანი ძირითადად წარმოების აგენტად გვევლინება, - წერდა მეცნიერი, - ეს, როგორც ჩანს, გარდაუვალია . . . ადამიანები ჯერ ითვისებენ იმას, რაც უფრო ახლობელია მათი ყოველდღიური ცხოვრებისათვის, რის სარგებლიანობასაც არ სჭირდება მტკიცება.“ ავტორის აზრით, ადამიანები ხშირად უსვამენ თავის თავს დაახლოებით ამ ტიპის შეკითხვას: „რასი მჭირდება სიმდიდრით მუხიკა? მე მის გარეშეც მშვენივრად ვგრძნობ თავს“.

ეს და ანალოგიური შეკითხვები მოწმობენ იმას, რომ ადამიანები დიდ კულტურას ხშირად უტილიტარულ პოზიციებიდან უდგებიან. „ეს შეკითხვები, - წერს შემდგომ ა. კონი, - მეტყველებენ იმაზე, რომ ხელოვნებას, ზოგადად ცოდნას, განიხილავენ მხოლოდ

და მხოლოდ როგორც საშუალებას, რაიმე მიზნის მიღწევისა, რომელიც თვით შექცევის, მოღვაწეობის პროცესის გარეთ ძვეს. რომელ მიზანზეა ლაპარაკი? ალბათ საწარმოო მიზანზე. კი მაგრამ, რისთვისაა საჭირო წარმოება - რომ უფრო მეტი ნივთი გვექონდეს? და რისთვისაა საჭირო ნივთები? მოახმარად? ხომ დიდი ხანია ცნობილია, რომ ვჭაბო იმისათვის, რომ ვცოცხლოთ და არა ვცოცხლობთ იმისათვის, რომ ვჭაბოთ. მხოლოდ თანდათანობით. მატერიალური გაჭირვების დამთრგუნველი სიმძიმისაგან განთავისუფლებისას, ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მისი მოღვაწეობა თავის მიზანს თავის თავშივე შეიცავს (იქვე, გვ. 158). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების მონაცემებით მიხედვით კულტურისადმი ასეთი უტილიტარული მიდგომა ახასიათებდათ შედარებით დაბალი განათლებისა და პროფესიონალური დონის ადამიანებს. მათ მიერ ყოველივე იმის უარყოფა, რასაც, ერთი შეხედვით, უშუალო სარგებლობა არ მოაქვს, მეტყველებს მათი სულიერი სფეროს სიღარიბეზე, რის შეესებასაც ისინი მოღვაწეობის რეზულტატზე უშუალო ორიენტაციით ცდილობენ.

ამიტომ მათი ინტერესები ხშირად მიმართულია შრომისადმი მომხმარებლური დამოკიდებულებისაკენ და დასვენებისათვის გართობის ხასიათის მიცემისაკენ (სანახაობები, აზარტული თამაშობანი, ქიფი). მაგრამ ეს დროსტარება არის ბედნიერების შემოვლით, ხშირად ბოქობური ვხუთ მიღწევის მცდელობა. ამგვარი ლტოლვის რეზულტატები კარგადაა ცნობილი. მათ მხოლოდ წუთიერად შეუძლიათ მოწყვეტონ ადამიანი მისი ყოფიერების რეალურ სიტუაციას, საშუალება მისცენ მას „მოეშვას“, დაიფიწყოს თავისი გასაჭირი და უსიამოვნებანი, მაგრამ მათ არ ძალუძთ მიანიჭონ ადამიანს ხანგრძლივი, ნამდვილი ბედნიერების შეგრძნება. ამიტომ ადამიანი, რომელიც ბოროტად იყენებს ცხოვრებისეული სიამოვნების მიღწევის ამგვარ ხელოვნურად შექმნილ საშუალებებს, ვერ შეძლებს ფრუსტრაციის მდგომარეობის დაძლევას, რომელიც თან სდევს მას „ბედნიერების“ ამგვარი ილუზორული მდგომარეობის პერიოდებს შორის. მაგრამ აქცევის რა ამგვარ მდგომარეობას ცხოვრების ჩვეულებრივ წესად, ადამიანს უკვე აღარ ძალუძს წინ აღუდგეს ჩვევებს. ჩნდება მისი დეგრადაციის სერიოზული საშიშროება, რომლის დროსაც ადამიანის ფიქრები და მისწრაფებანი სულ უფრო კონცენტრირდება ტკბობის სურვილზე, ოღონდ, ამ დროს შენელებულია ხოლმე კრიტიკული დამოკიდებულება ამ სურვილის კანონიერი საშუალებებით მიღწევისადმი.

მეცნიერებმა ერთ საინტერესო დეტალზე გაამახვილეს ყურადღება, როდესაც ამერიკაში შეეცადნენ ჯურღმულებში მცხოვრები ადამიანებისათვის ცხოვრების შედარებით ნორმალური პირობები შეექმნათ - დახმარებოდნენ ბინით და ა.შ. გაიკვია. რომ გაუმჯობესებულ პირობებშიც კი ეს ადამიანები აგრძელებდნენ ცხოვრების იმავე ასოციალურ წესს, როგორც ადრე.

როგორც ჩანს, ეს საკმაოდ რთული პრობლემაა და დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოებრივი წყობის არაირრულყოფილებასთან, იმ წინააღმდეგობასთან რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, საწარმოო მიზანშეწონილობისა, რომ სახელმწიფოში იყოს არაკვალიფიცირებული მუშახელის საკმაოდ დიდი რაოდენობა და, მეორე მხრივ, ასეთ ადამიანთა ცხოვრების წესის, მათი ფსიქოლოგიური დაუკმაყოფილებლობის და ფრუსტრაციის საზოგადოებრივ მიზანშეწონილობას შორის.

როგორც ვხედავთ, მიდგომათა განსხვავებულობის მიუხედავად, ზემოაღნიშნული ფსიქოლოგიურად ორიენტირებულ მეცნიერებსაც და მარქსისტებსაც საერთო საყრდენი წერტილი გააჩნიათ - ერთნიც და მეორენიც სოლიდარულნი არიან იმ აზრის მიმართ, რომ ადამიანის ღირებულება, მისი ეკზისტენციალური საზრისი (გ. ფრანკლი), მისი არსება (კ. მარქსი) მდგომარეობს ფაქტობრივად შექმნაში, შრომით პროცესზე ორიენტირებაში.

მხოლოდ ამ პროცესში შეიძლება შედგეს პიროვნება, განხორციელდეს მისი ჭეშმარიტი საზოგადოებრივი დანიშნულება, რისი შედეგაც არის ცხოვრებით კმაყოფილება, ადამიანის ბედნიერება.

ამგვარად, მიდგომათა განსხვავებულობის მიუხედავად, დანაშაულებრივი ქცევა ორივე შემთხვევაში აღმოჩნდება ხოლმე რეზულტატი ადამიანის გაუცხოებისა (ფსიქოლოგიური, ეკონომიკური) ცხოვრების პროცესისაგან, რომელიც არ უქმნის მას კმაყოფილებას, აზრობრივი სისაფისი განცდის წინაპირობას. ამგვარი მიდგომისა, ჩვენი აზრით, არსებითად ვიწროვდება დანაშაულებრივი ქცევის ბუნების ძიებისა და ახსნის არეალი, იკვეთება კონკრეტული ორიენტაციები დანაშაულის ჩადენის სოცოლოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლების შესწავლისათვის.

3. პიროვნების სოციალიზაციის პრობლემა და დანაშაულებრივი ქცევა (საქართველოს მაგალითზე)

სოციალიზაცია, ე.ი. ინდივიდის მიერ სოციალურ ნორმათა ათვისება, მათი ინტერიორიზაცია, წარმოადგენს პიროვნების, როგორც საზოგადოების წევრის ფორმირების პროცესს. ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, მაგრამ მისი ფორმირება ხდება არა ზოგადად ადამიანთა საზოგადოებაში, არამედ კონკრეტულ სოცო-კულტურულ გარემოში, რომელსაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ეროვნული და სხვა კულტურული ნიშნები გააჩნია. ეს ნიშნები მონაწილეობენ იმ ადამიანთა პიროვნული თავისებურებების ფორმირებაში, რომლებიც ერთიან სახელმწიფოში ცხოვრობენ, გაერთიანებულნი არიან ერთიანი ენობრივი, ეთნიკური და სხვა მხოლოდ მათთვის სპეციფიკური ნიშნების საფუძველზე. თავის მხრივ, ყოველი ასეთი კულტურული გარემოს უნიკალურობა განპირობებულია იმ ისტორიული გზის უნიკალურობით, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანამ გაიარა მანამ, სანამ მასში ფორმირებას დაასრულებდა ზუსტად ასეთი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კულტურა.

ქართული კულტურული გარემოს ფორმირება არაერთ ათასწლეულის ითვლის. XI-XII საუკუნეები ქართული სახელმწიფოებრიობის აყვავების ხანაა. ამ დროისათვის საქართველო გაველიან ფეოდალურ სახელმწიფოდ ყალიბდება, რომელშიც ქართული კულტურის შესანიშნავი ძეგლები იქმნება. ამ პერიოდმა ხალხში წარუშლელი ხსოვნა დატოვა ქართული ნაციის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი კულტურის წარმომადგენლის შესახებ. შემდგომ ისტორიულმა კატაკლიზმებმა საქართველო მიიყვანა იმ მნიშვნელოვნების თანდათანობით დაკარგვამდე, რომლითაც ის ხასიათდებოდა თავისი ძლიერების პერიოდში. მაგრამ საქართველოსთვის ყველაზე მძიმე და საბედისწერო პერიოდებშიც კი, როდესაც სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა არა მარტო მის სახელმწიფოებრიობას, არამედ როგორც ეროვნული წარმონაქმნის სახით არსებობას, ქართული საზოგადოება არ იფიცებდა და ამყობდა თავისი უდიდესი ისტორიული წარსულთ. საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში კულტურული გარემოს მიზანა, რომელიც ვერ შეურიგდა საქართველოს დამცირებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას, გახდა ტრადიციების, რელიგიის, ენის, ეროვნული კუთვნილების, და რაც მთავარია, ეროვნული სულის შენარჩუნება.

ამ პერიოდში, როდესაც საქართველოში არ არსებობდა სახელმწიფოებრიობა, ინდივიდთა სოციალიზაციის აქცენტი გადავიდა საზოგადოებაზე, რომლის ეროვნული კულტურის ძირითად მცველად იქცა ქართული ოჯახი. ის იქცა იმ აუღებელ ბასტიონად, რომელშიც დაცული იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ადამიანთა ურყევი რწმენა

მათი სამშობლოს უკეთესი მომავლისა, ერის აყვავებისა და მისი სახელმწიფოებრივი საფუძვლების აღდგენისა.

ამოცხადება რა იმედების მისწრაფებით გამოწვეული ფრუსტრაციის მდგომარეობაში, ქართული ოჯახი ობიექტური პირობების მიუხედავად ინდივიდებში მაინც ახდენდა ძლიერი, ამაყი, დამოუკიდებელი ეროვნული ხასიათის, მკაფიო ინდივიდუალობის ფორმირებას. ეს თვისებები განაპირობებდნენ ინდივიდებში პრესტიჟის ძლიერი მოთხოვნილების განვითარების, რომელიც არსებული სოციალური პირობების მიუხედავად მაინც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თავის მხრივ, საკუთარი სახელმწიფოებრიობის არარსებობა, უცხო იმპერიული კანონების მიმართ მტრული განწყობა არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ინდივიდს მისი სოციალიზაციის პროცესში ჩანერგვოდა უცხო სახელმწიფოს კანონების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობაზე დაფუძნებული მართლშეგნება. ამ კონკრეტულ ბრძოლაში, საბოლოო ანგარიშით, ყოველთვის ეროვნულ ტრადიციებს ენიჭებოდა უპირატესობა, ისინი პიროვნებისთვის ყოველთვის რჩებოდნენ განმსაზღვრელ ფაქტორად მისი სოციალური ქცევის საფუძველთა ფორმირების თვალსაზრისით.

ყოველივე ამის შედეგად, ჩვენი აზრით, შესაძლებელი ხდება ქართულ საზოგადოებაში, ქართულ ოჯახში პიროვნების სოციალიზაციის პროცესის მიერ ძიტირირებულად შექმნილი ორი დამახასიათებელი თვისების შექმნევა. ეს არის ძლიერი ინდივიდუალური პრეტენზიების ფორმირება და ეროვნული ტრადიციების, საზოგადოებრივი აზრის პრიორიტეტი სახელმწიფო კანონებზე, ოფიციალურ მართლშეგნებაზე, როგორც შემდგომ დაინახავთ, ამ თვისებებზე გარკვეული როლი თამაშებს საქართველოში დანაშაულობის თვისებებზე ფორმირებაში.

სუბკულტურული ფასიულობები, ე.ა. ის ფასიულობები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გაბატონებულ ინსტიტუციონალურ ღირებულებებს, არსებობენ ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც არსებობს კლასობრივი დიფერენციაცია. ამ თვალსაზრისით არც ქართული საზოგადოება წარმოადგენს გამონაკლისს. მისი სუბკულტურის ფორმირების ობიექტური პირობები, ძირითადად, ხასიათდება იმავე თვისებებით, რაც გვხვდება სხვა ქვეყნებში. მათ მიეკუთვნება მე-XX საუკუნის ინდუსტრიული ბუმიტ განპირობებული სოციალურ-ეკონომიკური და მასთან დაკავშირებული სოციალურ-დემოგრაფიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში წარმოების განვითარება მოითხოვდა ქალაქის როლის გაზრდას მის ტრადიციულ აგრარულ ცხოვრებაში. გლეხებისთვის მიწების ჩამორთმევის პოლიტიკა და ამავედროულად ქალაქის მოთხოვნილება მუშახელში, ბევრ სოფლის მცხოვრებს აიძულებდა მიეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი და დაეწყო ცხოვრება ქალაქებში.

ცხადია, რომ ქალაქის პირობები ვერ მისცემდნენ სოფლის მიგრანტებს ქალაქურ გარემოში მათი სოციალურად წარმატებული ასიმილაციის თანაბარ შანსებს ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით. თავის მხრივ, კიდევ უფრო ძნელი იყო მიგრანტისათვის ქალაქის მოსახლეობის პრესტიჟულ ფენებში შეღწევა, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოების საშუალო (ინტელიჯენცია) და უმაღლეს (უწყებათა ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პარტოული, სახელმწიფო მუშაკები და სხვ.) კლასებს, სხვათა შორის, ამგვარ ღირებულებათა ფორმირება დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ მიგრანტებისათვის სოფლებიდან, არამედ ქალაქის მცხოვრებთათვის, რომლებმაც შეიძლება ასე მწვავედ არა, მაგრამ მაინც თავის თავზე განიცადეს ანალოგიური პრობლემები.

ამ ბირობებში იწყებენ ფორმირებას სუბკულტურული ფასეულობები, რომლებიც განბირობებული არიან გარკვეული შეუთავსებლობით. ამ შეუთავსებლობას ქმნის, ერთი მხრივ, სურვილი, ქალაქში გააჩნდეთ სოციალურად მოსაწონი სტატუსი, მიეკუთვნებოდნენ საშუალო კლასს, და მეორე მხრივ, საზოგადოების შეზღუდული შესაძლებლობები, რომ კანონის ფარგლებში სრულად დააკმაყოფილოს ეს ინდივიდუალური პრეტენზიები.

ამგვარად, იქმნება კეთილმყოფელი გარემო ოფიციალურად მოქმედი კანონის დასარღვევად. ის, თუ ამ სოციალურ სიტუაციასთან შეგუების რომელ ტიპს აირჩევდა მოქალაქე, დამოკიდებული იყო სოციალიზაციის ხარისხზე, რომელიც, ძირითადად, ყალიბდებოდა, ერთი მხრივ, საზოგადოების ძირითადი ნაწილის მაღალი ინდივიდუალური პრეტენზიებისაგან ცხოვრების დონეზე, სტილზე, ხარისხსა და ზოგადად, საშუალო კლასის წარმომადგენელთა სოციალურ სტატუსზე, და მეორე მხრივ, ეროვნული სულისთვის უცხო იმპეროული კანონების დაცვის აუცილებლობისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებისაგან იმ შემთხვევებში, როცა ეს კანონები ხელს უშლიდნენ არსებითად სოციალურად პოზიტიური და საზოგადოებისათვის მოსაწონი მიზნების ხორცშესხმას. შემგუებლობის ამგვარ შედარებით გავრცელებულ ტიპად გვევლინება ინოვაცია (რ. მერტონი). ე.ი. ინდივიდის საზოგადოებრივ სისტემასთან შეგუებულობის ტიპი, რომელიც ახდენს მის ორიენტირებას, ერთი მხრივ, მიმართულა, როგორც ოფიციალური საზოგადოების, ისე საზოგადოებრივი აზრის მიერ მოსაწონ და წასაძალისებელ მიზნებზე, და მეორე მხრივ, მათი მიღწევის, არაინსტიტუციონალურ, ე.ი. კანონით აკრძალულ საშუალებებზე.

ქცევის ამგვარი ტიპის სანქციონირებას დუმილით ახდენდა საზოგადოებრივი აზრი. ცხადია, ყველა ასე არ იქცეოდა. საზოგადოებაში არსებობდა უადრესად პატიოსან ადამიანთა ნაწილი, რომელიც ამგვარ მიდგომას არ იზიარებდა. ამასთან, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც „იტოვებდნენ დისტანციას“, ვერ უძლებდნენ ბრძოლის დაძაბულობას და გადაეშვებოდნენ ლათობასა და პროტესტის სხვა მასიურ ფორმებში. ფუნქციონირებდა პროფესიონალური დანაშაულობაც. მაგრამ მის წარმომადგენელთა ცხოვრების წესი და ის მეთოდები, რომელთა შესაბამისადაც ის ფუნქციონირებდა, საზოგადოების მოწონებას არ იმსახურებდა. საზოგადოებრივი აზრი, ძირითადად, განწყობილი იყო ინდივიდთა იმ მისწრაფების სასარგებლოდ, რომელიც დაკავშირებული იყო მათი ცხოვრების მაღალი, პრესტიჟული დონის შექმნასთან, რომელიც მათ წარმოდგენაში ერწყმოდა საშუალო კლასის ფასეულობათა აღიარებას, მაგრამ ამავე დროს შეეძლო აუცილებლობის შემთხვევაში ადამიანების ორიენტირება „მარცხენა“ შემოსავლებზე.

ერთ-ერთი პასუხისმგებელი თანამდებობის პირი საუბრისას გამოტყდა, რომ მისთვის ძალიან უცხოა და უსიამოვნო ის მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფება ამის გამო, რომ გამუდმებით ატყუებს საზოგადოებას. მაგრამ ასე იქცევა მისი კოლეგების უმრავლესობა. ეს გადაიქცა სისტემად, რომელიც თუმცა ბევრისათვის უცხო და უსიამოვნოა, მაგრამ მისგან გამოსავალი არ ჩანს.

იმ სოციალურმა სიტუაციამ გათვალისწინებთ, რომელიც საქართველოში XX საუკუნის 60-80-იან წლებში შეიქმნა, მაღალი სოციალური სტატუსისაკენ სწრაფვა მაღალი მატერიალურ უზრუნველყოფასთან შეთანხმებით შესაძლებელი იყო, ძირითადად, უმაღლესი განათლების მიღების ბირობებში. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში სწორედ ამ წლებში დაიწყო უმაღლესი განათლების ბუმი. ქართული ოჯახი ისწრაფოდა ნებისმიერ ფასად მიეცა თავისი შვილებისათვის უმაღლესი განათლება, ამის უკან ზომ საშინაურებრივი კარიერის შესაძლებლობა იდგა, და მასთან ერთად ფინანსური კეთილდღეობის მოპოვების შესაძლებლობაც, თუნდაც ის კანონის დარღვევით ყოფილიყო მიღწეული.

ბარადლოქია, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი სასურველი სფერო აღმოჩნდა იურიდიული ასპარეზი, რომელიც თავისი ბუნებით კანონის დარღვევებთან ბრძოლისთვისაა მოწოდებული. სწორედ აქ იშლებოდა კორუფციისა და არაკანონიერი გამდიდრების დიდი შესაძლებლობები. თავის მხრივ, ამ თვალსაზრისით ყველაზე მომგებიან სფეროდ მორჩნდა წარმოება, სადაც სოციალისტური უყარაობის პირობებში პიროვნების წინაშე სახელმწიფოს ძარცვის დიდი შესაძლებლობები იშლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ სფეროების მიმართ აღმოჩნდა მართლმწიბრება ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი. როგორც კანონი, ასევე სოციალისტური წარმოებაც ხომ ერთი გარედან ჰქონდა თავის მოხვეული და ამიტომაც მისთვის უცხო იყო.

მაგრამ უკვე მშ-იანი წლების შუა ხანებიდან სოციალურ გარდაქმნათა ზღვარზე პრაქტიკულად არ აღმოჩნდა საქართველოში არც ერთი სოციალურ-შრომითი სფერო, რომელშიც მომუშავე ადამიანები მოქმედებდნენ მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფარგლებში, სადაც ისინი ვერ მოახერხებდნენ მოექმნათ თავიანთი შემოსავლების გაზრდის კრიმინალური საშუალებები.

ამ პერიოდში ადამიანებში საბოლოოდ მოიხრეა რწმენა სახელმწიფოს ავტორიტეტისა, რომელსაც ძალუში თავისი მოქალაქეებისთვის სოციალურად ასე თუ ისე მისაღები დონის უზრუნველყოფა, ვთქვათ, ისეთი დონისა, რომელიც იმ დროისათვის გაჩნდა დასავლეთ ევროპისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას. ეს კი ნიშნავდა სახელმწიფო კანონების სრულ იგნორირებას და ისეთი საზოგადოებრივი პოზიციის ფორმირებას, რომელიც მისი სრულად საწინააღმდეგო იქნებოდა.

უკანასკნელ დროს საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ორიენტაციის შეცვლასთან და სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებით საზოგადოებაში გარკვეული ქაოსი შეიმჩნევა, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდისათვის. ამ პირობებში მოხდა კრიმინალური ქცევის აქცენტების დროებითი ცვლა. წინა პლანზე გამოდის ამბოხება, როგორც საზოგადოებრივ პირობებთან შეგუების ფორმა, რომელიც უარყოფს როგორც დრომოჭმულ ინსტიტუციონალურ მიზნებს, აგრეთვე მათი მიღწევის საშუალებებსაც. მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი უწესრიგობანი, დანაშაულობის ძალადობრივი ფორმების გამოცოცხლება. უნდა თქვათ, რომ კრიმინალური ქცევის ამგვარი ფორმის არსებობა, მართალია, მძაფრი, მაგრამ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა.

საზოგადოება, როგორც ჩანს, კრიმინალური ქცევის ძველ, აპრობირებულ ფორმას — ინოვაციას — უბრუნდება, ოღონდ სოციალურ რეალიათა გათვალისწინებით. ამგვარი ქცევა თავისი შინაარსით არაკანონიერი ბიზნისის, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების, უკანონო პრივატიზების, სახანკო საქმეში ფინანსური მაქინაციების, კორუფციის, კონტრაბანდის და დროის მიერ ნაშობი სხვა ეკონომიკური დანაშაულობის ფორმების სახეს იღებს.

როგორც ვხედავთ, სოციალიზაციის თავისებურებებს და მის საფუძველში არსებულ სოციალურ-ისტორიული მიზნებს გარკვეულ პირობებში ძალუთ კრიმინალური ქცევის მოტივაციური სპეციფიკის ფორმირება, საზოგადოებრივ სისტემასთან ადამიანთა შეგუების დომინირებული კრიმინალური ტიპის განსაზღვრა და ამით დანაშაულობის ფორმირებისა და ფუნქციონირების სპეციფიკის შექმნა საქართველოში.

სატუაციის მომავალი განვითარების პროგნოზი მოვლენათა განვითარების პროგნოზირების თვალსაზრისით შესაძლებელი ხდება შემდეგი მოსაზრებების გამოთქმა:

1. პირველად, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, საქართველომ კვლავ მოაბოვა სახელმწიფო დამოუკიდებლობა. ამასთან დაკავშირებით

ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ გადაისინჯოს საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება სამართლებრივი კონტროლის მიმართ. სახელმწიფო ხომ უკვე აღარ არის უცხო ელემენტი ქართული საზოგადოების სოციალურ ურთიერთობათა სტრუქტურაში. ამიტომ ძალიან გაჭირდება დანაშაულობათა დასაბუთება კანონისადმი, როგორც ქართული საზოგადოების სტრუქტურისათვის უცხო ელემენტებისადმი, უგულვებლყოფელ დამოკიდებულებაზე მითითებით. ამიტომ საკუთარი სახელმწიფოებრიობის იდეის გათავისების კვალდაკვალ დანაშაულობათა ჩადენის და დამნაშაფის პროცენტების ჩამოყალიბების მექანიზმის თავისებურებანი დაკარგავენ ზემოდახასიათებულ ნიშნებს. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი ცნობიერების ინერტულობა, მისი კონსერვატიულობა, რამაც შეიძლება უბიძგოს საზოგადოებას კიდევ გარკვეული დროის განმავლობაში შეინარჩუნოს საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობრივი ფასეულობებისა და სამართლის დიფერენციაცია, მათი განხილვა არა ერთმანეთის გაგრძელებად, არამედ ერთმანეთთან შეუთავსებლად. ნათქვამი, რასაკვირველია, არ აუქმებს დანაშაულობის პრობლემას საქართველოში, რადგან საზოგადოების ფენებად დაყოფა მუდამ იქნება ნოციერი ნიადაგი კრიმინალური სუბკულტურის არსებობისათვის, სუბკულტურისა, რომელიც ყოველთვის წინააღმდეგობაში იმყოფება საზოგადოებაში გაბატონებულ ზნეობრივ და სამართლებრივ ფასეულობებთან. სწორედ ეს წინააღმდეგობები იქნება მომავალში დანაშაულობის ფუნქციონირების ძირითადი წყარო.

2. ქონებრივი დიფერენციაციის ფონზე, რომლის ნიშნებიც უკვე ახლა შემჩნევა, შემდგომში მოსალოდნელია სოციალურ ფენად დაყოფის გაღრმავება, რაც, თავის მხრივ, მოახდენს საზოგადოებრივი ცნობიერების დეზინტეგრაციის პროცესითა აქტივიზირებას, გააძლიერებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ურთიერთსიუცხოვეს. უკვე ახლა თვალნათლივ მოჩანს ასეთი დიფერენციაცია მოსახლეობის მდიდარი ფენებიდან გამოსულთათვის კერძო სკოლების, კოლეჯების, კომერციული ინსტიტუტების ორგანიზების მაგალითზე, პრაქტიკაში მკვიდრდება მათი უცხოეთში სასწავლებლად წასვლა, და ა.შ.

საზოგადოებრივი დეზინტეგრაციის მდგომარეობა, რომლის თავიდან აცილება საყოველთაო განათლების პრობლემიც კი ვერ შეეძლოთ, გამძაფრდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში აზროვნების დასავლური სტანდარტების დამკვიდრების კვალდაკვალ, რომლებიც ახდენენ ადამიანების ორიენტირების ეკონომიკურ წარმატებაზე იმავდროულად კი წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობები ადამიანებს. არა აქვთ. მოსახლეობის უზრუნველყოფილ ფენათა საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტად არის ორიენტირებული კანონმორჩილ ქცევაზე და შეურიგებლადაა განწყობილი მოსახლეობის უქონელ ფენათა დანაშაულებებისადმი, რომელშიც თავისი კეთილმოწყობის არსებობისათვის საფრთხეს ხედავს.

თავის მხრივ, დაბალი კლასების საზოგადოებრივი აზრი უფრო შემწყნარებლურად იქნება განწყობილი თავისი კლასის წარმომადგენელთა დანაშაულებრივი გამოვლენებისადმი, იმის გამო, რომ პასუხისმგებლობას და ბრალს ასეთი მდგომარეობისათვის დააკისრებს მთელ საზოგადოებას, მისი წყობის უსამართლობას. ამის შედეგად მოსახლეობის დაბალ ფენებში განმტკიცდება საკუთარ დანაშაულებრივ მიდრეკილებათა გამართლებულობის რწმენა. ამგვარ პრობლემაში შეიძლება გაიზარდოს ქუჩის დანაშაულობის გამოვლენა და დასჯადობა, დანაშაულობისა, რომელიც, როგორც წესი, უქონელ კლასთა წარმომადგენლები სჩადიან, რაც ვახდება საზოგადოებრივ ანტიპათიის და ამ კატეგორიის მოქალაქეთა კრიმინალიზაციის მიმართ გარკვეული შიშის დადასტურება.

ამასთან ერთად, სათანადო ქონებრივი შესაძლებლობები და კავშირები უზრუნველყოფილ კლასთა წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს შედარებით დაუბრკოლებლად ჩაიდინონ ეკონომიკური დანაშაული, რომელიც უკავშირდება მათ მიერ თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ასეთ დანაშაულობათა კონსპირირების მაღალი დონე და მხელად გამოსავლენობა ამ დანაშაულთა ჩამდენი პირების არაშეხვედრის დიდ გარანტიას იძლევა.

საქართველოში გაჩნდა ტენდენცია, რომ დიდშემოსავლიანი ბიზნესის, სახელმწიფო სამსახურის სფეროებში შეადგინონ „კავშირების“ მქონე პირებმა, რომლებიც იქ წარმატებით ეწევიან თავის დანაშაულებრივ, საიმედოდ კონსპირირებულ საქმიანობას. თავის მხრივ, ბიზნესის და კორუფციის სფეროში ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის კამპანია, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლება აწყობს, აშკარად ფორმალურ ღონისძიებად გამოიყურება ამ სფეროში კანონთა დარღვევის მზარდი ფაქტების ფონზე. იმ დიდი მასალის ფონზე, რომელიც მოუპოვება სამართალდამცავ ორგანოებს თანამდებობის პირთა მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების თაობაზე, სახელმწიფოს აშკარად არ ყოფნის გამბედაობა, მოახდინოს მათი სრული მხილება. ეტყობა, ასეთ შემთხვევაში მეტის მეტად ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი გამოაშკარავდება, როგორც თანამდებობის ბოროტად გამოყენებელი, რასაც შეიძლება მოყვეს უკვე მთლიანად პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა.

ამასთანავე, ეკონომიკურ დანაშაულობათა მაღალი ლატენტურობა ბიზნესის და სახელმწიფო სამსახურის სფეროში მუდამ დაამახინჯებს დანაშაულობის სტატისტიკურ სურათს, წინა პლანზე წამოწევს მოსახლეობის დაბალ ფენათა ქუჩის დანაშაულობას (ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა, ხულიგნური მოქმედება, ყოფითი ხასიათის ძალადობრივი დანაშაულობანი, და ა.შ.). ამიტომ სხვადასხვაგვარად დანაშაულობათა ფაქტური თანაფარდობის დასადგენად აუცილებელი იქნება ორიენტირება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის, პრესის, ტელევიზიის მასალებზე, კრიმინოლოგიურ გამოკვლევებზე და ამ გზით დანაშაულობის ჭეშმარიტი მასშტაბების გამოვლენა.

§2 ქალთა დანაშაულობის კრიმინოლოგიური თავისებურებანი.

დანაშაულობის შესწავლამ, მისმა მიზეზებმა, დინამიკამ და სტრუქტურამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოავლინა ერთი საინტერესო გარემოება: ქალთა დანაშაულობა. მამაკაცთა დანაშაულობასთან შედარებით რამდენჯერმე უფრო მცირე იყო და რაც მთავარია, ეს თანაფარდობა სტაბილური იყო დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ეპოქები, სახელმწიფოს ტიპები, მმართველობის ფორმები, მაგრამ მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობის აღნიშნული თანაფარდობა არსებითად არ იცვლებოდა და მხოლოდ ომების პერიოდს შეჰქონდა გარკვეული კორექტივები, რაც ქალთა დანაშაულის მნიშვნელოვანი ზრდით გამოიხატებოდა.

ბუნებრივად, კრიმინოლოგიისა და სისხლის სამართლის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერებს ეს საკითხი შეუმჩნეველი არ დარჩენია. ისინი შეეცადნენ თავისებურად აეხსნათ მამაკაცთა და ქალთა დანაშაულობის ეს სხვაობა.

ქალთა დანაშაულობის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ თავს იჩენს კაპიტალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმის პირობებში იწყება წარმოებაში ქალის აქტიური ჩართვა. კაპიტალიზმური წყობის ჩარჩოებში ეს პროცესი შინაგანად წინააღმდეგობის

შემცველია. წარმოებაში ქალების აქტიური მონაწილეობის თვით ფაქტი, ობიექტურად, პროგრესული მნიშვნელობის შემცველია. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებისა თავიანთ ისეთ უცელობელ თანამგზავრებთან ერთად, როგორცაა: უმუშევრობა, მშრომელი მასების გადატაკება, მომავლისადმი სკეპტიკური დაპოკიდებულება, ხელი შეუწყო ზოგადად დანაშაულობის და კერძოდ, ქალთა დანაშაულობის ზრდას.

ქალთა დანაშაულობის გამოკვლევა აირეკლა დასავლეთის კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში. მრავალი კრიმინალისტი, ანთროპოლოგი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სტატისტიკოსი დაკავებული იყო ქალთა დანაშაულობის თავისებურებების შესწავლით, მისი მიზეზების, მასშტაბებისა და ცვლილებების დადგენით. დასავლეთის კრიმინოლოგიაში არსებობს ამ საკითხისადმი მიძღვნილი მრავალი შრომა. მათი ანალიზი, რასაკვირველია საინტერესოა, მაგრამ ეს არის სპეციალური კვლევის საგანი. ამიტომ მოცემულ თავში განხილული იქნება მხოლოდ რამდენიმე ნაშრომი, რომელიც უშუალოდ ეხება ქალთა დანაშაულობის პრობლემას.

XIX საუკუნის დასაწყისში დანაშაულობის საკითხით, მისი ეტიოლოგიით

დაკავებული იყო უპირატესად სტატისტიკა, განსაკუთრებით მორალური სტატისტიკა. საკითხის დასმასა და შემდგომი კვლევის ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებაში დიდი წვლილი მიუძღვით XIX საუკუნის უდიდეს სტატისტიკოსებს ა. კეტლესა და გერის.

ა. კეტლე დანაშაულობის განვითარების კანონების განხილვისას მიდის დასკვნამდე, რომ „დანაშაულის ჩადენისაკენ სწრაფვა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, სქესზე, მის პროფესიაზე, განათლების დონეზე, წლის პერიოდზე და სხვ.“¹² ოგი ხსნის ქალთა დანაშაულობის სიმცირეს არა მხოლოდ მათი ფიზიკური სისუსტით, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებისგან მათი გარიყვითა და ოჯახური ვალდებულებების მორევში ჩაძირვით.

ე.წ. ზნეობრივი ან „მორალური“ თეორია ეფუძნებოდა იმ აზრს, რომ ქალი, თავისი ბუნებით, უფრო ზნეობრივია, ვიდრე კაცი და მისი ასეთი დახასიათება გამომდინარეობს თითქოსდა თვით ქალის ხასიათის თვისებებიდან, ხოლო ხასიათის თვისებები გამომჟღავნებული იყო კაცისა და ქალის შრომის ბუნებრივი დაყოფის შედეგად. ქალთა დანაშაულობის შედარებითი სიმცირის მიზეზებს საინტერესოდ ხსნის მორალისტური თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი ნ. ზელანდი. ოგი გამოდის შემდეგი დებულებიდან: „ჩაკეტილ და ერთფეროვან ცხოვრებას, შეზღუდულ ურთიერთობებს უფრო ხშირად მიეყვარათ დანაშაულამდე, ვიდრე მრავალფეროვან და სავსე ცხოვრებას“.¹³ და ამთავრებს თავის პატარა გამოძიებას ქალების მორალური თვისებებისადმი მიძღვნილი პიშით - „სქესებს შორის მორალური თვისებების შედარება ბრდაპირ პროპორციულად გვირგვინებს ქალთა დანაშაულობის ნაკლებ აუცილებლობას და ასე რომ არ იყოს, ნამდვილად ეს იქნებოდა უდიდესი ფსიქოლოგიური გამოცანა.“¹⁴

ამ თეორიამ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება და შემდგომში ვერ შეიძინა მომხრეები.

აღნიშნული თეორიის მომხრეები ეფუძნებოდნენ იმ აზრს, რომ მორალის, ზნეობრიობის ნორმები ყველა დროისთვის და ყველაისთვის სტაბილურია.

ქალთა დანაშაულობის პრობლემების შესწავლაზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ანთროპოლოგურმა სკოლამ ჩ. ლომბროზოს, მისი მომხრეებისა და მოწაფეების თავკაცობით. ჩ. ლომბროზო ერთ-ერთი პირველი დაინტერესდა დამნაშავე ქალების შესწავლით და ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. მისმა სწავლებამ არ დატოვა გულგრილი არც ერთი მკვლევარი, გამოუჩნდნენ როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები.

დაუდო რა საფუძვლად ადამიანის ინდივიდუალური ქცევის ანომალიები, ანთროპოლოგური სკოლა უმთავრესად დაკავდა იმ ინდივიდუალური ფაქტორების კვლევით, რომლებიც გავლენას ახდენს პიროვნების დანაშაულობაზე. ანთროპოლოგური სკოლის საწყისი პოზიცია მდგომარეობდა იმაში, რომ პიროვნების ინდივიდუალური თვისებები არის დაბადებიდან თანდაყოლილი, ამიტომ დამნაშავე თავის თავში კრიმინალური ქცევის თვისებებს დაბადების მომენტიდან ატარებს, ამ დანაშაულობრივი თვისებების გამოვლენა კი დამოკიდებულია ხელშემწყობი პირობების მეტ-ნაკლებობაზე.

ჩ. ლომბროზოს შეხედულებებისა და სხვადასხვა პერიოდებში ამ შეხედულებებში მომხდარი ცვლილებების დაწვრილებითი განხილვა არ წარმოადგენს მოცემული ნაშრომის მიზანს. მაგრამ ჩ. ლომბროზოს შეხედულებების საერთო დახასიათებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ვან-კანის გამონათქვამი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ლომბროზომ თავისი დებულებების შემდგომი წარმოჩენისა და განხილვისას კრიტიკის წინების ქვეშ ოდნავ შეცვალა თავისი მიმართულება, თავდაპირველად იგი დამნაშავეს ატავიზმის პროდუქტს უწოდებდა, შემდგომში ნევროპათის და ბოლოს მიუთითა რა ეპილეპტიკოსა და მორალურად შეშლილის იგივეობაზე, მან აღიარა ამ უკანასკნელის იგივეობა თანდაყოლილ დამნაშავესთან.⁵

თავისი მოღვაწეობის უფრო მოგვიანო პერიოდში, აღიარა რა სოციალური ცხოვრების ფაქტორების გავლენა დანაშაულობაზე, ლომბროზო მაინც არასოდეს არ თვლიდა მათ დანაშაულებრივი ქცევის პირველწყაროდ.

თავის გამოკვლევებში ჩ. ლომბროზო დიდ ყურადღებას უთმობდა დამნაშავე ქალების ტიპების შესწავლასა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობების მიზეზებს. მან მიუძღვნა ქალთა დანაშაულობის კვლევას როგორც სპეციალური ნაშრომები („ქალები – დამნაშავეები და მესავეები“), ასევე თავები სხვადასხვა ნაშრომებში. ჩ. ლომბროზოს მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა ქალთა დანაშაულობის შესახებ გამოიწვია გაცხარებული დისკუსია და ამით გარკვეულწილად ხელი შეუწყო ამ საკითხის შემდგომ შესწავლას.

შეეჯახა რა იმ ფაქტს, რომ ქალთა დანაშაულობა ბევრად ნაკლებია მამაკაცთა დანაშაულობაზე, ჩ. ლომბროზო შეეცადა აეხსნა ეს მოვლენა ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიური თავისებურებით, ქალის ხასიათით, ბუნებით, გარკვეულწილად მისი ბიოლოგიური შედარებითი განუვითარებლობით.

თავისი შეხედულებების გასამართლებლად, იგი ამტკიცებდა, რომ ქალებს ნაკლებად აქვთ განვითარებული თავისი ტვინი, რომელიც თითქოსდა წონითაც უფრო ნაკლებად და ხვეულების რიცხვითაც, იგი პოულობდა სპეციფიკურ თავისებურებებს თმების, ყურებისა და ქალის სხვა ორგანოების განვითარებაში. ქალის სხვადასხვა პირობებთან შეკუების უნარი, სამკაულებისადმი სწრაფვა – ეს არის ატავიზმი, რომელიც ჩ. ლომბროზოს აზრით, მიუთითებდნენ ქალების ბიოლოგიურ არასრულფასოვნებაზე.

ქალის ანატომიისა და ფსიქოლოგიის შესწავლის პროცესში, ჩ. ლომბროზო თავისი თეორიის სასარგებლოდ, ტარდის გამოთქმით, იყენებდა „სრულიად შემთხვევით შერჩეულ მთელ რიგ გამონაკლისებს“. ეფუძნებოდნენ რა ამ ხელოვნურად შერჩეულ ფაქტებს, ჩ. ლომბროზო და მისი მიმდევრები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქალი, თავისი განვითარებით ჩამორჩება მამაკაცს. ქალების გონებრივ ჩამორჩენილობას ისინი ხსნიდნენ მათი მისწრაფებით კონსერვატიზმისკენ, მისწრაფებით შეინარჩუნონ უცვლელად ოჯახური საფუძვლები. ჩ. ლომბროზო და ლასკი წერდნენ, რომ „ქალი, ბავშვის მიგავსია, იგი ცდილობს შეინარჩუნოს რელიგია, ზნეობა და წინაპართა ტრადიციები, ჩვევები მამინაც კი, როცა კაცებმა მათზე უკვე უარი თქვეს“.

უარყოფდნენ რა ქალის უნარს, მიაღწიოს განსაზღვრულ სიმაღლეებს მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ეს ავტორები ასევე ამბობდნენ: ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქალები (სწორედ გენიალურობის არარსებობის წყალობით) ზოგჯერ არ არიან წვრილმანი სიახლეების ფანატური მომხრეები, მაგ. როგორცაა მოდის სწრაფი ცვლილებები მაგრამ მსხვილი ცვლილებები მათ არ უყვართ.⁵

ქალების გონებრივი ჩამორჩენილობის მტკიცებისას, ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლების აზრით, დიდ როლს თამაშობდა დედობრივი ფაქტორი.

ჩ. ლომბროზო წერდა, რომ: “რაც შეეხება ქალებს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის უზარმაზარი გავლენა, რომელსაც ახდენს ქალზე დედობა, შთანთქავს რა მთელ მის შესაძლებლობებს.“ ჩ. ლომბროზო და ე. ფერერო ამტკიცებდნენ, რომ კაცი მუდმივად იცვლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებს და ძალიან იშვიათია, როცა იგი დაკავებულია იმავე გარემოში იმავე საქმიანობით, რითაც მამამისი, ქალი კი, კაცისაგან განსხვავებით, თავისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს უძღვნის დედობრივ მზრუნველობას, რაც რასაკვირველია არ უწყობს ხელს მის გონებრივ განვითარებას. უდგებოდა რა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით დამნაშავე ქალების შესწავლას, ჩ. ლომბროზო ამტკიცებდა, რომ სხვაობა ქალ-დამნაშავესა და უდანაშაულოს შორის არსებობს. კერძოდ ის აღნიშნავდა, რომ დამნაშავეს თავის ქალას დამაბნელებელი თავისებურებები არა იმდენად კრანომეტრული ვაზომის რიცხობრივი მონაცემები, რამდენადაც მასში სხვადასხვა ანომალიების არსებობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების გამოკვლევებში ჩ. ლომბროზო მიუთითებს სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე, ცხოვრების პირობებზე. მაგრამ ამ პირობებს ენიჭებოდათ მხოლოდ გარე ფაქტორის როლი, ისინი წარმოადგენდნენ მხოლოდ დამხმარეებს იმ დანაშაულებრივი თვისებების გამოვლენის საქმეში, რომლებიც ბუნების მიერ ქალშია ჩადებული. ჩ. ლომბროზოს შრომები შეიცავს დიდი რაოდენობით ფაქტურ მასალას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბსოლუტურად მოკლებულია მეცნიერულ საფუძვლებს: მასალა ნაკლებადაა შემოწმებული, დასკვნები ნაჩქარეადაა გამოტანილი წყაროები არასაკმარისადაა გამოკვლეული, მასალების შერჩევა ხშირად შემთხვევითია. მაგრამ ყველაზე მთავარი მდგომარეობის დანაშაულობის პრობლემის შესწავლის დაუსაბუთებელ ანთროპოლოგიურ მიდგომაში.

ამიტომ აბსოლუტურად საპართლიანად გამოიყურება ნაშრომის ის შეფასება, რომელიც გააკეთა ა. ბებელმა. იგი წერდა: „ლომბროზოსა და ფერეროს თხზულება „ქალები - დამნაშავეები და მეძაგები“ დაწერილია შოპენაუერის სტილში. ჩვენ არ შეგვხვედრია ამ მოცულობის სხვა სამეცნიერო ნარკვევი (მასში 590 გვერდია), რომელშიც

„მხოლოდ დამნაშავე ადამიანების ცალკეულ ჯგუფებად შეკრებისას, არა დანაშაულის ტიპის, არამედ მათი ბიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, რასაკვირველია რასის, გარემოს, დროის, გათვალისწინებით, ჩვენ შეიძლება მივიღოთ დამნაშავეთა ანთროპოლოგიურად ერთგვაროვანი მასალა, რომელიც უდანაშაულო ადამიანებთან შედარებისას მოგვცემს მკვეთრად გამოხატულ დამახასიათებელ თვისებებს, რომლის საშუალებითაც განვსაზღვრავთ სხვადასხვა დონის ფიზიკურ და ფსიქურ გადახრებს.“²²

დამნაშავე ქალების კვლევისას ჩ. ლომბროზო და პ. ტარნოვსკაია მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი ქალი ფსიქიკურადაც და ფიზიკურადაც განსხვავდება იმავე რასისა და იმავე წრის საშუალო, ნორმალური ტიპის ქალისაგან“.

პ. ტარნოვსკაია, რომელმაც თავისი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა რუსი ეროვნების სხვადასხვა ტიპის დამნაშავე ქალების შესწავლას, (უმეტესწილად, სოფლების მაცხოვრებლების) აღნიშნავს, რომ თუკი მოვებნით „დანაშაულის მთავარ გენეტიკურ საფუძვლებს, დაკვირვების ქვეშ მყოფი მკვლელი ქალებიდან მკვეთრად გამოიკეთება დამნაშავეთა ორი ძირითადი ჯგუფი“ გარკვეული ფსიქიური და ფიზიკური ანომალიებით. და შემდეგ „პირველ ჯგუფში უპირატესი მნიშვნელობა აქვს მგზნებარე ვნებას, ფინის, რომელიც მთლიანად მოიცავს გაუწონასწორებელ არსებებს და მიჰყავს იგი მკვლელობისკენ“ მეორე ჯგუფში, პირიქით, უფრო მკვეთრად წინ იწევს ზნეობრივი საწყისების არაპირული, დაზღუდებული აქტმა, ინტელექტის დაბალი დონე, და სწორედ ამ ნიშადაგზე, სრულად ჩვეულებრივი მიზეზი, რომელიც ნორმალურ ადამიანში არ გამოიწვევდა არანაირ დანაშაულობრივ ქმედებას, შეიძლება ვახდეს მკვლელობის საფუძველი“.

როგორც მოცემული გამოხატუებებიდან ჩანს, დამნაშავეთა ეს ჯგუფები თითქოს ავარდნილნი არიან როგორც რეალური სინამდვილიდან, ასევე იმ სოციალური პირობებიდან, რომლის წყალობითაც ისინი ამგვარად ჩამოყალიბდნენ. ლომბროზოსა და მისი სკოლის მიერ გარემოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გავლენის მნიშვნელობის აღიარება თითქოს ქმნის ფონს დამნაშავის თანდაყოლილი და გენეტიკური თვისებების გამოსავლენად, რომელიც აირეკლება განვითარების ფსიქიკურ და ფიზიკურ ანომალიებში.

მაგრამ არც ერთი ეს მტკიცებულება არ იძლეოდა სრულ, მკვეთრ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რაშია ქალთა დანაშაულობის სიმცირის მიზეზი მამაკაცთა დანაშაულობასთან შედარებით. გ. ტარდი, ეწინააღმდეგებოდა რა ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს, წერდა: „ქალებს აქვთ განსაცვიფრებელი მსგავსება დამნაშავეებთან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი კაცებთან შედარებით ოთხჯერ უფრო ნაკლებად არიან მიდრეკილნი დანაშაულისაკენ, და მე შემიძლია დავამატო - ოთხჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სიკეთისკენ“.

ნამდვილად, არც ერთი ეს მოსაზრება არ განმარტავდა ქალთა დანაშაულობის სიმცირის მიზეზს მამაკაცთა დანაშაულობასთან შედარებით. ანთროპოლოგიური სკოლის ყველა მოსაზრება მიდიოდა იქითკენ, რომ დამნაშავე ქალში თვით ბუნების მიერ არის ჩადებული ისეთივე უარყოფითი თვისებები, როგორც მამაკაცში.

ჩ. ლომბროზომ, ეყრდნობოდა რა ანტროპომეტრიული გაზომვის მონაცემებს, წამოაყენა მოსაზრება, რომ მეტად, თავისი წყობით მეტად ახლოს არის დამნაშავესთან.

ამგვარად, ჩ. ლომბროზო აცხადებდა ქალთა დანაშაულობას მეძაგეების ხარჯზე. თვლიდა რა, რომ პროსტიტუცია არის ქალთა დანაშაულობის სპეციფიური ფორმა²³.

დამნაშაფისა და მეძაგის ტიპების მსგავსების გამო იგი მივიდა გადაწყვეტილებამდე, ქალთა დანაშაულობის შევსების აუცილებლობის შესახებ პროსტიტუციის სტატისტიკით. პროსტიტუციის გაჩენის მიზეზების ახსნისას იგი წერს: „ბევრისთვის სიღარიბე და შშობლებისგან ყურადღების მოკლება არის მხოლოდ შემთხვევითი საბაბი, ნამდვილი მიზეზი კი იმალება უსივრცეფილობასა და ზნეობრივ იდიოტიზმში, რომლის გამოც ქალი მიდის პროსტიტუციამდე“²⁴.

ე. ფერი, რომელსაც ეკავა შუალედური ადგილი სოციოლოგიურსა და ანთროპოლოგიურ სკოლებს შორის, ასახულებს რა თავის შეხედულებას, აღნიშნავს: „მართალია ქალის წილი საერთო დანაშაულობაში თითქმის უმნიშვნელოა, მაგრამ პროსტიტუციის გზით იგი ავლენს თავისი სიქისთვის დამახასიათებელ გადაგვარების ნიშნებს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დანაშაული არ არის მხოლოდ ბიოლოგიური თვისებების შედეგი, არამედ წარმოადგენს ამ თვისებების, ფიზიკური და სოციალური ფაქტორების ერთდროული გავლენის შედეგს“²⁵.

ყოველი ზემოთქმული მტკიცებულება ეფუძნებოდა ქალთა ბიოლოგიურ არასრულფასოვნებას, არასტაბილურ ხასიათს, სუსტ ფსიქიკას და ა.შ. ლომბროზო და ფერი საუბრობდნენ ქალთა სიქისათვის დამახასიათებელ გადაგვარებაზე. ქალთა დანაშაულობის განხილვის დროს, ქალის მიერ დანაშაულის ჩადენის სოციალური მიზეზები მათ მიერ აღიქმებოდა, როგორც მეორეხარისხოვანი ფაქტორი, როგორც ფონი დანაშაულობრივი მიდრეკილებების გამოსავლენად. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ქალთა ერთი ნაწილი პოულობდა დანაშაულის ჩადენაში, მეორე კი – პროსტიტუციაში.

ამგვარად, დამნაშავე ქალთან დაკავშირებით ანთროპოლოგიური სკოლის მიერ გამოთქმული მთავარი დებულებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

- 1) ქალის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის სოციალური რეალობის პროდუქტი, არც საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის ანარქიკალი, არამედ თანდაყოლილი უარყოფითი თვისებების მქონე ბიოგენების თვისებების თავისებური გამოხატვა, განსაზღვრული ანატომიური, ფიზიოლოგიური და ფსიქიკური თავისებურებებით.
- 2) დანაშაულობის მთავარი მიზეზი მდგომარეობს არასახარბიელო მეკვიდრეობითობაში, გარემო და ბირობები კი მხოლოდ ხელს უწყობს ბიოგენების თანდაყოლილი თვისებების გამოვლენას.
- 3) დამნაშავეება, რომლებიც არ მოხვდნენ არც ერთ ანტროპომეტრიულ ცხრილში. მიეკუთვნებოდნენ ე. წ. „შემთხვევით“ დამნაშავეებს. ქალთა და მამაკაცთა დანაშაულობას შორის ასეთი დიდი სხვაობის ახსნა კი მდგომარეობდა იმაში, რომ დამნაშავე ქალების რიცხვის არ ემატებოდა იმ ქალების რაოდენობა, რომლებიც ეწევიან „პროსტიტუციას“.
- 4) რადგან დანაშაული განპირობებულია ქალის ბიოგენების ბიოლოგიური თავისებურებებით, მისი სასაჯელი უნდა შეცვლილი იქნეს სამედიცინო ხასიათის ზომებით, წინასწარი დაკავების ადგილი კი უნდა იმავდროულად იყოს კლინიკური მეთვალყურეობის ადგილი.

ამგვარად, ანთროპოლოგიური სკოლისათვის დამახასიათებელია დამნაშავე ქალის განხილვა სოციალური ბირობებისგან მოწყვეტით. მაგრამ ადამიანი „არ შეიძლება

განხილვით იზოლირებულად, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივ არსებას, საზოგადოებრივი ურთიერთობების სუბიექტს, საზოგადოების კონკრეტულ წარმომადგენელს, რომელიც ავლენს თავის თავს საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორც სოციალური კოლექტივის ნაწილი (საზოგადოებრივი ჯგუფის, კლასის, ერის). ამიტომ თვისებები, რომლითაც ხასიათდება პიროვნება, არ შეიძლება იყოს თანდაყოლილი, არამედ საბოლოოდ განისაზღვრება ცხოვრების მატერიალური პირობებით.²⁶ და შემდეგ სამართლიანად აღინიშნება: „ღამანაშაძის პიროვნებისთვის დამახასიათებელია არა თანდაყოლილი დანაშაულობრივი თვისებები, არამედ სოციალურად განისაზღვრული დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც თავს იჩენს ანტისაზოგადოებრივი ქცევის აქტში.

თავის ნაშრომებსა და გამოცემებში, გ. ტარდი აღნიშნავს, რომ ლომბროზო, იწყებს რა თანდაყოლილი დანაშაულებების ტიპის არსებობის მტკიცებას, აშკარად მიღის ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებთან. ტარდი ასკვნის: „ლომბროზოს სკოლამ საბოლოოდ დაგვიმტკიცა, რომ დანაშაულებები, როგორც ადამიანის ბუნებრივი სახესხვაობა, არ არსებობს.“²⁷ მაგრამ დანაშაულობის ჭეშმარიტი მიზეზების დადგენა ვერ შეძლო ტარდიმაც. ანთროპოლოგიური სკოლისაგან განსხვავებით, სოციოლოგიური სკოლა შეეცადა აეხსნა დანაშაულობის მდგომარეობა ისტორიულ და სოციალურ ცვლილებებთან კავშირში. რუსეთში ამ სკოლის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის მ. გერნეტს. თავის ნაშრომში „დანაშაულობის სოციალური ფაქტორები“, რომელსაც საფუძვლად უდევს იტალიელი კრიმინალისტიკის კოლაიანის შრომა, მან გააანალიზა იმ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი თეორიები.

მ. გერნეტი აღნიშნავს: „კოლაიანი სრულიად სამართლიანად მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა დანაშაულობა განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებისა და სხვადასხვა წლების მიხედვით, იგი ხან უახლოვდება მამაკაცთა დანაშაულობის ზღვარს, ხან პირიქით, სცილდება მას, იმის მიხედვით, თუ როგორ სოციალურ პირობებში უხდება ქალს ცხოვრება, უახლოვდება მამაკაცის მდგომარეობას თუ შორს არის მიგან.“²⁸

სოციოლოგიური სკოლისათვის დამახასიათებელი იყო კაპიტალისტური წყობის ჩარჩოებიდან გამოუსვლელად სოციალური პირობების შეცვლის შესაძლებლობის აღიარება. აქედან გამომდინარე, იგი აღიარებდა დანაშაულობის შეცვლას სხვადასხვა ფაქტორების გავლენასაც, როგორცაა წარმოების, კულტურის, განათლების და ა.შ. განვითარება.

ა. ფონიციკი ამბობს: „თუკი კულტურის დონეს განვისაზღვრავთ მიღებული შთაბეჭდილებების სიუხვის მიხედვით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო კულტურულია ქალი, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება მისი მოღვაწეობა, მათ შორის დანაშაულობრივიც.“²⁹ სხვა მკვლევარები, მაგალითად, ა. ოზეროვი, აღნიშნავენ: „იმ გუბერნიებში, სადაც წარმოებაა განვითარებული, ქალთა დანაშაულობის კოეფიციენტი მამაკაცთა დანაშაულობის კოეფიციენტთან შედარებით უფრო მაღალია“ ე.ი. „სამრეწველო ცხოვრების გავლენით ქალთა დანაშაულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მამაკაცთა.“³⁰

ამგვარად, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების ძირითადი დებულებების მოკლე ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვითანოთ შემდეგი დასკვნა, მათ ვერ შეძლეს ზოგადად დანაშაულობის და კერძოდ ქალთა დანაშაულობის მიზეზების დადგენა. მიუხედავად მდიდარი ფაქტური მასალისა და ცალკეული სწორი

დებულებებისა, ამ კრიმინოლოგიური მიმართულებების საერთო კონცეფციები თეორიულად დაუსაბუთებელია.

ანტიისტორიზმი, დანაშაულობის განხილვის მეტაფიზიკური მიდგომა შეთავსებული საზოგადოებრივი ცხოვრების იდეალისტურ გაგებასთან. აი, ასეთია ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების წარმომადგენლების შეხედულებების მთავარი დამახასიათებელი ნიშნები.

1. ასე რომ, სოციოლოგიური სკოლა განხილავდა ქალთა დანაშაულობას არა მხოლოდრეულად, არამედ მოშდარ სოციალურ და ისტორიულ ცვლილებებთან გარკვეულ კავშირში. მაგრამ სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენლები ამ თეორიას განხილავდნენ შეზღუდულად, რადგან ისინი აღიარებდნენ სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ტოლფასობას, სოციალურ ცხოვრებაში ამ ფაქტორების დონეების გათვალისწინების გარეშე.

2. სოციოლოგიური სკოლის მეორე დამახასიათებელი თვისება იყო ქალთა დანაშაულობის სტრუქტურასა და დინამიკაში ცვლილებებისადმი მეტაფიზიკური მიდგომა. მათ ვერ დაინახეს გამოკვლევული ფაქტორების გავლენის დიალექტიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივ წყობაზე.

ყურადღებელია ის ფაქტიც, რომ რევოლუციამდელი რუსეთის კრიმინალისტიკების უმრავლესობა განხილავდა ქალთა დანაშაულობას და სრულად იზიარებდა სოციოლოგიური სკოლის ძირითად კონცეფციებს.

ყოველი საზოგადოებრივი მოვლენის მეცნიერული წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე, ამიტომ მეტად საინტერესოა პირველი მარქსისტი კრიმინოლოგების ნაშრომები, რომლებიც ეხება ქალთა დანაშაულობის პრობლემებს.

ჯერ კიდევ 1897 წელს პ. სტუჩკა თავის სტატიაში „დამნაშავე ქალების შესახებ“ მარქსისტული პოზიციიდან ხსნიდა ანთროპოლოგიური სკოლის კონცეფციების უსუსურობას და სრულად სამართლიანად აღნიშნავდა იმას, რომ ყველა სახის დანაშაულში, მათ შორის ქალების მიერ ჩადენილში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავეს მატერიალურ და საზოგადოებრივ მდგომარეობას. ამ სტატიაში პ. სტუჩკა სრულებით უარყოფს „ქალის ხასიათს“, ამტკიცებს რა, რომ ქალის ხასიათი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. ყველა ქალის ხასიათი, მათ შორის დამნაშავესაც, ყალიბდება და იცვლება დროისა და გარემოებების შემოქმედების შედეგად. ოგი ასევე ხაზს უსვამს: „დანაშაულობის მიზეზებზე გავლენას ახდენს არა სქესი და სხვა ბიოლოგიური თავისებურებები, არამედ პირობები და გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს.“

ქალთა დანაშაულობის პრობლემებით ინტერესდებიან დასავლეთის მეცნიერები და ეს ბუნებრივად, რადგან თვით კაპიტალისტური წყობის წინააღმდეგობები ხელს უწყობს ამ მოვლენის განვითარებას.

საზღვარგარეთის ქვეყნებში არის საკმარისი რაოდენობის ლიტერატურა, მიძღვნილი ქალთა დანაშაულობის პრობლემების შესწავლისადმი. ამ მოვლენის მრავალრიცხოვანი მკვლევარები ეძებდნენ მამაკაცებთან შედარებით ქალთა დანაშაულობის სიმცირის მიზეზებს სამ ძირითად სფეროში, ესენია: ბიოლოგიური, სოციოლოგიური და ზნეობრივი. არსებობდა და დღესაც არსებობს მრავალრიცხოვანი თეორიები, რომელთა მომხრეები

ამტიციკუნ, რომ მხოლოდ ერთი სფეროს მეორესთან შეფარდებით შეიძლება ამ მიზეზის განსაზღვრა.

მაშაქაცთა და ქალთა დანაშაულობის საკითხში მიუხედავად დასავლეთის თეორიების სხვადასხვაობისა, მთავარი აქცენტი ადრეც და ახლაც კეთდება ბიოლოგიურ ფაქტორზე. თ. პოლაკი ხაზს უსვამს: „ქალთა დანაშაულობის სოციალური ფაქტორების სწორი გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ფაქტორები განიხილება საპირთაღმარღვევის ბიოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.“

ამგვარად, დასავლეთის მეცნიერები არ უარყოფენ დანაშაულობაზე სოციალური ფაქტორების გავლენას, მაგრამ ანიჭებენ მათ მხოლოდ გარე ფაქტორის როლს, რომელიც ხელს უწყობს იმ დანაშაულობრივი თვისებების გამოვლენას, რაც, მათი აზრით, ქალში თვით ბუნების მიერ არის ჩადებული.

სხვა სიტყვებით, ისინი ამტიციკუნ, რომ დანაშაულობა ეს არის არა სოციალური სინამდვილის პროდუქტი, არამედ იმ პირობების მოქმედების გამოხატულება, რომელთაც აქვთ გარკვეული თანდაყოლილი მიდრეკილებები ანტიისაზოგადოებრივი მოქმედებისადმი.

ამიტომ, დასავლეთის მეცნიერები წინასწარმეტყველებენ, რომ ქალთა ემანსიპაციის შემდგომ განვითარებასთან ერთად უფრო ფართო ასპარეზი მიეცემა ანტიისოციალურ მიდრეკილებებს. ამის ერთადერთ ალტერნატივად ისინი თვლიან ქალთა მოღვაწეობის შეზღუდულ სფეროებს.

ეს კონცეფცია, გაუღნითილი მეტაფიზიკური ანთროპოლოგიზმის სულისკვეთებით, თეორიულად უსუსურია, პოლიტიკურად კი აშკარად რეაქციული.

მარქსიზმ-ლენინიზმის მიმდევრები ამტიციკუნდნენ ადამიანის ბუნების შეუცვლელობის სიმკდარეს. მათი აზრით, ადამიანი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობას. საზოგადოებაში ცხოვრება მიუხედავად დამოუკიდებლად შეუძლებელია. ნებისმიერი პიროვნება, თავისი აზრებით, შეხედულებებით, ქმედებებით წარმოადგენს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ნაყოფს, ამ ურთიერთობების ინდივიდუალურ ხორცშესხმას.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობას აქვს დიალექტიკური ხასიათი. საზოგადოება ისევე ქმნის ადამიანს პიროვნებად, როგორც ადამიანი ქმნის საზოგადოებას. აი ასეთია მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიცია და ეს პოზიცია დამტიციკუნულია ისტორიის გამოცდილებით. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარების ყოველი ახალი ეტაპი კანონზომიერად მიდის ქალის, როგორც პიროვნების, მდგომარეობის შეცვლისკენ. თეივე კავშირი არსებობს დანაშაულობრივი ქმედებების გამოვლენის სფეროშიც.

შეიძინევა გარკვეული დამოკიდებულება ქალების მიერ ჩადენილი დანაშაულის სახეობებსა და მათი საქმიანობის სტრუქტურებს შორის. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპი - ქალთა დანაშაულობის შესწავლა, იხევე როგორც დანაშაულობის ზოგადად, ხდება კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით. მხოლოდ კონკრეტული სოციალური სიტუაციების ანალიზმა შეიძლება გადაწყვიტოს ეს რთული პრობლემა.

სოციალიზმის ეპოქაში ყოფილ საბჭოთა კავშირში ტარდებოდა მნიშვნელოვანი კრიმინოლოგიური გამოკვლევები. მათ შორის დიდი ადგილი ეკავა ქალთა

დანაშაულობას. ამ საკითხს შესწავლიდნენ არა მხოლოდ კრიმინოლოგები, არამედ ფსიქიატრები და ფსიქოლოგები მიუხედავად ამისა, 20-30-იანი წლების მრავალ შრომაში შემჩნევა, ერთი მხრივ, სოციოლოგიური სკოლის გავლენა, მეორე მხრივ, ზოგიერთ ავტორთან საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა დანაშაულის ჩადენის მიზეზების განხილვისას ქალსა და კაცს შორის არსებულ ბიოლოგიურ სხვაობას. ზოგადად, მრავალი ავტორის მიერ შესრულებული იქნა უზარმაზარი სამუშაო, რომლისგანაც სარგებელი დღესაც არ არის ამოღებული რადგან იმ წლებში გამოკვლეული უზარმაზარი მასალა დღემდე არ არის სრულად შესწავლილი. აღსანიშნავია, რომ 20-30-იან წლებში ჩვენი ქვეყანაში არსებულმა ინტერესმა დაძნალების პიროვნებისადმი ხელი შეუწყო ქალთა დანაშაულობის საფუძვლიან შესწავლას. ა. ტრანინი, კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალთა დანაშაულობის საკითხის განხილვისას აღნიშნავს: „როგორ პარადოქსალურადაც არ უნდა ვდვრდეს, ერთდროულად და პარალელურად იზრდება ქალთა დანაშაულობა და ემანსიპაცია (დამოუკიდებლობა). მაგრამ ეს არის თანამედროვე საზოგადოებრივი ურთიერთობების მრავალ პარადოქსთაგან მხოლოდ ერთი. ემბება რა საწარმოო ორომტრიალში, პროლეტარიზდება რა მამაკაცების პარალელურად და ამგვარად ემსიპაცება რა მას სოციალურად, ქალი იმავდროულად უახლოვდება მამაკაცს კრიმინოლოგიურადაც. სოციალური ზღვარი მამაკაცსა და ქალს შორის, მიუხედავად მათი ღრმა ორგანული სხვაობისა, თანდათან ქრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის დანაშაულობრივშიც.“

ქალთა დანაშაულობის შესწავლის ისტორიული ასპექტები სოციალისტური წყობის პირობებში და თანამედროვე მსოფლიოში ფრიად საინტერესო და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რაც ცალკე კვლევის საგანია და განხილული უნდა იქნეს დამოუკიდებელ თეზად.

¹ Г. И. Шнайдер Криминология стр., 317

² Эдвин М. Шур. Наше преступное общество. М. 1977., стр.87

³ Механизм преступного поведения. Колл. Авт. М., 1981, стр. 22

⁴ Бабаев М. М. Духовная культура и преступность в книге "Влияние социальных условий на преступность" - М., 1983, стр. 69

⁵ Ефремова Т. Х. Лежава Г. Ш. Ратинов А. Г. Шавгулидзе Т. Г. "Общественное мнение и преступление" Тбилиси, 1984, стр.51

⁶ Кикнадзе Д. А. Система факторов действия и развития личности" – Тбилиси, 1982, стр. 18

⁷ Ефремова Т. Х. Лежава Г. Ш. Ратинов А. Г. Шавгулидзе Т. Г. "Общественное мнение и преступление" Тбилиси, 1984, стр.56

⁸ Кудрявцев В. Н. - Социальные отклонения Введение в общую теорию, М. 1984, стр.193

⁹ Г. Х. Ефремова и др. Общественное мнение и преступление. стр. 249-253

¹⁰ Шнайдер Г. И. цит. раб. 283-287

¹¹ Кон И. С. Социология личности, М. 1967, стр.,359

¹² ა. კეტლე, ადამიანი და მისი შესაძლებლობების განვითარება, 1865, გვ. 7-8

¹³ ნ. ზელანდი, ქალთა დანაშაულობა, 1893, გვ. 9

¹⁴ იქვე გვ. 11

¹⁵ ვან-კანა, დანაშაულობის ეკონომიკური ფაქტორები, მ. 1955, გვ. 39

¹⁶ ჩ. ლომბროზო, ე. ფერერო, ქალები-დანაშაულები და მებავეები, კიევი, 1803, გვ. 50.

¹⁷ ა. ბებელი, ქალი და სოციალიზმი, 1959, გვ. 203

¹⁸ ბ. ტარნოვსკია, ქალი-მკვლედი, 1902, გვ. 11

¹⁹ იქვე გვ. 484

²⁰ იქვე გვ. 141

²¹ პ. ტარნოვსკაია, ქალი-მკვლელი 1902, გვ. 482

²² იქვე გვ. 483

²³ ჩ. ლომბროზო, ე. ფერერო, ქალები-დამნაშავეები და შეძახები, კიევი, 1903, გვ. 443

²⁴ იქვე გვ. 483

²⁵ ე. ფერო, სისხლის სამართლის სოციოლოგია, ნაწ. I, 1910, გვ. 11

²⁶ უ. ვეკებაიევი, დანაშაულობრივი ქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ, აღმა-ატა, 1971, გვ. 31

²⁷ ტ. გარდი, დამნაშავე და დანაშაულობა, 1906, გვ. 2

²⁸ მ. გერნეტო, დანაშაულობის სოციალური ფაქტორები, 1906, გვ. 131-132

²⁹ ი. ფონიუკი, ქალი დამნაშავე: „ჩრდილოეთის უწყებანი“. 1893, წ. 37 გვ. 127

³⁰ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებული იურიდიული საზოგადოების ჟურნალი 1896, №4, გვ. 51

³¹ საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი, 1965, №7, გვ. 98 (ციტ. ე. სტუმბინას სტატიიდან „დანაშაულის მიზეზები და მათთან ბრძოლის მეოთხედი პ. სტურკას ნაშრომებში“)

თავი 8
ორგანიზებული დანაშაულობა

§ 1. ჯგუფური დანაშაულობა¹

დანაშაულობასთან ბრძოლის ამოსავალ კრიმინოლოგიურ პრობლემათაგანია ჯგუფურ დანაშაულობათა მიზეზების შეძენებისა და მისი წინასწარ აღკვეთის პრობლემა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჯგუფურ დანაშაულობათა მექანიზმული კვლევის ბუნებრივი სტიმული გახდა ორი არსებითი გარემოება:

პირველი – შექცეული კრიმინალური სიტუაცია, რომელიც „შეივსო“ ჯგუფური დანაშაულობის ახალი ფორმებით.

მეორე - ახალი კანონმდებლობა, რამაც ჯგუფური დანაშაულობის თბიქტური კრიმინოლოგიური ანალიზის საფუძველი შექმნა.

ამ პირობებში მექანიზმები მიმართავენ ჯგუფური დანაშაულობის (ჯალკეული საშუალო ფორმების აღწერასა და ანალიზს, განსაზღვრავენ თეორიული ხასიათის მდგომარეობას მაგრამ, მთლიანობაში, აღნიშნული კვლევები ჯერ კიდევ ვერ ასახავს ჯგუფური დანაშაულობის ერთიან სურათს (ცხადია, რომ აღნიშნული ხასიათის ძიებანი მნიშვნელოვანია, თუქვა ჯგუფური დანაშაულობის პრობლემა თავისი სართულით სკადდება (ჯალკეული ფორმების ვაზრების საზღვრებს ამაზე მათუთებს განვითარებული ქვეყნების გამოყვდილება, სადაც ჯგუფურ დანაშაულობათა შესახებ ნახეარ საუქუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ინფორმაციის დაგროვების პროცესში, მქარე ჯგუფების ახალიზიდან გადავიდნენ ახალ ფაზაში - ჯგუფური დანაშაულობის განხადვის ევოლუქიურ ფაზაში აღნიშნული საკითხი საგანგებოდ ვახხილა გაერომ ინტერნაციონალის მონაცემებით ჯგუფების ორგანიზებულობა, მათი სოქიალური არსი, საბოლოო ჯამში, არის მთავარ კრიმინალურ ჯგუფთა, როგორც ორგანიზებული დანაშაულობის არსებითი შედეგი, ანუ კრიმინალური ჯგუფების ევოლუქიის ნაყოფი, მაშასადამე ჯგუფურ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკა სკადდება იმ ზომების ჩარჩოებს, რომლებიც მხოლოდ (ჯალკეული ჯგუფების წინააღმდეგ არის მიმართულია პარაქთა, როგორც აღნიშნავენ მექანიზმები, დანაშაულობის თავიდან აქილების თბიქტი ხდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის კრიმინალური აქტიურობის თანდათანობით გართულების პროცესი, ანუ ჯგუფური დანაშაულობის უფრო რთული ფორმების ჩამოყალიბება, შედარებით ნაკლებად რთული ფორმებისაგან.

თანამედროვე ეტაზე ჯგუფური დანაშაულობის შესახებ განმაზოგადებული კვლევის არარსებობას შეუძლია დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის მთელს პროცესზე უარყოფითად იბოქედოს ჯგუფური დანაშაულობის გამოვლანებას სხვადასხვა ფორმები გააჩნია ტერორისტული აქტები, ბანდიტური ომები, მქევალითა აყვანა, კორუქვა, ყაჩაღობა და ა.შ ყველა მათგანს აქეს არა მარტო კონკრეტული მიზეზები, არამედ მათთან ერთად ზოგადიც ზოგადი ნაშების აუნორარება იწვევს ბრძოლის პრაქტიკის კერძო ებიზოდურ სბრტყეში გადაყვანას და თვალსაწიურადან იქარება ერთიანი პრევენტული პოლიტიკის ღონისძიებანი.

შესაბამისად, ჯგუფური დანაშაულობის გენეზისის ერთიანი სურათის უკოდანარობას მოსდევს დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკის ღონისძიებათა დაქაქსება ჯგუფური დანაშაულობის ვაერკვლების წინასწარ აღსაკვეთად კონკრეტული მდგომის ნაკვლად, სხვადასხვა ორგანობი იბულებული იქებანი, დაერდნონ კერძო ხასიათის რეკომენდაციებს რაც უქვივლად გართულებს სიტუაციას და არ მდგვიყვანს სასურველ შედეგამდე გარდა ამისა, ფაქტორული მდგომა ექინააღმდეგება ქართული მექანიზმების

ტრადიციებს სწორედ ამიტომ ბნ. გ. ნანეიშვილი, ჯერ კიდევ ტოტალიტარული რეჟიმის დროს ავითარებდა თვალსაზრისს ნორმატიულობის ერთიანი ფალოსოფიური გაგებისა და მისი დარღვევის პროცესის შესახებ.

ამასთანავე კომპლექსური მადგომის გარეშე ჯგუფური დანაშაულობის პრობლემას მაფაქართ სუბიექტივიზმამდე ჯგუფური დანაშაულობის გაგებისადმი უარყოფით დამოკიდებულებამდე სხვადასხვა ორგანიზების ქმედებითა კოორდინაციას უკანა პლანზე გადასა და მის ადგილს საბოლოო ვაშში, უწყებრივი ინტერესები, ამა თუ იმ თანამდებობის მართა ინტერესები დაიჭირეს.

ჯგუფური დანაშაულობასთან ბრძოლისას მნიშვნელოვანია არა მარტო ფაქტების გამოვლენა, არამედ ასევე პროფლაქტიკურ ღონისძიებითა ჩატარება, სადაც დანაშაულობის „რუკის“ პროგნოზირებადი მონაცემები მიუთითებს კრიმინალური ჯგუფების მოსალოდნელ გამოყოფილებას ცხადია, რომ სერიალური კრიმინოლოგიური პროგნოზის გარეშე შეუძლებელია წარმატების მიღწევა მაშასადამე ჯგუფური დანაშაულობის ყველა ფორმის კრიმინოლოგიური გამოკვლევა წარმოადგენს ოპერატიულ-სამძებრო პრაქტიკის კონკრეტულურ საფუძველს.

ამასთან ერთად ჯგუფური დანაშაულის ევოლუციასთან დაკავშირებულ გამოკვლევებს დაემატება პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს რადგან, ჯერ ერთა, იქნება სტადიური მეცნიერული საფუძველი საკანონმდებლო რეფორმების გატარებისათვის, რომელიც პერსპექტივაზე იჭნება გათვალისწინებული და მეორე ყალიბდება კრიტიკუმი სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის.

ცხადია, რომ მხოლოდ ჯგუფური დანაშაულობის ყველა ფორმის სრული გამოკვლევა იძლევა შესაძლებლობას დაფუძნებით შედარებით ანალიტიკური მსოფლათს სხვა ქვეყნებში და აქედან გამოვლით ჯგუფური დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტები.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფური დანაშაულობის ინდივიდუალურ დონედ ითვლება არა კონკრეტული საქციელი, არამედ მთელი ჯგუფის ქვეყა თავის მხრივ, თვით ჯგუფის ქვეყა არის ჯგუფის მხოლოდ გარეგანი ხასიათობრივი გამოხატულება, სადაც ძირითად არის შეადგენს ჯგუფის სტრუქტურა საერთო სოციალური პროცესები ინდივიდუალურ დონეზე სწორედ ჯგუფის სტრუქტურის მეშვეობით ელინდება მაშასადამე ჯგუფური დანაშაულობის სრული ასახვისათვის, საქარაა, გაფორმეთ კრიმინალური ჯგუფების როგორც დანაშაულობის ელიმენტის პრობლემაში.

კრიმინოლოგიის თეორიასა და დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკაში გამოიყოფა გაგება „ჯგუფების სტრუქტურები“. აქ წინ წამოსწვივინ რთლებს, რომლებიც განაწილებულია კრიმინალური ჯგუფის წევრებს შორის ასეთი მადგომა მისაღება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად. მაგრამ იგი ნალებად გამოსადგება მასალის სოციალოლოგიური განზოგადებისათვის. მაგალითად, ჯგუფები სტრუქტურის მიხედვით შეიძლება ერთნაირი იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა ჯგუფი სრულს ორგანიზებულ დანაშაულს ხელისუფლების ხელყოფის გარეშე და მაშინაც, როცა ჯგუფის ქმედებაში არის ასეთი ელიმენტა მაშასადამე ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის შექცევებისათვის (ცნება „ჯგუფების სტრუქტურები“ გამოსადგება არ არის ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის გამოსაკვლევიად აუკალიბელია შემოვილით ახალი გაგება „კრიმინალური ჯგუფის სტრუქტურა, როგორც ჯგუფური დანაშაულობის ელიმენტა“. ეს აღწერალობითი გაგება მასალას სხვა კონხით აანალიზებს, კერძოდ, არა როდების გამოყოფის თვალსაზრისით, არამედ დანაშაულების გამოყოფითი არსებობად, დაპარაკა დანაშაულთა იმ სტრუქტურაზე რომელსაც კრიმინალური ჯგუფი სრადის.

ისი ცხრილში მოცემულია ჯგუფური დანაშაულის ევოლუციის ძირითადი ფაზების სქემა „A“ ფაზაში, როგორც სქემადან ჩანს, ჩვენ გამოვიყოფთ ჯგუფების ფორმებს მათ შემთხვევათა ეწოდებით იმის გამო, რომ ჯგუფი დანაშაულს სრადის ეპისოდურად და კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციის გაფლენათ იმ სიტუაციების ემპირული

გარანტიები მრავალხარისხიანი და ისინი საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი კრიმინოლოგებს აქვე აღინიშნავთ, რომ განსახილველი ფორმები შემთხვევითაა ამის გამო, რომ ჯგუფის არსებობის მთავარი პრინციპია ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, არის არა თვით ჯგუფში, არამედ ამ ჯგუფს გარეთ კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაცია განსაზღვრავს, როგორც დანაშაულობის არჩევანს, ასევე მართლსაწინააღმდეგო რეაქციას ინტენსივობას ამ სიტუაციაზე შემთხვევითაა ფორმა „A“-ს საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ რამდენიმე ფართოდ ცნობილი მაგალითი, რ-მ მთვრალმა, უკნობი პარის კ-ს თხოვნით, რომელმაც ჩხუბი აუტყხა სხვას მონაწილეობა მიიღო ჩხუბში. შედეგად რ-მ და კ-მ ჩაადანეს მკვლელობა ხელისუფლების განზრახვით. ვნახთ სხვა მაგალითი, კ-მ უკნობი მოქალაქის მიმართ დაიწყო შეურაცხყოფილი ქმედება, შედეგად დასვა მიწაზე დაუწყო ტანსაცმლის ვახდა და დაუბრა საათის ართმევა მძარცველს მისი მეგობრები რ და ფ. წამოეშველნენ მოქალაქის ძარცვაში კადევ ერთი მაგალითი - კ და ვ ამყოფებოდნენ დაბადების დღეზე მეგობარ ქალისშვილთან, როცა მათი თანამესუფრეები (კ)კვადენენ, ისინი ვაგადენენ მეორე ოთახში და იქიდან მოაპარეს მასხინძლის ოქროს ნივთები.

მაგალითების მოტანა კადევ შეიძლება. მაგრამ, ჯგუფური დანაშაულობის შემთხვევითი ფორმის საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია. დანაშაულობები აქ შემთხვევით არის „შემზადებული“ და ორგანიზებული კრიმინალური ქმედების ეპიზოდებს არ განეკუთვნებიან.

ჯგუფური დანაშაულების შემთხვევითი ფორმა („A“ ფაზა) ბოლომდე სიტუაციაზე დამოკიდებულია აქ საქმე გვაქვს ყველაზე მარტივ ფორმასთან, რომლის საზღვრები, მკვლელობის თქმით, ვაპროექცივლია, გადარეკვნილია სუბსტანცია ამყოფება არა თვით ფორმაში, არამედ მის გარეთ. შეიძლება ითქვას, რომ ვ. შემთხვევითი ფორმაში სარწმუნო ამყოფება არა თვით ფორმაში, არამედ ამ ფორმის გარეთ.

როგორც ნაჩვენებია №1 ცხრილში, ჯგუფური დანაშაულობის შემდეგი ფორმა ვახლავთ დუალისტური ფორმა „B“ ფაზას ჩვენ ევოლუციას ვარდამავალი ფაზა ვიწოდეთ, მასში ორი სახეობაა წარმოდგენილი „B1“. . . ბლოკში მოცემულია, ჯგუფური დანაშაულობის ისეთი სახეობა, სადაც არ აღინიშნება ხელისუფლების ხელყოფის ელემენტები. ამ საფეხურზე საქმე დუალისტურ ფორმასთან გვაქვს აქ დუალიზმის სისტემა ვაიზრება, როგორც ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სარწმუნო, აქაა მხოლოდ ვახლევის და ვონების სასოწარკვეთის სისტემა.

ერთი მხრივ საქმე გვაქვს ორგანიზებულ ფორმებთან, მეორე მხრივ აქ ვერ კადევ არ არის დამახასიათებელი ნიშნები ორგანიზებული ფორმებისა: მოგების სისტემატური მღება ძალადობითი ან ანგარებითი დანაშაულის გზით თუკი იღებენ მოგებას, ეს ხდება მხოლოდ საერთო სისხლის სამართლის დანაშაულების საშუალებით.

„B“. . . ბლოკისათვის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ საქმე №18, რომელიც ვანიხლა სასამართლომ 1998 წლის 3 აპრილს ხუთკაციანი ჯგუფი ტ-ს მეთაურობით, კ. საგარეჯოსა და სხვა რეგიონებში რამდენიმე წელიწადს ყაჩაღობდა ჯგუფის ზოგ წევრს იარაღი მქონდა, დანაშაულობა ჩადენისას ჯგუფის წევრები იკვლებოდნენ, თუმცა ლადერი, თუ ლადერები უკვლეობა რჩებოდნენ უკვლეობა, ამ ჯგუფის მიზანი გამდიდრება იყო, მაგრამ არა კორუფციის მეთოდით, არამედ ძალადობის გზით. ამ შემთხვევაში წარმატების მიღწევის საშუალებად ძალადობის კრიმინალური გზა ვამოიძენა, სადაც ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციას მხოლოდ ზოგერთი კონტურაა მოცემული, ეს გვაქვს ორგანიზებულობის ელემენტა, მაგრამ გამდიდრებისაკენ სწრაფვა ძალადობის ექვემდებარება.

ანგარებითი დანაშაულობის ტიპური ფორმის მაგალითად შეიძლება მოვიყენოთ 1996 წლის 11 ოქტომბერს საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ჯგუფური დანაშაულობის საქმე მომხდარი რეინგ ზის. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების (კონტრალური ბაზაში, სამკაცხანმა ჯგუფმა, ბაზის უფროსის ბ-ს მეთაურობით ვაიტყვა

დღეი რაოდენობის ფულადი და საქონელი აჯარისა და ფინანსური ოპერაციების უკანონო ხერხების გამოყენებით ამ ვჯუფის მიზანი ვახლადთ ვამდიდრება ძალადობის ვარეშე ანუ მიზნის მიღწევის უკანონოკური ვზა რაც არაა ძალადობასთან დაცემარებულა.

უხადლეესი სასამართლოს კოლეგიის მიერ 1997 წლის 22 აპრილს ვანხილულესი საქმის ანალიზისას ჩეენ B2“ ბლოკის ნაშნებს აღმოვჩენთ, რისი დამწერალებით ვანხილვავ საქმაროდ მოგვინაა 25 კაცისანი ვჯუფის დიდერ ა-ს (ნასამართლეესი) მეთაურობით, ხანგრძლივი დროის ვანხილობაში აწყოზდა ბანდისტური თაგდასხმებს უფრო ხელსაყრელი პარობების შექმნის მიზნით ვჯუფმა სკადა ანტიასხელმწიფობერაფი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც ვზა უნდა ვაეხსნა მათთვის ხელისუფლების სტრუქტურებისაკენ „B1“ ბლოკისავან ვანხილვავით, აქ უფრო მკაფიოდ ვამოიკვეთა ორი საწყისი ვჯრ ერთი ვჯუფი რეგულარულად სჩადის დანაშაულობებს ძალადობის ვზით ვარკვეული მოგების მისაღებად, მერორეკ ხელისუფლების სტრუქტურებში შესაღწევად ძალადობის ვზით ხდება დანაშაულის მკვლელობებია აქ ეს ორი საწყისი თათქის ერთ რეგმა, რადგან მოგება მიღება სისხლის სამართლის ფორმით - პარდაპირი ძალადობით, ბანდისტის ფორმით, ამ სავესურზე ჩეენ ვჯრ ვჯრ აღმოვჩენთ ვჯუფის ფართობისშტადან ქმედებას, რომელსაც დანაშაულს ეწევა, როგორც სარეეს და რომელსაც აქვს კორუმპირებული კავმარები მავრამ მერორე საწყისის სახით მანც ვამოიკვეთა ხელისუფლების ხელყოფის ელემენტია, მართალაა, უხეში ბანდისტური ფორმით და არა ეწ. მადფორსი სახით. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმა დიდად ვანვისთარდა სსრკ-ს დამლის ვარიორაქზე.

როელი ფორმების ანალიზისას ჩეენ ასევე აღმოვჩენთ ძალადობის ფაქტორს სეპარატისტული ვჯუფი აფხაზეთში ვენოციდის ფართობისშტადან მეთოდს აყებება, ანადგურება რა მშვიდობიან მოსახლეობას ძირითადი მიზანი აქ იყო ძალადუფლების ვადლოერება, მოგების მისაღებად მოსახერხებელი საშუალების მიღწევა და ა.შ. მავრამ, ამ ეტაპზე ჩეენ უხეში ვჯრჯერობით კრამხალურსი ვაერითანების ვანუვითარებელ ფორმის ვნედავთ.

მანანი წლების დასაწყისში აშშ-ში კორუფციის სერითხული ვამოკველევიბი ტარდებოდა კრამხალური ვ აუბერტია ადასტურებს „თეთრსაყდითისანთა“ დანაშაულობის ორმაგ (დუალისტური) ფორმას ეს აღმოჩენა კრამხალური თეთრის მტყად სერითხული წინსვლა იყო, რადგან სწორედ კორუფციის და უბრალოდ რომ ვთქვათ, ანგარებითი დანაშაულობის ეს დუალისტური ბუნება უმნიშვნელოვანესი კონფლიქტების ვაგების ვასაღებს იძლეოდა ვჯუფური დანაშაულობის ევოლუციას სწორედ ამ ბუნქტში, ისრება ორგანიზებულისაკენ უხეშით ჩეენ ვანვისხელით დუალისტური ფორმა ბლოკ B2“ ძალადობით დანაშაულობასთან მამართებაში, ახლა კი ვანვისხელით მისი ანგარებითი ნარისახეობა.

მაგალითისათვის შეიძლება დავასხელით ცნობილი ორგანიზებულა ვჯუფის საქმე რომელსაც საწარმოს დარექტორ დ-ს მეთაურობით მოქმედებდა, მთავარმა ბუღალტერმა, ასევე სხვა წევრებმა შექმნეს ვჯუფი, რომელიც 1994-1995 წლებში უკანონო ოპერაციების ვზით იტყავება და ასაღებდა დიდი რაოდენობის ფქილს დანაშაულის დასაფარავად მთი სამტრედიის რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად დააარსეს „აბანკი“, რომლის ანგარიშზეც ირიცხებოდა დანაშაულებრივი ვზით ნაშოფნი ფულა.

ამ მაგალითშიც ჩეენ ვჯუფური დანაშაულობის დუალისტური ფორმის ვნედავთ, სადაც ამავე დროს ვამოიკვეთა ორგანიზებულა დანაშაულობის ნაშნებს, ხელისუფლების სტრუქტურებში შესვლა“ სორციულდება დატყავების დამადვის ვზით, რეგულარულ დანაშაულებრივ საფეეველზე სამეწარმო საქმანობის ორგანიზავია, ეს დანაშაულებრივი ვზით ნაშოფნი ფულაით საწარმოების შექმნა ვჯრ არ ხდება ბანკის შექმნა ამ ფორმების წინარე სახეა, რომელსაც ჩეენ მადფორსი ვჯუფების დანაშაულებრივ პრაქტიკაში ვნედავთ. მავრამ ვჯუფური დანაშაულობის ევოლუციასში უკვე აღმოჩენსლია უფრო ვანვისთარებულა ფორმების მარველი ელორტება ძალადობა უკანა პლანზე ვადადის წინა

პლანზე გამოცდას ხელისუფლების კორუმპირებული ელემენტების სამხილთა და სამეწარმეო საქმიანობის დანაშაულებრივი მიზნებისათვის გამოყენება ამის გამო ს მ ინშაქოვის სამართლიანად აღნიშნავს ორგანიზებულ და დანაშაულობის პერსპექტივების პროგნოზირება შეუძლებელ მისი განვითარების ძარბათადა ორიენტაციის მისუღვათ „გადარჩენა - სიმდარე - ხელისუფლება“. განსახილველ მაგალითში ხელისუფლება მხოლოდ დამხმარე გზით გამოიქნება შექმდომში ენახავთ, რომ ხელისუფლება უფრო განვითარებულ ფორმებში დანაშაულებრივი სამეწარმეო საქმიანობის მნიშვნელოვან ძარბობას წარმოადგენს თუ ადრე გაანალიზებულ ფორმებში ძარბადობა და ანგარება ხელისუფლების სტრუქტურებში მკვლელობის ძარბობად გვევლინება, ქვემოთ მოტახილ მაგალითში („C1“) თვით ხელისუფლება ხდება მოგების მიღების საშუალება აქ იგავე ტენდენცია შეინიშნება, რაც აშშ-ში იქნა დადგენილად „სასტიკი ანგარიშსწორება... უკანა პლანზე გადაცის და ძარბოვლ ადგალს იკავებს მოსყიდვა და კრამინალურ ხერხებზე დამყარებულია ზემოძებუბანი ბიზნესი ამასთან რაც უფრო მდარდება მფაოზური თვახსი, მით უფრო ნაკლები ხეჯდრითა წონა აქვს მის საქმიანობაში კრამინალს როგორც №2 ცხრილშია ასახული „C1“ ფორმის ნიშნად თანამედროვე კრამინოლოგური თეორია ადასტურებს საეკონომიკურ ვგუფს - „დავგუფებს“. იგი სეპარატიზმისაგან ქეყნის „ხსნის“ ტალღაზე აღმოქვებულა, იმთავთვე ისახვდა მიზნად მოგების კრამინალური გზით უზრუნველყოფას მოგების მიღების საფუძველი იყო ხელისუფლების თვყვაალურ სტრუქტურებში შექვვა 1997 წლის 14 ნოემბერს ქ ქუთაისში ვანხილული №180 საქმიან ირკვევა, რომ ამ ორგანიზაციის უძარბოვლესი წესი ვახვლადთ მოგების ყარბური ხელყოფის გზით მიღება ამასთან ერთად დანაშაულებრივი ორგანიზაციის მასალათა ანალიზი ვყარვებს, რომ მის კრამინალურ ქმედებში სულ უფრო მეტ ადგალს იკავებდა რეკტული საქმიანობა, სხვადასხვა კომერციულ ორგანიზაციებში მისი „წილობრივი“ მონაწილეობა აქ თავს იჩენს ორგანიზებული დანაშაულობის ყველა ნიშანი, ამ სიტყვის თანამედროვე ვაგებით, გაითავებული კორუფციასთან, რომელიც ჩვენ „B1“ ბლოკში ენახეთ, აქ შეინიშნება ხელისუფლებაში მოხვედრის ძარბადირ ვზებზე ვადასვლა, მისი უფლებამოსილების გამოყენება კრამინალური ქმედების დამფარვისა და უზრუნველყოფისათვის თემკვა აღნიშნული ვგუფი საზოგადოებაში პოლიტიკური ცხოვრების მოწესრიგების და სამართალდამკვაი ორგანობების ვაძლიერების ვამო უფრო ორგანიზებულ საქმიანობაზე არ ვადასვლა თათქმს ყველა რეგონში ვაბუენებელიყვეს საეკონომიკური ვგუფის - „დავგუფების“ „ფალოლიბი“ და მისი ხელმძღვანელები მგრამ თეორიული ანალიზი ამის პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ ვგუფის საქმიანობა არ აღიკვეთებოდა, იგი მფაოზური ორგანიზაციის ფორმებს მიადებდა.

ავგუფური დანაშაულობის უკანასკნელი განვითარებული ფორმის ნამუშად გამოიყავით - აგრესული სეპარატიზმი - ბლოკი „C2“. ეს ვაგება საერთაშორისო პოლიტიკური აზროვნებაში საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შემოიტანა დსთ-ს ქეყნების სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე ქ აღმაატაში 1995 წ. უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის ვანსაზღვრება ყვრობულ კრამინოლოგას არ ვაანია პოლიტიკური დანაშაულობის ფორმების ვამოყოფისას ვანარჩევენ დელიქტებს, რომლებსაც სწადან მმართველი ვგუფები დემოკრატიული სასტიკმის სახელმწიფოს ფარგლებში, რაც სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების წინააღმდეგ არის მიმართული ამ დელიქტებთან, ვანსაკუთრებით, ტერორიზმს ვამოყოფენ, მგრამ სეპარატიზმის არ იკვლევენ ამატომაც ვგუფური დანაშაულობის ფორმებიდან არ ვამოყოფა სეპარატისტული ვგუფები არავა, სეპარატიზმის ანალიზის ვარეშე როგორც აღენიშნეთ, ძნელია ვგუფური დანაშაულობის სრული სურათის მიღება ამის ვამო, ისტორიკოსებმა და პუბლიკისტებმა უამრავი ნაშრომი ვამოქვეყნეს საკითხის დასმის წესით, ამ საკითხის მხოლოდ სამეყნაერთ ასპექტს შევეხებით, მით უმეტეს, რომ მისი დამუშავების აუყალბებლობას ქართული მეყნიერებაც საშურ საქმედ მაინყვენ.

თავისი ფორმით „C2“ უფრო განვითარებულია ვიდრე „C1“ ბლოკი ჩვენ ვნახეთ რომ სპეციალური ჯგუფს – „დაჯგუფებას“ – ხელისუფლებაზე პრეტენზია ნაწილობრივ ბქონდა რამდენადაც ჯგუფის ლიდერს (კენტრალური ხელისუფლების ორგანოში ერთ-ერთი) ხელმძღვანელი თანამდებობა ეჭარა „C2“-ის ანალიზისას ჩვენ უფრო განვითარებული ხარისხობრივად ახალ ფორმას ვხედავთ აფხაზეთში სეპარატისტულ მოქმედებას ახორციელებს ჯგუფი რომელიმე ხელთ იღდო ძალაუფლება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე აფხაზეთში სეპარატიზმში ტრანსნაციონალურია კორპორაციის (მათ შორის უცხო სახელმწიფოს მისი ბიზნესის ჩართვით) ნაწილად გვევლინება სეპარატისტული ჯგუფი ჩვეულებრივ ხელისუფლების იმ სტრუქტურების მიშვიებით მოქმედებს რომელში შეღწევასაც მოახერხებს ჯგუფის მართვის უზრუნველყოფის მთელა სისტემა „ოფიციალური სტრუქტურების“ ფორმის სახით მოქმედებს შეენიშნავთ რომ არის დასტურდება შინაარსობრივად ძირითადი მიზანი აქაც ანგარიშითაა მაგრამ ეს მიზანი უფრო გარედაც არის ნაკარნახევი და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებთანაა დაძაბვისარებული ამ მიზნის განხორციელება მკაცრია მოსახლეობის გენოციდის საშუალებით დაქარავებული ბანდიტების დასახლებით ხდება ხელისუფლების სტრუქტურები და კომერციული ორგანიზაციები იმ მართებით ივსება რომლებიც სეპარატისტულ იდეოლოგიას აღიარებენ „ნეიტრალიზაციის“ ოპერაციებს აღტარებს ზოგაერთი ადგილობრივი მოსახლე და აგრეთვე „დაქარავებულები“ რომლებიც ეწ. პოლიციას უფლებებით არიან აღჭურვილია ნეიტრალიზაციის ოპერაციას (კენტრალურ დონეზე დაინტერესებული ქვეყნის სპეცსამსახურები უზრუნველყოფენ ორიგენი ამუშავენ სეპარატისტული პოლიტიკის ეკონომიკური უზრუნველყოფის პროგრამას შემსრულებლების დონეზე ფართოდ არიან წარმოდგენილი არა მარტო დაქარავებულები არამედ ასევე ადგილობრივი კრიმინალები ამ ფორმაში განსახიერებულა უზურამირებულა ხელისუფლებისა და უცხოური ბიზნესის ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრაცია სეპარატისტული ჯგუფების ანალიზი (აღლკე თემაა მაგრამ ჯგუფური დანაშაულობის ევოლუციის მისი განვითარებული ფორმების ანალიზისათვის ამ თემის განხილვა აუჯობებულია.

§2. ორგანიზებული დანაშაულობა

1 ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციები
 ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს XX საუკუნის დანაშაულობათა ერთ-ერთ ყველაზე საშიშ სახეობას, რომელიც უმრავლეს ყოვლია, ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს.
 და მაინც, თეორიულ დონეზე ორგანიზებული დანაშაულობის ცნება უფრო ნაკლებადაა განსაზღვრული, ვიდრე ძალადობრივი, ანგარიშითი და ეკონომიკური დანაშაულობისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს რთულ სოციალურ მოვლენას და ამ ფენომენის სწორი დეფინიციისათვის მრავალმხრივი მიდგომაა საჭირო, მათ შორის ადამიანთა ჯგუფური ქცევისათვის დაძაბვათებული ზოგადი კანონზომიერებების გათვალისწინებაც. ფსიქოლოგიაში საკმაოდ დაწვრილებითაა შესწავლილი ადამიანთა როგორც კანონმორჩილი, ასევე კანონდამრღვევი ჯგუფური ქცევის ძირითადი თავისებურებები და მახასიათებლები, კრიმინოლოგების მიერ კი გამოკვლეულა სხვადასხვა მიმართულების კრიმინალური ჯგუფების ფუნქციონირების პრინციპები. ორგანიზებული დანაშაულის გამოყოფის ზოგადი მართალსაწინააღმდეგო ქმედებიდან საფუძვლად უდევს დაძაბვაგეთა შორის პროლანგირებული კრიმინალური მოკავწიების დროს არსებული ორგანიზებული ურთიერთქმედების ხასიათი და ხარისხი –

იმ საქმიანობისა, რომელიც ადამიანთა ჯგუფის მიერ ხორციელდება არა ერთჯერადად, არამედ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ორგანიზებულობის ფენომენი ებება არა იმდენად და არა მხოლოდ კონკრეტულად ჩადენილ ქმედებას, არამედ თვით დანაშაულებრივი ფორმირების ჩამოყალიბებას, მის არსებობას და კრიმინალურ საქმიანობას. მისგან ან განსხვავებულ დანაშაულობათა ჩადენა წარმოადგენს შედარებით მუდმივ საერთო საქმეს ორგანიზებული სუბიექტებისთვის, რომელთა შორის თითოეული გააჩნია საკუთარი ფუნქციონალური ვალდებულებები, „უფლებები და მოვალეობები“².

იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ ორგანიზებული დანაშაულობის³ ცნებაში, აუცილებელია მისი ისტორიისა და ძირითადი შემაღვენლობის გაანალიზება.

სოციალისტურ სამართალში არ არსებობდა ორგანიზებული დანაშაულობის⁴ ცნება, რისი კომპენსაციაც სამამულო კრიმინოლოგიასა და თეორიულ პრაქტიკაში დიდხანს ხდებოდა ცნებით - „ჯგუფური დანაშაულობა“. მაგრამ ორგანიზებული დანაშაულობისაგან განსხვავებით, ჯგუფური დანაშაულობა უფრო ფართო კატეგორიაა, რომელიც მოიცავს დანაშაულებრივი საქმიანობის მნიშვნელოვნად დიდ დაბაზონს და უშუალოდაა დაკავშირებული დანაშაულში თანამონაწილეობასთან, როგორც სისხლის სამართლის დეფინიციასთან. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ჯგუფური დანაშაულობა წარმოდგენილია „პროცენტითაა ჯგუფის“ ცნებით, რომელიც ფართოდ ახასიათებს სხვადასხვა კოლექტიურ წარმონაქმნებს (მაგალითად: ბანდები, კრიმინალური ორგანიზაციები და ა.შ.). ამასთან ერთად, სისხლის სამართლის თეორიაში ნახსენებია ცნება „დამნაშავეთა საზოგადოება“, თუმცა არ არის მოცემული მისი შემაღვენლობა და თავისებურებები. კრიმინოლოგიაში „დამნაშავეთა საზოგადოება“ განიშარტება, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციების მეთაურებისა და დამნაშავეთა ჯგუფების ლიდერების კრიმინალური გაერთიანება, რომელიც იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობის მოსაწესრიგებლად და საკოორდინაციოდ, რეკონთა და სახელმწიფოთაშორისი კრიმინალური საკითხების გადასაწყვეტად, დამნაშავეთა სტრუქტურებისათვის თანამედროვე პირობებთან შეგუების საქმეში დახმარების აღმოსაჩენად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში⁵.

სისხლის სამართლის თეორიტიკოსებს შორის არ არსებობს ერთსულოვნება იმ დანაშაულების ჩამონათვალზე, რომლებიც შეიძლება მიაკუთვნონ ორგანიზებულ დანაშაულობას⁶. მაგალითად ა. კარპეცი თვლის, რომ საკაროა „პირდაპირ იქნეს ჩამოთვლილი კანონის მუხლები, რომლებიც უფრო მეტად ახასიათებენ ორგანიზებულ დანაშაულობას (დატაცებას, ქურდობას, ბანდიტიზმს, ყაჩაღობას, გამოძაღველობას და სხვ.) და ამით გამოირიცხოს ორგანიზაციული საქმიანობის“ ცნების განვრცობითი განმარტება⁷. ასეთი კაზუსტური მიდგომა სრულიად გამოსაყენებელია ისეთი ცნებების საკანონმდებლო განსაზღვრისთვის, როგორცაა: „მძიმე დანაშაული“, „განსაკუთრებულად საშიში რეციდივისტი“ და ა.შ. თუმცა ორგანიზებული დანაშაულობის კატეგორიისადმი მიკუთვნებული დანაშაულობების ამომწურავი ჩამონათვალის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც მას არსებითად შეუძლია მოიცვას სისხლის სამართლის თითქმის მთელი კოდექსი. ორგანიზებული დანაშაულობა მუდმივად სრულყოფს თავის ხერხებსა და ტაქტიკას. მაშინაც კი, როდესაც თავის ძირითად საქმიანობად არჩეული აქვთ დანაშაულის გარკვეული სახეობა, ორგანიზებული დამნაშავეები ხშირად სწადავენ სხვა დანაშაულობებს იმ მიზნით, რომ მოემზადონ და ხელი შეუწყონ ძირითად საქმიანობას, უზრუნველყონ მისი უსაფრთხოება და კონსპირაციულობა.

სისხლის სამართლის ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ არაა აუცილებელი „ორგანიზებული დანაშაულობის“ სპეციალური დეფინიციის შექმნა და სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებული ნორმების კონსტრუირება, რომელიც გათვალისწინებს ასეთ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას იმდენად, რამდენადაც ამ ცნებას მოყვას „დანაშაულში თანამონაწილეობის“ ინსტიტუტი და საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი ნორმა. ძნელია დაეთანხმო ამგვარ მოსაზრებას, რადგანაც თანამონაწილეობა ხსნის მხოლოდ ფუნქციონალურ დამოკიდებულებებსა და როლებს ჯგუფური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმში და არასაკმარისია ორგანიზებულ დანაშაულობასთან დაკავშირებული დანაშაულობების სწორი კვალიფიკაციისათვის. პევეთრი საკვალიფიკაციო ნიშნების არარსებობა არ იძლევა საშუალებას ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში ეფექტურად იქნეს გამოყენებული საკანონმდებლო საშუალებები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობს სპეციალური ნორმები, რომელთაც ძალითავე სტრუქტურები გამოიყენებდნენ, როგორც სამართლებრივ ინსტრუმენტს მრავალრიცხოვანი დანაშაულებრივი ორგანიზაციების სწრაფი განვითარების თავიდან ასაცილებლად.

როგორც ყველა სხვა სახის დანაშაულობას, ორგანიზებულ დანაშაულობასაც გააჩნია თავისი სპეციფიური ნიშნები და კანონის დარღვევის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფორმები. კრიმინოლოგიურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში აქამდე არა არის შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულობის უნივერსალური განსაზღვრება, თუმცა ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ინსტიტუტები. საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით კოორდინაცია ორგანიზებული დანაშაულობის შესწავლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან მიმართებაში ხორციელდება გაერთიანებული ერთი ორგანიზაციაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე სპეციალური ორგანიზაციების მიერ, ესენია: სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია და საერთაშორისო კრიმინოლოგიური საზოგადოება, სადაც საქართველოს დღემდე არ ჰყავს თავისი წარმომადგენელი.

ორგანიზებული დანაშაულობა, ბაზირებულია რა არსებითად ალტერნატიულ, სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებულ სისტემაზე – სამოქალაქო საზოგადოების გაბატონებულ ინსტიტუტებზე, რელიგიასზე, ურთიერთობებზე და ფასიულობებზე – ფაქტურად, გველანება როგორც ადამიანთა საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ფორმირება და შესაბამისად, მჭიდროდ ურთიერთქმედებს ე.წ. ლეგიტიმურ საზოგადოებასთან, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროებში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კანონიერ და არაკანონიერ სოციალურ სტრუქტურებს შორის არ არსებობს მკვეთრი და მკაცრი საზღვარი ობიექტურად, ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს ლეგალური საქმიანი აქტიურობის განუყოფელ ნაწილს, მათ შორის თურიდულ პირად რეგისტრირებული ორგანიზაციების და ფორმების დონეზე. დანაშაულებრივი სტრუქტურები ზედმიწევნით კარგად ერკვევიან საზოგადოების მოთხოვნილებებში სხვადასხვა საქონელისა და მომსახურებაზე და მიისწრაფვიან ლეგიტიმურ კონკურენტებზე უფრო სწრაფად და ხარისხიანად დააკმაყოფილონ მისი წარმატებები სასაქონლო და მომსახურების სპეციფიკური ბაზრისათვის ბრძოლაში, საკუთარი მონოპოლიის უზრუნველყოფა და ფასების ხელოვნური რეგულირება არაპატრონიანი მეთოდებით, უზრუნველყოფს უზარმაზარ შემოსავლებს და იძლევა თავის რეგებში ახალი წევრების რეკრუტირების შესაძლებლობას. ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების აქტიურ და მუდმივ წევრებთან ერთად ანტი-საზოგადოებრივ საქმიანობაში არარეგულარულად ან ერთჯერადად მონაწილეობს ბევრი სხვადასხვა პირი.

რაც შეეხება დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების ლიდერებს, საზოგადოებაში მათ საცხებით რუსიპექტაბელური მდგომარეობა უკავიათ. სწორად ისინი არიან თანამედრობის პირები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარ იმიჯსა და საზოგადოებრივ სტატუსს. დამნაშავეთა ორგანიზაციის თავკაცი, ჩვეულებრივ, 35-40 წლისაა, ძირითადად, საშუალო განათლებით, მაგრამ შესაძლოა პქონდეს დაუშთავრებელი უმაღლესი ან სრული უმაღლესი განათლება. ამასთან ერთად, შეიძლება დაეცეთანხმოს მეცნიერებს, რომლებიც მიუთითებენ, რომ არ შეიძლება დანაშაულებრივი გამოცდილების დაკავშირება განათლებასთან, რომ მას გააჩნია სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლებიც. სუბიექტის კრიმინალურმა შესაძლებლობამ, ზოგ შემთხვევაში ტალანტმაც კი, გამრავლებულმა გამოცდილ დამნაშავეებთან ურთიერთობებზე, მათ შორის თავისუფლების აკეცივის ადგილებში, შეიძლება შექმნას დიდი კრიმინალური მომავლის მქონე საკმაოდ გაწაფული ტიპი.⁵ დამნაშავეთა ფორმირებების ლიდერები, ჩვეულებრივ, თავს არიდებენ დანაშაულში უშუალო მონაწილეობას და ზღუდავენ იმ პირთა წრეს, რომლებიც ინფორმირებულნი არიან მათი ორგანიზაციული როლის შესახებ, გარდა ამისა, მათ მუდამ პყავთ მფარველები და ცრუ მოწმეები. ამ კატეგორიის პირთა გამოაშკარავებას სწორად თან სდევს გრძელი ჯაჭვი უნებლიე თანამონაწილეებისა და ადამიანებისა, რომელთა ინტერესებიც ამ დროს იღახება. ორგანიზებული დამნაშაულობის სისტემაში ჩართულია მოსახლეობის დიდი ნაწილი, რაც შესაძლებლობას იძლევა, განესაზღვროთ ოგი როგორც ალტერნატიული საზოგადოება ან როგორც სახელმწიფო სახელმწიფოში თავისი ეკონომიკით, სოციალური და სულიერი სფეროებით, მართვის თავისი სისტემებით – უშიშროების, სასამართლო, საკუთარი შიდა და საგარეო პოლიტიკით, ახალგაზრდა თაობის ფორმირებაზე ზრუნვით. სახელმწიფოში ალტერნატიული სტრუქტურების არსებობა ასუსტებს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ზღუდავენ მისი საქმიანობის ფარგლებს ან ფაქტიურად ენაცვლება მას.

მსგავს სიტუაციაში მოწმეები და დაზარალებულები საკმაოდ უხალისოდ იძლევიან ჩვენებებს, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობის ფუნქციონირები ცდილობენ, ელიტასთან ბრძოლის ცენტრი გადაიტანონ რიგით შემსრულებლებზე ან შემცველ პირებზე, ხოლო ეკონომიკური და თანამედრობრივი კორუფციული საქმიანობისა – ქუჩის დანაშაულზე. როგორც სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობა უფრო სწორად მიმართულია არა სერიოზული ორგანიზებული დანაშაულობისკენ, არამედ ახალგაზრდული ბანდებისა და შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ბანდიური თავდასხმების, ძარცვის, ყჩაღობის და ძალადობის სხვა სახეობებისკენ.

ორგანიზებული დანაშაულობის ადგილისა და მისი როლის არსებული შეფასებები თანამედროვე სახელმწიფოში ძალზე წინააღმდეგობრივია, რადგანაც ამ მოვლენის გაგება დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის მზადყოფნაზე, ობიექტურად შეიცნონ მასში მიმდინარე პროცესები ზედმეტი დრამატიზებისა და ვულგარული გამარტივების გარეშე.

ამერიკის ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის ოპერატიული სამსახური, რომელმაც მთავრობის დაეალებით 1976 წელს ჩაატარა ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემის კვლევა და დაწვრილებით გააანალიზა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არსებული ორგანიზებული დანაშაულობის მრავალსახოვანი განსაზღვრებები და თეორიები, ბოლოსდაბოლოს იძულებული გახდა საჯაროდ ელიარებინა შემდეგ: „მიუხედავად ამისა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ამერიკის საზოგადოებისათვის მიჩნეული იყო მნიშვნელოვან პრობლემად, ბოლო ნახევარ საუკუნეში ოგი მიანც დარჩა, თავისი ბუნების მიხედვით, მოუხელთებელ და გაასარკვევად რთულ პრობლემად“⁶. კომისიის ანგარიშში გაკეთდა დასკვნა, რომ, ხანამ ორგანიზებული

დანაშაულობის აქტიურობის საზღვრები კარდინალურად სახელმწიფო მასშტაბებში არ იქნება გამოკვლეული, შეუძლებელი იქნება ორგანიზებული დანაშაულობისათვის შესაფერისი დეფინიციის ფორმულირება. ნათქვამს შეიძლება დაემატოს ისიც, რომ მთითებული პროგრამა ახლაც აქტუალურია, რადგან ორგანიზებული დანაშაულობისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია მხოლოდ პლანეტის მასშტაბებით თანამშრომლობის და ჩატარებული გამოკვლევების შედეგების საფუძველზე და არა ცალკე აღებულ რეკონებისა და სახელმწიფოების დონეზე.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის და კორუფციის კვლევის მიმართულებისა და სამეცნიერო კრიტერიუმების განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა შემდეგი საბუთო დეფინიციები:

1. ორგანიზებული დანაშაულობა ეს არის ორგანიზებული ანტისაზოგადოებრივი ფორმირებების მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნისისათვის როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობით და სხვა ფუნქციების საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით.

2. ამგვარი სისტემა არის დანაშაულებრივი კონსოლიდაციისა და დანაშაულებრივი ორგანიზაციის თვისებრივად ახალი მოდელი, რომელიც მუდმივად განიცდის სახეცვლილებას და სრულყოფას. დეფინიციის მაკვალიფიცირებელი ნიშანი - „სისტემა“ - ასახავს არა უბრალოდ ორგანიზებული ფორმირებების სიმრავლეს, არამედ მათ ორგანულ მთლიანობას, მათ შორის მრავალმხრივი და მდგრადი ურთიერთკავშირის არსებობას დანაშაულებრივი საქმიანობის უზრუნველყოფის ბაზაზე და ხელსაყრელი პირობების შექმნას მისი განვითარების, ლეგალიზაციისა და დანაშაულებრივი შემოსავლების ზრდისათვის როგორც სტრუქტურაში, ასევე დინამიკაში.

3. ამასთანავე თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობა არ კმაყოფილდება დანაშაულებრივი კლანებისათვის ტრადიციული საქმიანობით (ნარკოტიკები, სათამაშო ბიზნისი, პროსტიტუტუცია, გამოძაბულობა და სხვა). იგი აქტიურად ერევა პოლიტიკაში, სახელმწიფო მმართველობაში, აწყობს შეთქმულებებს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მიზნით. თანამედროვე ორგანიზებული დანაშაული ისწრაფვის სრული მონოპოლიზაციისაკენ არა მარტო ეკონომიკის მომგებიან სფეროებში, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტებშიც დიქტატორული ან ეთნო-კრიმინალური რეჟიმების შექმნის მიზნით. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს დანაშაულებრივი ეთნო-კლანების საქმიანობა აგრესიულ-სემპარატივული განწყობილების პროვოცირების, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გაღვივების მიმართულებით დაუსჯელი ძარცვის და კანონმორჩილი მოსახლეობის ტერორიზების, შესაძლებლობის შემთხვევაში კი - სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას მიზნითაც.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობა წარმოადგენს მთლიანად საზოგადოების განუყოფელ ნაწილს და მისი ურთიერთქმედება ყველა სხვა ნაწილთან მრავალსაშუალოა, დინამური და, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, პარამონოულია. ორგანიზებული დანაშაულობა მთლიანად სოციალიზებულია საზოგადოების ტრადიციების, ფასეულობების, ქცევის ნორმებისა და სტერეოტიპების ჩარჩოებში, ღრმადია ჩანერგილი სოციალური კავშირების საცვიფიკურ სისტემაში, ყოფაში და თანამედროვე ქართველი საზოგადოების მორალში.

კრიმინოლოგთურ ლიტერატურაში მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის საკლასიფიკაციო ნიშნებს. კერძოდ, ფ. ზაგანის (1983 წ.)⁷ მოპყავს 11 ასეთი განმასხვავებელი ნიშანი, მ. მალტცი (1985 წ.)⁸ გვთავაზობს 9 შესაძლო

მახასიათებელს, ხოლო დ. ფინკენაუერი (1994 წ.)⁹ აჯამებს რა წინამორბედ გამოკვლევებს, გვთავაზობს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების შემდეგ ჯამურ მახასიათებლებს:

- ჯგუფის არაიდეოლოგიზირებულობა;
- ორგანიზებული იერარქია;
- ძალადობა ან ძალადობის მუქარის გამოყენება;
- ჯგუფის წევრობის შეზღუდვა;
- არალეგალური წარმოების მეშვეობით გამორჩენის მიღება;
- მოსახლეობის არალეგალური საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო მოხელეებისა და სამართალდამცავი ორგანოების ნეიტრალიზებისათვის კორუფციის გამოყენება
- მონოპოლიური პოზიციებისაქენ სწრაფვა სპეციფიური საქონლისა და მომსახურების განაწილებაზე განსაკუთრებული კონტროლის მოსაპოვებლად;
- ჯგუფების შიგნით პროფესიული სპეციალიზაცია;
- კონსპირაციულობა;
- საქმიანობის დაწვრილებითი დაგეგმვა და გათვლა გრძელვადიან პერსპექტივაზე.

ავტორის აზრით, არც ერთ ცალკე აღებულ მახასიათებელს არ ძალუძს ადექვატურად განსაზღვროს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის რაობა, მხოლოდ მათი ერთობლიობა იძლევა ნათელ განმარტებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების აზრით, დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები არ არიან იდეოლოგიზებული, რადგან არ გააჩნიათ პოლიტიკური პროგრამები და ამოცანები, არ არიან ტერორისტული და არ უძღვნიან თავს პოლიტიკურ გარდაქმნებსა და იდეებს. ისინი არ ქადაგებენ რადიკალურ, ლიბერალურ, კონსერვატორულ ან სხვა პოლიტიკურ და იდეოლოგიურ თვალთახედვებს. სახელმწიფო სტრუქტურებში მათი ინტერესები მიმართულია მხოლოდ დანაშაულობასთან მებრძოლი სტრუქტურების ნეიტრალიზაციისკენ მოსყიდვისა და კორუფციის გზით. შემდგომ მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ორგანიზებულ ჯგუფებს, მართალია, შეუძლიათ ჩაიდინონ მკვლევლობები, მოაწყონ აფეთქებები, მოიტაცონ ადამიანები და მოგვევლინონ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორისაც, მაგრამ თავიანთი მიმართულებით ისინი მაინც არ არიან ტერორისტული. ასეთი მიდგომა ჩვენ რამდენადმე გამარტივებულად გვეჩვენება. საბჭოთა გეოგრაფიული სივრცის სახელმწიფოების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა არ იფარვლება ეკონომიკური და ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით. შესაძლებლობის ფარგლებში ის აღწევს ყველაზე მაღალ სახელმწიფო სტრუქტურებში და ისწრაფვის პოლიტიკური ძალაუფლების უზურპაციისაკენ, სახელმწიფოში კრიმინალური გადატრიალების ორგანიზებისა და რეალიზაციისაკენ, რისთვისაც წარმატებით იყენებს ძალადობის, შანტაჟის და ტერორის მეთოდებს. (უფრო დაწვრილებით ამ საკითხებს ქვემოთ განვიხილავთ).

შემდეგ თვხის იმის შესახებ, რომ დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს გააჩნიათ მკვეთრი იერარქია, ყველა მკვლევარი არ უჭერს მხარს. გერმანელი მეცნიერების აზრით, სტრუქტურული სისტემურობის მაკალი დონით გამოირჩევიან ამერიკულ დამნაშავეთა სინდიკატები, რომელთაც მყავთ თავისი ბოსები, შემსრულებლები, კონსულტანტები, ბანკირები, ჯალათები, მყარველები, რომლებიც თავად წარმოადგენენ რაციონალურ ფორმალისტებულ სისტემას, ცოცხალ სოციალურ ორგანიზმს მტკიცე ბიუროკრატიული იერარქიით იმ დროს, როცა ევროპულ ქვეყნებში ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურული ორგანიზაცია ფხვიერი და არაფორმალურია.¹⁰

რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს, ამ სახელმწიფოებში შეიმჩნევა ორგანიზებული დანაშაულობის საკმაოდ რთული იერარქია, რომელიც დაფუძნებულია საქმოსნების, კორუპირებული ჩინოფიციების და პროფესიული კრიმინალური ტრადიციების მიმდევარი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ურთიერთსაკმანობაზე.

შემდეგი დებულება – დანაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების დროში ხანგრძლივად არსებობის შესახებ – გულისხმობს, რომ ასეთი ფორმირებები წარმოადგენენ თვითრეგულირებად სისტემას, რომელიც არ ირღვევა, თუ მის რიგებს ტოვებენ წევრები (სისტემის კომპონენტები). მათ შორის ლიდერებიც (მაგალითად: წყვეტენ დანაშაულებრივ საქმიანობას, ხვდებიან ციხეებში, იღუპებიან და ა.შ.). დანაშაულებრივი სინდიკატების ისეთ სახეობებს, როგორცაა ნარკობიზნესის წარმოებები, სამორინეები, პროსტიტუციის ბუნაგები, შეუბლიათ დროში ხანგრძლივად არსებობა და შემოსავლების მოტანა, რაც ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს.

ეს არ იწვევს თუზისიც, რომ დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად დანაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფებს შეუძლიათ გამოიყენონ ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ძალადობა, ჩვეულებრივ, გამოხატება მკვლელობებში, სხეულის დაზიანების მიყენებაში, ცემაში, გატაცებებში, აფთქებებში, ხანძრის გაჩენაში და სხვ. მისვერძლთა შიშით სასტიკი მოპყრობა მრავალი დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობის დამასახიათებელი ნიშანია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნარკობიზნესით დაკავებული კრიმინალური ჯგუფები ზოგჯერ ქურბში ბავშვებსაც ესვრიან თავიანთი სისასტიკისა და გამბედაობის დემონსტრირებისთვის. მაგრამ ძალადობა ხშირად არ წარმოადგენს დანაშაულებრივი ორგანიზაციების თვითმიზანს. უფრო პირიქით, ძალადობის მეშვეობით ძინი ცდილობენ ამ შედეგების მიღწევას, რომლებსაც ვერ განახორციელებდნენ სხვა საშუალებებით (მაგ. გამოძაღველობით, ბანქოს ვალის გამოძაღვით, კონკურენტის ჩამოშორებით და ა.შ.).

დანაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები მკაცრად ზღუდავენ თავისი ბანდის წევრობას. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მრავალი დაჯგუფება ახორციელებს თავისი წევრების სელექციას რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული ნიშნებით, აგრეთვე კრიმინალური წარსულისა და ფასეულობების მიმართ ორიენტაციის მიხედვით. კერძოდ, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში კრიმინალური ორგანიზებული ჯგუფის წევრობა, ჩვეულებრივ, განისაზღვრებოდა რასობრივი (თეთრები, შავები, ლათინო-ამერიკელები) ან ეროვნული ნიშნებით (იტალიურ-სიცილიური, ებრაული, ჩინური, იაპონური, ვიეტნამური და სხვ.), ყოფილ საბჭოთა კავშირში ჭარბობდნენ ჯგუფები, რომელთა შემადგენლობა მისაზღვრებოდა დანაშაულებრივი ავტორიტეტებითა და ქურდული კანონების მიხედვით (გამონაკლისია ეროვნულ-ტრადიციული პრინციპით შექმნილი ბოშათა დანაშაულებრივი კლანები). კრიმინალურ ჯგუფში გაერთიანებისათვის აუცილებელი იყო ნასამართლეობა და ქცევის სპეციფიური ნიშნების ფლობა (ყარგონი, ცხოვრების წესი და სხვ.).

ყველა სახის ორგანიზებული დანაშაულისათვის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს არალეგალური წარმოების მეშვეობით ეკონომიკური შოკების მიღება. შემოსავალი დანაშაულებრივი ორგანიზაციების აქტივზე შეიძლება შემოდოდეს ნარკოტიკების არალეგალური საწარმოებიდან, სათამაშო სახლებიდან, „ფალების გამოძაღველი“ სუტენიორებისგან ან რეკეტორებისგან, აგრეთვე სავსებით ლეგალური დაწესებულებებიდან, რომლებიც „ფულის გათეთრებას“ ასდენენ. კრიმინოლოგურ ლიტერატურაში „ფულის გათეთრებას“ უწოდებენ მეთოდს, რომლითაც ხდება უკანონო ბიზნესით (ნარკოტიკებით და იარაღით არალეგალური ვაჭრობით,

რეკეტი და სხვ.) მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია სრულიად კანონიერი და ხშირად რუსიექტაბელური საწარმოების მეშვეობით. ამიტომ ორგანიზებული დამნაშავეები ხშირად იძენენ ლეგალურ საწარმოებს ან მონაწილეობენ მის საქმიანობაში აქციონერის უფლებით. უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალური ფულით ლეგალიზაციის პრობლემა ჯერ კიდევ არაა იმდენად აქტუალური ქართული მაფიისა და დამნაშავეებისათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან. ეს იმითა არის განპირობებული, რომ საგადასახადო სისტემა და უნაადლო ანგარიშსწორება (მათ შორის ბლასტიკური საკრედიტო ბარათების გამოყენება) ჯერ კიდევ არ ქცეულა საქართველოსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის ჩვეულ ნორმად. დამნაშავეები ანგარიშსწორების დროს, ჩვეულებრივ, სარგებლობენ ნაღდი ფულით და არაფის აინტერესებს მათი წარმოშობის წყარო.

ორგანიზებული დანაშაულობა მოსახლეობას სთავაზობს არალეგალურ საქონელსა და მომსახურებას, რომელზეც არსებობს მაღალი მოთხოვნილება. ეს სპეციფიური საქონელი და მომსახურება (ნარკოტიკები, აზარტული თამაშები და პროსტიტუცია) მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში აკრძალულია. თუმცა ეს ჩამონათვალი ამ ნაკრებით არ შემოიფარგლება. მდიდარ ქვეყნებში ყოველთვისაა კომპანიები, რომლებიც მზად არიან გადაიხადონ, თუკი მათი საწარმოდან ვინმე ტოქსიკურ ნარჩენებს გაიტანს და მათ უტილიზაციას მოახდენს; არიან კლიენტები, რომლებიც იყიდიან ადამიანთა ორგანოებს ტრანსპლანტაციისათვის და ა.შ. ასე რომ, უნდა დავეთანხმოთ ავტორებს, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულობას განიხილავენ ისეთი საქონლის წარმოება-გავრცელებისა და მომსახურების გაწევის საშუალებად, რომელიც სახელმწიფოს მიერ ოფიციალურადაა გამოცხადებული უკანონოდ.

საკუთარი მიზნების მისაღწევად ორგანიზებული დანაშაულობა ისწრაფვის სახელმწიფოს და სამართალდამცავი ორგანოების ნეიტრალიზაციისა და დუზორგანიზაციისაკენ ჩინოვნიკების მოსყიდვის და სახელმწიფო სტრუქტურებში თავისი ხალხის შეყვანის გზით. სახელმწიფო მოხელეთა კორუპციისაკენ სწრაფვა წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულობის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ეს პროცესი ნათლად გამოვლინდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი საქართველოში. ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა პრაქტიკულად შეძლეს თავისი ხალხით შეეკოთ თითქმის ყველა მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტი და ძალოვანი ორგანო, რამაც რესპუბლიკაში პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური კოლაფსი გამოიწვია. მაფიის ხელში კონცენტრირებულ იქნა უდიდესი ძალაუფლება, რამაც საშუალება მისცა მას, მოეხდინა სახელმწიფოს ინტერესებით მანიპულირება, ხელში ჩაეგდო და გაენიავებინა საზოგადოებრივი ქონება, გაეღვივებინა შუღლი მონათესავე ხალხებში და ამასთან ყოველნაირი დანაშაულისთვის სისხლის სამართლის სასჯელისაგან დაეღწია თავი.

რუსი მკვლევარები თვლიან, რომ ორგანიზებულ დანაშაულობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. გამოკვეთილი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურები, რომლებიც გამოყოფს ხელმძღვანელებს უშუალო შემსრულებლებისგან, ჯგუფებს შიგნით მკაცრი იერარქია, მათი წევრებისთვის ქცევის ერთიანი ნორმების და პასუხისმგებლობის არსებობა, სანქციებისა და წახალისების სისტემები და მათი პრაქტიკული რეალიზაცია;
2. დანაშაულებრივი საქმიანობის მდგრადი, გეგმაზომიერი და კონსპირაციული ხასიათი — განსაკუთრებით თანამდებობის პირთა მოსყიდვის, მისჯილი ქურდობის შემთხვევებში; საერთო მიზნებით გაერთიანება, მინიმალური რისკით მაღალი შემოსავლების აბოლებაცხე ორიენტაცია;

3. სოციალური კონტროლის ყველა ფორმის გვემართება ნეიტრალიზაციის სისტემა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის გამოყენებით, დანაშაულთან მებრძოლი ორგანოების გვემართება შეტყობისა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ზომების მიზანდასახული შემუშავება (სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მოსყიდვა, მმართველობის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში ჩანერგვა);

4. მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრების ფლობა, რომლებიც ინვესტირდება როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, იძლევა კომერციული ოპერაციების და დატაცების მასშტაბების გაფართოების, საჭირო ჩინოვნიკების მოსყიდვის, კრიმინალური ჯგუფის წევრების მატერიალური მხარდაჭერის, დაქირავებული კრიმინალების მომსახურების ანაზღაურების საშუალებას, რასაც მიყვავართ ზოგად სისხლისსამართლებრივი და ანგარებითი-სამეურნეო დანაშაულის შერწყმამდე;

5. საქმიანობის სფეროს გაფართოება (მონოპოლიზაციისაკენ ლტოლვა) – სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა დარგებში დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებების კოორდინაცია, „შავ ბაზარზე“ საკუთარი საქონლისა და მომსახურების დანერგვა, ნარკობიზნესის, პორნობიზნესის და პროსტიტუციის ორგანიზაცია;

6. ორგანიზებული დანაშაულობის ლიდერების მიერ ანტიინაზოგადობრივი იდეოლოგიის აქტიური გავრცელება, მათ შორის თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც;

7. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების წევრებისა და მათი ოჯახებისათვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის ორგანიზაცია და განხორციელება;

8. „განდგომილთა“ მიმართ შემუშავებული დასჯის მკაცრი სისტემა (მათი ფიზიკური განადგურების ჩათვლით).

9. ქვეყანაში და მსოფლიოში მოქმედი ძირითადი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების პროფესიული გამოყენება იმ მიზნით, რომ შეიქმნას დანაშაულებრივი საქმიანობის სამართლებრივი ხელშეუხებლობის მექანიზმები და უზრუნველყოფილ იქნეს საკანონმდებლო ორგანოებში მათთვის ხელსაყრელი კანონების ლობირება.

10. დამამხილებელი ხმების გავრცელება დანაშაულებრივი ორგანიზაციების ძლიერებაზე, რაც ხელს უწყობს მოწმეების, დაზარალებულების, ჟურნალისტების, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების დემორალიზებას, ხოლო რიგით შემსრულებლებს შორის „საბრძოლო სულისკვეთების“ ამაღლებას.

ჩამოთვლილი ნიშნები სრულად შეესაბამება ქონების დამტაცებელთა, სპეკულანტთა, დამნაშავეთა პროფესიონალური ბანდების და სხვა სახის დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული ორგანიზებული ჯგუფების დახასიათებას. მაგრამ იგი პასუხს არ იძლევა კითხვაზე – რა ნიშნები ახასიათებს ორგანიზებულ დანაშაულობას და რითი განსხვავდება იგი სხვა ჯგუფური დანაშაულებრივი საქმიანობისაგან.

ავტორის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ორგანიზებული დანაშაულობის აღმოცენება და არსებობა ან სახელმწიფოს არასწორი და გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგადაა საკუთარ ტერიტორიაზე გარკვეული საქონლისა და მომსახურების გავრცელების შეზღუდვასა და აკრძალვასთან დაკავშირებით, ან ამ საქონლის და მომსახურების გავრცელების შეზღუდვა ხდება სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზებით (ომი, სტიქიური უბედურება და სხვ.). მოქმედებს რა საბაზრო ეკონომიკის კანონებით, ორგანიზებული დანაშაულობა ავსებს ლეგიტიმური ბიზნესისათვის აკრძალულ ან აუთვისებელ სოციალურ ნიშებს, ქმნის რთულ კომერციულ სტრუქტურებს, რომლებიც მიმართულია სპეციფიკური მომსახურებით და საქონლით ბაზრის შეესების,

შემოსავლების ზრდის, კონკურენტების ჩამოშორების, მართალსაწინააღმდეგო საქმიანობის გაუხმაურებლობისა და სასაჯელის თავიდან აცილებისკენ.

სახელმწიფოთა პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან ორგანიზებული დანაშაულობის მჭიდრო ურთიერთკავშირით აიხსნება მისი მრავალსახეობა სხვადასხვა ქვეყანაში ან თუნდაც ერთი და იმავე ქვეყნის შიგნით მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანიზებული დანაშაულობის აღმოცენების და გაფრქველების მიზეზს მკვლევარები უკავშირებენ ანტილემკომლური კანონმდებლობის შემოღებას XX საუკუნის 20-30-იან წლებში და ნარკობიზნის განვითარებას 50-იან წლებში მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში ორგანიზებული დანაშაულობის წარმოშობის მიზეზი მე-20 საუკუნის 50-80-იან წლებში უკავშირდება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც კრძალავდა ყველანაირ კერძო მეწარმეობით საქმიანობას, რაც განაპირობებდა საქონლის და მომსახურების უღირს დეფიციტს და ხელს უწყობდა იატაკქვეშა მეწარმეების — კოოპერატორების, სპეკულანტების, ვალუტით მოვაჭრეების, ე.წ. «ცეზფიკების», «ფარცოვშიკების» და სხვა კატეგორიის დამნაშავეთა გაჩენას. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ, ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების მიზეზები შეიცვალა და ეკონომიკური, ზოგადი სისხლისსამართლებრივი და სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულის ბაზაზე განვითარება დაიწყო ორგანიზებული კრიმინალური საქმიანობის ახალმა სიეციფიკურმა ფორმებმა. კერძოდ, საქართველოში კრიმინოლოგიური თვალთახედვით ძალზე საინტერესო პროცესები განვითარდა და ორგანიზებულმა დანაშაულობამ ორგანიზაციისა და საქმიანობის სრულიად ახალი წესები შეიმუშავა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის VIII კონგრესზე შემუშავებული მიდგომების შემდგომი განვითარებისათვის, რუსეთში, ქ. სუზდალში ჩატარებულ იქნა საერთაშორისო სემინარი (1991 წ. 21-25 ოქტომბერი). სემინარის დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების პროცესი და მისი ფორმები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია, თუმცა შეინიშნება რიგი კანონზომიერებებიც. კერძოდ, დამნაშავეთა ასოციაციების ფორმირება ხდება სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ფაქტორების გარკვეული ნაკრების შემოქმედებით.

ძირითადად, მსოფლიოში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ორი ძირითადი გზა შეიმჩნევა.

პირველი, ესაა საქმიანობის ისეთი აკრძალული სახეები, როგორიცაა პროსტიტუცია, რეკეტი, ქონებრივი დანაშაული, კრიმინალური შემოსავლების ლეგალიზაცია, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, აზარტული თამაშები, იარაღით და ანტიკვარიატით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითური ოპერაციები და სხვ.

მეორე, კანონიერ საქმიანობაში მონაწილეობა უკანონო და არაეთიკური მეთოდების გამოყენებით (არაჯანსაღი კონკურენცია, კონკურენტების ჩამოშორება შანტაჟის ან კომერციული საიდუმლოების მიტაცების გზით და სხვ.). ამასთან, ორივე შემთხვევაში გამოიყენება დანაშაულებრივი მეთოდები და შემსრულებლებიც სისხლისსამართლებრივ ელემენტებს წარმოადგენენ.

სუზდალის სემინარის შემაჯამებელ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ორგანიზებული დანაშაულობის უნიფიცირებული განსაზღვრება დღემდე არაა შემუშავებული. ამასთან, ორგანიზებულ დანაშაულობაში, ჩვეულებრივ, იგულისხმება დამნაშავეთა მდგრადი და მართვადი თანასაზოგადოების შედარებით დიდი დაჯგუფება, რომლისთვისაც დანაშაული ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ისეთი კანონსაწინააღმდეგო საშუალებების

მეშვეობით, როგორცაა: ძალადობა, დაშინება, კორუფცია და ფართომასშტაბიანი მტაცებლობა. ქმნის სოციალური კონტროლისაგან დაცვის სისტემას.

ამ სიყინარის მონაწილეთა აზრით, არსებობს ორგანიზებული დანაშაულობის რამოდენიმე სახეობა. მათ შორის ერთ-ერთი ტრადიციულ ტიპად გვევლინება ე.წ. მაფიოზური ოჯახება, რომლებიც არსებობენ იერარქიის პრინციპით, მათთვის დამახასიათებელი მკაცრად რეგლამენტირებული ქცევის წესებით და ნორმებით და განსხვავდებიან მართლსაწინააღმდეგო საქმიანობის დიდი მრავალფეროვნებით. მოცემული ჯგუფი მოიცავს ყველაზე ფართო და განტოტვილი ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციებს. სახეობის მეორე ტიპის პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პროფესიონალური (პროფესიონალთა) ჯგუფი. ასეთი დაჯგუფებების წევრები ერთიანდებიან ვარკვეული დანაშაულებრივი გეგმის შესრულების მიზნით. ამ ტიპის ორგანიზაციებს არ გააჩნიათ ისეთი მკაცრი სტრუქტურა, როგორც ტრადიციული ტიპის ორგანიზაციები. პროფესიონალთა ჯგუფების საქმიანობა მოიცავს ყალბი ფულის მოჭრას, ავტომობილების გატაცებას, ყაჩაღობას, გამომძაღველობას და სხვ. დამნაშავეთა ასეთი ფორმირების შემაღვენლობა ცვლადია, მათ წევრებს შეუძლიათ ითანამშრომლონ დამნაშავეთა სხვა დაჯგუფებებთანაც. კრიმინალური დაჯგუფებების მესამე ტიპს წარმოადგენენ ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ ვარკვეულ ტერიტორიებს. მათ მიეკუთვნებიან ახალგაზრდული ბანდები, რეკეტერები ბაზრობებზე, კრიმინალური დაჯგუფებები აუროპორტებში, ვაგზალზე და სხვ.

დანაშაულებრივი საქმიანობის ხასიათის, ფორმების და მიზეზების მიხედვით ორგანიზებული დანაშაულობა საქართველოში პირობითად შეიძლება დაიყოს:

- სისხლისმამართლებრივ და განგსტერულ დანაშაულობად, რომელიც ვლინდება ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით, გამომძაღველობით, თაღლითობით, ბანდიტიზმით, მკვლელობით და სხვა ანალოგიური ქმედებებით;
- ეკონომიკურ ან სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულობად, რომლებიც ბოროტად იყენებენ თავიანთ საშსახურებრივ მდგომარეობას, ჩაფლულნი არიან კორუფციაში, სხვა ანგარებიან-თანამდებობრივ საქმიანობაში, იტაცებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას, კრედიტებს და გრანტებს.
- ეთნო-კრიმინალურ დანაშაულობად, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის ერთი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დომინირებას კონკრეტული რეგიონის სხვა მოქალაქეებზე ძალადობისა და დაშინების მეშვეობით.

ორგანიზებული დანაშაულობის თითოეულ ნაირსახეობას (იქნება ეს სისხლის მამართლის, ეკონომიკური, პოლიტიკური, ბიუროკრატიული, საბაზრო, რაციონალური, ირაციონალური თუ ეთნო-კლანური) გააჩნია მიზეზებისა და პირობების თავისი ერთობლიობა. თუმცა მათი მაგისტრალური მიმართულება ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროშია საძიებელი. საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ ორგანიზებულ დანაშაულობასაც ეკონომიკური დეტერმინაცია აქვს.

ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობა იყოფა ბიუროკრატიულ დანაშაულობად, რომელიც დაკავშირებულია საზღვარგარეთის ინვესტიციების, გრანტების, საქონლის, შეიარაღების, მომსახურების, თანამდებობების, ვილდოების, ლიცენზიების, პრივილეგიების, შუღავათების და ა.შ. განაწილებასთან და საბაზრო დანაშაულობად, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანების როგორც ყოველდღიურ რაციონალურ მოთხოვნილებებს, უზრუნველყოფს რა მათ აუცილებელი საქონლით და მომსახურებით, ასევე არაციონალურ მოთხოვნილებებსაც (ნარკოტიკები, იარაღი, ალკოჰოლი, აზარტული თამაშები, მეძაფეები).

საბჭოთა ხელისუფლების დროს საზოგადოებრივი განვითარება დაიყვანებოდა ეკონომიკის ობიექტურ კანონებსა და სოციალისტურ საზოგადოებაში მეურნეობის ვოლუნტარულ და ადმინისტრაციულ მეთოდებს შორის წინააღმდეგობრიობამდე, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობა იყო ამ წინააღმდეგობების გადაწყვეტის კრიზისალური საშუალება, ურომლისოდაც ბიუროკრატიული სისტემა დიდხანს ვერ იარსებებდა. ეს იმით აიხსნებოდა, რომ თვითონ ბიუროკრატია არ იყო ეკონომიკური ინტერესების მატარებელი. მის პრეოგატივას შეადგენდა ხელისუფლების შენარჩუნება. ეკონომიკის ბიუროკრატიულ მართვას, საბოლოო ჯამში, მიყვავდით იდეოლოგიური და არა ეკონომიკური ინტერესების დომინირებასთან; საშუალოდ ხარჯები, შესაძენი ქვეყნების და გოვანტური სახელმწიფო მანქანის შენახვა ნთქავდა ეროვნული შემოსავლების დიდ ნაწილს. გეგმიურმა ეკონომიკამ ხელი კი არ შეუწყო აყვავებას, არამედ წაახალისა გათანაბრების და განაწილების წყრილმანი სისტემა. მზარდი დეფიციტი, თავის მხრივ, მოითხოვდა მაკონტროლებელი და გამანაწილებელი შტატების გადიდებას, რაც მთლიანად ბლოკავდა ეკონომიკურ მექანიზმებს. შექმნილმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო იმას, რომ ჩრდილოვანმა ეკონომიკამ და იატაკქვეშა ბაზარმა თავის თავზე აიღო საქონელბრუნვის ფუნქციები, რომელსაც სახელმწიფო ბიუროკრატია მართო, პრაქტიკულად, ვერ შეასრულებდა. ყოველივე შემოადინშნული შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქართველოში ბიუროკრატიული, საბაზრო და რაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა მართოდენ მბრძანებლური ეკონომიკის კანონზომიერი შედეგია.

უძრავობის პერიოდის არალეგალური სამეურნეო საქმიანობის გამოცდილებამ 80-იანი წლების ბოლოს, ორგანიზებულ დანაშაულობას, როგორც უფრო მოზილურ, დარაზმულ და ეკონომიკურად გამოცდილს, შესაძლებლობა მისცა ყველა მიმდინარე პოლიტიკური პროცესის თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამ სახეობის საქმიანობის აყვავება გორბაჩოვისიული ვარდაქმნის პერიოდში განპირობებული იყო დანაშაულობის ზრდის საერთო დინამიკით და ტოტალიტარული კონტროლის შესუსტებით. დანაშაულობის სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით ეს ზრდა უთანასწორო აღმოჩნდა. სტატისტიკურ ანგარიშებში აშკარად პროგრესირებდა ანგარებიანი და ჯგუფური, აგრეთვე ანგარებიან-ჯგუფური ქმედებები. საქართველოში უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ჯგუფური დანაშაულობა, საშუალოდ, 5-ჯერ გაიზარდა, ამ ზრდის პიკი მოდიოდა 1991-1993 წლებზე. აღნიშნულ პერიოდში ყოველი შესაძენი დანაშაული სრულდებოდა ჯგუფურად. დაფიქსირდა ანგარებიანი და ანგარებიან-ძალადობრივი დანაშაულების, განსაკუთრებით ყარაღური თავდასხმების და ბანდიტიზმის ინტენსიური ზრდა. აღრიცხული და ლატენტური დანაშაულის, აგრეთვე მისი ორგანიზებული ფორმების ზრდა მიმდინარეობდა ანარქიული კაპიტალიზმის განვითარების მშფოთვარე სოციალური პროცესის ფონზე. ამ პროცესების პარალელურად ხდებოდა ზნეობრივი სფეროების დეფორმაცია, ფეხი მოიკიდა სამართლებრივმა ნიპილიზმმა, ვრცელდებოდა გამდიდრებისათვის ყველანაირი საშუალების გამოყენების იდეოლოგიური მოდელი. 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკური ორგანიზებული დანაშაულობის ზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე საკონტროლო-სარევიზო საქმიანობის სრული რღვევა და კონტროლის აპარატის მუდმივი რიცხობრივი შემცირება. ადმინისტრაციული კონტროლის მექანიზმები მთლიანად იყო ნიველირებული, ხოლო ეკონომიკური, ფინანსური, სავალუტო, საგადასახადო კონტროლის ახალი მეთოდები, რომლებიც ეკონომიკურ კანონებს ეყარებიან, დღემდეც დამუშავებისა და დანერგვის პროცესშია.

2. საზოგადოებრივი აზრი საქართველოში კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემების შესახებ

საზოგადოებრივი აზრი საქართველოში კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემების შესახებ.

ხაანკეტო შეკითხვა	რესპოდენტების პასუხები			
	დაახ.	არა	არ ვიცი	სულ
1. არსებობს თუ არა საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობა და კორუფცია?	84%	3,1%	2,9%	100%
2. წარმოადგენს თუ არა საქართველოსთვის ორგანიზებული დანაშაულობა და კორუფცია ყველაზე რთულ პრობლემას?	97%	2%	1%	100%
3. თომათხ თუ არა საქართველოში საკმაო ყურადღება ბრძოლას: • ორგანიზებული დანაშაულობის ანგარიშით-ძალადობრივ ფორმებთან? • კორუფციული დანაშაულობის ორგანიზებულ ფორმებთან?	27%	58,6%	19,4%	100%
4. სოციალური ყოფის რომელ სფეროებშია უფრო მეტად გაფრცხვლებული კორუფცია? - ხელისუფლების მაღალ ეშვლონებში (საბრეზიდენტო სტრუქტურები, პარლამენტი, სამინისტროების ხელმძღვანელები) - საშუალო დონის ხელმძღვანელობაში - სამართალდამცავ სტრუქტურებში - ხედავასხადო, საბაფო და სხვა მაკონტროლორებულ ორგანოებში	86,6%	23,3%	10,1%	100%
5. რამდენად ხშირად რჩება დაუსაჯელი კორუფცია მმართველ ორგანოებსა და ხელისუფლებაში?	86%	11%	3%	100%
6. საკმარისია თუ არა კორუფციის წინააღმდეგ კანონთა გათავალისწინებული ნორმები?	67,4%	20,3%	12,3%	100%
7. ვხედვობდათ თუ არა ქრთამის ან სხვა არაკანონიერი გასამრჯელოს მიცემა ჩინონიკებისათვის?	56,5%	33,8%	9,9%	100%
8. თყაფით თუ არა გამოშვალვლობისა და შანტაჟის მხეყრალი?	37,1%	47,9%	5%	100%
9. ხარგებლობდათ თუ არა ნარკოტიკების რეალიზატორების მოშახურებათ?	11,1%	73,9%	5,6%	100%

კვლევის ავტორების მიერ სპეციალურად შემუშავებული ანკეტით ჩატარებულ იქნა 250 რესპოდენტის ანკეტირება. გამოკითხული იყო მოსახლეობის 5 ჯგუფი:

1. საშუალო სკოლების მოსწავლეები, სტუდენტები და 25 წლამდე მომუშავე ახალგაზრდები;
2. მუშები, მოსამსახურეები, ვლეხები, პენსიონერები ასაკის მიუხედავად;
3. უმუშეერები და ლტოლვილები;
4. პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები;
5. სახელმწიფო ჩინონიკები და მეცნიერები.

გამოკითხულთა შორის იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების 50 კურსანტი.

ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ — 94%-მა — სოციალური სტატუსისა და ასაკის მიუხედავად, ორგანიზებული

დანაშაულობისა და კორუფციის გავრცელების არსებობაზე, ხოლო 97%-მა ამ მოვლენების მაღალ საზოგადოებრივ საფრთხეზე მიუთითა.

გამოკითხული მოქალაქეების 27% აღნიშნავს, რომ ბრძოლა ანგარებით-ძალადობრივ დანაშაულობასთან სახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარეობს, კორუფციასთან ბრძოლის აქტივობაზე კი მხოლოდ 9%-მა მიუთითა. ასეთი მოსაზრება სრულად ემთხვევა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის თანახმადაც საქართველოში 1998 წელს რეგისტრირებული იყო მექრთამეობასთან დაკავშირებული მხოლოდ 44 ქმედება, რომელთაგან სულ რამდენიმე დასრულდა სასამართლო განაჩენის გამოტანით.

რესპონდენტები აღნიშნავენ კორუფციის განვითარების მაღალ დონეს სახელმწიფო მმართველობის ყველა სტრუქტურაში. მათი აზრით, კორუფციის ყველაზე მაღალი დონე საგადასახადო ინსპექციასა და საბაჟო სისტემაშია (91,2%), თითქმის ასეთივე დონეა პოლიციასა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში (89,4%). ამგვარი საზოგადოებრივი აზრით აიხსნება მოსახლეობის პასიურობა სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში, პირიქით, ადგილი აქვს დამნაშავეთა დაფარვასა და მართლწესრიგის დამცველთა მიმართ პირდაპირ უკუქმედებას.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო არაფერს აკეთებს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც წესი, სახელმწიფო სტრუქტურების რეაქცია კორუფციისა და თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმამფოთებელ ფაქტებზე შემოიფარგლება მხოლოდ დამნაშავე ჩინოვნიკების სხვა სამუშაოზე გადაყვანით ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან პროპაგანდული კომპანიით.

და მაინც, ბევრი რესპონდენტი (64,4%) აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონები შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად ვებრძოლოთ ორგანიზებულ დანაშაულობას და კორუფციას. ეს მოსაზრებაც ემთხვევა ობიექტურ რეალობას. სისხლის სამართლის კოდექსში ჩართულია მუხლები, რომლებიც ჯგუფურ-დანაშაულებრივ და კორუფციული საქმიანობის ძირითადი სახეობებისათვის ითვალისწინებს მკაცრ სანქციებს – თავისუფლების აღკვეთას 15 წლამდე. საქმე სისხლისსამართლებრივ ფორმულირებაში კი არ არის, არამედ რესპუბლიკის ზელმძღვანელობის ნებაში – მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (56,7%) აღიარა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც მიუცია ქრთამი და მხოლოდ (7,2%) მიუთითა, რომ ასეთი ქმედება არ ჩაუდენია. შიშაველი მონაცემები გვიჩვენებს, თუ რამდენად მაღალია ამ დანაშაულის ლატენტურობა. ჩვენი რესპუბლიკის შემთხვევით გამოკითხული 250 მოქალაქისაგან ნახევარზე მეტი დაუსჯელად მონაწილეობდა მექრთამეობაში.

რესპუბლიკაში ორგანიზებული დანაშაულობის აქტივობაზე და ძალადობის მაღალ დონეზე მოწმობს გამომძალველობისა და შანტაჟის მსხვერპლთა საკმაოდ დიდი რაოდენობა (37,7%).

მონაცემები ნარკოტიკების შექენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ქმედებებში მონაწილეობის შესახებ, როგორც ჩანს, ობიექტურად არ ასახავს ამ სფეროში არსებულ სიტუაციას. რესპონდენტთა დაახლოებით 77%-მა აღნიშნა, რომ ნარკოტიკებთან შეხებაში არ ყოფილა. არადა, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის პრობლემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

3. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაცია საქართველოში

დახმავებითა და ორგანიზებული ფორმირების არსებობისა და წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს სპეციფიური სტრუქტურული იერარქიის არსებობა. როგორც პრაქტიკა და სოციოლოგიური გამოკვლევების ანალიზი მოწმობს, დანაშაულებრივი წარმონაქმნები ფორმირების მექანიზმის, წევრთა რეკლუზიონობის, ორგანიზებულობის დონის, სტრუქტურის ელემენტების და საქმიანობის მიმართულების მიხედვით შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, გამოიყოფა დანაშაულებრივი ორგანიზებულის ფორმირების რამდენიმე დონე ან ტიპი:

- ჯგუფები, რომელიც სწაღიან დანაშაულს სიმონტანურად, წინასწარი შეთანხმების გარეშე. (მაგალითად, ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც ჩხუბს უტეხს გამკლავლებს და სხვ.);
- არამდგრადი ჯგუფები, რომელთა წევრები დანაშაულს სწაღიან წინასწარი შეთანხმებით, მაგრამ ეს შეთანხმება ეხება ერთ ან რამდენიმე დანაშაულს, რომლის ჩადენის შემდეგ ჯგუფი იშლება;
- დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ხასიათდებიან წინასწარ განზრახვლი ადრევე დაგეგმილი დანაშაულებრივი ქცევით;
- ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ხასიათდებიან მუდმივი ხასიათის დანაშაულებრივი საქმიანობაზე შეთანხმებით."

ა. ი. გუროვის აზრით, არსებობს ორგანიზებული დანაშაულობის სხვადასხვა დონე. მისი თეორიის თანახმად, პირველ დონეს წარმოადგენს ჩვეულებრივი ორგანიზებული ჯგუფები: მეორე დონეს – ასეთივე ჯგუფები, ოღონდ კორუმპირებული კავშირებით; ყველაზე მაღალ, მესამე დონეზე არიან დანაშაულებრივი ორგანიზაციები (ან საზოგადოებრივი გაერთიანებები), რომელთაც გააჩნიათ ბადისებური სტრუქტურა და მართავენ რამდენიმე ქვემდგომ ორგანიზაციას. დანაშაულებრივი ორგანიზაციები აკონტროლებენ უფრო წყრილ ჯგუფებს და დაკავებულნი არიან „რეპიკით“, არეგულირებენ ნარკობიზნესს და პროსტიტუციას.

- ავტორი ქსელური სტრუქტურის მქონე დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ერთად გამოყოფს დანაშაულებრივი ორგანიზებული გაერთიანების ნაირსახეობას „კანონიერი ქურდების“ სახით."

ა. ი. გუროვის შესაძლოა დავეთანხმოთ, რომ მართლაც არსებობს ზეწამოთვლილი სამი დონე, ოღონდ არა ორგანიზებული, არამედ ჯგუფური დანაშაულობისა. ორგანიზებული დანაშაულობა განსაკუთრებული ფენომენია. არ შეიძლება იგი განვიხილოთ, როგორც ქურდობის, თაღლითობის ან მიტაცების კარგად აწყობილი სისტემა რომელიმე ეკონომიკურ დარგში, წარმოებაში ან რეგიონში. ორგანიზებული დანაშაულობა არ შეიძლება დაყვანილ იქნას სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკების კორუმპირებულობამდე. ან „კანონიერი ქურდების“ გაერთიანების საქმიანობამდე. კრიმინალური დაჯგუფება ფუნქციონირებს სოციალური ორგანიზაციის საკმაოდ პრიმიტიულ დონეზე, რომელსაც განაპირობებს დაკავების მუდმივი რისკი და თავისუფლების აღკვეთისათვის თავისი დაღწევის აუცილებლობა. უეჭველია, რომ მაღალი „კრიმინალური რანგის“ მქონე პირთა ავტორიტეტი დანაშაულებრივი წრეში საკმაოდ დიდია. გამოკვლევათა მონაცემების მიხედვით, ისინი თამაშობდნენ და ახლაც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დანაშაულებრივი საქმარის დარაზმვაში.

მაფიების იტალიელი მკვლევარის როზარიო მინას აზრით, შეიძლება გამოიყოს მაფიოზური გაერთიანებების სამი დონე:

- მაღალი მაფია, რომელიც ძირითადად შედგება მაფიურ მკვლელთა შვილებისა და შვილიშვილებისაგან. მათ ხელშია მოქცეული პოლიტიკური ძალაუფლება;

- საშუალო მაფია, რომელიც პირველის შეკვეთით ასრულებს მოსყიდვას და მიტაცებას;
- დაბალი მაფია, რომელიც სპეციალიზებულია მკვლევლობებზე და ტერორის სხვა სახეობებზე.⁵

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოიყოფა ორგანიზებული დანაშაულობის შემდეგი დონეები:

პირველი დონე – დამნაშავეთა მდგრადი ჯგუფები, რომელთაც აქვთ რთული სტრუქტურა, მაგრამ არ გააჩნიათ კორუმპირებული კავშირები;

მეორე დონე – დამნაშავეთა ფორმირება, რომლებსაც აქვთ კავშირები სახელმწიფო და ძალოვანი სტრუქტურების კორუმპირებულ ჩინოფიკებთან;

მესამე დონე – რამდენიმე ჯგუფის გაერთიანება დანაშაულებრივ ორგანიზაციად, რომელსაც გააჩნია მართვის ფუნქციონალურ-იერარქიული სისტემა და საგარეო კავშირები.

არსებობს ამ ფორმირებების უფრო დეტალური კლასიფიკაცია დონეთა უფრო დიდი რიცხვით მარტივიდან რთულამდე:

- ა) მარტივი ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც არ აქვს რთული სტრუქტურა და დაქვემდებარება (რაოდენობა – 2-4 კაცი);
- ბ) იერარქიულად ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც სტრუქტურისთვის და შედგება 4-ზე მეტი კაცისაგან;
- გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც აერთიანებს წევრთა მნიშვნელოვან რიცხვს და გააჩნია კორუმპირებული კავშირები, გაგლეჩის სფეროები და ტერიტორიები;
- დ) ზოგადი პროფილის სისხლისმამართლებრივი ბანდიტური ჯგუფები, სპეციალიზებული დაქირავებული მკვლელები;
- ე) მაფიოზური (კლანური) დაჯგუფებები – ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ან დანაშაულებრივი სინდიკატის ფორმის ორგანიზაციები, რომლებიც ერთდროულად ეწევიან როგორც კანონისაწინააღმდეგო, ასევე ლეგალურ საქმიანობას, გააჩნიათ ორგანიზებულობის უფრო მაღალი ხარისხი, გამოირჩევიან მრავალრიცხოვნობითა და სპეციფიური სტრუქტურით.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში ერთდროულად და პარალელურად არსებობენ, ურთიერთქმედებენ და კონკურირებენ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფები, ბანდები, კრიმინალური კავშირები და ასევე ცალკეული ფსევდოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნები.

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით დაკავებული დაჯგუფებების ყველაზე უფრო მეტად გაფრცელებულ სახეობას წარმოადგენს უბრალო ორგანიზებული ჯგუფები. მათმა სტრუქტურამ, ზომებმა და საქმიანობის მიმართულებამ შეიძლება არსებითი ცვლილებები და ტრანსფორმაცია განიცადოს. რიგ შემთხვევებში ეს ჯგუფები ერწყმიან სხვა ფორმირებებს ან ახორციელებენ გარე შემკვეთების ინტერესებს.

საგამომიებო პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მოცულობის, შიდა სტრუქტურების სისრული, ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით, ძირითად ფუნქციონალურ წარმონაქმნს დამნაშავეთა ორგანიზებული საქმიანობის სფეროში წარმოადგენს კრიმინალური საზოგადოება – სისტემა ჯგუფებში გაერთიანებული პირებისა, რომლებიც დანაშაულებრივი შემოსავლებიდან გარკვეული „წილის“ მიღების საფასურად თავისი მორალური, მატერიალური, სამსახურებრივ-თანამდებობრივი, ორგანიზატორული და საშემსრულებლო შესაძლებლობების ფარგლებში შეგნებულად მონაწილეობენ დამნაშავეთა ორგანიზებული საქმიანობის ერთიანი კოლექტიური გეგმის ან მისი ნაწილის რეალიზაციაში.

ეროვნული ნიშნის მხედვით ადამიანთა დანაშაულებრივი წარმონაქმნების კონსოლიდაციის პროცესშია ლოკალურ და ადამიანთა დიდი მასების დონეზე, კლასურ-მაფიოზურ საზოგადოებებზე მათმა გაერთიანებამ ფართო გავრცელება პირობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

დამნაშავეთა ორგანიზებული საქმიანობის სიფეროს ამისხვედლ საქმეცნერო ლიტერატურაში კლანური-მაფიოზურ წარმონაქმნებში იგულისხმება აქტიურად მოქმედი და ერთმანეთთან ეთნიკური, ნათესაური, ხანგრძლივი სამსახურებრივ-თანამდებობრივი და ამავდროულად კრიმინალური საქმიანობით შეკავშირებული დანაშაულებრივი ფორმირებების წევრთა ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობენ მოცემული კოლექტიური დანაშაულებრივი წარმონაქმნის დანაშაულებრივ-ორგანიზაციულ საქმიანობაში კრიმინალური მოგების შეთანხმებული წილის, სხვადასხვა მატერიალური გასაძრაველის მიღების ან სხვა მოტივებით.

ყველა სხვა ტიპის ფორმირებებისაგან კლანური ტიპის დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს მისი წევრებსა და ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრეულ სხვა მონაწილეთა შორის პრაქტიკულად ურღვევი (წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც) ეთნიკური, ნათესაური და სანდო ურთიერთობების არსებობა, რომლებიც აგებულია ერთობლივ კრიმინალურ საქმეებზე.⁶ კლანურ-ეთნიკურ სტრუქტურად ჩამოყალიბებული ფსევდოსახელმწიფოებრივი ფორმირებები ყოველთვის ხაიათდებიან პირველდაწყებითი რგოლის არსებობით – ბერთა ჯგუფით, რომელთაც გააჩნიათ განსაზღვრული იდეოლოგიური დოქტრინა, რომელიც მოქმედებს როგორც მაკონსოლიდირებელი ფაქტორი, როგორც წესი, ეს არის ნაციონალური ადორინების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კონცეფცია. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე პირველდაწყებითი რგოლის საქმიანობის დონეზე, სახეზეა მისი ანტიკონსტიტუციური მიმართულება, რომელიც კანონით კვალიფიცირდება, როგორც „შეთქმულება ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით“, ანუ სახელმწიფოებრივი დანაშაული ასეთი კრიმინალური გაერთიანება თითქოს ჩნდება „ზემოდან“, სადაც მისი ჩამოყალიბების ამოსავალი პუნქტი არის არა რომელიმე კონკრეტული ჯგუფი, არამედ ხელმძღვანელი ცენტრი, რომელსაც შემდგომში თითქოსდა გარშემო ერწყმის თავისი ქვეშევრდომი სტრუქტურები. ამგვარი ცენტრის როლში, ჩვეულებრივ, გვევლინებიან სახელმწიფო აპარატის შემდგომი კორუმპირებული მოხელეები, ჩრდილოვანი ეკონომიკის საქმოსნები და დამნაშავე ავტორიტეტები.

მკვლევართა აზრით, დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებები იქმნება რამდენიმე გზით: ა) სიტუაციურ-ძალისმიერი; ბ) ფუნქციონალურ-სახელმწიფოებრივ და გ) ფორმალურ-წარმოებითი.

პირველი ხერხი ახასიათებს ანგარებით-ძალადობრივი ორიენტაციის დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფს, როდესაც ჯგუფი იქმნება იმ აუცილებლობის გამო, რომ დანაშაული ჩადენილ უნდა იქნეს კრიმინალური წარსულის მქონე პირების მიერ. მოცემულ შემთხვევაში ჯგუფის წევრები კისრულობენ გარკვეული ორგანიზატორული ფუნქციების შესრულებას და გადაწყვეტილებებს დებულობენ შექმნილი კონკრეტული ცხოვრებისეული სიტუაციიდან გამომდინარე. ასეთი ჯგუფები შესაძლებელია, გადაიქცნენ საკმაოდ მდგრად ფორმირებებად, გართულდნენ სტრუქტურულად და გაიზარდონ წევრთა რაოდენობის მიხედვით. თუმცა, შესაძლოა, დაიშალოს ერთი დანაშაულის ან დანაშაულთა სერის შემდეგ.

მეორე მეთოდის რეალიზება ხდება მაშინ, როცა ორგანიზებულ დამნაშავეთა ფორმირებების პერსპექტიულ ლიდერებს აქვთ დრო, რათა დეტალურად დაგეგმონ მომავალი სამართალსაწინააღმდეგო საქმიანობა, გააჩნიათ არჩევანი კრიმინალებს ან

პროფესიულად მომზადებულ ადამიანთა შორის (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში).

დაბოლოს, მესამე — ფორმალურ-წარმოებითი — ხერხი ახასიათებს ანგარებით-სამეურნეო ორგანიზებულ დანაშაულობას, როდესაც დანაშაულებრივი ქვეგანაცოფების ცალკეული რგოლები იმეორებენ სახელმწიფო, სამეურნეო და სამმართველო სტრუქტურებს, მასში ფაქტობრივად არაფერს ცვლიან და მხოლოდ თანდათანობით არეგულირებენ და გარდაქმნიან კორუმპირებული და არასასურველი თანამშრომლების აუცილებელი რგოლების მოცილების მეშვეობით. ასეთი ჯგუფების წევრები, როგორც წესი, ასრულებენ როგორც სრულიად ლეგალურ, ასევე არალეგალურ და კანონსაწინააღმდეგო ფუნქციებს, ხოლო ორგანიზაციებს აქვთ ორმაგი ბუღალტერია და სწადიან საგადასახადო დანაშაულს.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ დამნაშავეთა ორგანიზებულ ფორმირებებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებათა მიუხედავად, ორგანიზებულობის ხარისხის, წევრთა შორის ფუნქციონალური მოვალეობების განაწილების, მართვის ტიპისა თუ წევრთა რაოდენობის მიხედვით, მაინც შესაძლებელია მოხდეს მათი კლასიფიკაცია სტრუქტურის მიხედვით. დანაშაულებრივი წარმონაქმნების უმეტესობას, რომლებიც აერთიანებენ 30 და მეტ წევრს, გააჩნიათ სხვადასხვა დონის რამდენიმე სტრუქტურული რგოლი: დაბალი საშემსრულებლო, ორგანიზაციულ-საკონტროლო, შუალედური, უსაფრთხოების ჯგუფები და ხელმძღვანელი ზედა რგოლები. შემსრულებლები, როგორც წესი, შეირჩევიან ზოგად სისხლისსამართლებრივ დამნაშავეთაგან ან ანტიმოციალური მიმართულებისა და ქცევის მქონე ახალგაზრდებისგან. იერარქიულ პირამიდაში, შემსრულებელთა რგოლებს ზემოთ დგანან საშუალო რგოლები, რომლებიც ახდენენ დანაშაულებრივი აქტივობის კოორდინირებას. უმაღლესი რგოლები დისტიანციურებულნი არიან და დანაშაულში უშუალო მონაწილეობას არ ღებულობენ. ისინი შეიმუშავენ ჯგუფების მოქმედების სტრატეგიას და უზრუნველყოფენ საქმიანობის კორუფციულ მეთარველობას, აგრეთვე კრიმინალური შემოსავლების ხართვის ბიზნისის ლეგალურ სფეროებში.

ორგანიზებული დანაშაულობა გამოირჩევა საქმიანობის დიდი ნაირსახეობით და შეუძლებელია ამ სახეობათა ყოვლისმომცველი ჩამონათვალის გაკეთება. თუმცა, ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

კრიმინალურმა და სოციალურმა ლიტერატურულმა წყაროებმა, სასწავლო და პრაქტიკულ მუშაკებთან კონსულტაციებმა, აგრეთვე ჩატარებულმა გამოკვლევებმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავეთინა მართლსაწინააღმდეგო ჯგუფური ქცევის ძირითადი, მათ შორის საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის დეფინიციაში მოქცეული, სახეობების კლასიფიკაცია.

დანაშაულებრივი ორგანიზაციის ტიპი	დანაშაულებების ხასიებები	დანაშაულებრივი ჯგუფების კრიმინალური დახასიათება
1 შემოსხვევითი ჯგუფი (უბრალო თანამონაწილეობა 2-4 წევრთან ჯგუფში).	ქურდობის, ძარცვის, სხვადასხვა სიძიმისა და ხარისხის ძალადობრივი დანაშაულების ჩადენა.	ჯგუფს არ გააჩნია ორგანიზებულობა არ უყავს ლიდერო. შედეგა უბრალო თანამშრომლებლებსგან, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ჩვეულებრივ აშლება.
2 ბირველი რივის ორგანიზებული	წინასწარგანზრახული ანგარებითი და	ჯგუფი ხასიათდება ორგანიზებულობის დაბალი დონით: არ უყავს ლიდერო ან აქვს

<p>ჯგუფი</p>	<p>ძალადობრივი დანაშაულებების ჩადენა</p>	<p>პრიმიტიული ფორმები დანაშაულის ჩადენისათვის მზადების დონე ან დაბალია, ან დანაშაულის ჩადენა ხდება შექმნილი სიტუაციის შემოქმედებით. ჯგუფი არ არის მყარი და ჩვეულებრივ არსებობს არაუმეტეს 1-2 წლისა. დამახასიათებელია აბალგაზრდული და მოზარდთა ბანდებისათვის.</p>
<p>3 მეორე რიგის 2-10 წევრისაგან შემდგარი ორგანიზებული ჯგუფი</p>	<p>წინასწარგანზრახული, ძალადობრივი და ანგარებითი დანაშაულების ჩადენა</p>	<p>ჯგუფს გააჩნია ორგანიზებულობის საშუალო დონე: ლიდერი გამოკვეთილია, ფუნქციონირებს 2-3 რეგულიანი იერარქია, დანაშაულობები კარგადაა დაჯგუფილია ჯგუფი მყარია 3-5 წლის განმავლობაში, დამახასიათებელია კრიმინალური წარსულის მქონე ბრთა გაერთიანებებისთვის, ინტერესი და მიმართულებები ანგარებით-ძალადობრივია. ჯგუფში არა-იდეოლოგიზირებულები არიან.</p>
<p>4 მესამე რიგის ორგანიზებული ჯგუფი</p>	<p>სახელმწიფო და კომერციულ ობიექტებზე თავდასხმების მოწყობა, კვალიფიცირებული ბანდისტიზმი, რეკტი ადამიანთა გატაცება.</p>	<p>ხასიათდება ორგანიზებულობის მაღალი დონით, ჰყავს მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი, გააჩნია მრავალსაფეხურიანი იერარქია, კორუფციული კავშირები სუსტია ან არ აქვთ, დანაშაულის მომზადების დონე მაღალია, კონსპირაცია — კარგი, ინტერესები და მიმართულება ქონებრივია. არ არიან იდეოლოგიზირებულები.</p>
<p>5 სინდაკატის ტიპით მოწყობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება</p>	<p>სახელმწიფო საკუთრების დატაცება, საგადასახადო დანაშაულები, კონტრაბანდა, თადღობობა, ნარკობიზნესში და პროსტიტუციაზე კონტროლი ში მონაწილეობა.</p>	<p>დანაშაულებრივი სინდაკატები წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოიქმნენ ერთი ან რამდენიმე ორგანიზაციის გაერთიანების შედეგად კონკურენტული ბრძოლის პროცესში. ლიდერებს გააჩნიათ დიდი ძალაუფლება და გავლენა, იერარქია სიცოცხლის მაფიის ტიპისაა, სინდაკატს ხელმძღვანელობენ „კანონიერი ქურდები“, მნიშვნელოვანია კორუფციული კავშირები. ჩვეულებრივ, ასეთი საზოგადოება — თჯახი ხანგრძლივად არსებობს, მიმართულება ანგარებითია, კონსპირაცია კარგია და ფუნქციონირებს „ომერტას“ კანონის მიხედვით, რომ სახელმწიფო და სამართალდამცავ სტრუქტურებში ჰყავდეთ თავიანთი ხალხი. არ არიან იდეოლოგიზირებულები.</p>
<p>6 „კარტელის“ ბრანქაზე აწყობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი საზოგადოება</p>	<p>კონომიკურ ხფეროში ჩადენილი განსაკუთრებულად მხვლილი მასშტაბების ქმედებები, ფულის ლეგალიზაცია, საბანკო-საფინანსო გაფლანგვები და მითვისებები, პუბლიცარული დაბმარების და კრედიტების მიტაცება.</p>	<p>კრიმინალური კარტელები წარმოადგენენ ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფო და დანაშაულებრივი სტრუქტურების გაერთიანებას დანაშაულებრივი ბიზნესის წარმოების მიზნით. ორგანიზებულობის დონე ძალიან მაღალია, იერარქია სისტემურია, ლიდერი, ჩვეულებრივ, რამდენიმე და საქმიანობის შესაბამის მიმართულებებს კუთრებენ, ხელმძღვანელო ორგანო ლიდერების საბჭო ან ყრილობაა, აქვთ თავიანთი დაწყება და კონტრდაზვერვა, დაცვა და მებრძოლება, შეიმიშნება სწრაფვა სახელმწიფო და კონომიკურ პოლიტიკაზე გავლენის მოპოვებისკენ, საქმრო</p>

<p>7 პროფკავშირის ბრძოლებზე აგებული ორგანიზებული დანაშაულებრივი საზოგადოება. 20 და მეტი წევრი.</p>	<p>დანაშაულის წარმოების სამრეწველო წარმოება, ორგანიზაცია, გაანობიერება ლეგალიზაციის“ და მინებისთვის</p> <p>ჩადენა სფეროში, შიშობის წინადაცის, ნარკობიზნის საბანკო აფულის მიზნით, გამოყენება რეკეტის</p>	<p>პოლიტიკოსების ლობირების კენ; მიმართულა ქონებრივანგარებითა.</p> <p>დანაშაულებრივი კავშირები პროფკავშირები თავისთავად წარმოადგენენ სტრუქტურებს, რომლებიც ბარაზიტობენ ლეგალური ფორმებისა და სახელმწიფო წარმოების ხარჯზე, გამოირჩევიან ორგანიზებულობისა და კონსპირაციის მაღალი დონით, აქვთ რთული იერარქია, გაანობიერებული კორუფციული კავშირები, არ არიან იდეოლოგიზირებულნი, მიმართულა ანგარებითა. აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ ძალადობას.</p>
<p>8 პოლიტიკურ-კრიმინალური საზოგადოება.</p>	<p>დანაშაულების იძულებითი მოხდენის, ხელისუფლების წინააღმდეგ და შოკირით მონაპოვობის მიზნით, შიკვეთილი შანტაჟი, შანტაჟი, ეროვნული პროპაგანდა, არეულობები, ბიზნესის მომგებიანი (ენერგეტიკული, ალკოჰოლური და სხვ.)</p> <p>ჩადენა ზეწოლის პოლიტიკური ხელში ეკონომიკის სფეროში მიღწევის ტერორი, მკვლელობა, იმისა და შუღლის მასიური შეღავათი, კონტრაბანდი, ცველაზე უფრო მომგებიანი სფეროებში (ენერგეტიკული, თამბაქოს</p>	<p>„პოლიტიკური პარტიის“ პრინციპით შექმნილი დანაშაულებრივი ორგანიზაციები იყენებენ პოლიტიკური პარტიის ლეგალურ სტატუსს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის დასაფარად. აქვთ რთული იერარქია, რომელიც ახდენს პარტიული ბრძოლის კომერცს, მყავთ კარგი ბიზნესის მქონე ფორმალური ლიდერები და ჩრდილოეთი ბიზნესი, რომლებიც რეალურად მართავენ ორგანიზაციას. აფანანსებენ მეომრებს და შემოწმებლებებს ლეგალიზებული პარადი მცველების ხაზით, ეწევიან ორმაგ ბულალტრამას, მყავთ წარმომადგენლები ცენტრალურ და ძალიან სტრუქტურებში, აქვთ პოლიტიკური ამბიციები და ისწრაფვიან ხელისუფლების მონაპოვობისკენ, თუმცა ძირითადი მიმართულება ანგარებითა.</p>
<p>9 ეთნო-კრიმინალური საზოგადოება (500 და მეტი წევრი).</p>	<p>დანაშაულის პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ და მინების მიზნით, ორგანიზაცია, ტერორი, ეთნიკური მკვლელობები და ძალადობრივი დანაშაულებები, მონაწილეობა ნარკობიზნის, და საომარი გაჭიროებაში, სახელმწიფოების ტერიტორიაზე დანაშაულებრივი საქმიანობაში და ა.შ.</p> <p>ჩადენა ხელში მასიური ბანდიტიზმი, გენოციდი, წმენდა, და სხვა მასალებით სხვა</p>	<p>მოცემული საზოგადოებები განსხვავდებიან ორგანიზებულობის მაღალი დონით, შეუძლიათ სახელმწიფო სტრუქტურების მათ შორის ძალიან ორგანიზების ჩანაცვლება, იერარქია მრავალსაფეხურანაა, აქვთ როგორც ლეგიტიმური, ასევე არალეგალური სტრუქტურები, ფორმალური ლიდერები ფლობენ ლეგიტიმურ და ფსევდოლეგიტიმურ სტატუსს. არსებობენ ჩრდილოეთი ლიდერებიც მათ შორის კრიმინალური სტრუქტურების წარმომადგენლებიც, გამოირჩევიან საქმიანობის დაუცემის სრულყოფილი სტრატეგიით და ტაქტიკით, მყავთ რეგულარული არმიის ყაზაზე აგებული შედარებული მებრძოლი რაზმები, შეუძლიათ საბრძოლო ოპერაციების ჩატარება და სხვის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების განხორციელება, ახასიათებთ იდეოლოგიის მაღალი დონე და ეწევიან თავისი საქმიანობის პროპაგანდას, საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ ძალადობას და მოსახლეობის (განსაკუთრებით სხვა ეთნიკური ჯგუფების) მუხლებს ამასიურად საომარ ფორმირებებში, მონაწილეობა მიდიან</p>

		სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და ა.შ. სარგებლობენ მესამე ქვეყნების და ზოგიერთი რადიკალური დაჯგუფებების მფარველობით.
--	--	---

როგორც ცხრილიდან ჩანს, არსებობს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის 9 ნაირსახეობა, რომელთაგან მხოლოდ უკანასკნელი ხუთი შეიძლება მივაკუთვნოთ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს. ამ დაჯგუფებებს გააჩნიათ კრიმინალური საზოგადოების სტრუქტურა, ანუ წარმოადგენენ დამნაშავე ჯგუფების, კომერციული ორგანიზაციების, წარმოებების, პროფკავშირების, პოლიტიკური პარტიების, ერთი ეთნოსის ყველა ფენის წარმომადგენლებისა და ა.შ. სიმბიოზს.

კრიმინალური საზოგადოების მეთაურები ახორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას და თითქოსდა ნეიტრალურნი არიან მისი შემადგენელი ნაწილების მიმართ, ატარებენ რა თაღის ხაზს თანამშემწეების მეშვეობით, რომლებიც მეთაურობენ ცალკეულ სტრუქტურებს. ზოგიერთ კრიმინალურ ორგანიზაციაში ჰყავთ მრჩეველები, როგორც დანაშაულებრივ, ასევე პოლიტიკურ, კომერციულ-ფინანსურ, ეკონომიკურ, საწარმოო და სხვა საკითხებში. კრიმინალური საზოგადოების მდგრადობა და უსაფრთხოება, ძირითადად, უზრუნველდება ხელმძღვანელ, დაცვისა და გასამზღვდროებულ რგოლებზე.

კომერციულ-ფინანსურ სტრუქტურებში შემავალმა პირებმა, ხელმძღვანელების გამოკლებით, შეიძლება არც კი იცოდნენ, ვისზე მუშაობენ, რადგანაც ეს ორგანიზაციები დაწესებულებები და საწარმოები, ძირითად, ლეგიტიმურები არიან და გამოიყენებიან დანაშაულებრივი საქმიანობის შესანიშნავად. დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, როგორც წესი, წარმატებული პოლიტიკოსი, მეწარმე, ან კომერსანტი.

აღნიშნული სტრუქტურების ძირითადი ფუნქციაა კრიმინალური შემოსავლების ლეგალიზაცია, მათი გაზრდა კვლავწარმოებისათვის და დანაშაულებრივი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ცალკეულ შემთხვევებში, პოლიტიკური ან კომერციულ-კრიმინალური სტრუქტურების მეთაურების ოფიციალური საქმიანობა ეხმარება მათ და მათ თანამზრახველებს მოსახლეობაში გარკვეული ავტორიტეტის და აღიარების მოპოვებაში და დანაშაულებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ბირთვისათვის უსაფრთხოების დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოფაში, რასაც ხელს უწყობენ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და საშარტლებრივი პირობები.

პარტიულ-კრიმინალური საზოგადოების კლასიკურ მაგალითად შეიძლება გამოვლენოთ ორგანიზაცია „მხედრონი“. მართალია, იგი რეგისტრირებული იყო როგორც „მამყელთა კორპუსი“, მაგრამ, პრაქტიკულად, მისი საქმიანობას პოლიტიკურ-კრიმინალური ხასიათი პქონდა. ასე მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც აუჯანყდა პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას და ხელისუფლებაში ე. შევარდნაძე მოიყვანა. ორგანიზაციას გააჩნდა თავისი წარმომადგენლობა რესპუბლიკის ბევრ რეგიონში და ჩაბმული იყო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დაჯგუფებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტში, გამოდიოდა რა როგორც პოლიტიკური სამხედრო ძალა. დაჯგუფებაზე დაყრდნობით მისი ლიდერი ზეწოლას ახდენდა პრეზიდენტ შევარდნაძეზე, აღწევდა თანამდებობებზე მისთვის სასურველი პირების დანიშნვას და ახორციელებდა კონტროლის ეკონომიკის და ფაქტობის სფეროებში. ამავე დროს „მხედრონი“ შეიძლება განვიხილოთ როგორც სინდიკატი, რომელმაც მწვავე კონკურენციულ ბრძოლაში შთანთქა ან გაანადგურა სხვა დანაშაულებრივი ჯგუფები. ვერ გაუძღეს რა ამ ბრძოლას,

კრიზისალური სამყაროს ბევრი ლიდერი და ე.წ. „კანონიერი ქურდი“ იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და გადასულიყო სხვა ქვეყნებში.

რაც შეეხება „კარტელებს“ პრინციპზე აგებულ კრიზისალურ საზოგადოებებს, მათ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. სპირტის მაფია, რომელიც რამდენიმე წელია მოქმედებს საქართველოში, რუსეთში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში. ამ „კარტელში“ გაერთიანდნენ კრიზისალური, სახელმწიფოებრივი და კერძო ორგანიზაციები თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან საქართველოზე და ჩრდილოეთ ოსეთზე გავლით სპირტის ტრანსპორტირების ბიზნესში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი სპირტი უმძღვომში ლეგალურ და არალეგალურ საწარმოებში გადამუშავდებოდა არყად და სხვა ფალსიფიცირებულ ალკოჰოლურ სასმელებად რუსეთის ბაზრისათვის. აღნიშნული საქმიანობის მოცულობისა და მიხედვით მიღებული მიხსლოებითი შემოსავლების შესახებ ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1997 წლის მიწურულს რუსეთმა გადააკეტა თავისი საზღვრები საქართველოსთან და სასაზღვრო პუნქტებთან თავი მოიყარა ასობით მძიმე სატვირთო მანქანამ, რომელთაგან თითოეული დატვირთული იყო 20 და მეტი ტონა სპირტით. საზღვარზე ატყდა ნამდვილი ომი, იმართებოდა სროლები, აფეთქებები, ხორციელდებოდა საზღვრის გარღვევა სატვირთო მანქანებით და სხვ. სასაზღვრო კონფლიქტში ჩაერივნენ საქართველოს ძალზე მაღალი დონის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც ცხოველი ინტერესი გამოავლინეს აღნიშნული პრობლემისადმი, რაც მოწმობს სახელმწიფო და კრიზისალური სტრუქტურების ღრმა ურთიერთშეზრდასა და მათ თანასაქმიანობაზე სახელმწიფო და ტრანსნაციონალურ დონეზე.

მოცემული კვლევის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ეთნო-კრიზისალური წარმონაქმნები, რომელთაც გააჩნიათ ლეგიტიმური სახელმწიფოს ყველა სახელმწიფოებრივი — საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ძალისხმევა — სტრუქტურა და ქმნიან სამართლებრივი საზოგადოების მოჩვენებით სახეს. მაგალითად, აფხაზეთში ფორმირებული იყო ყველა სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია და კანონები თუმცა არსებობს მთლიანი ნაკრები ნიშნებისა, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, ვ. არძინბას რეჟიმი ჩაითვალოს კრიზისალურად:

1. აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლება უზურპირებულია ეთნიკური უმცირესობის მიერ სამხედრო ძალის, მესამე ქვეყნების და დაქირავებული შეიარაღებული ძალების გამოყენებით, ე.ი. არსებითად განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება;
2. განხორციელდა ეთნიკური წმენდა, რის შედეგადაც ქართული მოსახლეობა, რომელიც შეადგენდა მოსახლეობის 64%-ს, ძალით იქნა დეპორტირებული ავტონომიის საზღვრებს გარეთ, ანუ დარღვეულ იქნა მოქალაქეთა უზრავლისობის კონსტიტუციური უფლებები და ჩადენილი იქნა სისხლისსამართლებრივი დანაშაული;
3. არძინბას რეჟიმი ახორციელებს რესპუბლიკის მართვას კრიზისალურ დაჯგუფებებზე და მათ ლიდერებზე დაყრდნობით, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურები ნიღბავენ მათ დანაშაულებრივ არსს;
4. აფხაზეთ და სხვა მოსახლეობას, რომელიც დარჩა რესპუბლიკის ტერიტორიაზე იძულების გზით იწვევენ სეპარატისტულ შეიარაღებულ ფორმირებებში;
5. რეჟიმის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ნარკობიზნესის, იარაღით უკანონო ვაჭრობის, რესპულიკის გარეთ მოქმედი კრიზისალური ჯგუფების და საზღვარგარეთის ტერორისტული და რადიკალურ-რელიგიური ორგანიზაციების ხარჯზე;
6. ოფიციალურად აფხაზეთი რეჟიმი არ აღიარა მსოფლიოს არც ერთმა ქვეყანამ, ე.ი. იგი რჩება კანონგარეშე და სავრთაშორისო კონტროლის გარე ტერიტორიად, რაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას საშუალებას აძლევს გამოიყენოს

აღნიშნული რეგიონი როგორც უსაფრთხო ზონა თავისი ბიზნესისათვის, მეომრების და ტერორისტების მოსამზადებელი ბანაკების განლაგებისათვის.

პრიმიტიულ ეთნო-კრიმინალურ ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე დაჯგუფებები, რომლებიც მოქმედებენ პანკისის ხეობის ტერიტორიაზე. ეთნიკური ნიშნით დარაზმული ეს ჯგუფები შედგებიან ეთნიკური ჩეჩნებისგან ე.წ. „ბოევიკებისაგან“ ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან, რომლებიც თავს აყარებენ საქართველოს და არაბული ქვეყნებიდან დაქირავებული მეომრებისაგან. საქართველოს უშიშროების მინისტრის მონაცემებით, ასეთი ჯგუფები აერთიანებენ 800-მდე ადამიანს, რომელთა შორის 200-მდე არაბია. ეს დაჯგუფებები წარმოადგენენ ტრანსნაციონალური დანაშაულის კლასიკურ მაგალითს, რომელთაც გააჩნიათ ორგანიზებული დანაშაულისა და ტერორიზმის ნიშნები, კარგად არიან შეიარაღებულნი და კოორდინირებულნი. მათ სერიოზულად დააქვეითეს სახელმწიფო კონტროლის დონე ხეობის ტერიტორიაზე და მკვეთრად გაზარდეს ძალადობრივი დანაშაულის (ადამიანთა გატაცება, ყაჩაღობა, ქარცვა, მკვლელობა) რაოდენობრივი მაჩვენებლები სახელმწიფოს აღმოსავლეთ რეგიონებში.

¹ შ. ბაძაღვა, ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1988

² Лиснев В. В. Преступность XX века (Мировой криминологический анализ) М., 1997, с. 285

³ Криминология. Под редакцией А.И. Долговой., М., 1997, стр. 606-607

⁴ Карпец И.И. Преступность. Иллюзии и реальность. М., 1992, стр.267

⁵ Криминология. Под редакцией А.И. Долговой М., 1997, стр. 603

⁶ National Task Force on Organized Crime (1976) Report of the task force on organized crime. Washington. DC: Government Printing Office

⁷ Hagan F. – The Organized Crime Continuum: A Further Specification of the New Conceptual Model" Criminal Justice Review. 8. 52-53

⁸ Maliz M. – Towards Definition Organized Crime/ The Politics and Economics of Organized crime

⁹ Fincksnauer J.O. Kenney D.J. – Organized Crime in America. USA, 1995

¹⁰ См: Шнайдер. Криминология стр. 254

¹¹ См: Организованная преступность. Колл. Авт. М., 1989., стр. 8-9

¹² Гуров А.И. Профессиональная преступность: прошлое и современность. М., 1990, стр. 29

¹³ См: Минна Р. – Мафия против закона. М., 1988, стр. 189

¹⁴ См: Основы борьбы с организованной преступностью. Колл. Авт. М., 1996 стр. 232

თავი 9

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა

§ 1. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება და ნიშნები

ორგანიზებული დანაშაულობა მთელ მსოფლიოში იღებს ტრანსნაციონალურ ხასიათს. ახალი XXI საუკუნის ზღურბლზე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა თავისი მასშტაბებით და დამანგრეველი ზემოქმედებით რეალურ საფრთხედ იქცა მთელი კაცობრიობისათვის.

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია ჰიპერტროფიული ზრდის ტენდენცია და წარმოადგენს ძალას, რომელიც საფრთხეს უქმნის ყოველი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. იგი არა მარტო აფართოებს თავის საქმიანობას, არამედ ანგრევს საზოგადოების ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას და საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უშიშროებას, დემოკრატიული რეფორმების რეალიზაციას, პირველ რიგში, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელთაც განეკუთვნება საქართველოც.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალურმა და აგრესიულმა ხასიათმა საერთაშორისო საზოგადოება აიძულა მთელი ძალისხმევა მიუძღრო ამ ნეგატიური მოვლენის პრევენციის მექანიზმების შემუშავებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რამეთუ მისგან დაზღვეული არ არის არც ერთი სახელმწიფო და რეგიონი.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ტრანსნაციონალური დანაშაულობა არ არის „ტრადიციული“ ორგანიზებული დანაშაულობის ახალი ნაირსახეობა. იგი წარმოადგენს დანაშაულებრივი საქმიანობის თვისობრივად ახალ სახეს, რომელიც დამნაშავეთა ორგანიზებულ სტრუქტურებს შესაძლებლობას აძლევს, დაემუქრონ სახელმწიფოების სტაბილურობას, ხელი შეუშალონ მათ ეკონომიკურ განვითარებას, დაანერგონ კორუფციული ურთიერთობები, დაბლოკონ დემოკრატიული ინსტიტუტები და ამით მოახდინონ თავისი ძლევამოსილების და ხელშეუხებლობის დემონსტრაცია.

როგორც ყველა სხვა სოციალური მოვლენა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობაც ფლობს მახასიათებელი ნიშნების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს ამ ფენომენის ძირითადი პარამეტრები და პარადიგმები.

ძირითადი მარკენებლების საფუძველზე შეიძლება გამოვიკვლიოთ ტრანსნაციონალური დანაშაულობის სტრუქტურა, მექანიზმები და თავისებურებები, აგრეთვე მოვახდინოთ მისი გამოიგნა სხვა დანაშაულებრივი ორგანიზებული სტრუქტურებისაგან.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ჩამოყალიბებულ იქნეს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის“ ცნება, რომლის საშუალებითაც შეიძლება შეფასდეს იმ საფრთხის მასშტაბურობა, რომელსაც ეს ნეგატიური მოვლენა ატარებს, განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმირების გზები, მისი არსებობის და აღმოცენების მიზეზები. უნდფიცირებული ცნების ჩამოყალიბება მსოფლიო საზოგადოებას საშუალებას მისცემს გააერთიანოს ძალისხმევა და მიიღოს ადექვატური ზომები, რათა საერთაშორისო დონეზე შეებრძოლოს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას.

სამწუხაროდ, მსოფლიოსათვის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მიერ შექმნილი გლობალური საფრთხის და მის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის გაცნობიერება მხოლოდ გასული საუკუნის

უკანასკნელ წლებში მოხდა. ამიტომ, მიუხედავად ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სისტემატიზაციის ცალკეული მცდელობისა, ბოლო დრომდე არ არის განსაზღვრული ამ მოვლენის ძირითადი მახასიათებლები და არაა შექმნილი მისი უნივერსალური დეფინიცია.

ქვემოთ მოვთხრობთ იმ ძალისხმევათა შესახებ, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო დონეზე „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის“ უნივერსალური განსაზღვრისაკენ. მსგავსი მცდელობას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 1988 წელს სანტ-კლავდის საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულობას მიეძღვნა. 84 მონაწილე ინტერპოლის 46 წევრი ქვეყნიდან მსჯელობის შედეგად მივიდა შეთანხმებამდე, მიუღოთ განსახილველი ცნების — „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის“ აღმნიშვნელი სამუშაო ფორმულა, რომელიც შემდგომ დისკუსიებს დაედებოდა საფუძვლად. გადაწყდა, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობაში ევლისხმავთ „ადამიანთა ნებისმიერი ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ეწევიან დანაშაულებრივ საქმიანობას და აქვთ ერთი მთავარი მიზანი — მიიღონ სარგებელი ყველგან — ნაციონალური საზღვრების მიუხედავად.“ მოცემულმა განსაზღვრებამ საშუალება მოგვცა გამოვგვეყო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოთხი ძირითადი ნიშანი:

1. ორგანიზაციის არსებობა ან მასში მონაწილეობა;
2. უწყვეტობა;
3. საქმიანობის მიზნად მოვების მიღების დასახვა;
4. მისი მიღწევის ხერხები, რომელიც ეყრდნობა ეროვნული საზღვრების იგნორირებას.

ყველა ჩამოთვლილი ნიშანი, უეჭველია, მოიცავს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ამ თუ იმ მახასიათებლებს, მაგრამ მათგან პირველი საბი საბაზოა კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის ფორმულირებისთვისაც. მხოლოდ ერთადერთი ნიშანი — დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელება როგორც ეროვნული საზღვრების შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ — ამჟღავნებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკას. მაგრამ, გამოხატავს რა მის ძირითად არსს, ეს ერთადერთი ნიშანი მაინც არ გვაძლევს საშუალებას სრულად შევაფასოთ პრობლემის გლობალურობა, მით უმეტეს, მთლიანად მოვიცვათ მისი მახასიათებლები და თავისებურებები.

ბოლო წლებში კრიმინოლოგიაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნებისადმი ორი დომინირებული მიდგომა გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ყურადღების აქცენტირება მოხდა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების სტრუქტურასა და ნაირსახეობაზე, მეორე მხრივ კი — მათი ფუნქციონირების მექანიზმების ანალიზზე.

პირველი მიდგომის ჩარჩოებში გამოკვლევას ექვემდებარება კლასიკური ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების განვითარების ისტორია, მათი საქმიანობის ინფრასტრუქტურა, სპეციალიზაცია და ზოგიერთი სტრუქტურული თავისებურება.² ეს მეთოდი არ იძლევა საშუალებას გამოვავლინოთ მოცემული ფორმირებების ფუნქციონირების მექანიზმები და გაგვიჩვენოს ისინი ახალი ტალღის დანაშაულებრივი ორგანიზაციებისაგან, რომელთაც უკვე მიიღეს ტრანსნაციონალური ხასიათი და ზემოვების მიღების მიზნით საერთაშორისო ასპარეზზე გააღწიეს.

ჩვენი აზრით, შედარებით რაციონალურია მეორე მიდგომა, როცა მთლიანად ტრანსნაციონალური დანაშაულობისათვის ყველაზე ტიპური ნიშნების ანალიზისა და დაჯგუფების შედეგად ხდება სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციებისათვის ნიშანდობლივი ძირითადი მახასიათებლებისა და კონსტრუქციების გამოვლენა.

სხვადასხვა მკვლევარები გამოყოფენ 3-დან 14-მდე ასეთ ნიშანს. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ერთ შემთხვევაში ავტორები ტრანსნაციონალური დანაშაულობის დეფინიციაში რთავენ როგორც ორგანიზებული კრიმინალური ფორმირებებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ასევე იმ ნიშნებსაც, რომლებიც საშუალებას იძლევიან ამ ფორმირებებს შორის გამოვეყნოთ ტრანსნაციონალური თვისებების მქონე ჯგუფები, მეორე შემთხვევაში კი მკვლევარებს მოჰყავთ მხოლოდ ის მახასიათებლები, რომლებიც განმარტავს ტრადიციული და ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების გაიჯენისათვის.³

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნების ყველაზე სრული ნაკრები შეიძლება კანადის სისხლის სამართლის დაზვერვის პოლიციის დეპარტამენტში. ეს ნიშნებია:

1. კორუფცია - არაკანონიერი გავლენის გამოყენება, ადამიანის სისუსტეებით მანიპულირება და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეთა შანტაჟი.
2. დისციპლინა - ორგანიზაციისადმი დაპირების იძულება დაშინებისა და ძალადობის გამოყენებით.
3. შეღწევა - ძალისხმევა კანონიერ ინსტიტუტებში შესაღწევად კრიმინალური მოგების გაზრდის და დანაშაულზე მასუსიმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით.
4. იზოლაცია - ორგანიზაციის ლიდერების დაცვა მათი როგორც წევრებისაგან გაიჯენით, აგრეთვე ფორმირების შიგნით სხვადასხვა რგოლებისა და ფუნქციების განცალკევებით.
5. მონოპოლია - გეოგრაფიული ტერიტორიის ფარგლებში კრიმინალური აქტიურობის გარკვეულ სფეროზე კონტროლი და კონკურენციისადმი შეუწყნარებლობა.
6. მოტივაცია - ძალაუფლების და გავლენის მოპოვება სიმდიდრის დაგროვებით, პოლიტიკურ და სოციალურ მოგებათა მიღებით.
7. დამშობა - საზოგადოებრივი ინსტიტუტების, სამართლებრივი და მორალური ღირებულებების გაუფასურება.
8. ისტორია - უზრუნველყოფს კრიმინალური საქმიანობის სრულყოფას და მონოპოლიზაციას.
9. ძალადობა - უცოყმანოდ გამოიყენება ორგანიზაციის დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად.
10. დანაშაულებრივი პროფესიონალიზმი - მისი დანერგვა მოწინავე კომუნიკაციების სისტემებით სარგებლობისთვის, ფინანსური თქერაციების და კონტროლის განსახორციელებლად.
11. უწყვეტობა - კორპორაციის მსგავსად, ორგანიზაცია ხელს უწყობს მისი შემქმნელებისა და მმართველობის სტრუქტურის შენარჩუნებას.
12. უკანონო საქმიანობის მრავალფეროვნება - ორგანიზაციის მიერ მხოლოდ ერთი სახის დანაშაულებრივი საქმიანობის წარმოების ტენდენციის აღმოფხვრა.
13. კავშირი - წევრისა წევრთან და წევრისა ორგანიზაციასთან სოლიდარობისა და დაცვისათვის, რაც ხშირად სპეციფიური რიტუალების კომპლექსით გამოიხატება.
14. მობილურობა - იურისდიქციული და ნაციონალური საზღვრების ფნორირება.⁴

უქვევლია, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მოცემული დეფინიცია მთელი როგი ნიშნებით ემთხვევა ორგანიზებული დანაშაულობის საერთო მახასიათებლებს. წარმოდგენილ ჩამონათვალს გაანზია საქმოდ აბსტრაქტული ხასიათი, მხოლოდ უკანასკნელი (მე-14) ნიშანი მიუთითებს დანაშაულის ტრანსნაციონალურობაზე, რომელიც მოცემულ კონტექსტში მეტად ბუნდოვნად აღიქმება.

იმისათვის, რათა განისაზღვროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსი, აუცილებელია ყურადღების ფოკუსირება მოხდეს მახასიათებლებზე, რომლებიც

ნიშანდობლივია მხოლოდ ამ საქმიანობისათვის და მიჯნავს მას ორგანიზებული დანაშაულობის სხვა ფორმებისაგან.

ასე მაგალითად, ლ. შელი გამოყოფს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის 4 განმასხვავებელ ნიშანს:

1. ორგანიზაცია ბაზირება ხდება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
2. მას შეუძლია დანაშაულები ჩაიდინოს ერთი ქვეყნის საზღვრებში, მაგრამ, როგორც წესი, თავის კრიმინალურ აქტიურობას განაგრცობს რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე;
3. მსგავსი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შეუძლიათ მხილების რისკის მინიმუმადე დაყვანა თავისი საქმიანობის კრიმინალური აქტიურობის და ნეგატიური შედეგების სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე გადატანით კონკრეტული შემსრულებლებისა და უცხო ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოებისგან გამიჯვნის მიზნით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები აღწერილია ამერიკელი მკვლევარების რ. გოდსონის და ვ. ოლდსონის გამოკვლევებში. ისინი მიუთითებენ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ისეთ განმასხვავებელ თავისებურებებზე, როგორცაა კრიმინალური ოპერაციების გლობალური მასშტაბი და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრცობა სახელმწიფოთა საზღვრებს გარეთ. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის გლობალური ქსელები უზრუნველყოფენ მის მობილურობას, ინფრასტრუქტურის ეფექტურ კომუნიკაციას, დანაშაულებრივ საწარმოებს შორის საერთაშორისო კავშირებს, ასევე კავშირებს არაკრიმინალური ხასიათის ორგანიზაციებთან მათი მომსახურების გამოყენების მიზნით, სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევისადმი სწრაფ ადაპტაციას. ამასთან ერთად, ისინი ახალი პროდუქტის შექმნის საშუალებას იძლევიან (მაგალითად, „creek“-ი რომელმაც მშ-იან წლებში ამერიკული კოკაინის ბაზარზე რეგულაცია მოახდინა) ან თავიანთი საქონლისა და მომსახურებისათვის ახალი ტერიტორიული ბაზრების მოპოვებას უწყობენ ხელს, როგორც ცდილობდნენ ამის გაკეთებას კოკაინის კარტელები, როცა ამყარებდნენ კავშირებს იტალიურ მაფიასთან და ევროპის სხვა კრიმინალურ ორგანიზაციებთან. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას უნარი აქვს, თავის ინტერესებს მთარგოს სიტუაციის ცვლილება რომელიმე ქვეყანაში და კარგად გამოიყენოს უთანხმოება სამართალდამცავი ძალების საერთაშორისო კოორდაციაციაში.⁶

ამგვარად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის არსის სირთულე არ იძლევა მარტივი განზოგადებებით მისი გაგების საშუალებას, ხოლო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა არ წარმოადგენს დანაშაულებრივი კარტელების პროტოტიპს. ამიტომ, მათი დახასიათება დიდადაა დამოკიდებული იმ საქმიანობის შინაარსზე, რომელიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების არსებობის აზრს.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა დაკავებულია კრიმინალური საქმიანობის ფართო სპექტრით – დაწყებული ისეთი ტრადიციული სახეობებიდან, როგორცაა ნარკოტიკებით ვაჭრობა და იარაღის უკანონო ბრუნვა, დამთავრებული სამრეწველო და ტექნოლოგიური შიზონაჟით, მანიპულაციებით საფინანსო ბაზარზე. კრიმინალური დაჯგუფებები კორუფციას და შიდა თუ გარე სამართლებრივი სისტემის ჯგუფებზე კონტროლს გამოიყენებენ როგორც დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელების საშუალებებს, ხოლო ფულის ლეგალიზაცია მისი ბანკებში, ფინანსურ ინსტიტუტებში და ბიზნესში ჩადებით ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითად საერთაშორისო თავისებურებად იქცა მთელ მსოფლიოში.⁷

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება სხვადასხვანაირად განისაზღვრება: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისთვის დამახასიათებელი უფრო მეტად ტიპური ნიშნების საფუძველზე, „ტრანსნაციონალური დანაშაულობის“ უფრო ფართო¹ და „ტრანსნაციონალური კრიმინალური კოორპორაციების“ უფრო ვიწრო² ცნებებზე დაყრდნობით.

უეჭველია, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ისევე როგორც დანაშაულობის სხვა ფორმები, ექვემდებარება საქმიანობის მისთვის დამახასიათებელ მოტივებს და მისი წევრების ქცევის შაბლონებს. ამიტომ ამ მოვლენის ძირითადი ნიშნების ანალიზის დროს ყურადღება ექცევა მთლიანად საქმიანობის და მისი სუბიექტების ქცევის კერძო განხილვას. ამდროულად გარკვეული სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში არსებული კლასიკური ორგანიზებული დანაშაულობის და მისი ტრანსნაციონალური ფორმების სუბიექტების გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ მათი საქმიანობის შესწავლით.

ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია იმის კონსტატირება, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წამყვანი განმასხვავებელი ნიშანია საქმიანობის სუბიექტთა და მისი ტრანსნაციონალური ხასიათი.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წამყვანი ნიშნის განსაზღვრა საშუალებას იძლევა გაიგოს ზღვარი ცალკეულ სახელმწიფოთა შიგნით არსებულ ნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულსა და ტრანსნაციონალურ დანაშაულს შორის. ამ განსაზღვრების ბაზას წარმოადგენს ამერიკელი კრიმინოლოგების მიერ ჯერ კიდევ 1971 წელს შემოთავაზებული ტერმინი — „ტრანსნაციონალურის“ — განმარტება, რომელიც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის პრობლემებზე მიჯვებობას დაედო საფუძვლად ნეაპოლის 1994 წლის მსოფლიო კონფერენციაზე.³

ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობაში იგულისხმება კრიმინალური ორგანიზაციების მიერ უკანონო ოპერაციების განხორციელება, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, სხვა მატერიალური და არამატერიალური საშუალებების სახელმწიფო საზღვრებზე გადანაცვლებასთან საზღვარგარეთის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურის გამოყენების მიზნით არსებითი ეკონომიკური სარგებელის მისაღებად, აგრეთვე სოციალური კონტროლისათვის თავის ეფექტურად არიდებისათვის კორუფციის, ძალადობის და სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებების სისტემებში მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოყენებით.

ამგვარად, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა ხდება ტრანსნაციონალური, თუკი:

1. იგი დაკავშირებულია მატერიალურ და არამატერიალურ საშუალებათა სახელმწიფო საზღვრებზე გადანაცვლების უკანონო ოპერაციებთან, რომლებსაც მოაქვთ არსებითი მოგება;

2. მისი განხორციელების დროს გამოიყენება ხელსაყრელი საბაზრო კონიუნქტურა, სხვადასხვა ქვეყნის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები, რიგი ნორმების არარსებობა (დაუმუშავებლობა), აგრეთვე კორუფციისა და ძალადობის გზით სახელმწიფოების ლეგალურ ეკონომიკაში შეღწევა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია, ანუ მისი გასვლა ერთი სახელმწიფოს ნაციონალური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, ამაჟამად უკვე განხორციელებული საერთაშორისო ფაქტია, რაც არსებითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრიმინალური ევოლუციის უმაღლესი დონე.⁴

ორგანიზებული დანაშაულობის თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა და ფართო კავშირებმა უზრუნველყვეს სხვა კონტინენტებზე და სხვა ქვეყნებში პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების დაჩქარება. ელექტრონული ანგარიშების თანამედროვე საბანკო სისტემებმა შესაძლებელი გახადა საერთაშორისო დანაშაულებრივი გარეგნობების განხორციელება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია, აგრეთვე სხვადასხვაგვარ ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა წარმოადგენს კრიმინალური ქვეყნის რაციონალურ და პროფესიონალურ ნაწილს. ამის გამოვლინებას წარმოადგენს შესაძლო რისკის მინიმუმადე დაყვანა და მაქსიმალური მოგების მიღება. ასეთი კრიმინალური ორგანიზაციები ხასიათდებიან ადაპტაციის განსაკუთრებული ნიჭით. მათ შეუძლიათ ისწავლონ საკუთარ და სხვის გამოცდილებაზე, ფლობენ სიტუაციის სტრატეგიულ ხედვას და მისი განვითარების შესაძლო ვარიანტებს. ისინი დასახმარებლად ხშირად მიმართავენ მღალაი კლასის სპეციალისტებს, იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს და მოწყობილობებს. ამა თუ იმ ქვეყანაში მოქმედი ორგანიზებული დანაშაულებრივი არასოდეს გადაბიჯებდნენ სახელმწიფოს ნაციონალურ საზღვრებს, თუ ვერ დაინახავდნენ მოგებას და არ მიიღებდნენ სერიოზულ უირატესობებს და შესაძლებლობებს.¹³

ზემოადინშეუღლის გათვალისწინებით, უფრო მეტად მძლავრმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა დაიწყეს ოპერაციების განხორციელება საერთაშორისო მასშტაბებით და გარდაიქმნენ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებად.

ტრანსნაციონალური ოპერაციები დანაშაულებრივ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევთ, შეაღწიონ მოგებიან ბაზრებზე და განახორციელონ ეს იმ რეგიონებიდან, სადაც ისინი სამართალდაცავი ორგანოების მიერ ხელშეუხებლები არიან. დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ფრცვლდება მსოფლიო ფინანსური სისტემის არხებით, ამიტომ ოფშორულ ზონებში და ლოიალური რეგულირების საბანკო ცენტრებში.

ასეთი ორგანიზაციები ხდებიან მსოფლიო ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი მონაწილეები და თამაშობენ განსაკუთრებულ როლს კანონით აკრძალულ სფეროებში (მაგალითად ნარკოტიკების წარმოებასა და ვაჭრობაში), რომელთაც მიიღეს გლობალური მასშტაბები და მოაქვთ ისეთი შემოსავლები, რომლებიც რაოდენობით აღემატება ზოგიერთი განვითარებადი და განვითარებული სახელმწიფოების საერთო ეროვნულ პროდუქტს.¹⁴ ვაშინგტონის ნაციონალური სტრატეგიული საინფორმაციო კომიტეტის ექსპერტების თანახმად, „მსოფლიო მაფიის“ შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1 ტრლ. დოლარს. ეს თანხა თითქმის ეკვივალენტურია ამერიკული ფედერალური ბიუჯეტისა.¹⁵

ამავე დროს, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნების განსაზღვრება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის დახასიათებით. ამ ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების სპეციფიკა. გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის დახასიათება მხოლოდ მისი საქმიანობის მიხედვით არ იძლევა საშუალებას, ერთმანაშვნელოვნად გაგვიჯნოთ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცნება ისეთი მომიჯნავე ცნებებისგან, როგორცაა, მაგალითად, საერთაშორისო დანაშაულობა, რომლის ერთ-ერთი ნიშანი აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დროს „ეროვნული საზღვრების იგნორირება“.

უეჭველია, რომ „საერთაშორისო დანაშაულობა“ მნიშვნელოვნად ფართო ცნებაა, ვიდრე „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა“ და რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს მის სტრუქტურულ ელემენტს. ამ ცნებების ერთმანეთისაგან გამოიჯნა

ხდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტების, მისი მასშტაბების და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით.

საერთაშორისო დანაშაულობის სუბიექტებს წარმოადგენენ ყველაზე უფრო და ორგანიზაციები, აგრეთვე ინდივიდუალურად მოქმედი დამნაშავეები. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია უფრო ვიწრო სუბიექტური შემადგენლობა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტების ძირითადი ჯგუფების შეადგენენ დანაშაულებრივი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ფილიალების ქსელს ეყრდნობიან. მათთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ტიპური ნიშნებია: ორგანიზებულობის მაღალი დონე, ოჯახური ან ეთნიკური საფუძველი, რომელიც საშუალებას აძლევთ გადაწყვიტონ შეესაბამებოდეს, ნდობის და ორგანიზაციის შიგნით დისციპლინის პრობლემები, სხვა ქვეყნების დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან ტრანსნაციონალური კავშირების საკითხი; აგრეთვე უზრუნველყონ ვიწრო კორპორაციული ინტერესების დაცვა, საშინაო დამატყვეობის ორგანიზების მხრიდან ზეწოლის ნეიტრალიზაცია.

გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტთა ნაწილი წარმოადგენს კრიმინალური ორგანიზაციების და სახელმწიფოს სიმბიოზის, სადაც სახელმწიფო თავისი ორგანიზების მეშვეობით იყენებს დანაშაულებრივ საშუალებებს და მეთოდებს საკუთარი მიზნების მისაღწევად ან მთლიანად ხდება დამოკიდებული ამ ორგანიზაციებზე, რომლებიც თავის მხრივ, იყენებენ სახელმწიფო ატრიბუტიკას, როგორც თავისი საქმიანობის ნამდვილი არსის საფარს.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელსაც ახორციელებენ მისი სუბიექტები, საერთო — „საზღვრების გადალახვის“ — ნიშნის გარდა, ხასიათდება უწყვეტი ფუნქციონირებით, კავშირების გლობალური მასშტაბებით, თავისი საქმიანობის სტრუქტურული მსგავსებით ლეგალურ ბიზნესთან, მაგრამ სოციალური კონტროლისაგან უფრო მაღალი ხარისხის დაცვით, მიზნების მიღწევის ძირითად მეთოდებად კორუფციის და ძალადობის გამოყენებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციების და საზოგადოებების ფუნქციონირება, რომელთაც გააჩნიათ ფილიალების განტოტვითი ქსელი სხვა ქვეყნებში, იყენებენ საერთაშორისო კავშირებს, რათა მუდმივად განახორციელონ გლობალური უკანონო ოპერაციები, დაკავშირებული ინფორმაციის ნაკადის, ფულის, ფიზიკური ობიექტების, ადამიანების, სხვა მატერიალური და არამატერიალური საშუალებების სახელმწიფო საზღვრებზე გადანაცვლებასთან ამ მიზნით, რათა გამოიყენონ საზღვარგარეთის ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში არსებული ხელისაყრელი საბაზრო კონიუნქტურები მაღალი ეკონომიკური მოგების მისაღებად, აგრეთვე ეფექტურად აარიდონ თავი სოციალურ კონტროლს კორუფციის, ძალადობის და სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების გამოყენებით.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ზემოთ მოყვანილი დახასიათებიდან გამომდინარე განვიხილოთ დანაშაულობის ამ სპეციფიკური სახეობის თავისებურებები:

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების მიერ, უნდა იყოს მომგებიანი. სწორედ მაღალი მოგება და შემოსავლების მუდმივი ზრდა წარმოადგენს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის დომინანტურ მიზანს. ყველა სხვა მიზნები და მოტივაციები პოლიტიკურის ჩათვლით, ატარებენ მეორეხარისხოვან ხასიათს.

მაგრამ ანალოგიური მიზნები გააჩნია ნებისმიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებას. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს განასხვავებს ის, რომ მოგება, რომელსაც იგი თავისი მუდმივი საქმიანობით ღებულობს სხვა სახელმწიფოს ან სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. კოლოსალური მოცულობისაა, ხოლო დანაშაულებრივი ორგანიზაციები ღებულობენ მას ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად. ასე მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში შეადგენს 50 მლრდ. დოლარს წელიწადში. კოლუმბიის კარტელის მიერ მიღებული შემოსავლები — 20 მილიარდი; ეს მაშინ, როცა კოლუმბიის ბოლივიის და პერუს გაერთიანებული წლიური ბიუჯეტი არ აღემატება 9 მლრდ. დოლარს.⁶

ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობა მისი გლობალური მასშტაბით მცირედ თუ განსხვავდება თავისი წყობისა და ორგანიზაციის მიხედვით უმსხვილესი ლეგალური კოროპციებისაგან, რომლებსაც გააჩნიათ მუდმივი სპეციალიზებული სტრუქტურები სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების განსახორციელებლად: საექსპორტო-საიმპორტო, სავაჭრო, საკრედიტო-საფინანსო და სხვ. რაც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას მიჯნავს დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფების საქმიანობისაგან, რომელთაც მხოლოდ ეპიზოდურად შეუძლიათ ცალკეული საერთაშორისო ოპერაციების განხორციელება.

საქმიანობის ფართო სპექტრისა და მაღალშემოსავლიანი მასშტაბების წყალობით ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები კონტროლის ახორციელებენ უდიდეს ფინანსურ სახსრებზე, რომელიც ხანდახან აღემატება კიდევ ზოგიერთი ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელს. ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნის პროცესში განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები არაერთხელ აღმოჩნდებიან თავიანთ ტერიტორიაზე მოქმედ ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულ მდგომარეობაში.

ამგვარ დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა განაპირობებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მასშტაბურ შედწევას ხელისუფლების ორგანოებსა და სახელმწიფო მმართველობაში, რასაც მიყვარათ იქამდე, რომ ისინი თავად აღმოჩნდებიან ჩართულები დანაშაულებრივ საქმიანობაში და აქტიურად არიან დაზარალებულნი თავის საერთაშორისო თანამშრომლობის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.⁷

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანოებისაგან ასეთი გზით შექმნილი რთული კონსტრუქციები იწყებს მოქმედებას როგორც კარგად აწყობილი სქემის ერთიანი მექანიზმი, რომელიც არა მარტო ადვილად ახდენს თავისი ინტერესებისათვის ნაციონალური ეკონომიკის დაქვემდებარებას, არამედ ზემოქმედებს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზეც, რომლებშიც ამგვარი დანაშაულებრივი საქმიანობა ხორციელდება. ამასთან, დამნაშავეები ფაქტიურად დაცულნი არიან ყველა სახის კონტროლისაგან, რადგანაც სახელმწიფო, რომელიც მეთვალყურეობის განხორციელებისათვისაა მოწოდებული, პირიქით, ყველა ძალეებს მიმართავს, რათა უზრუნველყოს დანაშაულებრივი საქმიანობის კიდევ უფრო მეტი უსაფრთხოება. ეს, რა თქმა უნდა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის რეალობისა და ძალის დემონსტრირების უკიდურესი შემთხვევაა, როდესაც მას შეუძლია თავის ინტერესებს დაუმორჩილოს მთელი რიგი სახელმწიფოები, შეაფერხოს მათი ეკონომიკური განვითარება და მთლიანობაში დაეპყროს საერთაშორისო უსაფრთხოებას. მაგრამ ამაზე ლაპარაკი დღეს უკვე შეიძლება არა პიოთეზური მოსაზრებებიდან, არამედ რეალური ჭეშმარიტებიდან გამომდინარე. მაგალითისათვის გამოდგება ზოგიერთი აზიური და

სამხრეთ ამერიკული ნარკოსებულწიფო, რომელთა ბოუჯეტშიც იგეგმება ნარკოტიკებით გაჭრობიდან მიღებული შემოსავლები.

სახელმწიფოთა უმრავლესობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა წინ აღუდგეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ექსპანსიას, და ამ უკანასკნელს თავისი ძირითადი მიზნების მისაღწევად თუ საკუთარი ინტერესების დასაცავად ძალადობისა და კორუფციის გამოყენება უხდება. ასეთ დროს სახელმწიფო ხელისუფლების და მიმართულობის, ასევე სამართალდამცავ ორგანოებში ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ყოფნა მნიშვნელოვნად აადვილებს ამ პროცესს.

ძალადობას და კორუფციას დანაშაულებრივი ორგანიზაციები იყენებენ დიფერენცირებულად, ძირითადად, სპეციფიკური საკითხების გადასაწყვეტად. ყველაზე ხშირად ძალადობას მიმართავენ დანაშაულებრივი საქმიანობის პროცესის უწყვეტობისათვის, ე.ი. მხოლოდ „საქმის“ ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურენტების დაშინების მიზნით, ორგანიზაციაში დისციპლინის უზრუნველსაყოფად უსაფრთხოებაზე მუქარის შემთხვევაში. ძალადობის დონე სხვადასხვა დანაშაულებრივ ორგანიზაციებში სხვადასხვაა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ის წარმოადგენს პრინციპულ, მაკონტროლირებელ იარაღს პრაგმატული მიზნების მისაღწევად.²¹

ძალადობას ოფიციალური ორგანოების მიმართ, ჩვეულებრივ, პირდაპირ არ ახორციელებენ. მათზე შემოქმედებისთვის ფართოდ იყენებენ სხვა ეფექტურ მეთოდს – კორუფციას – რომელსაც მიმართავენ სასჯელისა და გამოძიების თავიდან აცილების, არაკანონიერი უპირატესობების მოპოვებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების ინტერესების ლობირებისათვის. კორუფციით ხშირად სარგებლობენ როგორც ცალკეული პირების, ასევე მთელი დაწესებულებების ნეიტრალიზაციისათვის, რასაც შეიძლება მოჰყვეს ყველაზე დამლუბველი შედეგები პოლიტიკის სფეროსა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურისათვის.

არაიშვიათად ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები ცდილობენ სხვა ქვეყნის თანამდებობის პირების კორუმპირებას ამ ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისა თუ გაგრძელების ან რაიმე არაკანონიერი უპირატესობის მოპოვების მიზნით.²² ფლობენ რა მნიშვნელოვან თანხებს ნაღდი ფულის სახით, დანაშაულებრივი ორგანიზაციები მიმართავენ სახელმწიფოს მაღალი ჩინოვნიკების, მათ შორის მინისტრების და მთავრობის ლიდერების, მოსყიდვას. ტრანსნაციონალური კორუფცია ბევრ ქვეყანაში ნორმად იქცა, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა ბიზნესის მრავალრიცხოვან სახეობათაგან ერთ-ერთია, რომელიც ქრთამს თავისი ინტერესების რეალიზაციისათვის იყენებს. ძველი წარმოსადგენია რამდენი ძარჯება თანამდებობის პირთა მოსყიდვაზე, როცა საუბარია დანაშაულებრივ ტრანსნაციონალურ ოპერაციებზე, როდესაც მხოლოდ იარაღით საერთაშორისო ლეგალურ ვაჭრობაზე ყოველწლიურად ქრთამის სახით დაახლოებით 2,5 მლრდ. დოლარი იძარჯება.²³

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ოპერაციების მასშტაბების გლობალურობა დანაშაულის ტრადიციული ორგანიზებული ფორმებისგან მისი განმასხვავებელი ერთ-ერთი აშკარა ნიშანია. ეს ნიშანი განსაზღვრავს საერთაშორისო ტრანსნაციონალური კავშირების სპეციფიკასაც, რომელთა დახმარებითაც ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების დანაშაულებრივი საქმიანობა მსოფლიო გაფრცქელების ბიზნესს წარმოადგენს. ოპერაციის გლობალურობა შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების ფართო ქსელური სტრუქტურების გარეშე, რომლებიც კონტინენტებზეა გაბნეული, მაგრამ მსოფლიოს მრავალ წერტილში არსებულ ფილიალებთან მდგრადი კავშირების გარდა, ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობას გააჩნია სტრატეგიული საერთაშორისო კონტაქტებიც, რომლებიც

ზოგჯერ სხვადასხვა ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების უმსხვილეს ალიანსად გადაიზრდება და ეს ტენდენციაც დანაშაულობის ტრადიციული ორგანიზებული ფორმებიდან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის განსიჯენელ ტიპურ ნიშნად გვევლინება.

ექვსი გარეშეა, რომ დამნაშავეთა ტრადიციულ ორგანიზებულ ჯგუფებს შესაძლოა პიქონდეთ საზღვარგარეთული კავშირები, მაგრამ ეს ყოველთვის არ იძლევა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან მისი მიკუთვნების საშუალებას, რადგანაც ასეთი კავშირების სიკეთიყის განსაზღვრის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი მასშტაბის გლობალურობა.

ასე მაგალითად, ამერიკელი კრიმინოლოგები ტრადიციულ ამერიკულ მაფიას, რომელიც ცნობილია, როგორც კოზა ნოსტრა, ძველი ტიპის დანაშაულებრივ ორგანიზაციად თვლიან. მიუხედავად იმისა, რომ კოზა ნოსტრას წევრები ტრადიციულ სიცილიურ პრინციპებზე იყენენ აღზრდილნი, ეს ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა სიცილიური მადიის იარაღი ან შვილობრივი კომპანია. მას აქვს საერთაშორისო კავშირები გარკვეული ქვეყნებში, მაგალითად ალკოჰოლისა და პერონის მყიდველებთან, მაგრამ არ გააჩნია საზღვარგარეთ თავისი ფილიალები. ამის საფუძველზე ვ. ოლსონი და რ. გოდსონი თვლიან, რომ კოზა ნოსტრას საქმიანობა არსებითად არის ნაციონალური და რეგიონალური.²¹

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის გლობალური ქსელები კი (მაგალითად, კოლუმბიის კარტელებისა, რომლებიც თავისთავად გერტიკალურად ინტეგრირებულ გლობალურ ბიზნესის წარმომადგენენ და რომლებმაც ამოქმედებულა ათეულ ათასობით სიკეთალიზებული თანამშრომელი თუ მათთან დაკავშირებული სხვა ადამიანები) უზრუნველყოფენ მობილურობას, ინფრასტრუქტურის ფექტურ კომუნიკაციას, საერთაშორისო კავშირებს დანაშაულებრივ საწარმოებთან, მათ შორის ზოგიერთ არაკრიმინალურ ჯგუფებთან, რათა თავისი ანგარებითი მიზნებისათვის გამოიყენონ მათი მომსახურების შესაძლებლობები. ყოველივე ეს ზრდის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის უნარს, შექმნას მომსახურებისა და საქონლის ახალი ბაზრები.

ამას გარდა, ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების საერთაშორისო გლობალური ქსელი უზრუნველყოფს მათ სწრაფ ადაპტაციას ცალკეული ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თვით ყველაზე მკაცრი ზეწოლის პირობებთან, ასევე უზრუნველყოფს სოციალური კონტროლისთვის თავის იოლად არიდებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც ამერიკის მართლწესრიგის დამცველმა ძალებმა გზა გადაუკეტეს თურქეთში წარმოებული პერონის ნაკადს, ახალმა წყაროებმა მექსიკიდან, საშრეთ აღმოსავლეთ და საშრეთ დასავლეთ აზიიდან იწყეს დენა. როდესაც კარბის ზღვის აუზში იქნა გადაკეტული კოკაინის გზები, მისმა მიწოდებამ ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაზე გავლით მოიმატა. გარდა ამისა, ტრანსნაციონალური ორგანიზებულ დანაშაულობას ხშირად შესწევს უნარი წინ აღუდგეს სამართალდამცავი ორგანოების ლოკალურ ძალისხმევას. სწრაფად ეგუება რა პოლიტიკურ ცვლილებებს ცალკეულ ქვეყნებში, თავისი ინტერესებისათვის იყენებს უთანხმოებას სამართალდამცავი ძალების საერთაშორისო კოორპირაციაში. სტრატეგიული ალიანსები, ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციების კოორპირაცია ზრდის მათ შესაძლებლობებს, დაასწრონ სახელმწიფო კონტროლს.

ამგვარად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები საშუალებას იძლევა გაიფოთ ამ მოვლენის არსი, გაფიქროთ იგი ორგანიზებული დანაშაულობის ტრადიციული ცნებისგან, გამოფოთ საერთაშორისო დანაშაულობის

სტრუქტურის თავისებურებები, შევადგინოთ ის საფრთხე, რომელიც ამ მოვლენას მოაქვს მსოფლიო საზოგადოებისათვის.

§ 2. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობა; მსოფლიო ორგანიზაციების ძირითადი სახეობები

ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს შორის, პირველ ყოვლისა, აღინიშნება იტალიური მაფია, რომელიც ფლობს ერთ-ერთ ყველაზე რთულ საიდუმლო სტრუქტურას და ხასიათდება საკუთარი წყობის კლასიკური პრინციპებით. ჩვეულებრივ იტალიურ მაფიაში იგულისხმება სიცილიის მაფია, ანუ „კოზა ნოსტრა“, ნეაპოლური „კამორა“, კალაბრიის „ნდრანგეტა“, ასევე „საკრა კორონა უნიტა“ აბუელიდან, რომელიც შექმნა „კოზა ნოსტრამ“ ამ რეგიონის ზღვისპირეთის გამოყენებისათვის ნარკოტიკების არაკანონიერი ბრუნვის მიზნით.

ჩინურმა ტრადიციამ, ვიეტნამის მაფიამ, რომელთა განვითარების ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი რიგები. იაპონური იაკუძა ანუ „ბორეკუდანი“ 1996 წლისათვის ითვლიდა 79.900 წევრს, რომელთაგან 67% სამ უმსხვილეს სინდიკატზე მოდიოდა: იამაგუჩი-გუმი (400 ჯგუფი, დაახლოებით 23.000 წევრით); ინაგავა-კაი (140 ჯგუფი 7.000-ზე მეტი წევრით) და სუმიეი-კაი (112 ჯგუფი 600 წევრით).²² ოფიციალურად „ბორეკუდანი“ სახელით რეგისტრირებული დანაშაულებრივი ფორმირებები 1998 წლისათვის წარმოდგენილი იყო 23 საზოგადოებით;²³

„კოლუმბიური კარტელები“ მაღალორგანიზებული კრიმინალური კორპორაციებია, რომლებიც ეფუძნებიან მართვის ისეთ ეფექტურ პრინციპებს, როგორცაა შრომის სიეციალიზაცია და დანაწილება. ტრადიციულად კოლუმბიის კარტელები ცნობილ სავაჭრო დინასტიებს წარმოადგენდნენ, რომელთა უმრავლესობას პატრიარქალური ავტორიტარული სტრუქტურა გააჩნდა და აბსოლუტურ დისციპლინასა და ერთგულებას მოითხოვდა. ჩვენ დაწვრილებით არ შეგჩერდებით აღნიშნულ დანაშაულებრივ ორგანიზაციებზე, რადგან მათ შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას ვხვდებით ამერიკელი კოლეგების მიერ მომზადებული წინამდებარე სასწავლო წიგნის პირველ ნაწილში და ყურადღებას გავამახვილებთ ე.წ. რუსული ორგანიზებული დანაშაულობის მოდელზე, რომელშიც ქართველი დამნაშავეებიც შედიან. იმდენად, რამდენადაც რუსეთის კრიმინალური ორგანიზაციების ტრანსნაციონალურ საქმიანობას არა აქვს ხანგრძლივი ისტორია, მისი სტრუქტურის თავისებურებები მხოლოდ ახლა იწყებენ გამოვლინებას. მაგრამ უკვე ნათელია, რომ იგი მოიცავს ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე პრინციპებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის მასშტაბები და ის საფრთხე, რომელიც იგი თითქოსდა უქმნის სხვა ქვეყნებს, რამდენადმე გაზვიადებულია, რადგან რუსეთში არსებული საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის დანაშაულებრივი საქმიანობისა და ნაციონალურ საზღვრებს შიგნით მოგების მიღებისათვის უსაფრთხოების შედარებით მაღალი დონის პირობებში და რომ არა სუსტი საბანკო, საკრედიტო-ფულადი სისტემა და არამყარი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს არ უწყობს უდიდესი მოგების ლეგალიზაციას (განსაკუთრებით მის შენახვას, საიმედო ინვესტირებას მშობლიურ ეკონომიკაში, რაც აიძულებს დანაშაულებრივ ორგანიზაციებს გამოიყენონ ოფშორული ზონები და დასავლეთის ბანკები) აგრეთვე ნედლეულზე, საქონელზე და მომსახურებაზე შიდა და მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი

სხვაობა, რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის ტრანსნაციონალურ საქმიანობას საერთოდ უმნიშვნელო ვარცხელეა ექნებოდა.

რუსული მაფიის ორგანიზაციის მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც იერარქიული სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს თავისებურ პირამიდას, შემდგარს, სულ ცოტა, სამი ძირითადი ორგანიზაციულ-მმართველობითი, ორგანიზაციულ-დამხმარე და უშუალო-საშემსრულებლო რგოლისაგან.

ორგანიზაციულ-მმართველობითი რგოლი წარმოადგენს ხელმძღვანელ ბირთვს, რომელიც, როგორც წესი, კოლექციური ორგანოა და შედგება თანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირებისაგან. რგოლს აქვს ორი ფუნქცია: სტრატეგიული და მიმდინარე მმართველობა. სტრატეგიული მმართველობა მდგომარეობს დანაშაულებრივი საქმიანობის ზოგადი სტრატეგიის, ტაქტიკური ზეზების, სოციალური კონტროლის საწინააღმდეგო საერთო ზომების შემუშავებაში, აგრეთვე დანაშაულებრივი ორგანიზაციების სახსრების კონცენტრაციასა და კონტროლში.

მიმდინარე მმართველობა მდგომარეობს დანაშაულებრივი საქმიანობის კონკრეტული მეთოდების დანერგვაში, მისი კონკრეტული სახეობების მართვაში, სახსრების აღრიცხვაში და მათი დაბანდების არხების მოძებნაში, „კადრების“ საკითხების გადაწყვეტაში და ა.შ.

ორგანიზაციულ-დამხმარე რგოლი უზრუნველყოფს კრიმინალური საზოგადოების უსაფრთხო და ეფექტურ ფუნქციონირებას. ეს რგოლი დაკავებულია დაზვერვითა და კონტრდაზვერვით, კორუპციონული კავშირების დამყარებით, რომელთა დახმარებითაც ხდება დამნაშავეთათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება და კონტროლის ნეიტრალიზაციის ღონისძიებების რეალიზება (ცალკეული პროცესუალური დოკუმენტების და სისხლის სამართლის საქმეების ამოღება, ცნობების მიღება დაზარალებულების ან მოწმეების შესახებ მათზე ზეწოლის მიზნით და სხვ.). ამ რგოლის ფუნქციებში შედის ინფორმაციის მიღებაც დანაშაულებრივი საქმიანობის მომგებიან და უსაფრთხო მიმართულებებზე და აგრეთვე მათი ორგანიზებაც. ამ დონის სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს შუალედური ხელმძღვანელი ბირთვი და ჯგუფები დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.

უშუალო-საშემსრულებლო რგოლი ამზადებს და ახორციელებს კონკრეტულ დანაშაულობებს. მის ძირითად ფუნქციებს შეადგენს შემსრულებელთა ჯგუფების ხელმძღვანელობა და კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, ტრანსპორტირება, დაცვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული მატერიალური ფასეულობების რეალიზაცია, შუამდგომლობის და შეკავშირების საქმიანობის ორგანიზაცია და ა.შ.²⁴

როგორც წესი, დაბალი ქსელური რგოლების შემადგენლობა მეტად მრავალფეროვანია. ეს, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ფუნქციონალურ თავისებურებებთან, ხოლო, მეორე მხრივ, შიდა კომუნიკაციური კავშირების სპეციფიკასთან, რაც განსაზღვრავს მათ სტრუქტურას და წევრებს შორის ურთიერთობების მთელ მრავალმხრივობას.

თორიდეულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში გამოიყოფა კრიმინალურ ჯგუფებში არსებული კომუნიკაციური კავშირების ფართო სპექტრი. კერძოდ, იკვეთება სტრუქტურული სისტემების ნაირსახეობები, რომელთაც აქვთ ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ხასიათი.²⁵ დეცენტრალიზაციას ვერ მივიჩნევთ იმ ჯგუფების სტრუქტურულ თავისებურებად, რომლებიც წარმოადგენენ ორგანიზებული დანაშაულობის ქსელურ რგოლებს, ეს ნიშანი უფრო მეტად ჯგუფური დანაშაულობისთვისაა დამახასიათებელი.

სტრუქტურული ორგანიზაციის განხილული ტიპები საშუალებას იძლევა მოვახდინოთ იმ ქრელი სურათის უნფიცირება, რომელსაც ამჟამად რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობა იძლევა, მათ შორის მისი იმ რგოლებისაც, რომლებიც

დაკავებულნი არიან ტრანსნაციონალური ორგანიზებული საქმიანობით. გარდა ამისა, ცნება არსებული კომუნიკაციური კავშირის სახეობისა, რომელიც დამყარებულია ცალკეული რგოლების წევრებს შორის და თავად რგოლებს, ე. ა. მათ სტრუქტურებს შორის, შესაძლებლობას იძლევა შემუშავებულ იქნეს მთელი ქიელის გამოაშკარავების ტაქტიკა მისი ხელმძღვანელი რგოლების ჩათვლით.

გასდინთ, რა მთლიანობაში რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურის შეფასებას, კიდევ ერთხელ გავსუს, ხაზი გავუსვათ მის რთულ ხასიათს, მსოფლიოს წამყვანი დანაშაულებრივი სინდიკატების საქმიანობისათვის ნიშანდობლივი კლასიკური ორგანიზაციული მოდელების ორგანულ შეთანხმებას, ამ მოდელებში ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდების ჩართვას, რაც ლიდერების ელიტარულ ჯგუფს საშუალებას აძლევს, წარმატებით აარიდოს თავი სოციალურ კონტროლს და ეფექტურად მოახდინოს, მთლიანობაში, ორგანიზებული დანაშაულობის თვითრეგულირება.

აქ აღწერილი ორგანიზაციის ძირითადი მოდელები უფრო მეტად დამახასიათებელია კრიმინალური საზოგადოებებისათვის, რომლებიც ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობით არიან დაკავებულნი. თავად ასეთი საქმიანობის ხასიათი განსაზღვრავს მათ უფრო მეტად რთულ სტრუქტურას, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ჰირობებისადმი და აგრეთვე მათი ცვლილებებისადმი დანაშაულებრივი საქმიანობის შემგუებლობის მაღალი ხარისხი დაკავშირებულია ორგანიზაციის სტრუქტურის სრულყოფის უნართან. რაც უფრო მაღალია ეს უნარი, მით უფრო შემოსავლიანი და დაცულია ტრანსნაციონალური ორგანიზებული საქმიანობა, რაც უფრო კონსერვატულია ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციის სტრუქტურა, მით უფრო ექვემდებარება იგი სოციალურ კონტროლს და იზრდება საქონლის და მომსახურების ტრადიციულად დაკავებული ბაზრებიდან კონკურენტების მიერ მისი გაძევების საშიშროება.

ამიტომაც ყველა წამყვანი ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი სინდიკატის ძირითადი ორგანიზაციული მოდელები ამჟამად სრულყოფის სტადიაზე არიან. ისინი ეფექტურად უთავსებენ სტრუქტურის ტრადიციულ ელემენტებს საქმიანობის ორგანიზების თანამედროვე პრინციპებს. მათ უმეტესობას გააჩნია კორპორაციულ-ქიელური ხასიათი, რომელსაც, უკუგვლია, აქვს თავისი ნაციონალური თავისებურებები, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს იმ საძირკველს რომელზეც შენდება მსოფლიო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ორგანიზაცია და საქმიანობა.

ქართულ ტრანსნაციონალურ დანაშაულობას მჭიდრო კავშირები აქვს რუსულ მაფიასთან და ხშირად მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კრიმინალურ გარემოში სწრაფად გამრავლდა დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც მხოლოდ ნაციონალური ნიშნის მიხედვით იქმნებოდნენ (აფხაზური, ჩეჩნური, დაღესტნური, ტაჯიკური, აზერბაიჯანული და სხვა კლანები). ამ დაჯგუფებებმა თავიანთი გავლენა განაგრცეს და ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების სრული თავისუფლება შეინარჩუნეს, რადგან შემადგენელ რესპუბლიკებზე დაყოფის შემდეგ არ განხორციელებულა არსებითი ცვლილებები სასაზღვრო რეჟიმში და „დსთ“-ს ქვეყნების საზღვრები, რუსეთისა და საქართველოს საზღვრის გარდა, გამჭვირვალე დარჩა. დსთ-ს ტერიტორიაზე მოქმედი თანამედროვე ინტერნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებები მასმედიაში პირობითად „ბანდიტების კავშირად“ იწოდებიან და ანალიტიკოსები მათ მაგალითზე კრიმინალური რიტუალებისა და ტრადიციების აღორძინებაზე მიუთითებენ. მოსკოვის ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მონაცემებით მოსკოვში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფები ითვლიან 2.000-ზე მეტ წევრს, რომელთა შორის „ქართულ“ ორგანიზებულ დანაშაულობას არაუკანასკნელი ადგილი უკავია. ასე მაგალითად, რუსეთის შინაგ საქმეთა სამინისტროს

მონაცემებით, მოსკოვში ცხოვრობს 48-50 ქართველი „ქანონიერი ქურდი“. (შედარებისათვის რუსეთში აღრიცხვაზე დგას დაახლოებით 720 „ქანონიერი ქურდი“. მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ჯგუფები დაკავებულნი არიან ქურდობით, ავტომანქანების გატაცებით, მძევლების აყვანით, ყაჩაღობით და სხვა დანაშაულობებით. ამ დაჯგუფებათა წევრები აკონტროლებენ რთვ კომერციულ ბანკებს, რამოდენიმე ბაზარსა და რესტორანს, აწარმოებენ უძრავი ქონების შესყიდვას და მონაწილეობენ სახელმწიფო საკუთრების დადანიწილებაში. დამნაშავეები საქართველოდან აქტიურად არიან ჩართულნი მოსკოვის ინტერნაციონალური დანაშაულებრივი დაჯგუფებების საქმიანობაში. ასე მაგალითად, მოსკოვის ყველაზე უფრო მსხვილი დაჯგუფების „სოლნცევოს“ (250-ზე მეტი წევრით) ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო „ქანონიერი ქურდი“ ჯემალ ხაჩიძე. მეტსახელად ჯამალი, ხოლო უდიდესი გავლენის მქონე „ლუბერეცკის“ დაჯგუფების ლიდერთა შორის სახელდება ოთარ კვანტრიშვილი. შემდგომში ორივე დაქირავებული ქილერების მიერ იქნა მოკლული.

თვით საქართველოში ტრანსნაციონალური დანაშაულობა სწრაფად იზრდის პოპულარობას იარაღით გაჭრობის, ნარკობიზნესის და ადამიანების თრეფიქინგის სფეროებში. ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ საქმიანობაში ძირითადად ჩართული არიან დამნაშავეთა ორგანიზებული სინდიკატები, კარტელები და ეთნოკრიმინალური კლანები (იხ. ორგანიზებული ჯგუფების კლასიფიკაცია საქართველოში).

§ 3. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალური ხელყოფის ობიექტები საქართველოში

დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მიმართ დამოკიდებულების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIII კონგრესზე აღინიშნა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად აღწევს სახელმწიფო ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის შეიარაღებულ ძალებშიც. ოგი ძირს უთხრის დემოკრატიულ პროცესს, შლის ეთნიკურ ნორმებს და იჭრება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. ქრთამი, მოსყიდვა და პოლიტიკური კომპანიების დაფინანსება ის ძირითადი ხერხებია, რომელთა საშუალებითაც დანაშაულებრივი ორგანიზაციები ისწრაფვიან მოიპოვონ პოლიტიკური გავლენა და თავიდან აიცილონ სასამართლო დევნა. კონგრესზე აღინიშნა, რომ „ორგანიზებული დანაშაულობა ბირდაბირ ეშუქრება ნაციონალურ და საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას და ფრონტალურ შეტევას აბორციელებს პოლიტიკურ და საკანონმდებლო ხელისუფლებაზე, რითაც საფრთხეს უქმნის თვით სახელმწიფოებრიობას; ოგი არღვევს სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების შესაძლებლობას, კომპრომეტაციას უკეთებს მათ და საზოგადოებაში დემოკრატიული პროცესებისადმი ნდობის დაკარგვას უწყობს ხელს. ოგი აფერხებს განვითარების პროცესს და აცაბტვერებს მიღწეულ წარმატებებს. მას მსხვერპლის მდგომარეობაში ჰყავს მთელი რიგი ქვეყნების მოსახლეობა და ადამიანთა დაუცველობას შემოსავლების მიღებისათვის იყენებს. ის თავისი გავლენის ქვეშ აქცევს და აკაბალებს საზოგადოების მთელ რთვ ფენებს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, ითრევის რა მათ სხვადასხვა და ერთმანეთთან დაკავშირებულ დანაშაულებრივ საქმიანობებში, კერძოდ პროსტიტუციაში.“²⁸ კონგრესის მასალებში აღინიშნულია, რომ „ორგანიზებული დანაშაულობა“ სხვა არაფერია თუ არა საზოგადოების სტრუქტურაზე მასირებული შეტევა, რომელიც ხელყოფის მის თითქმის ყველა ელემენტს ინდივიდუალურ, კოლექტიურ და ინტერნაციონალურ დონეებზე. ოგი აგრეთვე წარმოადგენს უკანონობის გერაჯ ფორმას, რომლის დროსაც ცინიკურად ირღვევა ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური

გარანტიები, რათა შექმნიდეს დანაშაულის გამოაშკარავების რისკი და შექმნის დაგვირგაწად მაქსიმალურად იქნეს აცილებული შესაბამისი სასჯელი. ამგვარად, ორგანიზებული დანაშაულობა ბირდაბორ, უშულოდ და კონკრეტულად ზემოქმედებს მთლიანად საზოგადოების ცხოვრებაზე“.

აღნიშნული მასალის განხილვაზე დაყრდნობით საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის ხელყოფის შემდეგი ობიექტები შეიძლება გამოიყოს:

1. ხელყოფის ობიექტი - სახელმწიფო

საქართველოს კონსტიტუციური წყობის ძირითად საფრთხედ შეიძლება განვიხილოთ რეგიონული დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ შექმნილი პარალელური არალეგალური (ზოგჯერ ლეგალიზებული მაგრამ სხვა მიზნების აღსაწრულებლად განკუთვნილი) სახელისუფლებო სტრუქტურები, უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულობის ინტერესებს იცავენ. ასეთი მიზნებისათვის კრიმინალური სამყაროს ელიტა ახორციელებს ისეთი ანტიკონსტიტუციური ქმედებების მოშადებას, ფინანსირებას და ორგანიზებას, როგორცაა ეროვნებათაშორისი უკლდის გაღვივება, მასიური უწყარიგობები, შეთქმულებები ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად, მძიმე სახელმწიფო დანაშაულობის - ტერორის, ბანდიტიზმის, კონტრაბანდის - სტიმულირება.

პოტენციური საფრთხე მდგომარეობს პროცესში, რომელსაც ეწოდება „მაფის გასახელმწიფოებრივება“, ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების შექცება დაშნაშავება სამყაროს წარმომადგენლებით, კორუპირებული ჩინოვნიკებით, სახელმწიფო საკუთრების დამტაცებლებით ე. წ. ცრუ მეწარმეებით, რომლებიც მზად არიან მოგების მიზნით აწარმოონ ყველანაირი საშარათალსაწინააღმდეგო საქმიანობა და მჭიდრო კავშირი იქონიონ მაფიასთან.

დანაშაულებრივი ორგანიზაციების საქმიანობა საფრთხეს უქმნის საზოგადოების საფუძვლებს. დაშნაშავება ჯგუფების სპეციალიზაციის მიუხედავად, უკვე თვით ფაქტი მათი საქმიანობის აღმოცენებისა და გაფართოებისა, სეროზულ საშიროებას წარმოადგენს საზოგადოებისათვის. ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის როგორც საშარათლებრივი, ასევე პოლიტიკური ხასიათის ღირებულებებს, რომლებიც საზოგადოების ფუნდამენტის გამყარებას ემსახურება და ქმნის თავის საკუთარ „ანტიღირებულებებს“, „ანტიფასიულობებს“. ორგანიზებული დანაშაულობა თავის თავს უქმნის იმიჯს ძალისას, რომელსაც შეუძლია სამუშაო ადგილების და ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ძალაუფლების ფუნქციების აღება - მართვა, კანონმდებლობა და მართლწყაროის დამყარება, რაც გამზრწნელ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე. განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე. მოზარდ თაობებში ხდება ქურდული ტრადიციების და განსტყრული ცხოვრების იდეალიზება, პრინციპის - „ფულის სუნი არ უდის“ - დამკვიდრება.

კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლების კორუფციითა და დაშინებით ორგანიზებული დანაშაულობა ასევე ძირს უთხრის ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუტებს მათი ღირებულებების დისკრედიტაციის ხარჯზე და შესაბამისად ქმედითუნარიანობას უკარგავს ამ უკანასკნელთ.

ორგანიზებული დანაშაულობა ჩვეულებრივ მიშართავს ძალადობის ორ სახეობას:

1. ძალადობას, რომელსაც თავისი ტერიტორიების და შემოსავლების დასაცავად მიშართავენ შესაბამისი ორგანიზაციები;
2. ძალადობას მოსახლეობის და ქონების წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებენ ცალკეული პირები იმ მიზნით, რათა მიიღონ სახსრები უკანონო საქონლის და მომსახურების საზღაურად.

ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის საზოგადოების საფუძვლებს ნარკოტიკების გავრცელებით, ადამიანთა დიდი მასების (განსაკუთრებით, ახალგაზრდების) რეალობიდან მოწყვეტილ ექვემდებარებულ სამყაროში მიზიდვით. მართალია, საქართველო არ აწარმოებს არც ერთ ცნობილ ნარკოტიკს და არ არის მისი მკვეთრად გამომხატული მომხმარებელი, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ის ტრანზიტულ ქვეყნად იქცევა, რითაც ხდება მოსახლეობის ნაწილის მიზიდვა ნარკოტიკების დაკავშირებული კონტრაბანდის, მისი გადაშენებისა და გამოყენების საქმეში. ასეთი მდგომარეობა მკვეთრად ამწვავებს რესპუბლიკაში საერთო კრიმინოგენულ ვითარებას, რადგანაც ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას ყოველთვის მოჰყვება ძალადობა, რომელსაც სწაღიან ფსიქოტროპული პრეპარატების უკომპეტენტების ქვეშ მყოფი პირები სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ პერონის მომხმარებლები, მხოლოდ საქუთარი მიდრეკილების დასაკმაყოფილებელი სახსრების მოძიების მიზნით წელიწადში საშუალოდ 200 დანაშაულს სწაღიან.

2. ხელყოფის თბილქტი – ერთნული სტაბილურობა და სახელმწიფო კონტროლი

საქართველოში ორგანიზებული დანაშაულობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ შეძლეს დანაშაულებრივმა ორგანიზაციებმა 90-იანი წლების დასაწყისში შექმნათ „მავი ბაზრის“ ეკონომიკაზე დაფუძნებული კონკურენტული სახელისუფლებო სტრუქტურები (ყენომენი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია როგორც „სახელმწიფო სახელმწიფოში“). ორგანიზებულ დანაშაულებრივ კლანებს არაერთხელ გამოუყენებიათ შეიარაღებული ძალა სახელმწიფოს, მისი წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომლის დროსაც მიყენებული ზიანის ოდენობა სამოქალაქო ომის შედეგად მიყენებული ზიანის მასშტაბებს თუ შეედრება.

შეგავსი სცენარით, მაგრამ არა ასეთი მასშტაბებით ვითარდება სიტუაცია კოლუმბიასა და იტალიაში. ორივე ქვეყანაში ლოკალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები აქტიურ წინააღმდეგობას უწევენ სახელმწიფოს ძალისხმევას, გააძლიეროს თავისი კონტროლი. ამ მიზნით ეს ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ძალადობას და ტერორისტულ აქტებს. მაგალითად, კოლუმბიაში ე.წ. „მედელინის კარტელის“ საქმიანობამ ქვეყანას ურიცხვი მსხვერპლი და ეკონომიკური ქაოსი მოუტანა და მხოლოდ კარტელის მეთაურის პაულო ესკობარას დაღუპვის შემდეგ შეძლო სახელმწიფომ ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნება. იტალიაში მათმა მრავალი ათწლეულის მანძილზე აწარმოებდა სიხლთან ბრძოლას სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან, აკონტროლებდა მნიშვნელოვან ტერიტორიებს და არეგულირებდა და არეგულირებდა მნიშვნელოვან ფულად ნაკადს.

რაც შეეხება საქართველოს, დანაშაულებრივი კლანები 1992-1995 წ.წ. თითქმის ლეგალურ საფუძველზე აკონტროლებდნენ რესპუბლიკის მნიშვნელოვან ტერიტორიებს, ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები არამხოლოდ კომერციულ სტრუქტურებში, არამედ კურირებდნენ საჭირო ხალხის დანიშნავსაც საჭირო პოსტებზე ძალოვან სამინისტროებში.

საბჭოთა კავშირის დახრევის შემდეგ საქართველოს უახლესმა ისტორიამ პრაქტიკულადაც დაადასტურა, რომ ორგანიზებული დანაშაულობა გარდაუვალად შედის კონფლიქტში ოფიციალურ ხელისუფლებასთან, ვინაიდან თითოეული დანაშაულებრივი ქიელი ძალოვანი მონობოლიის დაწყებისა და მისი შენარჩუნებისკენ ისწრაფვის. ამისათვის ის იყენებს დანაშაულებრივი ქმედების, სულ ცოტა, ორ სახეობას: სახელმწიფო მოხელეთა და კერძო კომპანიების თანამშრომელთა კორუფციას და ძალადობრივ ტერორისტულ ქმედებს. ამით კრიმინალური ორგანიზაციები არყვენ სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლებს, ადვილებენ და ზრდიან დაძაბულობას ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და საფრთხეს უქმნიან სახელმწიფო მმართველობის ნორმალურ

ფუნქციონირებას, სამართლებრივი წესრიგის განხორციელებას. მათი საქმიანობა განსაკუთრებით ეფექტურია, თუ მთავრობა სუსტია ან არასტაბილური. ამ არასტაბილურობას იხინი არამცთუ ხელს უწყობენ, არამედ მთელ თავიანთ ძალისხმევას სამართალდამცავი ღონისძიებების ნეიტრალიზაციიდან მთავრობაში ადგილების დაკავებისა და უმაღლესი ხელისუფლების ხელში ჩაგდებასაქენ მიმართავენ.

3. ხელყოფის ობიექტი — დემოკრატიული ფასიულობები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები

ორგანიზებული დანაშაულობა საფრთხეს უქმნის დემოკრატიული ღირებულებების და პროგრესული საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებასაც. საქართველოში, 90-იანი წლების დასაწყისში ღია კონფრონტაციის შემდეგ, დაშნაშავე კლანებმა იწყეს სახელისუფლებო ორგანოებში შეღწევა და მათი კორუპირება სამართალდამცავი ღონისძიებების ნეიტრალიზაციის მიზნით. ისინი ისწრაფოდნენ შეექმნათ ისეთი ვითარება, როდესაც სახელმწიფო ნეიტრალურ პოზიციას დაკავებდა ამგვარი ორგანიზაციების მიმართ და არ მიიღებდა სერიოზულ ზომებს მათი საქმიანობის ადისკვეთად. ამ მიზნის მისაღწევი ერთ-ერთი გზა მდგომარეობდა ფარულ შეთანხმებაში ძალადობის შეზღუდვის შესახებ მანამ, სანამ მთავრობა არ ჩაერევა მოცემული დაჯგუფებების ეკონომიკური საწარმოების ფუნქციონირებაში; მეორე გზას წარმოადგენდა იმ პირთა კორუპირება, რომელთაც შეეძლოთ დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის პარალიზება. დაბოლოს, მესამე გზა, რომლის დროსაც მთავრობა და დანაშაულებრივი ორგანიზაცია დაამყარებდნენ მჭიდრო ურთიერთკავშირს და პირდაპირ შევიდოდნენ დანაშაულებრივ გარიგებაში; ასეთ პირობებში სამთავრობო სტრუქტურების როლი პრაქტიკულად დაიყვანებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის მფარველობამდე, რაც მათ იმავდროულად მაფიის მძევლებად აქცევდა.

როგორც სამართალდამცავი ორგანოების, მასმედიის და ჩატარებული ემპირიული გამოკვლევების მასალების ანალიზმა გვიჩვენა, ორგანიზებული დანაშაულობა ძველებურად ღრმადაა გამჯდარი საქართველოს სახელმწიფოებრივი იერარქიის სფეროებში. იცვლებიან ჩინოფნიკები და სტრუქტურულად იცვლება ორგანიზებული დანაშაულობის ფორმებიც. მაგრამ ბევრი, განსაკუთრებით ეკონომიკის შემოსავლიანი სფეროები, მაფიოზების ხელში რჩება. ისეთი სფეროები, როგორცაა სივარტისა და ალკოჰოლის ბიზნისი, ნავთობპროდუქტების და ენერგომატარებლების რეალიზაცია, ფანტასტიკური მოგების მოტანას აგრძელებს და მთლიანად ან მნიშვნელოვანწილად ჩრდილოვანი ეკონომიკით კონტროლდრდება.

ორგანიზებული დანაშაულობა ღრმად შეიჭრა აგრეთვე რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ასე მაგალითად, საარჩევნო კომპანიების ფინანსური უზრუნველყოფის მეშვეობით ორგანიზებულმა დანაშაულობამ შეძლო წარმომადგენლობითი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოებში პოლიტიკური მოღვაწეების კორუპირების გზით შეღწევა და ამ უკანასკნელთა მიერ კრიმინალური საქმიანობის მფარველობის უზრუნველყოფა. თანამედროვე პირობებში, როდესაც საარჩევნო კომპანიებთან დაკავშირებული ხარჯები მკვეთრად გაიზარდა, უმეტესი პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ კი ვერ ხერხდება მისი დაფარვა და, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განსაკუთრებით ტელევიზიას, შეუძლიათ გადამწვეტი როლი ითამაშონ კანდიდატისთვის წარმატებული იმიჯის შექმნაში ან მის ჩაგდებაში, სრულიად ნათელია, რომ სასწორის ფილის გადაწონვა მოხდება იმათ სასარგებლოდ, ვინც ფლობს უფრო დიდ ფინანსურ სახსრებს. ახდენს რა ასეთი სახით ზეგავლენას არჩენებზე ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებში და კანონმდებლობის პროცესებზე, ორგანიზებული დანაშაულობა ძირს უთხრის პოლიტიკურ სისტემას მთლიანად.

ასეთ პირობებში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება ხოლმე ისეთი ფასეულობებიც, როგორცაა, მაგალითად, სიტყვის თავისუფლება, რომელიც იღაზება იმის გამო, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხელში იგდებენ კონტროლს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გაზუთების, რადიო- თუ ტელევიზიულ გზებით შექმნილი ან მათი გავლენიანი წარმომადგენლების მოსყიდვის გზით. ყურნალისტი ყოველთვის დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა მისი თვალთახედვა შესაძლოა არც თუ ისე ობიექტური იყოს, ხოლო ინფორმაციის წყაროები, რომლებთანაც ის სარგებლობს, ხშირად არ იმასურებენ ნდობას. ორგანიზებული დანაშაულობის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენების კლასიკურ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის პროპაგანდისტული მანქანა. საქართველოს ამ რეჟიმის კლანები ატარებენ ფართო ანტიქართულ კომპანიას, რაშიც მათ დახმარებას რუსეთის კორუმპირებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც უწევენ.

4. ხელყოფის ობიექტი - საქართველოს სუვერენიტეტი

ორგანიზებული დანაშაულობა გამოირჩევა მიდრეკილებით, კონფრონტაციაში შევიდეს სახელმწიფოსთან მისი დასუსტებისა და დეზორგანიზაციის მიზნით. XX საუკუნეში აპრობირებულ საშუალებად გადაიქცა დამნაშავე კლანების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში სეპარატისტული განწყობის გავრცელება და გამოყენება. ამ წესიდან გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მის ტერიტორიაზე არაერთ სისხლიან ეთნიკურ კონფლიქტს პქონდა ადგილი. რეგიონულმა მაფიოზურ-კორუმპირებულმა კლანებმა ნაციონალ-ეკსტრემისტებთან ერთად, უკვე „დე-ფაქტოდ“ დაარღვიეს საქართველოს სუვერენიტეტი, მისი ტერიტორიული მთლიანობა და ამ პროცესის სპონსორებას აგრძელებენ. შექმნილი მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების, ერთიანი ეკონომიკური სივრცის და მართვის ცენტრალიზებული სახელმწიფო სისტემის დარღვევის პირობებში, დამნაშავე ფორმირებებს გაუადვილდათ რეგიონების, განსაკუთრებით ე.წ. ნაციონალური ავტონომიების კონტროლქვეშ აყვანა. შიდა მაფიოზურმა კლანებმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო დანაშაულებრივი ორგანიზაციების და „მესამე ძალის“ დახმარებით ეთნო-რეგიონული კრიმინალური რეჟიმი დაამყარეს და ფაქტიურად მაფიის „გასახელმწიფოებრივების“ პროცესი განახორციელეს.

დაინტერესებული ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის წარმომადგენლების მხარდაჭერით ეთნიკურმა კლანებმა პოლიტიკურ, რელიგიურ და სისხლისმამართლებრივ ექსტრემიზმზე დაყრდნობით მოახდინეს საქართველოდან მისი ორისიდიქციის ქვეშ მყოფი ტერიტორიების ჩამოცილება და ისინი „დამოუკიდებლად“ გამოაცხადეს.

სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნის აგრეთვე ორგანიზებული დანაშაულობის სწრაფვა, დაარღვიოს ერთნული საზღვრები. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ტექნოლოგიების, გლობალური სავაჭრო და საფინანსო სისტემების საუკუნეში ერთნული საზღვრები უფრო მეტად გააქვირვალა, ვიდრე ოდესმე, თანამედროვე სახელმწიფოები ძველებურად ცდილობენ თავიანთ საზღვრებზე გამაგალი სასაქონლო-ფინანსური ნაკადების რეგულირებას და ეს რეგულირება განხილდება, როგორც სუვერენიტეტის ფუძემდებლური და აუცილებელი ატრიბუტი. მაგრამ ამგვარი რეგულირება მიუღებელია დანაშაულებრივი ორგანიზაციებისთვის. თავიანთი მოღვაწეობით ისინი რეალურ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს სუვერენიტეტსა და უშიშროებას, ანუ სახელმწიფოებრიობის ფუძემდებლურ ატრიბუტებს.

5. ხელყოფის ობიექტი – ეროვნული ეკონომიკა

ნაციონალურ ეკონომიკას რეალური საფრთხე ექმნება იმით, რომ საქართველოში რეგონულ და დარგობრივ დონეებზე უკვე მიმდინარეობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების მიერ მთელი საზოგადოების მატერიალური ფასეულობების ფლობის და განკარგვის უფლების ხელში ჩაგდება. უპირველესად, ეს ეხება ენერგეტიკის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, წარმოების, ბუნებრივი რესურსების, კრედიტებისა და პუბლიკური დახმარების განაწილების სფეროებს.

70-80-იანი წლების უკუართობის პერიოდის მასიური წვრილმანი მიტაცებები, თავისი მასშტაბებით ვერ შეედრება საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში კრიზისალური კლანების მიერ მატერიალური ღირებულებების ხელყოფის მასშტაბებს. საფრთხე, რომელსაც ეს პროცესი საზოგადოებას უქმნის, იზრდება ახალი სახეობის კრიზისალური ქმედებების სამართლებრივ რეგულირებაში არსებული ხარვეზების გამო. ორგანიზებული დანაშაულობის შემოსავლები ხელს უწყობს ინფლაციური ზეწოლის გამწვავებას, ქმნის დისბალანსს ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარებაში. ორგანიზებული დანაშაულობის მიერ „შავი ბაზრის“ ეკონომიკის განვითარების წახალისება არა თუ ახშობს ლეგალურ ბიზნესს, არამედ არსებითად ამცირებს სახელმწიფოს საგადასახადო ბაზას. უდიდესი ფულადი თანხების ლეგალიზაცია ძირს უთხრის სახელმწიფოს უნარს, გააკონტროლოს ფინანსური სისტემა და მართოს იგი.

პრივატიზაციის დროს დანაშაულებრივი ორგანიზაციები ხშირად მოქმედებენ როგორც თავისებური ტრანსნაციონალური კომპანიები, სარგებლობენ სახელმწიფო კონტროლის სისუსტით, ან ჩინოვნიკების კორუპციულულობით, საკუთრებაში იძენენ მიწას, საწარმოებს, სხვა უძრავ ქონებას, ახორციელებენ ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკაში იმ იმედით, რომ გამოიყენებენ მის ბუნებრივ რესურსებს და შემდგომი ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელ სხვა პერსპექტიულ ფაქტორებს. საზოგადოების ზოგიერთ წრეებში არსებობს აზრი, რომ არაკანონიერი საწარმოები ხელსაც კი უწყობენ ეროვნული ეკონომიკის კეთილდღეობას, ამაღლებენ მუშა-მოსამსახურეთა დასაქმების დონეს და უზრუნველყოფენ გარანტიებს ეკონომიკური ჩავარდნის შემთხვევაში. ამ თვალთახედვის თანახმად, დანაშაულებრივი ორგანიზაციები ქმნიან სამუშაო ადგილებს სამეწარმეო და სამმართველო კადრებისთვის, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში უმუშევრები დარჩებოდნენ. კრიზისალური კლანებით კონტროლირებადი საწარმოების შემოსავლები, ჩვეულებრივ, ძალიან მაღალია და, უკიდურეს შემთხვევაში, მის ნაწილს მანც შეეძლო, ხელახლა შერწყმოდა ადგილობრივ თუ ნაციონალურ ეკონომიკას, მაგრამ როგორც სხვა სახელმწიფოების (განსაკუთრებით იტალიის) გამოცდილება გვიჩვენებს, ამგვარი დადებითი შედეგები რეალური სურათის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. ორგანიზებული დანაშაულობის შემოსავლები აძნელებენ ეკონომიკის მართვას, ხელს უწყობენ რა ინფლაციური ზეწოლის გამწვავებას, ქმნიან დისბალანსს ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში და ზრდიან ბიროვნებათა ვიწრო წრის დანახარჯებს ფუფუნების საგნებზე იმ დროს, როდესაც საზოგადოების ფარგლებში რესურსების უფრო ფართო განაწილების მწვავე აუცილებლობა არსებობს.

ზემოვთხსენებულ მისაღებად, განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის დაუმუშავებელი მექანიზმების ბირობებში, მაფიოზური სტრუქტურები საქართველოში მატერიალური ფასეულობების ძირითადი მოცულობის მფლობელები ხდებიან. ამასთან, ეკონომიკის შთანთქმა მიმდინარეობს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი სტრუქტურების მოზიდვით, რომლებიც სულ უფრო მჭიდროდ ერწყმიან რესპუბლიკის ბიზნესს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული მრავალმილიონიანი შემოსავლები ფულის ლეგალიზაციის კარგად დაძუშავებული

სისტემის პირობებში სულ უფრო ფართოდ ინვესტირდება კანონიერ საწარმოებში. ეს პროცესი რამდენიმე მიზანს ემსახურება, რომელთა შორის უფრო აშკარაა უკანონოდ შექმნილი ფულის „გათურებისკენ“ სწრაფვა. არაკანონიერად მიღებული სახსრების ჩადება ლეგალურ ეკონომიკაში ასევე უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენით მიღებული თანხების ექვემდებარებას ლეგალიზაციის შესაძლებლობას მისი გამოსვლით ინვესტირების საშუალებით. რომლის დროსაც შემოსავლები შეიძლება დაიკარგოს პოლიციის მიერ მიხილვის და დაკავების ან კონფისკაციის შედეგად. თანხების კანონიერ ეკონომიკაში ჩადების გზით დანაშაულები თითქოსდა კანონმორჩილ მოქალაქეებად იქცევიან და ამ იმიჯს საქველმოქმედო საქმიანობის გაჩაღებით იძლიერებენ (ეკლესიების, უნივერსიტეტების, სპორტული კლუბების, სხვადასხვა საზოგადოებების, ინვალიდების ფინანსირება და სხვ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზებული დანაშაულობის მიერ შესყიდულ საწარმოებს უბრაატესობა გააჩნიათ კანონმორჩილი მოქალაქეების საკუთრებაში მყოფ საწარმოებთან შედარებით, რომლებიც ზრუნავენ მიღებული შემოსავლების მოცულობაზე, გადასახადების გადახდაზე, საწარმოო დანაკარგებზე და ბანკებისათვის სესხის გადახდაზე. გარდა ამისა, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები, აუცილებლობის შემთხვევაში უბრაატესობის მოპოვებას ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით ცდილობენ. კანონმორჩილი მეწარმეები ვერ უძლებენ არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და ხშირად ბანკოტებად იქცევიან. ამგვარად, ორგანიზებული დანაშაულობის შეღწევის ლეგალურ ეკონომიკაში თითქმის გარდაუვალად მიყვარათ საბაზრო ძალების ბუნებრივი მოქმედების დარღვევისკენ. ბოლოს და ბოლოს ასეთი მდგომარეობა ნეგატიურად აისახება მომხმარებელთა ფინანსურ დანახარგებზეც, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ იძულებულნი ხდებიან გადაიხადონ უფრო მაღალი ფასი.

ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა მადესტაბილიზებელ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის მრავალ სფეროზე. მის ზემოქმედებას განსაკუთრებით ექვემდებარებიან სუსტი ეკონომიკის ქვეყნები, როგორც არის, მაგალითად, საქართველო.

¹ Воронин Ю.А. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997. стр. 8

² The United Nations and Transnational Organized Crime / Ed/by Williams P. and Savona E. Portland. Oregon. 1996. Organized Crime / Lyman M.D. Potter G.W. 2nd ed. Prentice-Hall Inc. 1999/ Richards J.R. Transnational Criminal Organization. Cyber crime and Money Laundering CRC Press LLC. 1999

³ Shelley L. The Threat to the World Order // Organized Crime: Contemporary Issues. San Diego. 1999 p.174; Godson R. Olson W. Transnational Criminal Organization// Organized Crime: Contemporary Issues. p. 154-156; Richards J. R. Transnational Criminal Organization, Cybercrime and Money Laundering. p. 4

⁴ Richards J. R. Transnational Criminal Organization. Cyber crime and Money Laundering. p. 4

⁵ Shelley L. The Threat to the World Order. p.173

⁶ Godson R. Olson W. Transnational Criminal Organization// Organized Crime: Contemporary Issues. p. 155-156

⁷ Shelley L. – Transnational Organized Crime// Journal of International Affairs. Vol. 48. N2. 1995

⁸ Воронин Ю.А. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997. стр.8-10; Основы Борьбы с организованной преступностью. Колл. Авт. с.28

⁹ См: Зорин Г.А., Талкевич О.В. Понятие и основы признаки транснациональной преступности. Гродно, 1997. с.20

¹⁰ Иванов Э.А. – Отмывание денег и правовое регулирование борьбы с ним. М., 1999. стр.12

¹¹ Keohane Robert. Nye Joseph – Transnational Relations and World Politics. Cambridge, Massachusetts, Harvard University Press; 1971 p. xii; Справочные материалы всемирной конференции на уровне министров по организованной транснациональной преступности. Неаполь 21-23 ноября 1994, E/CONF 88/2 18 Aug. p.6

¹² Воронин Ю.А. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург. 1997. стр.5

¹³ Луев В.В. – Преступность XX века: Мировой криминологический анализ. М., 1998. с 318

¹⁴ См: Проблемы и опасности, которые создает организованная транснациональная преступность в различных регионах мира. Справочный документ Всемировой Конференции на уровне министров по организованной транснациональной преступности. Неаполь 21-23 ноября. 1994 E/ CONF 88/2 1994 Aug. 18, p.7

¹⁵ Global Mafia Special Report// News Week, Washington, 1995

¹⁶ Godson R. Olson W. Transnational Criminal Organization// Organized Crime: Contemporary Issues. p. 157

- ¹⁷ Иванов Э.А. – Отмывание денег и правовое регулирование борьбы с ним. М., 1999. стр.11
- ¹⁸ Воронин Ю.А. – Транснациональная организованная преступность. Екатеринбург, 1997. стр.10
- ¹⁹ Комиссаров В.С. – Обсуждение проблем борьбы с коррупцией // Государство и право. 1993ю стр. 25
- ²⁰ Международные финансовые институты начали борьбу с коррупцией// Финансист 1998 № 1 стр. 66
- ²¹ Godson R. Olson W. Transnational Criminal Organization// Organized Crime: Contemporary Issues. p. 155
- ²² Иванов А.М., Корчагин А.Г., Преступление и наказание в странах Азиатско-тихоокеанского региона. Владивосток 1999. стр. 39
- ²³ Иванов А.М., Организованная преступности и борьба с ней в Японии. Авт. канд. дисс. Владивосток, 2000 стр. 15
- ²⁴ См. подробнее: Организованная преступность и борьба с ней. Владивосток, 1995. С. 11-13; Сущность и виды организованной преступной деятельности // Вопросы организованной преступности и борьбы с ней. М., 1993. С. 49-51; Репецкая А.Л., Рыбальская В.Я. Криминология: Общая часть. Иркутск, 1999. С. 57-58.
- ²⁵ См. например, Смелзер Н. Социология. М., 1994. С.159-160; Пригожин А.Н. Современная социология организаций. М., 1995. С. 108-126; Самонов А.П. Психология преступных групп. Пермь, 1991. 159-169; Шеслер А.В. Криминологические аспекты групповой преступности. Красноярск, 1999. С. 80-83.
- ²⁶ Материалы IX Конгресса ООН по предупреждению преступности и обращению с правонарушителями.

თავი 10

ორგანიზებული დანაშაულობის კონტროლის ქვეშ მყოფი კრიმინალური საქმიანობის ზოგიერთი სახეობა საქართველოში

§1. ნარკობიზნესი

ნარკოტიკების უკანონო გავრცელება არაღვევალური ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ფორმაა. საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მსოფლიოში ნარკოტიკების გასაღების ბაზრებისა და მარშრუტების ხელახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო. საბჭოთა კავშირის ყველა ყოფილ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებსა და მეგაპოლისებში, ნარკოტიკების მოხმარების ზრდის ტენდენცია აღინიშნა. ზოგიერთი რესპუბლიკა (ყირგიზეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი) მისი აქტიური მწარმოებელი გახდა, ზოგი კი (აზერბაიჯანი, საქართველო) ნარკოტიკების ნაკადის ტრანზიტულ არხებად იქცა დასავლეთ ევროპისა და რუსეთისათვის. ნარკოსაქმოსნებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა საქართველო, რომელსაც შავი ზღვით ევროპაზე აქვს გასასვლელი, ხოლო კავკასიის ქედის საიდუმლო ბილიკებით რუსეთს უკავშირდება. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის არგავრცელებამ, დანაშაულებრივ კლანებს საშუალება მისცა, მოეხდინათ ნარკოტიკების, ძირითადად თბილისის და ჰაშიშის, ეფექტური სატრანზიტო მარშრუტების ორგანიზება თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, შუა აზიის რესპუბლიკებიდან და ავღანეთიდან რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართულებით. ამავე დროს, საქართველო გადაიქცა ნარკოტიკების ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მომხმარებლად. ასე მაგალითად, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მონაცემებით, ქვეყანაში 120.000-მდე ნარკომანია, ხოლო ნარკობიზნესის ბრუნვა 500 მილიონ დოლარს შეადგენს წელიწადში, რაც უფრო მეტია, ვიდრე რესპუბლიკის ნაციონალური ბიუჯეტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, უკანასკნელ წლებში თბილისი ერთ-ერთ მსხვილ მწარმოებლად ავღანეთი იქცა. 1991 წელს მოსავალი შეადგენდა 2.400 ტონა ნედლეულს. ამ რაოდენობიდან შეიძლებოდა 200 ტონა თბილისი დამზადება, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებდა დასავლეთ ევროპის მოთხოვნილებებს. ნარკოტიკების ჭარბწარმოება და დამატებითი შემოსავლებისკენ სწრაფვა ნარკოსაქმოსნებს უბიძგებს ეძებონ გასაღების ახალი ბაზრები ევროპაში პერიონის კონტრაბანდას და მისით ვაჭრობას, ძირითადად, თურქეთის მოქალაქეები აკონტროლებენ. ბოლო ხანებში თურქეთისა და საქართველოს შორის საზღვრები თითქმის ღიაა, რაც აიოლებს ადამიანებისა და ნარკოტიკების გადაადგილებას. ეს გარემოება ძალზე დამაფიქრებელია და საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საერთაშორისო ნარკოკარტელებმა ღრმად შემოადრწიეს საქართველოში და აქტიურად უწყობენ ხელს ნარკობიზნესში მონაწილე ქვეყნების

რიცხვში მის შეყვანას. ქართული სამართალდამცავი ორგანოები შეუფოთებით აღნიშნავენ ჰერონის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოდინებას რესპუბლიკაში და მის მომხმარებელთა წრის გაფართოებას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ჩრდილოეთი უმეტესად დასახლებულია ეთნიკური ქართველებით, რომლებიც ფლობენ რა ქართულ ენას, საკმაოდ იოლად ასიმილირდებიან საქართველოში. ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს რესპუბლიკაში თურქული ნარკომადიის დანერგვას, ხოლო ქართველ კრიმინალთა მეშვეობით მის გავრცელებას დსთ-ს სხვა ქვეყნებშიც.

საერთაშორისო ექსპერტების მონაცემებით, თურქულ ნარკოოგანიზაციებს ახასიათებთ შემდეგი პრინციპები (რაც აქტიურად გადაიღეს ქართველმა პარტნიორებმაც):

- ჯგუფის წევრები, როგორც წესი, მიეკუთვნებიან ერთ ოჯახს ან ეროვნებას;
- ნარკობიზნესი ხორციელდება აბსოლუტური ნდობის პრინციპით;
- დანაშაულებრივი ორგანიზაციების შიგნით მოქმედებს ოპერტას პრინციპი, რომელიც, როგორც წესი, უზრუნველყოფილია მისი დარღვევისათვის სასჯელის დადების შიშით;
- ორგანიზაციებს გააჩნიათ იერარქული სტრუქტურა, რომელიც შედგება შემდეგი პირებისაგან:
 - ა) ორგანიზატორი (ხელმძღვანელი), რომელიც ჩვეულებრივ ცხოვრობს თურქეთში;
 - ბ) მისი მოადგილეები, რომლებიც ასორციელებენ წარმომადგენლობას ნარკოტიკების გასაღების ქვეყნებში;
 - გ) ნარკოტიკების საწყობების მფლობელი ბითუმად მოვაჭრეები გასაღების ქვეყნებში;
 - დ) ნარკოკურიერები;
 - ე) „ფულიის გათეთრებით“ დაკავებული საქმისნები.

ჩვეულებრივ, ამ იერარქიაში არ შედიან საცალო მოვაჭრეები. ამ მიზნით მისვლილი ნარკოოგანიზაციები იყენებენ „გარე მოვაჭრეებს“, რომლებსაც პოლიციის მიერ დაკავების შემთხვევაში არ შეეძლებათ იმ ორგანიზაციის სტრუქტურის გახსნა, რომელთანაც თანამშრომლობენ.

საქართველოში და დსთ-ს სხვა ქვეყნებში შეჭრილ ნარკოჯგუფებში ყველაზე მეტად აქტიურობენ დამნაშავეები თვით საქართველოდან, რომლებიც თურქეთის ნარკობარონების ნდობით სარგებლობენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტიურობა რუსეთის, განსაკუთრებით, მოსკოვის მიმართულებით, სადაც ქართველი დამნაშავე ავტორიტეტები ქურდულ იერარქიაში მაღალ მდგომარეობას იკავებენ და ახალი ტრანსნაციონალური კრიმინალური კომპანიების წარმოქმნას უზრუნველყოფენ.

საქართველოსადმი ყურადღების გაძლიერება საერთაშორისო ნარკობიზნესის მხრიდან მისი გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მოქმედი კანონმდებლობის არასრულყოფილებით, სუსტი სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმით განისაზღვრება. საქართველოში შემოსავლებზე და ფულადი ოპერაციების წარმოებაზე არაფექტიური კონტროლის სისტემა ქართველ და უცხოელ მაფიოზურ ფორმირებებს საშუალებას აძლევს მოახდინონ მისვლილი კაპიტალის ლეგალიზაცია ინვესტირების და

კომერციული სტრუქტურების მეშვეობით, აგრეთვე მათ საშუალება ეძლევათ ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლები მიმართონ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნისა და სახელმწიფო აპარატის კორუპციის რისკებს.

ქართულმა ნარკობაფიამ მნიშვნელოვნად გაიზარდა თავისი სტატუსი საერთაშორისო სტრუქტურებში. აშშ-ში ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის ფედერალური სამმართველოს მონაცემებით, საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები საქართველოს ჩათვლით, შეიძლება აშშ-თვის ნარკოტიკების ძირითად მიმწოდებლებად გადაიქცნენ. სამართალდამცავი ორგანოები სერიოზულად არიან შეფოთებულები საბჭოთა კავშირიდან გამოსული ემიგრანტებით ფორმირებული ბანდების „ჰეროინული საქმიანობით“.

მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში სინთეზური ტრიმეთილფენტანის, მეტადონის და ინდოეთში წარმოებული ნარკოშემცველი იზურენოფილის გავრცელების მხრივ საქართველოს და აზერბაიჯანის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ლიდერულ პოზიციას იკავებენ. რუსეთის ოპერატიული სამსახურების მონაცემებით, საქართველოს და აზერბაიჯანის მოქალაქეებს მარტო 1994 წელს 30 კგ-მდე ასეთი ნარკოტიკი ჩამოერთვათ. აღნიშნული რაოდენობა წელიწადში 15-20 ათასი ნარკომანის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.

საინტერესოა ის უნიკალური მდგომარეობა, რომელიც აფხაზეთში თურქ ნარკოსაქმონებს შეექმნათ. საქართველოს უშიშროების ორგანოს ხელმძღვანელები არაერთხელ მოუთხოვნიან იმაზე, რომ სოხუმის ფარმაცევტული ფაბრიკა ყაყაოს ნედლეულის ჰეროინად გადაქცევისა და საქმედიცინო შეფუთვებში მათ დასაფასოებლად გამოიყენება.

§2. კორუფციული დანაშაულობა

1. ზოგადი დებულება

ორგანიზებული დანაშაულობის მიერ სახელმწიფო მექანიზმის გამოყენების ფენომენი უპირატესად, კორუფციასთან, როგორც ხელისუფლების უფლებამოსილების კერძო საკუთრებაში გადასვლის ერთ-ერთ საშუალებასთან, არის დაკავშირებული.

ამ პროცესში „სახელმწიფო ძალაუფლების ის წილი, რომელიც თავისთვის შეიძინა ცალკეულმა ინდივიდმა, დაკარგულია საერთო ძალაუფლებისათვის“, როგორც გვიჩვენებს კორუფციის ისტორია, ძალაუფლების შექმნილ ნაწილზე დაყრდნობით შესაბამისი ინდივიდები და კრიმინალური ფორმირებები უტყევენ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებსა და ფასიულობებს. რეფორმების პერიოდში საქართველოში შეინიშნებოდა სახელმწიფო აპარატის ინტენსიური კრიმინალიზაცია, მისი შესაძლებლობების გამოყენება არაკანონიერი მიზნებისთვის. ამასთან თანამდებობის პირების მოსყიდვის ტრადიციულ ფორმებთან ერთად გამოიყენებოდა ახალი ფორმებიც: საზღვარგარეთ მოგზაურობის დაფინანსება, შეღავათიანი კრედიტები სხვადასხვა მომსახურების გაწევა, სახელმწიფო აპარატიდან დათხოვნის შემდეგ მაღალანაზღაურებადი თანამდებობის შეთავაზება, კომერციული სტრუქტურების საბჭოებში ან დამფუძნებლებში ჩართვა, შეთავსებით სამუშაოს მიცემა და ა.შ.

ორგანიზებულმა და მნიშვნელოვანმა კლანმა. 70-იან და 80-იანი წლების დასაწყისში ეს სამყარო ამავე მიზნებისათვის ხარჯავდა დანაშაულებრივი შემოსავლების დაახლოებით მესამედს. აშშ-ში 1920-1930-იან წლებში ამდენსავე ხარჯავდნენ განგსტიერები ჩარლი ლუჩინო და ალ.კაპონე¹. XX საუკუნის მეორე ნახევარში როგორც ამას კრიმინოლოგები აღნიშნავენ, აშშ-ს ჩინოვნიკური და პოლიციური აპარატის კორუპციული ნაწილი ყოველწლიურად „დაახლოებით 14 მლრდ. დოლარს ღებულობდა სუფთა სახით, ანუ ყოველგვარი დაბეგვრის გარეშე“². თავის მხრივ კორუფციონერებს მოეთხოვებოდათ, რომ მოეხსნათ კონტროლი იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, იდებდნენ დანაშაულს. ასევე მოეთხოვებოდათ მეწარმეთა და სამეწარმეო სტრუქტურების ინტერესების აქტიური ლობირება იმის მიუხედავად, რომ ეს ინტერესები სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა.

კორუფციის საფრთხე სახეზეა. მისმა მასშტაბებმა რუსეთში რეფორმების პერიოდში უპრეცედენტო ხასიათი მიიღო, როგორც თავისი უფლებამოსილებით მოვარჯიშებული მოხელეების რაოდენობით, ასევე ხელისუფლების ყველა შტოში გავრცელებით. ამას მოწმობს კრიმინოლოგიური გამოკვლევები და ამ შეფასებაში ერთსულოვანი არიან ყველა სამართალდამცავი ორგანოსა და სპეცსამსახურის თანამშრომლები ამასვე აღიარებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელებიც.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გაიზარდა სასამართლოსთვის გადაცემულ კორუპციულ პირებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა. 1995 წელს მათმა რიცხვმა ორჯერ გადააჭარბა 1992 წლის მაჩვენებლებს. ამ საქმეების ორ მესამედზე მეტი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თანამშრომლებზე აღძრულ საქმეებს შეადგენდა. კორუპციული პირების მიმართ აღძრულ საქმეებში იზრდებოდა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიმართ აღძრული საქმეების ხვედრითი წილი: 1992 წელს მან 19% შეადგინა; 1993 წელს – 24,6%; 1994 წელს – 30%; 1995 წელს – 29,6%. ძირითადად, ესენი შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები იყვნენ, თუმცა 1994 და 1995 წლებში სასამართლოებს გადაეცა არაერთი საქმე პროკურატურის თანამშრომლებზეც, წარმოჩნდა აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეები ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლების კორუფციულ დანაშაულებებზე. 1995 წელს 1992 წელთან შედარებით გაორმაგდა დეპუტატების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების რიცხვი (14 საქმე 7-ის ნაცვლად). პირველად 1995 წელს სასამართლოში იქნა გადაგზავნილი სისხლის სამართლის ორი საქმე კორუპციულ მოსამართლეებზე.

ამავე დროს კორუფციის როლი უდიდესია, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული იმ გარემოებებთან, რომ ხშირად იგი გამოვლინდება ორმხრივი „კონფიდენციალური გარიგების“ ფორმით, რომლის გამოაშკარავებაში არცერთი მხარე არაა დაინტერესებული.

2. კორუფციის ცნება

კორუფცია სოციალური მოვლენაა, რომელიც ხასიათდება სახელმწიფო ან სხვა რანგის მოხელეების მოსყიდვა-ვაჭრობით და ამის საფუძველზე მათთვის მინიჭებული

უფლებამოსილების და მასთან დაკავშირებული ავტორიტეტისა და შესაძლებლობების ანგარიშის მიზნით გამოყენებით პირადი ან ვიწრო ჯგუფის კორპორაციული ინტერესებისათვის.

კორუფცია, როგორც სოციალური მოვლენა, შედგება შემდეგი სახის სამართალდარღვევებისაგან:

ა) კორუფციული სამართალდარღვევები, რომლებიც ჩადენილია მატერიალური ან სხვა სახის უპირატესობის მიღების მიზნით;

სამართალდარღვევები, რომლებიც ქმნიან კორუფციის განვითარების ხელსაყრელ გარემოს და უზრუნველყოფენ მას (თანამდებობრივი უფლებების გამოყენება სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ, ძალაუფლების გადაშეცემა და ა.შ.). ასეთი სამართალდარღვევები მრავალფეროვანია და იხინი ატარებენ სისხლისსამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო სამართლის და დისციპლინარულ ხასიათს.

ბ) კორუფციული დანაშაულობა;

კორუფციული დანაშაულობის ცნებასთან მიმართებაში აღსანიშნავია შემდეგი მოსაზრება:

კორუფციული დანაშაულობის წრე არ მოიცავს მხოლოდ თანამდებობრივ დამნაშავეობას, მაგალითად, იგი არ მოიცავს დაუდევრობას, მთლიანად არ ემთხვევა სამსახურებრივ დამნაშავეობასაც. ამიტომ კორუფციული დამნაშაულობა შეიცავს სისხლის სამართლებრივი ქმედების სხვადასხვა კლასს. მისი შეზღუდვებებში შედის ბევრი დანაშაული სახელმწიფო ხელისუფლების ძალაუფლების, სახელმწიფო და სხვა სამსახურების წინააღმდეგ.

უბრველეს ყოვლისა, ესაა მექრთამეობა¹ (საქართველოს სსკ-ის 338-339-ე მუხლები) აგრეთვე მასთან დაკავშირებული თანამდებობრივი უფლებების ბოროტად გამოყენება (სსკ-ის 332-ე, 333-ე, 334-ე და 335-ე მუხლები) თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაშეცემა (სსკ-ის 333-ე მუხლი); სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (სსკ-ის 337-ე მუხლი), სამსახურებრივი სიყალბე (სსკ-ის 341-ე მუხლი); სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან უკანონოდ გათავისუფლება (სსკ-ის 334-ე მუხლი); სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგო დანაშაული კორუფციულ და სხვა ორგანიზაციებში (სსკ-ს 220-221 მუხლები) და მთელი რიგი სხვა დანაშაულობები მათ შორის კომპიუტერული ინფორმაციის სფეროში, მაგალითად, კომპიუტერულ ინფორმაციაში უკანონოდ შეღწევა იმ პირის მიერ, რომელმაც გამოიყენა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა (სსკ-ის 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ ქვეპუნქტი) და ა.შ. ამ ქმედებებით დგინდება იმ სისხლის სამართლის საქმეებისა და მასალების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია მექრთამეობასთან, კომპიუტერულ მოწყობასთან, სამეწარმეო საქმიანობაში არაკანონიერ მონაწილეობასთან და ა.შ. ამ უკანასკნელთა მასალების შესწავლით კი დგინდება სტატისტიკური მონაცემები.

კორუფციის ელემენტებია:

- ორმხრივი გარტება, როდესაც პირი, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ან სხვა სამსახურში, არალეგალურად ჰყიდის თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან მომსახურებას, რომელიც დაფუძნებულია თანამდებობის ავტორიტეტზე და მასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებზე – ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, დაჯგუფებებზე (მათ შორის ორგანიზებულ დამნაშავეთა ფორმირებებზე), ხოლო

მყიდველი ღებულობს შესაძლებლობას გამოიყენოს სახელმწიფო ან სხვა სტრუქტურა თავისი მიზნებისათვის, როგორცაა უკანონო შემოსავლების გზით გამდიდრება, პრივილეგიების კანონიერად გაფორმება, კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება, სოციალური კონტროლი და სხვა;

- მოსამსახურეებისაგან ქრთამისა და დამატებითი გასამრჯელოს გამოძიება;
- მოსამსახურეების ინიციატივები, აქტიური მოსყიდვა, ხშირად ერთდროულად მათზე ძლიერი ფსიქიკური ზემოქმედების მეშვეობით. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია ორგანიზებული დანაშაულობისათვის.

აშშ-ში დამნაშავეთა ყოველ ორგანიზებულ ფორმირებაში ფიქსირებულია, როგორც მინიმუმი, ერთი კორუპტივის თანამდებობა. კორუპტივების დანიშნულებაა ჩინოვნიკების მოსყიდვა ან დაშინება. მაგალითად, რუსეთში გამოვლენილი ორგანიზებული ფორმირებების შემთხვევებში კორუფციული კავშირები ჰქონდა: 1991 წელს - 65 ორგანიზებულ ფორმირებას; 1992 წელს - 635-ს; 1993 წელს - 801-ს; 1994 წელს - 1037-ს; 1995 წელს - 857-ს.

არაკანონიერი გასამრჯელოს საფასურად მოხელე ასრულებს ქრთამის მიმცემისათვის სასურველ ქმედებას. ამასთან იგი ქრთამს იღებს იმ ქმედებისათვის, რაც მას უნდა შეესაბამებინა მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, (კანონიერი ან უკანონო ქმედებისათვის);

3. განვიხილოთ კორუფციული დეტერმინაციის ზოგიერთი საკითხი:

კორუფცია, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია: სამსახურებრივ გარემოსთან, მოხელეების დახასიათებასთან და სოციალური კონტროლის მდგომარეობასთან.

როდესაც ვსაუბრობთ სამსახურებრივ გარემოზე ან სამსახურის პირობებზე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ სამ გარემოებაზე, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ კორუფციის დეტერმინაციაზე. პირველ რიგში გასათვალისწინებელია მოხელეთა შრომის დაბალი ანაზღაურება, მოხელეს ანაზღაურება უნდა შეეცეს ისეთი ოდენობით, რომელიც მას და მის ოჯახს უზრუნველყოფილი ცხოვრების საშუალებას მისცემს. ამასთანავე, ქვეყანაში რეფორმების პერიოდში მრავალი სახელმწიფო მოხელისათვის ხელფასების დაგვიანებით გაცემა უფრო წესად იქცა, ვიდრე გამოჩვეულებად. მატერიალურმა გაჭირვებამ მოხელეთა ნაწილში ჩამოაყალიბა კორუფციული დანაშაულის ჩადენის მოტივაცია. სიტუაცია უფრო გაამწვავა თუნდაც ერთი და იგივე ორგანიზაციაში თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაში არსებულმა მკვეთრმა კონტრასტებმა, რომელთაც არ გააჩნიათ რეალური საფუძველი.

დეტერმინანტთა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს მართვის ტიპს. ე.წ. სიტუაციური მართვისას სხვადასხვა რიგის ამოცანები უმთავრესად ცალკეული თანამშრომლების შეხედულებისამებრ წყდება. იქნება სივრცე პირადი შეხედულებებისა და თვითნებობისათვის. ბოლოს და ბოლოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი რიცხვი, რომელიც დაიღალა მოხელეების მრავალფეროვანი წინააღმდეგობისა და ზუსტად განუსაზღვრელი მოთხოვნებისაგან, ხელოვნურად შექმნილი სირთულეებისაგან თავის დასაღწევად მზადაა გადაიხადოს გარკვეული თანხა. „მრავალმნიშვნელოვანი“ და ცვალებადი მოთხოვნების წაყენება ფასდება, როგორც ქრთამის გამოძიება და მისი პროვოცირება.

კორუფციის დეტერმინაციის ანალიზისას გასათვალისწინებელია ასევე ნორმის გამოყენების სიტუაცია, როდესაც ქრთამის აძლევენ იმისათვის, რომ ჩინოვნიკმა დაარღვიოს დადგენილი წესები.

დეტერმინანტთა შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო აპარატში არსებული სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო. მაგალითად, სახელმწიფო მოხელეების ფუნაში კორუფციის მინიჭება ნორმალურ მოვლენად კრიმინალური მოტივაციის ფორმირების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კორუმპირებული მოხელეების დახასიათებისას ყურადსაღებია მათი ფასეულობების იერარქია, კერძოდ, მათი მზადყოფნა მატერიალურ კეთილდღეობას შესწირონ კანონი და მორალურ-ზნეობრივი ნორმები, პროფესიული ღირსება; მნიშვნელოვანია აგრეთვე ხასიათის ისეთი თვისებები როგორცაა სიძუნწე, შური, მორალური მერყეობა მკლავდება ინციატივურ მოსყიდვაში დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების სოციალურ გარემოს, კერძოდ, ამ გარემოში მატერიალური კეთილდღეობის მაღალი დონის მქონე პირების არსებობას, რომლებმაც ასეთ მდგომარეობას კორუფციული ან სხვა კრიმინალური მოღვაწეობით მიადწიეს. პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში, ასევე გასათვალისწინებელია მატერიალურად უზრუნველყოფილი გარემო და შემდგომში ამ უზრუნველყოფის დონის შეფერად დაცემა.

ყურადსაღებია ადამიანისათვის რეფერენტული გარემოს მახასიათებლებიც. თუ პიროვნება ორიენტირებულია ჰოლივიდის ვარსკვლავების ცხოვრების სტანდარტებზე, ხოლო თუ იღებს მოსამსახურის მოკრძალებულ ხელფასს, მაშინ მას ექმნება პრობლემური სიტუაცია; საქმე გვაქვს ე.წ. „კაციჭამია – ელოჩკასთან“, რომელიც ცდილობდა კონკურენცია გაეწია საზღვარგარეთელი მილიონერის ქალიშვილის ჩაცმულობისათვის. აღნიშნული მოტივაცია შეიძლება კრიმინალურად ჩაითვალოს. მნიშვნელოვანია ძვირადღირებული ჩვევები და ინტერესები: სპორტის სისამელების უზომოდ მოხმარება, აზარტული თამაშებით გატაცება და ა.შ. ყურადღებას იმეორებს აგრეთვე ისეთი უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიის წინასწარ მოფიქრებული არჩევაც, რომელიც კანონგარეშე ძვირფასი საჩუქრების და ძღვენის მიღების საშუალებას იძლევა.

მოხელეების შემოსავლებისა და გასავლების, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უკონტროლობა, კორუფციის ფაქტების რეაგირების გარეშე დატოვება ან კანონზე დაუფიქრებელი სუსტი რეაგირება უმეტესწილად ხელს უწყობს კორუფციული დანაშაულის წარმოშობას. არსებული კრიმინოგენური სიტუაცია დამნაშავეთა ნაწილისათვის ქმნის შემდეგი ტიპის კრიმინალურ მოტივაციას: „სხვები იღებდნენ და იღებენ ქრთამს და არავის გამოუაშკარავენია ისინი, მოდი, მეც ვცდი“. ხშირად გამოაშკარავენ ხოლმე სწორედ ასეთ დილეთანტ მექრთამეებს, რადგანაც მაღალი რანგის პირები, როგორც წესი, მოქმედებენ კარგად მოფიქრებულ, ორგანიზებულ საფუძველზე.

კორუფციული დანაშაულობის გავრცელებას ხელს უწყობს სახელმწიფოს და საზოგადოების მართვის საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, სახელმწიფო და სხვა სამსახურების ფუნქციონირების სუსტი ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძველები, ყველა ხერხითა და საშუალებით პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და ყოვლისშემძლეობის მიღწევის დაშვების ფსიქოლოგია, სამართლებრივი ნიჰილიზმი

და ცინიზმი. განსაკუთრებით კრიმინოგენურია ამ ფსიქოლოგიის გავრცელება და მასზე დაფუძნებული ქცევები სახელმწიფო მმართველობის მაღალ ეშელონებში.

საქართველოში რეფორმების პერიოდში კორუფციის არნახული გავრცელება ხდებოდა მრავალი ურთიერთდაკავშირებული გარემოების ზეგავლენით: პირველ რიგში, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, საბაზარო ეკონომიკაზე მასიურად გადასვლის პრობებში ჩინოვნიკებმა დაიწყეს ყოველგვარი საშუალების გამოყენება თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და მომავალში „ღირსეული“ ადგილის შესანარჩუნებლად. ყველაფრის საზომი „დოლარიზაცია“ პროცესი გახდა.

კორუფცია იქცა საზოგადოების გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. განვლილი წლები გვიჩვენებენ, რომ საკუთრებისათვის ბრძოლაში ხდებოდა ძალაუფლების გამოსყიდვა ნომენკლატურისაგან. ასეთი გამოსყიდვა ხორციელდებოდა სხვადასხვა გზით: ზემდგომი სახელისუფლებო სუბიექტები შერჩევით აფინანსებდნენ თავის მოხელეებს, უფლებას აძლევდნენ მონაწილეობა მიეღოთ კომერციულ სტრუქტურებში ან თვალს ხუჭავდნენ მათ ამგვარ საქმიანობაზე, ანიჭებდნენ კანონით გაუთვალისწინებელ პრივილეგიებს და შეღავათებს, რომლებსაც თვითონვე აძლევდნენ ან უუქმებდნენ და სხვ. კორუფცია, ეკონომიკურ დანაშაულობებთან ერთად, იქცეოდა საკუთრებისა და კაპიტალის, მათ შორის კრიმინალურის, გადანაწილების მძლავრ საშუალებად.

ამგვარად, ერთი მხრივ, იქნებოდა მოქალაქეთა ფართო და შთამბეჭდავი ფენა, რომელიც დაინტერესებული იყო კორუფციაზე დაფუძნებული ურთიერთობების შენარჩუნებით, მეორე მხრივ, კი მოქალაქეთა სულ უფრო დიდი ნაწილი განიცდიდა კორუფციის ზეგავლენას.

მოსახლეობის უკმაყოფილების ჩახშობა ხდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან ზოგიერთი პიროვნების, ვგუფებდი ემიზოდური ხმაშემალი გამოაშკარავებით და სასამართლოების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სპეცსამსახურების მუდმივი კრიტიკით. ამ მიზეზებს, როგორც წესი, არ ჰქონდათ სამართლებრივი შედეგები, ხოლო ზემოაღნიშნული კრიტიკა ძირს უთხრდა მოსახლეობის ნდობას სამართალდამცავი ორგანოებისადმი, აძლიერებდა მათთან თანამშრომლობაზე უარის თქმის სურვილს.

მცირდებოდა კორუფციასთან ბრძოლის შედეგიანობა. მთელ რუსეთში 1994 წელს მექრთამეობისათვის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 380 პირს, 1995 წელს – 397-ს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მექრთამეობისათვის გასამართლებულთა მხოლოდ ერთ მესამედს. ყოველ მეოთხე მსჯავრდებულს გადაევადა განაჩენის აღსრულება.

ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები თავისთავად არ მოწმობენ ლიბერალურ სასამართლო პრაქტიკაზე, რადგანაც სისხლის სამართლის საქმეების შინაარსის მიხედვით სამართალში მიცემულნი არიან დაბალი რანგის შემთხვევითი მექრთამეები და არა ის პირები, რომლებიც კორუმპირებულები არიან სისტემატურ ან მუდმივ საფუძველზე დაპყარებული დახვეწილი ფორმების გამოყენებით და რომლებსაც ჰყავთ სოლიდური მფარველები.

1995 წელს გამოვლენილი იყო ქრთამის ამბები (რისფორ-ს სსკ-ს 173-ე მუხლი) სულ 1364 პირი. მათგან მხოლოდ 255-ს, რომელთაც აღნიშნული ქმედება მაკვალიფიცირებელი გარემოების შემთხვევაში ჩაიდინეს ან საბაჟისმგებლო

თანამდებობრივი მდგომარეობა ეკავათ, ან ქრთამის სძალავდნენ, ან დიდი ოდენობით ქრთამი აიღეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, 2000 წელს რეგისტრირებულ იქნა მექრთამეობის მხოლოდ 46 ფაქტი, რომელთაგან სულ 6 გადაეცა სასამართლოს და მათგან ერთადერთზე იქნა გამოტანილი თავისუფლების აღკვეთის განაჩენი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში კორუფციული საქმიანობისთვის არც ერთი მაღალი ან თუნდაც საშუალო რანგის წინიონიკი არ დასჯილა, თუმცა არაერთი საერთაშორისო ექსპერტისა და დამოუკიდებელი ორგანიზაციის შეფასებით, საქართველო განსაკუთრებით კორუმპირებულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება.

კორუფციული დანაშაულობის დეტერმინაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგოული კანონშემოქმედების და სამართალდამცავი საქმიანობის არარსებობა. რუსეთში, 1993-1995 წლებში არაერთგზის იქნა მიღებული კანონები კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ისინი არ ამოქმედებულა.

უბრველეს ყოვლისა, საერთოდ, კორუფციასთან ბრძოლა დაიყვანებოდა ხმაამაღალ დამსჯელ ღონისძიებებამდე, რაც რეალურად გამოიხატებოდა მხოლოდ იმ პირების გამოვლენისა და დასჯის ღონისძიებების გააქტიურებაში, რომლებიც ქრთამს იღებდნენ მაღალი რანგის თანამდებობის პირებთან, მისვლელ მეწარმეებთან, ფართო კორუმპირებული კავშირების მქონე ორგანიზებულ დანაშაულებრივ ფორმირებებთან თანამონაწილეობის გარეშე. ამასთან, რაც განსაკუთრებით დაუშვებელია, სამართალდამცავი ორგანოები მიმართავდნენ ისეთ „გადაძვრულ ზომებს“, რომლებიც ხშირად კანონზე არ იყო დაფუძნებული. კანონების ოგნორირება და მათზე დამყარებული მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კომპრომიტირებას ახდენდა, რაც სასურველი იყო გარკვეულ პირთა ჯგუფისათვის. მეორე მხრივ, სასურველი არ იყო კორუფციასთან ბრძოლის ახალი კანონმდებლობის მიღება, რომელიც გაითვალისწინებდა საბაზრო ეკონომიკის რეალიებისა და საზღვარგარეთულ გამოცდილებას, აგრეთვე კორუფციული ქცევის ახალი ფორმებისათვის პასუხისმგებლობას. დაბოლოს, არ ხდებოდა ქმედითი ზომების მიღება ეკონომიკური მმართველობის და სხვა ურთიერთობების სამართლებრივი რეაგირების სფეროში.

სახელმწიფო ძალაუფლების ორგანოებში კორუფცია ვითარდებოდა მოხელეების უაღრესად დაბალი ოფიციალური ანაზღაურების, მისი არარეგულარულად გაცემის, სამეწარმეო საქმიანობაში არაკანონიერი მონაწილეობის, მოსამსახურეებისათვის დამატებითი შეღავათების გაწევის გაურკვეველ სამართლებრივ პირობებში.

4. განვიხილოთ კორუფციასთან ბრძოლის ზოგიერთი საკითხი:

როგორც ცნობილია, კორუფციასთან ბრძოლა უნდა პასუხობდეს დანაშაულობასთან ბრძოლის ყველა მოთხოვნას. ამიტომ, მოგვანია რომ, კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია უნდა ეფუძნებოდეს კორუფციისა და მისი მიზეზების ცვლილებების მუდმივ ანალიზს. კორუფციასთან ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა, მისი რეალური პრევენციის სისტემა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური ბირობების გათვალისწინებით უნდა ემყარებოდეს საზოგადოებრივი შემეცნებისა და სამართალდამცავი სისტემის მდგომარეობის ღრმა ცოდნას,

მთლიანობაში კორუფციასთან ბრძოლას საფუძვლად უნდა ედოს კანონი და არა კანონქვემდებარე აქტები, მოხელეთა ზოგიერთი უფლების კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები (შემოსავლების დეკლარაციის წარმოდგენა, შეთავსების შეზღუდვა და ა.შ.). დაბოლოს, მნიშვნელოვანია ანტიკორუფციული კანონმდებლობის განვითარების უზრუნველყოფა სამართლის სხვადასხვა დარგების საშუალებების კომპლექსური გამოყენებით.

თანამედროვე პირობებში აქტუალურია საქართველოში კორუფციასთან ბრძოლის მიზნობრივი ურთიერთდაკავშირებული პროგრამების დამუშავება, მათი მატერიალური, საკადრო და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა ქვეყნის ანტიკორუფციული პროგრამა, რომელშიც ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციის გზით კორუფციის დანაშაულებრივი გამოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია:

- კადრების სპეციალიზებული მომზადება, სამართალდამცავ ორგანოებში სპეციალიზებული ქვედანაყოფების გამოყოფა;
- სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტების, მოსახლეობის, თურიდიული ბიზნისის (მათ შორის ბანკების) დახმარების გამოყენება;
- მუშაობის შედეგების სისტემატური შემოწმება და მისაღები ღონისძიებების კორექტირება;
- ზემოქმედება კორუფციის მიზეზებისა და პირობებზე, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების ძირითადი მიმართულება;
- საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობებისათვის სოციალური საფუძვლის შექმნა, აგრეთვე კრიმინალური კაპიტალის გათეთრების, მისი გამრავლების აღკვეთა. კორუფციასთან ბრძოლის სპეციალურ ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანია:
- მოხელეებისათვის ისეთი ხელფასის დაწესება, რომელიც უზრუნველყოფს მათ და მათ ოჯახებს ცხოვრების ღირსეული დონით;
- კონტროლის გამკაცრება სახელმწიფო და მთელი რიგი სხვა კატეგორიების მოხელეების შემოსავლებზე და გასაველებზე; საკადრო პოლიტიკაზე, მათ შორის კადრების როტაციის გამოყენებაზე, მოხელეთა ოჯახების უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეჟიმზე და სხვ.
- სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნული პირებისათვის ძვირადღირებული სახელმწიფო ბნების, აგარაკების, კერძო საცხოვრებლის გარანტირებული, კანონით გათვალისწინებული პირობებით გამოყენების რეჟიმის შემოღება და სხვ.
- საქართველოს საბიუჯეტო სისტემიდან ყველა ანაზღაურების გაცემა კანონის საფუძველზე.

აღნიშნულის გარდა გასათვალისწინებელია, რომ სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობა ზედმიწევნით უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კანონის ფარგლებში და მის საფუძველზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით, სისხლის სამართლის ბასიუსისმგებლობის და სასჯელის ინდივიდუალიზაციით, სამართლებრივი საშუალებების

მთელი არსენალის გამოყენებით (სადისციპლინო, ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სამართლის).

კორუფციული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა მოიცავს კორუფციული სამართალდარღვევების შედეგად შეღავათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების აღდგენას, ზარალის ანაზღაურებას, საზოგადოებრივი ურთიერთობების აღდგენას, დამყარებულ კანონიერ საფუძველზე და არა კორუფციულ ურთიერთობებზე.

უაღრესად მნიშვნელოვანია ურთიერთდაკავშირებული ბრძოლის წარმოება ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან, რადგანაც ორგანიზებული დანაშაულობა ახორციელებს მოხელეების მასშტაბურ მოსყიდვას მუდმივ ან არარეგულარულ საფუძველზე.

არსებული საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობების ქვეყნებში, სადაც საქონელწარმოება ასწლეულების მანძილზე ბატონობს, მუდმივად ხდება ამ მიმართულებით სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ამასთანავე ხორციელდება სასჯელის აუცილებელი გამკაცრება, დამატებითი ოპერატიული-სამძებრო, სისხლის სამართლის, პროცესუალური, საკონტროლო ფინანსური და სხვა ზომების მიღება კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის გამოსავლენად.

საქართველოს პარლამენტმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში კორუფციის წინააღმდეგ მიმართული პროცესების ხელშეწყობისათვის შექმნა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის მიიღო ისეთი საკანონმდებლო აქტები, როგორცაა: „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებითაც განისაზღვრა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებები. აქ მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტები:

- 1 მოქალაქეებს (გადასახადების გადახდელებს) აქვთ თავიანთი ფუნქციებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების უფლება. მოცემული უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა იმ წესების დაცვა, რომლის შესაბამისად მოხელეებს ეკრძალებათ მიიღონ მატერიალური ან ნებისმიერი სხვა შეღავათები და უპირატესობანი, გარდა კანონით გათვალისწინებული და კანონიერი წესით დადგენილისა.
- 2 რამდენადაც კორუფცია, როგორც წესი, წარმოადგენს ორმხრივ გაროებას, მის გამოაშკარაებაში არაა დაინტერესებული არც ერთი მხარე. ამიტომ შესაბამისი დანაშაულის გამოვლენა არსებით სიროთლეს წარმოადგენს. აქ მთავარია მოხელეთა შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი.
- 3 კორუფციის ფართოდ გავრცელება და მისი გამოვლენის მრავალფეროვნება არის მრავალმხრივი სამართლებრივი საშუალებების სისტემების გამოყენების საფუძველი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან მნიშვნელოვანია სადისციპლინო, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის ზომების მიღება რიგი ფაქტების გამოვლენისას.
- 4 კანონმდებლობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არეგულირებს საკითხების ფართო წრეს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო სამსახურთან, მათ შორის სახელმწიფო მოხელეების უფლებებსა და მოვალეობებთან. კორუფციული სამართალდარღვევების სუბიექტი შეიძლება იყოს თანამდებობის პირი,

რომელსაც უკავია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მდგომარეობა, ნაფიცო და სახალხო მსაჯულები, მთელი რიგი სხვა პირები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო ფუნქციების შესრულების რწმუნებულებანი (კერძო ნოტარიუსები, აუდიტორები და სხვ.);

5 კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობა, სადაც გათვალისწინებულია მოსყიდველისა და მოსყიდულის (ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების) პასუხისმგებლობა მოსყიდვას ფიზიკურ და იურიდიულ პირებისადმი.

ჩვენი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი ფუნდამენტური ნოვაციების გარეშე კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ არსებულ ღონისძიებებს შეიძლება მხოლოდ ლოკალური წარმატება ჰქონდეს.

§3. ადამიანის მოტაცება საქართველოში

დანაშაული (ადამიანის მოტაცება), რომლის განხილვასაც ვაპირებთ ჩვეულებრივ, როგორც დანაშაულთა კატეგორიას არ განეკუთვნება. ოცი თავისი არსით, გავრცელების მასშტაბით, შესრულების სისასტიკით, ამოუცნობი შედეგითა და აქედან გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხით ბევრად აღემატება როგორც დანაშაულებს და ამდენად განსაკუთრებულ ადგილს იკავებებს თანამედროვე დანაშაულებრივ სისტემაში.

ადამიანის მოტაცების, როგორც დანაშაულის წარმოშობის, ასევე მისი დანაშაულებრივი ევოლუციის გზით ჩამოყალიბების შესახებ სრული ინფორმაციის მოწოდების მიზნით საჭიროა მოკლე ისტორიული ექსკურსის გაკეთება.

დანაშაულის ეს სახე უხსოვარი დროიდანაა ცნობილი სხვა დანაშაულთა მსგავსად ადამიანის მოტაცებას თავიდან პრიმიტიული სახე და მიზანი ჰქონდა, მაგრამ წლების მანძილზე, დანაშაულებრივი ევოლუციის შედეგად თანდათან ერთ-ერთ მეტად საშიშ და საკმაოდ გავრცელებულ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩამოყალიბდა.

ადამიანის მოტაცების ფაქტებს მრავლად ვხვდებით ძველი საბერძნეთისა და სხვა ანტიკური ქვეყნების მითებში, ლეგენდებში და სამართლებრივ ძეგლებში. ანტიკური პერიოდის მითების მიხედვით, პოსეიდონს ატლასის მშვენიერი ასული ნერეა, ხოლო ზევსის სიდონის მეფის ქალიშვილი ევროპა მოუტაცია... ბიბლიაც არ არის ამ დანაშაულის მიმართ გულგრილი. „ის, ვინც ადამიანს მოიტაცებს და გაყიდის, სიკვდილით დაისჯება“, - აცხადებს ოცი.

ადამიანის მოტაცებას ძველი რომის სამართალი თავისუფლების უკანონო აღკვეთად მიიჩნევდა. სწორედ რომის სამართალმა შემოგვინახა საინტერესო ცნობა ამ დანაშაულის ანგარების მიზნით ჩადენის შესახებ: 1192 წელს ავსტრიის იმპერატორმა ჰენრიხ VI-მ, მესამე ჯვაროსნული ომიდან მომავალი ინგლისის მეფე რიჩარდ პირველი (ლომგული) დაატყვევა და მის გასათავისუფლებლად ინგლისისგან 150.000 მარკა მოითხოვა. თავისი ინგლისელი კოლეგა ჰენრიხ VI-მ მხოლოდ 1194 წელს გაათავისუფლა, როცა ინგლისელებისგან გამოსასყიდი თანხა მიიღო.

ადამიანთა მოტაცების ფაქტები ხშირად მოიხსენიებოდა „ქართლის ცხოვრებაში“, „მატიანესა“ და ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში ამ საშინელმა სენმა სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ერიც დააზარალა. ჩვენთან ფართოდ იყო

ქართული ეკლესიის უკანონო აღიარება და მისი აღდგენის მიზანმიმართული მოქმედებების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ.

აღიარების მოტივების დასაბუთებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ, ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ.

რაც სავსებით ადამიანობის საფუძვლებზეა დაყრდნობილი და ამიტომ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ, ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ. ამის შესახებ იხილეთ ქართული ეკლესიის უკანონო აღიარების შესახებ.

ამასთანავე, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ამ დანაშაულის (ადამიანის მოტაცების) თანამედროვე დონეზე, აუცილებელია დავადგინოთ თუ როგორ აისახა იგი საქართველოს განმარტების დროს.

საქართველოს განმარტების დროს, თავისი არსებობის ყველა ეტაპზე ადამიანის მოტაცების მიმე დანაშაულად მიიჩნედა და მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. პირველ ყოვლისა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ დანაშაულის ჩადენისას, დამნაშავეთა მიერ უხეშად ირღვეოდა ადამიანთა (ამ შემთხვევაში საქართველოს მცხოვრებთა) კონსტიტუციური უფლებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ახალი კონსტიტუცია (იხ. მე-2 თავი) ადამიანთა უფლებების და თავისუფლების დამნაშავეთა ხელყოფისაგან დაცვის გარანტიად მოგვეყვინა კონსტიტუციის დებულებები სრულად აისახა სისხლის სამართლის ახალ კოდექსში, სადაც ადამიანის მოტაცება სამი მუხლითაა წარმოდგენილი (143-ე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა, 144-ე - მძევლად ხელში ჩაგდება და 329-ე - ფივე ქმედება ტერორიზმის მიზნით).⁷ იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა შეგვექმნას ამ დანაშაულის არსზე და ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სამი თითქმის ანალოგიური ხასიათის მუხლი, საჭიროდ მიგვაჩნია თითოეული მათგანის მოკლე საგნობრივი განხილვა.

1 თავისუფლების უკანონო აღკვეთა (საქ. სსკ 143-ე მუხლი)

აღნიშნული მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილით დანაშაულად მჩნეულად თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან რვა წლამდე.

მეორე ნაწილი ითვალისწინებს ქმედობას თუ იგი ჩადენილია: ა) წინასწარი შეთანხმებით ვგუფის მიერ; ბ) არაერთგზის; გ) ორი ან მეტი პირის მიმართ; დ)

დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; ე) დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ; ვ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული მძარტ; ზ) სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის შექარით, - რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე.

მესამე ნაწილში ხაზს გაესმის განსახილველი მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობის ჩადენას: ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ბ) რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

2. მძევლად ხელში ჩაგდება
(საქ. სსკ 144-ე მუხლი)

ეს მუხლიც, ისევე როგორც 143-ე მუხლი, სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი დანაშაულად მიიჩნევს მძევლად ხელში ჩაგდებას იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

მეორე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებებზე გათვალისწინებულია 143-ე მუხლის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი და დამატებით კიდევ ორი პუნქტი (3-ანგარებით და ერთ-შვიდ დღეზე მეტი ხნით), - რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

მესამე ნაწილი ანალოგიურია იმავე 143-ე მუხლის მესამე ნაწილისა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თერამეტ წლამდე.

3. მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით
(სსკ 329-ე მუხლი)

ეს მუხლიც, როგორც წინა ორი მუხლი, სამი ნაწილისაგან შედგება. აღნიშნული მუხლის დისპოზიცია თითქმის ემთხვევა 144-ე მუხლს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ 329-ე მუხლში მითითებულია დანაშაულის ჩადენის მიზანი (ტერორისტული) და ამავდროულად საუბარია მძევლის გათავისუფლების პირობით სახელმწიფო ხელისუფლების ან რელიგიური ორგანიზაციის იძულებაზე.

პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცამეტ წლამდე.

მეორე ნაწილით გათვალისწინებულია ისეთივე დამამძიმებელი გარემოებები, რომლებსაც 143-ე და 144-ე მუხლებში ვხვდებით (ბ პუნქტი - ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ და დ პუნქტი - არაერთგზის). ამავდროულად, აქ ჩამოთვლილია ისეთი ქმედებები, რომლებიც ზემოხსენებულ მუხლებში არ არის (ა პუნქტი - საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის მიმართ და ე პუნქტი - ტერორისტული

ორგანიზაციის მიერ), რაც იხილება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე.

ასეთია, ძირითადად, ჩვენს მიერ განხილული მუხლების აღწერილობითი მონაცემები, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ადამიანის მოტაცებაზე.

ახლა, ამ მონაცემების გამოყენებით, უფრო დეტალურად განვიხილოთ აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა და მასთან საგნობრივ კავშირში მყოფი ასპექტები.

ადამიანის მოტაცება, როგორც დანაშაულებრივი ქმედება, ორ ძირითად ელემენტს: მოტაცებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას აერთიანებს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. (მოტაცება ოგევე თავისუფლების უკანონო აღკვეთას ნიშნავს). აღნიშნული ელემენტები გვხვდება სამივე ჩვენს მიერ განხილულ მუხლში ასევე, ერთნაირია ამ დანაშაულის განხორციელების მეთოდიც: ოგი ხორციელდება როგორც ღიად, ასევე ფარულად, ან მოტყუებით, ან ხელში ჩაგდებათ. შეიძლება სხვა მეთოდც იქნეს გამოყენებული იმისთვის, რომ დადგინდეს ამ სახის დანაშაული, ყველა შემთხვევაში საჭიროა თვით მოტაცების ფაქტის არსებობის დადგენა.

დანაშაულის ობიექტად სამივე შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ ადამიანის კონსტიტუციური უფლება, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოება. გარდა ამისა შეიძლება გამოვყოთ ფაქულტატური ობიექტი - სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც შეიძლება დაემუქროს ზიანის მიყენების საშიშროება (143-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა და მე-3 ნაწილის ბ პუნქტები; 144-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ოგევე პუნქტები და 329-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

დაზარალებული, როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთის, ასევე მისი მძევლად აყვანის შემთხვევაში, შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც შეუძლია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით აღიქვას თავისი სოციალური მდგომარეობა, მოქალაქეობა, სხვა ნებისმიერი ნიშანი და ზარისხი, რომლებითაც ხდება ადამიანის დაზარალება.

ობიექტური თვალსაზრისით განსაზღვრული დანაშაული გამოიხატება დაზარალებულის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში (მძევლად ხელში ჩაგდებაში), რაც დაზარალებულის გადაადგილებაზე წინააღმდეგობის გაწევას და ადამიანის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ მოქმედებათა განხორციელებას ნიშნავს.

143-ე მუხლი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) 144-ე და 329-ე მუხლებისგან იმით განსხვავდება, რომ მისთვის არ არის დამახასიათებელი მესამე პირზე ზემოქმედების მიზანი, რაც გულისხმობს მათ მიერ განსაზღვრული მოქმედების შესრულება-არშესრულებას.

მძევლის ხელში ჩაგდებისას ბრალდებულს ანტიტერესებს არა იმდენად მძევლის ბარონება (როგორც ეს ხდება აქვს თავისუფლების უკანონო აღკვეთისას), არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობა ადრესატზე ზემოქმედებისათვის (ზეწოლისათვის). მძევლად ხელში ჩაგდებისას ბრალდებულებს არა აქვთ პირადი პრეტენზიები მძევლისადმი თავისუფლების უკანონო აღკვეთისას ბრალდებულები, პირიქით, დანტიტერესებულები არიან დაზარალებულთა ბედით (მაგალითად, სისხლის ამოღებით ან კონკურენტის ჩამოცილებით). თავისუფლების უკანონო აღკვეთისას ბრალდებულები ცდილობენ თავი

დააღწიონ მათი საქმიანობის საჯარო გახმაურებას, დაინტერესებულ პირთა ინფორმირება ხდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. მძევალთა ხელში ჩაგდებასა კი პირიქით, ბრალდებულები ცდილობენ გაამჟღავნონ თავიანთი მიზნები, რათა ამით ზეწოლის ბერკეტები გააძლიერონ. მძევლის ხელში ჩაგდებასა ბრალდებულები ხელმძღვანელობენ იმ ქვენაგრძობებით, რომლებიც გამომდინარეობენ სპეციალური მიზნიდან - მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი (144-ე მუხლი), სახელმწიფო ხელისუფლება ანდა საერთაშორისო, ან რელიგიური ორგანიზაცია (329-ე მუხლი), შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

აღნიშნული დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში მდგომარეობს. ბრალდებულს (როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთისას, ასევე მძევლად ხელში ჩაგდებასა) შეგნებული აქვს, რომ ახორციელებს თავისუფლების უკანონო აღკვეთას დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ და სურს ჩაიდინოს ასეთი ქმედება. გარდა ამისა 329-ე მუხლი ითვალისწინებს ტერორისტული მიზნის შესრულებას.

დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. უფრო ხშირად ეს ანგარებაა. მაგალითად, გამოსასყიდის მიღება გატაცებულის ახლო ნათესავეებისგან; მოტაცებულის გაყიდვა დონორად მისი სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქიმიკატის ტრანსპლანტაციისათვის; რაც შეეხება ქალების მოტაცებას, ეს ხშირად ხდება სექსუალური ექსპლუატაციისათვის (საროსკიპობეში, გარყვნილების ბუნაგებში და ა.შ.).

ანგარების გარდა, ადამიანის მოტაცების მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, ხულონური ქვენაგრძობა, ბიზნესში კონკურენტის ჩამოშორება და ა.შ. მათი დადგენა შესაძლებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას.

143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი კერძო პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, ხოლო 144-ე და 329-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სუბიექტის პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან დგება.

უნდა აღინიშნოს, რომ 329-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იმის გამო, რომ ის ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 1979 წლის დეკემბერში თავისი სპეციალური საერთაშორისო კონვენციით საერთაშორისო დანაშაულად აღიარა.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დღეისათვის საქართველოში მთელი რიგი, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზების გამო (რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი), ადამიანის მოტაცებებთან დაკავშირებულ დანაშაულებს არა მარტო რაოდენობრივი ზრდა, არამედ დანაშაულებრივი ქმედებების სახეცვლილება და კრიმინალური სრულყოფა ახასიათებს, რის შედეგადაც მატულობს მათი საზოგადოებრივი საშიშროების დონე და ხარისხი. რაც ყველაზე უარესია, მათი ზუსტი რიცხვის დასახელება შეუძლებელია (ამაზე ქვემოთ). დაბეჯითებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ადამიანის მოტაცებების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ეს აღრიცხულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის მიერ.

საბამ ადინიშნული დანაშაულის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის კონკრეტულად გადართობით, საჭიროდ მიგვაჩნია სტატისტიკური მონაცემების ანალიტიკური განხილვა, რაც საშუალებას მოგვცემს წარმოვანიოთ ამ დანაშაულის გავრცელების დონე და მასთან ბრძოლის ხარისხი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იძულებული ვართ ვისარგებლოთ შსს საინფორმაციო ცენტრის თვითმართული მონაცემებით (ეს მონაცემები ამდროულად სახელმწიფო აღრიცხვის მონაცემებს წარმოადგენს), თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო ადინიშნულ მონაცემებს სრულყოფილად ვერ მივიჩნევთ:

- მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (მოტაცებულთა ახლობლები) მომტაცებელთა მოთხოვნების კატეგორიულობის, მოქმედებების საშიში ხასიათისა და ასევე შუქარის ასრულების შიშით მოტაცებულის ფაქტებს სამართალდამცავ ორგანოებს ხშირად არ ატყობინებენ და საექვო შუამავლების დახმარებით ცდილობენ საქმის მოგვარებას (პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთ შუამავლებად, ძირითადად, კრიმინალები გამოდებიან). მოვიყვანთ ერთ მაგალითს: 2001 წლის დეკემბერში საქართველოში იმ დროისათვის მოქმედმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის „მები ბალავაძეების“ წევრებმა გ. ბალავაძემ, მ. გუდავაძემ, დ. კინწურაშვილმა და ს. დიდიძემ ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში მოიტაცეს მოქალაქე გივი დეკანოიძე, რომელიც მარტვილის რაიონის სოფელ ლიხანდროვოში გადაბაღეს. 5 დღის განმავლობაში შუამავლის ე.წ. კანონიერი ქურდის მალხაზ მინდაძის საშუალებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მოტაცებულის ახლობლებსა და მომტაცებელთა შორის. მოტაცებული დეკანოიძე გაათავისუფლეს მხოლოდ მისი ახლობლების მიერ 7.000 დოლარის გადახდის შემდეგ. ეს ფაქტი მოტაცებულის ახლობლებს არ განუცხადებიათ პოლიციაში და მის შესახებ მხოლოდ დამნაშავეთა სხვა დანაშაულის ფაქტზე დაკავების საქმეზე აყვანის შემდეგ გახდა ცნობილი;
- ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი თანამშრომელი სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო, რაც ყველა შემთხვევაში ანგარებასთან არის დაკავშირებული, ადამიანის მოტაცების ფაქტს მალავს. ასეთ დროს ძინი (თანამშრომლები) დანაშაულებრივ კავშირში შედიან კრიმინალებთან, ზოგ შემთხვევაში შუამავლის როლისაც ასრულებენ. რა თქმა უნდა, ასეთი დანაშაულები სახელმწიფო აღრიცხვის გარეშე რჩება;
- სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელი თავისი სამოქმედო ტერიტორიის კრიმინოგენური მდგომარეობის შელამაზების მიზნით ორმაგ აღრიცხვიანობას აწარმოებს: ან საერთოდ მალავს ადამიანის მოტაცების კონკრეტულ ფაქტს, ან ამ დანაშაულს კვალიფიკაციას უცვლის, რის საფუძველსაც დანაშაულთა აღრიცხვის თანამედროვე სისტემა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის არასრულყოფილება აძლევს. საინფორმაციო ცენტრი თავის სააღრიცხვო დოკუმენტში თავისუფლების უკანონო აღკვეთას (სსკ 143-ე მუხლი) და მძევლად ხელში ჩაგდებას (სსკ 144-ე მუხლი) ერთ საერთო გრაფაში (რფთ მუ-მ) ათავსებს. ამ ვაერთიანებით, შეცდომაში შეჰყავს ყველა, ვინც დაინტერესებულია ამ დანაშაულით. საქმე მდგომარეობს შემდეგ ში: რატომღაც ახალ სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლში ხელოვნურადაა შეყვანილი ქორწინების მიზნით ქალის მოტაცება (ძველი სსკ 134-ე მუხლი), რომელიც

თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან და მძევლად ხელში ჩაგდებასთან არის გაოგივებული, რასაც თურქული ხასიათის შეცდომად მივიჩნევთ. უფრო ცუდია ის, რომ ეს, შეიძლება ითქვას, უნებლიე შეცდომა ზოგიერთების მიერ შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანის მოტაცების სტატისტიკის და მისი საზოგადოებრივი საშიშროების მიჩქვალვის მიზნით.

საინფორმაციო ცენტრის არსებული (არაზუსტი) მონაცემებისა და ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით შევეცდებით მოკლედ განვიხილოთ ადამიანის მოტაცების — სისხლის სამართლის დანაშაულის — პრაქტიკული მხარე, მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, კერძოდ, ბოლო ორი წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოვჩინოთ გარკვეული სურათი იმისა, თუ რა დონეზეა დღეისათვის ეს დანაშაული და რა მუშაობა მიძინარეობს მისი პროფილაქტიკის, გახსნისა და აღკვეთა-აცდლების მიზნით.

2000 წელს საქართველოში რეგისტრირებულია ადამიანის მოტაცების 32 ფაქტი, რომელთაგანაც გახსნილია 25 ანუ 78%. აქედან 9 დანაშაული, რომელთაგან ყველა გახსნილია, აღძრულია ქალის ცოლად შერთვის მიზნით მოტაცების ფაქტზე. ასე რომ, ფულის გამოძალვისათვის ადამიანის მოტაცების 23 რეგისტრირებული დანაშაულიდან გახსნილია 16 ანუ 69,5%. ვინაიდან ჩვენ ადამიანის მოტაცების სწორედ ეს სახეობა გვინტერესებს, ვიტყვით რომ ყველა გახსნილი დანაშაული ორგანიზებულ ხასიათს ატარებს, დაკავებულია 14 ჯგუფი, რომლებშიც 42 პირი მონაწილეობდა. 23 მოტაცებულიდან გათავისუფლდა 16.

2001 წლის მონაცემები ასეთია: სულ რეგისტრირებულია 41 ფაქტი, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 9 ერთეულით ანუ 21,9%-ითაა გაზრდილი. 41 დანაშაულიდან, გახსნილია 33 ანუ 80%. საერთო რიცხობრივი მაჩვენებლის თითქმის ნახევარი ქალების ცოლად შერთვის მიზნით მოტაცებაზე მოდის, ყველა ეს დანაშაული გახსნილია. მეორე შემთხვევაში (ფულის გამოძალვის მიზნით 23 რეგისტრირებული დანაშაულიდან 15-ის ანუ 65,2%-ის გახსნა მოხერხდა). დაკავებულია 11 ჯგუფი 39 პირის შემადგენლობით, გათავისუფლებულია 13 მოტაცებული პირი.

2002 წელს ქვეყანაში თავისუფლების უკანონო აღკვეთის 50 ფაქტია რეგისტრირებული, ანუ 9 ერთეულით მეტი, რაც დაფიქსირებული იყო წინა წლებში, ქალის ცოლად შერთვის მიზნით მოტაცების ყველა ფაქტი გახსნილია. 28 დანაშაული ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანთა მოტაცების ფაქტებზეა აღძრული, რომელთაგან გახსნილია 20 ანუ 71,4%. როგორც ხედავთ სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით დანაშაულის მკვეთრი ზრდა შემჩნევა.¹

1992—2002 წლებში ქვეყანაში ადამიანთა მოტაცების რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულების სტატისტიკური მონაცემები შემდგენარად გამოიყურება

წლები	რეგისტრირებულია	გახსნილია	გახსნის %	+	-
1992	37	22	59,5%		
1993	89	25	28,1%	52	-
1994	43	29	67,4%	-	46

1995	59	37	62,7%	22	-
1996	74	50	67,6%	24	-
1997	61	53	86,9%	-	13
1998	29	26	86,7%	-	32
1999	29	23	79,3%	-	-
2000	32	25	78,1%	3	-
2001	23	16	69,5%	-	9
2002	28	20	71,4%	5	-
სულ	504	326	64,4%		

განსაკუთრებულად დაზიანებული რეგიონებია: ქ. თბილისი (დაფიქსირებულია 133 ფაქტი გახსნილია 105 ანუ 78,9%); კახეთი (58 შემთხვევიდან გაიხსნა 39 ანუ 67,2%); იმერეთი (86-დან გაიხსნა 59 ანუ 68,6%); ქვემო ქართლი (51-დან 24 ანუ 47,1%); სამეგრელო (58-დან 70,7%); გურია (23-დან 11 ანუ 47,8%).

კონკრეტული საქმეების ანალიზიდან გამომდინარე, სახეზეა ადამიანის მოტაცებების რაოდენობრივი ზრდის ტენდენციები, პროფილაქტიკური მუშაობის არაადაქმნაყოფილებული ძალზე დაბალი დონე და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დაბალი ოპერატიული ხარისხი განაპირობებს ადამიანთა მოტაცების თანდათანობით ორგანიზებულ დანაშაულში გადაზრდას. ბოლო წლებში თითქმის აღარ გვხვდება ერთი დამნაშაეის მიერ ადამიანის მოტაცების ფაქტი, ოგი საერთო დანაშაულის 2%-საც არ შეადგენს). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხდება დამნაშაე კონტინენტის მყარ ორგანიზებულ დამნაშაე ჯგუფებად ჩამოყალიბება.

ამავედროულად, თუკი დამნაშაე ჯგუფების შემადგენლობა, როგორც წესი, 2-3 დამნაშაეიგან შედგება, ორგანიზებული დამნაშაე ჯგუფები თავის რიგებში 15-20 და ზოგჯერ მეტ პროფესიონალ დამნაშაეის აერთიანებენ. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საზოგადოებას ყველაზე მეტ საშიშროებას სწორედ ორგანიზებული დამნაშაე ჯგუფები უქმნიან.

ორგანიზებულ დამნაშაე ჯგუფებში ძირითადად ერთიანდებიან მაღალი დანაშაულებრივი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი დამნაშაეები. ისინი აღჭურვილნი არიან თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, სწრაფმავალი ტრანსპორტითა და შეიარაღებით, რომლებსაც ფართოდ იყენებენ დანაშაულის მომზადებისა და ჩატარების დროს. ორგანიზებული დამნაშაე ჯგუფის ტიპური მაგალითია ჩვენს მიერ ახლახან ლიკვიდირებული კარგად თანამედროვე დონეზე ორგანიზებული ძმები ბაღაჯაძეების ჯგუფი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროს პროფესიონალი დამნაშაეები სხვა დანაშაულობებთან შედარებით უპირატესობას ადამიანის მოტაცებას ანიჭებენ, რადგანაც მასში დიდი რაოდენობით ფულის მოხვეჭის შესაძლებლობას ხედავენ. სწორედ ამიტომ გაიზარდა ორგანიზებულმა ჯგუფებმა ადამიანის მოტაცება თავიანთ ძირითად სპეციალობად. პროფესიონალი დამნაშაეების „დამსახურებად“ უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ მათ მიერ განხორციელებული ადამიანის მოტაცებები კრიმინალურად სრულყოფილია და განსაკუთრებული სისასტიკით და დაუნდობლობით გამოირჩევა. დაფიქსირებულია მოტაცებისას

დაზარალებულის მკვლელობა და მისთვის მძიმე დაზიანების მიყენების ფაქტები. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ დღითიდღე იზრდება კრიმინალების მიერ მოტაცებულების გასათავისუფლებლად გამოძალული თანხების რაოდენობა. დღეს კრიმინალების თავგებობას ზღვარი არ აქვს, იტაცებენ ყველას, ვინც უნდათ და საიდანაც უნდათ: პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის მოქალაქეებს. არ ერიდებიან პოლიციის თანამშრომლებსაც კი. მოვყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- 2000 წლის 4 აგვისტოს გულრიფშის რაიონში მოიტაცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლები;
- ამავე დღეს პანკისის ხეობაში მოიტაცეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წევრები: საფრანგეთის მოქალაქე სოფია პროკოფიევა და რუსეთის მოქალაქე ნატალია ზაუდინა;
- 2000 წლის 6 სექტემბერს ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტთან მოიტაცეს ამავე რაიონის პოლიციის უფროსი ბ. ტაბატაძე;
- 2000 წლის 23 სექტემბერს პანკისის ხეობაში სადარაჯოდან იარაღით მოიტაცეს ახმეტის პოლიციის თანამშრომელი გ. კულადაშვილი;
- 2000 წლის 30 ნოემბერს ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის გადასახვევთან მოიტაცეს ესპანეთის მოქალაქეები ანტონიო ტრელინიო და ფრანჩესკო როდრიგესი;
- 2001 წლის 7 მაისს 23 საათზე ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან მოიტაცეს საქართველოს პარლამენტის წევრი პეტრე ცისკარიშვილი;
- 2001 წლის 23 მაისს ქ. თბილისში მოიტაცეს ცნობილი ქართველი ფეხბურთელის — კახა კალაძის ძმა ლევან კალაძე;
- 2001 წლის 7 ივნისს ქ. თბილისში მოიტაცეს შპს „აგროტექნიკის“ თანამშრომელი, ლიბანის მოქალაქე შერბილ შუშარ თენი;
- ქართველი კრიმინალები საერთაშორისო ასპარეზზეც გავიდნენ. 2001 წლის 26 აპრილს ესპანეთში, სოფ. ბართლომეოში მოიტაცეს გურჯაანელი გიორგი ზარდაშვილი.³

მოქალაქეთა დაუცველობაზე კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩამოთვლილი ფაქტებიც საკმარისია, რომ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ამ მიმართულებით არსებულ კრიმინოგენურ მდგომარეობაზე. მაგრამ დავეშვათ იმასაც, რომ მოქალაქეები ყოველთვის გულხელდაკრეფილი არ ხვდებიან მომტაცებლებს. დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა ისინი წინააღმდეგობას უწევენ მოძალადეებს. ასე მაგალითად, 2001 წლის 20 მარტს გლდანის მასივში მოქალაქე მარლენ ჟორჟოლაძემ მოკლა როლანდ ფუზუაშვილი და ვასილ პერკვილაძე, როცა ისინი მის მოტაცებას აპირებდნენ.

მოქალაქეების მიერ ბოროტმოქმედთა მიმართ გაწეული წინააღმდეგობები სამწუხაროდ იშვიათობას წარმოადგენს. გაცილებით ხშირია ფაქტები, როცა ადამიანის მოტაცება დაზარალებულის სიცოცხლეს ემუქრება. კრიმინალები არამცთუ თავიანთ მისხვერპლს ერიდებიან, არამედ საფრთხეს უქმნიან შემთხვევით გამვლელებსაც. მსგავსი გატაცებები ხშირად განგსტერულ ხასიათს ატარებს. მიმდინარე წლის 18 ივნისს

სადავოს 7 საათზე პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა შეიღმა შეიარაღებულმა ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა იოსებიძის ქუჩიდან მრავალრიცხოვანი მოქალაქეებისა და შემთხვევის ადგილზე მოსული პოლიციელების თვალწინ დიდი ბრიტანეთის მოქალაქე, „აგრობიზნესბანკის“ დირექტორი პიტერ შოუ მოიტაცეს. აღსანიშნავია, რომ ბოროტმოქმედები პოლიციის თანამშრომლებს არ დაემორჩილნენ, მათი მისამართით ავტომატებიდან ცეცხლი გახსნეს და მიიძალნენ.

ხშირად, სისხლის სამართლის სხვა დანაშაულები ადგილზე შექმნილი სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება ადამიანთა მძევლად აყვანის საბაბი. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის 18 ივნისს, სადავოს 7 საათზე ბოროტმოქმედმა ლუხუშ ჯახაიაძე, რომელიც „ტ-ს“ სისტემის პისტოლეტითა და ხელყუმბარით იყო შეიარაღებული, ყაჩაღური თავდასხმა მოახდინა რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ოქროს ბირჟა „საფირონის“ დარბაზში, საიდანაც დიდძალი ოქროსურობა წაიღო. მანვე, შემთხვევის ადგილზე მოსული პოლიციის თანამშრომლებიდან თავის დაღწევის მიზნით, იარაღის მუქარით იქვე ოთხი მოქალაქე აიყვანა მძევლად. პოლიციასთან ყოველნაირ გარეუბაზე ჯახაიაძე უარი განაცხადა. ოცი მძევლების ფიზიკური განადგურებით იმუქრებოდა. შექმნილი გამოუვალი მდგომარეობის გამო ოცი მეორე დღეს, 19 ივნისს ოპერმუშაკების მიერ იქნა ლიკვიდირებული.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ანალოგიურ, განსაკუთრებული თავგედობითა და სისასტიკით გამოჩნულ დანაშაულებს სწრაფად ფიქიკურად გაუწონასწორებელი პირები მეტწილად ნარკომანები ან ანადამიანთა შოტაცებისათვის პასუხისმგებლობაში მიცემულ დანაშაულებათა სამედიცინო შემოწმებები შემოწმებულთა 75%-ზე მეტი ნარკომანია.

ადამიანის მოტაცების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას, ჩვენი აზრით, ხელს უშლის ამ დანაშაულის ხელშემწყობი მთელი რიგი მიზეზებისა და პირობების არსებობა, რომელთა დასახელებიდან რატომღაც ბევრი თავს იკავებს, არადა უკვე დროა ხმაელადა გაეცხადდეს ამ რეალურად არსებული მიზეზებისა და პირობების, მათი აღკვეთა-აცილებისა და აღმოფხვრის მიზნით სათანადო ზომების გატარების შესახებ.

1. დანაშაულის (ამ შემთხვევაში ადამიანის მოტაცების) ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას მიზეზად ბოლო წლებში ჩვენს ქვეყანაში მომხდარ გარდაქმნებისა და აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელ შეცდომებს მივიჩნევთ, რასაც საზოგადოების ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად (ძალიან მდიდრებად და ძალიან ღარიბებად) დაყოფა მოჰყვა თან. ამით უნდა აიხსნას ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და კრიმინოგენური სიტუაციის მკვეთრი გართულება:

2. საჭიროა აღინიშნოს, რომ დანაშაული (მათ შორის ადამიანის მოტაცება) არა კლასობრივად, პოლიტიკური ან იდეოლოგიური, არამედ საზოგადოებრივი პრობლემაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო დროს მას პოლიტიკური შეფერილობა მიეცა. უფრო მეტიც, ოცი პოლიტიკური სპეკულაციის საგანი გახდა. ადამიანის მოტაცება პოლიტიკური და კანონსაწინააღმდეგო მანიპულაციის შედეგად ბინძურ ბიზნესად იქცა, რომელშიაც თავიანთი ინტერესები აქვთ არა მარტო კრიმინალებს, არამედ ხელისუფლებაში „შემთხვევით“ მოხვედრილ რიგ ხელმძღვანელ პირებს, დიდ

ბიზნისმენებსა და სამართალდამცავი ორგანოების არაკეთილსინდისიერ თანამშრომლებს;

3. ადამიანის მოტაცების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოებას, ჩვენი აზრით, ხელს უშლის არამიზანმიმართული და არასრულყოფილი კანონმდებლობა. კერძოდ, გაუმართლებლად მიგვაჩნია საქართველოს ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლით (ქალის მოტაცება მასთან ქორწინების მიზნით) გათვალისწინებული დანაშაულის ახალი კოდექსის 143-ე მუხლში (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) შეტანა. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ორ სხვადასხვა სახისა და სიმძიმის ხარისხით განსხვავებულ დანაშაულთან. ასეთმა მანიპულაციამ, როგორც შემთხვევით არის აღნიშნული, უარყოფითი გავლენა იქონია ადამიანის გატაცების, როგორც საშიში დანაშაულის აღრიცხვანობაზე.

ასევე არამართლებულად მიგვაჩნია (ეს ჩვენი სუბიექტური აზრია) ახალ კოდექსში 143-ე და 144-ე (მძევლად ხელში ჩაგდება) მუხლების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა მაშინ, როცა ორივე მუხლი თავისი შინაარსითა და შემადგენლობით ერთმანეთის დაქვევებულია. ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ორი მუხლის ერთ მუხლში წარმოდგენა და „ადამიანის მოტაცების“ სახელწოდებით გაერთიანება. ორი თავისი შინაარსით უფრო ზუსტად ასახავს დანაშაულის საშიშობის დონეს;

4. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალიზმი, რომლითაც ჩვენი ხელისუფლება გამოირჩევა, უარყოფითად მოქმედებს აღნიშნული დანაშაულის პროფილაქტიკაზე, მის გახსნასა და გამომიყვანის ხარისხზე. ვფიქრობთ, საქართველოს კანონმდებლობა ადამიანის მოტაცების, როგორც დანაშაულის მიმართ უფრო ლმობიერია, ვიდრე ის ამას იმსახურებს. ამ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში სამართალდამცავ ორგანოებს ზშირად არასრულყოფილ კანონებზე დაყრდნობით უხდებოდათ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომიყვანო მოქმედებების გატარება, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის სიმკაცრე ჩამორჩება დანაშაულის ზრდის ტემპებს;

5. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ადამიანის მოტაცების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გატარებას სახელმწიფო სათანადო დონეზე ვერ ახორციელებს. სამწუხაროდ, ამ საკითხს მეცნიერი ოურიტებიც არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ქართულ ოურიტულ ლიტერატურაში არ არსებობს ამ კუხით სერიოზულად დამუშავებული მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი.

6. ადამიანის მოტაცების წინააღმდეგ საბრძოლველად საკმარისზე მეტი ძალები არსებობს, მაგრამ რატომღაც არ ხდება მათი ერთმანეთთან შერწყმა და საჭირო შემთხვევაში საერთო ღონისძიებების კომპლექსურად, მაღალ პროფესიულ დონეზე გატარება. უფრო მეტიც, არ გავგაჩნია ამის წინაპირობა – თეორიული ბაზა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის სპეციალურ ოურიტულ ლიტერატურას და დირექტორულ დოკუმენტებს ვეყრდნობით. ახლად მიღებულ ბრძანებებსა და დებულებებში კი არ ასახულია საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ხალხის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული დონე, იძულებითი მიგრაციის პროცესი და ჩვენი ერის სხვა დამახასიათებელი ნაციონალური თვისებები. აქაც იოლი გზით მიგვიღვართ, ვჯერდებით უცხოეთის საეჭვო ღირებულების დოკუმენტების გადმოქართულებას;

7. დაბადდ პროფესიულ დონეზეა დაყენებული სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მომზადების და სწავლების საკითხი. განსაკუთრებით პერიფერიებში ამახ ვამო არ ხდება ამ პირთა შესწავლა-დამუშავება, რომლებიც განაც მოსალოდნელია ადამიანის მოტაცება. უყურადღებოდ არის მიტოვებული კრიმინალური ელემენტების მფრაცის პროცესი ამ მიმართებით სრულიად უწყვეტყოფილია საზოგადოების შესაძლებლობების გამოყენება. არადა, საზოგადოებას ბევრი რამ შეუძლია. საკმარისაა გავხსენოთ 1979 წლის შემოდგომა, როცა დაუდგენელმა პირებმა ქ. თბილისში მერე კლასის მოსწავლე მოიტაცეს. პირდაპირ ეტყვიან, ეს დანაშაული ხალხის დიდი დახმარებით და საერთო ძალისხმევით ოპერატიულად „ცხელ კვალზე“ გახსნა. ამავდროულად დამნაშავეების ესე ხალხის რისხვა დაატყდა თავს, მაშინ მასმედიაც ჩვენთან იყო. საზოგადოებამ დაუსო ადამიანის მოტაცება. ქვეყანაში სპონტანურად დაიწყო მოსახლეობის მიერ ყრალობების გაპართა. პრესის ფურცლებზე გაჩნდა სტატიები, რომელთა სათაურებს უბრალო ჩამოთვლაც საკმარისაა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა გვერდით მოსახლეობის აქტიური თანადგომის ხაზგასასქლად: „კაკებთის ზარები“, რისხვით შემართული მუშტი“, „ტაღდა, შექდგარა ყალყზე“ და ა.შ. საზოგადოების ძალისხმევამ საქართ შედეგი გამოიღო: ამ დროიდან მყოფლებული მთელი 12 წლის განმავლობაში საქართველოში ბავშვის ვატაცება აღარ მოხდარა. დღეს რომ სოციალურად დაბეჭებული მოსახლეობა ადამიანის მოტაცების მძართ ინფეგრეტული გახდა, ხელისუფლებასთან ერთად სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელობის ბრალიცაა:

8. მაშინ, როდესაც კრიმინალუბა თავანთ დანაშაულებრივი საქმიანობის მყოფებისა და ტყუნივის ხეყნი და ბრალდებან, უფრო მეტიც უშიშროების სასამართლისთვის ეს ქმნან, აღათ ვან ემართებათ მათ ამ საქმეში?

- ყოფილა სამართალდამცავი ორგანოების ეს პროდესიონალი თანამშრომლები რომლებსაც სახელმწიფომ მთუხინა დოკლეჯარი დახმარება და შელაკიოების და უარი თევა მათა შეისაღესლოების გამოსეებაზე უარი უთმრა ვეყელას. მათ შორის ასათავ, კისავ დავი ოპერატიული გამოსედალება და მოწყვიების დიდი დიანა ზონა აქეს. ზოგაერთი მათგანს დღეს ორგანაზემულ დამნაშავეთა ჯგუფებში ასყარებს ქეთარ კონტრიდაქეორეთ რეკამს. ამორცალებამ ატენტურულ მუქათბას ჟამს ქებამს ოპერატიული აღნიღაქენითან ამოწმებს ხავეჯარ მართებს. რომლებსაც კონსისტლებს ქეჯარ კნართათ და ა.შ.

სამწუბართი, დღეს, ასევე მოეორე მათგანზე ავთ მსართელომას ორგანოებზე უკართ ასათი ზონა მოსელოსჯ დამაზოღებორეა ვაქნით აქეს კონსისტლებთან ხარკისათვის ორგანაზემული დანაზოღის. მათ შორის აღდამანის, ხოთბეების პოლხანავეათ, რომლის დროისაც ფართოდ გაჩიდეებნა დიონაზის კონრეკა და მწე, ასათსამსახრისდეო ქეჯარებია, რომლებსაც ქმნან მკლამორელების ჩრდლოებნ საოყევა ჟამს.

8. დამაშალომის, ხეოსარების განისაზღვრება მათზე აღიების დროკართიზონის დროთა და სოციალური კონტრიოდის ჩარხისხ მკლამისო. სამწუბართი, დღესათვის ხ ზოგადოებამ დამოკებაქიზიანის პროცესი რთულად ჩამოსარკობს. არის-ღულთ

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა მათი ერთ მთლიან მონოლითურ ძალად ჩამოყალიბების საშუალებას.

რაც შეეხება სოციალურ კონტროლს, ოგი თითქმის არ არსებობს ან მხოლოდ ახლად ჩასახვის დონეზეა. სამაგიეროდ, დანაშაულის ზრდას თან ახლავს დამნაშავეთა დასჯადობის უგულვებელყოფა. სხვანაირად არც შეიძლება შეფასდეს ის „დემოკრატიული შემწყნარებლობის“ პროცესი, რომელიც დღეს საქართველოში ლიბერალიზაციისა და ჰუმანიზმის ეგიდით მიმდინარეობს. ჩვენი აზრით, ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიზაციის პრინციპების დანერგვასთან (მხედველობაში მაქვს დამნაშავეთა მეტწილად გაუმართლებელი შემორიგებები, ამნისტიები და შეწყალებები). ეს ღონისძიებები თავისთავად ძალიან გამართლებულია, როცა მათ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და კრიზისოვანი სიტუაციის ანალიზი, ასევე კონკრეტული დამნაშავეს სრულყოფილად შესწავლა უდევს საფუძვლად. ჩვენ ამ ღონისძიებების წინააღმდეგები არ ვართ, მაგრამ ყველაფერს უნდა ჰქონდეს თავისი ზღვარი. დემოკრატიული ჰუმანიზმის პრინციპები უნდა ტარდებოდეს პატიოსანი ხალხის და არა იმ დამნაშავეების მიმართ, რომლებიც თავიანთი მოქმედებებით არ იმსახურებენ შეწყალებას.

მორბობაში, რომელშიც დღეს საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს, ამგვარი „დემოკრატიული ჰუმანიზმი“, რომელიც არ არის განმტკიცებული შემხვედრი პროფილაქტიკური ღონისძიებებით (მხედველობაში გვაქვს მათი სათანადო აღრიცხვაზე აყვანა, სამსახურით უზრუნველყოფა და ა.შ.), როგორც წესი, ზნერად ბუმერანგივით გეობრუნდება უკან. ყველაფრის პატიებას ანარქიამდე მივყავართ. ამავდროულად, წინააღმდეგი ვართ ორმხრივი მორალის (რომელმაც სამწუხაროდ ფართოდ გაიშვა ფსევდები ჩვენთან) — თავისუფლება ჩვენთვის და აუცილებლობა სხვებისათვის, რადგანაც ამაში კორუფციის შემდგომი განვითარების წინაპირობას ვხედავთ;

10. კვლავ დაუსჯელობის სინდრომი ვუბრუნდებით. მან მეტად უარყოფითი შედეგი გამოიღო. მოსახლეობის თვალში კრიმინალები რაღაც ზებუნებრივ ძალად წარმოაჩინა, რომლებსაც ყველაფერი შეუძლიათ და აკეთებენ კიდეც. ამ აზრის დამკვიდრება ბოლო დროს მასმედის ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლების მიერაც ხდება. პერიოდული პრესა გაივსო სტატიებით მოქმედი და ცხოვრებიდან წასული კრიმინალების „გაჟაქცურ“ შემართებებზე. ისინი (მასმედის არაკეთილსინდისიერი მსახურნი) აიდივლებენ ქურდულ ტრადიციებს და დითირამბებით ამკობენ ე.წ. „კანონიერი ქურდებს“, ამით პატიობენ ყველა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს, მათ შორის ადამიანის მოტაცებასაც. ბუნებრივია, ეს სტატიები შეკვეთით იწერება, მაგრამ თავის უარყოფით საქმეს წარმატებით ასრულებს. ხალხს არ სჯერა ხელისუფლების (რომ დამნაშავეებს დასჯის) და სამართალდამცავი ორგანოების (რომ დანაშაულს გახსნის), არც კრიმინალების მიმართ გააჩნიათ სიმპატიები, მაგრამ თავიანთი იდენტიფიკაციისთვის, ფაქტურად, მათ გვერდით დგებიან. მათ ამინებს კრიმინალთა თავხედობა და სიმკაცრე. ამიტომ იმ მოტაცებებზეც კი, რომლებიც დღისით მზისით, მრავალი თვითმხილველის წინ ხდება ერთ მოწმესაც ვერ ვბოულობთ. თუ გააკვირვართ და მოწმე ვიპოვეთ, მაშინაც არ ვართ დარწმუნებულები, რომ მოწმე ბოლომდე — სასამართლომდე მიყვება საქმეს. ეს იმის ბრალაა, რომ ჩვენთან არ არის მოგვარებული მოწმის დაცვის საკითხი (მის უსაფრთხოებაზე არავენაა პასუხისმგებელი).

კონვენცია კანონიერ ძალაში 2002 წელს უნდა შესულიყო, რაც ობიექტური მიზეზების გამო არ განხორციელებულა. საქართველოს უნდა მოეხდინა კონვენციის მოთხოვნებთან თავისი კანონმდებლობის პარამონიზაცია. ეს კი საკმაოდ რთული ამოცანაა. ოგი მოითხოვს სერიოზულ ცვლილებებს კანონმდებლობაში, აგრეთვე მთელი რიგი საორგანიზაციო და საკადრო ღონისძიებების გატარებას.

სახელმწიფომ კონსტიტუციური წესით მოახდინა პიროვნების უფლებების პრიმატის დეკლარირება, განსაკუთრებით თავისუფლების და სიცოცხლის უფლებისა, რომელიც არ შეიძლება დარღვეულ იქნეს სხვაგვარად, თუ არა უკანონოდ. პრიორიტეტების ამგვარი განლაგებით ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო ადამიანთა უფლებების და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა. დაცულ უნდა იქნეს ყოველი ადამიანი, რომელსაც უკანონო ექსპლუატაციას უწევს სქესის, ასაკისა და დანაშაულის ჩადენის ადგილის მიუხედავად.

მაგრამ ძირითადი კანონების სადეკლარაციო დებულებები პრაქტიკაში არ რეალიზდება, რადგანაც არ არსებობს ნორმატიული სისტემები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც მოახდენდნენ საქართველოში ადამიანების თრეფიქინგის თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებების რეგლამენტირებას.

თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის სტრუქტურის ანალიზი ადასტურებს, რომ მიმდინარეობს ამ კატეგორიის კრიმინალური საქმიანობის ინტენსიური განვითარება, ტრანსფორმირება და სრულყოფა. ოგი აღწევს საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ორგანიზაციები უფრო აქტიურად ამუშავებენ და მონოპოლიზაციას უქვემდებარებენ საქონლისა და მომსახურების ბაზრის იმ სფეროებს, რომლებსაც შეუძლიათ მცირე რისკისა და უმნიშვნელო კაპიტალდაბანდების ფასად მოიტანონ მაღალი შემოსავლები განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს ამ ტენდენციის რეალიზაცია ადამიანებთან მიმართებაში სამართალსაწინააღმდეგო გარეგნობების განხორციელებით მათი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით.

საკმაოდ უტყუარ მასალებზე დაფუძნებული შეფასებებით, კრიმინალური ორგანიზაციები წელიწადში ერთ მილიონამდე ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ ღარიბი ქვეყნებიდან უფრო მდიდარ ქვეყნებში.¹¹ სხვა მონაცემებით, თრეფიქინგის მსხვერპლი ყოველწლიურად ოთხ მილიონზე მეტი ადამიანია.¹²

ამასთანავე, ყველა ექსპერტი ერთსულოვანია იმაში, რომ უტყუარი სტატისტიკური მონაცემების მიუხედავად, მოცემული ფენომენი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს, მოიცავს ადამიანთა უზარმაზარ რიცხვს და ღებულობს უფრო მეტად ორგანიზებულ ფორმებს.

არალეგალური მიგრანტების გადაყვანა და მათი ექსპლუატაცია გადაიქცა გლობალურ ბიზნისად, რომელსაც ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატებისათვის უზარმაზარი შემოსავლები მოაქვს. საქმიანობის ამ სფეროში კრიმინალური სექტორის ყოველწლიური მსოფლიო შემოსავალი აღწევს 5-7, ხოლო სხვა წლებში - 9,5 მილიარდ დოლარს.¹² კრიმინალური საზოგადოებების სულ უფრო მეტი რაოდენობა გადადის ნარკოტიკებით ვაჭრობიდან ადამიანებით ვაჭრობაზე და მათ გადანაცვლებაზე მაღალი შემოსავლების, მცირე დანახარჯებისა და დასჯის მინიმალური რისკის გამო.¹³ როგორც წესი, ადამიანების ექსპლუატაციას აქვს

გრძელვადიანი ხასიათი და ნარკობიზნისგან განსხვავებით, არ არის დაკავშირებული დაშვადების, გადაბეჭდვების და ამოსავალი საქონლის რეალიზაციის მუდმივ აუცილებლობასთან. გარდა ამისა, მრავალ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანას საქმოდ ლიბერალური კანონმდებლობა აქვს. ეს ქვეყნები არ ატარებენ მკაცრ პოლიტიკას სექსუალური და პორნოგრაფიული ინდუსტრიის სფეროს დანაშაულებრივი ბიზნისის მიმართ, რადგანაც ამგვარი საქმიანობა არამორალური ხელის უწყობს შემოსავლების მატებას ეკონომიკის მრავალ სფეროში, ტურიზმის ზრდას და შედეგად, ბოუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გადიდებას. თავის მხრივ, ღარიბ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ თავისი მოქალაქეებისათვის ღირსეული არსებობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო პირობების გაბო მოსახლეობის მასიური ემიგრაციით გამოწვეული დემოგრაფიული პროცესების კონტროლირება, რასაც თან სდევს ადამიანთა ბაზრის გაჯერება მონებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მხედველობაში მიღებით, ადამიანებით ვაჭრობამ ფართო გავრცელება პპოვა და იქცა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის უფრო დინამიკურ მაღალშემოსავლიან და, ფაქტიურად, უსაფრთხო სახეობად მთელს მსოფლიოში.

1 ცნება. საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა მოსაზრება დომინირებს იმაზე თუ რა არის თრეფინგი — „ადამიანების კონტრაბანდა“ თუ „ადამიანებით ვაჭრობა.“ მიუხედავად ამისა, სპეციალისტები თანდათანობით მიდიან იმ საერთო მოსაზრებაზე, რომ ეს მოვლენა თავის თავში ორ აუცილებელ ელემენტს მოიცავს: ადამიანების შეკრებას და საზღვარზე გადაყვანას, და მათ კრიმინალურ ექსპლუატაციას (უკვე არსებულს ან პოტენციურად შესაძლებელს). სწორედ ეს კავშირი მოგრანტების საზღვარზე გადაყვანასა და გადაყვანის მიზანს შორის განასხვავებს ერთმანეთისაგან „ადამიანების კონტრაბანდისა“ და მათი „არაკანონიერი მოგრაფიის“ ცნებებს, რაც შესაძლებლობას ოძლევა კონტრაბანდა განვიხილოთ როგორც „თანამედროვე მონობის ნაირსახეობა“.⁵

როგორც დოკუმენტების ანალიზი მოწმობს, აქამდე არაა შემუშავებული ადეკვატური ტერმინი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა სრულყოფილად მოგვეცვა ადამიანების ტრანსნაციონალურ ყიდვა-გაყიდვასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სისტიმის ფუნქციონირების ყველა დეტალი და მაჩვენებელი. საქმე ის არის, რომ ამ მოვლენის ობიექტური გამოვლინებები მეტისმეტად ნაირგვარი და არ ექვემდებარება მარტივ სისტიმატიზაციას. ეს გამოვლინებები დროში გაწელილია და არ თავსდება ცალკეული სახელმწიფოს ან რეგიონის საზღვრებში. და მანც, ამ ქმედებებს გააჩნიათ მოტივაციის ერთიანი საფუძველი და შეუძლიათ გაერთიანდნენ უნივერსალურ დეფინიაციაში. ასეთ საფუძველს წარმოადგენს დანაშაულობის მოტივები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების სახელმწიფო საზღვრებზე გადაყვანასთან მათი (ან მათი ორგანოების) გაყიდვის, მისგერპლთა ფიზიკური თუ ფიზიოლოგიური შესაძლებლობების არაკანონიერი ექსპლუატაციისა და მატერიალური მოგების მიღების მიზნით. ჩვენი აზრით, სწორედ ეს მიზანია მოცემული სახის დანაშაულის ძირითადი მაკვალფიცირებელი ნიშანი.

ადამიანების ტრანსნაციონალური კრიმინალური ექსპლუატაციის რეალიზაციისათვის საჭიროა წინასწარ გატარდეს რიგი ღონისძიებები:

1. ამორჩეულ მსხვერპლთა შეკრება (რეკრუტირება);
2. მათი საზღვარზე გადაყვანა, ანუ დანიშნულების ადგილზე მიყვანა შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით;
3. შესაბამის ინფრასტრუქტურებში საექსპლუატაციოდ განთავსება.

სწორედ ეს ელემენტები უდევს საფუძვლად სხვადასხვა დეფინაციებს.

ასე მაგალითად, შააგის დეკლარაცია ქალებით ვაჭრობას განსაზღვრავს, როგორც „ამა თუ იმ ქმედებას, მიმართულს ქვეყნის ტერიტორიიდან ქალების ლეგალურად თუ არალეგალურად გაყვანისა და გადაყვანისკენ მათი შემოსავლიანი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით იძულების, შუქარის, თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან სხვაგვარი ზეწოლის გზით, რის შედეგადაც პიროვნებას სხვა არჩევანი არ რჩება გარდა იმისა, რომ დამორჩილდეს ამგვარ ზეწოლას და მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს მის მიმართ.“

მიგრაციის ორგანიზაციის საერთაშორისო ექსპერტებს (MOM) აქვთ რამდენიმე საგულისხმო მოსაზრება და თვლიან, რომ ადამიანებით ვაჭრობას ადგილი აქვს „ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში ან სხვა სახელმწიფოში გადაყვანილი ადამიანის (საქმეზე დაქირავებულის, მოტაცებულის, გაყიდულის და ა.შ.) უკანონოდ გაჩერების შემთხვევაში, რომლის დროსაც ამ ქმედებების ჩამდენი პირები ყველა ეტაპზე ღებულობენ ეკონომიკურ, ან სხვა შემოსავალს მოტყუების, იძულების ან ადამიანთა უფლებების შემლახავი ექსპლუატაციის სხვა ფორმების გამოყენების გზით.“ ამროგად, ექსპერტები უშვებენ, რომ ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაცია ყოველთვის არ არის დაკავშირებული საერთაშორისო საზღვრების გადალახვასთან, იგი შეიძლება განხორციელდეს ერთი სახელმწიფოს ადმინისტრაციული ტერიტორიის საზღვრებშიც (რაიონებში, ოლქებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში).

თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის სრულყოფის სპეციალურმა კომიტეტმა, ადამიანთა არალეგალური გადაყვანის პროფილაქტიკის, მისი აღკვეთისა და შესაბამისი სასჯელის შესახებ ოქმში დამოუკიდებელი განმარტებები მისცა ცნებებს: „არაკანონიერი გადაადგილება“ და „ექსპლუატაცია“ მიუთითა რა იმაზე, რომ ისინი დაკავშირებულნი არიან ერთიმეორესთან არაკანონიერი მიზნებით ან დანაშაულებრივი ორგანიზაციების ზრახვებით.“

ოქმის ტექსტში ჩართული იყო „არაკანონიერი გადაყვანის“ განსაზღვრება, რომელიც მოიცავდა იმ მეთოდებისა და ეტაპების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც აუცილებელია ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის განხორციელებისათვის, კერძოდ: „შეკრებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, გადამალვას შუქარის, მოტაცების, ძალის, მოტყუების, თაღლითობის ან იძულების გზით, ან არაკანონიერი ფულადი გადასახადების თუ შემოსავლების გადაცემით იმ პირისათვის, რომელსაც გააჩნია კონტროლი სხვა პირზე, რათა დაუმორჩილოს იგი ექსპლუატაციის ნებისმიერ ფორმას.“

ასეთი გადაყვანის კრიმინალურობის განსაზღვრისათვის აღნიშნულ დოკუმენტში ჩამოთვლილია ისეთი შესაძლო შედეგები, როგორცაა მაგალითად:

1. პიროვნების ყოველი ისეთი ბრძანებით, რომელიც სასაფრთხოების მუქარით აიძულებს შეასრულოს სამუშაო, რომელზედაც იგი ადრე არ თანხმდებოდა, ან შეთანხმების შესაბამისად გააწეონ გარკვეული მომსახურება საზღაურით თუ უმისოდ იმგვარად, რომ შეუძლებელი გახდეს წინასწარ შეთანხმებული ან არსებული პირობების შეცვლა;

2. პროსტიტუცია და ქალის ან ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმები თუნდაც მათი თანხმობის შემთხვევაში;

3. პროდუქციის ნებისმიერი სახეობა, რომელიც გრცელდება ან იმპორტირდება მისი ამჟამინდელი თუ მომავალი ფორმით და წარმოადგენს გრაფიკულ ან აუდიო-ვიზუალურ მასალებს, ფოტოსურათებს ქალების ან ბავშვების სექსუალურ ქცევაზე ან მათ გენიტალიაზე;

4. ტურისტული საქმიანობისა და მოგზაურობის გამოყენება სექს-ინდუსტრიაში ქალების ჩასათრევად;

5. ყოველნაირი ხერხით, სასყიდლოდ, უსასყიდლოდ ან გასამრჯელოს მიცემის პირობით, მუქარის ან ავტორიტეტის გამოყენებით თუ გამოუყენებლობით, ტრადიციული ან ჩვეულებრივი პრაქტიკით ქალისათვის არამდგრადი, გაუქმებადი შეუღლების სტატუსის მინიჭება;

6. ტრანსპლანტაციის მიზნით ორგანოებისა და ქსოვილების ამოღება.²⁰

ჩვენი აზრით, მოცემული ჩამონათვალი შეიცავს რიგ პრინციპულ წინააღმდეგობებს. კერძოდ, დოკუმენტში არ არის ასახული უკანონო გადაყვანის მიზნები, ჩამოთვლილია მხოლოდ კრიმინალური ექსპლუატაციის სახეები და ხერხები, რომლებიც გამოიყენება დაზარალებულთა რეკრუტირებისათვის მათი ექსპლუატაციის მიზნით. გარდა ამისა, უსაფუძვლოა ავტორთა სწრაფვა გამოიყენონ ერთმანეთისაგან ცნებები: „იძულებითი შრომა“ და „სექსუალური ექსპლუატაცია“, რომელიც არსებითად არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია და წარმოადგენს იძულებითი შრომის ერთ-ერთ სახესხვაობას.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია, რომელშიც მოცემულია „აღამიანების თრეფიქინგი“ გაფართოებული განსაზღვრება:

„ ა) „აღამიანთა თრეფიქინგი“ ნიშნავს ექსპლუატაციის მიზნით პირების გადაბირებას, გადაყვანას, გადაძალადებას ან მიღებას დაშინებით ან ძალის გამოყენებით, ან ძალადობის — გატაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალადუფლების, ან შექმნილი ვითარების ბოროტად გამოყენების გზით, სხვა ფორმებით ან მოსყიდვით, გადახდის, ან სარგებლის მიღების ფორმით, რათა მიღებულ იქნეს იმ პირის თანხმობა, რომელიც მეორე პირს აკონტროლებს. ექსპლუატაცია, სულ ცოტა, მოიცავს სხვა პირთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით მუშაობას ან მოსამსახურეობას, მონობას ან მონობის მიგავს ჩვეულებებს, ან სხეულის ორგანოს ამოკვეთას;

ბ) აღამიანების თრეფიქინგი შედგება დაზარალებულის თანხმობა წინასწარ დაგეგმილ ექსპლუატაციაზე, რომელთა სახეები ა პუნქტშია ჩამოყალიბებული, არ მიიღება მხედველობაში, თუკი გამოყენებული იყო ა პუნქტში ჩამოყალიბებული ნებისმიერი ზემოქმედების საშუალება.

- გ) გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადაბაღვა ან ბავშვის მიღება ექსპლუატაციის მიზნით ითვლება ადამიანების თრეფიქინგად იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ქმედება არ არის დაკავშირებული ა პუნქტით განსაზღვრულ შემოქმედების სახეებთან;
- დ) „ბავშვი“ ნიშნავს 18 წლამდე ასაკის პირს.²¹

უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის შემუშავებლები შეეცადნენ შეექმნათ უნივერსალური ცნება და სტრუქტურაში ჩაერთოთ ადამიანთა ტრანსნაციონალური ექსპლუატაციის ყველა სახე, მაგრამ *თრეფიქინგის* ყველაზე ამომწურავი დეფინაცია კი მთლიანად ვერ ხსნის ამ რთული მოვლენის ძირითად ნიშნებსა და სპეციფიკას, იგი საჭიროებს მისი შემადგენლობის ღრმა ანალიზს და სისტემატიზაციას. მხოლოდ სისტემურ ბლოკში „განსაზღვრა-სტრუქტურა-კლასიფიკაცია“ შეიძლება მივიღოთ ადამიანების *თრეფიქინგთან* ბრძოლისა და პრევენციის მეთოდები.

დაწვრილებით განვიხილოთ ადამიანებით ტრანსნაციონალური კრიმინალური ვაჭრობის და ექსპლუატაციის სახეები და ეტაპები იმისათვის, რათა მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

2. კორუფცია. ადამიანთა თრეფიქინგის (ინგ. Human Trafficking) სწორი კლასიფიკაციისათვის აუცილებელია შევარჩიოთ იმ მოქმედებათა ერთობლიობის სწორი ლინგვისტური განსაზღვრა, რომლებსაც ეს მოვლენა საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით მოიცავს. ქართულ ენაში არ არსებობს შესაბამისი ადეკვატური ტერმინოლოგია, რაც არსებითად ართულებს, როგორც ცნებითი ბაზის შექმნას და საკანონმდებლო რეგლამენტაციის სისტემის დამუშავებას, ასევე ადამიანების არაკანონიერი გადაყვანისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებების გატარებას.

საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნების თანამედროვე სამართლებრივ პრაქტიკაში ადამიანის ტრანსნაციონალურ ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებული საქმიანობის განსაზღვრავად გამოიყენება ცნება „ადამიანებით ვაჭრობა“. თუმცა მოცემული ტერმინი შინაარსით თავის სართაშორისო ანალოგზე უფრო ფართოა და მოიცავს ადამიანების კომერციული გამოყენების ყველანაირ ფორმას, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც არ არის დაკავშირებული ტრანსნაციონალურ დანაშაულობასთან (მაგალითად, გამოსყიდვის მიღების მიზნით ადამიანების გატაცება, საპატარძლოს ყიდვა, სუტენიორობა და სხვ.). ეს დაუსშვებელია, ვინაიდან ხდება სპეციფიკური საქმიანობის თავისებურებების ნიველირება, რაც ხელს უშლის საქართველოდან და დსთ-ს სხვა ქვეყნებიდან ადამიანების რესურსების ტრანსნაციონალურ გადაქაჩვაზე და მათ ექსპლუატაციაზე ყურადღების კონცენტრაციას. იმისათვის, რათა მოვახდინოთ საქართველოს ცნებითი ბაზის უნიფიცირება საერთაშორისო დეფინაციებთან, ორიენტირულ პრაქტიკაში აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ ახალი პირობითი ტერმინი „თრეფიქინგი“. რომელიც უკვე გამოიყენება რიგი ქვეყნების სამართლებრივ ლიტერატურაში და საკანონმდებლო აქტებში. მოცემული სტატის ტექსტში ავტორი იყენებს ტერმინს „თრეფიქინგი“, რომელიც საერთაშორისო „Trafficking“-ის სინონიმია და თავისი შინაარსით მოიცავს კრიმინალური საქმიანობის სტადიებს ან მის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ეტაპს.

შეიძლება გამოყვით თრეფიქინგის სამი ძირითადი სტადია:

- 1) მისვერპლის რეკრუტირება;
- 2) მისვერპლის ტრანზიტი (საერთაშორისო საზღვრებზე გადაყვანა);
- 3) ქიპლუატაცია (მოგების მიღების მიზნით ადამიანების ფიზიკური რესურსების არაკანონიერი გამოყენება).

ეს საქმიანობა ხორციელდება დაშნაშავეთა შემდეგი კატეგორიების მიერ:

- 1) შემკრები (პროფინება, რომელიც ახდენს რეკრუტირებას);
- 2) გამცილებელი (პროფინება, რომელიც ახორციელებს გადაყვანას სახელმწიფოთა საზღვრებზე);
- 3) ექსპლუატატორი (პირი, რომელიც ახორციელებს ფიზიკური რესურსების უკანონოდ გამოყენებას);
- 4) შუამავალი (პირი, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის შემკრებებს, გადაყვანებს და ექსპლუატატორებს შორის);
- 5) დამხმარე (პირი, რომელიც თრეფიქინგის სხვადასხვა ეტაპზე ახორციელებს მომსახურების აუცილებელ სახეებს: დაცვას, ფალსიცირებული დოკუმენტების დაზადებას და ა.შ.).
- 6) მფარველი (პირი, რომელიც ახდენს დაცვას სახელმწიფო და სამართალდამცავი სტრუქტურებისაგან).

I. თრეფიქინგის ბირველ ეტაპს წარმოადგენს მისვერპლის რეკრუტირება მისი შემდგომი გადაყვანისა და ექსპლუატაციის მიზნით ან გაყიდვა იმავე მიზნებისათვის.

განასხვავებენ რეკრუტირების სხვადასხვა მეთოდებს, რომელთა დიფერენცირებაც შეიძლება ჯგუფებად ამა თუ იმ ნიშნების მიხედვით.

მეთოდდდან გამომდინარე თრეფიქინგის სახეების კლასიფიკაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კრიმინალური ექსპლუატაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ან არ იყოს ადამიანის ყიდვა-გაყიდვის ფაქტთან. თრეფიქინგის ჩვეულებრივი სქემა ვარაუდობს, რომ კრიმინალური ექსპლუატაციისათვის ადამიანებს იძენენ შუამავლისაგან ყიდვა-გაყიდვაზე, ჩუქებაზე, დაგირავებაზე და ა. შ. გარიგების გზით. რეკრუტირება აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს მეთოდებით, რომლებიც არაა დაკავშირებული ადამიანებით ვაჭრობასთან — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგალითად მოტყუებით, გატაცებით, და სხვა ძალადობრივი ქმედებებით.

რეკრუტირება ხორციელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენებით, სხვადასხვა განცხადებების გამოქვეყნებით საზღვარგარეთ სამუშაოს შეთავაზების თაობაზე, საქორწინო სააგენტოების რეკლამით და ა.შ., ან მისვერპლის ნაცნობების მეშვეობით, რომლებიც შემკრების როლს თამაშობენ. მოტყუების მეთოდი არ ითვალისწინებს იძულებით ან დაშინებით მოქმედებებს მისვერპლთან მიმართებაში. ის ვარაუდობს მისვერპლის ნებაყოფლობით გადაბირებას მისი შეცდომაში შეყვანის ან ნდობის გამოყენების გზით.

ამავე დროს, იძულებითი რეკრუტირება, ძირითადად, გამოიყენება რთული პოლიტიკური და სამხედრო ვითარების რაიონებში, შეიარაღებული კონფლიქტების რეგიონებში.

თრეფიქინგში ადამიანთა ჩაბმის სახეები შეიძლება დაჯგუფდეს მიზნების მიხედვით:

- შემდგომი გაყიდვის მიზნით;
- უშუალოდ ექსპლუატაციის მიზნით.

შემდგომი გაყიდვის მიზნით ადამიანის თრეფიქინგში ჩაბმას ასორციელებენ შემკრებები, რომლებიც სპეციალიზდებიან მხოლოდ მისვერპლის ხელში ჩაგდებაზე და მის ტრანსპორტირებაზე შემკვეთებთან ან „ცოცხალი საქონლის“ ბაზარზე. მათი მიზანია, მიიღონ შემოსავლები მესამე პირისათვის დაზარალებულის მოგვრის ან მიყიდვის შედეგად, რის შემდეგაც მისვერპლი ან კრიმინალურ ექსპლუატაციას ექვემდებარება. ან შემდგომ გადაყიდვას. მაგალითისთვის, უკრაინაში და მოლდავეთში გადაზიდვები თითოეულ რეკრუტირებულ და გაყიდულ ქალზე 200-დან 500-მდე დოლარს გამოიმუშავენ.²² არსებობს 5000 დოლარად ქალიშვილის გაყიდვის ოფიციალურად რეგისტრირებული ფაქტი საქართველოდან (ქუთაისი) თურქეთში.

შემკრებები ან შუამავლები ასეთ შემთხვევაში თვითონ არ უწევენ მისვერპლის ექსპლუატაციას, ისინი მოგებას ღებულობენ მათი მესამე პირისათვის გადაცემით, რომლებიც სპეციალიზდებიან ადამიანის შრომის ექსპლუატაციაზე, ან მის შემდგომ გადაყიდვაზე. ასეთ შემთხვევებს, ჩვეულებრივ, ადგილი აქვს, როცა ადამიანები გადაყავთ დანიშნულების ქვეყანაში, სადაც მას ე.წ. „შეპატრონეს“ მიყიდიან ფიზიკური და ფიზიოლოგიური პარამეტრების მიხედვით ექსპლუატირებისათვის:

- ახალგაზრდა და მომზობლავ გოგონებს, ჩვეულებრივ, იყენებენ სექსში და პორნოგრაფიულ ინდუსტრიაში: კლუბებში, ბარებში, აბანოებში და სხვ;
- ასაკოვან ქალებს — მოსამსახურებად, ძიებად, მომვლელებად და ა. შ;
- სხვადასხვა ასაკის ქალებსა და მამაკაცებს — სოფლის მეურნეობის არაკვალიფიციურ სამუშაოებზე და მშენებლობებზე.

არაიშვიათად „შეპატრონე“ მისვერპლს ხელახლა ყიდის მომგებანი გარიგების შემთხვევაში ან სხვა მოსაზრებით. ჩვეულებრივ, ასეთ დროს არაფინ კითხულობს მისვერპლის თანხმობას და არც რაიმე კონტრაქტი იღება.

შემკრებების ან შუამავლის როლში მეტწილად გამოდიან ფირმის თანამშრომლები, რომლებიც დაკავებულნი არიან ტურისტული ბიზნესით და სამუშაოზე მოწყობით, აგრეთვე საქორწინო და სამოდელო სააგენტოები და სხვ. ისინი იბრუნებენ ან მოტყუებით ითრევენ ადამიანებს თავის ბაღში, ხოლო მერე ყიდიან საზღვარგარეთ და იღებენ შემოსავალს.

ჩვეულებრივ, შემკრებები მისვერპლს დანიშნულების ქვეყანაში დაუბრკოლებლად გამგზავრებას პირდებიან, კერძოდ: ავანსის მიცემას ავიაბილეთის შესაძენად, სამგზავრო დოკუმენტების გაფორმებას და სხვ. ხშირად დაზარალებულები ხელს აწერენ კაბალურ კონტრაქტს მაღალანაზღაურებადი სამუშაოს მიღებაზე საზღვარგარეთ. კონტრაქტში არაა მითითებული სამუშაოს რაობა, ხასიათი, სამაგიეროდ, ყოველთვის ფიქირდება ფირმის მაღალი პონორარი გაწეული სამსახურისათვის, რომლის გადახდა ხდება მაშინვე, როგორც კი მისვერპლი მუშაობას დაიწყებს.

„თვითგადარჩენის მსოფლიო ქსელის“ მოხსენების თანახმად, შემკრებები რუსეთში და დსთ-ში, მათ მიერ გაწეული „სამსახურისათვის“ — დოკუმენტების გაფორმება,

სამუშაოს მოძებნა და საზღვარგარეთ გადაყვანა - იღებენ 1.500-დან 30.000 დოლარამდე.²¹

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსგავსი ფირმების ზეპირული გარანტიები და დაზარალებულებთან ხელმოწერილი კონტრაქტები, ჩვეულებრივ, კაბალური ან სულაც ფიქტიურია. მაგრამ ამის შესახებ მსხვერპლი მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ იცნობს, როდესაც დგება ფაქტის წინაშე, რომ უნდა იმუშაოს სულ სხვა პირობებში, სხვა სპეციალობით და მიიღოს უფრო დაბალი ანაზღაურება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დაზარალებულებს უწევთ მკაცრ ექსპლუატაციას, აჯარიმებენ, სჯიან; არღვევა ადამიანის ელემენტარული უფლებები, ამიტომ ბევრი ქალი, რომელიც ეძებდა ოფიციალტის, მოცეკვავის, ფოტომოდელის და სხვა სამუშაოს, „იძულებითი ნებაყოფლობით“ თანხმდება სექსინდუსტრიაში მუშაობაზე, რათა „გაღების“ გასტუმრების და თავისუფლების დაბრუნების შესაძლებლობა მიეცეს.

II. თრეფინგის მეორე ეტაპი — ტრანზიტი იწყება მსხვერპლის რეკრუტირების შემდეგ, რის მერეც საჭირო ხდება მისი გადაყვანა კრიმინალური ექსპლუატაციის ადგილზე. არსებობს გადაყვანის რამდენიმე სახე. მათი დაჯგუფება შეიძლება იმ კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც დაკავშირებულია:

- მსხვერპლის დამოკიდებულებაზე სხვა ქვეყანაში მის გადაყვანასთან;
- მსხვერპლის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადალახვის საშუალებებზე, აგრეთვე ასეთი გადაყვანის კანონიერებაზე.

მსხვერპლის გადაყვანა მისი კრიმინალური ექსპლუატაციისთვის შეიძლება ხდებოდეს როგორც ნებაყოფლობით, ასევე მისი ნების გარეშეც.

თრეფინგის ფენომენი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანების რეკრუტირება და გადაყვანა, ჩვეულებრივ, ხდება მათი ნებით, ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე, და მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში ხდება იხილი ძალადობის და ექსპლუატაციის მსხვერპლნი უფრო მეტად, ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები, ისე მიზანდასახულად ეძებენ ყველანაირ შესაძლებლობას, მოხვდნენ საზღვარგარეთ და იქ იშოვონ სამუშაო, რომ დამოუკიდებლად მიემგზავრებოდნენ სხვა ქვეყნებში, სადაც მონათმფლობელების ბადეში ეხვევიან. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბევრ დაზარალებულს წარმოდგენილიც ჰქონდა შესაძლო ნეგატიური შედეგები მაგრამ გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ თავის დააღწევდა მათ ან უბრალოდ სხვა არჩევანი არ გააჩნდა.

იმ შემთხვევებში, როცა მსხვერპლი რაიმე მიზეზით უარს ამბობს საზღვარგარეთ ტრანზიტზე, შემკრებებს შეუძლიათ მიმართონ ზემოქმედების სხვა მეთოდებს, კერძოდ:

- მუქარას, დაშინებას და ძალადობის გამოყენებასაც კი;
- ნარკოტიკებით ან ფსიქოტროპული პრეპარატებით ზემოქმედებას.
- სხვადასხვა მაქინაციებს, რომლებიც დაზარალებულს ხელოვნურად ხდის შემკრებზე დამოკიდებულად და საზღვარგარეთ გამგზავრებას იძულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ შემთხვევებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის

კონვენციის ოქმის მე-3 მუხლის ბ ქვეპუნქტის შესაბამისად, მსხვერპლის გადაყვანა დანიშნულებების ქვეყანაში უნდა ითვლებოდეს არანებაყოფილობითად, ანუ კრიმინალურად მაშინაც კი, როცა მსხვერპლი დამოუკიდებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ ექსპლუატატორთან.

მსხვერპლის გადაყვანის მარშრუტის მიხედვით შეიძლება გამოვეყოთ ტრანზიტის რამდენიმე ხერხი. ასე მაგალითად, გადაყვანა შეიძლება ხდებოდეს როგორც ეროვნული ტერიტორიის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ. პირველ შემთხვევაში საუბარია კრიმინალურ ექსპლუატაციაზე იმ სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით, რომელშიც მსხვერპლი მუდმივად ცხოვრობს. მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში ასეთი ექსპლუატაცია განიხილება თრეფიქინგის სახეობად, რასაც ვერ დავეთანხმებით იმდენად, რამდენადაც თრეფიქინგს ახასიათებს განსაკუთრებული მაკგალოფიცირებული ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებენ ბანალური კრიმინალური საქმიანობისაგან, მაგალითად, პროსტიტუციაში ჩათრევისაგან (სუტენირობისაგან) — სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლი, თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან — სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლი, იძულებისაგან — სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი, შრომის კანონის დარღვევისაგან — სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი და ა.შ. თრეფიქინგი აუცილებლად გულისხმობს ადამიანის გადაყვანას სხვა სახელმწიფოში (ან იმ სახელმწიფოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეცაა დაზარალებული), სადაც მისი სამართლებრივი სიტატუსი უფლებების დაცვის, ძალადობისა და ექსპლუატაციისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი ობიექტურად შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, თრეფიქერები დაუსჯელად აღწევენ თავიანთი მსხვერპლის სრულ მორჩილებაში ყოლას. ერთი სახელმწიფოს ნაციონალურ საზღვრებში მსხვერპლის კრიმინალური ექსპლუატაციის დროს კი დანაშაულებრივი საქმიანობა არ ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს და ის არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც თრეფიქინგი.

ექსპლუატაციის მოცემული სახე შეიძლება დავეყოთ ქვესახეებად რომლებიც:

- დაკავშირებულია მსხვერპლის გადაყვანასთან;
- არ არის დაკავშირებული მსხვერპლის გადაყვანასთან;

ეროვნული საზღვრების ფარგლებში კრიმინალური ექსპლუატაცია შეიძლება თან ახლდეს მსხვერპლის გადაყვანას მისი საცხოვრებელი რაიონის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებს გარეთ. ასეთი გადანაცვლების მაგალითს წარმოადგენს აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია. აფხაზი „ბოევიკები“ ხელში იგდებენ ადამიანებს გალის ან სამეგრელოს ახლომდებარე რაიონებიდან. შემდგომში მათ იყენებენ ან როგორც სამუშაო ძალას სასოფლო სამეურნეო სამუშაოებზე, ან ყიდონ სხვა „მებატრონეებზე“. ადგილი აქვს აგრეთვე მსხვერპლთა იძულების და ექსპლუატაციის ფაქტებს საომარ მოქმედებებში აფხაზეთა შეიარაღებული ფორმირებების მხარეს მონაწილეობის მისაღებად.

როდესაც საუბარია გადაყვანაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, იგულისხმება, რომ გადანაცვლება ხორციელდება მსხვერპლის საცხოვრებელი ადმინისტრაციული რაიონის საზღვრების შიგნით. ასეთი ექსპლუატაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ექსპლუატირებულის შრომის

გამოყენება სხვადასხვა საქონლის მწარმოებელ იატაკქვეშა საამქროებში ან დამხმარე სამუშაოებზე.

როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში ადამიანი მსხვერპლად იქცევა მისი ხელში ჩაგდება შემდეგ, რაც შეიძლება მოხდეს როგორც ძალადობრივი ზეწოლით, ასევე მოტყუების გზით. მსგავსი სახის ექსპლუატაციას ექვემდებარებიან პირები ე.წ. მარგინალური გარემოდან, რამდენადაც მათ არ აქვთ რეალური შესაძლებლობა გაუმკლავდნენ ძალადობას, არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არ ჰყავთ ახლობლები, რომლებიც შეწუნდებიან მათი გაუჩინარებით. მასმედიის საშუალებებში აღწერილია შემთხვევები, როცა ასეთ ადამიანებს შეეძლო ექსპლუატაციის უწყვეტად სხვადასხვა არალეგალურ საქარმოებში და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე.

ადამიანების ხელში ჩაგდება და გადაყვანა ეროვნული ტერიტორიის შიგნით მათი შემდგომი ექსპლუატაციისათვის ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ხდებოდა. ეს ადამიანები ძირითადად მარგინალური გარემოდან იყვნენ. ხულოგნობისათვის სხვა ადმინისტრაციული დანაშაულისათვის ისინი ხშირად სამართალდამცავი ორგანოების მხედველობის არეში ექცეოდნენ ხოლმე, რითაც სარგებლობდნენ კრიმინალები და მათ ორგანიზებული დანაშაულობის საქმეებისათვის „ოქროს მოსაპოვებლად“ არალეგალურ საბადოებზე ამუშავებდნენ.²⁴

უნდა აღინიშნოს, რომ ნაცონალური საზღვრების შიგნით კრიმინალური ექსპლუატაცია უფრო ნაკლებადაა გავრცელებული, ვიდრე ადამიანების ტრეფიკინგი სამოქალაქო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. მოცემულ შემთხვევაში ოგულისხმება, რომ მსხვერპლის ექსპლუატაცია ხდება იმ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რომელშიც ოგი მუდმივად ან ძირითადად ცხოვრობდა, ე.ი. სხვა სახელმწიფოში.

შეიძლება გამოვყოთ რიგი ფაქტორებისა, რომლებიც ადამიანების ტრანსნაციონალური კრიმინალური ექსპლუატაციის უფრო ფართო გავრცელებას განაპირობებენ. აღინიშნული გამოწვეულია ღარბი ქვეყნებში ადამიანის კრიმინალური ექსპლუატაციის დაბალი რენტაბელურობით, რაც განაპირობებულა სპეციფიკურ საქონელზე და ტრეფიკინგის მომსახურებაზე (პორნოგრაფია, მეძავენი, იაფი სამუშაო ძალა და ა.შ.) დაბალი მოთხოვნილებით ან მოსახლეობის მეტად დაქვეითებული მსყიდველობით უნარით. ამავე დროს, მდიდარ ქვეყნებში მოთხოვნილებაა როგორც მეძავეზე, ასევე დაბლანაზღაურებად და არაკვალიფიციურ მუშახელზე, რაც ქმნის ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაციის ყველაზე ფართო შესაძლებლობებს, ამავე დროს მაღალანაზღაურებადი და მიმზიდველია ის ორგანიზებული დანაშაულობისთვისაც. გარდა ამისა, ადამიანების კრიმინალური ექსპლუატაცია მნიშვნელოვნად ადვილდება მათი წარმოშობის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, რადგანაც უცხო სახელმწიფოში დაზარალებულთა უფლებების დაცვის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, შეზღუდულია.

არახელსაყრელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, დისტო-ს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მრავალი მოქალაქე სამუშაოს სხვა სახელმწიფოებში ეძებს. ისინი ხასიათდებიან გაზრდილი ვიქტიმოგენობით, ანუ ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის და კრიმინალური ექსპლუატაციისადმი დაქვემდებარების მაღალი ალბათობით. როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, ბევრი სახელმწიფოს სამართალდამცავ პრაქტიკაში ტრეფიკინგით დაზარალებულთა იურიდიულ სტატუსი არალეგალური მიგრანტების სტატუსითან არის გაიგივებული, რაც მათ მდგომარეობას კრიმინალურების ხდის.

ასეთი პრაქტიკა არასწორად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან არალეგალური მიგრანტებისაგან განსხვავებით, რომლებიც შევსებულად და ნებაყოფლობით მიემგზავრებიან სხვა ქვეყნებში და არღვევენ მის კანონებს, თრეფიქინგის მსხვერპლნი ამ ქვეყნებში საექსპლუატაციოდ ხვდებიან დანაშაულებრივი ორგანიზაციების ან ცალკეული კრიმინალების მხრიდან მუქარის, ძალადობის და მოტყუების შედეგად.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „არალეგალური მიგრანტები“ სხვა სახელმწიფოს საზღვრის გადალახვისა და იქ სამუშაოდ მოწყობის დამოუკიდებელი მცდელობის შემდეგ არაიშვიათად ესვევიან ადამიანებით მოვაჭრეთა ბაღეში. ხშირად მათ არ შეუძლიათ საზღვრის არალეგალურად გადალახვისათვის საჭირო თანხის გადახდა, რითაც სარგებლობენ კრიმინალები და მათ ისეთ საქმიანობაში აბაძენ, როგორც არის, მაგალითად, ნარკოტიკებით ვაჭრობა ან პროსტიტუცია.²¹

ხერხი, რომლის დახმარებითაც ხორციელდება მისვერპლის გადაყვანა სახელმწიფო საზღვრებზე, შეიძლება სრულად შეესაბამებოდეს კანონს ან არღვევდეს მას. ამიტომ საზღვრის გადალახვის ხერხიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვეყოთ მსხვერპლის ლეგალური და არალეგალური გადაყვანა წარმოშობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მსხვერპლის ლეგალური გადაყვანა საზღვარგარეთ ხორციელდება კანონით დადგენილი გარკვეული წესების და ინსტრუქციების შესაბამისად ყველა საჭირო კანონიერი სამგზავრო დოკუმენტის გაფორმებით. ასეთი გადაყვანა ლეგალურია. ბევრი ფორმა, რომელიც დაკავებულია „ცოცხალი საქონლის“ რეკრუტაციით, მომავალი მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანას დამოუკიდებლად აფორმებს.

სახელმწიფო საზღვრებზე ადამიანების არალეგალური გადაყვანა, ანუ კონტრაბანდა, ჩვეულებრივ, გამოიყენება მაშინ, როცა არ არსებობს საზღვარგარეთ მოხვედრის ლეგალური საშუალება ან არაა საკმარისი დრო ყველა საბუთის გასაფორმებლად. ადამიანის კონტრაბანდისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყალბი საბუთები ან მსხვერპლმა შეიძლება სულაც საბუთების გარეშე გადალახოს სახელმწიფოთაშორისი საზღვარი საავტომობილო ტრანსპორტით ან ფეხით. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული უფრო უუფლებო და უმწეო ხდება, ვინაიდან, დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, ის არალეგალად იქცევა და საზღვრის უკანონო გადალახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემას ექვემდებარება. ლეგალური თუ არალეგალური გადაყვანის უზრუნველსაყოფად ხშირად კორუმპირებულ კავშირებს იყენებენ. ასე მაგალითად, ადამიანებით მოვაჭრე ფორმების უმეტესობას გარკვეული კავშირი აქვს თანამდებობის პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მათ ადამიანების საზღვარგარეთ გადაყვანის საქმეში, კერძოდ, დაეხმარონ სამგზავრო დოკუმენტების გაფორმებაში ან გაყალბებაში „თვითგადარჩენის მსოფლიო ქსელის“ მონაცემებით, „ცოცხალი საქონლით მოვაჭრენი“ გამოკითხვისას აღნიშნავენ, რომ მათ შეუძლიათ ყალბი ან გადაკეთებული პასპორტების ყიდვა საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისგან ან ინტერპოლთან კავშირის მქონე კომპანიებისგან.²²

იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლის გადაყვანა დანიშნულების ქვეყანაში გაძნელებულია მკაცრი საპასპორტო-საღიზო კონტროლის გამო, ხოლო წარმოშობის ქვეყანასა და დანიშნულების ქვეყანას შორის უშუალო საზღვარი არ არსებობს, გამოიყენება ხოლმე ე.წ. კომბინირებული გადაადგილება. მსხვერპლი ლეგალურად

შეყავთ დანიშნულების ქვეყნის მეზობელ ქვეყანაში, ხოლო იქიდან საზღვრებზე არსებული „სარკმელები“ მეშვეობით არალეგალურად გადაყავთ დანიშნულების ქვეყანაში მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როცა თურქეთში ჩასულმა მოქალაქეებმა სცადეს საბერძნეთის საზღვრის გადალახვა და მთის უღელტეხილზე გაიყინნენ.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ადამიანების არალეგალურად გადაყვანის მეთოდი დსო-ს ქვეყნებიდან გერმანიაში რომელიც მკაცრად არეგულირებს იმორაციას ამ სახელმწიფოებიდან.²⁷ გერმანიის საზღვრის გადასალახავად კრიმინალები იყენებენ პოლონელი მოქალაქეების ყალბ პასპორტებს, რომელთაც ამ ქვეყანაში შესასვლელად არ სჭირდებათ ვიზა.²⁸

ასეთ შემთხვევებში გადანაცვლება შეიძლება ჩაითვალოს არალეგალურად, რამდენადაც მსხვერპლი დანიშნულების ქვეყანაში ხვდება არაკანონიერი გზით.

III. დანიშნულების ქვეყანაში მოხვედრის შემდეგ მსხვერპლი ხვდება ექსპლუატატორის ხელში ანუ დგება თრეფინგის მესამე დამამთავრებელი ეტაპი – უშუალოდ კრიმინალური ექსპლუატაცია შემოსავლების მისაღებად. დანაშაულებრივი საქმიანობის ამ სახეობას კლასიფიკაცია შეიძლება რამდენიმე თვისებრივი კრიტერიუმის:

- ექსპლუატაციის სუბიექტის;
- ექსპლუატაციის იძულების ხერხების;
- კრიმინალური ექსპლუატაციის გამოყენების სფეროების;
- მსხვერპლის საქმიანობის შინაარსის მიხედვით.

სუბიექტის მიხედვით ექსპლუატაციის სახეები შეიძლება დაიყოს მამაკაცების და ქალების ექსპლუატაციადად.

ქალებთან შედარებით მამრობითი სქესის პირები ექსპლუატაციის უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან. ასე მაგალითად, ევროპის უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებში იმ მამრობითი სქესის პირთა რაოდენობა, რომელიც კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ხდება, მსხვერპლთა მთელი რაოდენობის 2% -ს შეადგენს.²⁹ მამაკაცთა ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, საექსპლუატაციოდ, ძირითადად, გამოიყენება მათი ფიზიკური შრომა. ექსპლუატაციის შეიძლება დაექვემდებარონ როგორც სრულწლოვანი მამაკაცები, ასევე არასრულწლოვანებიც, სრულწლოვანებს, როგორც წესი, იყენებენ მძიმე სამუშაოების წარმოებისთვის, მაგალითად, სახლების მშენებლობისთვის, სარდაფების გათხრისთვის და სხვ. გარდა ამისა, მამაკაცების გამოყენების კიდევ ერთ სფეროს წარმოადგენს შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი ჩაბმა. უეჭველია, რომ დაქირავებულების დიდი ნაწილი იქ ნებაყოფლობით ხვდება, მაგრამ არსებობს სხვა შემთხვევებიც. მაგალითად, უკრაინაში ადგილი ჰქონდა მამაკაცების შეკრებას კავკასიის რეგიონში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად. ამის ნაცვლად კი ისინი ყარაბაღის კონფლიქტის მონაწილეებად იქცნენ.³⁰

არასრულწლოვანი ბავშვების ექსპლუატაცია ხდება ისეთ სფეროებში, სადაც არ სჭირდებათ მძიმე ფიზიკური შრომა. მათ იყენებენ სასოფლო სამეურნეო სამუშაოებში, ხელზე მომსახურებად და ა.შ. არაიშვიათად ბიჭუნებს აბაშენ ბავშვთა პორნოგრაფიაში და პროსტიტუციაში.³¹

ყველა მიღებული მონაცემი ცხადყოფს, რომ ექსპლუატირებულთა ძირითად კატეგორიას ქალები წარმოადგენენ. ეს განპირობებულია იმით, რომ ქალები თავისი სოციალური სტატუსისა და ფსიქოფიზიოლოგიური თავისებურებების გამო უფრო მეტად ხდებიან კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლი. ამ ფენომენის ახსნის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ჩვეულებრივ, წარმოშობის ქვეყნებში უმუშევრობა ქალებს შორის მეტად მაშაქავთა შორის უმუშევრობაზე. კარგი ანაზღაურების საშუალოს შოვნის ერთადერთ შესაძლებლობად მრავალ უმუშევარ ქალს საზღვარგარეთ უფრო მდიდარ ქვეყნებში გასვლა ეჩვენება. გარდა ამისა, ფიზიკურად ქალები მაშაქავებზე სუსტები არიან, ამიტომ მოვაჭრეებს უოილდებათ მათი გაკონტროლება. ამასთანავე ქალების ექსპლუატაციის შესაძლებლობა, განსაკუთრებით სექსუალურ ბიზნესში, გაცილებით ფართოა, ვიდრე მაშაქავებში.

სექსუალური მომსახურების სფეროში და ბორნობიზნესში ექსპლუატაციის ექვემდებარებულთა მდებარეობით სქესის როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი წარმომადგენლები. კრიმინალური ექსპლუატაციის ამ სფეროში ისინი დაზარალებულთა ძირითად ნაწილს შეადგენენ. ექსპლუატების შეფასებით, იძულების წესით ყოველწლიურად 2 მლნ.-ზე მეტ ქალსა და ბავშვს აბაძენ სექსინდუსტრიაში სამუშაოდ.³² გარდა ამისა, მათი შრომა შეიძლება ექსპლუატირებულ იქნეს მომსახურების და წარმოების იმ სფეროებში, სადაც, ძირითადად, ქალის შრომა გამოიყენება.

კრიმინალური ექსპლუატაციისთვის ადამიანთა რეკრუტირების ხერხის მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ექსპლუატაციის შემდეგი სახეობები:

- ფიზიკური იძულება. მოცემულ შემთხვევაში, ადამიანის მიმართ გამოიყენება ფიზიკური ძალადობა სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანების სახით, ცემით, წამებით. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ადამიანი იძულებულია დაემორჩილოს ექსპლუატატორის მითითებებს და შეასრულოს კონკრეტული საქმიანობა თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, საშუალოს არასანქცინირებული შეწყვეტისას, გაქცევის მცდელობისას და ა.შ. მოცემული ბიროვნების მიმართ გამოიყენება მკაცრი სასჯელი სასტიკი ცემის, ჯგუფური გაუპატოვების, საკვების შეწყვეტის და წინააღმდეგობის ჩახშობის სხვა მეთოდების სახით.

ფიზიკური იძულება შეიძლება განხორციელდეს ძალადობის, ძლიერმოქმედი პრეპარატების და ნარკოტიკების გამოყენებით.

ძალადობის გამოყენების დროს საუბარია ადამიანისა და მის ორგანიზმზე ნეგატიური ზემოქმედების სხვადასხვა სახეობებზე. ამასვე მიეკუთვნება შემთხვევა, როცა ექსპლუატატორი მიზანდასახულად აღუკვეთს მსხვერპლს სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ბიოენერგეტიკულ რესურსებს (საკვებს, სასმელს, სამედიცინო დახმარებას) ან უზღუდავს გადაადგილების და ურთიერთობის თავისუფლებას. მსგავსი უზღუდეებით ადამიანი აიძულებენ გააკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ოგი კარგავს ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას და განიცდის ფიზიკურ შეჭირვებას.

ნიდერლანდებში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ სქესობრივად ექსპლუატირებული 250 გამოკითხული ქალიდან — 177 ძალადობის მსხვერპლი გახდა

და მოვაჭრეების, სუტენიორების და კლიენტების მხრიდან ზეწოლის ექსტრემალური ფორმები განიცადა.³³

ძალადობასთან ერთად, ზოგჯერ მიმართავენ ძლიერმოქმედ პრეპარატებსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს, რომელთაც იყენებენ მისვერბლის ნების დასათრგუნად და სექსუალური ექსპლუატაციის გასაადვილებლად. ასეთი პრეპარატები შეიძლება გამოიყენონ როგორც ძალდატანებით, ასევე ძალდაუტანებლად (პრეპარატის საკვებში შერევა ან მისი სახით ვითომდა წამლის მიცემა), რაც შემდგომში მისვერბლის ნარკოტიკზე დამოკიდებულად აქცევს და უზრუნველყოფს მის მზადყოფნას შეასრულოს ექსპლუატატორის ნებისმიერი მოთხოვნა პრეპარატის მორიგი დოზის მისაღებად.

• ფსიქიკური იძულება. ასეთი ძალადობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მისვერბლის, ასევე მისი ახლობლების მიმართ და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით.

ფსიქიკური ზემოქმედების მეთოდების შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყოფა ფსიქიკური იძულების შემდეგი სახეები:

ა) შანტაჟი მას საფუძვლად უდევს მისვერბლის ან მისი ოჯახის წევრების შესახებ სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების საფრთხე. ადამიანი ხდება დამოკიდებული ვინაიდან მას არ შეუძლია დაუშვას ასეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს ნეგატიური სახის შედეგები ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე პირის ან პირებისთვის. ამის გამო მისვერბლი თანახმაა ექსპლუატაციაზე და მორჩილებაზე. ასე მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ხდება საზღვარგარეთ სპეციალობის მიხედვით სამუშაოდ წასული ქალის ექსპლუატირება სექსინდუსტრიაში, ოგი ხშირად იძულებულია განაგრძოს ამგვარი საქმიანობა მუქარის შიშით იმის გამო, რომ ამის შესახებ ცნობილი გახდება მისი ახლობლებისა და ოჯახისათვის.

გარდა ამისა, დანიშნულების ქვეყანაში უკანონოდ მყოფ მისვერბლის მუდმივად დაპატიმრების და დეპორტაციის საფრთხე ემუქრება. პოლიციისთვის გადაცემის შიშით მისი ქცევა ადვილად კონტროლირებადი ხდება. ლიტერატურაში დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა სექსიზმისში ექსპლუატირებულ ქალებს იძულებდნენ ვიდუოკამერით და აშანტაჟებდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ამ მასალის გავრცელებით, რითაც ცდილობდნენ აღეკვეთათ ექსპლუატაციაზე უარის თქმის, გაქცევის ან დასახმარებლად პოლიციისათვის მიმართვის შემთხვევები. თბილისში მოხდა ტრაგიკული შემთხვევა: თრეფიქინგის ერთ-ერთმა მისვერბლმა, რომელიც ცდილობდა პასუხისმგებლობაში მიეცა ადამიანებო, რომელთაც ოგი ამერიკის შეერთებულ შტატებში პროსტიტუციული საქმიანობისთვის გაიყვანა, დახმარებისა და თავშესაფრისათვის მიმართა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს. დაზარალებულს სდევნიდნენ ადამიანებით მოვაჭრეები, რომლებიც იმუქრებოდნენ მისი მაკომპრომეტრებული ვიდუომასალის ოჯახის წევრებისათვის გადაცემით. შემდგომში მისვერბლმა ვეღარ გაუძლო ფსიქიკურ ზეწოლას და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამასთანავე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფსიქიკური იძულების ეს მეთოდი ცალკე იშვიათად გამოიყენება, რადგანაც არსებობს უფრო რადიკალური და ეფექტური საშუალებები.

ბ) ძალადობის გამოყენების მუქარა. ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედება ხდება ფიზიკური ძალადობის — სხეულისთვის რაიმე დაზიანების მიყენების ან მოკვლის მუქარით. აღნიშნულს თან არ ახლავს პიროვნების ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფა, მაგრამ ამის საფრთხე რეალურად დგება. ფიზიკური ძალადობის მუქარა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც თავად მისხვერპლის, ასევე მესამე პირთა მიმართ. ჩვეულებრივ, ესენი არიან ოჯახის წევრები, მათ შორის არასრულწლოვანი ბავშვები, ნათესავები და დაზარალებულის სხვა ახლობლები. თრეფიქერების მუქარას ხშირად თან ახლავს უხეში ძალის თვალსაჩინო დემონსტრაცია, რის გამოც ფიზიკურად გასწორების საფრთხე დაზარალებულის მიერ რეალურად აღიქმება. დაუმორიილებლობის ან გაქცევის მცდელობის შემთხვევაში, მებატრონეები ხშირად მიმართავენ ძალადობას მისხვერპლის დაშინებისა და ნების დათრგუნვის მიზნით. ასე მაგალითად, იტალიაში ყოველთვიურად ერთი მეტაფი მკვლელობის მისხვერპლი ხდება, სტამბულში ორი უკრაინელი ქალი იქნა მოკლული ექვსი რუსი ქალის თვალწინ, სერბეთში უკრაინელ ქალს, წინააღმდეგობის გაწევის გამო, სახალხოდ მოჰკვეთეს თავი³⁴ და სხვა.

• ეკონომიკური იძულება. ეს ის შემთხვევაა, როცა მისხვერპლისა და ექსპლუატატორის შორის მატერიალური ხასიათის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. იმის გამო, რომ მისხვერპლს არ შეუძლია გაწყვიტოს, ან გათავისუფლდეს ასეთი დამოკიდებულებისგან, იძულებულია დაემორჩილოს ექსპლუატატორის მოთხოვნებს და შეასრულოს ისინი.

ეკონომიკური ძალადობა შეიძლება ხორციელდებოდეს სავალო კაბალის ან სხვა მატერიალური დამოკიდებულების სახით.

სავალო კაბალა ეკონომიკური იძულების ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებაა. მასში ადამიანი შეიძლება მოხვდეს ვიზუების მიღების, დანიშნულების ქვეყანაში გადასვლის, კომუნალური ხარჯების დაფარვის და თრეფიქერისთვის ანაზღაურების გადახდის მიზნით ფულის სესხად აღების შემთხვევაში ანდა ასეთი ვალი შეიძლება დადგენილ იქნეს ექსპლუატატორის მიერ მისხვერპლის ნების გარეშე.

მაგალითად, გერმანიაში სამუშაოდ მოსახვედრად, პასპორტის გაფორმების, ვიზის მიღების და სამგზავრო ბილეთების შეძენისთვის ქალმა უნდა გადაიხადოს 5.000 ამერიკულ დოლარამდე. საქართველოში ცოტას თუ მოეძებება ასეთი თანხა, მაგრამ მოიძებნებთან პირები, რომლებიც ფულს პროცენტით გაასესხებენ. ვალის გასასტუმრებლად ქალმა უნდა გადაიხადოს თავისი შემოსავლის 50-დან 60%-მდე.³⁵ თუ სამგზავრო ფული ექსპლუატაციის ადგილამდე შემკრება გადაიხადა, ქალმა ეს ფული უნდა დაუბრუნოს მოვაჭრეს, რომელმაც იგი დანიშნულების ქვეყანაში იყიდა. ამას გარდა, მისხვერპლმა უნდა გაიღოს ხარჯები საცხოვრებელი ოთახისა და ადგილისათვის ბორდელში, სუტენიორის, ადვოკატის, ექიმის ჰონორარი და ა.შ. საბოლოოდ კი იგი მანც მოვალედ რჩება³⁶ და ეს ვალი იზრდება იმის მიხედვით, თუ როგორ დაარცხავს მას პროცენტებს „მებატრონე“, როგორ ამატებს ის ვალის ძირითად თანხას დანახარჯების ოდენობას ქალის საჭიროებისათვის ან ჯარმებს გაუგონრობისთვის, ან როგორ ყიდის ამ ქალს თავის ვალიანად ახალ მებატრონეზე მოგების მიღების საფასურად.³⁷

იაპონიაში, მაგალითად, გაყიდულ ქაღალის ვალის სახით საშუალოდ 35 ათას დოლარამდე უგროვდება. ზოგიერთები კი ამ თანხის 300 ათას დოლარამდე გაზრდას „ახერხებენ“. მისხვერილი იძულებულია დამორჩილდეს, რადგან იცის, თავად კიდევ რომ დაიძალოს, მას ან მისი ოჯახის წევრებს მანც მოუვლით ანგარიშიწორება გადაუხდელი ვალის გამო.

სავალო კაბალას გააჩნია ობიექტური და ტრაგიკული შედეგების გამოხატვის სხვადასხვა ფორმები მაგალითად, რეგისტრირებულია ფაქტები, როცა იმედდაკარგული ადამიანები კრედიტორებთან ანგარიშიწორებისთვის საკუთარ ორგანოებს ყიდდნენ. კერძოდ, აღწერილია შემთხვევა, როცა საქართველოს მოქალაქემ სანკტ-პეტერბურგის ფორმის მუშევრებით ესპანეთში თავისი თირკმელი გაყიდა, რისთვისაც 30.000 ამერიკული დოლარი მიიღო და ვალები გაისტუმრა.

ეკონომიკური დამოკიდებულება შეიძლება წარმოიშვას არა მარტო ვალის (რეალურის ან არარეალურის), არამედ მისხვერილსა და ექსპლუატატორის შორის არსებული გარკვეული მატერიალური დამოკიდებულების საფუძველზე. მაგალითად, როცა ადამიანი არ გააჩნია საარსებო წყაროები და იძულებულია ისარგებლოს ვინმეს საცხოვრისით ან სხვა მატერიალური საკუთრებით, რის სანაცვლოდაც ის იძულებული ხდება შეასრულოს მესაკუთრის მოთხოვნები, რომელიც მისხვერილის მასზე დამოკიდებულებას ექსპლუატაციისთვის იყენებს.

• **იურიდიული დამოკიდებულება.** ასეთი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიქმნას საქონლის კავშირის, სამეურვეო ზედამხედველობის, მშობლებთან ურთიერთობის გაფორმების დროს, რაც მოცემულ საზოგადოებაში არსებული სამართლებრივი და მორალური ნორმებითაა რეგლამენტირებული.

რეგლამენტირებადი ურთიერთობის სახეობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

ა) **ქორწინებაში შესვლით წარმოქმნილი იურიდიული დამოკიდებულება.** მისთვის შემთხვევებში ქორწინება რეგისტრირდება ერთი მეუღლის მიერ მეორის შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით. ერთ-ერთი მეუღლე ხდება დამოკიდებული მეორეზე იმის გამო, რომ სურს დარჩეს ქმრის ან ცოლის საცხოვრებელ ქვეყანაში. როგორც წესი, ასეთი დამოკიდებულება აღმოცენდება, როცა ერთ-ერთი მეუღლეთაგანი სხვა ქვეყნის მოქალაქეა. ახალ საცხოვრებელ ადგილას მეუღლესთან გადასვლის შემდეგ ქალი ხდება იზოლაციაში და იძულებით ექვემდებარება ექსპლუატაციას, რადგანაც იურიდიული დამოკიდებულება გადადის ეკონომიკურში. გარდა ამისა, ქმარს შეუძლია დებორტირებისა და ექსპლუატაციის უცხოელ ცოლის, ვინაიდან, როგორც წესი, მოქალაქეობის მიცემა ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ ხდება.

ანალოგიური სიტუაცია იქმნება, როდესაც ქორწინება ფიქტიურია. ასეთ ქორწინებაში მყოფ ქალს „ქმარი“ გარკვეული დროის განმავლობაში თვითონ იყენებს, ხოლო შემდეგ სექსინდუსტრიაში საექსპლუატაციოდ ყიდას. ზოგიერთი ქვეყნის (მაგალითად, გერმანიის, შვეიცარიის) კანონები უცხოელ ცოლის, მოგრანტი ქალებისაგან განსხვავებით, უფლებას აძლევს მებაფად იმუშაოს. ქორწინების საფარველის ქვეშ ექსპლუატაციისთვის გადაყვანილი ქალი ამდაგვარად შეიძლება მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდეს „ქმარზე“, რომელიც რეალურად შეიძლება კლუმბის მფლობელი ან სუტენორი იყოს.³⁹

ბ) შეიქმნას აყვანისთან, მეურვეობასთან დაკავშირებით აღმოცენებული თურიდიული დამოკიდებულება. ამგვარ დამოკიდებულებაში ხვდებიან არასრულწლოვანები, რომელთა მიმართ გაფორმებულია შეიქმნას ან დადგენილია მეურვეობა იმ პირთა მიერ, რომლებიც ამას აკეთებენ მათი ექსპლუატაციის მიზნით. ბავშვი თავისი ასაკის გამო დედობილ-მამობილზე ან მეურვეზე დამოკიდებული ხდება. ბოლო წლებში საქართველოში გახშირდა ბავშვების არაკანონიერი გაშვილებისა და მათი საზღვარგარეთ გაყვანის შემთხვევები. ზოგჯერ ამგვარი გადაყვანა ხორციელდება იმ მიზნით, რომ შემდგომში არასრულწლოვანი გაყიდონ საზღვარგარეთ საშვილებლად. „საბავშვო“ ბიზნესის არა მარტო მილიონები მოქაქეს, არამედ დასავლეთში ამით გადასახადების გადახდასაც აღწევენ თავს და კრიმინალური ფულის ლეგალიზაციას ახდენენ. მაგალითისთვის, გაშვილების რუსული ბაზრის პოტენციური შეადგენს ერთ მილიარდ დოლარს წელიწადში და ჩრდილოვანი ბაზრის ეს შემოსავლები მუდმივად იზრდება.“

• მონობა. კრიმინალური ექსპლუატაციის განსაკუთრებული ხერხი და მისი ყველაზე საშიში ვარიანტი არის მონობა. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ოქმის დეფინიციაში მონობა განიხილება, როგორც თრეფინინგის მაკვალფიცირებული ნიშანი. მონობის, როგორც კრიმინალური ექსპლუატაციის იძულების მეთოდის თავისებურება ვლინდება იმაში, რომ ოგი სუფთა სახით არ არსებობს. მონობა გულისხმობს, რომ ადამიანი ექსპლუატატორზე სრულად და აბსოლუტურად დამოკიდებული ხდება. მსხვერპლს აიძულებენ დაექვემდებაროს კრიმინალურ ექსპლუატაციას, ამყოფებენ იზოლაციის პირობებში, მთლიანად აკარგავენ მის შესაძლებლობას შეცვალოს თავისი მდგომარეობა (მაგალითად, დასახმარებლად მიმართოს სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს ან სხვა პირებს). მსხვერპლი მთლიანად სხვის ნებას ემორჩილება და „პატრონის“ ხელში ნივთად იქცევა.

თრეფინინგის მოცემული სახეობა სუფთა სახით არ არსებობს, ვინაიდან წარმოდგენს ექსპლუატაციის ყველაზე მეტად კრიმინალურ ფორმას და ჩვეულებრივ, გამოიყენება ეთნიკური კონფლიქტების და ლოკალური ომების ზონებში, ანუ იმ ტერიტორიებზე, რომლებიც არ ექვემდებარებიან ლეგალური სახელმწიფო სტრუქტურების თურმადიქციას, როგორც წესი, მონობის დროს მსხვერპლს მეტი სიმკაცრით ექცევიან და მის მიმართ ფიზიკური ძალადობაც უკიდურესი ზომებით ვლინდება. ჩვეულებრივ, ასეთი მონის სიცოცხლე არაფრად ფასობს და თუ შეპატრონე მის ყოლას ეკონომიკურად მიზანშეუწონლად ჩათვლის, ფიზიკურად ანადგურებს მას. მონობის მაგალითები საკმაოდ ბევრია კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც. მაგალითად გამოდგება რუსეთის მოქალაქე, რომელიც მრავალი წელი იმყოფებოდა ჩინების მონობაში პანკისის ხეობაში და ახლახან გათავისუფლდა.

თრეფინინგის პროცესში არჩევენ ადამიანების ექსპლუატაციის შემდეგ სახეობებს:

• შრომის ექსპლუატაცია ასეთ დროს ადამიანს აიძულებენ თავისი ქმედება მიმართოს რაიმე პროდუქციის შექმნაზე ან ამა თუ იმ სახის მომსახურების გაწევაზე. შრომის ექსპლუატაცია შესაძლებელია როგორც კანონიერი, ასევე დანაშაულებრივი ბიზნესის სფეროში. იმის მიხედვით თუ რამდენად არის კანონით

რეკლამენტრებული საქმიანობის სფერო, რომელშიც ხდება შრომის ექსპლუატაცია, შეიძლება გამოიყოს შრომის ექსპლუატაციის შემდეგი ქვესახეობები:

ა) კანონიერი შრომის ექსპლუატაცია.

მოცემულ შემთხვევაში ადამიანის შრომა გამოიყენება კანონმდებლობით დაშვებული საქმიანობის სფეროში — დაწყებული რაიმე სამრეწველო საქონლის წარმოებიდან, დამთავრებული სხვადასხვა სახის მომსახურებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

შრომის მნაარსის მიხედვით, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს შრომის ექსპლუატაციის რამდენიმე ნაირსახეობა:

- ფიზიკური შრომის ექსპლუატაცია;
 - ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია;
- ფიზიკური შრომის ექსპლუატაციის დროს გამოიყენება ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობა, შეასრულოს გარკვეული სამუშაო ან აწარმოოს გარკვეული მომსახურება. იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში გამოიყენება ფიზიკური შრომა, შეიძლება გამოიყოს:

- შრომის ექსპლუატაცია სექსუალურ სფეროში;
- შრომის ექსპლუატაცია საყოფაცხოვრებო სფეროში;
- შრომის ექსპლუატაცია წარმოების სფეროში.

სექსუალურ სფეროში შრომის ექსპლუატაცია დაკავშირებულია ადამიანის სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან. არსებობს სექსუალური ბიზნისის გარკვეული სახეობები, რომელთაც კანონმდებლობა არ კრძალავს. მაგალითად, სტრეპტიზმარში მოცეკვავედ მუშაობა, მეძავეობა იმ ქვეყნებში, სადაც მოცემული საქმიანობა არ არის აკრძალული, აგრეთვე სექსუალური მოთხოვნების დაკმაყოფილების სხვა სახეები, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის კანონით არ იღვევება. მსხვერპლს სხვადასხვა საშუალებით აიძულებენ შეასრულოს ასეთი სამუშაო ან აწარმოოს ამგვარი მომსახურება.

გარდა ამისა, ადამიანის შრომა შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ყოფით სფეროში, რაც გულისხმობს ან პირადად ექსპლუატატორის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ან გარკვეული სამსახურის გაწევას სხვა ადამიანებისათვის.

იმის მიხედვით თუ რისთვის ხდება შრომის ექსპლუატირება — ექსპლუატატორის პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად თუ მის მიერ მოგების მისაღებად — შეიძლება გამოიყოს:

- შრომის ექსპლუატაცია საშინაო მომსახურების სფეროში;
 - შრომის ექსპლუატაცია საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში;
- პირველ შემთხვევაში შრომა გამოიყენება ექსპლუატატორის საშინაო მეურნეობაში. მაგალითად, სამუშაოების წარმოება ბაღში, მიწდორში, სახლის დალაგება, საჭმლის მომზადება, პირადი მომსახურება. ამ დროს შრომა მიმართულია ექსპლუატატორის და მისი ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მსხვერპლის შრომას ექსპლუატატორი მოგების მისაღებად იყენებს. ექსპლუატირებულის მოვალეობაში შედის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ისეთი საქმიანობა,

როგორცაა იატაკქვეშა სააპქროში (ფორმაში) სამრეწველო საქონლის რემონტი მოცემული საქმიანობა მიმართულია არა ახალი პროდუქციის წარმოებისკენ, არამედ არსებულის გადამუშავებისა და შეცვლისკენ.

ადამიანის იძულებითი შრომის გამოყენება შესაძლებელია საქონლის წარმოების სფეროშიც. მაგალითად, მსხვერპლის დასაქმება სხვადასხვა (ფართო მოხმარების საქონლის მწარმოებელ, ტანსაცმლის კერვის და ა. შ.) იატაკქვეშა სააპქროებში.

ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციის დროს გამოიყენება ადამიანის გონებრივი შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნების უნარი, შემოქმედებითი ნიჭი. ამ სახის ექსპლუატაციას იშვიათად მიმართავენ, მაგრამ მას უჭველად უნდა ჰქონდეს ადგილი შრომის ექსპლუატაციის სახეობათა კლასიფიკაციაში კანონიერების ფარგლებში ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია შეიძლება გამოიხატებოდეს ადამიანის იძულებაში, თავისი ინტელექტუალური ნიჭით სამსახური გაუწიოს ექსპლუატატორს, რომელზეც არის დამოკიდებული. ექსპლუატაციის ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა რუსეთში, როდესაც სტუდენტმა ქიმიკოსებმა გამოიგონეს სინთეზური ნარკოტიკი და აღმოჩნდნენ რა აზერბაიჯანული მაფიის ხელში, იძულებულნი გახდნენ შეესრულებინათ კრიმინალების მოთხოვნები.

ბ. შრომის ექსპლუატაცია დანაშაულებრივი სფეროს ბიზნესში.

მოცემულ შემთხვევაში ადამიანის შრომა გამოიყენება დანაშაულებრივი ბიზნესის სფეროში, ანუ ისეთ საქმიანობაში, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას. დანაშაულებრივ ბიზნესში საქმიანობის სფეროები სახეობების მიხედვით თანხვედება კანონიერი შრომის საქმიანობის სფეროებს, მაგრამ მას მინც აქვს თავისი სპეციფიკა.

ასე მაგალითად, ფიზიკური შრომის ექსპლუატაციის სფეროში შეიძლება გამოვეყოთ:

- მონაწილეობა სამხედრო ფორმირებებში. (როგორც წესი, ამ სახის ექსპლუატაციას ექვემდებარებიან მამაკაცები, რომლებსაც აიძულებენ მონაწილეობა მიიღონ შეიარაღებულ კონფლიქტებში, ტერორისტული აქტების მოწყობაში და სხვა მსგავს უკანონო ქმედებებში, სადაც გამოიყენებას ექვემდებარება მსხვერპლთა ფიზიკური შესაძლებლობები);
- შრომის ექსპლუატაცია სექსუალურ სფეროში შეიძლება განხორციელდეს პორნობიზნესში მსხვერპლის ჩათრევით (მსხვერპლის გამოყენება პორნოპროდუქციის წარმოებაში. მაგალითად, უცხოეთში გადაყვანილ გოგონებს აიძულებენ პორნოფილმებში ან პორნოჟურნალებში გადაღებას), ასევე რეალური სექსუალური მომსახურებით (პროსტიტუცია).
- შრომის ექსპლუატაცია არაკანონიერი პროდუქციის წარმოების და არაკანონიერი მომსახურების სფეროში (ამ შემთხვევაში გამოიყენება ადამიანის იძულებითი შრომა ისეთი საგნების და საქონლის წარმოებისთვის, რომელიც არ ექვემდებარება ლეგალურ ბრუნვას. ასე მაგალითად, შრომის ექსპლუატაცია სხვადასხვა იატაკქვეშა სააპქროებში ნარკოტიკების წარმოებისა და გადამუშავებისთვის, ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელების, იარაღის წარმოებისათვის და ა.შ.);
- შრომის ექსპლუატაცია კონფიდენციალური მასალების შეგროვების, კონკურენტების და არასასურველი პირების დისკრედიტაციის ან სულაც მათი თავიდან მოცილების

მიზნით. ასეთ სპეციფიკურ მომსახურებას ახორციელებენ მექავეები, რომლებსაც იყენებენ გასაიდუმლოებული ინფორმაციების მოსაპოვებლად, ამა თუ იმ პირის მონაწილეობით სექსუალური სცენების ფარული ვიდეოგადაღებების საწარმოებლად მოცემულ პირზე სახელის გამტეხი ინფორმაციის შეკრებისა და მისი შემდგომი დაშანტაჟების მიზნით. კალინინგრადში (რუსეთი) ეგზოტიკური ექსპლუატაციის მისვერბლნი გახდნენ შიდასი დაგადებული მექავეები, რომლებიც გამოიყენეს როგორც „ბიოლოგიური იარაღი“ და სქესობრივ პარტნიორებად შეპარეს თავიანთ კონკურენტებს, ხოლო შემდგომში ამ უკანასკნელთ უკურნებელი სენით მათი შესაძლო დაგადების შესახებ აცნობეს.

დანაშაულებრივი ბიზნისის სფეროში ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაციის მაგალითად გამოდგება სწავლულის იძულება შეიმუშაოს ახალი ნარკოტიკული საშუალება.

3. ადამიანის, როგორც დონორის, ან კომერციული რეპროდუქციის მიზნით ექსპლუატაცია

შრომის ექსპლუატაციის გარდა, შესაძლებელია აგრეთვე ადამიანის ორგანოების და მისი რეპროდუქციული ფუნქციის კომერციული გამოყენება. შეიძლება გამოყვით ამგვარი ექსპლუატაციის შემდეგი სახეები: ორგანოების ტრანსპლანტაცია, კომერციული შვილოსნობა და სუროგატული დედების გამოყენება.

ტრანსპლანტაცია – ეს არის ადამიანის ორგანოების სხვა ადამიანისათვის გადაწერვა. თანამედროვე მედიცინას შეუძლია ჩაატაროს ასეთი ოპერაციების საკმაოდ ფართო ჩამონათვალი – გულის, თირკმლის, ღვიძლის, თვალის რქოვანას და სხვათა გადაწერვა. ხშირად ღუჭირი ცხოვრების გამო ადამიანები იძულებულნი ხდებიან თავისი ორგანოები სხვებს მიყიდონ და ვაჭრები სარგებლობენ რა მათი ვაჭირებული მდგომარეობით, ამ პროცესის თავიანთი შემოსავლების წყაროდ აქცევენ. მისვერბლს იძირებენ საზღვარგარეთ საშუაოს შოვნის დაპირებით და შემდეგ აიძულებენ ამა თუ იმ ორგანოს ჩაღის ფასად (დაახლოებით მომხმარებლის მიერ გადახდილი საფასურის 3%-ად) გაყიდვას. ზოგჯერ ადამიანს პირდაპირ აძლევენ წინადადებას გაყიდოს თავისი რომელიმე ორგანო. ღარიბებისთვის საკუთარი ორგანოები ზოგჯერ ერთადერთი საქონელია, რომლის გაყიდვაც მათ შეუძლიათ, რათა ოჯახი უზრუნველყოს.

კომერციული შვილოსნობა წარმოადგენს ქალის ფიზიოლოგიური უნარის – რეპროდუქციის – გამოყენებას კომერციული მიზნებისათვის. ქალის ორგანიზმი გამოიყენება საორსულოდ და საშობობაროდ. ამის შემდეგ ბავშვი ხვდება სხვის ხელში, რომელიც მას ყიდის გასაშვილებლად ან სულაც მისი ორგანოების სატრანსპლანტაციოდ გამოყენების მიზნით. ამგვარი სიტუაცია შესაძლებელია, როცა, მაგალითად, საზღვარგარეთ გადაყვანილ ქალს ართმევენ თავისუფლებას და იზოლაციაში მყოფს აიძულებენ მუცლით ატაროს ბავშვი. ცნობილია რამდენიმე შემთხვევა, როცა რუსეთიდან ფეხშიმე ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიყვანეს ახალშობილების შემდგომი გაშვილების მიზნით. გაშვილების ასეთი ვარიანტი ერთიანად ხშირია რამდენიმე პრობლემას: ბავშვი დაბადებისთანავე ხდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, რითაც ხდებოდა შვილად აყვანის პროცესის მთელი რიგი ფორმალუბების თავიდან აცილება. მაგრამ ასეთი დედის

„მომსახურების“ კომპენსაცია, ჩვეულებრივ, მცირე იყო. საზღაურის ძირითად ნაწილს ისაკუთრებდნენ „შუამავლები“, რომლებმაც იმოყვით ქალი, გაუფორმეს სამეზავრო დოკუმენტები, ჩაიყვანეს დანიშნულების ქვეყანაში. ზედამხედველობა გაუწიეს ორსულობის, მშობიარობის და მისი შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას. თრეფიქინგის ამგვარი მეთოდი აღწერილი იყო უნგრეთში, სადაც პოლიციამ გამოავლინა მთელი იატაკქვეშა ქსელი, რომელიც დაკავებული იყო ჯერ კიდევ არდაბადებული ბავშვის გაყიდვით, ძირითადად, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადაში. დაფიქსირებული იყო 100-ზე მეტი ასეთი შემთხვევა, ხოლო უცხოეთში ფეხმძიმე ქალების გადაყვანის აწყობილი მექანიზმი 3 წელზე მეტხანს ფუნქციონირებდა.⁴¹

არსებობს კიდევ ექსპლუატაციის განსაკუთრებული ფორმა,
• როდესაც ქალის საშვილოსნოში შეყავთ სხვა ქალის ჩანასახი და პირველი მათგანი მუცლით სხვის ბავშვს ატარებს. ეს ე.წ. სუროგატული დედობაა. ექსპლუატაციის ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელი შეიქნა თანამედროვე მედიცინის განვითარების შედეგად. მას მიმართავენ მაშინ, როდესაც რომელიმე ქალს არ შეუძლია, ან არ სურს 9 თვის განმავლობაში ბავშვის მუცლით ტარება და ამ მიზნითვის სოლიდური კომპენსაციის ფასად სხვის საშვილოსნო ორგანოებს იყენებს. სუროგატული დედობისათვის, პრაქტიკულად, გამოსადეგია ნებისმიერი ჯანმრთელი ქალი, რაც კრიმინალურ ბიზნესის ფართო შესაძლებლობებს უხსნის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არგველარებს ადამიანებით ვაჭრობის ისეთ ტრადიციულ ფორმებს, როგორცაა: თავისუფლების არაკანონიერი აღკვეთა (143-ე მუხლი); არასრულწლოვანებით ვაჭრობა (172-ე მუხლი) და მოქმედი კოდექსის ზოგიერთი სხვა შემადგენლობა (134-ე, 135-ე, 150-ე, 180-ე, 201-ე, 192-ე, 253-255-ე მუხლები). აღნიშნული მუხლები არ მოიცავენ „ადამიანებით ვაჭრობის“ ცნების მთლიან შინაარსს. არც ერთი მითითებული მუხლი არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ტრანსნაციონალური საქმიანობისათვის, რომელსაც მოიცავს პალერმომი 2000 წელს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის მიერ მოწოდებული თრეფიქინგის დეფინიცია.

ასე მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად, სუბიექტს პასუხისმგებლობა ეკისრება საიდუმლოდ, ღიად ან მოტყუებით მსხვერპლის ხელში ჩადების შემთხვევაში. მაგრამ „ადამიანებით ვაჭრობის“ ცნების შინაარსში ჩართულია ისეთი შემთხვევებიც, როცა მომავალი მსხვერპლი ქვეყნიდან ნებაყოფილობით მიემზავრება მაშინაც, როდესაც გათვალისწინებული აქვს კრიმინალური ექსპლუატაციის მსხვერპლად ქცევის ალბათობა. არის შემთხვევები, როდესაც ქალს საზღვარგარეთ დამლაგებლად, ოფიციატად, შინამოსამსახურედ, გამყიდველად ან მოცეკვავედ მუშაობას სთავაზობენ, ის ნებაყოფლობით მიემზავრება უცხოეთში, მაგრამ იქ მას პროსტიტუციაში აბამენ. მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შემთხვევებში სახეზეა მოტყუების და ძალადობის ფაქტები, საქართველოში არც ერთი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა, ვინაიდან მოცემული ქმედებები ძნელად დასამტკიცებელია და მათ შესახებ იშვიათად ხდება ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის. არსებობს მსოლოდ ობერატული მონაცემები გარკვეული ფორმების

შესახებ, რომლებიც ექვემდებარებიან არაანადამიანების რეკრუტაციასა და საზღვარგარეთ შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით მათ გადაყვანაში.

მონებით ვაჭრობას არ შეიძლება მიეცეს კვალიფიკაცია საქართველოს სისხლის სამართლის 253-ე მუხლითაც, რომელშიც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადამიანების პროსტიტუციაში ჩათრევისათვის ძალადობის, დაშინების ან მოტყუების გზით, ვინაიდან მსხვერპლი უფრო ხშირად ნებაყოფლობით მიემგზავრება უცხო ქვეყანაში და შემდეგ ხდება ძალადობის მსხვერპლი. ამას გარდა, დაზარალებულების მიმართ იყენებენ ფსიქოლოგიურ შანტაჟს, რაც ზღუდავს მათ შესაძლებლობას, მიმართონ პოლიციას ადგილისამყოფელის მიხედვით. სამარცხვინო ფაქტების განხილვის შემთხვევაში არც თავის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ცდილობენ საკუთარი უფლებების დაცვას, მათ ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ აქცევენ.

საგამომიებო პრაქტიკის თვალთახედვით, თრეფიქინგის ფაქტების გამოძიებისას საკმაოდ სირთულეს წარმოადგენს დანაშაულებრივი ჩანაფიქრის დამტკიცება ადამიანის გაყიდვის და ექსპლუატაციის მიზნით მისი საზღვარგარეთ გადაყვანის შესახებ, რადგანაც თრეფიქერების დანაშაულებრივი განზრახვა უმეტეს შემთხვევაში საქართველოს ფარგლებს გარეთ ვლინდება, ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე დაწყებული კონკრეტული მოქმედება (ადამიანების შეკრება და მათი სხვა ქვეყნებში გადაყვანა), დანაშაულად (გაყიდვა და ექსპლუატაცია) მხოლოდ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ანუ ქართული კანონების თურისდიქციის ფარგლებს გარეთ იქცევა. აქედან გამომდინარეობს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების პასიურობა. ისინი პრაქტიკულად უძღუნენ არაანადამიანებს თრეფიქინგს სპეციალური კანონმდებლობის და სხვა ქვეყნების ძალაგან სტრუქტურებთან ურთიერთმოქმედების გარეშე. უდავოა, მოცემულ პროცესს აქვს ტრანსნაციონალური ხასიათი, მაგრამ ნაციონალური კანონმდებლობის მიერ ამ პროცესის ცალკეული ეტაპის რეგლამენტაციის გარეშე, ბრინცაში, შეუძლებელია თრეფიქინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ მსხვერპლთა უმრავლესობა დანიშნულების ქვეყანაში არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფება. ისინი თვითონ გაურბიან კონტაქტს ხელისუფლების წარმომადგენლებთან და უარს ამბობენ მათთან თანამშრომლობაზე (არააშეიათად ვაჭრობის მხრიდან შურისძიებ ისი შინით), არასოდეს ასახელებენ თავიანთი გადამბრუნების გინაობას, რის გამოც არსებითად რთულდება მტკიცებულებების შეგროვების პროცესი.

თრეფიქინგის მსხვერპლთა შორის ხშირად გვხვდებიან არასრულწლოვანებიც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა არასრულწლოვანთა ყიდვა-გაყიდვაზე, ან მათ მიმართ სხვა გაროებებზე. მოზრდილთაგან განსხვავებით, არასრულწლოვანები თითქოსდა დაცულნი არიან ვაჭრობისა და შემდგომი ექსპლუატაციისაგან, მაგრამ ამ მუხლის მოქმედების არც ძალზე შეზღუდულია, რადგანაც მოცემული დანაშაულის სუბიექტი „წარმომადგენს ბიძის, რომლის განკარგულების და კონტროლის ქვეშ იმყოფება არასრულწლოვანი ესენი შეიძლება იყონ: მშობლები, შვილად ამყვანები, მეურვეები, სამედიცინო ან ბავშვთა დაწესებულებების თანამშრომლები.“ ამროვად, წრე სუბიექტებისა, რომლებიც პასუხს აგებენ არასრულწლოვანთა მიმართ სხვადასხვა

გარეგნულად, მეტად ვიწროა. კანონით არ არის გათვალისწინებული სიტუაცია, როცა არასრულწლოვანი ყიდის ბირი, რომელსაც არაფერი აქვს მასთან საერთო, ან როცა არასრულწლოვანი იყიდება შუამავლის მეშვეობით.

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლიც სრული მოცულობით ვერ წყვეტს არასრულწლოვანებით ვაჭრობის პრობლემას.

§5. ტერორიზმი

1. ტერორიზმის ცნება

უკანასკნელ წლებში, როგორც ეს რიგ საექსპერტო ნაშუქვრებში აღინიშნა, მოსალოდნელია ტერორისტული ხასიათის ნიშნების მქონე დანაშაულის გლობალური აფეთქება, მოსახლეობაში სამართალდამრღვევების მიმართ შიშის გაძლიერება და საზოგადოების გულგრილობის ზრდა ამ დანაშაულისადმი.

ტერორიზმი, ეს საშიში სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენდა, დღეს თანამედროვე ცხოვრების თითქმის ყოველდღიურ რეალობადაა გადაქცეული ამ ფაქტს წინ არაერთი მიზეზი უძღვის. იმ პირობებში, როდესაც დამსხვრეულია სტერეოტიპები პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სამართალში, სოციალურ და სხვა სფეროებში, სახელმწიფომ და საზოგადოებამ დაკარგა უწინდელი, ათეულობით წლების მანძილზე გამომუშავებული მოწესრიგების მექანიზმები და კონსტიტუციური ურთიერთობების დარეგულირების უნარი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენენ სახელმწიფოს საფუძვლებზე და საზოგადოების წყობაზე. ფაქტურად გაუფასურებულია საზოგადოების ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორცაა პატრიოტიზმი, მოვალეობის გრძნობა, ზნეობრიობა, ინტერნაციონალიზმი.

ტერორიზმი საკმაოდ სერიოზული პრობლემაა დღეს და კიდევ უფრო მნიშვნელოვან საშიშროებას წარმოადგენს მომავლისათვის.

60-ანი წლების ბოლოდან მან სრულიად შემაშფოთებელი მასშტაბები მიიღო:

- 1970 - 1985 წწ. ევროპაში ჩადენილია დაახლოებით 3.000 ტერორისტული აქტი, ლათინურ ამერიკაში - 1573, ახლო აღმოსავლეთში - 1.330, ჩრდილოეთ ამერიკაში - 448;
- 1986 წლიდან დღემდე ტერაქტების რაოდენობის ზრდამ შიოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში 50-60 პროცენტი შეადგინა.

ტერორისტული აქტებისათვის მზადება დროთა განმავლობაში სულ უფრო იხვეწება, რაც, საბოლოოდ, მიზნის 90%-მდე მიღწევას უზრუნველყოფს. მკვეთრად იზრდება ტერორისტული ორგანიზაციების შიდა დისციპლინა; სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და კოორდინირებას უწევენ თავის ქმედებებს.

ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, რომელიც უმოკლეს ვადებში მოითხოვს ქმედითი ღონისძიებების გატარებას როგორც მეცნიერების, ასევე პოლიტიკოსების და სამართალდამცავების მხრიდან.

ტერორიზმის პრობლემისადმი ერთიანი მიდგომის გამოხატვა 30 წელზე მეტია რაც გრძელდება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არ არსებობს მისი ერთიანი

განმარტება, საბოლოოდ არაა დაზუსტებული, თუ რას გულისხმობს ტერორიზმი, რა ქმედებები თუ ინციდენტები უნდა მივაკუთვნოთ ტერორისტულ აქტებს.

თუ გაეანალიზებთ ტერორიზმის განმარტებებს, რომლებიც მოწოდებულია ამა თუ იმ ავტორისა თუ სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ან კონვენციებშია მოყვანილი, შეგვიძლია გამოვყოთ მისი ყველაზე გავრცელებული ვარიანტები ადამიანის უფლებების შესახებ ლექსიკონში ტერორიზმი და საერთაშორისო ტერორიზმის აქტები განმარტება შემდეგნაირად:

ტერორიზმი ეს არის არაერთგზის ძალადობრივი ქმედება, განხორციელებული იმ პირის (პირთა ჯგუფის) მიერ, რომელიც იმყოფება არალეგალურ (ნახევრად ლეგალურ) მდგომარეობაში ან იმ პირებისა თუ დაჯგუფებების მიერ, რომლებიც მოქმედებენ რომელიმე სახელმწიფოს სახელით, რომლისთვისაც მიუღებელია ესა თუ ის პოლიტიკური, სამართლებრივი ან რაიმე ზოგადი მოვლენა. ძალადობა არ არის ტერორიზმის მთავარი მიზანი. ჩვეულებრივი პოლიტიკური განზრახ მკვლევლობისაგან განსხვავებით, ტერორისტული აქტის დროს ადამიანები შემთხვევით თუ გამორჩევით (როგორც ე.წ. წარმომადგენლები ან სიმბოლოები) ხდებიან უშუალოდ ძალადობის მსხვერპლნი. ტერორისტული აქტი უბრველეს ყოვლისა, წარმოდგენს, ასე ვთქვათ, ერთგვარ „გზავნილს“, მინიშნებას, ტერორისტების ურთიერთობა მსხვერპლთან (რომლის სიცოცხლისაც საფრთხე ეშუქრება) და საზოგადოებასთან ემყარება მუქარასა და ძალადობას. ამით ტერორისტები ზეგავლენას ახდენენ აუდიტორიაზე, რომელიც ტერორის ძირითად სამიზნედ იქცევა („მოთხოვნების სამიზნედ“ ან „ყურადღების სამიზნედ“, იმისდა მიხედვით, თუ რა საშუალებები გამოიყენება – დაშინება, ძალადობა თუ პროპაგანდა). ტერორიზმი იკვებება მოუღებელი ფასიულობების სისტემით, გააჩნია ქცევის მორალური კოდექსი, დაფუძნებული უხეშ ძალადობაზე. მისთვის ტიპურია საომარი ქმედებების მსგავსი აქციების განხორციელება, მოქალაქეებზე განზრახ თავდასხმა, მძევლების აყვანა, ტუსაღების მკვლელობა და სხვ. შესაბამისად, ტერორისტული აქტი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სამხედრო დანაშაულის ანალოგი მშვიდობიან დროს, ომის დროს კი ის განიხილება მხოლოდ როგორც სამხედრო დანაშაული.

საერთაშორისო ტერორისტული აქტები მოიცავენ (თუმცა არ შემოიფარგლებიან) სისასტიკეს, უაზრო მკვლევლობებს, მძევლების აყვანას, თვითმფრინავების გატაცებას, გამოძალავას, წამებას ან მუქარას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად როგორც საომარ, ასევე მშვიდობიან დროს, თუ ისინი მიმართულია:

1. ნებისმიერი უცხო ქვეყნის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ;
2. ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან;
3. თუ მსგავსი აქტებს ახორციელებს პირი, რომელიც კვეთს მისი გადაცემის (ექსტრადიურების) მომთხოვნი სახელმწიფოს საზღვარს.

პრაქტიკულად ყველა მკვლევარი ტერორიზმის ძალადობასთან აოგივებს, მაგრამ მას განმარტავს ვიწროდ, როგორც მუქარას ან ძალადობის გამოყენებას ცალკე პირის

ან პირთა ჯგუფისათვის ფიზიკური ზიანის მიყენების მიზნით, თუმცა ამ ტერმინს უფრო ფართო დეფინიცია აქვს; მასში ერთიანდება თავისუფლების აღკვეთაც და ადამიანის უფლებების დარღვევაც. ეს უკანასკნელი კი ძალზე გავრცელებულია. ასე მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ტერორისტული აქტები მოიცავენ სიცოცხლის განზრახ ხელყოფას, პიროვნების ხელშეუხებლობის ხელყოფას, ადამიანის გატაცებას ან მის განზრახ უკანონო დაკავებას, თვითმფრინავის გატაცებასა და სხვ.

ტერორიზმი — ძალის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის — ძალადობის სპეციფიკური ფორმაა. ტერორიზმის ამგვარ განმარტებას ეთანხმება სპეციალისტების უმრავლესობა, რადგან ის აიოლებს ტერორიზმისა და ჭეშმარიტი სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც გამოიკვეთა ტერმინი „სისხლის სამართლის ტერორიზმი“, რაც სისხლის სამართლის დანაშაულებს მიერ ტერორისტული აქტების ჩადენას გულისხმობს. მაგალითად, როდესაც მაფია ამა თუ იმ აქტს ახორციელებს სახელმწიფოსაგან გარკვეული დამთმობების მიღების, მთავრობისა და ხალხის დაშინების მიზნით და სხვ. ასეთი სახის ტერორიზმი ბოლო წლებში განსაკუთრებულად ვახშორდა კოლუმბიაში. მან გავრცელება ჰოვოა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც. აღნიშნული მოვლენის ახალი ტალღის განვითარების წინაპირობა მოიცავს ავღანეთის ომს თავისი შედეგებით, ნაციონალისტური და ანარქისტული გამოვლინებების გააქტიურებას, რომელთაც თან ერთვის შეიარაღებული ძალადობის გამოყენების სურვილი.

ყველა ავტორი, რომელიც იძლევა „ტერორიზმის“ დეფინიციას, აღნიშნავს, რომ ტერორისტული აქტი, უშუალოდ მსხვერპლისათვის ზიანის მიყენების გარდა, გათვლილია გარკვეულ ფსიქოლოგიურ ეფექტზე, დანერგოს შიში, შექმნას საშიშროება ადამიანთა ფართო წრისათვის (გაეხსენოთ მოსკოვის მოვლენები (1999 წ. სექტემბერი), გამოიწვიოს საზოგადოებრივი რეზონანსი, რაც, თავის მხრივ, ტერორისტებს უქმნის ძლევამოსილებს იმიჯს, ააშკარავებს თითოეული ადამიანის დაუცველობას და მთავრობის უსუსურობას. ამასთან, ტერორისტები მიმართავენ თვითრეკლამასაც სენსაციაზე მონადირე მასმედის მეშვეობით.

ტერორიზმი ბრძოლის განსაკუთრებული მეთოდია, ამიტომ ამა თუ იმ აქტის ტერორისტულიათვის მიკუთვნება უნდა მოხდეს ქმედების ტიპის საფუძველზე, დანაშაულის მოტივისა და სუბიექტის მოუხდავად. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტერორიზმის სოციალური საშიშროება. ხანგრძლივი ისტორიის მქონე ტერორიზმი, დღევანდელ დღეს სხვადასხვა სახეობებით წარმოგვიდგა. წინა ასწლეულის ბოლოდან ტერორიზმის მოტივებმა, სტრატეგიამ და იარაღი მკვეთრად შეიცვალა. დღევანდელი ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის საჭიროა სამი პირობა:

1. ფულის, იარაღისა და ფეთქებადი ნივთიერებების მოპოვების შესაძლებლობა;
2. სამხედრო საქმის ცოდნა და თანამონაწილეთა გაწვრთნის შესაძლებლობა;

3. საიქედო თავშესაფრის არსებობა; მასში ოგულისხმება ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორისტებს თავისი ქვეყნის გარეთ და ოყენებენ მათ პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად.

შეიძლება გამოიყოს ტერორიზმის რამოდენიმე სახეობა:

- კრიმინალური;
- პოლიტიკური;
- ეთნიკური;
- რელიგიური;
- იდეალისტური;
- სოციალური.

ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ტერორიზმი საშიშია იმით, რომ მიმართულია არა გენერლების, პოლიტიკოსების, მღვდლებისა და სხვათა, არამედ მთელი საზოგადოების წინააღმდეგ . ჩვეულებრივ, ტერორისტს დამნაშავეის პასუხისმგებლობა გადააქვს მისი ნაციონალიზმის, რწმენის თუ პოლიტიკური მიმდინარეობის ყველა წარმომადგენელზე. საკანონმდებლო და იდეოლოგიური პრაქტიკა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არ ყოფს ტერორიზმს შემაღენელ ნაწილებად; როგორი მოტივიც არ უნდა ჰქონდეს ტერაქტს, ის დანაშაულებრივია. ამასთან ტერორიზმთან მებრძოლი საერთაშორისო ორგანიზაციები გამოყოფენ ტერორისტული მოღვაწეობის რამდენიმე სახეობას. შესაბამისად, შედეგების შეფასება და ტერორისტების მიმართ დამოკიდებულება ურთიერთგანსხვავებულია. ისრაელის ტერორიზმთან ბრძოლის ინსტიტუტი ტერორიზმის სამ სახეობას გამოყოფს:

საერთაშორისო ტერორიზმი – დანაშაულის ჩადენის ადგილის მნიშვნელობა არა აქვს; ტერორისტული ჯგუფი შედგება სხვადასხვა ეროვნებისა და მრწამსის მქონე პირებისგან; ბრძოლის ობიექტებს წარმოადგენენ ან პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები, ან საერთაშორისო ორგანიზაციები, ინსტიტუტები, შეთანხმებები; ტერორისტული მოღვაწეობა ფინანსდება აქტის ჩადენის ტერიტორიის მიმართ უცხო სახელმწიფოების, ორგანიზაციების ან კერძო პირების მიერ, რომლებიც არ არიან იმ ქვეყნის რეზიდენტები, სადაც მოღვაწეობს ჯგუფი.

შიდა ტერორიზმი – ტერორისტულ აქციებს ჯგუფი აწეობს თავისი ქვეყანაში; ტერორისტული ჯგუფი შედგება, როგორც წესი, ერთი ქვეყნის, ნაციონალიზმის, რელიგიის წარმომადგენლებისგან; ბრძოლის ობიექტს წარმოადგენს ქვეყნის პრობლემები.

ობიექტური ტერორიზმი – ტერორისტული აქტების ჩადენა ხდება გარკვეული ობიექტების მიმართ, რომლებსაც საშიშად ან მავნედ მიიჩნევენ. მაგალითად, ანტიაქტური ტერორიზმი, ეკოლოგიური ტერორიზმი და სხვ.

გვფ გამოყოფის ტერორიზმის ისეთ სახეობას, როგორცაა დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც იღებს ტერორიზმის ფორმას. მას მიეკუთვნება მუამბოზების ტერორისტული ქმედებები კოლონიური მხარის ობიექტების – პოლიციელების და სამხედროების მიმართ. თუმცა, გვფ-ს ანგარიშში აღინიშნება, რომ სამოქალაქო პირებისათვის ზიანის მიყენების ან უდანაშაულოთა წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევაში ბრძოლის ეს ფორმა შეიძლება შეფასდეს როგორც ტერორიზმი.

თანამედროვე ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს არა კონკრეტული პირების ხელყოფა, არამედ განურჩევლად განხორციელდეს მასობრივი მკვლელობები. იშლება ზღვარი ქალაქის ტერორიზმისა და მის სხვა ფორმებს შორის. ყოფილ საბჭოთა კავშირში, ლათინურ ამერიკასა და შიოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ხშირად შეუძლებელია განვასხვავოთ პოლიტიკური ტერორიზმი ნაციონალური და საერთაშორისო კრიმინალური სტრუქტურების აქციებისაგან.

ტერორის მსხვერპლი ხშირად სრულად უდანაშაულო ხალხია. ბოლო დროს ამ დანაშაულის ობიექტთა რაოდენობამ აღმაშფოთებელ ციფრებს მიაღწია. მაგალითად არ შეიძლება არ მოვიყვანოთ აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი საზარელი ტერაქტი, როდესაც დაინგრა სავაჭრო ცენტრის ორი შენობა ნიუ-იორკში და პენტაგონის შენობის ერთი კომპლექსი ვაშინგტონში. მსხვერპლის რაოდენობამ 6.000 აღამიანს მიაღწია. ტერორიზმის ისტორიაში მსგავსი ფაქტი არ ყოფილა. ეს ყველაფერი პოლიციის საშინელებათა ფილმს უფრო წააგავდა. უნდა აღინიშნოს, რომ თავდასხმის ობიექტები შემთხვევით იყვნენ შერჩეულნი. თუ იერიში პენტაგონზე საზარელ ლოგიკას ექვემდებარებოდა, სავაჭრო ცენტრის სამიზნედ გამოყენება უდანაშაულო ხალხის განადგურებასთან იყო დაკავშირებული თუმცა სავაჭრო ცენტრზე თავდასხმა 1993 წლის თებერვალშიც განხორციელდა. მისი ორგანიზატორები არც ისე დიდი ხნის წინ გაასამართლეს აშშ-ში. ტერორიზმში დაიწყო თვითმკვლელების გამოყენების ტაქტიკის ეპოქა, რაც უკვე არაერთხელ იქნა აპრობირებული ისრაელში უფრო მცირე მასშტაბებით, მაგრამ არანაკლები ფანატიზმით.

ბოლო ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მდგომარეობს იმაში, რომ ტერორიზმი საზოგადოების მიერ გამოიყენება, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი. ამის მაგალითებია: პალესტინური მოძრაობა (ჰამასი), განშტოებული „მუსულმანური საძმოს“, ირლანდიური რესპუბლიკური არმიის, ქურთი ექსტრემისტების მოღვაწეობა თურქეთსა და ერაყში, ესპანეთის ბასკების, სომხეთის განმათავისუფლებელი არმიის აქტივობა და მრავალი სხვა.

მიმდინარე ასწლეულში შექმნილი ორგანიზაციების სტრუქტურა მოიცავს ორ ფრთას: პოლიტიკურს და ტერორისტულს. პოლიტიკური ფრთა უზრუნველყოფს სოციალურ მომსახურებას, განათლებას, აქვს საქმიანი საწარმოები, ეწევა წინასაარჩევნო ბრძოლას; სამხედრო თუ ტერორისტული ფრთა დაკავებულია

სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ორგანიზებით. „შრომის დანაშაულებას“ აქვს გარკვეული უპირატესობები: პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შეუძლია ოფიციალურად გაემიჯნოს ტერორისტებს, როდესაც ისინი ატარებენ განსაკუთრებით თავხედურ აქციებს ან განიცდიან წარუმატებლობას. თუმცა, პოლიტიკური ხელმძღვანელების განცხადება, რომ ვერ აკონტროლებენ სამხედრო ფრთას, ხშირად სინამდვილეს შეესაბამება, რადგანაც ტერორისტები უპირატესობას უკონტროლო სიტუაციებში მოქმედებას ანიჭებენ. ავტომატებითა და ფეთქებადი საშუალებებით შეიარაღებული პირები არც ისე იშვიათად იფიქსებენ, რომ მათი მოძრაობა პოლიტიკური მიზნებს ისახავს და საბოლოოდ ჩვეულებრივ კრიმინალურ ელემენტებად იქცევიან.

ამჟამად უკვე შეიძლება გაკეთდეს უტყუარი პროგნოზი იმისა, რომ ფართო-მასშტაბიანი და ძალიანძვირი აქციების ჩატარების პროცესში, კონფლიქტის სხვადასხვა ზონებში (ჩეჩნეთი, აფხაზეთი, ტაჯიკეთი, ავღანეთი) ტერორისტული სტრუქტურების მიერ გამოცდილების მიღების შედეგად მოხდება ტერორიზმის ორგანიზაციულ-ტაქტიკური პოტენციალისა და პროფესიონული დონის თანდათანობითი ამაღლება.

თუ დღეს ჩვენ უკვე გვაქვს შკაფიოდ წარმოდგენილი მიზანმიმართული ტერორისტული აქტების ფაქტები, უახლოეს წლებში ვერ გამოვრიცხავთ ე.წ. „გაფანტული“ ტერორიზმის არსებობას.

2. ტერორიზმის მიზეზები

რა მიზეზები უწყობს ხელს ტერორიზმის ასე ფართოდ გავრცელებას დღეს საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში?

საქართველოსთვის და მთლიანად კავკასიისათვის ტერორიზმი წარმოადგენს საკმაოდ რეალურ საშიშროებას მეზობელ ქვეყნებში შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით. 90-იანი წლების დასაწყისში ხელისუფლებისათვის ბრძოლის გამწვავებამ ქვეყანაში ტერორიზმის ტალღის აგორება გამოიწვია. პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების წინააღმდეგ განხორციელებული იყო დაკვეთილი მკვლელობები. ფიზიკურად გაანადგურეს: ქ. თბილისის პროკურორი ქურდაძე, შსს-ის მინისტრის მოადგილე გულუა, ედპ-ს ლიდერი გ. ჭანტურია, ე. შევარდნაძის მრჩეველი ს. ხაბეიშვილი. 1995 და 1998 წწ. განხორციელდა ორგანიზებული თავდასხმები პრეზიდენტ ე. შევარდნაძეზე. უკანასკნელი შემთხვევის დროს, „კრწანისის რეზიდენციისაკენ“ მიმავალ პრეზიდენტის ავტომობილზე იერიში მიიტანა 15-20-კაციანმა დაჯგუფებამ ავტომატებისა და ყუმბარამტყორცების გამოყენებით. მომხდარის ანალიზიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაული საკულდაგულოდ იყო დაკვეთილი და მომზადებული. მხოლოდ ჯავშნიანმა მერსედესმა და შემთხვევით შესწრებულმა საგზაო პოლიციის მანქანამ იხსნა პრეზიდენტი დაღუპვისაგან. თავდამსხმელებმა დაცვის ორი თანამშრომელი მოკლეს, რამდენიმე დაჭრეს და შემდეგ მიიძალნენ, ხოლო შემთხვევის ადგილზე ხასიათურტელი (დაღესტანი) მოკლული მოქალაქე დატოვეს, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნებაყოფლობით მისახურობდა აფხაზ სუპარატისტებთან 1992 წლის

ეთნოკონფლიქტის დროს. როგორც გამოძიებამ აჩვენა, ტერორისტთა ჯგუფი შედგებოდა ექსპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მომხრეებისა და ჩრდილო კავკასიელების პოლიტიკურ-გასამხედრობებული დაჯგუფებების წევრებისაგან. ეს დაჯგუფება კარგად მომზადებული და ეკიპირებული გახლდათ, მოქმედებდა თავხედურად და პროფესიონალურად, მაგრამ ისინი მხოლოდ დაქირავებული მკვლელები იყვნენ – სხვისი ნების აღმსრულებლები. მათ უკან იდგნენ მრისხანე ძალები, რომლებიც მძლავრ საერაშორისო კრიმინალურ გაერთიანებებს წარმოადგენენ, უკმაყოფილოები არიან კავკასიის რეგიონის მდგომარეობით, ისწრაფვიან გამოიწვიონ ახალი დესტაბილიზაცია და შეცვალონ ხელისუფლება.

როგორც აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი მკვლევარი ვ. ვიტოუკი დასაბუთებით აღნიშნავს, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ტერორიზმის გაფართოებისთვის შექმნილია სოციალური, ნაციონალური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის წინაპირობათა მთელი რიგი კომპლექსი, რომელთა რიცხვსაც იგი მიაკუთვნებს სისრულეს დაშლას, ხელისუფლების უუნარობას, სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისს, ცხოვრების დონის მკვეთრ დაცემას (რის ფონზეც საზოგადოებაში გაჩნდა მდიდრების ფენა, რომლებმაც თავიანთი ქონება არაკანონიერი გზით დააგროვეს), უმუშევრობას, პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური, ნაციონალური უთანხმოებების გამწვავებას, უზენობას, ცინიზმს, ნიჰილიზმსა და დანაშაულის მკვეთრ ზრდას.

ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოვრჩიეს ის ფაქტი, რომ ტერორიზმი წარმოადგენს არსებული წყობის წინააღმდეგ სოციალური პროტესტის გამოხატვის უკიდურეს ფორმას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავუშვათ, რომ „ჩინური სინდრომი“ უახლოეს წლებში არასასურველ ზეგავლენას მოახდენს კრიმინოგენულ მდგომარეობაზე.

ტერორისტული ქმედებების პროვოცირება ასევე შესაძლებელია უზრუნველყოს არახელსაყრელმა ეკონომიკურმა პირობებმა. მაგალითად, როდესაც ერთბაშად გამდიდრების მოსურნე პირი ან პირთა ჯგუფი მძევლად იგდებენ სხვა პირს (პირებს), რომელთა გათავისუფლებისთვისაც აწესებენ საკმაოდ დიდ გამოსასყიდს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ქმედებები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში უფრო ხშირია, ვიდრე სხვაგან. ზემოაღნიშნული ვითარება გავლენას ახდენს როგორც ექსტრემისტების იდეოლოგიის ფორმირებასა და ტერორისტული ქმედებების სუბიექტების გამოკვეთაზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების მოქმედების ხასიათსა და, საერთოდ, სახელმწიფოს სისტემის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ შემუშავებულ ბრძოლის მეთოდებზე.

ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდების შემუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებიც ხელს უწყობს აღნიშნული დანაშაულის გავრცელებას ჩვენი ტერიტორიაზე. ეს ფაქტორები, თავისი მოქმედების ხასიათისა და თვისებების მიხედვით, შეიძლება დაგვით გარე, შიდა, ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებად.

გარე ფაქტორების რიცხვის უნდა მივაკუთვნოთ:

- ტერორისტული გამოვლინებების ზრდა როგორც ახლო, ისე შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში;
- ზოგი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა;
- შეიარაღებული კონფლიქტების და ტერორისტული პრობლემები;
- ზოგიერთი უცხო ქვეყნის სიძველესა და ძეგლებს და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სტრატეგიული განწყობა;
- საქართველოდან გამოსვლებზე და ქვეყნის შიგნით შემომსვლელებზე საიმედო კონტროლის არქონა და საზღვრის გამჭვირვალობა.

შიდა ფაქტორები:

- სახელმწიფოში იარაღის არალეგალური ბაზრის არსებობა და იარაღის შექმნის შესაძლებლობა;
- საკმაოდ დიდი რაოდენობით ისეთი კონტინგენტის თავმოყრა, რომელმაც მიიღო ომის გამოცდილება აფხაზეთში, ჩეჩნეთში, ტაჯიკეთში, ავღანეთსა და სხვა „ცხელ“ წერტილებში;
- რიგი ადმინისტრაციულ-მაკონტროლებელი სამართლებრივი რეჟიმების შესუსტება ან არარსებობა;
- დანაშაულებრივი სამყაროს იერარქიულობა და შეკრულობა;
- საზოგადოებაში იდეოლოგიური და სულიერი ორიენტირების დაკარგვა;
- საზოგადოებაში სოციალური მოუწყობლობისა და დაუცველობის დასადგურება;
- სახელმწიფოსა და კანონის ავტორიტეტის დაცემა, რაც საზოგადოებაში იწვევს სოციალური აგრესიის ზრდასა და ხვალისდელი დღის უიმედობას;
- სამართალდამცავებისა და სხვა სამსახურების სუსტი მუშაობა მოქალაქეთა უფლებების დასაცავად;
- საზოგადოებაში სამართლებრივი, პოლიტიკური და ზნეობრივი კულტურის დაბალი დონე;
- მასშედის მიერ სისასტიკის კულტის უკონტროლო პროპაგანდა.

3. ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდები

ტერორიზმის პრობლემის გადაწყვეტა არ არის მარტივი და ერთმნიშვნელოვანი. ტერორისტები და მათი ქმედებები ბლოკირებული უნდა იყოს კანონით როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლის კონტექსტში. თუკი იმ საპი ფაქტორიდან (ფულა, იარაღი თავშესაფარი), რომლის საფუძველზეც ტერორისტული ორგანიზაციები ფუნქციონირებენ, ერთი ლიკვიდირებული იქნება, შესაძლებელი გახდება იმ სისტემის დესტაბილიზაცია, რომელშიც ისინი არსებობენ. აღნიშნული მიმართულებების ღონისძიებები, გავლენიანი სახელმწიფოების ფართო წრის თანხმობით ან გაეროს ეგიდით საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში უნდა მოექცეს. სხვაგვარად მოქმედება უკანონო იქნებოდა მოუხდავად იმისა, რომ ტერორისტებს ყოველგვარი

მოტივირების გარეშეც შეუძლიათ გამოავლინონ სისასტიკე. ნამდვილი დამნაშავეები სახელმწიფოს ლიდერები არიან, რომლებიც მათ სამსახურს თავისი საგარეო პოლიტიკის მიზნებისთვის იყენებენ. მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლაში შესაძლოა მოხდეს პირდაპირ შეჯახება ირანის, სირიის, ლიბანის ან სხვა ნებისმიერი იმ ქვეყნის ინტერესებთან, რომელიც მხარს უჭერს ტერორისტულ აქტებს მშვიდობიან მოსახლეობაში. მსოფლიო საზოგადოებამ უნდა მიადვილოს კონსენსუსს და მიიღოს რეზოლუცია ტერორის წინააღმდეგ. გარდაუვალი ღონისძიებების რეალიზება უნდა მოხდეს ახალი საერთაშორისო კანონების ჩარჩოებში ამ კანონების ახლებური მოქმედების და გამოყენების გათვალისწინებით.

დღეისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა ის ძირითადი ორგანო, რომელიც სწავლობს და განმარტავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ერთა თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესრულებაში და ანტიტერორისტული კონვენციის გაძლიერებაში არ იძლევა საგრძნობ შედეგებს, ვინაიდან თანამშრომელი ქვეყნების რიცხვი მცირეა. ზოგიერთი სახელმწიფო არ ატარებს საერთაშორისო შეთანხმების ნორმებს „უროვნული თავისუფლებისათვის ომში“ მონაწილეთა მიმართ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ანტიტერორისტულ კონვენციათაგან არც ერთი არ ეხება ტერორისტული აქტების ტაქტიკასა და მიზნებს, მათ შორის სხვადასხვა იარაღის გამოყენებით მშვიდობიანი მოსახლეობის განზრახ განადგურების შემთხვევებს. ყველა ქვეყანას არ გააჩნია საერთო პოზიცია ტერორიზმის ცნების საკითხთან მიმართებაში ამასთან ტერორიზმის მკაფიო დეფინიციის უქონლობა იქცევა მნიშვნელოვან პრობლემად, რომელიც საერთაშორისო ანტიტერორისტული კანონმდებლობის დამუშავებას აბრკოლებს. 1936 და 1981 წლებში შემოთავაზებული იყო ტერორიზმის 100-ზე მეტი დეფინიცია მცდელობა იმისა, რომ აღნიშნულ მოვლენას საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება მიეცეს, დღესაც გრძელდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აღნიშნულის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენს. მისი აქტიურობა მიმართულია არსებული კონვენციების მხარდასაჭერად და ისეთი ტერორისტული აქტების შესაჩერებლად და თავიდან ასაცილებლად, როგორცაა თვითმფრინავების გატაცება, საერთაშორისო აეროპორტებზე თავდასხმა, ბირთვული იარაღის კომპონენტების მოპოვება და ტრანსპორტირება. აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა ანტიტერორისტული შეთანხმებების მისაღებად. ერთმა შეთანხმებამ მშვიდობიანი მოსახლეობის განზრახ განადგურება უნდა გამოაცხადოს საერთაშორისო დანაშაულად, მეორემ პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებისათვის. ამ შეთანხმებათა მიღებით, ტერორისტული ორგანიზაციებს დაეკისრებათ ისეთივე საერთაშორისო პასუხისმგებლობა, როგორც აქვთ 1929 წლის ფენევის კონვენციის მიძღვებ ქვეყნებს. ამ შეთანხმებების წარმატებული მიღება უზრუნველყოფს ტერორისტების გადაცემას და გასამართლებას. აღნიშნულთან დაკავშირებით თავის დროზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი წინადადებები შეიტანეს აშშ-მ და სსრკ-მ. უნდა აღინიშნოს გაეროს 1986 წლის რეზოლუციაში არსებული ნაკლიც – მან ტერორისტთა მხარდაჭერა დანაშაულად არ გამოაცხადა. ანტიტერორისტული შეთანხმებები უნდა მოიცავდნენ იმ ქვეყნების დასჯის აუცილებლობასაც, რომლებიც აფინანსებენ, ამზადებენ და იცავენ ტერორისტებს.

ვინაიდან ტერორიზმის ცნება და გაეროს წევრი-ქვეყნების საერთო თანხმობის მიღწევა ამის თაობაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ტერორიზმის ფართოდ გაფრცქვლების თანამედროვე ეპოქაში, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ომის წარმოების ახალი ეთიკური ნორმების განსაზღვრა. ბევრი რეგოლაცია და ომი გამოცხადების გარეშე, დაქირავებულთა ძალებით წარმოებს. ამის გამო სამხედრო მოქმედებები სულ უფრო ძნელად ექვემდებარება საერთაშორისო ძალით რეგულირებას. ამოცანა ბევრად ადვილი იყო, როდესაც ომებს სუვერენული სახელმწიფო აწარმოებდა და ამის შესახებ ოფიციალურად აცხადებდა. შიგაგისი სამართლებრივი ნორმები გატარებულ უნდა იქნეს თანამედროვე ომების მიმართაც. ტერორისტებს უნდა ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობა თავის ქმედებებზე. მრავალი ქმედება, მაგალითად, ბავშვების მკვლელობა, უზნობად და დანაშაულადაა აღიარებული, მაგრამ თუ საზოგადოება დაშინაშავეთა მიზნებს კეთილშობილურად ჩათვლის, მაშინ მას ყველაფრის პატიება შეუძლია. ამგვარად ისმის ორი კითხვა: როდის შეიძლება ჩაითვალოს ომის მიმდინარეობა და რეგოლაციის განხორციელება გამართლებულად? რა ნორმებით უნდა ხელმძღვანელობდნენ კონფლიქტში მონაწილე მხარეები, თუკი ის უკვე წარმოიშვა? თუ ლათინურ ტერმინებს გამოვიყენებთ, შემუშავებულ უნდა იქნეს ომის გამოცხადების კანონები (ლათ. jus ad bellum) და ომის მიმდინარეობის კანონები (ლათ. jus in bello). ამ საკითხებში სამართლებრივი რეგულირება ისევე აუცილებელია, როგორც მორალური ნორმების დაცვა კონფლიქტის ყველა ეტაპზე.

გაეროს კონფლიქტოლოგიების რეკომენდაციით, მასობრივ ტერორიზმთან ბრძოლის დროს საჭიროა შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობა:

- არავითარი კაპიტულაცია ტერორისტების წინაშე, ტერორიზმზე გამარჯვებისათვის მტკიცე ბრძოლა კანონისა და დემოკრატიული პროცესის ნორმების ფარგლებში;
- არავითარი გაროება ტერორისტებთან, არავითარი დათმობა ყველაზე სერიოზული საფრთხისა და შანტაჟის წინაშეც კი;
- ყველა ძალისხმევა მიმართული უნდა იქნეს იმისკენ, რომ ტერორისტების საბრალდებო საქმეებმა მიაღწიონ სასამართლომდე და გამოტანილ იქნეს კანონიერი განაჩენი;
- დასჯის სასტიკი ზომები უნდა იქნეს გატარებული ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ტერორისტულ მოძრაობებს უსაფრთხო თავშესაფრით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით, ფულით და პოლიტიკური თუ მორალური მხარდაჭერით უზრუნველყოფენ;
- სახელმწიფომ მტკიცედ უნდა აღკვეთოს ტერორისტთა მცდელობა, შეაფერხონ ან დაბლოკონ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დიპლომატიური მოლაპარაკებები პოლიტიკური კრიზისების გადაწყვეტილისა.

ტერორიზმი მთავარ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას და მისი თავიდან აცილება და აღკვეთა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო საქმეა.

ანტიტერორისტული პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტი ვითარების გათვითცნობიერება და საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო მზადყოფნაა. ამასთანავე სპეციალისტების საერთო რეკომენდაციით სახელმწიფო, ტერორიზმთან ბრძოლაში საჯაროდ და საკუთარი კანონის ჩარჩოებში უნდა მოქმედებდეს. თუ ტერორიზმის თავიდან აცილების ან აღკვეთის ერთადერთი საშუალება აშკარად უკანონო ოპერაციაა, მაგალითად, სხვის ტერიტორიაზე ტერორისტების ლიდერის მკვლელობა ან ფართო ოპერაცია, რომელსაც ადამიანის უფლებების დარღვევა შეიძლება მოჰყვეს, ასეთი ქმედებები უნდა განხორციელდეს მკაცრად გასაიდუმლოებულად და მსგავს აქციებში სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ საზოგადოებამ ან არ უნდა იცოდეს, ან უნდა შეიტყოს მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ბუნებრივი ემოსიები და ტკივილი დაცხრება.

საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლისათვის შემუშავებულ უნდა იქნეს საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომლის ღონისძიებებიც ორიენტირებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული ობიექტური ფაქტორების ლიკვიდაციისაკენ ან მათი კრიმინოგენული მიმართულების მაქსიმალური შესუსტებისაკენ.

მთლიანობაში, როგორც წარმოგვიდგენია, ეს პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ დანაყოფებს ან ბლოკებს:

- ტერორიზმთან ბრძოლის სამართლებრივი ნორმების შემუშავებას და დახვეწას, რომელშიც შედის „კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“, ასევე ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციები (ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო დსთ-ს ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ 1995 წლის მაისში);
- საერთო პრივილატიკული ღონისძიებების გატარება, მათ შორის იარაღის „ბაზარზე“ და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებებზე დაწესებული კონტროლი;
- ადმინისტრაციულ-სარეჟიმო ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას ტერორიზმთან ბრძოლის დარგში;
- სპეციალური (სამძებრო-ოპერატიული, ტექნიკური და დაცვითი) ღონისძიებები;
- ტერორისტულ გამოვლინებათა თავიდან აცილება.

4. ტერორიზმი და ორგანიზებული დანაშაული

ლიტერატურაში ხშირად აღინიშნება ის ფაქტი, რომ ტერორიზმს ბევრი საერთო აქვს ორგანიზებულ დანაშაულობასთან. და მართლაც, მათ შორის განსხვავება პირობითია. ხშირად საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები დახმარებისათვის ორგანიზებულ დანაშაულობას მიმართავენ (მაგალითად, პერუს ნარკობიზნესის წარმომადგენლების მჭიდრო კონტაქტები ჯგუფ „ნათელი გზის“ შეამბონებთან). ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად იყენებს ტერორისტებს პოლიტიკოსების,

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების და სხვათა შესაშინებლად ან გასანადგურებლად.

ორგანიზებული დანაშაულობისა და ტერორიზმის მსგავსებისა და განსხვავების პრობლემას მიეძღვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეხუთე სესიაზე⁴² წარდგენილი დანაშაულის აღკვეთისა და კრიმინალური იუსტიციის კომისიის სპეციალური ანგარიში დოკუმენტში მოცემულია შემდეგი დახასიათებები:

ტერორისტული ჯგუფები, ჩეულებრივ, უფრო იდეოლოგიზებულიები არიან. დამნაშავეთა ორგანიზებული დაჯგუფებები თავის ძალებს მიმართავენ უკანონო და ლეგალური ბიზნესისაკენ და ტერორისტული გაერთიანებებისაგან განსხვავებით, არ ენებან არსებულ პოლიტიკურ სისტემებს.

ტერორისტები უმთავრესად მოქმედებენ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად (ზოგიერთი ჯგუფისათვის მთავარია შეინარჩუნოს სტატუს კვო ან დაუბრუნდეს სტატუს კვო ანტი); მათგან განსხვავებით, კრიმინალური ორგანიზებული გაერთიანებები ისწრაფვიან პირადი მატერიალური კეთილდღეობისაკენ (თუმცა იმნიშვნელოვანი მთავრადი ძალები სტატუსის დაპყვადების ან გართობისათვის).

პასუხისმგებლობაში მიცემული ტერორისტები აღიარებენ მათ მიერ ჩადენილ ქმედებებს, თუმცა არ თვლიან მათ დანაშაულებრივად, ცდილობენ სასამართლო პროცესები გამოიყენონ თავიანთი იდეების დეკლარირებისა და პროპაგანდის ტრიბუნად მაშინ, როდესაც დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების წევრები, ჩეულებრივ, ცდილობენ აარიდონ პასუხისმგებლობა და არ განავრცონ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ.

ტერორისტული ჯგუფები აფართოვებენ თავიანთ მიმდევართა წრეს და აქტიურად იზიდავენ ახალ წევრებს, ხოლო ორგანიზებული ფორმირებები შეძლებისდაგვარად ზღუდავენ გაწევრიანებას მოქმედ პირთა აუცილებელი რაოდენობით.

ტერორისტები კონკურირებენ კანონიერ მთავრობებთან მოსახლეობის ფართო მასებში თავიანთი იდეოლოგიისა და საქმიანობის მორალური მხარდაჭერისათვის, ორგანიზებული დანაშაულობა კი ცდილობს არ მოახდინოს თავიანთი არსებობისა და საქმიანობის აფიშირება.

ტერორისტული ფორმირებათა მოღვაწეობის შედეგად ვიქტიმიზაცია უფრო დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, განსხვავებით ორგანიზებული დანაშაულობისაგან.

ტერორისტული ფორმირებების საქმიანობისაგან განსხვავებით, ორგანიზებული დანაშაულობის შემთხვევაში, დანაშაულის მოტივისა და დაზარალებულს შორის კავშირი უფრო გამოკვეთილია.

ტერორისტული ჯგუფები უფრო იშვიათად კონკურირებენ ერთმანეთთან გავლენის სფეროებისა და ტერიტორიებისათვის, ვიდრე დაშნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებები; თუმცა, ტერორისტული ჯგუფები ხშირად მიმართავენ ძალადობას სხვა, იდეოლოგიურად ნაკლებად რადიკალური გაერთიანებების მიმართ და ანადგურებენ მათ.

როგორც ორგანიზებულა, ისე ტერორისტული ორგანიზაციების წევრები ძირითადად რაციონალური დამნაშავეები არიან, ე.ი. ორივე გაერთიანების ნაირსახეობა მოქმედებს მიზანმიმართულად, თუმცა ტერორისტები ნაკლებად რეალისტები არიან სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის შეფასებაში⁴³.

დამნაშავეთა ორგანიზებულ დაჯგუფებები და ტერორისტული ფორმირებები მიმართავენ მოსახლეობის დაშინებას და ფიზიკურ ძალადობას, თუმცა ძალადობა, ჩადენილი ტერორისტების მიერ, არღვევს ძირითად მორალურ ნორმებს და ქმნის დისპროპორციულ ეფექტს. ძალადობა, რომელსაც სწადიან ტერორისტები, შეიძლება იყოს არაპირდაპირი, ანუ ძალადობას ექვემდებარება შემთხვევით შერჩეულ პირთა ჯგუფი, ქმედების მიზანი კი სხვათა უსიტყვო მორჩილებაა. ასეთივე აქტივობას აქვს ადგილი დამნაშავეთა ორგანიზებული ფორმირებების შემთხვევაშიც. მაგალითად, ჯგუფები, რომლებიც აკონტროლებენ ორგანიზებულ პროსტიტუციას, აწარმოებენ ქალთა გადაბირებას სხვა ქვეყნებში სამუშაოდ. საკმაოდ ხშირად ქალებს იძულებით აბამენ აღნიშნულ საქმიანობაში და წინააღმდეგობის შემთხვევაში მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში ბავშვებზე ან ნათესავეებზე უსიამოლო შურისძიებით ემუქრებიან. ხშირად დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობა გლობალურ ეკონომიკაში ჩაბმასთანაა დაკავშირებული და არც კონკრეტული დაზარალებულები ჰყავს. ამავე დროს, ტერორისტების საქმიანობას ყოველთვის თან სდევს მსხვერპლი, თუმცა ძალადობას შეიძლება შემთხვევითი ხასიათიც ჰქონდეს, როდესაც ის არ არის დაკავშირებული აქტუალურ მიზნებთან ან კონკრეტულ დაზარალებულებთან. როგორც შემთხვევებში ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებების წევრები თვითონ აწყობენ ან მონაწილეობენ ტერორისტულ აქტებში, რათა უფრო შეუბრალებლად წარმოაჩინდნენ, ამჟამად ავტორიტეტი ან მთაცყუნ სიამართაღამცავი ორგანოების თანამშრომლები.

კრიმინალური ორგანიზაციები და ტერორისტული ჯგუფები ხშირად მიმართავენ ადამიანების გატაცებას (ქიდნეფინგს), პოლიტიკურ მკვლელობებს, გამოძაღვას (როგორც გასამრჯელოს მიღების ხერხს დაცვისათვის ან რეკოლუციური საქმიანობისათვის). ისეთი ქმედებები, როგორცაა ადამიანების გატაცება ფულის გამოძაღვის მიზნით ან საბანკო დაწესებულებებზე თავდასხმები, დამახასიათებელია როგორც კრიმინალური დაჯგუფებებისათვის, ასევე ტერორისტული ფორმირებებისთვისაც მხოლოდ დასაწყისი, ე.წ. მტაცებლურ სტადიაზე. ამას გარდა, კრიმინალური ორგანიზაციები იყენებენ ე.წ. მძევლებს დე-ფაქტო, რათა გააღებინა იქონიონ პარტნიორებზე ბიზნესში, უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის უსაფრთხოება, თავიდან აიცილონ ღალატი პარტნიორების მხრიდან⁴⁴.

დაჯგუფებების ორივე ტიპი მიმართავს კრიმინალურ აქტივობას თავისი საქმიანობის ფინანსირებისათვის. ტერორისტული ჯგუფების მიზანი ძირითადად პოლიტიკურია, ხოლო ორგანიზებული დანაშაულის ფორმირებებისა – ეკონომიკური (მაქსიმალური სარგებელი მინიმალური რისკის ფასად). თუმცა, ფორმირებების ორივე ტიპი სისტემატურ ფინანსურ შემოსავალს საჭიროებს არსებობისთვის. ამასთან, ტერორისტები თავისი ფინანსური მარაგის შესავსებად ხშირად სჩადიან პრიმიტიულ სისხლის სამართლის დანაშაულს, დასაწყის ეტაპზე მაინც (თუ არ ჰყავთ დაინტერესებული უცხოელი სპონსორები).

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ორგანიზებული დანაშაულობა ხშირად მჭიდრო სიმბიოზურ მდგომარეობაშია თავის მსხვერპლთან – ფიზიკურ პირებთან და ორგანიზაციებთან და კორუფციული კავშირები აქვს თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან, რაც გამოირიცხვება ტერორისტული ჯგუფების შემთხვევაში, რომელთაც მკაცრი წინააღმდეგობრივი ურთიერთობა აქვთ როგორც სახელმწიფოსთან, ასევე მის მოქალაქეებთან⁴⁵.

ამჟამად უკვე ნათელია, რომ დამნაშავეთა ეთნო-კლანური, პოლიტიზებული, ზოგადი სისხლისამართლებრივი მიმართულების გაერთიანებები აქტიურად სარგებლობენ ტერორისტთა მეთოდებით. ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის ისინი ამზადებენ სპეციალურ დივერსიულ ჯგუფებს და ცალკეულ ფანატიკოს მკვლევებს. მაგალითად, აფხაზური და ჩეჩნური კლანები იყენებენ რუსეთის სპეციალური სამსახურების ინსტრუქტორების, სხვადასხვა ავღანური და არაბული ტერორისტული ფორმირებების გამოცდილებას. მაგრამ ეთნო-კლანები თავისი შინაარსით და სოციალური მიმართულებით უფრო მეტად ორგანიზებულ დანაშაულობას განეკუთვნებიან, ვიდრე ტერორისტულ ორგანიზაციებს, რადგან მათი საქმიანობა მიმართულია არა გათელილი უფლებების ან ისტორიული სამართლის აღდგენისკენ, არამედ ხელისუფლების ხელში ჩაგდებისკენ, ეთნო-კონტროლის დაწესებისა და ეკონომიკის შედარებით მოშვებთან სფეროებზე გაბატონებისკენ.

წმ. ორგანიზებულ და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკანონმდებლო საფუძვლები

ორგანიზებულ დანაშაულობასთან და მის ტრანსნაციონალურ ფორმებთან ეფექტური ბრძოლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მყარ საკანონმდებლო ბაზაზე, რომელიც შეესაბამება ანტიმარჯობრივი საქმიანობის ამ ყველაზე საშიში სახეობის რეალურ მახასიათებლებს და აგრეთვე, სისხლის სამართლის თანამედროვე პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს.

საკანონმდებლო ბაზის განვითარება ამ სფეროში მჭიდროდ უნდა დაეკავშიროს რეფორმებთან ეკონომიკაში, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან, საზოგადოების მოთხოვნილებებთან იმ ნეგატიური მოვლენების შეზღუდვის თაობაზე, რომლებიც ხელს უშლიან მის ნორმალურ

ცხოველმყოფელობას. ასეთმა კანონმდებლობამ, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, სამართლებრივი რეგულირების სრულყოფა და ხარვეზების აღმოფხვრა სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კანონმდებლობაში.

კორუფციის და ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ბაზის შექმნა და განვითარება საქართველოში ორი წლის წინ დაიწყო, როდესაც შესაბამისმა დროებითმა კომისიამ საქართველოს პარლამენტში შეიმუშავა კანონი „სახელმწიფო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ“ და რომელიც პარლამენტმა 1998 წელს მიიღო. მაგრამ ეს კანონი არაეფექტური აღმოჩნდა, რადგან ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან საბრძოლველად საჭირო იყო კანონებისა და გაბედული პოლიტიკური ნაბიჯების მთელი კომპლექსი. ბოლო წლებში კი საქართველოში არსებობდა მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყნის განვითარების ლიბერალური და დემოკრატიული გზა შეუთავსებელია ძლიერ, საჭიროების შემთხვევაში მკაცრ სახელმწიფო ხელისუფლებასთან.

სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში ერთმანეთს შეეჯახა ორი დამეტრალურად განსხვავებული მიდგომა: ულტრალიბერალური და ულტრაკონსერვატიული. თუ პირველი მიდგომის მომხრეები მოუწოდებდნენ დანაშაულების მიმართ შემწყნარებლობისა და მათი უფლებების დაცვისაკენ, მეორე მიდგომის მხარეები სამართალდამრღვევების მიმართ რემისიული ზომების გატარების მოთხოვნით გამოდიოდნენ. ამ პოლემიკამ პრაქტიკულად შეაჩერდა კანონშემოქმედებითი სამუშაო და სამართალდამცავი ორგანოები ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლაში საკანონმდებლო ბაზის გარეშე დატოვა.

ამავე დროს, უცხოელი ექსპერტები იძლევიან ყველაზე საგანგაშო შეფასებებს კრიმინოგენური სიტუაციის განვითარების შესახებ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე და მათ შორის საქართველოშიც. ამ მხრივ ყველაზე მეტად აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევების ცენტრალური ჯგუფის მოხსენება, რომელიც 1997 წელს მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის დავალებით და შეეხებოდა ორგანიზებულ დანაშაულობას რუსეთში⁴⁶ ამ მოხსენებაში მითითებულია, „რომ ორგანიზებული დანაშაულობის აულაგმველობის შემთხვევაში რუსეთის ემუქრება საშიშროება, იქცეს კრიმინალურ-სინდიკატურ სახელმწიფოდ, რომელიც შედგება ბანდიტებისაგან, კორუპირებული სახელმწიფო ბიუროკრატებისაგან და უპატრონო და ზოგჯერ საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენებისაგან, რომლებიც განაგრძობენ უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვებას, იყენებენ რა ამისათვის კორუფციას და გარდამავალ ეტაპზე მყოფი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ სუსტ ადგილებს. მოხსენებაში გამოყოფილია ორი ძირითადი საფრთხე. პირველი გახლავთ ტაქტიკური ანუ სამართალდამცავი, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო არენაზე რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის გამოსვლასთან. მეორე, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების ინტერესების თვალთახედვით, მოიცავს ორ მნიშვნელოვან პრობლემას: რუსეთის

ორგანიზებული დანაშაულობის დამლუბველ გავლენას ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე და რისკს, რომელიც დაკავშირებულია რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის მიერ ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის ან მასალების ხელში ჩაგდებასთან. ამერიკელი ექსპერტების მიერ რუსეთის ორგანიზებული დანაშაულობის შეფასება საფუძვლად მიესადაგება საქართველოსაც, რადგანაც ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები პრაქტიკულად ანალოგიურია პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს მთელ პოსტსაბჭოურ სამართლებრივ სივრცეში.

ექსპერტთა შეფასებები გვიჩვენებს, რომ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლისათვის აუცილებელია გაბედული ღონისძიებების გატარება. ჩვენი აზრით, ეს ღონისძიებები პირობითად შეიძლება შემდეგნაირად დაიყოს:

ა) საკანონმდებლო

ასეთი ღონისძიებები მოიცავს საქართველოში შემდეგი კანონების მიღების აუცილებლობას:

- ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის;
- კორუფციასთან ბრძოლის;
- ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ;
- მოსამართლეების, სამართალდამცავი და სხვა მაკონტროლრებული ორგანოების სახელმწიფო დაცვის შესახებ;
- მსხვერპლთა, მოწმეთა და სისხლის სამართალწარმოებისათვის ხელისშემწყობ სხვა პირთა სახელმწიფო დაცვის შესახებ.

ბ) ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საორგანიზაციო და მმართველობითი საფუძვლების შემუშავება

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში გადაიდგა ზოგიერთი ნაბიჯი ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებისკენ. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის სპეციალური სამმართველო. ამავე დროს საკანონმდებლო დონეზე რაიმე შესამჩნევი შედეგები არ მიღწეულა. კერძოდ, დღემდე არ შემუშავებულა კონცეპტუალური კანონი „ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ეფექტური ორგანიზაციული ღონისძიებები, მათ შორის: შინაგან საქმეთა სამინისტროში და სახელმწიფო უშიშროების ორგანიზაციაში ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის სპეციალური ქვედანაყოფების შექმნა, აგრეთვე სპეციალიზირებული სასამართლოების დაფუძნება, რომლებიც განიხილავდნენ სისხლის სამართლის საქმეებს, აღძრულს კრიმინალური საზოგადოებების ორგანიზატორების და მონაწილეების წინააღმდეგ.

გ) პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიმართ კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების საგარანტიო ღონისძიებების უზრუნველყოფა

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს „სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა

სახელმწიფო დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე. ასეთი კანონები მრავალ ქვეყანაშია მიღებული, მათ შორის რუსეთშიც.

ამ კანონში საჭიროა ზუსტად განისაზღვროს დაცვის დაქვემდებარებული ობიექტების სია, დაცვის ღონისძიებების ჩამონათვალი, აგრეთვე უნდა შეიქმნას სათანადო პირობები მართლმსაჯულების აღსრულებისა და დანაშაულობასთან ბრძოლისათვის. უსაფრთხოების ღონისძიებათა ამ სისტემას შეიძლება მივაკუთვნოთ:

1. ახალ საცხოვრებელ ადგილებზე გადასახლება;
2. სამუშაო ადგილის ან სასწავლებლის გამოცვლა;
3. ცეცხლსასროლი იარაღის, ინდივიდუალური დაცვის სპეციალურ საშუალებათა გაცემა, და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ შეტყობინება;
4. საბუთების, გარეგნობის შეცვლა;
5. დასაცველ პირებზე ცნობების კონფიდენციალობის დაცვა;
6. საცხოვრებლის და ქონების სპეციალური დაცვა;
7. პირადი დაცვა.

ამასთან აუცილებელია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს სოციალური დაცვის ღონისძიებები, კერძოდ მატერიალური კომპენსაცია თანამდებობის პირის დაღუპვის, მისი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების, მისი ქონების განადგურების შემთხვევაში თუ ეს მოხდა ამ პირის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების პროცესში.

დ) დაზარალებულების და მოწმეების სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დაზარალებულების და მოწმეების დაცვა მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფი ღონისძიებების სისტემას მივაკუთვნებ:

1. დაზარალებულის ან მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა ბრალდებულის ან მისი ადვოკატის გარეშე;
2. მოკვლევის და გამოძიების ორგანოებისათვის შესაძლებლობის მიცემა, საგამოძიებო საქმიანობის ოქმებში არ მოუთითონ ცნობები დაზარალებულების და მოწმეების შესახებ;
3. მოწმეებისათვის ფსევდონიმის მინიჭების და მათი სახელით დოკუმენტების ხელმოწერის შესაძლებლობა;
4. მისხერპლის ან მოწმის სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებისაგან გათავისუფლება, ამომცნობისათვის ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის ფარული წარდგენის შესაძლებლობა;
5. საბუთების გამოცვლა და გარეგნობის შეცვლა;
6. პირადი დაცვა;
7. საცხოვრებლის და ქონების დაცვა;
8. საცხოვრებლად სხვაგან გადასახლება ან სამუშაო ადგილის შეცვლა.

მაგრამ ამ კანონის მიღება ძალზე რთული ამოცანაა, რადგან თუ დაკავშირებულია ზოგიერთ პროცესუალურ სირთულეებთან და ბრალდებულთა დაცვის უფლებების დარღვევასთან. თუ გავითვალისწინებთ მართლმსაჯულების დაბალ დონეს და სასამართლო სისტემაში არსებულ მასიურ დარღვევებს, ასეთი კანონის მიღებას შეიძლება თან მოჰყვეს მტკიცებულებების დამახინჯება და ადამიანის უფლებების დარღვევა. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა ქვეყანამ მიიღო ამგვარი კანონები

და არსებითად წინ წაიწია კიდევ ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში (იტალია, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვ.).

ე) ორგანიზებული დანაშაულობის ეკონომიკური ბაზის ძირგამომხრელი სახელმწიფო პოლიტიკა

ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის რეალური პოლიტიკის უზრუნველსაყოფად საქართველოში აუცილებელია კანონების მიღება, რომლებიც ძირს გამოუთხრან ორგანიზებული დანაშაულობის ეკონომიკურ საფუძვლებს. ეს მეტად რთული პრობლემაა და ამ მიმართულებით შემუშავებულ იქნა ერთადერთი კანონი „ინტერესთა კონფლიქტების შესახებ“, რომელიც პარლამენტმა 1998 წელს მიიღო. ამ კანონის შესაბამისად ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირებს არ ეძლევათ რამდენიმე თანამდებობის შეთავსების უფლება და ისინი ვალდებული არიან, სპეციალურ სახელმწიფო ორგანოს წარუდგინონ დეკლარაცია ქონების და შემოსავლების შესახებ. ეს კანონი არაეფექტური გამოდგა, რადგანაც მასში არ არის ჩადებული დეკლარაციებზე და კორუმპირებული ჩინოვნიკების გამოვლენაზე კონტროლის დაწესების მექანიზმები.

ორგანიზებული დანაშაულობის ეკონომიკური ძლიერების შესუსტების არსებით მექანიზმად შეიძლება იქცეს კანონი „დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის დაუშვებლობის შესახებ“ ეს კანონი დიდ საფრთხეს შეუქმნის ორგანიზებულ დანაშაულობას, რადგანაც ოგი საფინანსო ოპერაციებზე მკაცრი კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა. ამ კანონმა უნდა უზრუნველყოს საუკუნისათვის ინსტიტუტში ყველა ოპერაციის შესახებ ცნობების წარდგენის აუცილებლობა. გარდა ამისა, მკაცრად უნდა განისაზღვროს იმ ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ ინფორმაცია ფინანსურ ოპერაციებზე მათი შემოწმებისა და განზოგადოებისთვის.

ე) სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიულ-სამძებრო შესაძლებლობების გაძლიერება

ორგანიზებული დანაშაულობის სპეციფიკა მოითხოვს, რომ სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა უფრო მოქნილი და გაბედული იყოს. ასე მაგალითად, ჩვეულებრივი დანაშაულის გამოძიებისა და გახსნიდან განსხვავებით, როცა სამართალდამცავები კანონის დარღვევის ფაქტიდან გამომდინარე აგებენ თავის მუშაობას, კრიმინალური ორგანიზაციების საქმიანობის გახსნა-გამოძიება ხანგრძლივ ფარულ მეთოდურურობას მოითხოვს. აღნიშნული საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნეს დანაშაულებრივი საქმიანობის მასშტაბები, სფეროები, სტრუქტურა, დანაშაულებრივი ორგანიზაციების საკადრო შემადგენლობა, კავშირები და ა.შ. კრიმინალური საზოგადოებების კონსპირატულობა, მათ მიერ არაკანონიერი ქმედებების კვალის დაფარავი ღონისძიებების გატარება, შესაძლო მოწმეების ან არასასურველი ბრძანების ნეიტრალიზაცია, ხელისუფლების სტრუქტურაში შეღწევა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება ობიექტურ სირთულეებს ქმნის მათთან ბრძოლის საქმეში. ასეთ პრობლემებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ სრულფასოვანი ოპერატიული ინფორმაციის შეგროვების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ

სპეციალური საშუალებებით და ფარული გამოძიების მეთოდებით: ელექტრონული კონტროლით, გარე თვალთვალთ, საფოსტო კორექსიონდენციის პერლუსიტრაციით და ბოლოს, აგენტურის გამოყენებით.

ყველა ეს ღონისძიება უნდა ეყრდნობოდეს საკანონმდებლო ბაზას — კანონს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“. მასში უნდა აისახოს:

- შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის უფლების მიცემა, ჩაატარონ ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, როგორცაა ოპერატიული ჩანერგვა, კონტროლირებადი მიწოდება, ოპერატიული ექსპერტიზა;
- საფოსტო ვზავნილებზე, სატელეგრაფო და სხვა ცნობებზე კონტროლის, სატელეფონო საუბრების მოსმენის შესაძლებლობა, აგრეთვე საცხოვრებელში შეღწევაზე ნებართვა ბინადართა თანხმობის გარეშე არამართო მძივე დანაშაულის, არამედ ისეთი დანაშაულის გამოძიების შემთხვევაშიც, როცა აუცილებელია წინასწარი გამოძიების წარმოება;
- სისხლის სამართლის პროცესში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგების გამოყენების და ამ საქმიანობის შესახებ ცნობების დაცვის მექანიზმების დაწესება;
- უფლების დაწესება ცრუმთავიერი საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების შექმნაზე;
- შინაგან საქმეთა თანამშრომლების და კონფიდენციალური ხელშეწყობის აღმომჩენი მოქალაქეების სამართლებრივი და სოციალური დაცვის გაფართოება.

ამგვარი სახელების შეტანა კანონში ააძლიერებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ეფექტურობას და სახელმწიფო სტრუქტურებს დაეხმარება, რეალური წინააღმდეგობა გაუწიონ დანაშაულობას, მათ შორის ორგანიზებულსაც.

ამას გარდა, სამართლებრივ რეგულირებას საჭიროებს ისეთი მნიშვნელოვანი და სერიოზული პრობლემა, როგორცაა საიდუმლო ოპერატიული ოპერაციების მსვლელობის დროს კანონისაწინააღმდეგო მოქმედებების დასაშვები ზღვრები. ეს საკითხი ძალზე რთულია და საკამათო როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულადაც. ამავე დროს ფაქტია, რომ საკადრო აგენტების სოციალურ-სამართლებრივი დაცვა, მათთვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება ორგანიზებულ დანაშაულობასთან წარმატებული ბრძოლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

კანონში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მნიშვნელოვან დებულებად უნდა იქცეს ე.წ. ინფორმაციის აქტიური შეკრების დარეგულირება. ინფორმაციის აქტიური შეგროვება, პირველ რიგში, ხორციელდება ფარული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების გზით, რაც გულისხმობს სპეციალური პირების გამოყენებას. საჭიროა მათი დიფერენცირება საიდუმლო აგენტებად და ნდობით აღჭურვილ პირებად. ასეთი მიდგომა საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება გერმანულ პრაქტიკაში.

საიდუმლო აგენტი უნდა იყოს პოლიციის მუდმივი თანამშრომელი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივი დროით ინერგება კრიმინალურ გარემოში შეცვლილი სახელით და იქ აწარმოებს აუცილებელი ცნობების შეკრებას. იმისათვის რომ, პოლიციის თანამშრომელმა მიიღოს საიდუმლო აგენტის სტატუსი, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ მისი ამოცანა ცნობების შეკრების თაობაზე სცილდებოდეს რაიმე ცალკეული კონკრეტული დავალების ჩარჩოებს; მეორე, ადამიანთა უმრავლესობამ ვერ უნდა შეიტყოს, თუ ვის წარმოადგენს სინამდვილეში ეს პიროვნება; მესამე, სასამართლო

განხილვის დროს აგენტის პიროვნება დაფარული უნდა დარჩეს. ამასთანავე უნდა დავეთხანებოთ გერმანელ კანონმდებლებს, რომ საიდუმლო აგენტად არ უნდა ჩაითვალოს პოლიციელი, რომელიც ცნობებს ღიად მოიბოვებს. ასე მაგალითად, თუ ოპერაციის ჩატარების დროს პოლიციელი მხოლოდ დროებით მაღავეს თავის ვინაობას, მაგალითად როცა დილერისგან ყიდულობს ნარკოტიკს, ის წარმოადგენს აგენტ-პროვოკატორს.⁴⁷

საიდუმლო აგენტების გამოყენება მკვეთრად უნდა იყოს რეგლამენტირებული ჩვენი აზრით, მათი გამოყენება მიზანშეწონილია ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიების პროცესში. ამასთანავე წინაპირობის სახით უნდა არსებობდნენ შემდეგი გარემოებები:

1. სახეზე უნდა იყოს აუცილებელი როდენობის ფაქტური მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დანაშაულს ნამდვილად აქვს ადგილი (ფორმალური შემადგენლობა);

2. დადგენილ უნდა იქნეს, რომ დანაშაულის გამოძიება სხვა ხერხით შეუძლებელია ან არსებობდა გაძნელებულია („ულტრა რაციოს“ პრინციპი).

ამასთან, თუ აგენტის მოქმედება არღვევს საცხოვრებლის ხელშეუხებლობას ან მიმართულია კონკრეტულ ეჭვმიტანილზე, მაშინ მისი გამოყენება სანქცირებული უნდა იყოს პროკურორის ან მოსამართლის მიერ.

სპეციალური მუხლით აუცილებელია აგენტის პიროვნების საიდუმლოდ შენახვის და მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის სასამართლო წარმოებაში გამოყენების საკითხების საკანონმდებლო დარეგულირება. ასევე უნდა დარეგულირდეს საიდუმლო აგენტის დასჯადობის საკითხიც მის მიერ საშისახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს რაიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში. ეს ძალიან რთული პრობლემაა და დღემდე არაა გადაჭრილი არც თეორიულად და არც პრაქტიკულად. „უკიდურესი აუცილებლობის“ და „აუცილებელი მოგერიების“ ცნებების სისხლისსამართლებრივი კრიტერიუმები ვერ მოიცავენ ყველა იმ სიტუაციას, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდნენ საიდუმლო აგენტები სპეციალური დაგვალების შესრულების დროს. მაგალითად, უნდა ჩაიფინოს თუ არა აგენტმა მკვლელობა, თუ ასეთი სახის დანაშაულზე უარის თქმით ის თავის გამოააშკარაებს და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რეალური საფრთხე დაემუქრება. როგორც ჩანს, თითოეული კონკრეტული შემთხვევა კონკრეტულ მიდგომას საჭიროებს, ანუ აუცილებელია განისაზღვროს, რა სამართლებრივ ფასეულობებს იცავს აგენტი თავისი საქმიანობით და საზოგადოებრივად რამდენად საშიშია ის მოვლენები, რომელთა თავიდან აცილებაც ხდება აგენტის არამართლზომიერი მოქმედებით.

ოპერატულ-სამძებრო საქმიანობის სუბიექტების სხვა კატეგორიად უნდა ჩაითვალოს ნდობით აღჭურვილი პირები. ისინი გარკვეული მატერიალური ანაზღაურების პირობით ან სხვა რაიმე მოტივაციით ახორციელებენ საიდუმლო აგენტების მსგავსი ფუნქციებს და არ არიან პოლიციის საკადრო მოსამსახურეები. ნდობით აღჭურვილი პირების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, სწორედ ნდობით აღჭურვილი პირების დახმარებით გახსნიეს და გააუვნებელყვეს ბევრი დანაშაულებრივი დაჯგუფება.

ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან წარმატებული ბრძოლისათვის მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებში პროფესიული კადრების მომზადება. მალაკვალოფიციური კადრების მომზადება წარმოადგენს რთულ ამოცანას, რომლის გადაწყვეტა არ ძალუძს ბევრ სახელმწიფოს.⁴⁸ ამასთან დაკავშირებით, სინტერესოდ გვეჩვენება საერთაშორისო პროგრამების გამოცდილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებში, რომელიც მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1986 წელს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში გამოძიებების შედეგადანობის ამაღლების მიზნით. ამ პროგრამის ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური პროკურორის მოადგილე, ხოლო დაფინანსებას — სახელმწიფო დეპარტამენტი. პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება გამოძიების ფედერალური ბიუროს აკადემიის დანადგარები კუანტიკოში მოცემული პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო მზადების ჩატარებას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლებისათვის და მიმართულია სამართალდამცავი დაწესებულებების შესაძლებლობების გაფართოებისაკენ გამოძიების, ადმინისტრაციული მუშაობის და მმართველობის სფეროებში გარდა ამისა, კოლუმბიაში ხორციელდება კადრების სპეციალიზებული მომზადება მოსამართლეთა უსაფრთხოების დაცვისათვის. პროგრამა ფუნქციონირებს 1989 წლიდან ნარკოტიკების ვაგრცელებასთან ბრძოლის კანონმდებლობის ჩარჩოებში. ის არა მარტო აფართოებს ამ რეგიონის სახელმწიფოების შესაძლებლობებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასა და სამართლის დაცვის საქმიანობაში, არამედ ხელს უწყობს სამართალდამცავი ორგანოების ქსელის შექმნას და რეგიონული თანამშრომლობის გაფართოებას.

რეგიონულ და სუბრეგიონულ დონეებზე დახმარების მაგალითს წარმოადგენს პროგრამა „დემოსთენე“, რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო და დახმარება, რომელსაც ჩრდილოეთის საბჭო აღმოუჩენს ბალტიის სახელმწიფოებს. ამ საბჭომ შექმნა დამაკავშირებელი განყოფილებები ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში და ასევე სანკტ-პეტერბურგში.

ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა. ამ მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ბაზა საქართველოში ძალზე სუსტია. არ არის სპეციალიზებული სახელმწიფო ინსტიტუტები, ცენტრები, არ ტარდება მონოგრაფიული და სოციოლოგიური გამოკვლევები.

2002 წელს ტრანსნაციონალური დანაშაულობისა და კორუფციის შემსწავლელმა ცენტრმა, რომელიც ფუნქციონირებს ამერიკის უნივერსიტეტის ბაზაზე, გახსნა თავისი ფილიალი თბილისში, რომელიც აერთიანებს მეცნიერებს, ხელს უწყობს თეორიული და სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებას, ორგანიზებულ დანაშაულობასთან და კორუფციასთან ბრძოლის კონცეფციისა და კანონბრუნებების შემუშავებას, საერთაშორისო კავშირების გაძლიერებას და სტატისტიკური აღრიცხვის უნივერსალური (დასავლეთის სტანდარტების შესაბამისი) სისტემის შექმნას.

§7. მოლაპარაკების გზით მძევლების გათავისუფლების პრობლემები

ამჯერად საუბარი გვექნება ტერორიზმის ერთ-ერთ სახეზე - მძევლებად აყვანისა და მოლაპარაკებების ე.წ. მათი დახსნის პრობლემაზე.

მშვიდობიანობის პერიოდში მძევლად ხელში ჩაგდების ცნებაში იგულისხმება მოქალაქის უკანონო თავისუფლების აღკვეთა, როცა მისი გათავისუფლება დამოკიდებულია სუბიექტის იმ სურვილის დაკმაყოფილებაზე, რომელსაც იგი უყენებს სახელმწიფოს, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს გამოსასყიდვის ან პოლიტიკური დათმობების სანაცვლოდ.

მძევალთა ხელში ჩაგდება შეიძლება განხორციელდეს როგორც საიდუმლოდ, ასევე აშკარა თავდასხმით, ძალადობით ან ამის გარეშე, სიცოცხლისათვის საშიში ქმედებით ან ასეთის გარეშე.

ხელში ჩაგდებულის (მოტაცებულის) დაკავება ნიშნავს მისი თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობის ძალადობით დაბრკოლებას.

დამნაშავეის მოთხოვნა შეიძლება იყოს სხვადასხვა შინაარსის, მიმართული სახელმწიფოს, იურიდიული ან კერძო პირის მიმართ.

მოთხოვნები, ძირითადად, მიმართულია იქეთკენ, რომ ხელისუფლებამ შეცვალოს რაიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება ან გააუქმოს ის ანდა გაათავისუფლოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დანაშაულისათვის დაკავებული პირები. გადახადოს დიდი თანხა, გამოსცეს ამნისტია, ან არ მოითხოვოს არაფერი და ვინმეს მძევლად ჩაგდებათ მოახდინოს ხელისუფლების ორგანოების პარალიზება და ა.შ.

მოთხოვნის წაყენება თითქმის ყოველთვის ღიად ხდება, დამნაშავე ცდილობს, მისმა ქმედებამ ფართო რეზონანსი გამოიწვიოს საზოგადოებაში ხმაშემაღლა აყენებს ულტიმატუმს და ა. შ.

დანაშაული დამთავრებულია ფაქტური გატაცებისთანავე. მოტაცების ჩაგარდნა, როდესაც დამნაშავე შეეცადა და ვერ მიაღწია მიზანს, კვალიფიცირდება როგორც მცდელობა.⁴⁹

რაც შეეხება მძევლად აყვანის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კანონმდებლობას, იგი შედგება საყოველთაოდ აღიარებული წესებისა და პრინციპებისაგან, რომლებიც ეხება სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ქმედებებსა და მათ შორის ურთიერთობებს. ე. ი. საერთაშორისო სამართლის მოწესრიგების საგანია მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობათაშორისო, სახელმწიფოებრივი ურთიერთობები. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მთელი მსოფლიო კაცობრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. აღნიშნულის თაობაზე ყურადღება გამახვილებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1979 წლის კონვენციაშიც. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აფიქსირებს იმ მომენტებს, რაც მძევლად აყვანის დროს ირღვევა, ეს არის: სიცოცხლის უფლება, პირადი თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა, წამებისა და დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობა და ა. შ. ამ მიმართულებით საერთაშორისო სამართალი იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას, მოითხოვს აღძრან სისხლის სამართლის საქმე მძევლად აყვანის ნებისმიერ ფაქტზე, რომელიც ჩადენილია მის ტერიტორიაზე. დავახასიათოთ თუ რა მიზანს ემსახურება ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდება. ეს არის ინკლენტი, როდესაც პირი ცდილობს თავიდან აიცილოს დაკავება, ამისათვის იყვანს

ტყვეებს და ემუქრება მათ ზიანის მიყენებით, რათა შეაკავოს ან შეცვალოს პოლიციის მოქმედების მიმართულება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის მოვლენა, რომელიც წარმოადგენს გაზრდილ საშიშროებას მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ოფიციალურზე, შეძლოს სასურველი მიზნის მიღწევა. ასეთ შემთხვევაში ნათლად ჩანს, თუ როგორ უზრუნველყოფს ქვეყნის მთავრობა მოქალაქეების კეთილდღეობას და უსაფრთხოებას.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 329-ე და 144-ე მუხლები ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას მძევლად აყვანაზე ტერორისტული მიზნით. დამნაშავეები ცდილობენ მძევალთა გათავისუფლების პირობით აიძულონ სახელმწიფო ხელისუფლება, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის ქმედება;

1) ოგივე ქმედება ჩადენილია:

ა) პოლიტიკური მოღვაწის ან მისი ოჯახის წევრების მიმართ;

ბ) უცხოური სახელმწიფოს წარმომადგენლის ან იმ პირის მიმართ, რომელიც იმყოფება საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის ქვეშ;

გ) პირთა ჯგუფის მიერ;

დ) არაერთგზის;

ე) ტერორისტული ორგანიზაციის მიერ.

2) ამ მუხლის I ან II ნაწილით გათვალისწინებული იქნება ქმედება, რომელმაც გამოიწვია პირის სიკვდილი ან სხვა მძიმე შედეგები.

ოგივე მუხლი ითვალისწინებს მძევლად აყვანისათვის პასუხისმგებლობას:

1) მძევლის ხელში ჩაგდებაზე იმ მიზნით, რომ მისი გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის ქმედება, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

2) ოგივე ქმედებაზე, რომელიც ჩადენილია:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

ბ) არაერთგზის;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

დ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით;

ე) შვიდ დღეზე მეტი ხნით;

ვ) ანგარებით;

ზ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით — ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ;

თ) უცხოეთის ოფიციალური წარმომადგენლის ან საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებულის მიმართ;

ი) სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

3) ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება:

ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

ბ) რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსობა ან სხვა მძიმე შედეგი ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 2(4) და 51 მუხლით, შესაბამისად იკრძალება ძალის გამოყენება და ნებადართულია თავდაცვა, მაგრამ არც ისე დიდი ხნის წინ საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ ამ დებულებების ვიწრო ინტერპრეტაციამ სახელმწიფოებს ხელი შეუშალათ, გამოეყენებინათ პრევენციული ზომები და გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინათ საერთაშორისო ტერორისტების მიმართ. ამის მოხერხდავად, საჭირო გახდა უგანდაში მძევალთა გადარჩენისათვის ისრაელის ოპერაცია და ლიბიაში ტერორისტების მიმართ დასჯის ამერიკული აქციები; რადგან ყველა სახელმწიფო ვალდებულია აკონტროლოს მის ტერიტორიაზე მყოფი ხალხი, იმ ვარანტით, რომ ეს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული ამ პირთა მიერ დანაშაულებრივი საქმიანობისათვის.

როდესაც სახელმწიფოები არღვევენ ამ ვალდებულებებს და, განსაკუთრებით, როდესაც ისინი ჩართულნი არიან ტერორისტულ საქმიანობაში, ეს სერიოზულ ზეგავლენას ახდენს სხვა სახელმწიფოებზე. ზოგიერთ შემთხვევაში ამ სახელმწიფოებს არ რჩებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ ბოლო მოუღონ იმ საშიშროებას, რომელიც მოდის ტერორისტებისაგან. ამასთანავე, მათ შეიძლება დაარღვიონ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები, რომელმაც არ შეასრულა თავისი საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებები, ანდა ტერორისტული ორგანიზაციის თავშესაფრად იქცა. ამის მაგალითია აშშ-ის საომარი მოქმედებანი ავღანეთში.

მძევალთა გათავისუფლებისათვის ჯგუფებისა და სისტემების შექმნისა გათვალისწინებული უნდა იქნეს საგანგებო სიტუაციის ფართო და გრძელვადიანი შედეგები.

პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის საფუძველი შედგება როგორც მუშა პრინციპებისაგან, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია მძევალთა განთავისუფლების საკითხის წარმოქმნამდე, პრობლემის გადაჭრის დროს და ოპერაციის დამთავრების შემდეგაც.

მძევალთა გათავისუფლების დროს, მოლაპარაკების პროცესში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ეჭმიტანილებთან კავშირის დამყარების ხუთი გზა: 1) მოლაპარაკება „პირისპირ“; 2) მოლაპარაკება თავშესაფრიდან; 3) მოლაპარაკება მეგაფონით; 4) მოლაპარაკება რადიოს მეშვეობით; 5) მოლაპარაკება ტელეფონით.

სპეციალისტები თვლიან, რომ მოლაპარაკების პროცესში ყველაზე მიუღებელი და სახიფათო „პირისპირ“ მოლაპარაკებაა,⁵¹ რადგანაც მეტი შანსია მოლაპარაკებელი შეუერთდეს მძევალად აყვანილთა რიცხვს. დანარჩენი კომუნიკაციის საშუალებანი მეტ-ნაკლებად თანაბრად მისაღებია.

გარდა ამისა, დაუშვებელია მძევლების გაცვლა პოლიციის მუშაკზე ან თანამდებობის პირებზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ინიციატივა გამტაცებლების ხელში გადავიდეს და დამატებითი პრობლემები შექმნას.⁵¹

ამასთან, მძევალთა გათავისუფლების პრობლემის გადაჭრის ძირითად პრინციპს წარმოადგენს:

- ა) რეალობის სწორი შეფასება;

- ბ) დაგეგმვა და კოორდინირება, რაც გამორიცხავს ადამიანთა მისხვერბლს;
- გ) საფრთხის და შესაძლებლობების გააზრება;
- დ) მძევლების გათავისუფლება;
- ე) გამტაცებელთა დაკავება.

პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამასთან დაკავშირებით:

- ა) მოლაპარაკების ჯგუფის წევრების შესაძლო წარუმატებლობა;
- ბ) მოვალეობების განაწილება და ამასთან შესაძლო პრობლემების გაჩენა;
- გ) კავშირგაბმულობის საშუალებებთან დაკავშირებული სიძნელეები;
- დ) ტექნიკურ საშუალებათა მოსალოდნელი ავარიულობა;
- ე) გეოგრაფიული მანძილება.

ცივილიზებული ქვეყნების შესაბამისი უწყებები მძევალთა გათავისუფლების პროცესში უპირატესობას ანიჭებენ ეჭვმიტანილებთან მოლაპარაკებას, თუნდაც ამისთვის ხანგრძლივი დრო იყოს საჭირო. მათთვის მთავარია გადაარჩინონ ადამიანები დაღუპვისაგან. ხშირად ოპერაციის ჩატარებას მისხვერბლი მოჰყვება, მნიშვნელობა არა აქვს რომელ მხარეზე. ეჭვმიტანილთა ფიზიკური განადგურება ოპერაციის ჩატარებისას სასურველი არაა, რადგანაც მათი დაღუპვის შემთხვევაში პრობლემები ამოუხსნელი და ბევრი საკითხი პასუხგაუცემელი რჩება. მოლაპარაკება, როგორც ტაქტიკა დამნაშავეობასთან წინააღმდეგ ბრძოლაში, დაინერგა აშშ-ში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან და პოლიციასა და სპეციალურ სამსახურში დამოუკიდებელ პროფესიად იქცა. შეიქმნა შესაბამისი დანაყოფები ამ სამსახურების არსებობის მანძილზე ჩამოყალიბდა გარკვეული ტრადიცია, მომზადდა თეორიული და სამართლებრივი ბაზა ეჭვმიტანილებთან მოლაპარაკებისათვის, რადგანაც თვითონ მძევლების ამყვანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფსიქო-სოციალური ასპექტით, ასევე აქტის ჩადენის მოტივებით. როგორც ცნობილია, მოტივი შეიძლება იყოს განსაზღვრული მოთხოვნილებებით, ხოლო ინტერესი, განპირობებული შინაგანი მამოძრავებელი მიზეზით, რომელიც სუბიექტში წარმოშობს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას და რომლითაც იგი ხელმძღვანელობს დანაშაულის ჩადენის დროს.³² მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, სოციალური ფანატიზმის იდეა, ერის დაცვის იდეა, თავისუფლების იდეა, რელიგიური მოტივი და ა. შ.

მოლაპარაკების პროცესის წარმატებით გადაწყვეტისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მოლაპარაკებელმა იცოდეს, თუ რასთან და ვისთან აქვს საქმე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამისად, მას უნდა შეეძლოს მოსმენა, შეფასება და სწორად ორიენტირება, გარდა ამისა, სხვა შემთხვევაში მიღებული გამოცდილების გამოყენება ახლად შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით. სამართალდამცავ სტრუქტურებში გარკვეული სიტაჟისა და გამოცდილების მუშაკებს უყალიბდება ადამიანთა ფსიქო-სოციალური მდგომარეობის რეალურად დანახვის შესაძლებლობა. ეს ფაქტორი მუშაობს ყველგან — ქუჩაში, საზოგადოებაში, სამსახურში, რათა სხვათაგან განსხვავებით, მალე აღმოაჩინონ დამნაშავე, ეჭვმიტანილი, ნარკომანი, სულიერი და ა. შ. თითოეული გამოცდილი მუშაკის ჩვევები, რომელიც ხშირი პრაქტიკის შედეგად ყალიბდება, ეხმარება და ემთხვევა მოლაპარაკებლის ფსიქოლოგიურ ციკლს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერმა შეძლოს ეჭვმიტანილებთან მოლაპარაკების

წარმატებული დამთავრება. მოლაპარაკება „ხელოვნება“ და მას სათანადო თვისებები სჭირდება. მოლაპარაკების სასურველი შედეგით დამთავრება დიდადა არის დამოკიდებული ნდობის ფაქტორზე. არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან ისეთი ვალდებულებების თავის თავზე აღება, რომლის გადაწყვეტაც არაა მომლაპარაკებელზე დამოკიდებული უნდობლობის სიტუაციას ქმნის და მოლაპარაკების შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი ხდება მოექცევა. ცნობილია, რომ მძევალთა აყვანის ძირითადი მიზანი მოვლენისადმი გაზრდილი ყურადღების გამოწვევაა, ე. ი. დიდი რეზონანსი პრობლემისა და მიზნის მიმართ. ამიტომ მოლაპარაკების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს სამი მომენტი:

- 1) ამომწურავი ინფორმაცია მძევალად აყვანილებზე;
- 2) ამომწურავი ინფორმაცია ეჭვმიტანილებზე;
- 3) ეჭვმიტანილთა მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დეტალური ანალიზი.

ყოველივე ეს მოგვცემს საშუალებას მოლაპარაკების დროს გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები: მძევლებად აყვანა სიმბოლური ხასიათისაა, თუ ისინი სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან, ეჭვმიტანილთა მიერ წამოყენებული მოთხოვნები რაციონალურია, თუ არა. საიდან დავიწყოთ მოლაპარაკება და რა მიმართულებით წარემართოთ იგი.

მძევლად აყვანები ფსიქოლოგიური ასპექტების მიხედვით იყოფიან:

- ა) პირებად, რომლებმაც შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, წინასწარი დაუგეგმვის გარეშე აიყვანეს მძევლები;
- ბ) საზოგადოებრივად საშის დამნაშავეებად, რომელთაც წინასწარ განზრახვით აპყავთ მძევლები;
- გ) მარტოსულებად, რომლებიც არ არიან ფსიქიკურად სტაბილურები;
- დ) ფსიქიკურად გადახრილ პირებად;
- ე) პატომრებად;
- ზ) რელიგიურ ან პოლიტიკურ ტერორისტებად.

განვიხილოთ მათი ფსიქოლოგიური პორტრეტები და მათთან მოლაპარაკების მეთოდები.

ა) მძევლად აყვანის როლში ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან პირები, რომლებიც შეიძლება ადრე შემჩნეულნი არ ყოფილან დანაშაულებრივ საქმიანობაში, არ გადაუტანიათ ფსიქიკური სტრესები. ასეთი პირები შეიძლება შეიცვალონ მოულოდნელად, რაც შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსურმა, ოჯახურმა ან სამსახურებრივმა პრობლემებმა. ასეთი ადამიანები გრძნობენ მარტოობას, მოუსვენრობას, საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვას, დახმარების იმედი არაავისგან აქვთ, კარგავენ კონტროლის უნარს, პრობლემის მიმართ აქვთ ძალზე შეზღუდული ხედვა და სხვა გზას ვერ პოულობენ. მსგავსი პირების მძევლებად შეიძლება აღმოჩნდნენ საკუთარი ოჯახის წევრები, თანამშრომლები ან უცხო პირები. მათი მოთხოვნები შედარებით ადვილად შესასრულებელია, მაგალითად, სამსახურში აღდგენა, ფინანსური დახმარება და ა.შ.

ასეთი ტიპის ეჭვმიტანილებთან მოლაპარაკების პროცესში გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებანი: მძევლების აყვანის უნდა მიეცეს საშუალება, ბოლომდე გამოსატოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მოვლენისადმი. იგი უნდა

დაარწმუნონ, რომ ანალოგიური სიტუაციაში სხვაც ჩაგარდნილა, მაგრამ მოძებნილა გამოსავალი დიდი ილა ბრძანებდა: „თუ გინდა ადამიანს გაუგო, ცოტა ხანს უნდა შეძლო მის ქურქში ჩაჯდომა“. ალბათ ეს ფორმულა ამ ტიპის ექვმიტიანილთან მიმართებაში ძალიან გამოსადეგი იქნებოდა.

ბ) საზოგადოებრივად საშიშ დამნაშავეს მძევლები აპყავს დანაშაულის ადგილზე წასწრებისას და ამით ცდილობს თავი დააღწიოს პასუხისმგებლობას. უფრო ხშირად ისინი მარტო მოქმედებენ და მზად არიან მოატყუონ ყველა და მათ შორის თანამზრახველებიც. ასეთი ადამიანები წინა პლანზე აყენებენ საკუთარ ინტერესებს. ყველა ჩაგარდნას სხვას აბრალებენ. მათ აქვთ დანაშაულებრივი წარსული არასრულწლოვნობის ასაკიდან. ასეთი ექვმიტიანილის მძევლები შეიძლება აღმოჩნდნენ ის ადამიანები, იმ ადგილზე და იმ დროს რომ არ უნდა ყოფილიყვნენ. მძევლად ამყვანო, როგორც წესი, ითხოვს ფულს, ტრანსპორტს, რომ შემთხვევის ადგილის გაეცალოს და აიცდინოს პასუხისმგებლობა. მათ ახასიათებთ ეგოცენტრიზმი. მომლაპარაკებელმა და ინციდენტის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს მოლაპარაკების პროცესში შემდეგი მომენტები: შემუშავებული იქნეს მძევალთა გათავისუფლების რამდენიმე ვარიანტი; მათზე გავლენა შეიძლება მოახდინოს ავტორიტეტისა და ნიჭიერებაზე მითითებამ; არ უნდა მოგერიდოთ მოლაპარაკების გახანგრძლივებას, რათა შეირჩეს მძევლების გათავისუფლების ობტიმალური ვარიანტი.

გ) მძევლების ამყვანთა რანგში შესაძლებელია მოგვევლინოს მარტოსული, ანუ ფსიქიკურად არასტაბილური, ხელმოცარული ადამიანი, რომელსაც შეუძლია ადვილად გაეცალოს ოჯახს, ახლობლებს, საზოგადოებას. ისინი ერთბაშად ღებულობენ გადაწყვეტილებას და აპყავთ მძევლები, ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდნენ იმ ადგილას და იმ დროს. მათთან იოლად შედიან კონტაქტში, იწვევენ შებრალებას და ისინი ეხმარებიან დამნაშავეს და ცდილობენ გამოიყვანონ მდგომარეობიდან. მათი მოთხოვნები უკავშირდება თავისი გადარჩენისა და პასუხისმგებლობის აცოლების პრობლემებს.

ასეთ ადამიანებთან მოლაპარაკება შედარებით ადვილია, რადგანაც დამხმარედ მძევლების გამოყენებაც შეიძლება.⁵³ მათთან პრობლემის გადაჭრის იოლი გზები უნდა ვეძებოთ. უცხო პირთა ჩარევა მოლაპარაკებაში რეკომენდებული არ არის, რადგანაც ისინი შესაძლებელია თვითმკვლელობაზეც წავიდნენ.

დ) ფსიქიკურად გადახრილი პირები ხშირად გვევლინებიან მძევლად ამყვანთა როლში, მათ ახასიათებთ მაზონიზმის კომპლექსები, ამჟღავნებენ მორალურ და გონებრივ არასრულფასოვნებას, დაკარგული აქვთ კონტაქტი რეალობასთან. ისინი მარტოსულები არიან. ხშირად ემართებათ ჰალუცინაციები, რომელსაც რეალობად აღიქვამენ და რაც შეიძლება მათი მოქმედების საფუძველი გახდეს. მძევლებად შეიძლება აღმოჩნდნენ შემთხვევითი ადამიანები ან მათი წარმოდგენის სისტემაში მოხვედრილი პირები. მომლაპარაკებელმა და ინციდენტის გადაწყვეტის ხელმძღვანელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მათთან კონტაქტის დამყარება შეუძლებელია. ასეთი ტიპის გამტაცებლის მოთხოვნებს ბოლომდე უნდა მოუსმინო, რაც არ უნდა სისულელედ მოგერყნოთ, მათთან კამათი უშედეგოა. უცხო პირთა ჩარევამ შეიძლება ცუდი შედეგები გამოიწვიოს, ოპერაციის კარგად დაგეგმვისა და ჩატარებისათვის დრო უნდა მოიგო.

ე) დეპრესიაში მყოფი პირი, შესაძლოა, ძალიან გონიერად იყოს, მაგრამ მის მიერ მძევლის აყვანის მიზეზად იქცეს სიკვდილის სურვილი, რის გამოც აძულდოს პოლიცია, გაუხსნას მას ცეცხლი ეს ადამიანები განიცდიან უსუსურობას, აწუხებთ პრობლემათა სიმრავლე. მოკლებულნი არიან მათი გადაჭრის საშუალებები. მძევლებად შეიძლება აიყვანონ ოჯახის წევრები ან შემთხვევითი ადამიანები. როგორც წესი, მათი მოთხოვნები გაუგებარია, ქმნიან ილუზიას, თითქოს თავს ეისმთან მძევლებს ან შემთხვევის ადგილზე მოსულ პოლიციას. ასეთ ადამიანებთან მოლაპარაკება იოლი არ არის და დროს მოითხოვს, რადგანაც დროსთან ერთად იცვლება მათი ფსიქიკაც. მოლაპარაკებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მათ მომავალ ქცევაზე. გაითვალისწინონ, რომ არ აპირებენ თვითმკვლელობას აღნიშნული პირები. ასეთი შეკითხვები ხშირად აფხიზლებს მათ გონებას, რასაც შესაძლოა შედეგად მძევლების გათავისუფლება მოჰყვეს. ყოველ შემთხვევაში ინციდენტის ხელმძღვანელს შემუშავებული უნდა ჰქონდეს მძევალთა დახსნის სხვა ვარიანტიც.

ვ) მძევლების აყვანას ხშირად მიმართავენ პატიმრები თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ისინი ხასიათდებიან გაზრდილი საშიშროებით, აგრესიულობით და სისასტიკით. მძევლებისადმი არ იჩენენ არაფითარ შეზღუდვას, მათგან მოსალოდნელია ყოველგვარი შეურაცხყოფა და ძალადობა სიცოცხლის ხელყოფამდეც. მძევალთა როლში შეიძლება აღმოჩნდეს დაწესებულების პერსონალი და თანაპატიმრები. ხშირ შემთხვევაში ძნელი გასარჩევია, ვინ არის მძევალი, ვინ ტერორისტი და ვინ ორგანიზატორი. მოლაპარაკება აუცილებლად უნდა გაიმართოს ორგანიზატორთან და არა შემარულებელთან. მოსაძებნია გზები იმგვარი ფორმულის განხორციელებისა, როგორცაა „გათიშე და იბატონე“. მოლაპარაკების პროცესში შესაძლებელია ისეთი პირის გამოყენებაც, რომელსაც არ აცნობს პატიმარი და რომელიც აუცილებლად სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი უნდა იყოს.

ზ) რელიგიური ან პოლიტიკური ტერორისტები წინა პლანზე აყენებენ იდეებს, იმყოფებიან გარკვეულ ემოციურ მდგომარეობაში, დარწმუნებულნი არიან თავიანთი ქმედების სიმართლეში და მზად არიან უკიდურესი ზომების მისაღებად. ამიტომ, მძევალთა საფრთხე ასეთ შემთხვევაში გაცილებით დიდია. რისთვისაც მათ მოთხოვნებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება, მათთან რიტორიკული საუბარი უშედეგოა, მოლაპარაკების გარდა გასათვალისწინებელია ალტერნატიული ღონისძიებებიც, რომლებიც გამოირიცხავენ მძევალთა დაღუპვას.

ზოგიერთ მძევალთა თვლის, რომ „არსებობს კიდევ ერთი, ყველაზე სასტიკი და კორუმპირებული ტიპი ტერორისტული აქტების ამსრულებლისა, კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები ე.წ. „ფსევდოარისტოკრატები“, რომლებიც დიდ საშიშროებას წარმოადგენენ და სწორედ მათგან ყალიბდება ახალი კადრები პროფესიონალი ქილერებისა და კრიმინალური ტერორის ამსრულებლებისა“.⁵⁴

აქ ერთი რამ იქნება გასარკვევი, რამდენად მივაკუთვნებთ საერთაშორისო ტერორისტულ აქტებს, ე. წ. „კანონიერი ქურდების“⁵⁵ მიერ ჩადენილ კრიმინალურ „ტერორიზმს“?

რაც შეეხება კრიზისული სიტუაციების გადაწყვეტის პრობლემას, ორგანიზატორებისათვის მნიშვნელოვანია მოსალოდნელი სიტუაციის უარყოფითი შედეგების მინიმუმამდე დაყვანა, ადამიანის სიცოცხლის და ქონების დაცვა, ქვეყანაში

სტაბილურობის უზრუნველყოფა. თუ ტერორისტი, რომელმაც აიყვანა მძევლები, იმუქრება ბომბის აფეთქებით აეროპორტის ტერმინალში, ტერორისტულ აქტთან ბრძოლის ორგანიზატორებმა უნდა გაიაზრონ შემდგომი ზარალის მინიშნებამდე დაყვანის საშუალება, ნანგრევებიდან ხალხის გაყვანის ან წარმოქმნილი ხანძრის ლიკვიდაციის გზები. ამ ჯგუფმა უნდა განსაზღვროს მორალური ზიანიც, პერსონალური ყურადღება უნდა მიექცეს მშვიდობიან მოქალაქეებს და აეროპორტის თანამშრომლებს, მათი ოჯახის წევრებს შორის შესაძლო მსხვერპლის და ფართო საზოგადოებას. მოსალოდნელი ზარალის წინასწარ განსაზღვრას განეკუთვნება საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და მისი უარყოფითი შედეგების ნეიტრალიზება. კრიზისული სიტუაციიდან ეფექტურ გამოსვლას ყოველთვის თან მოჰყვება მძევლების გათავისუფლება და გამტაცებელთა დაკავება, მაგრამ ანგარიშგასაწვეია ის, რომ ხშირად მძევალთა გათავისუფლების პროცესში იქმნება კრიზისული სიტუაცია, როდესაც მოლაპარაკების გზით პრობლემა არ წყდება, რომლის განხორციელებაც აუცილებელია 3 ეტაპად.

1. განხილული უნდა იქნეს ოპერაციის ჩატარების გეგმის ყველა დეტალი;
2. მოცემულ მომენტში სამართლის ფარგლებში მოქმედება;
3. გასათვალისწინებელია ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში შესაძლო

გართულება (ოგულისხმება სწავლების, დაკავების ჯგუფების და სხვათა მოქმედება).

როდესაც ვსაუბრობთ „მოქმედებაზე სამართლის ფარგლებში“, გვულისხმობთ, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს თავისი კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისობა მის მიერ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში აღებული ვალდებულებებთან, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვისა და შესრულების საკითხებს.⁵⁶ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-13 მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს, რომლის კონვენციით აღიარებული უფლებები და თავისუფლება ირღვევა, ექმნება ეფექტური ზომების მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, იმისდა მიხედვით, ეს დარღვევა ჩადენილი იქნება თუ არა იმ პირების მიერ, რომლებიც იმოქმედებენ ოფიციალური უფლებამოსილებით“. უფრო მეტიც, კონვენციის მთელი სულიცხვეთება, მისი პირობების საფუძველზე შექმნილ ორგანოთა დასკვნები და გადაწყვეტილებები მიმართულნი არიან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აღიარებისაკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი პირი და არც ერთი ორგანიზაცია არ შეიძლება იდგეს კანონის ზევით, კანონის დამრღვევისათვის, ვინც არ უნდა იყოს ის, არ უნდა არსებობდეს იმუნიტეტი, რომელიც მას სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებს.

აქედან გამომდინარე, პოლიციამ უნდა იმოქმედოს კანონის შესაბამისად და ყველა შემთხვევაში დაიცვას პროცესუალური მოთხოვნები და შესაბამისი ინსტრუქციები არავითარ შემთხვევაში მძევლების გათავისუფლებას თან არ უნდა ახლდეს კანონის დარღვევა, განსხვავება დამნაშავეებსა და კრიზისული სიტუაციების გადაწყვეტთა შორის არის ის, რომ ერთი არღვევენ კანონს და ხელყოფენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას, მეორე კი კანონის დაცვის ფონზე იღებენ ზომებს, რათა მაღლიონ სამართლიანობის აღდგენას დაზარალებულის სასარგებლოდ და დამრღვევის პასუხისმგებაში მისაცემად. იმავე კონვენციის მე-17 მუხლში ნათლად არის აღნიშნული, რომ „არაფერი არ შეიძლება იქნეს განმარტებული იმგვარად, რომ ანიჭდეს უფლებას ნებისმიერ სახელმწიფოს, ჯგუფსა და პიროვნებას რაიმე საქმიანობაში

გამოიყენოს ან შეასრულოს რაიმე ქმედება, მიზანმიმართული აქ ჩამოთვლილი ნებისმიერი უფლებებისა და თავისუფლების დისტრუქციასა და მათ შეზღუდვაზე უფრო დიდი ზომით, ვიდრე ეს განსაზღვრულია კონვენციით“. ამ შემთხვევაში გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, დაცული უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო კონვენცია, ევროპის საბჭოს დეკლარაცია პოლიციის შესახებ, მართლწესრიგის დამცავ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი, ევროპის კონვენცია წამების და არაადამიანური ან ღრისების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელისაგან ყველა პირის დაცვის შესახებ, პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფ ყველა პირის დაცვის შესახებ და ა. შ.⁵⁷

არსებობს პრობლემის გადაწყვეტის 4 ტაქტიკური მიდგომა. ესენია:

- 1) ობიექტის შტურმით აღება;
- 2) ტერორისტთა მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- 3) ტერორისტთა მოთხოვნების უარყოფა;
- 4) ტერორისტებთან ხანგრძლივი მოლაპარაკება მძევალთა საბოლოო გათავისუფლებამდე.⁵⁸

ზემოთ აღნიშნულ თითოეულ ტაქტიკურ მიდგომას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები, როგორც სამართალდამცავებისათვის, ისე ტერორისტებისა და მძევლებისათვის. თითოეულ შემთხვევაში, როგორც არ უნდა მოემზადონ ინციდენტის გადაწყვეტის ორგანიზატორები, ადექვატური რეაქცია მოჰყვება ტერორისტების მხრიდანაც. გავეცნოთ პრობლემის ცალკეულ ვერსიას.

1) ობიექტის შტურმით აღება ითხოვს ღონისძიების მაღალ დონეზე მომზადებას, ფიზიკურად, როდესაც ამ საქმეს მაღალკვალიფიციური პირები ასრულებენ და ტერორისტები გამაგრებას ვეღარ ახერხებენ.

როდესაც ჯგუფი მოუმზადებელია ანდა ოპერაცია დაიწყება არასასურველ დროს, ამას შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი მსხვერპლი, დიდი მატერიალური ზარალი და არასასურველი პოლიტიკური შედეგები.

ზოგჯერ ხდება მასმედიის მხრიდან ფაქტების უარყოფითად გაშუქება, რამაც შეიძლება ცუდად იმოქმედოს ხელისუფლების ავტორიტეტზე საერთაშორისო თვალსაზრისით.

ობიექტის შტურმით წარმატებულ აღებას მოაქვს დროის ეკონომია, მას აქვს პროფილაქტიკური, გამაფრთხილებელი ხასიათი.

2) ტერორისტების მოთხოვნაზე უარის თქმა ტაქტიკური ღონისძიების ერთ-ერთი ფორმაა, რომლის დროსაც მოთხოვნებზე უარის თქმა ერთბაშად არ ხდება, პირიქით, იქმნება განწყობა, თითქოს ინციდენტის ორგანიზატორები მზად არიან ტერორისტებთან მოლაპარაკებისა და მათი ნებისმიერი მოთხოვნის შესრულებისათვის. ხელისუფლების მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ხშირად ამართლებს, რადგანაც ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, როდესაც ტერორისტები ერთბაშად უარს ეუბნებიან მოთხოვნათა შესრულებაზე, მათ ეს ნაბიჯი არწმუნებს, რომ ხელისუფლებამ უკვე მოასწრო სათანადოდ მომზადება და მათ უკვე შესწევთ უნარი ძალით აიღონ შენობა, გაათავისუფლონ მძევლები. ასეთ შემთხვევაში თვითონ ტერორისტები ამბობენ

ძალისმიერ აქტებზე უარს და ათავისუფლებენ მძევლებს. შედეგების მიხედვით ეს არის პუბლიკური მიდგომა, იძლევა საშუალებას შექმნილი მდგომარეობა ძირფესვიანად გაანალიზდეს და ანალოგიური შემთხვევები თავიდან იქნეს აცილებული თუმცა, ის ხასიათდება უარყოფითი მომენტებითაც — ითხოვს ხანგრძლივ დროს, რასაც მძევლებისათვის ხანგრძლივი ტყვეობის გამო მოაქვს ფსიქიკური ტრამეები, არის წამებისა და სიკვდილის შემთხვევებიც.

3) ტერორისტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ოფიციალური ხელისუფლება ხშირად მიმართავს, უპირველეს ყოვლისა, მძევალთა უსაფრთხოების თვალსაზრისით და სხვა მიზეზებით. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ტერორისტებთან იოლად მყარდება ურთიერთობა, თუმცა ხელისუფლებას ეს ნაბიჯი უსუსურობად ეთვლება, ვინაიდან ვერ იცავს საკუთარ მოქალაქეთა უსაფრთხოებას. ასეთ შემთხვევაში ტერორისტების მოთხოვნები მატულობს; ითხოვენ იმასაც, რისი შესრულებაც ხელისუფლებას არ ძალუძს. გარდა ამისა, ტერორისტთა მოთხოვნების წახალისებას თან სდევს დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი, პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევა და ა. შ.

4) ტერორისტებთან მოლაპარაკების გახანგრძლივება მათ საბოლოო გათავისუფლებამდე ტაქტიკური სვლის ერთ-ერთი სახეა და ოგი აპრობირებულია დასავლეთის სახელმწიფოებში, თუმცა ამ მეთოდს იშვიათად მიმართავენ, რადგანაც მას უფრო მეტი უარყოფითი მომენტი გააჩნია, ვიდრე დადებითი. უპირველეს ყოვლისა, ხანგრძლივი დრო ითხოვს დიდი რაოდენობით თანამშრომელთა ჩართვას, ძვირადღირებული ტექნიკისა და სხვა ოპერატიული საშუალებების გამოყენებას. მძევალთა ხანგრძლივი დროის მანძილზე ტყვეობაში ყოფნას თან სდევს ემოციური დატვირთვა და ფსიქიკური ტრამეები, მსხვერპლი მძევალთა შორის და ბოლოს, ღონისძიების წარმატებით ჩატარების გარანტიების შემცირება.²²

მას შემდეგ, როცა სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, შემდგომ ამოცანას წარმოადგენს შექმნილი სიტუაციის წარმატებული გადაწყვეტა. მისი ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მართავს სიტუაციას. მაგრამ ძირითად წესს კრიზისული სიტუაციების ეფექტურად გადაწყვეტაში წარმოადგენს შემდეგი: „ისწავლე კრიზისზე ზეგავლენა და არა მხოლოდ მასზე რეაგირება!“ ეს მიდგომა ცნობილია, როგორც პროფილაქტიკური ზომების ფილოსოფია. ამ ფილოსოფიის მიმდევარი ხელმძღვანელები ახდენენ რისკის შეფასებას ჯერ კიდევ კრიზისული სიტუაციის შექმნამდე, იზიარებენ ალტერნატივებს და სხვადასხვა მოქმედების შედეგებს, ასევე ცდილობენ, დაამყარონ მაქსიმალურად შესაძლო კონტროლი საგანგებო მოვლენებზე, აანალიზებენ, თუ როგორ შეიძლება ამ ფილოსოფიის გამოყენება მძევალთა ამყვანი ტერორისტების მიმართ.

ტერორისტულ ინციდენტებში პროფილაქტიკური ზომები ეფექტურია მათი ნეიტრალიზაციისათვის, რამდენადაც ეს მოქმედებები საშუალებას იძლევა მძევლად ამყვანებმა ოგრძონ, რომ სიტუაცია ექვემდებარება კრიზისის გადაწყვეტის ორგანიზატორების კონტროლს და არა თავად, არამედ სამართალდამცავი ორგანოები აკონტროლებენ მდგომარეობას, რომელიც საბოლოოდ ტერორისტთა აუცილებელ დაკავებას განაპირობებს. ღონისძიების ჩატარების მომენტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

პრობლემა მასშტაბით ურთიერთობა, რადგანაც ხდება მათი დანტერესება და ჩარევა ამგვარ კონფლიქტებში მოვლენების განვითარების გაშუქების თვალსაზრისით. უდავოდ გასათვალისწინებელია ინფორმაციათა კონფიდენციალობა, რათა მძევალთა გათავისუფლების პროცესში არ წარმოიშვას დამატებითი პრობლემები. რაც შეეხება სისხლის სამართლის ნორმათა შეფარდების თავისებურებებს, საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელება ატარებს პროცესუალურ და საორგანიზაციო ხასიათს.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით გამოყოფენ ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს.

კერძოდ, ეს ეხება დანაშაულის სუბიექტს, მძევალთა გათავისუფლების სტადიებს, თანამონაწილეებს, დანაშაულის სიმრავლეს, ნასამართლობის შეფასებას, სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების საკითხებს.

ზემოხსენებულ სისხლის სამართლის ინსტიტუტებთან მჭიდრო კავშირში თანამშრომლობა საერთაშორისო სამართლის სფეროში და იმ პირთა გადაცემა, რომლებმაც ჩაიდინეს ა) საერთო სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ეხება რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესებს. აქ მნიშვნელოვანია ობიექტური მხარე. კერძოდ, მისი შესრულების ტერიტორიული არეალი, დანაშაულებრივი შედეგი ან საფრთხის შექმნა, დამნაშავის ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობა და ა. შ.⁵¹

იმ პირთა გადაცემის საკითხი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ან გასამართლებულნი არიან დანაშაულისათვის, გათვალისწინებულია ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებში 1983 წელს ევროპის საბჭომ მიიღო კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ, 1993 წელს რუსეთის ფედერაციასა და ლატვიის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულთა გადაცემაზე და სხვა.

ბოლო წლებში საქართველომ დადო რიგი ხელშეკრულებებისა აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, ბულგარეთთან, სომხეთთან. ხელი მოაწერა აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენციას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ. ყველა ეს დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ დამნაშავეთა გადაცემის ექვემდებარება: ა) დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც ისჯება ორივე ქვეყნის კანონმდებლობით და რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი; ბ) თუ მოცემულ პირობებში მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი ხელშეკრულება ითვალისწინებს გადაცემაზე უარის თქმის კანონიერ შემთხვევებს, რომელიც ზემოაღნიშნულ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ეყრდნობა.

ხელშეკრულება, აგრეთვე, ითვალისწინებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა იმ სახელმწიფოსათვის სასჯელის მოსახდელად გადაცემას, რომლის მოქალაქეც იმინი არიან. მხარეები ვალდებულნი არიან, პირი გადასცენ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენი, რომელიც უკვე გამოიტანეს პირის ვადამცემ სახელმწიფოში, არ იქნება გაუქმებული და არ დაინიშნა ახალი გამოძიება ან სასამართლო გარჩევა.⁵¹ საერთაშორისო

ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობისათვის საკმარისია არა მხოლოდ რეგონალური მრავალმხრივი შეთანხმებების პრაქტიკა, არამედ საჭირო ხდება სრულყოფილი ეროვნული კანონმდებლობის შექმნა „გადაცემის შესახებ“. ამის რეალური მაგალითები მსოფლიოში უკვე იცის, არცთუ დიდი ხნის წინ ასეთი კანონები მიიღეს საფრანგეთმა, შვეიცარიამ, ინდოეთმა და სხვა ქვეყნებმა.

პრაქტიკული ტესტი ანკეტა გათვალისწინებულია მომლაპარაკებლის ცოდნის შეფასებისათვის. პასუხის მაგივრად ანკეტის შედეგებზე გრაფაში დასვას ნიშანი „ჩ“, რომელსაც თვლის სწორ პასუხად; მ. გ. მთლიანად გეთანხმებით; გ. გეთანხმებით; მ. პ. გ. მიჭირს პასუხის გაცემა; ა. გ. არ გეთანხმებით; პ. ა. გ. პრინციპულად არ გეთანხმებით.

№		მ.გ.	გ.	მ. პ. გ.	ა.გ.	პ.ა.გ.	შენი შენა
1	უმრავლეს შემთხვევაში არსებობს საგანგებო მდგომარეობის შექმნის რისკები, როდესაც ხდება მძევლების აყვანა						
2	მძევლების ამყვანებთან მომლაპარაკებლის როლში, როგორც წესი, გვევლინება პოლიციის უფროსი						
3	დასაშვებია მოლაპარაკებაში ჩაერთოთ მეგობრები, ნათესავები, ეკლესიის წარმომადგენლები						
4	შიზანშეწონილია, გამტაცებლებს შეეთავაზოთ ახალი მძევლები ან იარაღი						
5	პოლიციის დანაყოფებს უნდა პქონდეთ შემუშავებული მძევლების გათავისუფლების წინასწარი გეგმა						
6	დასაშვებია მძევლები გადაცვალოთ პოლიციის მუშაკში						
7	ყველა პოლიციის მუშაკი, ვინც გაიარა სათანადო მომზადება, იქნება კარგი მომლაპარაკებელი						
8	მძევლობაში ყოფნის ხანგრძლივ პერიოდში მათი უმრავლესობა ახდენს გაფლენას მძევლად ამყვანთა შეხედულებებზე						
9	ყველაზე მოაფარია, რომ მომლაპარაკებელმა დაიშინოს მძევლების ამყვანთა ნდობა						
10	შემოსვენის ადგილზე არ უნდა დაიშვას „ახალი ამბების“ წარმომადგენლები და საერთოდ, პრესისა და საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები						
11	ყველაზე როულია, აწარმოო მოლაპარაკება პოლიტიკური მოტივების მატარებელ ტერორისტებთან						

12	შესაძლებლობის შემოხვევაში ყოველთვის უნდა გამოიყენოს სწავლებები და კარგი მსროლებლები							
13	მძველის მიერ მიწოდებული ყველა ინფორმაცია ჩათვლება არასარწმუნოდ							
14	მოლაპარაკების გაბანერძლიების შემთხვევაში მძველების ამყენები განიცდიან დიდ დაძაბულობას							
15	სსეკილისტი, ვინც პირველად დაიწყო მოლაპარაკება, ოპერაციის დამთავრებამდე უნდა დარჩეს ადგილზე							
17	დასაშვებია გამტაცებლებს მიეცეს წასვლის საშუალება							
18	თუკი ტერორისტებმა მოკლეს ერთი მძველი, შენობა შტურმით უნდა იქნეს აღებული							
19	მძველების ამყენი ტერორისტები ყოველთვის კარგად მოზადებულები და ორგანიზებულები არიან							
20	ტერორისტების მიერ გამოყენებული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათ წინააღმდეგ							

1. А.С. Никифоров Гангстеризм в США. Сущность и эволюция. М. 1991 г. с.15

2. США. Преступность и политика. М. 1972 г. с. 121

3. В.В. Волженкин Ответственность за взяточничество. Ереван 1998 г. с. 16.

4. А. Кабинов Коррупция и взяточничество в России, Нижнекамск, 1995 г. с.7

5. ქართული საბარათლის საფუძვლება, გამომცემლობა „მერჯიანი“, 2002

6. საქართველოს მინისტრის კონსტიტუცია;

7. საქართველოს ახალი ხისხლის საბარათლის კოდექსი;

8. შსს არქივული მასალები და ოპერტიული ცნობები ადამიანის მოტაცების ფაქტებზე;

9. შსს არქივული მასალები და ოპერტიული ცნობები ადამიანის მოტაცების ფაქტებზე;

10. См.: Проблемы и опасности, которые создает организованная транснациональная преступность в различных регионах мира / Е /CONF. 88/2. P. 22; Контрабанда женщин из Центральной Европы и СНГ на международном уровне. Государственный Департамент США. Бюро разведки и исследований (INR). Ноябрь 1997. С. 4-5.

11. См.: Хочешь ли ты променять свое достоинство, свободу и здоровье на жизнь в клетке? Международная Организация Миграции. Киев. 1998. С.5.

12. См.: Widgren J. Multilateral Co-operation to Combat Trafficking in Migrants and the Role of International Organization. Paper presented at the 11th IOM Seminar on International Response to Trafficking in Migrants and the Safeguarding of Migrant Rights. Geneva. 1994. 26-28 Oct. P.5-6; US migration: passport smugglers earn billions for their wares. Inter press Service English News Wire. New York. Dec. 16. 1996; Migration and Organized Crime // Trends in Organized Crime. 1996. Vol.2. N 2. P.58.

13. См.: Стокер С. Организованная преступность как фактор роста числа случаев торговли людьми // Организованная преступность и коррупция. №1. 2000. С.58; Smith P. Chinese migrant trafficking: a global challenge // Human Smuggling: Chinese Migrant Trafficking and the Challenge to America's Immigrant Tradition. Washington: Center for Strategic and International Studies. 1997.

14. См. например: Trafficking of Migrants. IOM Policy and Responses. March. 1999 p.4-5; Draft Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, especially Women and Children. Supplementing the UN Convention against Transnational Organized Crime. United Nations. Vienna. October 1999. P.4 и др.

¹⁵ См.: Проблема контрабанды людей: задачи ОБСЕ. Справочный документ БДИПЧ 1999/3.

¹⁶ См.: Гаагская Министерская Декларация Европейских рекомендаций по эффективным методам по предотвращению и борьбе с торговлей женщинами с целью их сексуальной эксплуатации. 24-26 апреля 1997.

¹⁷ См.: Trafficking in Migrants: IOM Policy and Responses. 1999. March. P.4-5.

¹⁸ См.: Revised draft Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime. 7-th Sessions. Vienna. 17-28 Jan. 2000.

¹⁹ Там же. Ст.2, п.2.

²⁰ Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime. 7-th Sessions. Vienna. 17-28 Jan. 2000.

²¹ Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime. Article 3

²² Украинские женщины- жертвы секс индустрии. ИТАР-ТАСС. 1998. 30 июня.

²³ Преступление и порабощение. Доклад Всемирной сети за выживание. Вашингтон.1997. С.17.

²⁴ Подлесских Г., Терешонок А. - "Воры в законе": Бросок к власти. М. 1994.

²⁵ Борьба и предупреждение торговли живым товаром и защита прав мигрантов // Trends in Organized Crime. 1996. Vol.2. N2. P. 64-67.

²⁶ Преступление и порабощение. Доклад Всемирной сети за выживание. Вашингтон.1997. С.52.

²⁷ Информация оглашена начальником департамента МВД Грузии гос. Ахалая на конференции ИОМ в Тбилиси, 26 апреля 2001

²⁸ Борьба и предупреждение торговли живым товаром и защита прав мигрантов // Trends in Organized Crime. 1996. Vol.2. N2. стр. 19

²⁹ Trafficking in Human beings: Implications for the OSCE. Warsaw. 1999. P.11.

³⁰ См. подробнее: "Дикие гуси" сбиваются в стаю // Труд-7. 2000. 2 марта.

³¹ Country Reports on human Rights Practices for 1997. U.S. Department of State. Washington. D.C. January 30, 1998 // Trends in Organized Crime Summer 1998. Vol 3. N4. P.36-39.

³² Hughes D. Transnational shadow market of trafficking women // Journal of International Affairs. Spring. 2000; Progress on Legislation to help to foreign women and children forced to sex industry. The Associated Press. Washington D.C. May. 2000.

³³ One year La Strada: Results of the First Central and Eastern European program on Prevention of Trafficking Women. STV / La Strada Program. September.1996. P.21

³⁴ Hughes Donna M. The "Natasha" Trade - The transnational Shadow Market of Trafficking in Women. // Journal of International Affairs. Spring, 2000.

³⁵ Волкова Е. Секс торговля // Что почем., 2000. 11 января.

³⁶ Международная организация Миграции. Информационная компания против торговли женщинами. Из исследований по Украине. Женева. МОМ. 1998. Июль.

³⁷ Проблема контрабанды людей: задачи ОБСЕ. Обзорная конференция. 1999. Сентябрь. Справочный документ БДИПЧ 1999/3

³⁸ Преступление и порабощение. Доклад Всемирной сети за выживание. Вашингтон.,1997. С. 26.

³⁹ Shelly L. Criminal Kaleidoscope: The Diversification and Adaptation of Criminal Activities in the Soviet Successor States// European Journal of Crime. Criminal Law and Criminal Justice. Vol. 3. 1996. P.248-252.

⁴⁰ Рынок ненужных детей // Итоги. 1997. №20. С.60-66; Доходные дети // Коммерсантъ - Daily. 1997. 15 апреля. № 52. С.14.

⁴¹ Материнство на продажу // Российская газета. 1997. 26 сентября. С.27.

⁴² Commission on crime prevention and criminal justice, UN/Review of priority themes, Fifth session Vienna, 21-31 May 1996

⁴³ M. Amir - "Political terrorism and common criminality: some preliminary consideration", Violence, Aggression and Terrorism vol. 1, No. 4 pp 377-378.

- ⁴⁴ P. Duane - "Crime-enterprises and the legitimate industry in the Netherlands". C. Fiunaut and J. Jacobs, eds., Organized Crime and Its Containment: a Transatlantic Initiative (Deventer, Kluwer, 1991). p.62
- ⁴⁵ P.Luphsa. "Organized Crime". William G. Bailey, ed., The Encyclopedia of Police Science, 2nd NY, 1995 pp. 494-495
- ⁴⁶ См.: Фредерик Т. Мартенс, Стивен Б. Руза. Введение РИКО в Восточной Европе: предусмотрительно или безответственно? \ Изучение организованной преступности: российско-американский диалог. М., 1997. С. 195-223 ., Russian organized crime. Global Organized Crime Project. 1997.
- ⁴⁷ Л. Иванов, З. Ляних О новеллах уголовного законодательства Германии, направленных на противодействие организованной преступности. Уголовное право №3 М., 1998 ст. 106-108
- ⁴⁸ Всемирная конференция на уровне министров по организованной транснациональной преступности. Материалы ООН, Экономический и Социальный Совет, Неаполь 21-23 ноябрь 1994 г.
- ⁴⁹ იმ. ზ. შვიფანაძე, დას. ნაშ. გვ.
- ⁵⁰ იმ. თ. სტრენზი „პრობლემები თუ არაპრობლემები მოლაპარაკება აშშ“ სპეც გამოც. ვაშ. 1999 წ. (ინგ. ენაზე).
- ⁵¹ იმ. ფუსლიერი „მძევლების შესახებ მოლაპარაკებების პრაქტიკული მიმოხილვა,“ FBI-ის განხორციელების ბოლეტენი 1981 წ. (ინგ. ენაზე).
- ⁵² იმ. ჟურნ. „ალმანახი, იენისი 1999 წ., № 12, გვ. 72.
- ⁵³ იმ. თ. სტრენზი და ვ. ბარზელატი „არა პოლიციური პერსონალის გამოყენება მოლაპარაკებათა კრიზისის დროს „კანონი და წესრიგი, 4 მარტი 1995 წ. (ინგ. ენაზე).
- ⁵⁴ იმ. ჟურნ. „ალმანახი, თბ., 1999 წ. №12, გვ. 74.
- ⁵⁵ „კანონიერი ქურდის, ანტიტრუტი საბჭოური გადმონაშობი და მას დანარჩენი მოხელის არ იცნობს, ამდენად მათ მიერ „რადიკალ ტერაქტებს, ალბათ შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უფრო ექნებათ.
- ⁵⁶ იმ. თ. მინდაძე, უდანაშაულობის პრეზუმციის განხორციელების პრობლემა საერთაშორისო და ქართულ სამართალში, ჟურნ. „სამართალი, №11, 2001 წ. გვ. 58.
- ⁵⁷ იმ. თ. კრიშოუ, ადამიანის უფლებები და პოლიცია, სტრასბურგი, 1999 წ., გვ. 16.
- ⁵⁸ სტრენზი ტ. „კრიზისული მოლაპარაკებების ციკლური დროის ხაზი, კანონი და წესრიგი 4 მარტი 1997 წ. (ინგლ. ენაზე).
- ⁵⁹ იმ. რ. ბირჯი და ტ. სტრენზი, მოლაპარაკების წარმართვის კრიზისიდან კონსტრუქციული დევიაციის შემოქმედებითი კრიტერიუმები ბოქტუაფეშტ.
- ⁶⁰ იმ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998 წ., გვ. 224-226.
- ⁶¹ იმ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1998 წ., გვ. 224-226.

პარლამენტი
კრიმინოლოგია და
სამართალდაცავი სისტემა
სამართალთმცოდნეობა

ავტორთა კოლექტივი

ნაწილი IV

სამართალდაცავი სისტემა სამართალთმცოდნეობა

თავი 11

სასამართლოს სისტემა

თავი 12

საქართველოს პროკურატურის ორგანიზაცია და უფლებამოსილება

თავი 13

იუსტიციის სამინისტრო

თავი 14

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

თავი 15

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახური

თავი 16

სხვა ორგანიზაციები

ზოგადი ინფორმაცია

სამართალდამცავი ორგანოების კურსის წყაროებში სამართალდამცავი ორგანოები ხასიათდება მრავალრიცხოვანი საკანონმდებლო ხასიათის წყაროებით, რომლებიც განსაზღვრავენ და აყალიბებენ ცალკეული სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციებს, უფლებამოსილებას, მოღვაწეობის პრინციპებს, საკადრო საკითხებს და ა.შ. მათ მიეკუთვნება კანონები და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (ბრძანებულებები, დადგენილებები, დებულებები, ბრძანებები).

სამართალდამცავი ორგანოების ძირითად წყაროს მიეკუთვნება საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც შეიცავს ამ ორგანოებისათვის დამახასიათებელ პრინციპული ხასიათის დებულებებს, მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლების დაცვის გარანტიებს, სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობის პრინციპებს და ა.შ.

ძირითად კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მოღვაწეობას, მიეკუთვნება:

- საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1995 წლის 24 აგვისტოს;
- ორგანული კანონი „საერთო სასამართლოს შესახებ“, მიღებული 1997 წლის 13 ივნისი;
- ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მიღებული 1996 წლის 31 იანვარს;
- ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“, მიღებული 1996 წლის 21 მარტს.
- ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, მიღებული 1997 წლის 21 ნოემბერს;
- ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მიღებული 1996 წლის 16 მაისს;
- საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, მიღებული 2001 წლის 20 ივნისს;
- დეკრეტი (კანონი) „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“, მიღებული 1993 წლის 27 ივლისს;
- ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, მიღებული 1999 წლის 12 მაისს;
- კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, მიღებული 1996 წლის 20 თებერვალს;
- კანონი „ნოტარიუსის შესახებ“, მიღებული 1996 წლის 3 მაისს;
- კანონი „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ“, მიღებული 1996 წლის 18 თებერვალს;
- კანონი „სააღიარებლო წარმოებათა შესახებ“, მიღებული 1999 წლის 16 აპრილს;
- კანონი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“, მიღებული 1999 წლის 30 აპრილს;
- კანონი „პატრონობის შესახებ“, მიღებული 1999 წლის 22 ივლისს;
- „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება“, დამტკიცებული პრეზიდენტის 2000 წლის 30 ოქტომბრის N 471 ბრძანებულებით;

- კანონი „საქართველოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, მიღებული 2000 წლის 23 თებერვალს;
- საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 აგვისტოს N747 ბრძანებულება „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების წესისა და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 5 ივლისის N609 ბრძანებულება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების, თანამდებობრივ სარგოზე დანამატების განსაზღვრისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავების ხარჯების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 აგვისტოს N459 განკარგულება „მოსამართლის განსაკუთრებული ჩაცმულობის ფორმის – მანტიის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დებულება, დამტკიცებული პრეზიდენტის 1998 წლის 25 ნოემბრის N660 ბრძანებულებით;
- საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულება, დამტკიცებული პრეზიდენტის 1997 წლის 8 ოქტომბრის N556 ბრძანებულებით;
- დებულება უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1997 წლის 16 სექტემბრის N2 დადგენილებით;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის რეგლამენტი, დამტკიცებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1999 წლის 23 ივლისის N7 დადგენილებით.

საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მოდერნიზაციისა და ორგანიზაციის პრინციპები. სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზაციისა და მოდერნიზაციის პრინციპებს მიეკუთვნება: კანონიერება, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ, სასამართლოს დამოუკიდებლობა, კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობა, მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობა, სამართალწარმოების ენა, საქმეთა ღია (საქვეყნო) განხილვა სასამართლოში, შეჯიბრებითობა და მზარეთა თანასწორუფლებიანობა, დაცვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

1. კანონიერების პრინციპი. კანონიერების პრინციპი დამახასიათებელია ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოსათვის, ორიდთუღ პირთა და მოქალაქეთა მოქმედებისათვის. კანონიერების პრინციპი განსაკუთრებულ ძალასა და მნიშვნელობას იძენს სამართალდამცავ ორგანოთა მოდერნიზაციაში, რომელთაც მინდობილი აქვთ მართლმსაჯულების განხორციელება, კანონის შესრულებაზე ზედამხედველობა, საკონსტიტუციო კონტროლი, მოქალაქეთა თავისუფლებების, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

2. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ, როგორც პრინციპი. სასამართლოს გარდა, რომელსაც ეკისრება მართლმსაჯულების განხორციელება, არც ერთ სხვა ორგანოს უფლება არა აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები, გამოიტანოს განაჩენი ან გადაწყვეტილება. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს

პრეროგატივა და პრინციპია. საქართველოში მართლმსაჯულებას მხოლოდ საერთო სასამართლოები ახორციელებენ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 83-ე).

3. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპია. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც იმის გარანტიას იძლევა, რომ საქმეთა განხილვის შედეგად კანონის დაცვის საფუძველზე და მოსამართლის შინაგანი რწმენის შესაბამისად, მიღწეულ იქნება ჭეშმარიტება. დამოუკიდებლობის პრინციპის უზრუნველსაყოფად გამოირიცხულ უნდა იქნეს მოსამართლეზე ზემოქმედების ყოველი შესაძლებლობა.

4. მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპია. ამჟამად საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოები საქმეს ერთმორიგეულად იხილავენ და, ცხადია, მათთვის დამახასიათებელი არ არის მოსამართლეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი იმ შემთხვევაში მოქმედებს, როდესაც საქმეებს იხილავენ პროფესიული მოსამართლეები კოლეგორად ან მოსამართლე და მსაჯულები ერთობლივად. კოლეგიალობის პრინციპი ხორციელდება არა მხოლოდ საერთო სასამართლოებში, არამედ კონსტიტუციურ სასამართლოშიც.

5. კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობის პრინციპია. აღნიშნული პრინციპი ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქეს, თანამდებობის პირს მინიჭებული აქვთ თანაბარი უფლებები სასამართლოსა და კანონის წინაშე, მათი სოციალური, ქონებრივი და თანამდებობრივი მდგომარეობის, ოჯახური, ასაკობრივი, ეროვნული, სქესობრივი კუთვნილების, სარწმუნოებისა და პარტიულობის მიუხედავად.

6. სამართალწარმოების ენის პრინციპია. ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ პროცესის მონაწილეებს (ექვმიტანილის, ბრალდებულს, განსასჯელს, მოწმეს, დაზარალებულს, დამცველს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხესა და მათ წარმომადგენლებს, ასევე ექსპერტსა და სპეციალისტს) უფლება აქვთ როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოვიდნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე ან მათთვის კარგად ცნობილ ენაზე.

7. საქმეთა ღია (საქვეყნო) განხილვის პრინციპია. სასამართლოში სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა დიდი უმრავლესობა იხილება ღია სხდომებზე, რაც ასევე კონსტიტუციური (მუხლი 85-ე) და პროცესუალური პრინციპია. საქმეთა ღია განხილვა წარმოადგენს დემოკრატიული პრინციპის ფორმას, მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას და, ამავე დროს, გარკვეულად ზრდის სასამართლოს შემადგენლობისა და პროცესის სხვა მონაწილეთა მასშტაბებზე.

8. შეჯამებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს კონსტიტუციურ და სამართალწარმოების ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლში მითითებულია, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯამებითობის საფუძველზე.

9. დაცვის უფლების პრინციპია. ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 42-ე), პროცესუალური კანონმდებლობითა და აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციებითა და პაქტებით.

10. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპია. პრეზუმფცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს წინასწარ დადგენილ, განსაზღვრულ დებულებას, რომელიც მოქმედებს მანამდე, სანამ არ იქნება დამტკიცებული საწინააღმდეგო. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი კონსტიტუციურაა (მუხლი მე-40), პროცესუალური და ოგი ასევე

აღიარებულია საქართველოს ბაქტით, ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.

11. პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპი. ამ პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კონსტიტუცია უკრძალავს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს პოლიტიკურ საქმიანობას, პოლიტიკური პარტიების წევრობას, გაფიცვების მოწყობასა და გაფიცვებში მონაწილეობას, აგრეთვე სხვა ნებისმიერი თანამდებობის შეთავსებას, სამეცნიერო-მედიკოგოური, შემოქმედებითი მოღვაწეობის გარდა.

თავი 11

სასამართლოს სისტემა

§1 საქართველოს საერთო იურიდიუციის სასამართლოები

სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება. 1997 წლის 13 ივნისის მიღებულ იქნა ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელმაც თანამედროვე სასამართლოს რეფორმის პირობებში შეცვალა და დააზუსტა სასამართლო სისტემა საქართველოში, ასევე მოსამართლეთა კორპუსის ფორმირების საკითხები. 1997 წელს მიღებულ იქნა ასევე სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1998 წლის 20 თებერვალს - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1997 წლის 21 ნოემბერს - ორგანული კანონი საქართველოს პროკურატურის შესახებ. სასამართლო რეფორმის განხორციელება საქართველოში ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული, იგი ხანგრძლივი პროცესია და მუდმივ ყურადღებას მოითხოვს.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, 1997 წელს საერთო სასამართლოების კანონის საფუძველზე გაუქმდა საარბიტრაჟო და სამხედრო სასამართლოები და მათი ქვემდებარე საქმეები განსახილველად გადაეცა საერთო სასამართლოებს.¹

§2 სასამართლო სისტემა და სტრუქტურა

კანონით განსაზღვრული სასამართლოების სისტემა სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. საქართველოში არსებული სასამართლოების სისტემას ეკისრება მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა-გადაწყვეტის მეშვეობით.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს და ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურიდიუციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

მართლმსაჯულების განხორციელების დროს, მტკიცედ და განუზრელად უნდა იქნეს დაცული მთელი რიგი პრინციპული ხასიათის დებულებები, რომელთაც განსაზღვრავს და აყალიბებს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილებათა სავალდებულობა, თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და სასამართლოს საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობა, პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემულობისათვის, სამართალწარმოების ენა, საქმეების განხილვის საქვეყნობა.

სამართალწარმოების აღნიშნული პრინციპები განხილულ იქნა III თავში, რის გამოც მათ გაშუქებაზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას.

ამჟამად, საქართველოში კანონით გათვალისწინებულა საერთო სასამართლოების შემდეგი სისტემა: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა ერთიანია. საშუალო სასამართლოები შეიძლება შეიქმნას საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. საშუალო სასამართლოების შექმნის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით. საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

§3 რაიონული (საქალაქო) სასამართლო

რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით რაიონში, ქალაქში, რომელიც არ შედის არც ერთ რაიონში და არ გააჩნია რაიონული დაყოფა აგრეთვე ქალაქის რაიონში.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი, შესაბამისად, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოსტაციის საბჭოს წარდგინებით.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო შედგება არანაკლებ ორი მოსამართლისაგან. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი მოსამართლეა, ერთი განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე – სამოქალაქო და სხვა საქმეებს.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს ოსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში ამ უფლებამოსილებას ახორციელებს, შესაბამისად, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოსტიციის საბჭო.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ოსტიციის საბჭოს წარდგინებით. აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობას კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი, შესაბამისად, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოსტიციის საბჭოს წარდგინებით. რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, სადაც ყველა საქმე განიხილება ერთპიროვნულად მოსამართლის მიერ, კანონით დადგენილი წესით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას განსაზღვრავს საპროცესო კანონი.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორი ან მეტი მოსამართლეა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს ამ სასამართლოს მოსამართლეთაგან 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლეო უფლებამოსილებას ვადისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების

ტერიტორიებზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების თავმჯდომარეებს თანამდებობაზე ნიშნავს შესაბამისად, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ოუსტიციის საბჭოს წარდგინებით აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

აუცილებლობის შემთხვევაში, მართლშეამართლების განხორციელებაში შეფერხების თავიდან ასაცილებლად საოლქო სასამართლოს მოსამართლეს შეიძლება დაევალოს საქმის განხილვაში მონაწილეობა ამავე სასამართლოს სხვა კოლეგიაში ან პალატაში.

თითოეულ კოლეგიასა და პალატას პყავს თავმჯდომარე, რომელსაც შესაბამისი კოლეგიისა და პალატის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადისა, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

დაუშვებელია საოლქო სასამართლოს, მისი პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ზედიზედ მეორე ვადით დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ სასამართლოს, პალატის ან კოლეგიის ყველა სხვა მოსამართლე წერილობით უარს განაცხადებს, შესაბამისად, სასამართლოს, პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარეობაზე.

საოლქო სასამართლო სააპელაციო წესით განიხილავს საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და საქმეებს პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის სამოცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო სამოცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოები განიხილავენ ეკონომიკურ (სამეურნეო) დავებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს (ოურიდული პირებს) შორის, თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს.

საოლქო სასამართლოში საქმე სააპელაციო წესით განიხილება პალატების, ხოლო პირველი ინსტანციით — კოლეგიის მიერ, გარდა საგამოძიებო კოლეგიისა.

საოლქო სასამართლოს კოლეგიებსა და პალატებში საქმეებს განიხილავენ სამი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო ამ სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში — ერთმორიგულადაც საქართველოს სისხლის სამართლის სამოცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

§4 საოლქო სასამართლო

საქართველოს საოლქო სასამართლოებია თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები.

თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს ოუსტიციის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს ოუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

საოლქო სასამართლოში იქმნება:

- ა) სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია;
- ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია;
- გ) აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგია;
- დ) სამოქალაქო და სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატა;
- ე) სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა;

გ) ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა; სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტად საოლქო სასამართლოში იქმნება საგამომიებო კოლეგია.

საოლქო სასამართლოს კოლეგიებისა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით. საოლქო სასამართლოს კოლეგიებისა და პალატების შემადგენლობას განსაზღვრავს საოლქო სასამართლო საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

§5 აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები ამ კანონითა და საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედამხედველობენ მართლმსაჯულების განხორციელებას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, საქმეებს იხილავენ პირველი ინსტანციით, აგრეთვე იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები შედგება თავმჯდომარეების, თავმჯდომარეების პირველი მოადგილეების, მოადგილეებისა და სხვა მოსამართლეებისაგან.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებში იქმნება პრეზიდენტები, აგრეთვე სამი კოლეგია და სამი პალატა, კერძოდ, სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგია, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგია, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკატრების საქმეთა სააპელაციო პალატა, სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა, ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა.

§6 საქართველოს უზენაესი სასამართლო

ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ მიღებულ იქნა 1999 წლის 12 მაისს. საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოა.

უზენაესი სასამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმების, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და სხვა კანონების საფუძველზე.

უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობის მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს, იმპინენტის წესით აძლევს დასკვნას საქართველოს კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 68-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე მართლმსაჯულებისა და სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებისას დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისევეა კანონით.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი განხრეკვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლისათვის დაწესებული ფულადი გასამრჯელოსა და სხვა მატერიალური შეღავათების შემცირება დაუშვებელია. უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შემცირება წინა წლის საბიუჯეტო სახსრების ოდენობასთან შედარებით დაუშვებელია.

1. უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა

უზენაესი სასამართლოში იქმნება:

- ა) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია;
- ბ) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა;
- გ) ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა;
- დ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა;
- ე) დიდი პალატა;
- ვ) საზედამხედველო პალატა;
- ზ) პლენუმი.

უზენაესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის წევრს დაავალოს კანონით განსაზღვრულ საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციით, ორი მსაჯულის მონაწილეობით.

უზენაესი სასამართლოში იქმნება უზენაესი სასამართლოს აპარატი და საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განისჯადა. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია საქმეებს განიხილავს ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით.

უზენაესი სასამართლოს პალატა, გარდა საზედამხედველო პალატისა, არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით

განხილავს საკავშირის საინფორმაციო საკომუნიკაციო რაიონული (საკავშირის), საოლქო, ადგილობრივი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. უზენაესი სასამართლოს პალატა, გარდა დიდი პალატისა, საქმეებს განხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით.

უზენაესი სასამართლოს საზედამხროველო პალატა იქმნება უზენაესი სასამართლოს შვიდი მოსამართლის შემადგენლობით, რომლებსაც ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. ორ წელიწადში ერთხელ ხდება პალატის წევრთა ერთი მესამედის როტაცია.

საზედამხროველო პალატა სისხლის სამართლის საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით განხილავს მხარეთა საჩივრებს სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და სხვა შემთხვევებზე გადაწყვეტილებებზე ახლად გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით. აგრეთვე საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებებს ახლად აღმოჩენილ გარემოებებთან დაკავშირებით.

საზედამხროველო პალატა უფლებამოსილია განხილოს საჩივარი, თუ მისი სხდომის ესწრება არანაკლებ ხუთი წევრისა. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მხარი დაუჭირა სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. ხმათა გაყოფის შემთხვევაში საჩივარი დაკმაყოფილდება. საზედამხროველო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.²

უზენაესი სასამართლოს პალატის საქმის განხილველ შემადგენლობას მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განისახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ:

- ა) საქმის განხილვისა და გადაწყვეტის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას;
- გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საკავშირის ინსტანციის სასამართლოა, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილავს კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს.

დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ უზენაესი სასამართლოს პალატების შემადგენლობიდან 2 წლის ვადით არჩეული არანაკლებ 12 მოსამართლისაგან.

დიდი პალატაში საქმის განხილვისათვის თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით — უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს პალატებსა და კოლეგიას ჰყავთ თავმჯდომარეები, რომლებსაც შეესაბამისი პალატის ან კოლეგიის შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. უზენაესი სასამართლოს პალატებისა და კოლეგიის თავმჯდომარეები იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს უზენაესი სასამართლოს პალატებისა და კოლეგიის თავმჯდომარეთაგან ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

უზენაესი სასამართლოს პლენუმი შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრების, ადგილობრივი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების

თავმჯდომარეთა და თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეთაგან.

იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც ეხება საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, პლენუმის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2. უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 20 აგვისტოს N 491 ბრძანებულებით დამტკიცდა დებულება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაციის შესახებ.“

აღნიშნული დებულების თანახმად:

უზენაესი სასამართლოს წევრთა საკვალიფიკაციო ატესტაცია ეწყობა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 28-ე მუხლის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო ატესტაციის მიზანია უზენაესი სასამართლოს წევრთა კვალიფიკაციის, სამოსამართლო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შეფასება, უზენაესი სასამართლოს კოლეგიებისა და პალატებში მათი განწესების, საკლასო ჩინის მინიჭებისა და კარიერის საკითხების გადასაწყვეტად.

საკვალიფიკაციო ატესტაციას ხელმძღვანელობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

საკვალიფიკაციო ატესტაციის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დაფარებით ახორციელებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო.

საკვალიფიკაციო ატესტაცია ეწყობა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ტესტირების მეთოდით მოწმდება უზენაესი სასამართლოს წევრის კვალიფიკაცია, განსწავლულობა მოქმედ კანონმდებლობაში. მეორე ეტაპზე ფასდება უზენაესი სასამართლოს წევრთა სამოსამართლო უნარ-ჩვევები საატესტაციო პირის ნამსახურობის ნუხისა და საქმიანი რეპუტაციის შესახებ საატესტაციო კომისიის წევრის დასკვნის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო ატესტაციის მოწყობის ვადებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

საკვალიფიკაციო ატესტაციის პირველი ეტაპია ტესტირება.

3. მოსამართლეთა არჩევა და დანიშვნა

მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარაანი მოქალაქე ოცდაათი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი თორიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

საქართველოს ყველა მოსამართლის უფლებამოსილების ვადაა ათი წელი. თუ განსაზღვრული მოსამართლის უფლებამოსილების ვადა გავიდა მისი მონაწილეობით დაწყებული საქმის განხილვის დაბთავრებამდე, მაშინ მოსამართლის უფლებამოსილება გრძელდება აღნიშნულ საქმეზე ამ მოსამართლის ან იმ სასამართლო კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომლის შემადგენლობაშიც არის იგი.

4. მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

რაიონული (საქალაქო) და საოლქო სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედი რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, შესაბამისად, საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებს წარდგინებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

§7 საქართველოს იუსტიციის საბჭო

სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დაინაშინი კანდიდატურების შერჩევის, წარდგინების, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საეკვალფიკაციო გამოცდების ორგანიზებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო - საქართველოს იუსტიციის საბჭო.

იუსტიციის საბჭო შედგება თორმეტი წევრისაგან. მის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები.

იუსტიციის საბჭოს ოთხ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი; ოთხ წევრს, რომელთაგანაც პარლამენტის წევრთა რაოდენობა სამი არ უნდა აღემატებოდეს, აირჩევს საქართველოს პარლამენტი; ერთ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის საბჭოს წევრად არ შეიძლება აირჩიეს საპარლამენტო უმრავლესობის ორზე მეტი წარმომადგენელი.

იუსტიციის საბჭოს წევრად განწესებისას საჭიროა წევრობის კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების გარდა.

იუსტიციის საბჭოს წევრი, თუ ის არ არის საქართველოს პარლამენტის წევრი ან საქართველოს იუსტიციის მინისტრი, შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ოცდახუთი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი ორთქმული განათლება.

იუსტიციის საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა სამი წელია ერთი და იგივე პირი საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს (აირჩიეს) ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. იუსტიციის საბჭოს ახალი წევრი უნდა დაინიშნოს (აირჩიეს) არა უადრეს ოცდაათი და არა უგვიანეს შვიდი დღისა იუსტიციის საბჭოს შესაბამისი წევრის უფლებამოსილების გადის ამოწურვამდე. იუსტიციის საბჭოს ახალი წევრი უნდა დაინიშნოს (აირჩიეს) იუსტიციის საბჭოს შესაბამისი წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა, ხოლო თუ ამ ვადაში საქართველოს პარლამენტის სხდომები არ ტარდება, მაშინ პარლამენტის უახლოეს სხდომაზე.

იუსტიციის საბჭოს წევრს, თუ იგი არ არის საქართველოს იუსტიციის მინისტრი ან საქართველოს პარლამენტის წევრი, არ შეიძლება ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან თვითმართვლობის ორგანოში, ანდა ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას. გამონაკლისს წარმოადგენს სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობა. მისი ხელფასი არ შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის წევრის ხელფასზე ნაკლები.

იუსტიციის საბჭოს სხდომები მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სამ თვეში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტის ან მისი დაფარებით იუსტიციის საბჭოს რომელიმე წევრის მიერ ანდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ თავისი მოვალეობის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს საქართველოს იუსტიციის საბჭოს სხდომის მოწვევის კანონით დადგენილი აუცილებლობა.

იუსტიციის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტი ან მისი დაფარებით-საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის მიერ საგანგებოდ უფლებამოსილი იუსტიციის საბჭოს წევრები, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში - იუსტიციის საბჭოს სხვა წევრი.

კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში იქმნება საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების სათათბირო ორგანოები - აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების ორგანიზაცია, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“ და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს იუსტიციის საბჭო:

- ა) წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატებს;
- ბ) წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის შემადგენლობას;
- გ) განსაზღვრავს რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა სპეციალიზაციას;
- დ) საერთო სასამართლოების უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარდგინებით ადგენს საერთო სასამართლოების, უზენაესი სასამართლოს გარდა, აპარატის სტრუქტურას და რაოდენობას და წარუდგენს მას საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად;
- ე) შეიმუშავებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს და წარუდგენს მას საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად;
- ვ) განიხილავს სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალებს;
- ზ) შესაბამისი საჩივრის არსებობისას აღძრავს დისციპლინურ დევნას მოსამართლის მიერ საქმის განხილვის, აგრეთვე სასამართლო აქტების შედგენისა და გაცემის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევის გამო; დისციპლინური დევნის აღძვრასთან დაკავშირებით საკითხის მოსამზადებლად ქმნის კომისიას. საქართველოს იუსტიციის საბჭოს, აგრეთვე შექმნილ კომისიას გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას ეკრძალებათ მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება, მოსამართლისაგან კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ანგარიშის მოთხოვნა;
- თ) ისმენს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოველწლიურ ანგარიშს;

- ი) შედის საქართველოს პრეზიდენტთან წარდგინებით მოსამართლეების კანონით დადგენილი წესით წახალისების შესახებ;
- კ) შეიმუშავებს წინადადებებს სასამართლო რეფორმის საკითხებზე და წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს;
- ლ) კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე და შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს წარდგინებით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;

მ) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
 იუსტიციის საბჭოს საქმიანობის წესი განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც მისივე წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.³ იუსტიციის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება იუსტიციის საბჭოს აპარატი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოებია:

- ა) ატარებენ კონკურსის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა კანდიდატურებისათვის, გამოიმუშავებენ რეკომენდაციებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედ რაიონულ (საქალაქო) და საოლქო სასამართლოებში თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების თაობაზე და წარუდგენენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს;
- ბ) განისაზღვრავენ რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა სპეციალიზაციას;
- გ) შეესაბამის საჩივრის არსებობისას, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დადგენილი წესით აღძრავენ დისციპლინურ დევნას მოსამართლის მიერ საქმის განხილვის, აგრეთვე სასამართლო აქტების შედგენისა და გაცემის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევის გამო;
- დ) შეიმუშავებენ წინადადებებს სასამართლო რეფორმის საკითხებზე და წარუდგენენ საქართველოს პრეზიდენტს;
- ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მოქმედ საოლქო სასამართლოებს წარუდგენენ საოლქო სასამართლოთა სასამართლო კოლეგიების შემადგენლობას.
- ვ) ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
 აღნიშნული დებულების თანახმად, აპარატი ხელმძღვანელობს იუსტიციის საბჭოს მდიანა. აპარატი შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

I სასამართლოს პერსონალის სექტორი

- ა) ახორციელებს საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრების, საქართველოს იუსტიციის საბჭოს აპარატისა და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკადრო აღრიცხვას;
- ბ) აწარმოებს მოხელეთა შრომის წიგნაკებსა და ჩასართ ფურცლებს;
- გ) ადგენს მოხელეთა ნაშისხურობის ნუსხას;
- დ) აფორმებს სამუშაოზე მიღებასა და გათავისუფლებას, შევბუღებებს, საბენისო საბუთებს, შრომისუნარობის ფურცლებსა და მივლინებებს;
- ე) აანალიზებს აპარატის მოხელეთა პროფესიული მომზადების დონეს, შეიმუშავებს და ახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს;
- ვ) უზრუნველყოფს ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების აღრიცხვას;
- ზ) უზრუნველყოფს აპარატის გაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამართვას, მოსამხატვრეთა ატესტაციის ორგანიზებასა და მოწყობას;

თ) ამზადებს და აფორმებს ბრძანებებს მოხელეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ი) შეიმუშავებს იუსტიციის საბჭოს შინაგანაწიის და უზრუნველყოფის მისი განხორციელების კონტროლს.

2. საკვალიფიკაციო გამოცდების მომზადებისა და ორგანიზაციის სექტორი:

- ა) ახორციელებს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების მოწყობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საქმიანობას;
- ბ) შეისწავლის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების მოწყობის წესსა და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მათ გადასაწყვეტად ამზადებს შესაბამის პროექტებს;
- გ) ორგანიზებულ საკითხებში ხელმძღვანელობს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების სამდივნოს საქმიანობას;
- დ) შეიმუშავებს სასამართლო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების პროექტებს.

3. სტატისტიკისა და ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის სექტორი:

- ა) ამზადებს საკითხებს სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალების განხილვის შესახებ;
- ბ) სასამართლო სტატისტიკის საფუძველზე მოპოვებულ ფაქტობრივ და ანალიტიკურ ინფორმაციას წარუდგენს იუსტიციის საბჭოს შემდგომი პროგნოზირებისათვის;
- გ) შეიმუშავებს სასამართლოში პირველადი სტატისტიკური აღრიცხვის ფორმებს, ერთდროული აღრიცხვის, აღწერის ბლანკებს და დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის საბჭოს;
- დ) უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ერთად უზრუნველყოფს სტატისტიკური კრებულებისა და ბიულეტენების გამოცემას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სტატისტიკური მასალების გამოქვეყნებას;
- ე) თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტთან კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვ) უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების სისტემაში მოყვანას;
- ზ) ახორციელებს სისტემატიზებული დოკუმენტების შესახებ სამეცნიერო-საცნობარო მასალების შექმნას (აღწერები, კატალოგები და სხვ.);
- თ) უზრუნველყოფს საჭირო ნორმატიული მასალის ოპერატიულ მოძიებას;
- ი) აწარმოებს ნორმატიული აქტების საკონტროლო ეგზემპლარებს;
- კ) უზრუნველყოფს საბჭოს წევრებისათვის საინფორმაციო, საცნობარო და სხვა მასალების მიწოდებას;
- ლ) მოიპოვებს ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებზე მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ;
- მ) ორგანიზებას უწევს საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების ნორმატიული აქტების მოძიებას;

4. საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართალშემოქმედებითი საქმიანობის სექტორი:

- ა) უზრუნველყოფის იუსტიციის საბჭოს საერთაშორისო და სამართალშემოქმედებით საქმიანობას;
- ბ) ამყარებს ურთიერთობას საზღვარგარეთის ქვეყნების შესახების სტრუქტურებთან, საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან;
- გ) ამზადებს იუსტიციის საბჭოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენელთა ოფიციალურ შეხვედრებს, იძლევა დასკვნებს შემოთავაზებულ წინადადებებზე;
- დ) შეიმუშავებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობის დოკუმენტების პროექტებს და იუსტიციის საბჭოს თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მათ შემდგომ განხორციელებას;
- ე) იუსტიციის საბჭოსათვის ამზადებს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტებს;
- ვ) წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების თაობაზე, რომლებიც ემყარება სასამართლო ხელისუფლებას, ამზადებს შენიშვნებსა და წინადადებებს.

5. სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების სექტორი:

- ა) საერთო სამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ნორმატიული აქტების შესახებისად ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას;
- ბ) ახორციელებს დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე იუსტიციის საბჭოს სხდომების მოწვევისა და გამართვის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
- გ) ამზადებს დისციპლინური სამართალწარმოებასთან დაკავშირებული იუსტიციის საბჭოს დოკუმენტების პროექტებს;
- დ) შეისწავლის საერთაშორისო გამოცდილებას სასამართლო ეთიკისა და მოსამართლეთა დისციპლინური დეენის საკითხებზე; შესახების წინადადებებს წარუდგენს იუსტიციის საბჭოს;
- ე) აწარმოებს იუსტიციის საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების სტატისტიკას;
- ვ) განაზოგადებს იუსტიციის საბჭოს მიერ განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკას.

6. კანცელარია:

- ა) უზრუნველყოფს აპარატში ერთიან საქმის წარმოებას;
- ბ) ახორციელებს განცხადებებისა და წერილების მიღებასა და რეგისტრაციას;
- გ) უზრუნველყოფს შიდასაუწყებო კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ წარდგენას;
- დ) ახორციელებს იუსტიციის საბჭოსა და მისი აპარატის სამსახურებრივი დოკუმენტების რეგისტრაციასა და დაგზავნას;
- ე) ახორციელებს საცნობარო მომსახურებას.

7. იუსტიციის საბჭოს წევრის აპარატი.

იუსტიციის საბჭოს წევრის აპარატი შედგება იუსტიციის საბჭოს წევრის თანაშემწისა და რეფერენტისაგან.

თანაშემწე: ა) იუსტიციის საბჭოს წევრის დაფალებით ამზადებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული იუსტიციის საბჭოს სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებს; ბ) ახორციელებს იუსტიციის საბჭოს წევრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხთა მომზადების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას; გ)

ასრულებს ოუსტიციის საბჭოს წევრის სხვა დავალებებს; დ) ოუსტიციის საბჭოს მდივნის ან საბჭოს სხვა წევრის დავალებით ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას.

რეფერენტი: ა) ახორციელებს ოუსტიციის საბჭოს წევრის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას; ბ) უზრუნველყოფს ოუსტიციის საბჭოს წევრის საინფორმაციო-საცნობარო მასალებითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით; გ) ასრულებს ოუსტიციის საბჭოს წევრის სხვა დავალებებს.

მ. მისაღები.

საქართველოს ოუსტიციის საბჭოს მისაღებში მოქალაქეთა მიღება წარმოებს აპარატის მოხელეთა მიერ საქართველოს ოუსტიციის საბჭოს მდივნის მიერ დამტკიცებული მორიგეობის გრაფიკის შესაბამისად.

წ. პრესკენტრია:

ა) ახორციელებს საქართველოს ოუსტიციის საბჭოსა და მისი აპარატის ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

ბ) ამზადებს ანალიტიკურ მასალებს ოუსტიციის საბჭოსა და საერთო სასამართლოების შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე;

გ) მოიხივებს საზღვარგარეთის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოების მიერ გაფრცელებულ შესაბამის მასალებს და აცნობებს ოუსტიციის საბჭოსა და აპარატს;

დ) თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების პრესკენტრებთან;

ე) ორგანიზაციის უწევს პრესკონფერენციების გამართვას, უზრუნველყოფს ოუსტიციის საბჭოში გამართულ ღონისძიებებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა დასწრებას;

ვ) უზრუნველყოფს ოუსტიციის საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაფრცელებას.

თ. ბუღალტერია.

ბუღალტერია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

ი. საფინანსო სექტორი.

საფინანსო სექტორი ახორციელებს ოუსტიციის საბჭოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას; ბ) ახორციელებს ოუსტიციის საბჭოს მატერიალურ ფასეულობათა მდგომარეობის კონტროლს; გ) უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების დროულ მიღებას; დ) ოუსტიციის საბჭოს მდივანთან შეთანხმების საფუძველზე დებს საფინანსო-სამეურნეო ხაიათის ხელშეკრულებებს; ე) ახორციელებს ოუსტიციის საბჭოს სამეურნეო უზრუნველყოფას.

ი. ოუსტიციის საბჭოს აპარატის მოხელეთა ძირითადი ფუნქციები.

სექტორის უფროსი (კანცელარიის გამგე) ხელმძღვანელობს და წარმართავს სექტორის (კანცელარიის) ორგანიზაციულ საქმიანობას; კონტროლს უწევს სექტორის (კანცელარიის) წარმოებაში არსებულ საკითხთა მომზადების ვადების დაცვასა და

საქმეთა ვეროვან წარმოებას; სექტორში (კანცელარიაში) შრომის თანაბარი განაწილების მიზნით შესაბამის წინადადებებს წარუდგენს იუსტიციის საბჭოს მდივანს, უფროსი კონსულტანტი და კონსულტანტი უზრუნველყოფენ სექტორის (კანცელარიის) ფუნქციებით განსაზღვრული ამოცანების შესრულებას; ასრულებენ სექტორის უფროსის (კანცელარიის გამგის) ორგანიზაციული ხასიათის დაფალებებს.

§7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

1. საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბება

საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის საკითხი გადაწყდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის საფუძველზე (იხ: მ3-ე, მ8-ე და მ9-ე მუხლები). კონსტიტუციის შესაბამისად მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (1996 წლის 31 იანვარი) და კანონი „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ (1996 წლის 21 მარტი). აღნიშნული კანონების მიღების შემდეგ მათში შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაცია და კადრები

საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის შესაბამისად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო, რომლის მიზანია კანონებისა და ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მოქალაქეთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა და კონსტიტუციური უზენაესობის უზრუნველყოფა.

საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისაგან — საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისაგან, რომელთაგან აირჩევა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის ორი მოადგილე და საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი.

საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ბრძანებულების საფუძველზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მებუთედით, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა შერჩევისას საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტი და უზენაესი სასამართლო ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რომელიც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა დანიშვნის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტი გამოისცემა ბრძანებულებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ასარჩევი კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ: პარლამენტის თავმჯდომარეს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ათკაციან ჯგუფს, რომელიც არ შედის არც ერთ ფრაქციაში.

პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრის წინ პარლამენტის თავმჯდომარე დამიწრეთ აცნობს კანდიდატთა სახს და მათ წერილობით თანხმობას საკონსტიტუციო

სასამართლოს წევრად არჩევის თაობაზე, ყოველ ასარჩევ კანდიდატს კენჭი ვერება ინდივიდუალურად. კენჭისყრა ფარულია.

საკონსტიტუციო სასამართლოში დასანიშნ კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს პლენუმზე ასახელებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. კენჭისყრის შედეგად დანიშნულად ჩაითვლება ის სამი კანდიდატი, რომელიც პლენუმის დამსწრე წევრების ხმათა ორ მესამედს მიიღებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურას ასახელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები არჩეულად ჩაითვლებიან, თუ ფარული კენჭისყრის დროს თითოეულ მათგანი მხარი დაუჭირა საკონსტიტუციო სასამართლოს არანაკლებ 5 წევრმა.

საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი, პლენუმის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.

კოლეგიის შემადგენლობაში შედის საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი წევრი. კოლეგიის სხდომებს უძღვება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

კოლეგიის შემადგენლობას საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პლენუმი. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამწესებული საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები კოლეგიებში შექლებისდაგვარად თანაბრად უნდა იყვნენ წარდგენილნი.

კოლეგიის შემადგენლობა უნდა გადახალისდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის არჩევიდან 10 დღეში.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების საკითხები

საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების საკითხები ძირითადად გადაწყვეტილია კანონში „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“. სამართალწარმოების ცალკეული საკითხები განხილული და გადაწყვეტილია აგრეთვე კანონში „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. სამართალწარმოების ზოგიერთი საკითხი მგორდება დასახელებულ კანონებში.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილენი არიან:

- ა) მხარეები - პირები და ორგანოები (მოსარჩელე და მოპასუხე);
- ბ) მხარეთა წარმომადგენლები - ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთათვისაც მხარეთა უფლებამოსილების გადაცემა ფორმდება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) მხარეთა ინტერესების დამცველი - ადვოკატები ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირები, რომლებიც სამართალწარმოებებში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანა.

კონსტიტუციური წარდგინება შეიტანება: ა) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის დასაბუთებულად; ბ) იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საქმის განხილვისას მივა იმ დასკვნამდე, რომ კანონი ან ნორმატიული აქტი რომელიც მან უნდა გამოიყენოს განსახილველი საქმის გადასაწყვეტად, მთლიანად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ასეთ შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ყველა სხვა შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია კონსტიტუციური სარჩელი. კონსტიტუციური წარდგინება და სარჩელი უნდა იყოს დაწერილებით დასაბუთებული და მოტივირებული.

კონსტიტუციურ სარჩელს ან კონსტიტუციურ წარდგინებას აუცილებლად უნდა ერთვოდეს:

- ა) სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი;
- ბ) მოსარჩელეს ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
- გ) საბანკო დაწესებულების მიერ დამოწმებული ცნობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის დაწყების საფუძველია კონსტიტუციური სარჩელი. კონსტიტუციური წარდგინება და სარჩელი უნდა იყოს დაწერილებით დასაბუთებული და მოტივირებული.

კონსტიტუციურ სარჩელს ან კონსტიტუციურ წარდგინებას აუცილებლად უნდა ერთვოდეს:

- ა) სადავო ნორმატიული აქტის ტექსტი;
- ბ) მოსარჩელეს ან კონსტიტუციური წარდგინების ავტორის წარმომადგენელთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი;
- გ) საბანკო დაწესებულების მიერ დამოწმებული ცნობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება

კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (მუხლი მე-19) განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეთა კატეგორიას. კერძოდ, მე-19 მუხლში აღნიშნულია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განხილოს და გადაწყვიტოს:

- ა) საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს ბრეზიდენტისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;
- ბ) დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;
- გ) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;
- დ) დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;
- ე) საქართველოს კონსტიტუციის მიერ თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;
- ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;
- ზ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;
- თ) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს გენერალური პროკურორის, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.

¹ საერთო სასამართლოების სისტემის შესახებ ახ.: ა. აქუბარდა, „საქართველოს სასამართლო სისტემა“, თბ. 2001.

² იხ. ვ. ყიფიანი, საზედამხედველო პალატა: გუმბი, დღეს, ხვალ, „მართლმსაჯულების მაცნე“, 2000, №1, გვ. 29-39.

³ 2000 წლის 5 დეკემბრის კანონის „სახელმწიფო საეკონომიკური წოდებების შესახებ“, შესაბამისად საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრებისათვის დაწესებულია შემდეგი საეკონომიკური წოდებები. საშუალო საეკონომიკური წოდება - უმცროსი იურისტი, მე-3 კლასის იურისტი, მე-2 კლასის იურისტი, 1-ლი კლასის იურისტი; უფროსი საეკონომიკური წოდება - იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი; უმაღლესი საეკონომიკური წოდება - იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

⁴ „საკონსტიტუციო სასამართლო“ იმართება აგრეთვე სხვა ტერმინითაც, კერძოდ, როგორც „კონსტიტუციური სასამართლო“, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციაში გამოყენებულია ტერმინი „საკონსტიტუციო სასამართლო“, უბრატესობა უნდა მიენიჭოს კონსტიტუციურ ტერმინს.

თავი 12

საქართველოს პროკურატურის ორგანიზაცია და უფლებამოსილება

§1 პროკურატურის დაარსება განვითარება, საქმიანობა და პრინციპები

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულება სსრ კავშირის დაშლის შემდეგ დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის ხახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის 17 ივნისის N 46 დადგენილებით. აღნიშნული დებულებით პირველად განისაზღვრა დამოუკიდებელი საქართველოს პროკურატურის ამოცანები, ფუნქციები, პრინციპები, პროკურატურის ორგანოების სისტემა, პროკურატურის ზედამხედველობის ძირითადი მიმართულებები, პროკურატურის მუშაკთა საკადრო საკითხები, მათი საპარტლერბრივი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი.

საქართველოს პროკურატურის ფუნქციებისა და ამოცანების საკითხები ასლებურად არის გააზრებული საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით. კონსტიტუციის 91-ე მუხლში აღნიშნულია, რომ პროკურატურა სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებაა.

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე 1997 წლის 21 ნოემბერს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, რომლის შესაბამისად გაშუქდება საქართველოს პროკურატურის ორგანიზაციისა და უფლებამოსილების საკითხები.

საქართველოს პროკურატურა თავის ფუნქციებს მხოლოდ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს პროკურატურის კანონის შესაბამისად ახორციელებს. საქართველოს პროკურატურის ძირითადი ამოცანები ჩამოყალიბებულია ორგანულ კანონში „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წლის 21 ნოემბერს. ამ კანონის შესაბამისად პროკურატურის ამოცანები (მუხლი მე-2) ძირითადად ემთხვევა საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 91-ე) განისაზღვრულ უფლებამოსილებას.

კანონი „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ (მუხლი მე-3) განისაზღვრავს პროკურატურის საქმიანობის პრინციპებს, რომელთაც მიეკუთვნება: ა) კანონიერება; ბ) ფიზიკური პირის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა; გ) დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა; დ) ერთიანობა და ცენტრალიზაცია; ე) პოლიტიკური ნეიტრალიტეტი.

§2 პროკურატურის ორგანოთა სისტემა და სტრუქტურა

პროკურატურის ორგანოები საქართველოში, ძირითადად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად იქმნება, მაგრამ ამავე დროს ყალიბდება საეკონომიკური პროკურატურები, რომლებიც რეგიონული პრინციპის შესაბამისად მოქმედებენ. პროკურატურის ორგანოების სისტემას, სტრუქტურასა და საშტატო ერთეულებს ამტკიცებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

ამჟამად საქართველოში არსებობს პროკურატურის ორგანოთა შემდეგი სისტემა: საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს მთავარი საშტატო პროკურატურა და რეგიონული საშტატო პროკურატურები, საქართველოს

სატრანსპორტო პროკურატურა და რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, სამხარეო (საოლქო) პროკურატურები, რაიონული (საქალაქო) პროკურატურები და სასაჯელაღსრულებით დაწესებულებათა პროკურატურები, რომლებიც რეგიონული პრინციპის შესაბამისად მოქმედებენ.

1. საქართველოს გენერალური პროკურატურა

საქართველოს გენერალური პროკურატურა სათავეში უდგას პროკურატურის ორგანოების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს და წარმართავს ქვემდგომი პროკურატურების საქმიანობას, მასში შექმნილი სამმართველოებისა და განყოფილებათა მეშვეობით. საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და ორგანოების მთელ სისტემას ხელმძღვანელობს საქართველოს გენერალური პროკურორი.

გენერალურ პროკურორის პყავის პირველი მოადგილე და სამი მოადგილე (ერთი მათგანია საქართველოს მთავარი საბუდრო პროკურორი), უფროსი თანაშემწეები, თანაშემწეები და მრჩეველები გენერალური პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტა მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველია.

გენერალურ პროკურატურაში არის სამმართველოები, განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც პყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა პროკურორები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტები და პროკურორები. გენერალურ პროკურატურაში არის საგამომიებო ნაწილი, რომელსაც პყავს უფროსი და მისი მოადგილეები, განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა უფროსი გამომიებლები და განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა გამომიებლები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლეგია. საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბურო ორგანოა გენერალური პროკურატურის კოლეგია.

გენერალური პროკურატურის კოლეგიას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი.

გენერალური პროკურატურის კოლეგიის შემადგენლობაში თანამდებობის მსხვედით შედიან: გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, გენერალური პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უფროსი, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები, ქ. თბილისის პროკურორი, გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული პროკურატურის სხვა მუშაკები. კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ საქართველოს შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრები, საგამომიებო სამსახურების ხელმძღვანელები, გენერალური პროკურატურის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრები და სხვა პირები.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილია გენერალური ინსპექცია, რომლის დებულება დამტკიცებულა გენერალური პროკურორის მიერ 2000 წლის 7 აპრილს, ასევე დადგენილია ეთიკის ნორმები საქართველოს პროკურატურის მუშაკებისათვის.

საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურა. საქართველოს გენერალური პროკურატურის სტრუქტურას განსაზღვრავს გენერალური პროკურორი (მ. სქემა).

2. სამხედრო პროკურატურა

სამხედრო პროკურატურა სპეციალიზებული პროკურატურაა, რომელიც თავის უფლებამოსილებას კანონითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში იმ დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე ახორციელებს, რომლებიც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურის, მისთან გათანაბრებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ; აგრეთვე საქართველოს სამხედრო ძალებში მომსახურე სამოქალაქო პირის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედება სამსახურში ან სამხედრო ნაწილში სამხედრო დაწესებულების ტერიტორიაზე დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, რომელიც თანამდებობის მიხედვით საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეა.

მთავარ სამხედრო პროკურორის პყავს ორი მოადგილე უფროსი თანამშემწე და თანამშემწეები.

მთავარ სამხედრო პროკურატურაში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც პყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორები. მთავარ სამხედრო პროკურატურაში არის საგამომიებო ნაწილი, რომელსაც პყავს უფროსი და მისი მოადგილე უფროსი გამომიებლები და გამომიებლები.

მთავარ სამხედრო პროკურატურაში იქმნება საათბირო ორგანო - მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი.

მთავარი სამხედრო პროკურატურის კოლეგიის შემადგენლობაში თანამდებობის მიხედვით შედის: მთავარი სამხედრო პროკურორის ორივე მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურატურის განყოფილებათა უფროსები, საგამომიებო ნაწილის უფროსი, პროკურორ-კრიმინალისტი და ქ. თბილისის რეგიონული სამხედრო პროკურორი.

მთავარი სამხედრო პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამხედრო პროკურატურის მუშაკებისათვის.

3. სატრანსპორტო პროკურატურა

სატრანსპორტო პროკურატურა სპეციალიზებული პროკურატურაა, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში იმ დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია მეტროპოლიტენში, სარკინიგზო, საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტში.

სპეციალიზებული სატრანსპორტო პროკურატურებია: საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა და რეგიონული სატრანსპორტო პროკურატურები.

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი.

საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის პყაფი ორი მოადგილე უფროსი თანამეწე და თანამეწეები.

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურაში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც პყაფი უფროსები და მათი მოადგილეები უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორები საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურაში არის საგამოძიებო ნაწილი, რომელსაც პყაფი უფროსი და მისი მოადგილე უფროსი გამოძიებლები და გამოძიებლები.

საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სატრანსპორტო პროკურატურის მუშაკებისათვის.

4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურების ხელმძღვანელობენ, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს პყაფი ორ-ორი მოადგილე უფროსი თანამეწეები და თანამეწეები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების მოადგილეებს, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომლებსაც პყაფი უფროსები და მათი მოადგილეები უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში არის საგამოძიებო ნაწილები, რომლებსაც პყაფი უფროსები და მათი მოადგილეები უფროსი გამოძიებლები და გამოძიებლები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურებში იქმნება სათათბირო ორგანოები - აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს, შესაბამისად, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ ბრძანებებსა და სხვა აქტებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა მათდამი დაქვემდებარებული პროკურორებისა და პროკურატურის სხვა თანამშრომლებისათვის.

5. ქ. თბილისის პროკურატურა და საოლქო (სამხარეო) პროკურატურები

ქ. თბილისის პროკურატურასა და საოლქო (სამხარეო) პროკურატურებს ხელმძღვანელობს შესაბამისად ქ. თბილისის ან საოლქო (სამხარეო) პროკურორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

საოლქო პროკურატურები იქმნება და ფუნქციონირებს სამხარეო პროკურატურების სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით.

ქ. თბილისის პროკურორისა და საოლქო (სამხარეო) პროკურორებს ჰყავთ ორ-ორი მოადგილე, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები.

ქ. თბილისის პროკურატურასა და საოლქო (სამხარეო) პროკურატურებში არის განყოფილებები და სხვა სტრუქტურული დანაყოფები, რომელთაც ჰყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი პროკურორები, პროკურორ-კრიმინალისტიკები და პროკურორები. ქ. თბილისის პროკურატურასა და საოლქო (სამხარეო) პროკურატურებში არის საგამომძიებო ნაწილები, რომლებსაც ჰყავთ უფროსები და მათი მოადგილეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

6. რაიონული (საქალაქო) და სასაჯელადირულებით დაწესებულებათა პროკურატურები სასაჯელადირულებით დაწესებულებათა პროკურატურა სპეციალიზებული პროკურატურაა, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს კანონითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში საგამომძიებო იზოლაციისა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

რაიონულ (საქალაქო) და სასაჯელადირულებით დაწესებულებათა პროკურატურებს ხელმძღვანელობენ შესაბამისი პროკურორები, რომელთაც შეიძლება ჰყავდეთ მოადგილეები, უფროსი თანაშემწეები და თანაშემწეები, უფროსი გამომძიებლები და გამომძიებლები.

რაიონულ (საქალაქო) პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი, შესაბამისად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორების, ქ. თბილისის პროკურორისა და საოლქო პროკურორების წარდგინებით. სასაჯელადირულებით პროკურორის თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი.

პროკურატურის მუშაკების დანიშვნის წესი და პასუხისმგებლობა. საქართველოში ყველა პროკურორი თანამდებობაზე ხუთი წლის ვადით ინიშნება, ამასთან, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება დაინიშნოს პროკურორად ორ ვადაზე მეტი ხნით.

საქართველოს გენერალურ პროკურორს, პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს პარლამენტი სითითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საქართველოს მთავარ სამხედრო პროკურორს, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორს, ქ. თბილისის, საოლქო, რეგიონულ, რაიონულ (საქალაქო), სასაჯელადირულებით დაწესებულებათა პროკურორებს, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს 5 წლის ვადით და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს გენერალური პროკურორი.

პროკურორად, პროკურატურის გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გაიარა 2 წლამდე სტაჟირება პროკურატურაში, ნაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები (სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის პროცესში, კრიმინალისტიკაში, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და ინფორმატიკის საფუძვლებში) საქართველოს იუსტიციის საბჭოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიაში, მიიღო პროკურატურის მუშაკის ფიცი, ხასიათდება საქმიანი და მორალური თვისებებით, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს პროკურორის ან გამომძიებლის მოვალეობები.

§3 პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (დარგები) და კანონის დარღვევაზე პროკურორის რეაგირების ფორმები (აქტები)

პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ანუ დარგები განისაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლით, ორგანული კანონით „საქართველოს პროკურატურის შესახებ“, რომელსაც მიეკუთვნება: სისხლისსამართლებრივი დევნა; წინასწარი გამოძიება; შედამხედველობა კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე მოკვლევისა და ოპერატიულ-სამძებრო ორგანოების საქმიანობისას; შედამხედველობა კანონთა ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე დაკავებულთა მოთავსების, წინასწარი პატიმრობის, თავისუფლების სხვა შეზღუდვის ადგილებში, აგრეთვე სასჯელისა და სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი ხასიათის სხვა ღონისძიებათა აღსრულებისას; სასამართლოში სახელმწიფო ბრალმძებლების ფუნქციის განხორციელება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება.

პროკურორი ვალდებულია კანონის დარღვევის, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის შემთხვევებში, თავის კომპეტენციის ფარგლებში, რეაგირება მოახდინოს აღნიშნულ საკითხებზე. კანონის დარღვევაზე პროკურატურის რეაგირების ფორმები გამოიხატება იმაში, რომ იგი ადგენს შესაბამის აქტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ, აღმოფხვრან კანონის დარღვევა, მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვა, ის მიზეზები და პირობები, რამაც განაპირობა ან ხელი შეუწყო კანონთა დარღვევას. „საქართველოს პროკურატურის შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად ამ აქტებს (რეაგირების ფორმებს) მიეკუთვნება: პროკურორის მოთხოვნა, წარდგინება, პროტესტი, დადგენილება, თანხმობა, საჩივარი, მითითება, ინფორმაცია.

§4 წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები

წინასწარი გამოძიება და გამოძიებელი უწყებათა მიხედვით წინასწარი გამოძიების ორგანოებს ამჟამად მიეკუთვნება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი, პროკურატურა (სამხედრო პროკურატურა), სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

წინასწარი გამოძიების ორგანოებში დაწესებულია გამოძიებლის შემდეგი თანამდებობები: გამოძიებელი, უფროსი გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამოძიებელი, სტაჟიორ-გამომძიებელი.

თუ არსებობს კანონით დადგენილი საფუძვლები, გამოძიებელი საპროცესო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 59-ე) უფლებამოსილია:

- ა) აღძრას სისხლის სამართლის საქმე ან უარი თქვას მის აღძვრაზე;
- ბ) ჩაატაროს ყველა საჭირო საგამომძიებო და სხვა საპროცესო მოქმედება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;
- გ) საჭიროების შემთხვევაში და კანონის დაცვის საფუძველზე გამოიყენოს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ყველა ღონისძიება, გამოითხოვოს მოსამართლის ბრძანება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით;
- დ) წარუდგინოს პირს დადგენილება ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ;
- ე) მოკვლევის ორგანოების მუშაკები ჩააბას საგამომძიებო მოქმედების ჩატარებაში;

- ვ) მოკვლევის ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალებები საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ;
 - ზ) შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების შესაბამის ორგანოებს მისცეს წერილობითი მითითებები დაკავებულთა და დაბატონებულთა გამოძიების ადგილას მიყვანის შესახებ;
 - თ) კანონით დადგენილი წესების დაცვით, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს მისცეს წერილობითი დავალება ოპერატიულ-სამძებრო და სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების შესახებ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით;
 - ა) საჭიროების შემთხვევაში მოთხოვნის რეგიონის, ინვეტარიზაციის, საუწყებო შემოწმების ჩატარება და გამოძიებისათვის საჭირო დოკუმენტების წარდგენა;
 - კ) მოთხოვნის საქმეში თარჯიმნის, სპეციალისტის, დამსწრის მონაწილეობა;
 - ლ) შემოიტანოს დადგენილება პირის დაზარალებულად, სამოქალაქო მოსარჩელედ ან სამოქალაქო მოპასუხედ ცნობის შესახებ და განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი;
 - მ) უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა კანონით დადგენილი წესით და შექმნას მისი საქმიანობის ხელშეწყობის პირობები;
 - ნ) შეასრულოს ბრალდებულისა და დამცველის მოთხოვნები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ და უზრუნველყოს დამცველის მონაწილეობა მის ჩატარებაში;
 - ო) გაათავისუფლოს ეკონომიკურად ხელმოკლე მოქალაქეები იურიდიული დახმარების გადასახადისაგან;
 - პ) გადაწყვიტოს პროცესის მონაწილეთა აცილების შესახებ შუამდგომლობასა და განცხადებაში აღძრული საკითხი და წარუდგინოს თავისი განმარტებები პროკურორსა და სასამართლოს, თუ გასაჩივრდება გამოძიებლის დადგენილება შუამდგომლობისა და აცლების უარყოფის თაობაზე;
 - ჟ) გამოძიებლის მოქმედებისა და დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საჩივარი და საქმის მასალები პროკურორს ან სასამართლოს;
 - რ) შეაჩეროს საქმის წარმოება, აგრეთვე განაახლოს შეჩერებული საქმის წარმოება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;
 - ს) შეწყვიტოს საქმის წარმოება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;
 - ტ) შეადგინოს საბრალდებო დასკვნა და დასამტკიცებლად წარუდგინოს პროკურორს;
 - უ) გაასაჩივროს პროკურორის მითითება ზემდგომ პროკურორთან. გამოძიებლის მოქმედებაზე უწყებრივი კონტროლის განხორციელება ეკისრება საგამოძიებო განყოფილების (სამმართველოს) უფროსს, ხოლო პროცესუალურ ხელმძღვანელობას კი ახორციელებს პროკურორი. დაკისრებულ მოვალეობათა რეალური განხორციელების მიზნით საგამოძიებო ორგანოს უფროსისა და პროკურორის მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები.
- გამომძიებელი* საგამოძიებო აპარატის თანამდებობის პირი და პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტია, რომლის ძირითადი ფუნქცია სისხლის სამართლის საქმეთა წინასწარი გამოძიებაა.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად წინასწარი გამოძიების წარმოებისას ყველა გადაწყვეტილებას — გამოძიების მიმართულების, საგამოძიებო ვერსიათა წამოყენებისა და შემოწმების, საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ — გამოძიებელი იღებს დამოუკიდებლად, იმ შემთხვევების გარდა,

როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა და პასუხის აგების მათ სრულად და დროულად ჩატარებისათვის.

გამომძიებელი ვალდებულია აწარმოოს გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, გამოავლინოს ბრალდებულის მამხილებელი და გამამართლებელი გარემოებები, აგრეთვე ბრალდებულის პასუხისმგებლობის დაპატიმბელი თუ შემაშისუბნებელი გარემოებები.

გამომძიებელი ვალდებულია შეასრულოს პროკურორისა და საგამომძიებო ორგანოს უფროსის წერილობითი მითითებები, მაგრამ თუ გამომძიებელი არ ეთანხმება საგამომძიებო ორგანოს უფროსის მითითებას, მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი პროკურორთან ქვემდებარეობის მიხედვით. თუკი გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს ბრალდების მოცულობის, ქმედების კვალიფიკაციის, საგამომძიებო ვადის გაგრძელების, ბრალდებულის პასუხისმგებლობაში მიცემის, საქმის სასამართლოში წარმართვის, მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვეველ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრებები წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს, რომელიც აუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს ან გამოძიებას სხვა გამომძიებელს ავალებს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე საბოლოოა.

გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება საფლდებულია ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის. გამომძიებლის დადგენილების შესრულებლობა იწვევს კანონით დაწესებულ პასუხისმგებლობას.

მოკვლევის ორგანოები და მომკვლევო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად მოკვლევის ორგანო სახელმწიფო დაწესებულება ან სახელმწიფო თანამდებობის პირია, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი საგამომძიებო მოქმედება, თუ რაიმე მიზეზით ამ მოქმედების ჩატარება არ შეუძლია გამომძიებელს ან პროკურორს, აგრეთვე წინასწარი გამოძიების დროს ჩაატაროს საგამომძიებო თუ საპროცესო მოქმედება ან მონაწილეობა მიდღის მის ჩატარებაში გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით.

მომკვლევო მოკვლევის ორგანოს თანამდებობის პირია, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს თავდაპირველი მოქმედება სისხლის სამართლის საქმეზე.

თავდაპირველი მოქმედება შეიძლება იყოს: ჩხრეკვა, ამოღება, შემოწმება, დათვალიერება, ეჭვმიტანილის დაკითხვა, დაზარალებულისა და მოწმის დაკითხვა, ექსპერტიზის დანიშვნა და ნაშუის აღება საექსპერტო გამოკვლევისათვის.

იმისათვის, რათა მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელმა აღძრას სისხლის სამართლის საქმე და ჩაატაროს თავდაპირველი მოქმედება, საჭიროა პროკურორის თანხმობა (სანქცია).

მოკვლევის ორგანო ვალდებულია გამოძიებელს საქმე გადასცეს მისი აღძვრიდან არა უგვიანეს 7 დღისა, ხოლო პირის ეჭვმიტანილად დაკავებისას - დაკავების ოქმის შედგენიდან 24 საათის განმავლობაში.

გამომძიებლისათვის საქმის გადაცემის შემდეგ მოკვლევის ორგანო, გამომძიებლის ან პროკურორის მოთხოვნით, ვალდებულია ჩაატაროს საგამომძიებო მოქმედება ან მონაწილეობა მიდღის მის ჩატარებაში.

მოკვლევის ორგანოებს მიეკუთვნებიან:

- ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და ქვედანაყოფები - ყველა დანაშაულის საქმეზე, გარდა მოკვლევის სხვა ორგანოთა კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეებისა;
 - ბ) სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები და სამხედრო დაწესებულებათა უფროსები - სამხედრო გამოძიებულთა კომპეტენციას მიკუთვნებულ საქმეებზე;
 - დ) სახელმწიფო საზღვრის დაცვის მოკვლევის ორგანოები - სახელმწიფო სასაზღვრო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხედრო მოსამსახურის მიერ ჩადენილი დანაშაულის, საზღვრისა და სასაზღვრო რეჟიმის დარღვევის საქმეებზე;
 - ე) საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მოკვლევის ორგანოები - საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანოების თანამშრომელთა მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა, გადასახადისათვის თავის არიდებისა და საბაჟო წესების დარღვევის საქმეებზე;
 - ვ) სასაჯელადირულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი დანაყოფი - სასაჯელადირულების დაწესებულების თანამშრომელთა მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა და ამ დაწესებულების განლაგების ადგილზე ჩადენილ სხვა დანაშაულთა საქმეებზე;
 - ზ) ნაოსნობაში მყოფი საზღვაო სომალდის კაპიტანი;
 - თ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და მათ მიერ დაცული ობიექტების მიმართ ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე;
 - ც) თესტიციის სამინისტროს მოკვლევის ორგანოები - სასამართლო აღმასრულებლის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე და თესტიციის სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართულ და სასაჯელადირულების დაწესებულებათა განლაგების ადგილზე ჩადენილ სხვა დანაშაულთა საქმეებზე.
- თუ კანონი მოითხოვს პროკურორის თანხმობას (თანქცეას) ან სასამართლო ბრძანებას საგამომძიებო მოქმედების ჩასატარებლად, მოკვლევით უკზავნის თავის შუამდგომლობას (წარდგინებას), შესაბამისად, პროკურორს ან სასამართლოს მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მეშვეობით.
- დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, საქმის აღძვრაზე უარის თქმის, საქმის წარმოების შეჩერების, საქმის შეწყვეტის შესახებ შეიძლება გამოიტანოს მხოლოდ მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელმა და იგი უნდა დაამტკიცოს პროკურორმა.
- მოკვლევის წარმოებაში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითების შესრულება სავალდებულოა მოკვლევისათვის. თუ მოკვლევით არ ეთანხმება მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითებას, მას უფლება აქვს მიმართოს ზედამხედველ პროკურორს, რომელსაც შეუძლია გააუქმოს მოკვლევის ორგანოს ხელმძღვანელის მითითება, ხოლო მასალები ან საქმე წინასწარი გამოძიებისათვის გადასცეს სხვა მოკვლევას ან გამოძიებულს.

¹ იმ. ჟურნ. „სამართალი“, 2000, №3, გვ. 105-114.

თავი 13 ოუსტიციის სამინისტრო

§1 ოუსტიციის სამინისტროს სტატუსი, ამოცანები და კომპეტენცია

საქართველოს ოუსტიციის სამინისტრო 2000 წლის 30 ოქტომბრის დებულების შესაბამისად არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ასრულებს კანონით განსაზღვრულ ან საქართველოს ბრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ფუნქციებს. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

სამინისტროს მმართველობის სფეროა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

- სამართლებრივი რეფორმის კოორდინაცია და თერიდული ტერმინოლოგიის დადგენა;
- საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის პარამონიზაცია;
- აღამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციის შესრულება. ამ სფეროში აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია;
- საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პროგრამის შემუშავება და შესრულების წარმართვა;
- კანონით დადგენილ ფარგლებში საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- სამართალშემოქმედება და ნორმატიული აქტების პროექტების ექსპერტიზა;
- ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და სახელმწიფო რეესტრაცია;
- სასამართლო აქტების აღსრულების უზრუნველყოფა;
- მოქალაქეობის, იმიგრაციისა და სამოქალაქო აქტების რეესტრაცია;
- კანონმდებლობის საფუძველზე ნოტარიატის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება;
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში თერიდული პირების სახელმწიფო რეესტრაცია;
- სამართლებრივი ინფორმატიკისა და თერიდული განათლების საკითხთა გადაწყვეტის უზრუნველყოფა;
- „საქართველოს კანონთა წიგნისა“ და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ოფიციალური გამოცემების უზრუნველყოფა;
- სასამართლო ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ორგანიზება;
- კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში იარაღის ლეგალური ბრუნვის უზრუნველყოფა;
- საჯარო რეესტრების წარმოება;
- კანონით დადგენილ ფარგლებში ნორმატიული აქტების შექრების ან გაუქმების მოთხოვნათა საკითხების განხილვა;

- კანონმდებლობით დადგენილი წესით სასაჯელოს აღსრულების განხორციელების ორგანიზება, სასაჯელაღსრულების ორგანოთა მართვა, მათი მატერიალურ-ტექნიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ორგანოთა ან იმ საწარმოთა მიერ, რომლებშიც სახელმწიფო ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტი ან წილის 50 პროცენტზე მეტს, დადებულ იმ ხელშეკრულებათა ვიზირება, რომლებიც საქართველოში არსებული ან საერთაშორისო კერძო არბიტრაჟების განსჯადია;
- სახელმწიფოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საერთაშორისო და საქართველოში არსებულ კერძო არბიტრაჟებში, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასამართლოებში იმ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე, რომელთა სარჩელის ფასი აღემატება 1 მილიონ ლარს;

- კანონით ან კანონის საფუძველზე დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა.
 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობა. იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედის: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებია: სასაჯელაღსრულების დეპარტამენტი, საქართველოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის არქივები.

სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიულ ბირებს მიეკუთვნება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, „საქართველოს კანონთა წიგნის“ და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნის“ რედაქცია, იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს განეკუთვნება: ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის სამსახურები, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ადგილობრივი განყოფილებები და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სპეციალიზებული განყოფილებები, სააღსრულებლო ბიუროები.

იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილება და სამინისტროს თანამდებობის პირები. იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც პყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე. მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ბარლამენტის თანხმობით და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი მინისტრის წარდგინებით.

მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამინისტროს საქმიანობას მინისტრის არყოფნისას.

მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ან საქართველოში არსებულ კერძო არბიტრაჟებში, აგრეთვე სასამართლოში კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და წესით.

სამინისტროს თანამდებობის პირები არიან: სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, სამინისტროს დაქვემდებარებული სახელმწიფო

საქვეყნებო დაწესებულებების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები.

სამინისტროს თანამდებობის პირებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

სამინისტროს საშტატო შემადგენლობაში არიან: მინისტრის მრჩეველები, მინისტრის (მინისტრის მოადგილეების) თანაშემწეები, მინისტრის (მინისტრის მოადგილეების) მდივან-სპეციალისტები.

მინისტრის მრჩეველები, თანაშემწეები და მდივან-სპეციალისტები უშუალოდ ემორჩილებიან მინისტრს. მათ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. მინისტრის მრჩეველი, თანაშემწე და მდივან-სპეციალისტი თანამდებობაზე ინიშნება მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

მინისტრის შეუძლია თავისი მმართველობის სფეროში შექმნას სათათბირო ორგანოები: კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებებით, განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი;

§2 ოუსტიციის სამინისტროს სტრუქტურა

მინისტრის კაბინეტი მინისტრის კაბინეტის ძირითადი ამოცანაა თავისი კომპლექტციის ფარგლებში და მინისტრის სახელთ სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ქვედანაყოფების მაკოორდინირებული ფუნქციების განხორციელება, მინისტრის ცალკეული დავალების შესრულების უზრუნველყოფა; საზოგადოებასთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მინისტრის (სამინისტროს) ურთიერთობის ორგანიზება; მინისტრის მოხსენებების, გამოსვლების, ანგარიშების მომზადება, მისი ორგანიზაციული, საინფორმაციო და სამართლებრივი მომსახურება; სადღეღამისო მორიგეობის უზრუნველყოფა, სამინისტროს სისტემის ორგანოებიდან ინფორმაციის მიღება და დამუშავება.

ბრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურა ბრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ძირითადი ამოცანაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა; საზოგადოების ინფორმირება სამინისტროს კომპლექტციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე.

ნორმატიული აქტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და სამართლებრივი ინფორმატიზაციის დეპარტამენტა ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, სამართლის ცალკეული დარგების განვითარების აუცილებლობებისა და პერსპექტივების შესწავლა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების პრობლემატიკის შესწავლა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მიზნით; კანონმდებლობის სისტემატიზაცია და საკონტროლო მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო წარმომადგენლობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტა დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა უფლებამოსილი თანამდებობის პირებისა და ორგანოების მიერ სამინისტროსათვის გაგზავნილ შეკითხვებისა და მასალებზე შესაბამისი პასუხების მომზადება.

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების მომზადების, დადებისა და შესრულების ორგანიზება, ქართული სამართლის პარმონიზაცია საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან, სამინისტროს ურთიერთობის უზრუნველყოფა საზღვარგარეთის სახელმწიფოთა დაწესებულებებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო აქტებთან შეერთებისა და რატიფიკაციის თაობაზე წინადადებების შემუშავება; მსჯავრდებულთა გადაცემისა და მიღების, აგრეთვე დადგენილი წესით ექსტრადიციის საკითხებზე მინისტრის გადაწყვეტილებათა მომზადება.

ნორმატიული აქტების ექსპერტიზისა და რეგისტრაციის დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა სამინისტროში შესული ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა, უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენა; ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობის სამსახურების ხელმძღვანელობა და კონტროლი; კანონმდებლობით დადგენილი წესით ნორმატიული აქტების საჯარო რეესტრის წარმოება; „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სამინისტროს უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფა.

მოქალაქეობის, სამოქალაქო საკითხთა, იმიგრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტი. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა ცალკეულ დანიტერესებულ პირთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დადგენა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოს მოქალაქედ მიღებისა და მოქალაქეობის აღდგენის, საქართველოს მოქალაქეთა მოქალაქეობიდან გასვლის ან მათ მიერ მოქალაქეობის დაკარგვის, ასევე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოში იმიგრანტის სტატუსის მინიჭების, გაუქმებისა და იმიგრანტთა საქართველოდან გაძევების მასალების წინასწარ განსახილველად მომზადება, მოქალაქეობისა და იმიგრაციის საინფორმაციო ბანკის შექმნა; კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტა, ორგანიზება და კოორდინაცია.

საკადრო საკითხთა დეპარტამენტი. საკადრო საკითხთა დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის მოხელეთა და მსახიობურეთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ ბრძანებების მომზადება.

საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტი. საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტის პროექტის შემუშავება, საბუღალტრო აღრიცხვის წარმართვა და ზარჯთა ნუსხის შედგენა, სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ფუნქციონირების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

სახელმწიფო რეგისტრაციისა და საჯარო რეესტრის წარმოების დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა პოლიტიკური გაერთიანებების, შემოქმედებითი კავშირებისა და ფონდების რეგისტრაცია; რეგისტრირებული იურიდიული პირების საქმიანობის თავიანთ წესდებებთან შესაბამისობის კონტროლი დადგენილი წესით; საჯარო რეესტრის წარმოების უზრუნველყოფა;

საღიგწმინდო სამმართველო. საღიგწმინდო სამმართველოს ძირითადი ამოცანაა მოქმედი კანონმდებლობით სამინისტროსათვის მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში ლიცენზიების გაცემის მომზადება და გაცემული ლიცენზიების აღრიცხვა.

სამედიცინო დეპარტამენტი. სამედიცინო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სასჯელადისრულების დაწესებულებების სამედიცინო სამსახურების ხელმძღვანელობა და კონტროლი; მათი საქმიანობის ორგანიზება, სანიტარული ზედამხედველობის, ეპიდემიასაწინააღმდეგო და პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზება; სასჯელადისრულების ორგანოთა და სამინისტროს სისტემის სხვა მოსამსახურეთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

შიდა კონტროლის სამსახური. შიდა კონტროლის სამსახურის ძირითადი ამოცანებია სამინისტროს სისტემის ორგანოების თანამდებობის პირთა და მოხელეთა მიერ დისციპლინისა და კანონიერების დაცვის კონტროლი.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს გენერალური წარმომადგენლობის სამსახური. ამ სამსახურის ძირითადი ამოცანაა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციის განხორციელების უზრუნველყოფა. ამ მიზნით შექმნილი საუწყებათშორისო კომისიების საქმიანობის წარმართვა.

სააღსრულებლო დეპარტამენტი. სააღსრულებლო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა სასამართლო აღმასრულებლებისა და სააღსრულებლო პოლიციის საქმიანობის ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი, სასამართლო აღმასრულებლების კადრების შერჩევა, მათი სწავლება, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. სააღსრულებლო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის თავმჯდომარე. დეპარტამენტის თავმჯდომარეს შუამდგომლობაა ორი მოადგილე.

თავი 14

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

§1 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაცია და უფლებამოსილება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატუსი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1997 წლის 17 ნოემბრის დებულების შესაბამისად გასაზღვრულია საქართველოს სტატუსი, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, საკადრო საკითხები, მინისტრის უფლებამოსილება, სამინისტროს სტრუქტურა და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელმაც უზრუნველყოფის სახელმწიფოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დანაშაულებების წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობას ექვემდებარებიან ადმინისტრაციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები, მხარეების შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოები, ქალაქებისა და რაიონების შინაგან საქმეთა ორგანოები, შინაგანი ჯარები, სპეცდანიშნულების რაზმები, სატრანსპორტო პოლიციის ორგანოები და სხვა საქვეუწყებო სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

- ა) დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების აღკვეთა, ჩადენილი დანაშაულის აღრიცხვა, გამოფლენა, გახსნა, მოკვლევა და წინასწარი გამოძიება;
- ბ) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- გ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- დ) საკუთრების დაცვა;
- ე) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ვ) სარეგისტრაციო საქმიანობა კანონით გათვალისწინებული წესით;
- ზ) გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილება;
- თ) ხანძრის პროფილაქტიკისა და ქრობის ორგანიზაცია;
- ი) საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების, მათი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისა და სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებათა განხორციელება.

დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია:

- ა) სახელმწიფო და სხვა ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან, თანამდებობის ბარებისაგან დადგენილი წესით გამოითხოვოს სამინისტროსათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მასალები;

- ბ) სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი ამოცანების განხორციელებლად დადგენილი წესით მოიწვიოს სახელმწიფო ორგანოთა და დაწესებულებათა თანამშრომლები, სპეციალისტები და ექსპერტები;
- გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს ხელშეკრულებები და შეთანხმებები როგორც ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

შინაგან საქმეთა მინისტრის უფლებამოსილება და სამინისტროს საბჭო. შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით. მინისტრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

მინისტრი როგორც უშუალოდ, ისე თავისი მოადგილეების მეშვეობით, კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახურების საქმიანობას დამნაშავეობასთან ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

მინისტრი პასუხს აგებს პრეზიდენტის წინაშე დამნაშავეობასა და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლის სწორი პოლიტიკის, სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი სხვა ამოცანების განხორციელებისათვის.

მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

აჭარისა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრებს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

§2 შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურა

შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით შექმნილია დეპარტამენტები, სამმართველოები და სხვადასხვა ხასიათის სამსახურები, კერძოდ:

1. კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: თქერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარება რეგონული და საერთაშორისო კორუმპირებული კავშირების მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმირებების გამოვლენისა და მათი საქმიანობის აღკვეთის მიზნით; ეკონომიკური დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.

რეგისტრირებული სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნის, მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთა-აცილების, ბოროტმოქმედთა დადგენა-დაკავების, მიმალულ ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, სამართალში მიცემულთა, შიჯაფრდებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა დაძებნის უზრუნველყოფა, ნარკომანიისა და ნარკობაზნის წინააღმდეგ ბრძოლა.

2. აღმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტი. მისი ძირითადი ამოცანებია: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში; მასობრივი უწყსოგობისა და საზოგადოებრივი წესრიგის ჯგუფური დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაცია.

საავტორობილო ტრანსპორტის უსაფრთხო და შეუფერხებელი მუშაობის ორგანიზაცია; საავტორობილო მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამიზნული ღონისძიებების, ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერებისა და რეგისტრაციის შესახებ ნორმატიული აქტების დამუშავება და ზედამხედველობა მათ შესრულებაზე.

ასევე საქართველოს ტერიტორიაზე ეკოლოგიის სფეროში სამართალდარღვევებისა და დანაშაულის გამოვლენა, აღკვეთა-აცილება და მოკვლევა.

საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციისა და საარეგისტრაციო წესების დაცვის ორგანიზაცია; საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა; უცხოელთა გასვლა-შემოსვლის ვიზების გაფორმება-გაცემა, საფიზო კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფა; იმ დანაშაულის გამოვლენასა და აღკვეთა-აცილებაში მონაწილეობა, რაც შედის ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის სამსახურების კომპეტენციაში.

3. საგამოძიებო დეპარტამენტი. საგამოძიებო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: დანაშაულის გახსნა, მისი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება კანონის ზუსტი შესაბამისობის საფუძველზე; პროცესუალური, საკონტროლო-საორგანიზაციო და უწყებრივი ხელშეწყობა დაქვემდებარებული საგამოძიებო დანაყოფების მუშაობისადმი; გამოძიების დროს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, მოქალაქეების; სახელმწიფო და არასახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციისადმი დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა; იმ მოქალაქეთა პატივისა და ღირსების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებების დაცვა, რომლებიც უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი, დაპატიმრებულნი ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი; დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოვლენა და მათი აღმოფხვრისათვის ზომების მიღება.

4. სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: რეინფის, საპარტო და საზღვაო ტრანსპორტისა და მომსახურების ტერიტორიებზე დანაშაულებათა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა, აღკვეთა-აცილება; რეგისტრირებული სისხლის სამართლის დანაშაულის გახსნა; მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა; სატრანსპორტო ტვირთების ობიექტებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და გაცილება.

5. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტი. ამ სამსახურის ძირითადი ამოცანებია: ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების, სტიქიური და ეკოლოგიური უბედურებების, ფართომასშტაბიანი ხანძრების შემთხვევაში სამსახურლო სამუშაოების ორგანიზება, მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფა, პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა და სხვა გადაუდებელ სამუშაოთა ჩატარება; ბირთვული, რადიოაქტიური და მასობრივი განადგურების სხვა იარაღის გამოყენების შემთხვევაში პირველი და გადაუდებელი სამუშაოების განხორციელება.

6. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. მისი ძირითადი ამოცანებია: ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ერთობლივი საწარმოებისა და უცხოური ფირმების, სააკციო საზოგადოებების, შშნებლობების, მოიჯარე, სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსებაზე მყოფი კომერციული, პრივატიზებული და სხვა სახის ობიექტების, ცალკეული ფიზიკური და თურთიული პირების, ყველა სახის სახელმწიფო

მატერიალური ფასეულობებისა და ფულადი სახსრების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

7. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის დეპარტამენტი ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის განხორციელების უზრუნველყოფა; ხანძრის, აფეთქებებისა და ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა წარმართვა და მონაწილეობის მიღება.

8. საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველო. მისი ძირითადი ამოცანებია: საექსპერტო-კრიმინალისტიკური გამოკვლევებისა და ექსპერტიზების ჩატარება; კინოლოგიის სამსახურის, რევიზიისა და კონტროლის სპეციალისტთა და დაქვემდებარებული დანაყოფების მუშაობის ორგანიზაცია; პოლიციის დანაყოფების კრიმინალისტიკური სამსახურების საქმიანობაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა; სათანადო სპეციალისტების მომზადება და ტექნიკით აღჭურვა.

9. ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო. ბიუროს ძირითადი ამოცანებია: საერთაშორისო მასშტაბით დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მის წინააღმდეგ ბრძოლა; დანაშაულის გახსნა-გამოვლენის მიზნით მჭიდრო თანამშრომლობა უცხოეთის სახელმწიფოთა საპოლიციო სამსახურებთან; აგრეთვე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა შესაბამისი უწყებებისათვის დახმარების გაწევა და მათი საქმიანობის კოორდინაცია უცხოეთის კომპეტენტურ სამსახურებსა და ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან საერთაშორისო დონეზე დამნაშაეობასთან ბრძოლაში; მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსა და სხვა ქვეყნების ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან.

10. მოკვლევის სამსახურა. მოკვლევის სამსახურის ძირითადი ამოცანებია: პოლიციის ადგილობრივ დანაყოფებში მოკვლევის სამსახურის საქმიანობის ორგანიზაცია და სამსახურებრივი ზედამხედველობა.

11. შინაგანი ჯარა. შინაგანი ჯარის ძირითადი ამოცანებია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების, სპეციალური ტვირთების, სასაქვლადსრულებითი დაწესებულებების დაცვა; მოჯავრდებულთა და განსაიჯელ პირთა ბადრაგირება; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფაში მონაწილეობა; ხანძრის, აფეთქების, კატასტროფისა და ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში მონაწილეობის მიღება; დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფებისა და დესანტის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიულ თავდაცვაში მონაწილეობა.

12. გენერალ გ. გულუასი სახელობის პოლიციის სპეციალური დანიშნულების სამსახური. მისი ძირითადი ამოცანებია: მოქალაქეთა სიცოცხლისა და კონსტიტუციური უფლებების დაცვა; შეიარაღებული ბანდების, ორგანიზებულ დამნაშაეთა ჯგუფების, დივერსიულ-ტროლისტული ორგანიზაციების უწყებელები; უკანონოდ თავისუფლებადკვეთილ პირთა, „მოტაცებულთა“, მძევალთა გათავისუფლების ოპერაციების განხორციელება; მასობრივ არეულობათა აღმოფხვრა და სხვა სახის სამართალდარღვევათა აღკვეთა.

13. შტაბი. შტაბის ძირითადი ამოცანებია: პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, პარლამენტის დადგენილებების, მინისტრის ბრძანებების, მითითებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლი; სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამსახურების, ადგილობრივი ორგანოების, დაწესებულებებისა და დანაყოფების ინსპექტირება, მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა.

სამინისტროს სამორიგეო ნაწილის, პოლიციის ორგანოთა სამორიგეო ნაწილების მუშაობის წარმართვა და კონტროლი; სამინისტროს საბჭოს სხდომების, მინისტრთან ოპერატიული თათბირების მომზადებისა და ჩატარების ორგანიზება; რეგისტრირებულ დანაშაულთა აღრიცხვა, ინფორმაციის ანალიზი; საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემების დანერგვა და ექსპლუატაცია; სამინისტროს პრესცენტრის საქმიანობის ორგანიზება.

14. კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის დეპარტამენტი ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: სამინისტროს სისტემაში ერთიანი საკადრო პოლიტიკის გატარება, კადრების შემადგენლობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, მათი შერჩევა, განაწილება და პროფესიული ღონის ამოღება; საორგანიზაციო-საშტატო მუშაობის ორგანიზაცია; სამინისტროს სისტემის ორგანოებს, დაწესებულებებსა და დანაყოფებს, პირად შემადგენლობას შორის კანონიერებისა და დისციპლინის მდგომარეობაზე კონტროლის განხორციელება; თანამშრომელთა მიერ კანონიერების დარღვევის, შექრთამების, სხვა დანაშაულებათა ჩადენის, მოქალაქეთა უფლებების დარღვევის, საშისახურებრივი გადაცდომების ფაქტების გამოვლინება და მათი პროფილაქტიკა; შემოსული განცხადებებისა და ინფორმაციის შემოწმება და სათანადო რეაგირება; შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების უფლებების, პატივისა და ღირსების დაცვა.

15. მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამ დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა დანაყოფის ეფექტური ფუნქციონირების ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასოვნებათა გვერდური განაწილება და მის ხარჯზე კონტროლის განხორციელება; სამინისტროს დანაყოფების ცენტრალიზებული მომარაგება ყველა სახის საშუალებებით; სამინისტროს საჭიროებისათვის ძირითადი კაპიტალის შექმნა, კაპიტალური მშენებლობებისა და კაპიტალური შეკეთების დაგეგმვა-განხორციელება; კვარტალური და წლიური საფინანსო და სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და მათი დროულად წარდგენა.

16. თურიდული საშისახური ამ საშისახურის ძირითადი ამოცანებია: პარლამენტთან სამინისტროს ურთიერთობის უზრუნველყოფა; სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების შემუშავება, მათი სისტემატიზაცია; სამინისტროს საშისახურების ნორმატიული აქტების შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; საზღვარგარეთის ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროებთან ურთიერთკავშირების დამყარება.

17. აკადემია, აკადემიის ძირითადი ამოცანებია: შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისათვის კადრების მომზადება, მეცნიერული გამოკვლევების ჩატარება და მისი შედეგების პრაქტიკაში დანერგვის ორგანიზაცია, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა პარველადი მომზადება და კვალიფიკაციის ამოღება.

18. კავშირგაბმულობის სამმართველო ამ სამმართველოს ძირითადი ამოცანაა სამინისტროს კავშირგაბმულობის სისტემის საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

19. სამედიცინო დეპარტამენტი სამედიცინო დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია: სამინისტროს პირადი შემადგენლობის, პენსიონერებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის, დასვენების, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზაცია და უზრუნველყოფა; საშუალო საექიმო და საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების, პოსპიტალის, სანეპიდსადგურის, პოლიკლინიკების, ამბულატორიების,

სანატორიუმებისა და აფთიაქების მუშაობის წარმართვა და მათზე სამსახურებრივი ზედამხედველობა.

20. სამდივნო. სამდივნოს ძირითადი ამოცანებია: შტაბთან ერთად საბჭოს სხდომების მომზადება და ოქმების გაფორმება; სამინისტროში შესული კორესპონდენციების აღრიცხვა და დამუშავება; სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებებისა და დირექტიული მითითებების აღრიცხვა-რეგისტრაცია და დაგზავნა; შინაგან საქმეთა ორგანოებში საქმის წარმოების ორგანიზაცია; საიდუმლოების რეჟიმის, კონსპირაციის დაცვის უზრუნველყოფა და კონტროლი; საჩივარ-განცხადებების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაცია.

21. სამხედრო და სპეციალური გადაზიდვების სამსახური ამ სამსახურის ძირითადი ამოცანებია: შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ტვირთების შეუფერხებელი გადაზიდვის უზრუნველყოფა; აგრეთვე მსჯავრდებულ პირთა გადაყვანა და მათ შეუფერხებელ გადაადგილებაზე კონტროლის განხორციელება.

22. სახელმწიფო საფელდეგერო სამმართველო. ამ სამმართველოს ძირითადი ამოცანებია: განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საიდუმლო, სრულიად საიდუმლო კორესპონდენციების, ამანათების, დოკუმენტაციის, სპეციალური ტექნიკის, სამეცნიერო ნაწარმის, საცდელი ნიმუშების, ფაქიანი ქაღალდებისა და ნივთების დანიშნულების ადგილზე აღრესატებისათვის დადგენილი მარშრუტებითა და წესით ოპერატიულად მიტანა და ჩაბარება.

§3 საქართველოს პოლიციის ორგანიზაცია და უფლებამოსილება

პოლიციის ორგანიზაცია და კადრება საქართველოს პოლიციის სტატუსის, კადრების საკითხის, უფლებების, მოვალეობების, პოლიციის მუშაკთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის ღონისძიებებს განსაზღვრავს კანონი (დეკრეტი) „საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1993 წლის 27 ივლისს.

ამ კანონის შესაბამისად პოლიციის ორგანოების მიეკუთვნება: კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტი, სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი და დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.

საქართველოს პოლიცია სამართალდამცავი გასამხედროებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც დეპარტამენტის სახით შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და უზრუნველყოფს სახელმწიფოში არსებული კანონიერების რეჟიმის განუხრელ დაცვას.

საქართველოს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების პოლიცია ფინანსდება საქართველოს ბიუჯეტიდან.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების, ოპერატიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაონის (ქალაქის) შინაგან საქმეთა განყოფილებებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების გადაწყვეტილებით შეუძლიათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსონ პოლიციის თანამშრომელთა დამატებითი საშტატო ერთეულები.

პოლიციის ამოცანებს შეადგენს:

- კანონით დადგენილი წესით პიროვნების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
- საზოგადოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;

- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება;
- დამნაშავე პირის ძებნა და დანაშაულის გახსნა;
- კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, პუბლიცისა და საქვეყნოობის პრინციპებს.

პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, ასაკის, განათლების, ენისა და სარწმუნოების, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად.

აკრძალულია პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

საქართველოს პოლიცია თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მოქალაქეებთან, სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ეწევა ღია და ფარული საშუალებებითა და მეთოდებით. აკრძალულია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას; ასევე სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებასა და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს.⁹

პოლიციის სისტემა. საქართველოს პოლიცია, რომლის შემადგენლობაში შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციები, თავისი მოვალეობას ასრულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

პოლიციის სამსახურები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტში ფუნქციონირებენ სამმართველოებისა და განყოფილებების სახით. რეგიონებსა და ადგილებზე პოლიციის სამსახურები სტრუქტურულად შედიან შინაგან საქმეთა რაიონულ, საქალაქო, რეგიონულ სამმართველოებსა და განყოფილებებში.

საქართველოს შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებითა და რაიონის (ქალაქის) მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:

- გამსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- ახორციელებს პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებს;
- კოორდინაცია და სამსახურებრივ კონტროლს უწევს პოლიციის ორგანოებისა და ქვედანაყოფების საქმიანობას;

- პოლიციას უწევს სამეცნიერო-საკონსულტაციო, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას;
- პოლიციის თანამშრომლებს გზავნის სამსახურის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სტიქიური უბედურების, კატასტროფების, მასობრივი არეულობისა და საგანგებო შემთხვევების დროს მართლწესრიგის დაბრუნებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით;
- საგანგებო და საშუალო მდგომარეობისას უზრუნველყოფს პოლიციის პირადი შემადგენლობის გადაყვანას სამსახურის განსაკუთრებულ რეჟიმზე;
- აყალიბებს და განაგებს საცნობარო-საინფორმაციო ბანკს;
- წარმოადგენს პოლიციის ინტერესებს საქართველოს ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში და ახორციელებს კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

¹ იხ. საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ, მიღებული 1999 წლის 30 აპრილს.

თავი 15

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ორგანიზაცია და უფლებამოსილება

§ 1 სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სტატუსი და უფლებამოსილება

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს 1997 წლის 25 ნოემბრის დებულებისა (დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის №660 ბრძანებულებით) და კანონის „სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესახებ“ (მიღებული 1998 წლის 18 თებერვალს) შესაბამისად განსაზღვრულია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სტატუსი, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, საკადრო საკითხები, მინისტრის უფლებამოსილება, სამინისტროს სტრუქტურა, სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელთა ვალდებულებები და უფლებები, ამ სამინისტროს მუშაკთა სამართლებრივი და სოციალური დაცვისა და სხვა საკითხები.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო აღმასრულებელ სახელმწიფო ხელისუფლებაში შექაფალი სამართალდამცავი სპეციალური გასამხედროებული დაწესებულებაა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უშიშროების საშინაო და საგარეო საფრთხისაგან დაცვას.

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია: აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, აჭარის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, ქ. თბილისის უშიშროების სამსახური, რეგიონული სამმართველოები, რაიონული (საქალაქო) განყოფილებები. აღნიშნული ორგანოები ექვემდებარება სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურების დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან საერთაშორისო ნარკობიზნესის, ტერორიზმისა და საერთაშორისო ხაიათის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო ანგარშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე, რომელიც ახორციელებს სამსახურებრივ შედამხედველობას კანონით დადგენილი წესით.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვა და პატივისცემა; საქმიანობის ღია და ფარული ფორმების ერთობლიობა; პრეზიდენტისადმი დაქვემდებარება და ანგარშვალდებულება; ერთიანობა და ცენტრალიზაცია;

სახელმწიფო უშიშროების სამსახურში აკრძალულია პოლიტიკური პარტიის ან სხვა პოლიტიკური გაერთიანების შექმნა. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის ან სხვა პოლიტიკური გაერთიანების წევრი.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომელს ეკრძალება გაფიცვების მოწყობა ან მათში მონაწილეობა, შეთავაზებით მუშაობა ანაზღაურებად სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, სამეცნიერო, პედაგოგოური ან შემოქმედებითი საქმიანობის გარდა.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, საქართველოს კანონები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ნორმატიული აქტები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას, აგრეთვე ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) საქართველოს კონსტიტუცური წყობილების, ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაცვა სხვა ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მხრიდან კანონისაწინააღმდეგო ქმედებებისაგან;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა — საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოვლენა, თავიდან აცილება, მოკვლევა და წინასწარი გამოძიება;

გ) სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა — სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებში და ამ საქმიანობის კოორდინაცია.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს შეადგენს:

— საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის დაცვა სხვა ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან;

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ორგანოების ქვემდებარე და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ დანაშაულთა გამოვლენა, თავიდან აცილება, მოკვლევა და წინასწარი გამოძიება;

— საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი.

სახელმწიფო უშიშროების სამსახური კანონით დადგენილი წესით და ფარგლებში ინფორმაციას აწვდის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

სახელმწიფო უშიშროების სამსახურზე საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მეშვეობით. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

§2 სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სტრუქტურა

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში დაკისრებულ უფლებამოსილებათა რეალური განხორციელების მიზნით შექმნილია სტრუქტურული დანაყოფები, რომელთა ძირითად უფლებამოსილებას განსაზღვრავს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მოქმედი დებულების V თავი. კერძოდ, სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურული დანაყოფებია:

1) კონტრადაზვერვის სამსახური. კონტრადაზვერვის სამსახური ახორციელებს კონტრასადაზვერვო საქმიანობას უცხოეთის სპეცსამსახურებისა და ორგანიზაციების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო და მტრული საქმიანობის, აგრეთვე საერთაშორისო ნარკობიზნესისა და კონტრაბანდის ფაქტების გამოვლენის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით.

2) საშუადრო კონტრადაზვერვის სამსახური. ეს სამსახური სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს კონტრასადაზვერვო საქმიანობას თავდაცვის სამინისტროში, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარ სამმართველოსა და მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად შექმნილ სხვა შეიარაღებულ ფორმირებებში.

3) ანტიტერორისტული ცენტრი. ამ ცენტრის ძირითადი ამოცანაა ტერორისტული და დიფერსიული ხასიათის დანაშაულთა, აგრეთვე რადიქტიური და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებების უკანონო გამოყენების (დატაცების, შეძენის, შენახვის, დამზადების, რეალიზაციის) გამოვლენა, თავიდან აცილება და აღკვეთა;

4) კონსტიტუციური წყობილობის დაცვის სამმართველო. ეს სამმართველო ახორციელებს კონსტიტუციური წყობილობის დამსობისა თუ ძალადობრივი შეცვლისაკენ მიმართული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას, ეროვნულ, ეთნიკურ ან რელიგიურ საფუძველზე ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობის გამოვლენას, თავიდან აცილებასა და აღკვეთას.

5) საგამოძიებო სამსახური. საგამოძიებო სამსახური ახორციელებს სამინისტროს დაქვემდებარებულ დანაშაულთა გამოძიებას.

6) ეკონომიკური უშიშროების სამმართველო. ამ სამმართველოს ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს შესუსტების მიზნით ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამოვლენა და აღკვეთა, აგრეთვე კორუფციული ხასიათის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა.

7) ინსპექტორებისა და კოორდინაციის სამმართველო. მისი ძირითადი ამოცანაა სამინისტროს ქვედანაყოფების მუშაობის ინსპექტირება და კოორდინაცია, ინფორმაციის დაგროვება, განზოგადება და ანალიზი ხელისუფლების ინფორმირებისა და სამინისტროს დანაყოფების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

8) კადრების სამმართველო. კადრების სამმართველოს კომპეტენციას წარმოადგენს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების დაკომპლექტება მაღალკვალიფიციური კადრებით, თანამშრომელთა მიერ საშუადრო სამსახურის გავლის, სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და საბრძოლო და ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფა.

9) ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოებმა ამ სამმართველოების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ოპერატიული სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფა სპეციალურ ღონისძიებათა ჩატარებით.

10) სამეურნეო სამმართველო. ეს სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

11) საექსპერტო-კრიმინალისტიკური ბიურო. ბიუროს ფუნქციებია: სამინისტროს საგამომიებო სამსახურში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებზე კრიმინალისტიკური ექსპერტის ჩატარების შესახებ ექსპერტის დასკვნების გაცემა; ოპერატიული დანაყოფების უზრუნველყოფა სპეციალისტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციებითა და დასკვნებით.

12) თურიდიული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. ეს განყოფილება უზრუნველყოფს სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ნორმატიული ბაზით, ახორციელებს საზღვარგარეთის ქვეყნების სპეცსამსახურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კავშირურობის დამყარებასა და განმტკიცებას, სიაქმეო საქმიანობას, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან ურთიერთობის ორგანიზებას.

13) კავშირგაბმულობის განყოფილება. განყოფილება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესაბამის დანაყოფთან ერთად უზრუნველყოფს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებსა და თანამდებობის პირებს, აგრეთვე სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს განცალკევებული დახურული საქალაქთაშორისო სატელეფონო „მადალი სიზმრისა“ და რადიო-სატელეფონო კავშირებით.

14) საფინანსო განყოფილება. საფინანსო განყოფილების ძირითადი ფუნქციაა სამინისტროს ფინანსური უზრუნველყოფა.

15) ოპერატიული აღრიცხვის განყოფილება. ეს განყოფილება აწარმოებს სპეციალური კონტინგენტისა და საარქივო მასალების ოპერატიულ აღრიცხვას.

16) შიფრკავშირების განყოფილება. განყოფილება ახორციელებს სამინისტროს შიფრული კავშირით უზრუნველყოფას.

17) საგამომიებო იზოლატორია. საგამომიებო იზოლატორიის ფუნქციაა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქვემდებარე დანაშაულში მონაწილეობისათვის დაკავებულ პირთა დროებითი იზოლაცია.

18) სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრია. ცენტრი აწარმოებს სამეცნიერო-გამოყენებითი ხასიათის სამუშაოებს სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებითა და მათ უზრუნველსაყოფად.

19) აკადემია. აკადემია არის სამინისტროს სასწავლო-სამეცნიერო დანაყოფი.

20) სამხედრო-სამედიცინო ნაწილი. ეს ნაწილი უზრუნველყოფს თანამშრომელთათვის კვალიფიციური სამედიცინო დახმარების დროულ აღმოჩენას, სამხედრო-სამედიცინო კომისიის ორგანიზაციასა და ჩატარებას.

თავი 16

სხვა ორგანიზაციები

§1 საქართველოს სახალხო დამცველი

სახალხო დამცველის თანამდებობა საქართველოში შემოღებულ იქნა კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე, რომლის ძალითაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველი (ომბუდსმენი).

სახალხო დამცველი და მისი აპარატი მიეკუთვნება საქართველოს ორგანოებს, რადგანაც მისი მიზანია: უზრუნველყოს მოქალაქეთა თავისუფლებების, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა; მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით; მიიღოს ზომები იმ მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად, რამაც ხელი შეუწყო ან განაპირობა მოქალაქეთა თავისუფლებების უკანონო შეზღუდვა, მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე 1996 წლის 16 მაისს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახალხო დამცველის სტატუსს, მის არჩევასა და უფლებამოსილების შეწყვეტას, სახალხო დამცველის უფლებამოსილებასა და სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურას.

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, აცდენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას. ამ მიზნით ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობებისა და თვითნებური პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს მათ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

სახალხო დამცველი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება საქართველოს სახალხო დამცველზე ან ჩარევა მის საქმიანობაში აკრძალულია და ისჯება კანონით.

სახალხო დამცველი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი განხრეკვა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. საქართველოს პარლამენტი ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს გენერალური პროკურორის მიმართვიდან არა უგვიანეს 14 დღისა.

საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის, დაკავების ან დაპატიმრების შესახებ თანხმობისას საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილება შეჩერდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც საქართველოს სახალხო დამცველს. ეს უფლება

მას უნარჩუნდება უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც არ შეიძლება სახალხო დამცველისათვის განკუთვნილი წერილობითი მასალის დაყადაღება.

კანონით უზრუნველყოფილია სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების ბირობები. მისი განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ სახალხო დამცველისა და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანო, თანამდებობის თუ თურიდული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად და ასევე ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხზე.

მასალები, საბუთები, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველის უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებიდან 5 დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს სახალხო დამცველის თანხმობით.

სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან თურიდული პირი, რომელიც მიიღებს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია ჯრთი თვის ვადაში განხილოს და წერილობით აცნობოს სახალხო დამცველს განხილვის შედეგზე.

სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით და აისახება სახალხო დამცველის ყოველწლიურ ანგარიშში, რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

საქართველოს სახალხო დამცველისა და მისი სამუშაო აპარატის ორგანიზაციასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკე მუხლით.

სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს დასაბუთებულ ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ თვეში ერთხელ, ასევე კალენდარული წლის მარტსა და ოქტომბერში წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, თუ მისთვის ცნობილი გახდება ეს დარღვევები.

სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მყოფ უცხოელთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, თანამდებობისა და თურიდულ პირების ქმედებებს ან მათ აქტებს, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს, რომელთა მონაწილეც საქართველოა.

განცხადებებსა და საჩივარს სახალხო დამცველი განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სადავოდ ხდის ზემდგომი ორგანოს, ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, და როდესაც განცხადება ან საჩივარი ეხება საკითხის განხილვის დროს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევას.

სახალხო დამცველის მიერ განცხადებისა და საჩივრის განხილვამ არ შეიძლება დააბრკოლოს ანალოგიური განცხადების ან საჩივრის განხილვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციაში.

დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში მყოფ პირთა მიერ სახალხო დამცველისათვის გაგზავნილი განცხადებები, საჩივრები და წერილები კონფიდენციალურია. მათი გახსნა და ცენზურა აკრძალულია; ისინი დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს საქართველოს სახალხო დამცველს.

განცხადება და საჩივარი არ იბეგრება სახელმწიფო გადასახადით.

სახალხო დამცველის მიერ დაინტერესებული პირისათვის გაწეული სამსახური უფასოა. სახალხო დამცველი ვალდებულია, აცნობოს განმცხადებელს საჩივრის შედეგების შედეგებს.

§2 ადვოკატურის ორგანიზაცია და ფუნქციები

ადვოკატთა შესახებ 2001 წლის 20 ივნისის მიღებული კანონის 1-ლი მუხლის შესაბამისად საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს, პროფესიული ეთიკის ნორმებს და შეყვანილია საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში.

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს შემდეგ დარგებს: 1) ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა; 2) კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში; 3) პირის თხოვნის საფუძველზე სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებასა და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; 4) ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: ა) კანონიერება; ბ) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა; გ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუსაბუთებლობა; დ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა; ე) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; ვ) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევების გარდა; ზ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა; თ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

საქართველოს ადვოკატთა ერთიანი სია. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული ყველა პირი შედის საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში.

ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისა და საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში შეყვანის შემდეგ პირი ვალდებულია, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წინაშე დადოს ფყც. თუ ადვოკატი უარს ამბობს ფიცის დადებაზე, ფიცის ნაცვლად იგი წერს შესაბამის განცხადებას.

ადვოკატის სტატუსი. პირმა, რომელსაც გავლელი აქვს ადვოკატთა ტესტირება და სურს გააძროს სტატუსი ადვოკატთა ან საადვოკატო ბიუროში, განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს. ადვოკატი ან ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის სტატუსორად გამწესების შესახებ და ამ გადაწყვეტილება აცნობებს შესაბამის ადვოკატთა ასოციაციას.

ადვოკატის თანაშემწე. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე.

ადვოკატები გაწვევრიანებულნი არიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. საქართველოს ასოციაციის შემადგენლობაში შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა ასოციაციები. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა ასოციაციების წევრები იმავდროულად ითვლებიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციების წევრებად.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა ასოციაციები არიან ბირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები.

ადვოკატთა ასოციაციაში იქმნება: ა) აღმასრულებელი საბჭო; ბ) ეთიკის კომისია; გ) სარევიზიო კომისია.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან იქმნება აგრეთვე ადვოკატთა სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება, საერთო კრება იმართება, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ.

აღმასრულებელი საბჭო. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომლის სხდომა იმართება, სულ მცირე, თვეში ერთხელ.

აღმასრულებელი საბჭო შედგება 9 წევრისაგან. 6 წევრს ირჩევს საერთო კრება 3 წლის ვადით.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ადვოკატთა ასოციაციების თავმჯდომარეები თანამდებობრივად შედიან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ირჩევს საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წევრებისაგან 3 წლის ვადით კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.

ეთიკის კომისია. ეთიკის კომისია შედგება 3 წლის ვადით არჩეული 9 წევრისაგან.

სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისია შედგება ასოციაციის საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით არჩეული 3 წევრისაგან.